

114
1983/3

ISSN 0132-590 X



გეოგრაფია



2

1983



გეორგიული წიგნი

საქართველო
წიგნი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წიგნი № 59-0

№ 2

თბილისი, 1983 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

1783 — გიორგიმედიის ტაძრის — 1983

ანდრე სალუვაძე — წიგნი შიგნით. კინორომანი. დასასრული	3
გაბრიელ ჯაბუშაძე — ლექსები	56
ოთარ ჩხიძე — მოთხრობები	59
როსო ავაშვილი — ლექსები	73
მეზარ კვიციანი — ლექსები	77
რამაზ კობიძე — ძველი ამბავი. მოთხრობა.	82
გაბაძე გელაგოშვილი — ლექსები	102
შილინო ფოლკენი — მოგონებები. სურათი. მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა ზაზა კვიციანი	104

ჩვენი გივლინებით

მირან ხაჩიანი — გარდაბანი — შატბერის პრიზაში... ნარკვევი. გაგრძელება	127
--	-----

კრიტიკა, აუზლიცინტიკა

ალექსანდრე ლონტი — ბრძოლა სიტყვისა	136
------------------------------------	-----

აუზლიკაცია

გურამ შარაძე — წიგნიანი უსრულდებაში. გაგრძელება.	141
--	-----

მეცნიერება

დავანა მელიქიძე — ქართული მეცნიერული ტიპოგრაფიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები	156
---	-----

წიგნების მიმოხილვა

თ. ჯაგორიანი — საინტერესო გამოკვლევა ვაჟა-ფშაველას შესახებ	173
--	-----

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაბაძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი თ ა მ ლ ე გ ი ა :

პრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამასუაძე (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუ-
ლაძე, თ. გიგინეიშვილი, ა. გომიაშვილი, ბ. კალაძე, მ. ლეგანიძე,
მ. მრალაშვილი, გ. ნატროშვილი, თ. პაპოტია (პ/მგ. მდივანი), ნ. წუ-
ციანი, ვ. წულუკიძე, თ. ფილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე,
გ. ჯიბლაძე.



ახსორ სალუქვაძე

ფიგნი ფიცისა

კინორუმანი

ფიგნი ფიცა

ე რ ე კ ლ ე

17.717

22.

მთვარეს მიახლოებული ვარსკვლავი ხუდია ბორჩალოელს იდუმალების გრძნობით ავსებდა.

წყნარი ღამე იყო.

სიშორეში, დროდადრო, ზარბაზანი დაიქუხებდა, ხეე-ხუვებსა თუ მტკვრის პირა ჭალა-ბორცვებზე მიძინებულ ეჭობებს წამოაკრთობდა და კვლავ კარგა ხნით მიჩუმდებოდა.

ძიწწამხდარი ხუდია ბანაკს განშორებოდა, მდინარესთან აღმართულ კბოდეს მისდგომოდა და ვარსკვლავებით მოკიქულ ზეცას მონუსხულივით მისჩერებოდა...

— რად არა გძინავს, ბორჩალოელო? — მხარზე ხელი შეახო ვილაკამ.

ერეკლე იყო.

ხუდია შეერთა, მეფის წინაშე მუხლის მოდრეკა განიზრახა, მაგრამ ხელმწიფემ არ დაანება.

— რად არა გძინავს-მეთქი? — კვლავ ჰკითხა ლმოზიერად.

— შენი ძმადნაფიცი, დიდი აირანალი, ზარბაზნის სროლას რად არა სწყვეტს, მეფეე ბატონო? — კითხვითვე უპასუხა ხუდიამ.

— აწყურის ციხეს უშენს. ეგრე უბრძანებია: ევროპულის ტაქტიკითა ვიქმო. ვინძლო მეციხოვნენი სუ შიშში მყავდეს, არ უნდა დავაძინო.

— რო აღარც ჩვენ დავაძინა!? — გაიკვირვა ხუდიამ.

მეფეს გაეცინა.

— ეჰ, თავის საქმისა თვითონ იცის. — ამოიოხრა ჯავრიანად. მერე კარგა ხანს იყუჩა, — მე სხვა მადარდებს. მიკვირს, ციხეს მთლიანად არ შემოადგა. მაშველ ჯარს შიგ შესვლის საშუალება მისცა. ან მე რაღად გამიგულისდა, არხეინად იყავ, ციხეს უშენოდაც იოლად ავიღებო. — ჩაილაპარაკა თავისთვის.

— მთვარეს რო ვარსკვლავი ზემოთა რქაზე დააქდება, იტყვიან კარგსა ნიშ-

* დასასრული. იხ. „მეათობი“, № 1.

ს. მარტოვა ს.ბ. ს.ბ. სსრ სსრმწიფის სახელმწიფო გამომცემლობა

ნავსო. — თქვა მეფის საამებლად ხუ-
ლიამ.

— რა იცი, ეგებ ჩვენთვის კი არა,
ფაშისთვისა ნიშნავს? — გაუღიმა ერე-
კლემ.

— არა, მეფეც ბატონო. მთვარე ზურ-
ვით ჩვენკენა დგა, რქებით ნაამან-ფა-
შასაკენ! — განუმარტა ხუღიამ.

— ნეტა რო მაგეებისა გჯერა. —
ხელი ჩაიქნია მეფემ.

ხეობაში ორი მხედარი გამოჩნდა,
რუსებსა ჰგავდნენ.

მეფემ ბილიკისკენ ჩაინაცვლა, ცხე-
ნოსნებს დააკვირდა — ტოტლებენის
ადიუტანტი კაპიტანი დე გრაი და პოდ-
პოლკოვნიკი მოურავოვი შეიცნო, ხე-
ლი ზე-შესწია, მოახლოებულ მხედ-
რებს შეჩერება ანიშნა.

ოფიცრები ჩამოქვეითდნენ.

— გენერალმა ჯარი აჰყარა, თქვენო
უდიდებულესობავ, აწყურიდან უკან
გაბრუნებას აპირებს! — აღშფოთებით
მოახსენა მოურავოვმა ერეკლეს.

— მიზეზი! — გაფითრდა მეფე.

— აწყურის ციხის აღებაზედ გული
გაუტყდა, თქვენო უდიდებულესობავ,
თან დიდყალიბიანი ზარბაზნების უქონ-
ლობა, სურსათის ნაკლებობა და რუს
თუ არა რუს ოფიცრებს შორის მომხდა-
რი განხეთქილებაც მოიმიზეზა. — უპა-
სუხა მოურავოვმა.

მეფემ ახლა დე გრაის შეხედა...

ტოტლებენის ადიუტანტმა ერეკლეს
მხერაში დაუოკებელი რისხვა და საყ-
ველური ამოიკითხა.

— რუსი ოფიცრები გენერლის გეგ-
მას არ იზიარებენ, თქვენო უდიდებუ-
ლესობავ, რემმენიკოვისა და ჩოგლო-
კოვის დაუყოვნებლივ განთავისუფლე-
ბას მოითხოვენ. გენერალს ბრძვი და
იმპერიის მოღალატეც კი უწოდეს, მაგ-
რამ მის ბრძანებას მაინც დაემორჩილ-
ნენ, სხვანაირად არ შეიძლებოდა, თქვე-
ნო უდიდებულესობავ!

— ხუღიავ, ცხენი!

ერეკლე გაცეცხლებული იყო.

ხუღია ადგილს მოწყდა — ბანაკის-
კენ გაქანდა.

— თქვენო უდიდებულესობავ... —

კვლავ დააპირა რალაციის თქმა დე გრა-
იმ, მაგრამ ხელმწიფემ აღარ დააცალა.

— გირჩევთ აქ, ჩემთან დარჩეთ! თუ
ტოტლებენი ვერ მოვაბრუნე, მსურს
თქვენის თვალით იხილოთ რა არის
ბრძოლა, რომ მერე გენერალს ყოველი-
ვე დაწვრილებით მოახსენოთ და, თუ
სინდისის ნატამალი მაინც შემოგჩაბთ,
საჭაროდ შეარცხვინოთ კიდევ!.. —
დაურიდებლად მიახალა მეფემ დე
გრაის.

— როგორც მიბრძანებთ, თქვენო
უდიდებულესობავ. — მყისვე მიავება
ტოტლებენის ადიუტანტმა.

ხუღია ბორჩალოელმა, მეღვინეთ-
ხუციშვილმა და „შვიდთა ხევსურთა“,
რომელნიც ბრძოლასა თუ ყოველსა
განსაცდელსა შინა ერეკლეს თან ახლ-
დნენ, ცხენები ხელმწიფესთან მოაგდეს,
თან სახელდახელოდ შეკაზმული მეფის
თეთრონიც მოაგვლევს...

მეფე ცხენს მოველო, თავქვე დაეშ-
ვა...

ამალა მიჰყვა.

პოდპოლკოვნიკი მოურავოვი, დე
გრაი და ხუღია ბორჩალოელი ებოდეს
შემორჩნენ — ერთხანს უმზირეს დაბ-
ლობისკენ დაშვებულ მეფეს, მერე,
როცა მხედრები თვალს მიეფარნენ,
ცხენები ბანაკისკენ დასძრეს — არ ამ-
ხედრებულან, ქვეითად ვიღოდნენ.

აწყურის ციხეს თავს მარეზი წამოს-
დგამოდა.

ტოტლებენს ზარბაზნები ცხენების-
თვის აეკიდნა, „ჯარი წინ გაესტუმრები-
ნა და თვითონ, რაოდენითა მეზარბაზ-
ნისა და მცირედის კაცით უკან მივი-
დოდა“...

ერეკლემ და მისმა ამალამ გენერალს
გზა მოუტრა.

გრაფს მათი დანახვა ეთოშა, ცხენი
უნდილად შეაყენა.

ჩამოქვეითდნენ...

— ამისხენით, რას სჩადით?! — ჯი-
ქურ მიუხტა ერეკლე.

— თქვენო უდიდებულესობავ, —
თვალი ველარ გაუსწორა გენერალმა.

— მიმძიმს განგიმარტოთ... იმედი მაქვს.



დე გრაიმ უოველივე წვრილად მოგახსენათ. შექმნილმა ვითარებამ და იმპერატორის წინაშე ჩემმა ვალდებულებამ უკან დახევა მიკარნახა. გულწრფელად ვალიარებ, ახალციხეზედ ლაშქრობა. სიგიჟედ მომანია, მით უმეტეს, რომ... დიახ, ჩემს ოფიცრებს შორის მომხდარმა განხეთქილებამ ჭარს თავგზა აუბნია. ეს ალბათ ორსაარდლიანობას უნდა მივაწეროთ.

— თუ ორსაარდლიანობასა სჩიოდ, დალოცვილო, თავიდანვე გებრძანებინა. პა. მუხლმოყრილი გეკედრები, სარდალიც შენ იყავ და მეტიცა, ოღონდ ქვეყანა არ გააციონო, ოსმალს არ ათქმევინო რუსნი აწყურთან ისე ძლიერ დაფრთხენ, სურამამდე სუ ტუნძულით ვიდოდნენო... და თუ ეს გინდა, ჩემს თავს შენი კამანდის ერთ ოფიცრად მოგცემ!

ერეკლეს სიმწრისაგან თვალზე ცრემლი მოადგა.

ტოტლებენიც დაბნეული და შეძრწუნებული ჩანდა.

— ამის თქმას რად ჰკადრულობთ, თქვენო უდიდებულესობავ, — ჩაილულულა მან და საქციელწამხდარი, გვერდით მდგარ ლვოვს მიუბრუნდა: — ბატონო კაპიტანო, უბრძანეთ ჭარი სადმე ბალახოვან ადგილას შეაჩერონ. სჯობს ცხენებმა ნედლი იონჯა სძოვონ. თივა მერმისისთვის დაგვკვირდება... თან ლეიტენანტსაც უთხარით, ეს ორი ზარბაზანი გორაკზე აიტანონ და კვლავ აწყურის ციხეს დაუმოხონ...

— არის, თქვენო ბრწყინვალეებავ! — მხედრულად უპასუხა გაკვირვებულმა ლვოვმა და ნაბრძანების აღასრულებლად გაეშურა.

ტოტლებენი კვლავ შეფეხს მიუბრუნდა.

— რამდენიმე დღე კიდევ მადროვეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ვნახოთ, არ ვიცი როგორ მოვიქცე, ჭერჭერობით გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი... ოფიცრების უმრავლესობა უკან დახევას მიირჩევს...

ტოტლებენი აშკარად ცრუობდა,

თვალმაქცობდა, თავს განგებ ლაშქარლებდა.

— ვინც წინ ავლას გირბედა, იქვეა შეიპყარ, დალოცვილო! — უსაყვედურა მეფემ. მიხვდა, წამხდარი გენერლის მობრუნებას ველარ შესძლებდა. ნაწყენმა ხელი ჩაიქნია, კვლავ ცხენს მოეველო და გაბზარულის ხმით ე-ლა დასძინა: — სანამ შენ რამე სასიკეთოს იქმ, ოსმალს არ დაგიდგება. ერთის უთაობით, აწყურს ხო დამხმარე ჭარის ჩაყენება მოასწრებინე, ეხლა, ეგებ ამოდენა ზოზინში, სადმე გზაც გადაავიჯრას და ჩემს თავს აღარა ეჩივი, იმპერატორის ლაშქარიც ხელუქცევად ამოეუფოს. არა, თუ უკან გაბრუნებას აპირებდი, ჭარის ნახევარი სადგერს რაღად დაავდე? რჩევა მაინც გეკითხა. აქედან ჭავახეთზედ მოკლე გზა მიდის, უსაფრთხოდ მაინც ივლიდი. — ამ სიტყვებზე ერეკლემ ცხენს მათრახი გამეტებით გადაუჭირა, ადგილს მოსწყვიტა, კვლავ თავის ლაშქარს მიაშურა...

ტოტლებენმა შევებით ამოისუნთქა, — პარუჩიკ, წადით, ლვოვს უთხარით, ბრძანების შესრულება საქირო აღარ არის-თქო!

გათენებელიყო. მზე მთის კორტოხს წამოსდგომოდა.

ტოტლებენის ლალატმა ქართველებს თავზარი დასცა.

ერეკლეს შტრებმა დრო იხელთეს — ნამძინარეც ლაშქარს ათასგვარი ჭორი და ელდა-საფეთებელი მოაფრქვიეს.

ბანაკი აირია — ამორგდა, აწრიალდა...

— ხალხო, თავს უშველეთ! რუსი ოსმალს ეძმო, ხაფანგში ეკრივართ! — გაჰკიოდა ერისთვის მოურავი, ნალბანდის ბუში ქაიხოსრო და თან, დროდადრო, თავის ბატონსაც მოხედავდა: რაც შენ მავალე, აკი მარჯვედა ვიქმოს..

— მარჯვედაო. — აქეზებდა ფარულად ქანის ერისთავი.

ის და ზაალი ეხლა ერთმანეთის გვერდი-გვერდ იდგნენ.

— მაშ რა ეგონაო! — ხარობდა ერეკლემდ ორბელიანი.

— ვაი ჩვენს მოსწრებას!.. ვაი ჩვენს ცოლშვილს!.. ვაი ჩვენ და ვაი საქართველოს! — დიაცივით მოსთქვამდა დათუნა ფეიქარის დისშვილი, ომს შიგანაც მესაზიარე, სიკეთე-კოლა და თავის ერთგულ სახედარს ზურგზე კეხს ადგამდა.

გიორგი ბატონიშვილი, დავით სარდალი და ციციშვილი ცხენებს წინ და უკან დააქროლებდნენ.

— მაყივართ ენებს ამოვგლეჯთ!.. მატრიალთ თვალებს დავთხრით! — იმუქრებოდნენ.

დე გრავი, მოურავოვი და ლევან ბატონიშვილი გზას მოუთმენლად გასცქეროდნენ — მეფის დროულად მობრუნებას ლამობდნენ.

ორი ათასი ახალციხელი შემოპარით შემაგრებულ აწყურის მეციხოვნეებს, ლეკთა მოზრდილი რაზმების გარდა, აიდეს მიერ წამოშლილი მაჰმადიანი მოსახლეობის დიდრონ-დიდრონი დასტებიც შემოსდგომოდნენ... თავზეხელალებულ თურქ მეომრებს, ანუ დელიბაშებს, ციხეზე ძლევის ალაში გამოეფინათ.

— ვაი შენ, ბრიყვო ირაკლი! ეხლა ხო მწარედა ნანობ ჩვენს ქვეყანაში ძალით მოხდომას... ეხლა ხო ხედავ, რო ხმლის ნაცვლად, წელზე მელორის სახრე გვიდია!.. ეხლა ხო ხედები, რო თოფის ნაცვლად, ხელში კარაქის სადღვებელი გიჭირავს!.. ეხლა ხო გჯერა, რო ჯარის ნაცვლად, გარს დამფრთხალი ცხვრის ფარა გახვევია!.. მაშ რალას უცდი, შე მართლა დონლუზო, რად არ გვენბდები?!.. ბედი შენი, რო ეგ გოგრა ჩვენს ფაშას ტანს მოუტყელი სჭირდება... რად სდუმხარ, ხმა ამოიღე, თუ ისევა გაქვს და ჩვენის შიშით, ქართან ერთად, უკნიდან არ გაგძრომია! — მამალივით გადმოჰყოიდა ქართველთა ლაშქარის გოდოლს მომდგარი დელიბაშთ თავი, ანუ ბაშ-ბაშდელი ბელუქი.

დელიბაშთ ბაშის ურცხვემა ქილიკმა არუშანის ასულს ღიმილი მოჰკვარა, ახალციხელი დიდებულებით გარსშე-

მორტყმული აიდე, იქვე ქობულთან იდგა, თავგზააბნეულ ქართველთა ბანაკს სიამით გასცქეროდა.

— დელიბაში კი არა, მგოსანი ყოფილაო. — შეაქო მაყივარი.

მართლა საუცხოო სახილველი გახლდათ იმ დილით თავმოკვეთილი მამისა და დასახიჩრებული საქმროს გამო შურისგების ენებით ავისილი, სულეიმან ფაშად-ყოფილის მშვენიერი დისწული.

ტოტლებენთან ხელმოცარულმა ერეკლემ, რახან ბანაკიც არეული იხილა, ცხენი ბექობზე შეაგდო, ყალყზე შეაყენა...

დიდებულნიც მიჰყვნენ.

— ხალხო, თავს უშველეთ, მტრის ხელში ვყრივართ! — კვლავ მონდომებით გაჰკიოდა ქაიხოსრო, ნალბანდის ბუში.

ერეკლემ ქსნის ერისთავს გახედა, თვალნი არისხნა...

— რასა ჰგვს, მოურავი შენი ამას ვით სჩადის? — აგრძობინა უთქმელად.

— დახე, მაგ წუწკსა... მაგ ნაბიჭვარსა!.. — ფარისევლურის ერთგულებით იტყვიყა ერისთავმა, თან თოფიც უმაღვე მოიღო, „საქმით გართულ“ მოურავს ბექებს შუა დასცა, ტყვია შიგ გულში გაუტარა.

საბრალო ქაიხოსრო შემობრუნდა, პატრონს გაოცებული ძალღივით მიაჩერდა და სულიც ეგრევე დალია.

სროლის ხმამ ჯარი განაჩინდა, გონს მოაგო, ბექობისკენ მოაქცია...

— წმინო ქართველნო! — შესძრა სიჩუმე ნეფემ. — განუყრელნო ყოველსა განსაცდელსა შინა! ჩვენი შეკრთომა არ იქნება, რადგან ოსმალო რუსს მიეწევა, დიდ ენებას მისცემს და მას უკან, გაქვებული, მამულს სრულიად ამოგვივადებს. ესრეთ გაჰირვებულო ომი ჩვენს თავს პირველი როდია. თავად განსაყეთ, რა სიკვდილის ლხინი გვიდგას დღესა! შეკრთომა ჯაბანთ წესი არს... ჰა, თქვენს წინაშე გადაწყვეტით ვალიარებ, რომ აქ უნდა გავწყდეთ, აქ უნდა გამოვესალმოთ თავსა ჩვენსა!..

მანო ჩემო. გულიანო! ჩვენს ცოლ-შვილში დამარცხებით მისვლა ვით მოხდება!.. მერე და, რა პირს დაგვიანახვენ ის ჩვენი კარგი დედაკაცი? შავსა, დამარცხებულსა პირსა!... ეგრე გვეტყვიან: ჯაბანო, გასწით, დაიკარგენით ჩვენგანო!.. სიტყვილს ის გვიჯობს, ჩვენს წმინდა სიკვდილზედ და დაქცეულ სისხლზედ ჩვენს ქალებს თმები ვაწეწინოთ, მამულისთვის გავწყდეთ, ქართველებო!.. მე თქვენთანა ვარ, ერეკლე!

ხელწიფის სიტყვამ ლაშქარი შეარბია, წამხდარი იმედი გაუღვივა, მამაცნი უფრო გააგულოვანა.

— არ მომყოლს დედა შეერთოსო!
— დაიჭეკა ვილაცამ.

ლაშქარმაც უმაღ იგრილა — დანაფიცს დასტური დასცა.

— ეგრე იყოს... დედა შეერთოსო! — ვირს კები მოხადა სიკეთე-კოლმაც. დე გრამი მოურავოვს რალაც ანიშნა. პოდპოლკოვნიკმა ჯერ რამდენიმე მხედარი შენიშნა, მერე მტერის ბულში გახვეული ეტლი და ისევ მხედრები — ასნი მაინც იქნებოდნენ, თუ მეტნი არა. ციციშვილმა ერეკლეს იქითკენ მიახედა.

— რუსებსა ჰგვანან. — ჩაილაპარაკა დავით სარდალმა.

მოლოდინში წამი მარადისობად იქცა.

ხუდია ბორჩალოელმა ერისთვის ტყვიით „განგმირულ“ ჭაიხოსრო ქსნის მოურავს ნაბადი წააფარა.

ამაობაში, ბანაკს მოახლოებულმა მხედრებმა ეტლი კარგა დიდ მანძილზე ჩამოიტოვეს.

მართლაც რუსნი იყვნენ!

დე გრამი მოსულთა შორის მაიორ რემმენიკოვის ჰაბუკი მეგობარი, პოდპორუჩიკი სვეჩინი შეიცნო.

ესკადრონი შედგა.

პოდპორუჩიკი ცხენიდან ჩამოხტა, ერეკლეს მიეახლა, მოხდენილად გამოეკიშა.

— ნება მომეცით წარმოგიდგეთ, თქვენო უდიდებულესობავ, პოდპორუჩიკი...

— სვეჩინი ანდრეი სერგეის ძე! — ლიმილიანო

— დიახ, თქვენო უდიდებულესობავ, მერწმუნეთ, თავს უალრესად ბედნიერად ვრაცხ, რათა ლევან უფლისწულის კეთილი განწყობა შედარებით იოლად დავიმსახურე. ლეთის წინაშე, მეც მისდამი ერთგულების ფიცი მაქვს დადებული. თქვენო უდიდებულესობავ, მე და ჩემმა ათეულმა, ისევე, როგორც მისი ბრწყინვალემა ნაუმ ნიკოლოზის ძე ჩოგლოკოვის რამდენიმე ერთგულმა მხლებელმა და მაიორ რემმენიკოვის ჰუსართა ესკადრონმა რუსული იარაღის შერცხვენას ბრძოლის ველზე სიკვდილი ვამჯობინეთ. შეგიძლიათ ჩვენი სისხლი წმინდათ ჩათვალოთ. რუსეთი ჩვენ ვართ და არა ტოტლებენი!

ჰაბუკი პორუჩიკის ნაუბარმა ერეკლეს უზომო სიხარული მოჰგვარა. მეფემ სვეჩინი გულში შვილივით ჩაიკრა. — ამ ამბავს იმპერატორცას მივწერო! — აღუთქვა ყველას გასაგონად.

— თქვენო უდიდებულესობავ, თუ ღმერთმა ინება და უვნებელი ვიქნე, მსურს თქვენს ჭეყანაში დავრჩე, რათა ლევან ბატონიშვილს რეგულარული ქართული არმიის ფორმირებაში დავეხმარო. — მადლობის ნაცვლად მოახუნა სვეჩინმა მეფეს.

— უკეთესი რაღა იქნება! — აღფრთოვანდა ერეკლე.

— ჩემს ძმობილა, მამავ ბატონო, გარნევან ჰეკავადის დისწული, — მაიკო მოსწონს. — ლიმილიანის ჩურჩულით გაანდო საიდუმლო ლევან უფლისწულმა მამამ.

— ბიჭოს! — ეკლავ სიხარულით აღმოხდა ერეკლეს.

ამ საუბარში ეტლიც მოახლოებულყო. იგი ჩოგლოკოვისა გახლდათ!

— დრარ... ბნელისშვილებო! — ჩვეულებისამებრ დასძახა კუჩერმა სტეპკომ და სადავემოყრილი კუპრისფერი ულაყები წამიერ გააშეშა.

ეტლში, მისი ბრწყინვალემა ნაუმ ნიკოლოზის ძე ჩოგლოკოვის ნაცვლად, ამჯერად მცირეყალიბიანი, უბორბლო ხარბახანი „იჭდა!“ — უფრო სწორად.

ლაფეტი და ანტიკური ბარელიეფით დამშვენებული ზარბაზნის ლულა...

— სტეპო! — ველარ დაძვარა აღტაცება მეღვინეთხუციშვილმა.

— ფომა! — უმაღლვე მიატოვა კოფო სტეპკომაც.

იველი ნაცნობები ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

— ჩვენს თავს რა ანგელოსის ლხინიაო!? — ვაოცებით მიუბრუნდა ციციშვილს მეფე.

— ეგ მეეტლე, მეფევე ბატონო, კანტემირის ყოფილ სასახლეში, საცა სულმნათი თეიმურაზი აღესრულა, ერთგულად გვემსახურებოდა. ნეშტიც მამისა თქვენისა პეტერბურლიდან ყაზანამდე მარხილით მაგან ჩამოგვისვენა. — უპასუხა თავადმა ალექსანდრემ.

— წყვილი ბედაური და ოქროს ვადიანი ლაბტი მიართვან! — ბრძანა ერეკლემ.

საჩუქარი მართლაც მეფური იყო.

— ჰეი, დონღუზის გაგდებულო, ვირო ირაკლი, გამოდი თუ კაცობისა რამე კიდევა გცხიან!.. თუ არა და, მოვედ, მზად დამხვდი, დიაცთან ყოფნას რა ხანია მონატრებული ვარ! — კვლავ უშვერად ჰყიოდა, აიღეს ქებით გალაღებული, თავმომწონე დელიბაშთ-ბაში ბელუქი.

მაყივარს გოდოლი მიეტოვებინა, ციხიდან გარეთ გამოჭრილიყო, ქართველთა ბანაკს იარის საწიერზე მოახლოებოდა და თავის ბნელს ნაბავ, ნაქერალ ტაიქს წინ და უკან გამომწვევად დააქროლებდა.

ქონგურს მომდგარი სულეიმან ფაშად-ყოფილის დისწული და ახალციხის სხვა დიდებულნი ბელუქის ნაყივარზე თავშეკავებულად ხორხოცებდნენ...

შეურაცხყოფილი ლაშქარი დუმდა, პასუხა ხელმწიფისგან ელოდა.

რუსნიც ერეკლეს მისჩერებოდნენ. მართალია, დელიბაშთ-ბაშის სიტყვებისას ბევრს ვერაფერს მიმხვდარიყვნენ, მაგრამ მუქარას გუმანითაც ადვილად გრძნობდნენ.

— იმ თურქს რა უნდა? — მაინც

ჰკითხა მოურავოვს დე გრუზი...
— სიკვდილი უნდა, — მითხრობდა რეო საქმეთა კოლეგიის რწმუნებულმა.

ხუდია კოლას სახედარს გადააქდა, გავაზე ხელი დაქრა, სილა დააწნა...

— აცე, შე სამგლეო! — დასძახა და ბელუქისკენ დასძრა.

— რასა სჩადი?! — ვირს კუღზე დაეკიდა სიკეთე-კოლა.

— კაცო, გამიშვი, ნულარ მიჭერ, ხო ხედავ, სახედარზე სახედრით მივდივარო! — გაწყრა ხუდია.

მეფეს გაეცინა...

— დადექ! — შშვიდად ანიშნა ბორჩალოვს.

— დონღუზ ირაკლი, შე ქვეყნის ნათრევო ბებერო კახპაე! — არ ცხრებოდა ბელუქი. — რუსის გაქცევას, ვიცი, მწარედა ჰგლოვობ... მაგრამ, ნუ გეშინ, ჯერ შენა ჭნახავ, მერე იმასაც მალედვე დაგიგრილებ! — ჰყიოდა და უღლელად.

— შენი ჭირიმე, მეფევე-ბატონო! ამაზე მეტ სირცხვილს ველარ ავიტან. ნება მომეცი, ერთი გავეთამაშო მაგ წყეულს. ან მომკლავს, ან შევაკედებ! — მუხლმოყრით შეევედრა ყორიას-ულთ მეთაური ლუარსაბ ვაჩნაძე მეფეს.

— განა ეგ ერთი თარაქამა შენოდნადა ღირს, ლუარსაბ ჩემო? — წამოაყენა ვაჩნაძე მეფემ. თან ლაშქარსაც გახედა, რუსნიც წამიერ მოათვალიერა, — თუმცა, რაღაი გულითა გწადა ეგ მყრალი დელიბაში, შენი წერა იყოა. — ჩაილაპარაკა ფიქრიანად და მადლიერის ღიმიით დასძინა: — ოლონდ არ აჩქარდე, იცოდე, მტერიც შენ გიკქერს და მოყვარეცა...

ლუარსაბს ცხენი მზად ჰყავდა. შეჯდა და დელიბაშისკენ ნელა წაიყვანა.

ორივე ბანაკი ერთდროულად გაინაბა.

შუბმომარჯვებული ბელუქი მტერს მოთმინებით დაელოდა. მარცხენა ხელით ლაგამი მოკვეცა, ტაიქს თავი დაუჭირა — კისერმოგრეხილი წალამა-უქულმა დაატრიალა.

ლუარსაბის ცხენი კვლავ ნელა ვიდოდა.

სიჩუმე საშინლად დაიძაბა, თითქოს დროის დინებაც თანდათან შეწყდა, საწყარო შეიკუმშა, ერთ მჭილად იქცა, მერე ყინულის ლოლოსავით დაილია, დაიწრიტა, ბელუქის თვალწინ გაქრა, სრულიად გაუჩინარდა და უცებ, ლალემივით გასკდა — აფეთქდა, აფორი-აქდა...

დელიბაშმა მოთმინება დაკარგა — დაკვილა, ტაიკი ადგილს მოსწყვიტა...

შემდეგ ყველაფერი გველვებასავით ერთბაშად მოხდა — სამკლავეს ასბლეთილი შუბის წვერი, ვაჩნაძეს, პირზე შეეხო, ტუჩ-უღვაში ააცალა...

გამწარებული ლუარსაბი ბელუქს ცხენდაცხენ დაედევნა, თოფი მოიღო, გაქცეულს ტყვია დააწია...

დელიბაში უნაგირიდან გადმოირჩა. ვაჩნაძემ ხმალი იშიშვლა, დაჰკრა — ტანი ცხენს გაატანა, თავი კი მახვილს წამოაგო და გამარჯვებულმა ერეკლეს ფერხთით, მიწაზე დააგორა.

ბრძოლის ველიდან უკან გაბრუნებულ ტოტლებენს კაპიტანი დე გრაი სადგერთან მიეწია.

ხანგრძლივი მარშით დაქანცული ჯარისკაცები გენერლისთვის საველე კარავს ამზადებდნენ, ჭოკები უკვე აღემართათ, ეხლა გუმბათის კალთებს-ღა შლიდნენ, პალოებს ასობდნენ, დაბურღულ თოკებს ერთმანეთს აცილებდნენ.

თვით გენერალი წყაროსთან ჩამომჯდარიყო, სწუხდა, ლვოვისა და ბარონ შტეინის მეშვეობით სალამისო თავდაცვის ხაზს ამაგრებდა.

დე გრაიმ ცხენი სალდათებს მიანება. — მიზარია, რომ კვლავ ცოცხალს გხედავთ! — ორაზროვნად შეპლიმა გენერალმა.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ! — მხედრულად გამოეკიმა დე გრაი.

— ბრძანეთ, ვეთაყვა. ოღონდ ზეზეურად არა, ნამგზავრი ხართ. ცხენმა მეც საკმაოდ გამაწამა. მოდით, გვერდით მომიჩქვით. კიდრე ხაზს გაამაგრე-

ბენ, ვეტყვი, რომ ვახშიმიც საქ მოგვიტანონ.

— სალამისო ხაზის გამაგრება სასურო აღარაა, თქვენო ბრწყინვალე ბავ, შეტვეზე გადმოსული აწყურის მეციხოვნენი ერეკლემ სასტიკად დაამარცხა, კვლავ გალავანში შერეკა ასპინძისკენ გზა გაიკაფა. ახალიციხიდან წამოსული ოსმალთა ძირითადი ლაშქარიც ხეობაში შეიყოლია, თბილისს დაბრუნება ჭავახეთზე გავლით ივარაუდა. ერთი სიტყვით, როგორც კეშმარიტ მოკავშირეს შეპფერის, მთავარი დარტყმა ერეკლემ თავის თავზე აიღო!.. ასე რომ, შეგიძლიათ მშვიდად ბრძანდებოდეთ, თქვენს კორპუსს, სირცხვილის გარდა, სხვა აღარაფერი ემუქრება!..

— ნუ მიწყრებით, დე გრაი, მენდეთ, რომ თქვენს ალტაცებას, მეც გულწრფელად ვიზიარებ. ნამდვილად მოსალაცი ამბავია! თუმცა, არც ზედმეტი სიფრთხილე გვაწყენს! ხომ იცით, უცხო ქვეყანაში ვართ... — ტოტლებენი წამით დადუმდა. მერე სახეზე კვლავ ორაზროვანი ღიმილი გადაიკრა. — მართლა, ვეთაყვა, დაუზარელი და ერთგული სამსახურისთვის მსურს მაიორის ხარისხი მოგანიჭოთ. სამხედრო კოლეგიის წინაშე შუამდგომლობა უკვე აღუძარი. დღეს ან ხვალ, ალბათ, მაიორი გახდებით! მერე ორი პაწია საფეხურიც და გენერლობამდისაც ბევრი აღარაფერი რჩება. ჩემი ადიუტანტი მხოლოდ პორუჩიკი ან კაპიტანი შეიძლება იყოს. მითხარით, ვინ გასწევს თქვენს მაგივრობას?

— ბატონი შტეინი, თქვენო ბრწყინვალე ბავ.

— ზორნაიზე და პესკნერზე რას იტყოდით?

— იგივეს, რასაც შტეინზე, თქვენო ბრწყინვალე ბავ.

ტოტლებენი ჩაფიქრდა...

— კარგი იყო განშორების წინ ერთად გვევახშმა. — ჩაილაპარაკა მერე და დე გრაის ნაღვლიანად ახედა. — თავისუფალი ბრძანდებით, ბატონო მაიორო! ყოფილმა ადიუტანტმა გენერალს

თავი დაუკრა, შეტრიალდა, იქაურობას ღირსეულად განერიდა.

ტოტლებენმა თვალი გააყოლა...

23.

წვიმდა.

მტერდადევნებული ქართველთა ლაშქარი ვიწრო ხეობაში საუზანგე ღველივით გაწელილიყო.

მეფე და მისი ამალა, რომელსაც იმპერიის საგარეო საქმეთა რწმუნებული თავადი ანტონ მოურავოვი და პოდპორუჩიკი სვეჩინიც შემატებოდნენ, ჯარს მაგალითს აძლევდა — უგზოობას და უამინდობას არაფრად თვლიდა, არც დაღლასა და უჭმელობას ეპუებოდა.

შელამებისას, წინ მიმავალ მეფეს კუჩერი სტეპკო და მეღვინეთხუციშვილი წამოეწივნენ.

— მღევარმა ბანაკი დასცა, მეფეებატონო. ღამის გასათევად შეყოვნდა. — ცხენდაცხენ მოახსენა ხელმწიფეს თომამ.

— გზის მხერგავეები შეარჩიე, ორ გუნდად გაჰყავ. უბრძანე, დიდრონ-დიდრონი ხეები წამოაქციონ, იწროებში დაჰყარონ! რიგრიგობით დააძინე. ერთნი რომ დაიღლებიან, საქმეზე სხვანი დაჰყენე... ეცადე, საქმელი სიმარჯვეთა ჰქმნან! — დაარიგა ერეკლემ თომა.

ის ღამე მეფემ უძილოდ გაატარა — არც კარვის გაშლა უბრძანებია, არც ტანთ გაუხდია და არც ცხენისთვის აუყრია რახტ-უნაგირი — კოცონთან ბოლთას სცემდა, საფიქრალს მისცემოდა.

სვეჩინი და ლევან ბატონიშვილი ერთმანეთის გვერდით, ნაბაღზე მიწოლილიყვნენ, დალილნი ღრმა ძილს მისცემოდნენ...

თავადი რატიევი, დავით სარდალი და ლუარსაბ ვაჩნაძე ცეცხლს მიფიცებოდნენ.

ლუარსაბს პირი ყაბალახით აეკრა, ნაიარევი აწვალებდა, შუბის წვერით აგლეჯილი ტუჩ-ულვაში ლაპარაკს უშლიდა.

ლაშქარს ეძინა.

ვილაც ყმაწვილი მეომარი, მუხის ქვეშ გულადმა გამოტილ დრაგუნს გვერდით მიჯდომოდა, არ ასვენებდა, ხელს ხან ცხვირთან მიუტანდა, ხან შუბლთან, ხან თვალთან...

— ნოს...

— ლობ...

— გლაზ...

— როტ. — მოთმინებით პასუხობდა დრაგუნი.

— ერთ აქაურ კაცს შენი ხილვა სურსო. — საიდუმლოდ ჩასტურჩულა ალექსანდრე ციციშვილმა მეფეს.

— სად არის? — გაფაციცდა ერეკლე.

— აქვე, ტვერსა შიგან დგასო. — უპასუხა თავადმა.

წავიდნენ.

უცხო კაცს გვერდით ბალიც ედგა, ცხენიც იქვე ჰყავდა. ხელმწიფის დანახვაზე მუხლი საჩქაროდ მოიკვეცა, თავი მდაბლად დახარა.

— რა გქვიათ? — წამოდგომა ანიშნა მეფემ.

— ნიკო მქვიათ, წარმოშობით ეგრიული გაზღავართ. — უპასუხა უცნობმა.

— ამ მხარეში რა გინდოდა? — ახლა ეს ჰკითხა მეფემ.

— ზედ-სიძედა ვარ, ცოლად ახალქალაქელი დიაცი მოხის, სიმამრის ნაფუძარზე დავემკვიდრე...

მეფე ჩაფიქრდა...

— მაჰმადიანი იქნები? — ივარაუდა უცნობმა თავი ოდნავ დაუკრა, თანხმობა უთხრა.

იყუჩეს.

— რა გსურს? — კვლავ ჰკითხა ერეკლემ.

— გზები მოჭრილი გაქვს, მეფეო... ასპინძის ვიწროებში ზიღს გადმოშვდარი დიდძალი ჯარი და ახალქალაქ-ბერთვისის მეციხოვნე იანიჩრები დგანან... ფეხდაფეხ აწყურ-ახალციხის ლაშქარი მოგდევს! ომი ორმხრივი გელის. ცუდ-

ერეკლესული

გიგლიშვილის

ზე ცუდი საქმე გვირს. არ ვიცი, რას იქ, ფაშას ხელიდან დასხლტომას როგორ-ღა მოახერხებ?

— რად მაშინებ, ეგრისელო?

— არ გაშინებ, მეფე-ეფენდი, შენი შველა მწადს...

— რასა მთავაზობ?

— აქედან ასპინძამდე ორი გზა მიდის. ერთზე შენა და შენი ბედისწერა დგება, მეორეზე — შენი იღბალი... თუ მე შეგზურობას მენდობი, ტვირთი და საზიდრები აქვე უნდა დაჰყარო... უნდა ელაზის საცალფეხო ბილიცებს გაჰყვე. დილით ამდგარი ათიოდე ევს მალედვე დალევ, მდევარს დროს მოუგებ, საღამომდე ხერთვისს გასცდები და მტრის ბანაკს თავს მთიდან წაადგები...

ნაუბარი ერეკლეს თანდათან ჰქუაში უქდებოდა.

— ცალმხრივი ომი შენთვის გასაჭირი არ იქნება. — განაგრძობდა ეგრისელი.

— თუ დამხედურთ იმ დღესვე სძლიე, ღამეც მოსვენებული დაგიდგება... დილით კი, მდევარს, გზას იოლად შეუკრავ, შენთვის განმზადილ ზაფანგს, მასვე დაუგებ.

დუმილი ჩამოვარდა.

„ნეტა ეს ბაღლი რაღას ნიშნავსო!“ გაუელვა მეფეს.

— ეს ბაღლი, მეფე-ეფენდი, ჩემი შვილია. — მიუხვდა ნაფიქრალს ეგრი-სელი. — ეგრე განესაჯე, ვინ იცის, მართო კაცს მეფე აღარ მენდოს, მზაკვრად ჩამთვალოს და თავისი თავიცა თუ ამოდენა ხალხი ოსმალოს კერძი გახადოს-მეთქი.

მეფემ ციციშვილს გადახედა.

— ძმა ან და თუ გყავსო? — დაუძევა ალექსანდრემ პაწიას.

— არაო. — უპასუხა ბაღლმა და დამორცხვებული მამის ფეხს მიეტმასნა.

მეფემ ეგრისელს თვალი თვალში გაუყარა.

— კაცი კი არა, წმინდანი ყოფილხარო. — უთხრა.

ერეკლე გათენებას აღარ დაელოდა, ჯარი წამოშალა — მთებისკენ დასძრა...

მესაზღვრეებმა ხეობის ვიწრო ყელი

გამეტებული ტვირთითა და დაცურლი საზიდრებით საიმედოდ ჩახერგეს. კუჩერი სტეკო თავის ეტლს უცემდლოდ გამოეთხოვა...

— ო, ბნელისშვილებო! — დასძახა უენასკენლად. მერე ეტლი დიშლით დაღმართში გააგორა და ერთმანეთზე ახორგილ საზიდრებს კბოდენან ზედ დაანარცხა...

24.

უთენია ჩამოშლილი ლაშქარი ეგრი-სელმა საცალფეხო ბილიცებით ატარა...

ეურდელელურის სერი ხელ-მარჯვნივ მოიტრევეს, მანგალს წყალში გავიდნენ, ტყამლანას გასცდნენ, ბადალას ხევიც დაუბრკოლებლივ გადალახეს, ეუმოდის-სა და ხიდისთავს გვერდი უქციეს, სოფელ ბლორძს ჩაუარეს, კვლავ აღმართს შეუდგნენ და ნაშუადღევს ელაზის წყაროს მიადწიეს.

შეყოვდნენ.

ცხენებს მთის წყალი ახილენეს — მცირედი ასვეს.

გზა კვლავ განაგრძეს, უნაგირა მთა გადაიარეს და სოფელ იდუმალასკენ დაეშვნენ.

შელამებისას მშვერაგებმა კეთილ-საცნობელი ამბავი მოიტანეს: — ჩახერგილ ვიწროებში მდევარი კარგა ხანს შეგვიანდა, მერე, ჩვენს ბანაკს გაცდენილმა, ხეობაში წინ-წინ იარა, მაგრამ ქართველთა კვალი რომ ვერსად მოიძია, თავ-გზა აბნეული მტკვარს ასპინძისკენ შეუყვარო.

— მოთხარ, ეგრისელო, შენს გახარებას, თუ სიმალითვე იარეს, ასპინძას როდის მოაღწევენო? — ჰკითხა ერეკლემ მეგზურს.

— ღამითაც რომ ვლონ, მეფე-ეფენდი, ქანც-გაწყვეტილი ასპინძას აღბათ, ნაშუადღევსაც ველარ მოვლენო.

— უპასუხა ეგრისელმა.

მოწინავე მხედრები ზეგანზე შედგნენ, მტრის ბანაკი შორიდანვე შენიშნეს.

ასპინძის ხიდს აქეთ, მტკვარ-გამოღმა ქალაში, უთვალავი კოცონი ენთო.

— ეს ღამე, მეფევე-ეფენდი, აქ უნდა გავათენოთ... იანიჩრები, ჩვენს გამოჩენას სხვა დროსა და სხვა მხრიდან ვარაუდობენ. ამიტომაც, თავს უთენია უნდა დავესხათო. — ურჩია ეგრისელმა მეფეს.

— რამდენი იქნებიანო? — ჰკითხა ერეკლემ.

— ოთხჯერ ათასითო. — უპასუხა მეგზურმა.

— ნეტა მეტნი იყვნენო! — ინატრა მეფემ.

მის ანთებულ თვალეში ეგრისელმა ათიათასი ეშმაკური ფიქრი ერთბაშად დაინახა.

— დილით თავდასხმას, მამავ-ბატონო, ეგებ ის გვიჯობს, მდევარსაც მოსვლა დავაცადოთ, ორსავე ლაშქარს შეერთების აჯანი მივცეთ და საქმელიც ჩვენი მერმე ვისაქმოთ. — მორიდებით ჰკადრა ლევან ბატონიშვილმა.

— ეგ ფიქრი მეცა მქონდა, მაგრამ ხიდისა მედარდების, ზედ გახდნდებიან და... — აღარ დაასრულა სათქმელი მეფემ, — ბორჩალოელს მიხმეთო! — ბრძანა.

იმ ღამეს ხუდია ბორჩალოელმა, ერისთვის შვილმა, ალაბაბამ, სვიმონ მუხრან-ბატონის ძე — ნასაღიბაშმა, კუჩერმა სტეპკომ და თომა მეღვინეთ-ხუციშვილმა არნახული ქველობა ჩაიდინეს — ტივი შეჰკრეს, მტკვრის დინებას ზემოდან დაჰყვნენ, ასპინძის ხიდზე უჩქამოდ აიპარნენ, „ისარნი ხიდისანი“ იღუმლად გადაბერხეს და ნაშუალამევს უკანვე გამობრუნდნენ.

მეფეს არ ეძინა — თათბირად იდგა.

— ვითა ჰქმენითო? — ეს ჰკითხა მოსულთ.

— ღვთითაო. — შეჰლიმა ბორჩალოელმა. — ორთავ ისარი ეგრე გავებრხევით, მეფევე-ბატონო, რომ თუ თორმეტი ან ათნი კაცი ხიდსა ზედა შესდგებიან, დირენი გატყდებიან და მდინარესა შიგან ჩაიქცევიანო.

— ალქაჩნი ყოფილხართო! — გაიხარა ერეკლემ.

— ჭარის სამ ნაწილად გაყოფას გირჩევ, მამავ-ბატონო, თუ აქაური და აწყურ-ახალციხის ლაშქარნი ერთურთს შეერწყმიან, ცხენოსანნი მეტნი იქნებიან, ვიდრე ქვეითნი. ამადაც, გასაქცევი გზა მტკვრის მარცხნივაც და მტკვრის მარჯვნივაც უნდა იმთავითვე შეუკრათ. — ბჭობდა ლევან ბატონიშვილი. — ლაშის-ხევეში, ჩვენგან ხელმარჯვნივ, სარდალი დავით და ზაალ ორბელიანი ჩააყენე, მარცხნივ — გიორგი და სარდალი ალექსანდრე, ხოლო ასპინძის კოშკთან, აგარბში, შენ თვითონ დადექ, სვეჩინიც თავის ესკადრონით შენთან დაიტოვე, ბოლოსათვის შემოინახე, რამეთუ დუშმანს, რუსთა უეცარი დანახვა თავს, რისხვას დასცემს.

— ბიჭოსი!.. დავითი კი არა, ნამდვილი სარდალი შენა ყოფილხარო! — გაეცინა ერეკლეს.

შენი თავი ღმერთმა დიდხანს გეცოცხლოს, ერეკლე ჩემო, თორემ, ყმაწვილი ეგე, არცა სამეფოდ დაიწუნებისო! — ჩაიჭირქილა დავით ქსნის ერისთავმა.

გიორგი ბატონიშვილი შეცბა, პირს მეხი ეცა — მოილუშა.

აღარც ხელმწიფეს ეამა ერისთავის ნაუბარი. თუმცა, ზაქიჭამია შემეკვიდრე გიორგის, მეფედ თვითონაც ლევანი ერჩია!

ერეკლემ ჭარი მართლაც სამ ნაწილად გაჰყო — ნარჩევისამებრ განლაგა.

— გამთენიისას, დავით სარდალი და ზაალ ორბელიანი ოსმალთა ბანაკს უკვე ლაშის-გორიდან გადასცქეროდნენ.

ალექსანდრე ციციშვილი და გიორგი ბატონიშვილი სოფელ ტამალასთან, ბორცვებში იდგნენ.

ხოლო, ერეკლე და ლევან უფლისწული ასპინძის კოშკთან, ზეგანზე დარჩენილიყვნენ. საგარეო საქმეთა კოლეგიის საგანგებო რწმუნებული თავადი ანტონ მოურავოვი და პოდპორუჩიკი სვეჩინიც თან ჰყავდათ — მდევრის გა-



მოჩენას და მტრის ორი ლაშქრის შეერთებას-ლა ელოდნენ...

ღარი საომარი იდგა!

ეგრისელის ვარაუდი გამართლდა — ნაშუადღევს აწყურ-ახალციხიდან მოვარდნილმა ლეკ-ოსმალთა ლაშქარმა ლაშის-ხევს თქრიალით ჩაუქროლა და ქართველთა სასწაულღებრივი გაუჩინარებით ხელაღქცეული ასპინძელთა ბანაკს შეერია.

კობტა-ბელადმა თავის ვახვითქული ულაცი პირდაპირ გოლა-ფაშას კარავს მიაგლო.

— რა იქნა შაითანიო! — დასძახა გოცებით.

დაბნეულმა ფაშამ ალაპს ახედა.

მაყვიარნი საყვირებს ეცნენ — განგაშისა ჩაპბერეს.

დასცა ყივინა ერეკლემაც! ლაშქარი მისი მთიდან ზეავივით ჩამოიქცა. „და იქნა ბრძოლა ფიცხელი, ვიდრე სიკვდილამდე, და იყვნენ ყოველნი მეფესთანა მყოფნი ქართველ-კახელნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი“...

ლეკ-ოსმალონიც თავგანწირვით ეკვეთნენ.

მერმე იგრიალა ლაშის-ხევს მდგარმა ლაშქარმა დავით სარდლისამან. „და კვლავაც იქნა ბრძოლა ფიცხელი, ვიდრე სიკვდილამდე, და იყვნენ ყოველნი მეფესთანა მყოფნი ქართველ-კახელნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი“...

მტერმა ტამალას ბორცვებისკენ დაიხია...

შეშინებული სიკეთე-კოლა ხის წვერზე ამძვრალიყო.

— მიდით, ბიჭებო, მიდითო! — აქეზებდა გამარჯვებულებს.

ჯერი ბატონიშვილზე მიდგა. მაგრამ ქსნის ერისთავის შხამიანი სიტყვით დაკოდილი გიორგი არას უბნობდა, ბოლოთ აღვილიყო — პირმეხიანი, დედამიწას ჩასჩერებოდა...

— აბა, მამაცო, ნუ გაიხაროს მტერმან ჩვენზედაო! — დასქეკა მამინ ციციშვილმა „და კვლავაც იქნა ბრძოლა ფიცხელი, ვიდრე სიკვდილამდე და იყ-

ვნენ ყოველნი მეფესთანა მყოფნი ქართველ-კახელნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი“...

შედრკნენ ლეკ-ოსმალნი, იკადრეს — ხიდს მიაშურეს, „ხოლო, ისარნი ხიდისანი უწინარესვე დახერხილ იყო და ჩატყდნენ იგნი და მრავალნი წყლისა სტიქიასა შინა შთაცვიდნენ და მოიშთნენ“.

ერთხელ კიდევ იმძლავრეს ქართველებმა — სამივე კუთხიდან მტერს მდინარისკენ მიაწვინენ...

საბოლოოდ წახდა მტერი — ადიდებულ მტკვარში შეცვიდა — ხმლით სიკვდილს ისევ დახრჩობა ამჯობინეს...

განკითხვის ეამი იდგა — ცხენი და კაცი წყალს, რიალით მიჰქონდა.

მზის ჩასვლის შემდეგ ცის კიდეს შერჩენილი ფარდალალა ღრუბელს სისხლისფრად შეიღებდა.

ლაშქარს ზღებულმა მოწყალე ძმებმა დახოცილთა შორის თომა მეღვინეთხუციშვილი და კუჩერი სტეპკოც მოიხილეს...

ერთად ებრძოლნათ — ერთმანეთის გვერდით მომკვდარიყვნენ.

თვალნი ორთავეს დაუხუტეს...

ორივე ერთ საეცეზე დააწვინეს...

მერე, გუმბათმოხდილ საყდრის გალავანში, სამარე გაუთხარეს, წესი აუგეს და ძმად-ნაფიცნი ერთ საფლავს მიამბარეს...

სტეპკოს მათრახიც თან ჩააყოლეს.

— მსუბუქი იყოსო! — პირველი პეშვი მიწა ერეკლემ მიაყარა.

მეორე — მოურავოვმა...

მერე სვეჩინმა...

— ძმობაც ეგეთი უნდაო. — ჩაილაპარაკა ლევან უფლისწულმა.

მოსალამოვდა.

გამარჯვებული მეფე კარვის წინ დაბრძანდა, გვერდით ხელში ჩვილ-ატატებელი ეგრისელი მოისვა, ხელმარჯვნივ ლევან უფლისწული დაიყენა, ხელმარცხნივ — გიორგი ბატონიშვილი. სარდალნიც და ჩინებულნიც გარშემო შემოიკრიბა.

— დაიწყეთ! — ბრძანა.

დაიწყეს...

ხელმწიფეს ფერხით დაშარცხებულთა ალამი დაუფინეს.

— ვისგან არიო? — იკითხა მეფემ.

— გოლა-ფაშასგან არიო. — უპასუხა დავით სარდალმა.

— თავად სად არიო? — კვლავ მეფემ იკითხა.

— აღარ არიო. — ერთხმად იგრიალა ლაშქარმა.

ხელმწიფეს ახლა მეორე ალამი დაუფინეს.

— ვისგან არიო? — ისევ იკითხა მეფემ.

— შავშეთის ბეგისგან არიო. — ისევ უპასუხა სარდალმა.

— თავად სად არიო?

— აღარ არიო. — იგრიალა ლაშქარმა.

მესამე ალამიც დაუფინეს.

— ვისგან არიო?

— თბილისის ბეგად ახლად დანიშნულ კუმუხის მთავრის შვილისაგან, ჰაჭი-გაპრაისგან არიო.

— თავად სად არიო?

— აღარ არიო. — ისევ ერთხმად იგრიალა ლაშქარმა.

მეოთხე დროშა დაუფინეს...

— რაჯაბ-ალასაგან არიო.

მეხუთე დროშა ჭისკინ-ბეგისგან იყო.

მეექვსე — უსუბ-ალასაგან.

მეშვიდე — ლევანდის ბაშ-ალასაგან.

მერვე — ჰამად-ალასაგან.

სულ ბოლოს ხუდია ბორჩალოელი გამოჩნდა. თან გაკოჭილი სიკეთე-კოლაც მოიყვანა. დამფრთხალ მესაზიდრეს უბიდან გაკრეცილი ბლდადი ამოულღო, ხელმწიფის ფეხთით ალამივით დააფინა.

— ვისგან არიო? — ღიმილით ჰკითხა ერეკლემ.

— ვირთაბაშ კოლასგან არიო. — უპასუხა ხუდიამ.

— თვითონ სადა ბრძანდებო? — ისევ ჰკითხა მეფემ.

— აქა ბრძანდებო. — უპასუხა ბორჩალოელმა და საბრალო კოლა მეფის წინ დააჩოქა.

— აქამდე სად იყო? — ახლა ეს ჰკითხა ერეკლემ.

— მოლაღურივით ხის წვერზე იჯდა, გვაქეზებდა: მიდით, ბიჭებო, მიდითო!

— კოლას მუჯღუგუნი წაპკრა ხუდიამ.

— ჩვენ გვაქეზებდა, თუ იმათაო?

— რა ვი, მეფე-ბატონო, რახან ვი-მარჯვებდით, ალბათ, ჩვენაო.

— რა გქვიანო? — ახლა კოლას მიუბრუნდა ხელმწიფე.

— სიკეთე მქვიაო. — უპასუხა შემინებულმა კოლამ.

— ხალხო, თუ სიკეთე ჰქვიან, სიკოცხლე ვაჩუქოთო! — გაეცინა ერეკლეს.

— ვაჩუქოთო. — ერთხმად იგრიალა ლაშქარმა.

ხუდიამ კოლას ხელფეხი შეუხსნა...

— გაუმარჯოს ერეკლესაო! — ისევ მზიარულად იგრიალა ლაშქარმა.

მეფე წამოდგა. თვალთ ზაალ ორბელიანი მოსძებნა...

— ეს აღმები, ზაალ, რუსთ-ხელმწიფეს შენის ხელით მიართვი, უთხარ, ტოტლებენი რომ არა, ერეკლე თვით ხევანთქრის ალამსაც მოგართმევდა-თქო.

მეორე დილით, ეგრისელი და მისი ბაღლი შინ ცხენით ბრუნდებოდნენ.

— მეფე ერეკლემ ვინ მოჰკლა, მამი? — ეტიტიწებოდა პატარა.

— მალანჩა მოჰკლა, შვილო, ლეკთა ბელადი.

— როგორ მოჰკლა, მამი?

— შუა ომში, შვილო, კობტა-ბელადმა უთხრა ჩვენს მეფეს: აბა, დონღუზო, გამეჭეციო.

— დონღუზი რა არი, მამი?

— ლორია, შვილო. ჰო და გააქენა ცხენი ერეკლემ, გამოუდგა კობტა ბელადი, მოუქნია ხმალი, მაგრამ ერეკლე ცხენს მუცელზე მოექცა. ლეკის ხმალი, სულ წაიღო უნაგირის აიარყაში. მაშინ მოაქდა მეფე ცხენს და დაჰკვილა კობტა ბელადს: აბა, შე თვითონ დონღუზო, ეხლა შენ გამეჭეციო! გამოუდგა ერეკლე. კობტა ბელადმა თამამად მოხედა მეფეს და შემოსძახა: რაო, დონღუზო, რა გინდაო?.. მერალო ლეკო,

გაიარე, გაიარეო! — მიადახა მეფემ და მოუქნია ხმალი, ხმალმა ისე გაუარა, რომ ლეკმა ვერც კი გაიგო რა... გადაჭრა კაცი... კობტამ უთხრა: გაიურო, ვერ მომარტყიო! მაგრამ ცოტა რომ შეინძრა, ტანი ძირს ჩამოვარდა, ფეხები კი უხანგებში დარჩა... აი, ეგ მინდოდაო! — დაიძახა მაშინ ერეკლემ და ჯარს მიუბრუნდა: აბა, ხმალი ამ წუნკლებსაო!.. ამ საუბარში გზამ ბორცვზე გადაიარა — მამა-შვილი თვალს მიეფარნენ...

25.

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიისა და სამხედრო საბჭოს გაერთიანებულ საგანგებო სხდომას, როგორც ყოველთვის, იმ დღესაც კანცლერი — გრაფი ნიკიტა ივანეს ძე პანინი მეთაურობდა.

სიტყვა კოლეგიის მდივანს თავად ბაქუნინს ეპყრა.

— თქვენო ბრწყინვალეებავ, — მოახსენებდა ბაქუნინი კანცლერს. — ზაალ ორბელიანთან გამოწვლილვით საუბრის მერე, რომელსაც ერეკლესგან აპინძის ომში დამარცხებულ თურქთა ბიარაღების პეტერბურგს ჩამოტანა და მისი უდიდებულესობის ფერხთით განფენა ჰქონდა დაეალებული, ქართლ-კახეთის სამეფო კარის ზრახვანი საგარეო საქმეთა კოლეგიისათვის შედარებით ნათელი გახდა. როგორც მოვლენათა მსვლელობიდან ირკვევა, ერეკლეს სურდა გენერალ ტოტლებენისადმი რწმუნებული საექსპედიციო კორპუსის პირადი მიზნებისთვის გამოყენება — ახალციხის აღება და ქართლ-კახეთის სამეფო საზღვრების გაფართოვება, რაც გარკვეულ სტრატეგიულ უმეცრეობასთან და უგუნურ რისკთან იყო დაკავშირებული და, რამაც, თავად ორბელიანის მტკიცებით, ტოტლებენის მართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მიუხედავად ამისა, ერეკლემ არ გაითვალისწინა გენერლის მოსაზრებანი, უფრო მეტიც, მან მოახერხა ზოგიერთი ქარაფშუტა ოფიცრის თავისკენ გადაბრება და მათი მეოხებით ტოტლებენის

ნის სარდლობიდან გადაყენებაც კი სცადა! საუბედუროდ განხრტილვამთავი მოწინააღმდეგის მიწა-წყალზე იჩინა, რამაც საექსპედიციო კორპუსის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება და ერეკლეს მოჩვენებითი გულისწყრომა გამოიწვია. — ბაქუნინი დადუმდა.

მისმა ნაუბარმა, კოლეგიისა თუ სამხედრო საბჭოს ზოგიერთი წევრი გულწრფელად გააოცა...

— როგორ-თუ მოჩვენებით, თავადლო?! — ყურებს არ დაუჭერა გრაფმა ზახარი ჩერნიშევმა, იმპერიის საბჭოს მესვეურმა — განა, ბრძოლის ველიდან სამარცხენო გაქცევა და მოკავშირის განსაცდელში შიტოვება აღშფოთებას არ იწვევს?!..

— არ გედავებით, გრაფ... დამერწმუნეთ, მე მხოლოდ ის მოგახსენეთ, რაც თავადმა ორბელიანმა გულწრფელად აღიარა. — მოწიწებულის ღიმილით უბასუხა საგარეო საქმეთა კოლეგიის მდივანმა.

— მაპატიეთ, გეთაყვა, მაგრამ განათქვენ, ასე არ ბრძანეთ, ორბელიანთან საუბრის მერე, იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიისთვის ქართლ-კახეთის სამეფო კარის ზრახვანი ნათელი გახდაო?

— შედარებით ნათელი-მეთქი, გრაფ! — შეუსწორა ბაქუნინმა.

ჩერნიშევი კანცლერს მიუბრუნდა.

— თუნდაც შედარებით... თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ გულწრფელად მინდა მოგახსენოთ, რომ ორბელიანის ეგრეთ წოდებულმა მტკიცებამ, პირადად ჩემთვის ბევრი რამ გაცილებით ბნელი და ბუნდოვანი გახდა... როგორ გგონიათ, ბატონებო, განა ერეკლემ ორბელიანი მხოლოდ იმისთვის გამოგზავნა, რომ ტოტლებენის გერმანული ვერაგობისთვის ჩვენს წინაშე გუნდრუკი ეკმია? არა, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგ თავადს ერეკლეს წინააღმდეგ სხვა მიზნები ალაპარაკებეს!..

— რა მიზნები, გრაფ? — ყურადღება მოიკრიბა კანცლერმა.

— მაგაზე მერე მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, თუმცა საგარეო საქმე-

თა კოლეგიისათვის აქამდე ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ ერეკლეს ტახტს, ალექსანდრე ბაქარის ძისა და სხვა ქართლელი დიდებულების სახით, არა ერთი საშიში მოცილე ჰყავს!.. გარდა ამისა, სოლომონ პირველის მსგავსად, ერეკლეც იმ მართლმადიდებელ მეფეთაგანია, ვინც რუსეთისკენ გულწრფელად იტყვის და მისი უდიდებულესობის მფარველობის ქვეშ ყოფნას მოუთმენლად ლამობს... ამიტომ მტერიც უამრავი ახვევია — ვინ ევროპისკენ მიქცევას უყიფინებს, ვინ — ირანისკენ, ვინ კიდევ — თურქეთისკენ!.. ასეთ ვითარებაში ტოტლებენის საქციელი არა მხოლოდ ქართველი მეფის, არამედ იმპერიის ღალატადაც მიმჩნეოდა!

— დაწყნარდით, გრაფ! — შეახსენა კანცლერმა.

— ნუ გეშინიათ, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ამის შესახებ, მის უდიდებულესობას წერილობითაც მოვახსენე და, ალბათ, მითითებასაც შესაფერისს მივიღებ... მაგრამ, მოდით, ისევ კავკასიის საქმეებს დავუბრუნდეთ. მე სამხედრო კაცი ვარ და ზედმიწევნით უცდომლად ვიცი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს იმპერიის სამხრეთ საზღვარზე ისეთი მოკავშირის ყოლას, როგორც ერეკლეა!.. ამიტომ, ბატონებო, თქვენის ნებართვით, კავკასიის საქმეთა განმგებელს, გენერალ პოტიომკინს ვთხოვ, დაწვრილებით გვესაუბროს იმის შესახებ, რაც აპინძის ბრძოლის მერე ტოტლებენმა ჩვენი თანხმობის გარეშე ჩაიდინა.

ყველანი სმენად იქცნენ.

— კეთილი. — თანხმობით ჩაილაპარაკა კანცლერმა.

თავადმა პაველ პოტიომკინმა საქალაღდე გაშალა.

— პირველი, — წამოიწყო მან. — აპინძასთან გამარჯვების მერე, როგორც ამას იმპერიის საგანგებო რწმუნებულო, თავადი მოურავოვი გვატყობინებს, რაკი საფაშოს მთავარი ძალა განადგურებული იყო, ერეკლეს შეეძლო ახალციხის აღება და მარჯვე პოზიციიდან მომდევნო საომარი ოპერაციე-

ბის წარმოება, რაც რუსეთისთვის ფრიად ხელსაყრელი იქნებოდა... მაგრამ ტოტლებენის ბრძოლის ველიდან გაქცევამ ეს შეუძლებელი გახადა. მეორე: ოცდაათხ აპრილს, აწყურრიდან დაბრუნებულმა ტოტლებენმა მთიორი კარბი, კაპიტანი პიკსნერი და ზორნაი ერეკლეს დასახმარებლად ახალციხისკენ მიმავალი რატიევის შესაპყრობად გაგზავნა... ჰუსართა ესკადრონით, დრაგუნთა რაზმითა და არტილერიით ანანურს მდგარმა თავადმა რატიევმა კარბის წინადადებაზე, დამორჩილებოდა მას, უარი განაცხადა. რაზედაც ტოტლებენის გზავნილებმა განგავში ასტეხეს — კაპიტანმა ზორნაიმ და ჰუსართა ნეიმანმა სროლა წამოიწყეს. რატიევმა ზორნაი დააპატიმრა, ხოლო მთიორი კარბი და პიკსნერი კვლავ ტოტლებენთან დააბრუნა. მესამე: აპრილის შუა რიცხვებში ტოტლებენმა დე გრაი ადიუტანტობიდან განათავისუფლა და მთიორის წოდებაზე წარადგინა...

— უაკრავად, თავადო! — შეაწყვეტინა გენერალ პოტიომკინს ჩერნიშევმა და კანცლერს მიუბრუნდა. — ჩემის ღრმა რწმენით, თქვენო ბრწყინვალე ბავ, დე გრაის დაწინაურება შემთხვევით არ მომხდარა. როგორც თანდათან გამოირკვა, გენერალსა და მის ადიუტანტს შორის საკმაოდ დიდი უთანხმოება ჩამოვარდნილა. სამხედრო კოლეგიაში გამოსაგზავნ მოხსენებით ბართებს დე გრაის ტოტლებენი აწერიებდა. ცნობაც იმის შესახებ, რომ ერეკლე გვატყობინებდა და თურქეთის ნაცვლად ომს ირანის წინააღმდეგ აპირებდა, დე გრაისთვის თვით ტოტლებენს უკარნახია. ადიუტანტს გენერლის რიდით წინააღმდეგობის გაწევა ვერ გაუბედავს და ამ არნახული სიყალბის შესახებ მოურავოვისთვის უცნობებია. ხოლო მოურავოვს, ეს ამბავი ერეკლემდე მიუტანია. მეფეს ტოტლებენისთვის წერილობითი პასუხი მოუთხოვია, გენერალი გაცოფებულა, ყველაფერი მხოლოდ დე გრაისთვის გადაუბრალებია. რაზედაც ოფიცრების თანდასწრებით ადიუტანტს სასტიკი პროტესტი განუც-

ხადებია და სამსახურიდან დათხოვნა მოუთხოვია. როგორც ჩანს, დე გრაიმ გენერლის სხვა ცოდვებიც, რომელთა შესახებაც თავადი პოტიომკინი შემდეგ მოგვახსენებს, რა თქმა უნდა. შესანიშნავად იყოფა. ამიტომ ტოტლებენი მის განაწყენებას მორიდებია და ვანთავისუფლებასთან ერთად მაიორის წოდებაც მიუცია...

ჩერნიშევის ნაუბარმა დამსწრეთ ღიმილი მოჰგვარა.

— აჰარბებთ, გრაფ! — მორიდებით შევისიტყვა მინისტრს კოლეგიის მდივანი.

პასუხად ჩერნიშევმა მხოლოდ ხელი-ლა ჩაიქნია.

— მეოთხე, — განაგრძო პოტიომკინმა, — უმიზეზოდ დაპატიმრებული პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი აწყურის შემდეგ ტოტლებენის ღალატში საბოლოოდ დარწმუნებულა. საპყრობილედან გაქცეულა და მისის პირველს თბილისს ჩასულა. აი, რას სწერს იგი ტოტლებენის უსაქციელობის შესახებ: „გენერალი ან შეიშალა, ან გამყიდველობას მიჰყო ხელი... იგი, აშკარად, მისი უღიდებულისობის სამეფო კარის წინააღმდეგ მოქმედებს... იმერთა მეფე სოლომონი და ერეკლე ერთმანეთს წაპყიდა: ახალციხის ფაშასთან მიმოწერა გამართა; ოფიცერთაგან საუეტეთსონი თავიდან მოიშორა — გვერდით მხოლოდ ბრძევები ან გერმანელები დაიტოვა...“

ჩოგლოკოვის ჩანაწერმა კანცლერზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა...

— ნუთუ მართალია?! — თავი გაეკვირვებით გადაიქნია მან და ბაკუნის მიაჩერდა.

— ჩოგლოკოვის ნდობა რა საყადრისია, თქვენო ბრწყინვალეზე! მისი ჭაბუღშუტობისა და ყოყლოჩინობის შესახებ, იმპერატორისგან, აქი თქვენც არა ერთხელ გსმენიათ... გარდა ამისა, ჩოგლოკოვი და მაიორი რემენიკოვი გენერალმა ადრევე დააპატიმრა, რადგან მას, რემენიკოვს, სხვა შეთქმულ ოფიცრებთან ერთად, ტოტლებენის მოკლა და მის ნაცვლად ჩოგლოკოვის გა-

სარდლება ჰქონდა განზრახული — თავი იმართლა საგარეო საქმეთა მდივანსა ლეგიის მდივანმა.

— ცდებით, თავადო! წამოენთო ხახარი ჩერნიშევი. — როცა ტოტლებენის წინააღმდეგ შეთქმულებაზე ლაპარაკობთ, ჯერ ზუსტად უნდა დაადგინოთ, არსებობდა თუ არა ასეთი რამ!.. სათანადო საბუთების შესწავლამ სამხედრო საბჭო და გენერალ-პროკურორი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ არა ჩოგლოკოვი და მისი მომხრენი, არამედ თვით ტოტლებენი იყო შეთქმული მამულისთვის თავდადებული პატიოსანი რუსი ოფიცრების წინააღმდეგ და მათ თავიდან მოცილებას, ჯერ კიდევ 1770 წლის თებერვლიდან ცდილობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გენერალმა, აწყურთან არნახული უმსგავსობა ჩაიდინა, ახალციხის ფაშასთან მიმოწერა გააბა და მოკავშირე ბრძოლის ველზე ღალატით შიატოვა, ოფიცრები დაეჭვდნენ და მის წინააღმდეგ, დიახაც, აშკარად გამოვიდნენ...

— საბუთი! — შეაწყვეტინა ბაკუნინმა.

— მეხუთე, — კვლავ განაგრძო პოტიომკინმა, — როგორც წელან მინისტრმა მოგახსენათ, ტოტლებენმა ოფიცრების დაპატიმრება და მათი თავიდან მოცილება ჯერ კიდევ 1770 წლის თებერვლიდან დაიწყო. მისი პირველი მსხვერპლი რუსეთის არტილერიის ნოვატორი პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი გახლდათ, რომელიც საქართველოში თვით გენერალ-პროკურორ ვიახრესკისა და სამხედრო საბჭოს წინადადებით იქნა გაგზავნილი... ტოტლებენმა ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ ყალბი ცნობები შეთხზა, ყოველგვარი ნებართვის გარეშე დააპატიმრა, გაძარცვა და 1770 წლის თებერვლის დამდეგს ბაღრაგით რუსეთს გამოგზავნა.

— ალბათ გენერალ-პროკურორი დავუთანხმება, — კვლავ ჩაურთო ჩერნიშევმა, — რომ ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ საჩივრის აღძვრის საფუძველი არ არსებობდა, ამიტომ იგი გაანთავისუფლეს კიდევ. მაგრამ ჩვენსა საგარეო საქმეთა მდივანსა ლეგიის მდივანსა...

ლალოდ, ნაძარცვის დაბრუნებას დღემდე ვერ ეღირსა!..

გენერალ-პროკურორმა, თავადმა ალექსანდრე ალექსის ძე ვიაზემსკიმ, თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დახარა...

— დიახ, — განაგრძო პოტიომკინმა, — როგორც ხედავთ ეგრეთ წოდებულ „შეთქმულებაში“ მონაწილეობას ტოტლებენი ჩოლოყაშვილსაც სწამებდა, მაგრამ ბრალდება იმდენად უსაფუძვლო იყო, რომ მისი დაკითხვაც საჭიროდ არავინ მიიჩნია... შეექცე: როგორც უკვე ითქვა, სამხედრო კოლეგიის მიერ საგანგებოდ დანიშნული მაიორი რემმენიკოვი, ჩოგლოკოვის მსგავსად, ტოტლებენმა სამ აპრილს დააპატიმრა, იგი შეთქმულების მონაწილედ მონათლა — თითქოს—და მაიორ რემმენიკოსს სამ აპრილს სხვა ოფიცრებთან ერთად ტოტლებენის მოკლა და საექსპედიციო კორპუსის ჩოგლოკოვისთვის ჩაბარება სურდა...

— რა თქმა უნდა, დაუჭერებელია!.. ნუთუ გასულელდა რემმენიკოვი და მკვლელობის მონაწილე მხოლოდ იმიტომ გახდა, რომ კორპუსის უფროსობა ჩოგლოკოვისთვის ჩაებარებინა? — ველარ დაფარა აღშფოთება გრაფმა გრიგორი ორლოვმა.

კანცლერმა ზარი დააწკრიალა — სიჩუმე მოითხოვა.

— განაგრძეთო! — მიმართა პოტიომკინს.

პოტიომკინმა კვლავ საქალაღეს ჩახედა...

— მეშვიდე: ტოტლებენის აწყურთან ლალატის შემდეგ რუსეთისათვის თავდადებული ოფიცრებისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. ამიტომ რემმენიკოვიც, ჩოგლოკოვის მსგავსად, საპრობილედან გაიქცა და ერეკლეს მხარდასაპერად მისის პირველს თბილისს ჩავიდა. მერვე: 1770 წლის ორი მაისის მანიფესტით საკუთარი ინტრიგის ქსელში გახვეულმა ტოტლებენმა, რათა რუსეთის სამეფო კარის წინაშე მართალი დარჩენილიყო, თავადი რატიევი, ჩოგლოკოვი და დე გრაი გამცემლებად გამოაცხადა, საექსპედიციო კორპუსში

მათი ცოცხლად მოყვანისათვის სახელმწიფო ზახინიდან ათასი თურმანის დააწესა, ხოლო დახოცლათვის ათასი მანეთი...

დარბაზში მყოფნი შეიშმუნენ...

— მეცხრე: განაგრძობდა პოტიომკინი, — ამის შემდეგ, დაბნეული და გაბოროტებული ტოტლებენი ერეკლეს მოწინააღმდეგე ქართლის თავადებს შეუერთდა, მათი შთაგონებით ციხეებში ჩადგა, — ძალას მიმართა, — მოსახლეობის რუსეთის ერთგულებაზე დაფიცება მათარაბით სცადა!..

— მართლაც რომ დაუჭერებელია! — აღმოხდა კანცლერს.

— არა მხოლოდ დაუჭერებელი, არამედ მეტისმეტად სამწუხაროც, თქვენო ბრწყინვალეზავ, თუ ტოტლებენი ერეკლეს წინაშე დაუსჯელი დარჩა, რუსეთის სამეფო კარს კავკასიაში სახელი გაუტყდება, მფარველის ნაცვლად დამპყრობელის როლში გამოვა და საუკუნეების მანძილზე მოპოვებული ქართველთა ნდობა ჩვენდამი სიძულვილით შეიცვლება! — დაუფარავად განაცხადა გრიგორი ორლოვმა.

— აი, ტოტლებენის თორმეტი მაისის ჩანაწერიც, — კვლავ საქალაღეს მიუბრუნდა პოტიომკინი. — „განზრახული მაქვს ტომსკის პოლკთან შეერთებისთანავე თბილისზე დავიძრა, ერეკლე დავატყვევო, ანდრია პირველწოდებულის ორდენი ჩამოვართვა და ბადრაგით პეტერბურგს გავგზავნო“...

— მართლა შეშლილი ყოფილა! — ჩაილაპარაკა ვიაზემსკიმ.

პოტიომკინმა განაგრძო:

— როგორც კაპიტან ლვოვის თხუთმეტი მაისის წერილიდან ირკვევა, გენერალი ქართლ-კახეთის დაპყრობას, ერეკლეს ტახტიდან ჩამოგდებას და მის რუსეთში გაგზავნას ნამდვილად აპირებდა...

— და განა, ყოველივე ამას სამი ათასი ჯარისკაცით შესძლებდა? — გულუბრყვილოდ იკითხა მოხუცმა გოლიცინმა, რომელიც აქამდე მძინარეს ჰკავდა...

— რა თქმა უნდა, ვერა! თქვენო კეთილშობილება, მითუმეტეს, რომ სამი

ათასი ჯარისკაცი მას ჯერ არც ჰყავდა, ავი ტომსკის პოლკთან შეერთებასაც ამიტომ ისწრაფოდა, — უბასუხა გოლიცინს პოტიომკინმა.

— კორპუსის საბჭოს საამისო თანხმობა თუ ჰქონდა? — იკითხა კანცლერმა.

— ჰქონდა, თქვენო ბრწყინვალეებო, იმ საბჭოს შემადგენლობაც: კარპი, პიქსნერი, ტოტინი, ბარონი შტინი, ვინკლერი, კელერი...

— დაუკვირდით, თქვენო ბრწყინვალეებო, ზემოთ ჩამოთვლილ ოფიცერთაგან წარმომოხბით რუსი მხოლოდ კარპია! — გაამახვილა კანცლერის ყურადღება სამხედრო მინისტრმა.

— სამაგიეროდ, — დაუმატა პოტიომკინმა, — ტოტლებენმა, სხვადასხვა საბაბით, კორპუსიდან განდევნა: გენერალ-პროკურორისა და სამხედრო კოლეგიის რჩეული პოდპოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი — როგორც საექვო; სამხედრო კოლეგიის რჩეული, მაიორი რემმენიკოვი — როგორც შეთქმული; კაპიტანი ზამარაევი — როგორც მხდალი; პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი — როგორც იმპერიის მოღალატე და ერეკლეს თანამოსაქმე... ვარდა ამისა, ტოტლებენმა წინადადება მისცა რუსეთის სამეფო კარის წარმომადგენელს თავად მოურავოვს დაეტოვებინა საქართველო და რატიევის დაპატიმრებაც ბრძანა!..

— ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალეებო, რას იზამდით ერეკლეს ადგილზე? — მოულოდნელად ჰკითხა გრაფმა ორლოვმა კანცლერს.

პანინმა მხრები აიჩეხა...

— ეშმაკმა უწყისო! — ჩაილაპარაკა. ზახარი ჩერნიშევმა პოტიომკინს საქალაღდე სთხოვა, ჩამოართვა.

— მაშ, ასე, — განაგრძო მანვე, — ორ მაისს ერეკლემ დე გრაისგან შეიტყო, რომ ტოტლებენი სამხედრო საბჭოს მიერ მიცემულ ინსტრუქციებს უხეშად არღვევდა, რუსეთის თვალში ერეკლეს სახელს უტეხდა და ქართლ-კახეთის იარაღით დაპყრობას აპირებდა. როგორც სჩანს, დე გრაისგან მეფემ ისიც შეიტყო, რომ ტოტლებენს მოწინააღ-

დეგესთან მიწერ-მოწერა ჰქონდა გამართული და ნაამან-ფაშას ჯამეტში მელიც თვეზე მეტ ხანს თავისთვის ჰყავდა, ახალიცხეს საიღუმლო წერილით გაგზავნა... რვა მაისს, როგორც დე გრაის ბარათებიდან სჩანს, თავადი რატიევი, ბოგდანოვი და მოურავოვი თბილისიდან ტოტლებენის შესაპყრობად უნდა დაძრულიყვნენ, მაგრამ შეჩერდნენ, რადგან მოურავოვის რჩევით სისხლის ღვრას მოერიდნენ, რისთვისაც თავად მოურავოვს ერეკლე წერილობით მადლობას უხდის: „შევიტყვე დაჟინებით გირჩევია ტოტლებენის არესტის უქმნელობა... ამ საქმისთვის დიდად მადლიერი ვარ!“

ჩერნიშევმა საქალაღდე დახურა...

— როგორ გგონიათ, ბატონებო, ვინ არის დამნაშავე, ჩვენ თუ ერეკლე? — იკითხა მან.

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიისა და სამხედრო საბჭოს გაერთიანებული საგანგებო სხდომა საგონებელს მიეცა.

დარბაზში, მისი უდიდებულესობის კურიერი, ფლიგელ-ადიუტანტი თავადი ობოლენსკი შემოვიდა, კანცლერს დაბეჭდილი პაკეტი გადასცა.

პანინმა პაკეტს ლუქი ახსნა, წერილი თვალთ ჩაიკითხა და სამხედრო მინისტრს გაუწოდა...

მინისტრმა ჩამოართვა, დახედა...

„იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის კანცლერს, მის ბრწყინვალეებას გრაფ ნიკიტა ივანეს ძე პანინს. იმპერიის სამხედრო მინისტრს, მის ბრწყინვალეებას გრაფ ზახარი გრიგორის ძე ჩერნიშევს. მსურს, დაუყოვნებლივ შეადგინოთ ბრძანება გენერალ-მაიორ გრაფ გოთლიბ კურტ ჰაინრიხ ტოტლებენის საქართველოში მოქმედ საექსპედიციო კორპუსის მეთაურობიდან გადაყენებისა და მის ნაცვლად სხვა მეთაურის დანიშვნის შესახებ. ამასთან საჭიროდ მიმანია გირჩიოთ, რომ ტოტლებენის წინააღმდეგ შეთქმული ოფიცრები საქართველოდან საქართოდ გამოიხოვოთ და მათი საქმის გამოძიება

ყაზანის გუბერნატორ ბატონ ბრანტს დაავალთ“.

თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა
იმპერატრიცა ეკატერინე II.
ცარსკოე სელო. 21 აგვისტო
1771 წელი.

— რატომ მიინცდამინც ბრანტს? —
ჩაილაპარაკა მინისტრმა.

26.

ჭრისტეშობისთვის ცივი, სუსხიანი
სალამო იყო, როცა ხუთიოდე კაზაკით
ხლებული, პოდპორუჩიკ სვეჩინის ეტ-
ლი თელავში შემოვიდა. ნალ-მოცვეთი-
ლმა ცხენებმა, ნადიკრისკენ მიმავალი
მოყინული აღმართი, დიდის გაჭირვე-
ბით აიარეს და ერეკლეს სასახლესთან
შედგნენ.

ლევან უფლისწული, კარგახნის უნა-
ხავ ძმობილს, სიხარულით გამოეგება
— მოეხვია, გულში ჩაიკრა...

— საშობაოდ გელოდი, რად შეგვიან-
ნდი, რა ხანს იარეო? — სიწრფელით
პკითხა.

— პეტერბურგიდან მოსკოვამდე ცხრა
დღეს მოვუნდი, სამი დღე მოსკოვს და-
ვჰყავ, ორი თვის მერე ყიზლარს გამოვ-
ცდი, ნახევარი თვე ყიზლარიდან ნუხამ-
დე მოსვლას მოვანდომე, იქიდან თელა-
ვამდე სამ დღეს ვიარეო. — უპასუხა
სვეჩინმა. — კიდევ კარგი, ტოტლებენს
დავაიწყდი და სხვებთან ერთად მეც
არ დამამინაო. — დაუმბატა ღიმილით.

სვეჩინის პატივსაცემად გამართულ
ვახშამს, ლევან უფლისწულის გარდა,
დარეჯან დედოფალი, ერეკლე, ანტონ
კათალიკოსი, გიორგი ბატონიშვილის
მეუღლე — პაპუნა ანდრონიკაშვილის
ასული ქეთევანი, გარსევან ჭავჭავაძე,
მისი დისწული — მაიკო ვაჩნაძე და
არქიდიაკვანი გაიოზიკ ესწრებოდნენ.

— პატივრები, თქვენო უდიდებულე-
სობავ, პეტერბურგს უნდა მიეყვანათ,
მაგრამ თავად ორბელიანის ჩამოსვლის
მერე, იმპერატრიცამ, რატომღაც გადა-
იფიქრა და ჩერნიშევს მათი ყაზანში
შეჩერება გაუთვალისწინა. — განაგრ-

ძობდა ადრე დაწყებულ საუბარს სვე-
ჩინი. — ჩოგლოკოვის დიკინებულნი
მოთხოვნა, ბრალდებულთა სამხედრო
კოლეგიაში წარდგენის შესახებ, მინის-
ტრმა არ შეიწყინა. პატივყარილი
ოფიცრები, ვიშნევილოჩევიდან უკანვე
დაბრუნა და ყაზანის გუბერნატორს,
მათი დაუყოვნებელი გასამართლება
უბრძანა. ოცდამდე აპრილს, სამხედრო
კოლეგიის უმაღლესმა სასამართლომ,
მოისმინა გუბერნატორ ბრანტის მიერ
გამოტანილი განაჩენი... ცესარევიჩთან
გატოლებსათვის საბრალო ჩოგლოკო-
ვი ათი წლით ურალს იქეთ გადაასახ-
ლეს. ტოტლებენისგან თვითნებურად
განდგომისათვის პოდპოლკოვნიკ რატი-
ევს ყველა ღირსება აპყარეს და დამსა-
ხურებამდე მეორე არმიის რიგითად
განაწესეს. ზოლო, დანარჩენი ბრალდ-
ებულნი, ყაზანის სასამართლომ დამნა-
შავედ არ სცნო. მაგრამ სამხედრო კო-
ლეგიამ, კაპიტან პესკერის ჩვენება:
„ბოგდანოვმა გენერალსა და მის ერთ-
გულ თანამდგომებს სამშობლოს მოღა-
ლატენი უწოდო“, საკმარისად ჩათვა-
ლა და საცოდავი ბოგდანოვიც, რატი-
ევის მსგავსად, რიგითად განაწესა. დე
გრად, ტოტლებენის საიდუმლოებათა
გაცემისათვის, უნტერ-ოფიცრამდე ჩა-
მოაქვეითა. დანარჩენებსაც იგივე ბე-
დი ეწია... ერთი სიტყვით, ჩემი ძვირ-
ფასი მეგობრის, ვასილი პეტრეს ძე რე-
მენიკოვის გარდა, რომელსაც მისი
ბრწყინვალეობა, იმპერატრიცის ფავო-
რიტის მშა, პავლე პოტიომკინი მფარვე-
ლობდა, სამხედრო კოლეგიამ ყველა
უსამართლოდ დასაჯა...

პოდპორუჩიკი დადუმდა.

— შეკედი, ზაილი არ უნდა გამეგ-
ზავნა. — აღიარა თავისთვის მეფემ. —
ან კი, დალოცვილი, გონს აჭამდე რად
ვერ მოეგო?!.. რად მეჭიშვებია?!..
ღვთით აწყობილ საქმეს, ეშმაკს რად
აძლევს? აგერ, მესამე საუუუუუე მალე
იქნება, რაც მე და წინაპარნი ჩემნი
რუს-ქართველთა ერთობას ვცდილობთ,
მაგრამ ხან სპარსთან, ხან ოსმალთან და
ხან ლეკთან ომში კაცი დაილია. ლა-
მის ქვეყანა უხალხოდ დარჩა... მაშ, რა-

სა პტიქრობს?... თუ ტახტი უნდა, რა თავში იხლის?... აბა, მწყემსობა ცხერის გარეშე, სად, ვისგან თქმულა?... — ხმა-მალლა ფიქრობდა მეფე.

სიჩუმე იდგა.

დარეჯან-დედოფალმა სვეჩინს საწყებელი შესთავაზა.

— ცხარეა, საშობაოდ ოდიშიდან მომართვესო...

ამასობაში, გარსევან ჭავჭავაძემ ორთვილქვეშ დანატოვარი, შემპყნარი მტრელები, გობიდან მაგიდაზე გადმოაღება.

— ერთი, ეს გობი ამივსეთო! — უბრძანა მსახურთ.

აუვსეს...

— მაგას რა დაღვესო? — გაიკვირვა ლევან უფლისწულმა.

— ჯერ მე დავლევ, მერე რაც დარჩეს, შენა და შენმა პოდპორუჩიკმა გაიყავით და, თუ გინდათ, ჩემი დისწული მაიკოც მიიშველიეთო. — გაიცინა გარსევანმა.

ვაჩნაძის ასულს ლოყები შეეფაცლა.

ყველანი გამზიარულდნენ...

— შენ რა კრიჟა შეგვეკრია, ხსნილია, სჭამე რამეო! — გადაულაპარაკა კათალიკოსმა გაიოზს.

— რაღა სწუხდებით, უნეტარესო, ნელ-ნელა გეაბლებითო. — რიღით მიუღო არქიდიაკონმა.

სვეჩინმა საწებელს თავი მიანება.

— ყიზლარში რემენიკოვის ბარათი დამაწიეს: ჩემს ნაცვლად, მის უდიდებულესობას, ერეკლე მეფეს მოახსენე, რომ, თუ რუსეთის დასტური უნდა, ნულარ აყოვნებს, პეტერბურგს ელჩობა გამოგზავნოს, თორემ, საცაა, თურქეთი ზავსა გვთხოვს და ვინ იცის რა პირობაზე შევჩერდებითო. — თქვა სვეჩინმა.

— აჰი, კათალიკოსს და ლევან უფლისწულს ვგზავნი კიდევცა. — მიუგო მეფემ.

ეს ამბავი კათალიკოსისთვის ახალი არ ყოფილა.

არც ლევან ბატონიშვილს გაჰკვირვებია...

გარსევანი წამოდგა, ღვინით სავსე გობი ორივე ხელით დაჰჭირა.

— ლევანისა და ე, ამ ჭაბუკი პოდპორუჩიკის შემხედვარე, რუს-ქართულთა შობისთენია ესეამო, — განაცხადა რიხიანად. — ნახევარი ქვეყანა ღვთისაა, ნახევარიც — ეშმაკისა... თუ განუყრელად შობა და ერთ-სახლობა გესურს, მოდიო, მხოლოდ ღვთიური შევეერთოდ, ეშმაკული — კარ გართ დაევაღლოთო. — სთქვა და „საქმესაც“ შეუდგა.

სვეჩინი გაცივებული უცქერდა, როგორ დასცალა გარსევან ჭავჭავაძემ ვეება გობი...

27.

ქერიმ-ხან ზანდი სასახლის ბაღს სარკმლიდან გადასცქეროდა. ახალ მობრძანებულს ჰგავდა, ტანთ საგზაო სამოსელი ემოსა, ხელთ ვერცხლისტარიანი ჰაიკა-მათრაბი ეყურა — უნაგირიდან შემორჩენოდა...

თავრიზში ადრიანი გაზაფხული იდგა.

ვარდის ბუჩქს კვირტი გამოელო, აკოკრილიყო.

— პარასკევს, ანუ აპიროზის დღეს, მიწა იძრა, დიდო მბრძანებელო. ერთ დევრიშს ეთქვა: არნახული ღალატი მოხდება, ქართლ-კახეთი ირანს განუდგება და მის მაგივრად რუსეთს ეყობაო. — ეუბრებოდა ქერიმს ფარეშთ-განმგებელი ერვანდ-დევუპი. — მართლაც, მბრძანებელო, იმავ საღამოს ახმატიდან ორბელიანის კაცი მივიდა, ერეკლემ რუსის ხელმწიფე-დედაიაცს ყმობა შესთავაზაო...

— ეგ ზო წელან სთქვი! — შეაწყვეტინა ქერიმმა.

— ჰო, ეგ უკვე ვთქვი, მბრძანებელო, მაგრამ ის აღარ მოთქვამს, რომ ვიდრე შენა უძლეველობასთან ჰამადანს შიკრიკს ვაფრენდი, ამბის მომტანი ხაროში ჩავაგდებინე, ერეკლეს ცილსა სწამებ, აბა, ეგ როგორ მოხდებოდა-მეთქი?! — გავიკვირე...

— რად გაიკვირე? — ჰკითხა ქერიმმა.

— ერთი იმად, რომ ერეკლეს ლა-

ლატა სიმაღლე მივეც, მეორეც იმად, რომ, თუ ალაპი გაწყრა და ორბელიანის მოგდებული ამბავი მართალი გამოდგა, ქვეყანა იმას იტყვის, ვერაგობა ესე მბრძანებელმა ვერა და ვეღარ დაიჭერაო...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჰამადანიდან თავრიზისკენ მომავალს გზად მორბედნი შემომეყარნენ, ერეკლე-ხანის უსტარი მომცეს... — ფიქრიანად ჩაილაპარაკა ქერიშმა. მერე უბიდან ბეჭედახსნილი გრაგნილი ამოიღო, ერვანდ-ევნუსს გაუწოდა, — ხმით ჩაიკითხო! — უბრძანა...

ევნუსმა არზა გაშალა...

— შევიტყვე, ჩემზედ წყრომითა ბრძანებულხარ, ლაშქარი შეგიყრია, ქართლის აკლებას და ჩემს ნაცვლად ტახტზე ალექსანდრე ბაქარის ძის დასმას აპირებ. ნება შენია! მაგრამ იცოდე, რომ დღეს-დღეობით ისევ შენივე მონაყმა ვარ და არცა განდგომას შენგან ვისწრაფვი, თუცა-ლა ძალი ეგებ შენოდენიცა მაქვს და თუ საქმესა ამას ზენაარსისგან შენთვის ბოძებული ქეშმარიტებით არ განსჯი, ანუ სიყალბისა დამჯერე შეიქნები და ჩემზედ ლაშქრობას იქმ, სისხლი უზღვაო დაიღვრების, ამა ამბითა ოსმალო დიდად გაიხარებს — ორთავეს პირსა გვკიდებს! ხოლო, შეგონებით გეტყვი, საფუძველი შენი ჩემზედ მრისხანებისა ფუტ არს, რამეთუ ელჩნი ჩემნი რუსეთს არა ორგულობითა შენითა წარვევლინე, არამედ, ვინძლო, რუსთ-ხელმწიფემ ოსმალეთთან ზავი ინებოს, პირობა ჩემიც უზურში ჰქონდეს და ყირიმსა შინა მყოფი ტყვე-ქართველნი მე დამიბრუნოს. უსტარსა ამას მდივანბეგი ჩემი ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი და ყორიასაულთბაში ზაზა თარხნიშვილი მოგართმევენ, გვერდი, წყალობა ჰყო მათსა ზედა და პასუხიც შენი მათგან მაუწყო. შენის გონიერებისთვის მლოცველი ერეკლე. — ნაბრძანებისამებრ ხმით ჩაიკითხა ერვანდ-ევნუსმა და კვლავ სიფრთხილით დაგრაგნილი უსტარი ბატონს დაუბრუნა.

— ეხლა ესა ჰქმენ, — ცივად გამოსცრა უსტარს-ხან ზანდმა, — სიცრუის

მომბანს თავი მოჰკვეთე და მორბედთა ხელით ერეკლეს გაუგზავნე!

— განა მაგ არზისა მართლა დაიჭერე, მბრძანებელო?! — გაოცებისაგან ხმა ყინულოვით ჩაემსხვრა ევნუსს.

— არა. მე მხოლოდ ამბის მომბანისა დაიჭიერე. მაგრამ ეამია, როცა უეცარი სიმართლის დევნას ისევ მიჩვეული სიცრუის დაყოლა სჯობს.

იუუჩეს.

დარბაზში მსახური შემოვიდა.

— თქვენის სურვილით, ქართველი ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ვაჟი გეახლათო. — განაცხადა მან.

ქერიშ-ხან ზანდი კარისკენ შეტრიალდა.

დარბაზში ერეკლეს ტახტის მეტოქე, ბატონიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე შემოვიდა. ჩერქეზული შავი ჩოხა ეცვა, ფართე მკერდს ვერცხლით შეფერილი ძვლის თეთრი მასრები უმშვენიებდა.

— მორთული, მართლაც, სამეფოდა ხარო! — შეპლიმა ქერიშმა.

— ზაალ ორბელიანის ვარაუდი დადასტურდა, დიდო მბრძანებელო, ასტრახანიდან ამილახერის ძემ უტყუარი ცნობა მომანუწინა, ლევან ბატონიშვილი და კათალიკოსი გზად პრედეკავაზში შეჩერდნენო...

— ვიცი. — ზურგი შეაქცია ქერიშმა მოსულს და მცირე ხნის დუმილის მერე, ისევ გამომცდელად მიაჩერდა. — ყური დამიგდე, ისკანდერ-ხან. თუ ქართლის ტახტი უცილოდა გურს, დროა დუშმანნი ერეკლესი შენს ერთგულებზედ ხელახლა დააფიცო! დაღესტანს წადი, ჩილდირს წადი, ყაბარღოს წადი, ოლონდ გახსოვდეს, ჩემს ნიშანზე უნდამხად იყო!

— ამ საქმის გადადება არ ივარგებს, მბრძანებელო, თუ რუსმა ერეკლეს ხელი სღო მერმე გვიანლა იქნების... — რილით შეესიტყვა ბაქარის ძე.

— ნუ თრთი, ხელს არა სდებს, რუსთ-ხელმწიფეს ჭერ თავისი გასაჭირი აქვს, ოსმალოს ებრძვის. ასეთ ყოფაში ირანისაც მოერიდება. თან ზაალ ორბელიანმაც სიტყვა მოაგდო, ბაკუნინს უთქვამს, ეკატერინე ერეკლეს უწყრებაო.

28.

ასტრახანში ზამთარი იწურებოდა.

ვოლგა-მდინარე ყინულის ვეება კუნძულებს კასპიისკენ მიაცურებდა. დამთბარიყო.

ნაშუადღევს, იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს მიერ დაბა პრედკავკაზში შეყოვნებული ქართველთა ელჩიონი ასტრახანის ლეთისმშობლის მიძინების ხუთ-გუმბათოვან ეკლესიისკენ მიიჩქაროდა. წინ, ანტონ კათალიკოსი და უფლისწული ლევანი მიდიოდნენ, მერე — არქიდიაკვანი გაიოზი, უფლისწულის სულის მოძღვარი იოსები და სულ ბოლოს, ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც თავის რაზმითურთ პეტერბურგს მიმავალი მაღალი ელჩობის ასტრახანამდე გაცილება ჰქონდა დავალებული.

ჭედით თხემამდე შეიარაღებული ხუდია თვალებს აქეთ-იქეთ აცეცებდა, გამვლელ-გამომვლელთ მოხვერევით უბღვერდა, ეგრე უნამუსოდ რადა გვზერავენო! — ბრაზობდა.

ეკლესიის გაღავანში შევიდნენ...

ბორჩალოელი იქვე, რომელიღაც საფლავთან, ქვაზე ჩამოჯდა... დანარჩენებმა ეკლესიას მიაშურეს, შესვლისას პირვეარი გადაისახეს და ტაძრის კარიბჭეს გადაცდენილნი წამით შეყოვნდნენ — ვახტანგ მეექვსის საფლავთან შავ მანტიამოსხმული მახინჯი მამაკაცი შენიშნეს. იგი უცხვირო იყო, კოჭლობის გამო ძვლისტარიან ჯოხს დაყრდნობოდა, თეიმურაზის სამარისკენ ზურგით განგებ დამდგარიყო და სანთლებიც მხოლოდ ვახტანგისთვის დაენთო. კაუთალიკოსის დანახვაზე ზიზლით ჩაიცინა, მახინჯი სახე მანტიით დაბფარა, შემობრუნდა, მოსულთ გვერდი უქცია და იქაურობას კოჭლობით განერიდა.

— ვინ იყო? — ჰკითხა ლევან უფლისწულმა ანტონს.

— სატანა იყო, შეილო ჩემო. — პირვეარი გადაისახა კათალიკოსმა.

— მაინც? — ეკლავ ჰკითხა ლევანმა.

— დიმიტრი ამილახერის შვილი, ალექსანდრე...

უფლისწულმა აღარ დაახანა — სატა-

ნად წოდებულ ამილახერის შვილს ეკლავაკვალ მიჰყვა, მაგრამ ეკლესიის ეზოში ველარსად დაიგულა და აღელვებული ხუდიას ეცა...

— საით წავიდა? — ჰკითხა.

— ვინა? — გაუევირდა ხუდიას.

— ეხლა რო ტაძრიდან ხეიბარი გამოვიდა, საით წავიდა? — გაუმეორა ბატონიშვილმა.

— არც საით, ეგე, კედელს მიყრდნობილი კარებთან დგა! — მიუთითა ხუდიამ.

ლევანი შეცბა, — ნეტა, ხელით არ ენიშნებინათ! — გაიფიქრა, მერე კედელთან მიმდგარს დამნაშავესავით გვერდით ჩაუარა და საქციელწამხდარი ტაძარში შევიდა. შედგა, ჩაფიქრდა — რალაცის გადაწყვეტა სცადა...

„სატანამ“ ხუდიას ხელი დაუქნია, თავისთან იხმო.

— საყდარში რად არ შესულხარ? — ჰკითხა.

— მოუნათლავი ვარ. — დაიბნა ხუდიამ.

წამით ორთავენი ჩაფიქრდნენ, ერთმანეთი თვალთ გაზომეს. — წამყე, სადგომი ჩემი ნახე!.. თუ ბატონიშვილმა ეკლავ მომიკითხოს, უთხარ. აქა და ამ ალაგას დგასო. მიბრძანებს — ვეახლები, ისურვებს — ჩემი სტუმარი იქნება. — უთხრა უცნობმა ბორჩალოელს და გალავნისკენ წავიდა.

ხუდიაც მონუსხულივით უკან დაედევნა.

შელამებისას ხუდია ბორჩალოელმა ლევან უფლისწული და არქიდიაკვანი გაიოზი აგურით ნაგებ ერთსართულიან მცირე შენობას მიაყენა.

— აქა დგარო. — თქვა და ჩვეულებით სამებრ, იქვე, ყორეზე ჩამოჯდა.

ძალის ღრენაზე სახლიდან მსახურმა გამოიხედა. ჰიშკარს მომდგარი არქიდიაკვანი და ჰაბუკი უფლისწული რომ შენიშნა წამიერად გაუჩინარდა, მერე კარი გაალო, პარშალთან მიბმულ ქოფაკს საბმელი დაუშოკლა, სტუმრები წინკარში შეიპატიეა, ქურქები ჩამოართვა და გახდილთ, კარისკენ წარუძღვა.

უბრალოდ მორთულ პატარა ოთახს რამდენიმე სანთელი ანათებდა. სუფრა გაშლილი იყო.

მაგიდის გვერდით, სარკმელთან, ორნი იდგნენ — პირახვეული ალექსანდრე ამილახვრის ძე და არუშან დიასამიძის ასული, მშვენიერი აიღე...

გაიოზს ქალი ეცნო, ანჩისხატის საყდარი გაახსენდა, ელდა ეცა, გული საშინლად აუჩქროლდა.

ამილახვრის ძემ უფლისწულს მუხლი მოუყარა.

— თავს ბედნიერად ვრაცხ, რომ მიკადრე და ჩემს უღირს სამყოფელში მობრძანდი! — მიმართა ლევანი.

მასპინძლის ნაუბარში ბატონიშვილმა დაჩაგრული კაცის ამპარტავნობა და გულდილობა იგრძნო.

— მამისა ჩემისაგან განაწყენებულს ხმობა ველარ შემოგებდე, ვიფიქრე, გულს მოუგებ, თავად ვეახლები-თქო. — ღიმილით მიუგო ერეკლეს ძემ.

დასხდნენ.

აიღემ მოსულთ თავი მდაბლად დაუკრა. ოთახიდან გავიდა — მამაკაცთა არის განერიდა...

— საპყრობილედან როდის გაიქეცი?

— ჭიქურ შეეკითხა უფლისწული დიმიტრი ამილახვრის ძეს.

— შეკვირობის ეამს, მარჯვე დრო მოიხიბლეთ და მაშინ გავიქეცი. — დაუფარავად უპასუხა უფლისწულს მასპინძელმა, მერე არქიდაიკონი გაიოზი სევდიანი მზერით შეათვალიერა და გეგონებოდათ ნიშნისმოგებითო, ხმადაბლა განაგრძო. — საპყრობილედან გაქეუელმა, ტფილისიდან პირდაპირ ჩემს გაპარტახებულ მამულს მივაშურე, უმცროსი იმაც თან გავიყოლე, იმერეთიდან ყაბარდოს გადაველ, მერე ღეთის შემწეობით ასტრახანსაც მშვიდობით მოვაღწე და იმედი მაქვს მოსკოვამდეც უვნებლად ჩავალ. — სთქვა და დასძინა: — მაგრამ უკეთესი იქნებოდა არ დაგბადებულეყავ ისეთ სამეფოში, საცა ფორტუნამ იმთავითვე უბედურად ყოფნა განმისაზღვრა. — მწარედ ჩაიღიმა...

— მოსკოვს რას აპირებ? — კვლავ ჰკითხა უფლისწულმა.

— გეორგიანული ანუ ჩვენებური ისტორია მინდა დაეწერო, საცა ერეკლეს ნილას ავხდი და მთელს ცისქვეშეთს მის ნამდვილ სახეს დავანახებ...

— მეფეს რას უკვებ? — მოიღრუბლა ლევანი.

— ძალადობას, ერთმპყრობელობას, ქვეყნის მჯიღ-ქვეშ დარჩობას...

— უმეფობის მოწადინე ყოფილხარ. — ჩაფიქრდა უფლისწული.

— უმეფობის რათა, მე ისეთი მეფის მოწადინე ვარ, ვინც სამწყსოს თავისუფლებას მიანიჭებს, გონიერთ ძალას შეჰმატებს, ჩინებულთ ქვეყნის საქმეში გარეეს, არა ჭიქუტად მხოლოდ თავისას დაადგება, არამედ სხვათა ნაზრევსაც ყურად იღებს, დიდებულებთან ერთად გამოწველილვით ასწონ-დასწონის და სხვა ხელმწიფეთა დაუხმარებლად ქვეყანას დალუპვისაგან იხსნის... მერმე რუსეთის მსგავსად ევროპულის მართველობისგან მაგალითს აიღებს, სენატს გინა საკრებულოს რჩეულთაგან შექმნის და კაცთ ღეთისნიერ სულისკვეთებას გასაქანს მისცემს...

— ბარემ, კარგია, მაგრამ ე, მაგ საქმის ეგრე მოქმედათ ვინ გეგულება? — წარბაუხსნელად ჰკითხა ერეკლეს ძემ.

— მეგვიდრე მეფისა ვახტანგისა ბაქარის ძე ალექსანდრე! — დაურიდებლად მიუგო ამილახვრის შვილმა.

— მერე-და, ალექსანდრეს ტახტს ვინა მისცემს, ეგებ ქერიმ-ხან? — გამოსცრა ბატონიშვილმა.

— თუნდაც ქერიმ-ხან, — არ შეეპუა ამილახვრიშვილი — განა პაპისა შენსა თეიმურაზს, ანაც ერეკლეს ქართლის მეფობა ნადირ-შაჰის ხელით არ ერგო!

— მრისხანებისაგან გონება ბნელით დაგბინდვია, თავადიშვილო. — მკაცრად შენიშნა აქამდე ჩუმად მყოფმა გაიოზმა, — გინდ პითაგორეს საწყავით აწყე, ზვალვე ქართლის აწ მარტოდენ ერეკლესგან დაიბადების...

იყუჩეს.

— მაგ ჩვენებურის ისტორიის გარდა, სხვა რის დაწერას აპირებ? —

კვლავ ჰკითხა ალექსანდრეს ლევანმა.
— ხელმწიფების გონიერული წესი-
სა... მსურს ნაღვანს „ბრძენი აღმოსავ-
ლეთისა“ ვუწოდო...

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ჩემი ნახვა რათ-ლა ისურვებ? —
ახლა ალექსანდრემ იკითხა, და სტუმ-
რებს ვახშამი შესთავაზა, — თუ კი ცო-
ტა რამეს მიირთმევდით, დიდად დამა-
ფასებდით. — ჩაილაპარაკა.

— ვახშამად არ მოვსულვართ, მაგრამ
სხვაც არ-ლა დაგვრჩენია. — მიუგო
უფლისწულმა და მამისა მისის ერეკლეს
ჩვეულებისამებრ, ლუკმის (გატეხა) გე-
მება ჭერ მასპინძელს აცალა... — ის
ასული ვინ იყო? — ჰკითხა.

— აწ არცა ვინ, ჩემო ბატონო. ერთი
იმერელი ნაგლეხარის ხასა გახლავთ,
ზედმეტ სახელად კოჭიბროლას უხმო-
ბენო. — მწარე ღიმილით უპასუხა ამი-
ლახვრის ძემ და ჰური გასტეხა. — შა-
რშანწინ, სოლომონ მეფის კარის მდი-
ვანს ოთია მზეიძეს სულეიმან ფაშის კა-
რზე ნადიმობისას გადაწყდომია... ნა-
ბახუსევეზე იმდენი უცდია, საწოლი მაგ
ქალის ზიარი გაუხდია... დამით ნაამებ
მზეიძეს შეჰყვარებია, ვინაობა უკით-
ხავს. ქალის სულეიმან ფაშას დისწუ-
ლობა რომ შეუტყვია, აღარც მის ნამუს-
ახდილობას დაჰრიდებია და ცოლად
შეურთავს... მეფის კარზე კოჭიბროლა
ფაშის დისწულს თავისი არ დაუშლია,
გვარიანად დატრიალებულა, საყვარლე-
ბი იმდენი მოუძრაველებია, რომ რაც ჩი-
ნებული ვინმე ყოფილა თავისად გაუხ-
დია... იმდენი უცდია, ლამის ერთ წე-
ლიწადში სოლომონის ნაცვლად ხელ-
მწიფობას თავად დაუფლებია. განრის-
ხებულ სოლომონს თავის ერთგული
გლეხი ინასარიძე მოუხშია, — თუ ჩემი
წყალობა გინდა, ე დედაკაცი მომაცი-
ლე და ხვამლის კლდიდან რიონში გა-
დამიგდეთ... ინასარიძე რალას იზამდა,
თანხმობა მიუცია, ჰქვეყნის ურგები კახ-
პა დედაკაცი შეუბორკავს, ცხენზე მო-
უჯდია და ნაბრძანებისამებრ ხვამლის
აღღებზე აუყვანია. გადაგდება რომ და-
უპირებია, კოჭიბროლას უთქვამს, შენც
შეგარცხვინე და შენი ვაჟკაცობაც, ამ

დიდებულ ქალს კლდიდან რომ მაგდება,
სახლში ნეტა უკეთესი რამ მოგვძებნე-
ბო. წამიყვანე, ერთ დიდ ქვეყნში მის
მამწყვდიე, დღისით ჰქვეყნის თავი და-
გოზე, დამით როგორც გსურდეს, ისე
მიყოლიეო. ინასარიძეს კოჭიბროლას
ნათუბარი ჰქუაში დაჯდომია, მართლაც
ისე მოქცეულა, როგორც ქალს შეუ-
გონებია... ცოტა ხნის მერე, სოლომონ
მეფე ინასარიძეს შეხვედრია. „კოჭი-
ბროლასი რა ჰქენიო?“ — უკითხავს,
„რაც შენ მავალე, მეფე ბატონო, ისე
ქენიო“. — უპასუხია ინასარიძეს. მე-
ფეს შუბლი შეუქრავს, „მე იმ ქალისგან
განაწამები ვიყავი, ცხელ გულზე მრის-
ხანება ველარ დავიოკე, მაგრამ შენ რა-
ლა ჯავრი გქონდა, ვარსკვლავივით ბუ-
ნების ქმნილება სასიკვდილოდ როგორ
გაიმეტე — შენც შეგარცხვინე და შენი
კაცობაცაო!“ უთქვამს სოლომონს. მა-
შინ, ინასარიძეს, მომხდარი ამბისა აღა-
რადფერი დაუმაღავს, „ასე და ასე ვქენ,
და პა ჩემი კისერიო...“ გაუბედნია და-
ჩოქილს. მეფეს მისი ვაჟკაციური საქცი-
ელი მოსწონებია, აზნაურობა უბოძებია
და კოჭიბროლაც მისთვის უჩუქებია.
ეხლა ეგ ინასარიძე მეფეს ასტრახანში
დესპანის სახლის გამგებლადა ჰყავს. —
დაასრულა ამილახვრის ძემ.

— აქ რალა უნდა? — ჰკითხა ახლა
გაიოზმა.

ალექსანდრემ პასუხი შეაგვიანა.. წა-
მით ჩაფიქრდა, მერმე, თითქოს ფეხის
ტკივილმა გაუხსენაო, წვივზე ხელი ჩა-
ისვა, საზე უარესად დაეღრიჭა, ამოიო-
ხრა, ნამალადევად გაილიმა.

— სიმართლე გითხრათ, ბატონიშვი-
ლო, ეგ დიაცო, მე, ჩემს დღევანდელ სა-
ქართველოს მაგონებს. ვერც დავგმობ,
ვერც თავიანთა ვცემ. რასაცა სჩადის
მაგას ვერ დავაბრალებ. ვოლტერს უბ-
რძანებია: ჰქვეყანი არარსებისანი გარე-
მთავან განიწონებისო...

— თავიდან ეგრე ბრძანე, აწ ესრეთი
არისო... ადრე ვინ იყო? — კვლავ გაი-
ოზმა ჰკითხა.

ალექსანდრეს თვალბში მწუხარება
ჩაედგარა. შუბლი შეიქრა.

— ადრე, დიაცვანო, ჩემი საცოლე

იყო... არუშან დიასამიძის ასული, აიღე!..
შემზარავი სიჩუმე ჩამოვარდა.
არქიდიაკონი გაიოზი მოიკუნტა, თავი
ლამის მუხლებში ჩარგო.

ნაამბობმა ლევან ბატონიშვილიც და-
თრგუნა.

ოთახში მსახური შემოვიდა.

შეორთქილი ხორცი შემოიტანა.

— თუ არ წასულა, არუშანის ასულს
სუფრასთან უხმე! — უბრძანა ლევან
ბატონიშვილმა მსახურს.

ამ უკანასკნელმა ალექსანდრეს შეხე-
და, მისი დუმილი თანხმობად მიიღო და
ოთახიდან გავიდა.

ამილახერის ძემ ღვინო ჩამოასხა.

— ჩემს უბედურ ქვეყანას გაუმარ-
ჯოსო! — თქვა.

ოთახში აიღე შემოვიდა.

უნებლიედ ყველანი ფეხზე წამოდგ-
ნენ...

ლამე იყო. ასტრახანის ქუჩებში
კვლავ სამნი მოდიოდნენ — ლევან ბა-
ტონიშვილი, გაიოზი და თავით თხემა-
მდე შეიარაღებული ხუდია ბორჩალო-
ელი.

— მართლა ლამაზი ყოფილა, საცო-
დავი, — ჩაილაპარაკა ლევან ბატონიშ-
ვილმა.

— ფეხშიშველი, საბრალო ხვარამზე
თუ გახსოვს? მეფემან ჩვენმან ქართლის
დიდებულნი რომ მუხლებზე დაუჩოქა,
ის ხვარამზე? — ჰკითხა გაიოზმა.

— მახსოვს.

— მართლა ლამაზი ხვარამზე იყო,
საქართველოსაც მხოლოდ ის ჩამოგავ-
და.

29.

— მის უმაღლესობას უფლისწულ
ლევანს და ქართლ-კახეთის პატრიარქ-
კათალიკოსს ანტონ პირველს, კანცლე-
რი კაბინეტში ელისო! — შეჰლაღადა
ბროლის მაღალი ჭაღებით აელვარებულ
ჭერსა და მარმარილოს ქათქათა სვე-
ტებს საგარეო საქმეთა კოლეგიის ცე-
რემონიალმეისტერმა, თუმცა მოსაც-
დელ დარბაზში ლევან ბატონიშვილის,

კათალიკოსისა და გაიოზ არქიდიაკონის
გარდა სხვა არავინ ეგულტებოდან...

— რა ეგრე შორეთში ჩვენს ქვეყანაში
რო ერეკონის საყვირივით ყურები და-
ვიხეტქაო?! — ჩაიკინა ბატონიშვილმა.

— ეგ იმიტომა ჰქმნა, გაიოზი გარეთ
დასტოვეთ, თან არ შემოიყოლოთ! —
იხუმრა კათალიკოსმაც.

გაიოზს არაფერი უთქვამს.

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიის
კანცლერი, გრაფი ნიკიტა ივანეს ძე პა-
ნინი ერეკლეს ელჩებს მაგიდასთან ზე-
ზეულად დაუხვდა.

— უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო
უწმინდესობავ! — კარებშივე შიგება
მან კათალიკოსს და სავარძლებისკენ
გულუხვად გაშლილ ხელს თან ნაძალა-
დები ღიმილიც დაატანა: — ლევან
უფლისწულისა და თქვენი ხელახალი
ხილვით ფრიად კმაყოფილი გახლავართ.
— ჩაილაპარაკა.

დასხდნენ.

პანინი მაგიდას მიუჯდა. მის ზურგს
უკან, კედელს, იმპერატრიცა ეკატერი-
ნე მეორის პორტრეტი ამშვენებდა.

— თქვენი ჩამობრძანების შესამე-
დღეს იმპერატრიცისათვის ნათელი გა-
ხდა, რომ მისმა უმაღლესობამ, მეფე
ერეკლე მეორემ, რუსეთის სამეფო კარს
ეგრეთ წოდებული ყმობა შესთავაზა. —
ფრთხილად წამოიწყო პანინმა. — რომ-
ლის თანახმადაც, თუ შესიერება არ
მალატობს, ქართლ-კახეთის მეფის
უფლებანი, ერეკლესა და მისი შთამო-
მავლობის ხელში უცვლელად რჩება;
აევე უცვლელად რჩება ეკლესიის
მმართველობის წესიც... რუსეთის სამე-
ფო კარმა, ერეკლეს განკარგულებაში
უნდა გადაგზავნოს ოთხი ათასი ჯარის-
კაცისაგან შემდგარი კორპუსი, რომლის
საშუალებითაც ერეკლე საკუთრად და-
იპყრობს მოძალადეთა მიერ საქართვე-
ლოდან მიტაცებულ მხარეებს — სამ-
ცხე-საათაბაგოს, ქარ-ბელაქანსა და
სხვას... თავის მხრივ, ერეკლე რუსეთის
სამეფო კარს სანაცვლოდ, სწორედ იმ-
დენივე ხარკს ჰპირდება, რამდენსაც
ქართლ-კახეთი ადრე ირანს უხდიდა.

კერძოდ, ორ ათას საპალნე რჩეულ დეინოს, ბედურებსა და კომლზე თოთხმეტ შაურს წლიურად. ამასთან ერთად, ყმობის წესის თანახმად, მისი უმალესობა პატრონისათვის სამხედრო ძალის მიცემასაც კისრულობს...

— ოღონდ მის შემდეგ, თქვენო ბრწყინვალეობავ, რაც საქართველო წართმათაგან განთავისუფლდება და მშვიდობასა შინა დასადგურებს. — შენიშნა კათალიკოსმა.

— დიახ, მის შემდეგ. — დაეთანხმა კანცლერი და შეუყოვნებლივ განაგრძო: — გარდა ამისა, ქართლ-კახეთში უკვე არსებული თუ მომავალში აღმოჩენილი მადნებიდან მიღებულ შემოსავლის ნახევარს მეფე რუსეთის ხაზინას უთმობს, ხოლო სამაგიეროდ, თურქებთან ომში გაწეული ხარჯების დასაფარავად სესხს თხოულობს... ზემოთ ჩამოთვლილი პირობების გარანტიად ერეკლე რუსეთის სამეფო კარს, თავის ერთ-ერთ შვილს, შესაფერისი თავად-აზნაურებით მძევლად ჰპირდება და ბოლოს, იმ ტყვეების საქართველოში უსასყიდლოდ დაბრუნებას ითხოვს, რომელნიც ჩვენს მიერ ყირიმის დაპყრობისას იქ აღმოჩნდებიან.

კანცლერი დადუმდა.

უცდომელადა ბრძანეთო. — გაუღიმა ლევან ბატონიშვილმა.

კათალიკოსმა კანცლერს უგუნებობა შეატყო.

— სამწუხაროდ, — განაგრძო პანინმა, — მისი უდიდებულესობა ამჯერად უკმაყოფილო ბრძანდება, თავად ორბელიანს ერწმუნა, ამბობს, ერეკლე ჩვენი ჭარბების მხოლოდ საქართველოს გასაძლიერებლად მოხმარებას ცდილობსო. საექსპედიციო კორპუსის მარცხსაც მხოლოდ ერეკლეს აბრალებს...

— საქართველოს მფარველობაზედაც ალბათ უარს ბრძანებს? — გაფითრდა კათალიკოსი.

— მთლად უარს არა... — კანცლერმა თვალები დახარა. — მალოროსიის მმართველს, კნიაზ გრიგორი პოტიომკინს, ყირიმის დაპყრობის შემდეგ, ტყვე-ქართველთა ბედის ერეკლეს სასარგებ-

ლოდ გადაწყვეტა დაეავლა. ხოლო მფარველობის შესახებ ეს ბრძანებები მოვიტოვოთ საქართველოში... ოდენ დროისა და ისტორიის სივრცეში გადაწყვეტას მოითხოვსო.

კანცლერის მოსაცდელ დარბაზში სიმუდროვც სუფევდა.

არქი-დიაკონი გაიოზი სარკმელთან მიმდგარიყო, მოედანს გადასცქეროდა — იმპერატორის სამეფო გვარდიის მარშირებას აკვირდებოდა.

30.

რუსთ-ხელმწიფის მფარველობის იმედი, ვითარცა ციალი მზისმიერი, კვლავ ღრუბელს მიეფარა. ჭვეყანა არნახული განსაცდელის წინაშე დადგა — აღზედნენ მტერნი შინანი და მტერნი გარეთანი. ამიტომაც, მორიგე ლაშქრის განაჩენი, რომელიც მეფემ „ყოველთაგან უყეთესად და უმჯობესად“ გამოარჩია, დარბაზმა ლევან ბატონიშვილის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე დაამტკიცა.

ელჩობით ხელმოცარული უფლისწული საქვეყნო საქმეს დაუყოვნებლივ შეუდგა. უცდომლობისთვის გვერდით ერთგული მეგობარი — იმპერიის რეგულარულ არმიაში ნაწრობი — პოდპორუჩიკი სევჩინიც დაიყენა, მოსახლეობის აღწერას ჭიზიყიდან მოჰყვა, „კომლზე კაცი“ ბრძანა, ზაფხული მიწურული, შემოდგომა და ზამთარი უნაგირზე გაატარა, აღარც გზირ-ყაფჩინი დაასვენა — კარდაკარ რებით წალა-ქალამნები წყვილ-წყვილად დააცვეთინა... ამრიგის დამდგას არავისა და ქანის ზემო სოფლებსაც აღწია, მაისამდე იქ დაჰყო, ხოლო მაისის პირველსავე დღეს, თავის საყვარელ დაიკოსა და სიძეს — ამ თხუთმეტობედ წლის წინათ ლეკთაგან მოკლულ კონსტანტინე მუხრან-ბატონის ვაჟს, იოანეს ეწვია.

ყრმობიდანვე თანშეზრდილი სიძე-ცოლისამა ერთმანეთს გულლიად ჩაეხვივნენ, მერმე იოანემ სევჩინიც მძურად მოიკითხა და ძვირფას სტუმრებს გალავანში შეუძღვა...

— თქვენი საქმისა რა ილღონეთო? —
ლიმილით შეეხიტიცვა.

— ამიერიდან ლაშქარად გამოვსვლა,
ყმასა და ბატონს ორივეს თანაბრად გა-
რდუწყვიტეთ... თუ მკლავი გერჩის გას-
ძახე, ცხენი შეკაზმონ!.. წელიწადში ერთ
თვეს შენის ხარჯითა და იარაღით ჩვენ
უნდა გვემსახუროო. — ლიმილითვე მი-
უგო ლევანმა.

— თუ მკლავი აღარ ერჩისო? —
თვალს ჩაუკრა ქეთევანმა ძმას.

უფლისწულმა „დაწუნებული“ სიძე
„ეპკვით“ შეათვალღირა, მერმე დას მიუ-
ბრუნდა...

— გაყრას ხომ არ აპირებთო?! —
„გაუნაწყუნდა“.

სიცილი წასკდათ.

— კარგი-ღა, ხუმრობა იქით იყვეს,
მაგრამ რომელსა კომლსაც მოლაშქრე
კაცი არ მოეძიოს, იმათ რალა ჰქმნანო?
— ახლა ეს იკითხა მასპინძელმა.

— არც რა... ბადალი უნდა იქირა-
ონ... კარგად დაიხსომე, ლაშქრიდან თა-
ვის ამრიდეთ მე და სვეჩინი უღმობლა-
და ვსჯით, გლეხებს — როზგითა, აზნა-
ურებსა და თავადებს — ხაროში გლე-
ბით, ხოლო ჩემს სიძეს, მუხრან-ბატონ
იოანეს — უფარგისის ასოის წარკვეთი-
თაო! — კვლავ იხუმრა ლევანმა.

შშვენიერი ამინდი იღგა.

ყანებში ქვაკვს თავთავი რახანია გაეს-
რულუბინა.

ის საღამო უფლისწულმა და მისმა
მხლებლებმა იოანეს მამის, კონსტანტი-
ნე მუხრან-ბატონის ბრძანებით საჩინოდ
ნაგებ, ულამაზეს კოშკში გაატარეს.
ვახშამიც სანაქებო ჰქონდათ — ქეთე-
ვანია გემოვნებით გაწყობილ სუფრას,
მერიქიფის გარდა, მეშარბათე და ყა-
ლიონყორჩიც დასტრიალებდა.

კოშკიდან ჩრდილოეთით კავკასიონის
თეთრად შებინდული მწვერვალები მოს-
ჩანდა, სამხრეთით მტკვრის ჰალა, ხო-
ლო დასავლეთით — ქსნის განაპირა ქე-
დი და იმ ჭედზედ მდებარე ძველის-
ძველი, ჰატარა ეკლესია...

— ეგ საყდარი მირიან მეფემ წმიდა
ნინოს სადიდებლად ააგებინა. — ეუბ-

ნებოდა ქეთევანი სვეჩინს. — თურმე
მირიანი, ქრისტიანობის გავრცელებას
წინ მახვილით გადაეღობა. ნინო შარიათ
ღვთისმშობლის თმით შეკრულ ვაზის-
ჯვარს დაენდო, ჯვრის ძალამ მეფის
სპას სიბრძავე მოუტელინა. მაშინ იკადრა
მირიანმა და აღთქმა დასდო, „თუ ჩემს
ლაშქარს ეგ ჯვარი კვლავ თვალს აუხ-
ელს, მის ძალასაც უმაღ ვიწამებო“...
წმიდა ნინოს ლოცვითა და შეგონებოთ
ჯვარმა მეფის ლაშქარს თვალს მართ-
ლაც აუხილა. მირიანმა პირობა აღასრუ-
ლა, ძველი რწმენა დააგდო და ქრისტეს
რჯულს ეზიარა.

— დიდ საქმეს თან დიდი გასაჭირიც
აღგასო. — დაასკვნა სვეჩინმა.

უფლისწულმა კიბისთავს ყორიასაუ-
ლი დალანდა...

რიდით შეპყრობილ იასაულთა წი-
ნამდგომს სუფრასთან მიახლოვება ვე-
ლარ გაებედნა და ის იყო უკან გაბრუ-
ნებას აპირებდა, რომ ბატონიშვილმაც
შეაყოვნა...

— რა ჰქმენითო? — მოჰკითხა.

— სხალტბა და წეროვანი უკვე აღე-
წერევიტ, შენმა ვახარებამ, ლამისყანა-
ში წინდაწინ ყაფიჩინი დავგზავნე,
ოძისსა და ილტოზასაც დაივლიან. ხვალ
დილით, უთენია, მეც ჩემის ხალხით
იქითკენ გავწევე. საკარვე ადგილსაც
კარგს შევარჩევე. მეტსაც მოვასწრებდი,
მაგრამ ჰაშაში, ნაოხარზე, ვინმე ქვრივ
დედაკაცს გადავეყარე, წვრილ-შვილია-
ნი ყოფილა, ამბობენ, ბალღები უკაცოდ
დააჩინათ, ჰოდა...

— ბიჭოს?! — გაიკვირვა ლევანმა.
გაეცინათ.

— მეტად ღარიბი სჩანდა, — განაგრ-
ძო ყორიასაულმა, — ბადალის ქირაზე-
დაც უარი გვითხრა, „თუ ბალღების
დაზრდას არ მადროვებთ, ღმერთი დი-
დია, ერთ ჯაგლავს მეც სადმე ვინათხო-
ვრებ, შევჭდები და, თქვენდა სამარც-
ხეინოდ, ბატონიშვილს მეომრად ვეაბ-
ლებიო“...

კვლავ გაეცინათ.

მეორე დღეს, დილით, ლამისყანისკენ
მიმავალმა ლევან უფლისწულმა „ურჩი



დიაკის“ სახილველად ქაშისკენ, ანუ ნაოხარი სოფლისკენ გაუხვია. გზად იმ ადგილთა გზირიც წაიყოლია და ამალი-თურთ ქვრივის სამყოფელს მიადგა.

დედაკაცი იგი ძროხას სწველიდა. ზოლო ბალღნი მისნი შიშველ-ტიტველნი ბანზე ფეტვს აპნევდნენ — კრუხსა და წიწილებს აპურებდნენ... სამნი იყვნენ — ამთავე ბიჭუკები. უფროსი ხუთი წლია იქნებოდა, მომდევნო — ოთხისა, უმცროსი კი — ორისა, ან ცოტა ნაკლებისაც...

უცხო მხედრების დანახვაზე ბალღები დედას შეეფარნენ.

უფლისწულის მოულოდნელმა მობრძანებამ ქვრივს თავზარი დასცა, ბალღებიანად ჩააჩოქა.

ლევანს დიაკი ეცნო. ჩამოკვეითდა. მულხმოყრილი მოწიწებით წამოაყენა...

— ხვარამზე თუ ხარო? — ჩაეკითხა საბრალო დედაკაცს.

ქალმა თავი თანხმობით დაუქნია.

— ეა ბალღნი ვილასნი არიანო? — კვლავ ჰკითხა ლევანმა.

ხვარამზე დუმდა.

— უფლისწულო ბატონო, უმამოდ შობილი ნაბიჭვრები რა თქვენი საკითხავიო. — ლიქარდიანის მლიქველობით მიელაქუტა ბატონიშვილს გზირი.

მისი ნათბარი ლევანმა ზიზლით განირიდა. დამფრთხალ ბალღებს სათითაოდ მიუალერსა, მერმე ყორიასაულს მიუბრუნდა.

— ვიდრე ჩვენს ბედდამწვარ მამულს ეს მართვენი დაეზრდებიან ამთ კომლიდან მოლაშქრედ მე ჩამწერე! — უბრძანა.

ყორიასაული დაიბნა.

„ეგ ვით იქნებისო? — გაიფიქრა.

— ხვარამზის შვილად ჩამწერე-მეთქი! — კვლავ უბრძანა ლევანმა.

დედაკაცს ტირილი აუვარდა, მადლობის ნიშნად მეფის წულს მუხლებზე მოეხვია...

ყორიასაულმა დაეთარი გახსნა.

„უფლისწული ლევან, ძე ხვარამზისაო“ — ჩასწერა.

სვეჩინს სასოების ცრემლი მოერია...

31.

„გეორგიანული ისტორია უმწველი“

კაცისა კნიაზ ამილახოროვისა, შემატე-ბული მცირედით ისტორიითა იქ მდებარე მიწისა, დასაბამიდან ვიდრე აქობამდე. ნაამბობი, სხვათა საცნობელთა შორისა, ანატოლიელი ვაქრის უსიშისა და მისთა ამხანაგთა მიერ. თარგმნილი რუსიულზედ. ძღვნად უგანათლებულეს კნიაზ გრიგორი პოტიომკინს“. — ხმით ჩაიკითხა ამილახვრის ძე ალექსანდრემ სრული სათაური ნალვაწისა თვისისა, მერე გასამრჯელო მკინძავს დახვავზე დაუთვალა, ტყავშემოკრული ხელთაწერი, ვითარცა ნაბოძარი ანგელოსთაი, ფალასში დიდის მოკრძალებით გამოახვია, სტამბიდან გარეთ გამოიჭრა და აჩქარებულმა, ალაყაფთან მომლოდინე ეტლს, კოჭლობით მიასურა...

კუჩერმა ცხენები დასძრა...

ნეტარი ბასილის ეკლესიას რომ გამოცდნენ, კრემლის წინ მდებარე საშვენი მოედანიც მალევე გადმოჰკვეთეს და „ნოტიჩი რიადის“ გავლით, გეზი ბაქარ-მეფის სასახლისკენ აიღეს.

ალმართში, მეწაღეების დახლთან, ამილახვრის ძემ გაიოზ არქიდიაკვანი შენიშნა — აწრიალდა.

— ჩქარა დააყეო! — უბრძანა კუჩერს.

ანტონ კათალიკოსის ნამოწაფარი საგრძნობლად შეჭარმაგებულოყო. ჰასაკით გასრულებულს, არქიდიაკვნობაც აწ ნაკლებად შეშვენოდა.

გაიოზმა ახალშეკეთებულ წალა გულდაგულ შეათვალიერა, ხელითაც არგად გასინჯა და ტომსიკაში შეინახა. ხელჯობის ხმაზე მოიხედა, ამილახვრის ძე იცნო, არ ეამა... ტომსიკას თავი საჩქაროდ მოუხვია, განრიდებაც მალევე სცადა.

ალექსანდრემ გზა ჯობით გადაუღობა.

— უცხო მხარეში ამოდ მარებს, ვხედავ, წაღები გაგკვეთიო! — ნიშნისგებით უთხრა.

— ჩემს წაღებთან შენ ცოტა გესაქმებო. — ცივად მიუგო არქიდიაკვანმა.

ამილახვრის ძემ ჯოხი ძირს ნელნელა დაუშვა.

— ვიცი, დიაცვანო, გაწბილებით ვერ გამაწბილებ... მარტვი, საით ეპირები? ეგე, ეტილიც აქვე მიდგა! სათქმელიც რამე მცირედი მაქვს, თან არც სად შეჩქარების! — შეფარვით გააფრთხილა.

— რომ გაგაწბილო რას მიქად? — ჰკითხა გაიოზმა.

— დიდსა არცა რას. სიმბდალეს დაგწამებ. — უპასუხა ამილახვრის ძემ.

იუჯჩეს...

არქიდიაცვანმა ჯიბრით ყოფნას დაყოლა არჩია.

— რახან ეგრერიგ მეძალები, მადლობით გეტყვი, უფლის გაცხადების მონასტრამდე მიმიყვანე, გზა შორი მიძევს, წალის ფასს მაინც შემეხილებიო. ეტლისკენ წამოვიდნენ.

— ბოლოიავლენის მონასტერში გასწი! — ჩახდომისთანავე უბრძანა ამილახვრის ძემ კუჩერს.

კუჩერმა ეტლი მოაბრუნა, აღმართ-ამოვლილი კვლავ თავქვე დაეშენენ.

— სარწმუნოდა სთქვეს, როს მოძღვარმან შენმან, კათალიკოსმან ანტონ, იმპერატრიცას ერეკლეზედ გულცივობა შესწამა, გონს სასიკეთოდ მოეგო, ქართლის ცრუ-მბრძანებელს ზურგი შეაქცია, პირი აღექსანდრე ბაქარის ძისკენ იბრუნაო, მართალია? — მზაკვარივით ფრთხილად ჩაეკითხა ამილახვრის ძე გაიოზს.

— სიცრუე გახლავთ. — უპასუხა არქიდიაცვანმა.

— თუ სიცრუეა, ერეკლე რად-ლა გასწყრომა: გულს ავი გიდევს, ჩემს მეტოქეებს ემხრობიო?

— ეგე სიცრუე გახლავთ.

— სიცრუე რადა, დალოცვილო?? იმ სულმნათი საბასულხანისა არ იყოს, „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, ავი, კათალიკოსს შენც ამისათვის განუდექ და მოსკოვს მისგან უკითხავად დაშვი?

— ეგ მესამე სიცრუე გახლავთ. მე ყოველივე მხოლოდ უწმინდესის კურთხევითა ვქმენ. მოძღვარსა ჩემსა მოსკოვს დაშთენა სწავლის წადილით შე-

ვევედრე, დასტურიც უპოქმანო მივიღე. — მშვიდად მიუგო ამილახვრის ძემ.

— მაშ თუ ეგრეა, მეოთხე სიცრუეც ეს იყოს: წმინდა სიღონის შეკითხვაზედ, შენის უსაბუთობის გამო, ესრეთ რისთვის-ლა უპასუხა, „დიაცვანი იგი წინა-აღმდეგ ნებისა ჩემისა დაშთა როსისაა შინაო?..“

გაიოზმა დუმილი არჩია.

— ესრეთ რისთვის-ლა უპასუხა-მეთქი? — კვლავ ჩაეკითხა ამილახვრის ძე.

— ვითარცა ნათელსა ქემშარიტსა განრიდებულნი ცდომილი სული სასმენარსა ყოველსა ოდენ თავისდა საამებლად გაიგონებდეს, ისევე შენცა, უფლისაგან ნაბრძანებ „არას“ მხოლოდ „ჰოდ“ იგებ, ბოროტებითა შენითა ღეთის საგმობლად მოცადურეობ, ქვეყნის ორგულთ ხმას აყოლილი, წარმავლისათვის იჯრი და არა მარადისთვის.

— წარმავალიცა და მარადიც მე უკეთ ვიცი... თუ აწმყოიასაგან მომავალი არ აღმოცენდა, მაშინ მარადიც სადღა იყოს? ნაღვაწი შენი ოდენ ბერწის დაგრილებას ჰგავს, ამოოდ ცდილობ, მოჩვენებას სინამდვილედ მიიჩნევს. — ამ სიტყვებზე, ამილახვრის ძემ, ფალასი გაშალა, არქიდიაცვანს ტყავშემოკრული ხელთნაწერი გამოუჩინა. — წარმავალია ერეკლეც და საქმენიც მისნი!.. ესე ყოველი „გეორგიანულ ისტორიასა“ შინა აღწერიე, როსიულზედაც ამიტომ ვთარგმნე და უგანათლებულეს გენერალ-ფელდმარშალ კნიაზ გრიგორი პოტიომკინსაც იმიტომ ვუძღვენ, რომ მწყალობლმან ჩვენმან დედამან იმპერატრიცამ ერეკლეზე ოდენ ქემშარიტი აზრი იქონიოს, თვით მარტვიან ჩაჩია მისი გვირგვინად აღარ მიიღოს და ტახტიც ქართლისაი ვახტანგ მეექვსისა კანონიერ მემკვიდრეს, ალექსანდრე ბაქარ-მეფის ძეს უბოძოს. ყური დამიგდგე, დიაცვანო! აწ ერეკლეს კარს, ვგონებ შენს გარდა, სხვა ერთგული არავინ შერჩა! თვით ბაქუნინის შეგონებით, ქერიმ-ხან ზანდმა ხუნძახთ-ბატონს კაცი აახლა — ქართლი აიკელ, ერეკლეზედ ძღვევა დიდი ჰქმენ და ტახტი ვახტანგისა ბაქარის ძე ალექსანდრეს მიჰკერძეო! იმერთა

მეფე სოლომონიც იგივეს ცდილობს — ახალციხელებს ზავი მისცა, სპარსეთს ზაქარიას ვაჟი, ბესარიონ გაბაონი გაგზავნა — ბაქარის ძე ქუთათის მოაყვანიანა, ანტონ კათალიკოსიც თავისკენ გადაიბირა. დღეს არა და ხვალ, ბატონიშვილი ალექსანდრე ოსეთს გადავა, მთიულთ თავაკაცებს ერთგულებაზე დააფიცებ... ქსნის ერისთავი, ყულარალასი გიორგი, ერეკლეს უკვე გადაუდგა, მალე ერევნის ხანიც იგივესა იქმს... ყული დამიჯდე-მეთქი, წელან გითხარ, ვიცი ერეკლეს შეგონებით კნიაზ პოტიომკინთან დაფარული მიმოწერა გაქვს, ამიტომ, თუ გონს დროულად მოუგები და მსგავსად ჩემისა, ე მაგ კნიაზის შემწეობით, იმპერატრიცის გულის ბაქარის ძისაკენ მობრუნებას ეცდები, ბატონიშვილი ალექსანდრე ქართლის პატრიარქობას გპირდება! — ამილახვრის ძე დადუმდა, პასუხის მოლოდინში არჩილიაკვანს ჯიქურ მიაჩერდა.

გაიოზმა ამოიოხრა.

— თუ მაცადინათა სატანისა იმდენიცა ჰქმენით, რომ ტახტი ქართლისაი ბაქარის ძეს დაუნარჩუნეთ, მაშინ თავადნიც ქართლისანი საწადელსა თვისსა უმაღვე ეწევიან, მამა-პაპათა სასოებით აღსადგენად განშზადილ მამულს კვლავ ნაწილ-ნაწილ დაიჩემებენ. მერე ერთუროთს ჭიშპით ვინ სპარსეთისკენ გაიწევს, ვინ კიდევ ოსმალეთისკენ... ქვეყანას აიკლებენ, სახნავ-სათიბებს ძმათა სისხლით შეაწითლებენ, ხალხს მთავარ სულს ამოხდიან!.. მაგრამ-ღა, უფლის შემწეობით, ეგ ვით მოხდების!... საცნობლად ერთს გეტყვი, ეს ხანია ტფილისიდან პოდპორუჩიკ სვეჩინის მცირე ბარათი მივიღე, ერეკლემ ქსნის საერისთაოს ლევან ბატონიშვილის „რეგული“ ლაშქარი გაუსია, სიათის ციხე ააღებინა, ყულარალასი გიორგი დაატყვევა, საერისთაო გაატქმა, ქსანი გიორგი ბატონიშვილს არგუნა, გვერდის-ძირი — უფლისწულ იულონსაო, ამასა მწერს... ამილახვრის ძე აიბრია — გაიოზის ნაუბარი გულს ლახვარივით ეცა.

არჩილიაკვანმა განაგრძო.

— უმრევლო ქვეყნის პატრიარქობა

ვის რაში არგებს?!.. არა, მე ერთი უბრალო დიაკვანი ვარ, ლეთისა და ანდორის გარდა ამ ქვეყნად, სხვა არაფერი გამაჩნია, ამიტომაც ვინც ოდენ ერისათვის იღწვის, მეც მასთან ვდგევარ. ფიქრი თქვენი კი სატანისა არს. რამეთუ ყოველსა საშურალსა მხოლოდ თავისკენ მიითვალავს!.. ერეკლესი — კი, ლეთიურსა ჰგავს — მაცადინეობს, რათა მსასოებლისა ძილშიაც ესმას, რათა მოყვასისა სჯეროდეს, საქართველოს გამოხსნა-აღდგომისა სწამდეს და დღენიადავ ხალხისა თვისის გადარჩენისთვის იღწოდეს... და ჰა, რუსულსა ეტლსა შინა კვლა ორნი ვსხედვართ, ერთნი — ლეთისანი, მეორენი — სატანისანი. აწ, დანარჩენი მეეტლებედ იყოს! — დაასრულა გაიოზ არჩილიაკვანმა.

ეტლი ლეთისგაცხადების მონასტერს უახლოვდებოდა.

— იზოდი, სატანინა ოტროდიე! — ცხენებს მათრახი დაუტყლაშუნა კუჩერმა...

მონასტრის ეზოში გაიოზს პოდპორუჩიკი სვეჩინი დახვდა.

— უფალი მცდის თუ მართლა ანდრეი ხარ?! — გული სიხარულით აეცსო არჩილიაკვანს.

— დაუჭვრებელი რა ნახე, რომელი ანგელოსი ან ქერუბიმი მე გყევარ, რომ უფლის მცდელობაში შეგაეჭვე?! — წრფელი ღიმილი მიაგება პოდპორუჩიკმაც.

სიყვარულის ნიშნად გაიოზმა სვეჩინს მხარზე ხელი სდო, მდინარისპირა ტევრისკენ წაიყვანა, თვალით მყუდრო ადგილი შეარჩია.

— აქ დავსხდეთ, ნაგზაური იქნები, ხმიადსაც აქვე მოგართმევ — უთხრა. პოდპორუჩიკმა იუარა.

— მოსკოვს ჩამოსული ბიცოლაჩემის ძმას შევეკედლე, რუმბით კახური ღვინო მივართვი. წუხელს აქეთ დიდ პატივში ვყევარო. — გაიციანა.

მდელოზე ჩამოსხდნენ.

— თუ უფლისა გწამს, სიტყვას ნუ დაიშურებ, კარგიც წვრილად მიამბე და ავიცა... სამშობლო დამანახე, ისე ჰქმენ,

ვითამ მეც თქვენთან ცყოფილიყავ. — შევედრა არქიდიაკვანი.

— მაგ საქმეს ბიცოლანჩემის ძმასთანაც იოლად ვიქმთ, ჭერ მეფის ნაბრძანევი ისმინე—თავისთან ვიხმობს, შეიტყო, აკადემიის დასრულებასაც რომ აღარაფერი კვლავია, გზის ფულსაც ჩემის ხელით მოგართვა. ნულა დაყოვნდები, ხარჯიც დაუზოგავად გასწიოს, მისი აქ ყოფნა ძლიერ შეჭირვებაო...

ამ სიტყვებზე სვეჩინმა უბიდან მეფის ბარათი ამოიღო.

გაიოზმა ერეკლეს უსტარი პოდპორუჩიკს სულსწრაფად ჩამოართვა — ხელის კანკალით გახსნა.

სვეჩინის გარეთა ბიძის, ანუ ბიცოლას ძმის, საფორტო ნაგებობათა ინჟინრის, პოდპოლკოვნიკ ალექსი დიმიტრის ძე ბურნაშევის ოჯახში, საცა ანდროუშკას მიერ მორთმეული კახური ღვინის ეშხით მართლაც ღმერთების საკადრისი ვახშამ გაეწყოთ, ასტრახანიდან პეტერბურგს მიმავალ გენერალ-პორუჩიკ პავლე პოტიომკინისა და მისი თანამგზავრის, პერეკოპის კომენდანტად დანიშვნის გამო პოდპოლკოვნიკის ხარისხით ამაღლებულ ვასილი პეტრეს ძე რუმენიკოვის გარდა, ტვერის არქიეპისკოპოსი, მთელს რუსეთში სახელგანთქმული ღვთისმეტყველი მოძღვარი პლატონ ლევშინი და მისი ნამოწაფარი, მოსკოვის ბოლოიავლენიის მონასტრის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიის მსმენელი არქიდიაკვანი გაიოზიც მიეწვიათ.

ავვისტოს გრილი, უღრუბლო საღამო იყო. ამიტომაც სტუმართმოყვარე მასპინძლებს სუფრა აივანზე გაეშალათ...

— სწორი ბრძანებაა, პორტასთან ომში ჩაბმამ ერეკლეს აურაცხელი მტერი აუშალა. ზავმა მართლაც რომ ვერაფერი მისცა. — უყოყმანოდ დაეთანხმა სვეჩინს პავლე პოტიომკინი.

— გარდა მაგისა, თქვენო აღმატებულებავ, ოსმალთა დაპირებაც ომის მონაწილე ქართველთა ხელშეუხებლობის შესახებ, ერეკლესთვის ფუჭი ნუგეში

აღმოჩნდა. ქუჩუკ-კაინარჯის ზავის მერე სამაგიეროს გადახდას ოსმალთა ლეკების მეოხებით შეეცადნენ. — მოკრძალებით შენიშნა გაიოზ არქიდიაკვანმა. პოტიომკინი კვლავ სვეჩინს მიუბრუნდა.

— ერთი ეს მითხარით, როგორ ან რა საშუალებებით უმკლავდებიან ქართველები მოთარეშე ლეკებს?

— საშუალებანი ბევრია, თქვენო აღმატებულებავ. ციხე-გალავნები ყარაული, როქის სპა ანუ დაქირავებული ლაშქარი. ვიწრო გასასვლელების, ხეობის ყელისა თუ მდინარის ფონის დაცვა ადგილობრივ თავადებს ეკისრებათ. მათ საკუთარი გლეხები და აზნაურები საყარაულოდ მორიგეობით გამოჰყავთ, მაგრამ თავდაცვის ეს საშუალება ერთობ სუსტი გახლავთ, რადგან ესა თუ ის თავადი მისთვის მინდობილ საქვეყნო საქმეს ხშირად ლალატობს და ლექთა მოკავშირე ხდება... თავდაცვისათვის ციხე-გალავნების გამოყენება შედარებით უკეთეს შედეგს იძლევა. ლეკების გამოჩენისთანავე მოსახლეობა თავს კლდეებზედ აგებულ სიმაგრეებს აფარებს, ლეკებს კი მათი აღება ნაკლებად ეხერხებათ. ამიტომ ციხეებს მცირე რაზმითაც ადვილად იცავენ. რაც შეეხება როქის სპას, ანუ ხარჯით აყვანილ ლაშქარს, მისი მეზობელ ხალხებში დაქირავება ერთობ ძვირი ჯდება. ამ საშუალებას, როგორც წესი, მხოლოდ დიდი გაჭირვების ეამს მიმართავენ. ლევან ბატონიშვილმა და ერეკლემ მართალია ადრეც იცოდნენ, ხოლო ჩვენი საქსპედიციო კორპუსის გაცნობის შემდეგ კიდევ უფრო დარწმუნდნენ რეგულარული ჭარის, ანუ, როგორც მას ქართველები უწოდებენ, „რეგულის“ უპირატესობაში. ამიტომ მათ დარბაზთან ერთად „მორიგი ლაშქრის განაჩენი“ შეიმუშავეს, რომლის მიხედვითაც ბრძოლისუნარიანი ყველა მამაკაცი მოვალეა წელიწადში ერთი თვით სალაშქროდ საკუთარი ხარჯითა და იარაღით გამოვიდეს. სანაცვლოდ მეფე ქართლ-კახეთის მთელს გლეხობას სურსათის გადასახადისგან ანთავისუფლებს... მო-

რიცე ჯარში ხალხის უკლებლად გამოცხადებას სოფლის მეზატონენი და მოხელენი უზრუნველყოფენ. ლაშქარში დაგვიანება-წაუსვლელობისათვის დამნაშავე სათანადოდ ისჯება, გლეხები — წყვლით, აზნაურნი და თავადნი — საპატიმროთი. ასეთი ლაშქრის კეშმარიტი უპირატესობა დღეისთვის აშკარა გახდა, ლეკთა თარეშმა იკლო, ქვეყანა მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა.

— სვეჩინი დადუმდა — ლენო დაიხსა, მოსვა...

— ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, მორიგე ლაშქრის მესვეურიც და ხელმძღვანელიც თვით ლეკან ბატონიშვილი გახლავთ!

— თქვენ? — ღიმილით ჰკითხა რემმენიკოვმა და პოტიომკინს თვალი ჩაუკრა.

პოდპორუჩიკი უხერხულად შეიშმუშნა...

— მე დიდი არაფერი... ამ საქმის მხოლოდ გულშემატკივარი, ან, უკეთეს შემთხვევაში, უბრალო კონსულტანტი ვარ. — ჩაილაპარაკა.

— როგორ თუ უბრალო?!.. მე და რემმენიკოვს ტფილისიდან ამბავი მოგვივიდა, ერეკლე სვეჩინს გენერალთა შორის ყველაზე დიდ გენერალდა სთვლისო. — გაიცინა პოტიომკინმა.

მასპინძელმა სასმისები შეავსო.

გაიოზ არქიდიაცეანმა პირ-ბაგე სახოკით შეიწმინდა...

— დამეთანხმებით, თქვენო აღმატებულეზავ, რომ საექსპედიციო კორპუსის საქართველოდან გაწვევამ ერეკლე მეტად მძიმე პირობებში ჩააყენა. დიდი ხანია, რაც ქართლისა და კახეთის მეფეები ირანის უღლისაგან ქვეყნის გამოსხნას დაეინებით ცდილობენ, მაგრამ ამინდი სამისო მხოლოდ ეხლა დგას! — ამ სიტყვებზე გაიოზი წამით შეყოვნდა, მერე დამსწრენი სათითაოდ მოათვალიერა და მზერა კავკასიის „ლინიაზე“ დასანიშნად გათვალისწინებულ, გენერალ-პორუჩიკ პავლე პოტიომკინს მიაპყრო. — დრო აღარ ითმენს, თქვენო აღმატებულეზავ. ირანის ვეჟილი, ქერიმ-ხან ზანდი რუსთ-მომხრობისა-

თვის ერეკლეს წარღვნით ემუქრება, ლაშქარიც მზად ჰყავს — ერთი მხრე დაღესტნის ბატონებს გეშაგუშეორკეს მხრე — გილანის მბრძანებელს... „მარკოზაშვილის დარბაზელი“ ქართლის დიდებულნიც მხოლოდ მის დამახილსლა ელიან. თუ დარუბანდის ფათალი-ხანიც დაიყოლიეს, მორჩა!... — ქართლის ტახტს ალექსანდრე ბაქარის ძე დაიჭერს, ხოლო ქერიმ-ხან ზანდი სანაცვლოდ მისგან ირანისადმი ძველებურ მორჩილებას მიიღებს!..

გაიოზ არქიდიაცენის ნაუბარმა დამსწრენი სულის სიღრმემდის შესძრა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— შარშან, ზამთრისპირზედ, როდესაც ტვერში, ჩემს სამწყსოში, ახლად შეყვინულ ჭაობზე პირველმა მარხილმა გაღისრიალა, ამ ექვსოდე წლის უკან მისი უდიდებულესობა იმპერატრიცის მიერ კავკასიის შესასწავლად მივლენილი ცნობილი ნატურალისტი და მედიკოსი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, დოქტორი იოჰან ანტონის ძე გულდენშტედტი მეწვია. საცოდავი გზაში გაცივებულიყო, გარდა ამისა, ასტმაც აწუხებდა, სუნთქვა უჭირდა. — მშვიდად წამოიწყო ღვთისმეტყველების უბაღლო მოძღვარმა, არქივისკოპოსმა პლატონ ლევინმა.

ყველანი სმენად ქვეულოყენენ. მოძღვარმა განაგრძო...

— იოჰან ანტონის ძის აზრით, რომელიც საბედნიეროდ ჩემს ნაფიქრალსაც დაემთხვა, ქართველთა საზოგადოების ააუკეთესო ნაწილს ყოველთვის შესანიშნავად ესმოდა ქვეყნის შიგნითა თუ გარეთ შექმნილი ვითარება. ესმოდათ ისიც, რომ ქართველი ხალხის თავისუფლება მხოლოდ საომარ წარმატებებზე არ იყო დამოკიდებული და რომ ერის სულეერი სიმაღლის საყრდენი, ბარბაროსებთან ბრძოლის გარდა, ქვეყნის შინაგანი განვითარებაც უნდა ყოფილიყო. რუსეთთან ურთიერთობამ მათი ეს შეგნება თანდათან უფრო გაამდიდრა. თვით გულდენშტედტის სიტყვებით რომ ვსთქვათ, დღეს „ერეკლე ისე არაფრისკენ არ მიისწრაფის, რო-

გორც თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნისაკენ“. ამიტომაც, შეიღწო ჩემნო, რა საკვირველია, რომ მტერიც უამრავი ჰყავდეს?!..

მოდღვარი დადუმდა.

ჩამოღამებულიყო. მსახურმა აივანზე შანდლები გამოიტანა.

ლევწინმა ამოიოხრა.

— ყოველივე ამის შესახებ მის უდიდებულესობას იმპერატრიცასა და უგანათლებულეს კნიაზ გრიგორი პოტიომკინს უკვე მივწერე — მაცხოვრის სახელით ქართველთა მფარველობისკენ მოვუწოდე!

მოდღვარი კვლავ დადუმდა.

აივანზე სანთლები აანთეს.

ამ საუბრიდან რამდენიმე დღის მერე არქიდიაკვანი გაიოხი უკვე კარაპის კიჩოზე იდგა.

ვოლგა-მდინარე მას სამშობლოსკენ მოაცურებდა.

ვილაც მღეროდა.

32.

რუსეთიდან შინ დაბრუნებულმა გაიოხმა თბილისსა და თელავში ბევრი რამ ფრიად საგულისხმო ნახა და გაიგონა. მოსკოვის „ბოლოიაველნისის“ მონასტერში განსწავლულ არქიდიაკვანს, რომელიც სამშობლოში ჩამოსვლისთანავე მღვდელ-მონაზვნად აკურთხეს და წოდების შესაფერისი სამოსელიც უმაღლვე გაუჩინეს, ერეკლე გვერდიდან არ იშორებდა.

თებერვლის მიწურულს, მეფე, „აბრეშუმის საქმის დასახედად“, ბაკურციხესა და ვეჭინს წაბრძანდა. გაიოხი თან წარიტანა.

— დარეჯან დედოფლის ბრძანებითა, მეფე-ბატონო, ყაფანდოდან ექვსი ქუშიჩი მოვაყვანიინე. როგორც მითხრეს, ხუთი ქუშიჩი ისე ავაშენებინე. ქოშაქლისელები და ქოლაგირელები ამუშავეო. — ფეხდაფეხ ელანძნებოდა მეფეს ქუმთ-ბაში ოსეფა ყორღანაშვილი და ქუდმოშვლებილი, თვალებს თავვივით აჩეთ-ჩით აცეცებდა.

ერეკლემ მისი ნაუბრისა ვერა გაიგო რა...

— ამუშავეო — ვინ გითხრა? — ჰკითხა მან ოსეფას.

— დარეჯან დედოფალმან, მეფე-ბატონო. — უმაღლვე მიუგო ყორღანაშვილმა და განმარტებისთვის თითქმის იგივე გაიმეორა: — ხუთი ქუშიჩი რომ ავაგებინე, ჯერ ქოშაგლისელებზედ ზო მითხრა, მერე ქოლაგირელებზეც მიბრძანა, ქუმჩიებს ქუმების აგებაში მიაშველეო.

მეფემ კვლავ ვერაფერი გაიგო. ამიტომ, ოსეფას თავიდან მოშორება განიზრახა.

— გასწი-ლა, კმარა, კარგი გიქნიაო! — შეაქო.

გახარებული ქუმბაში უმაღლვე გაუჩინარდა.

ერეკლე ეხლა გაიოხს მიუბრუნდა.

— ამდენი ენა რო ისწავლე, რა გაიგეო? — ჰკითხა.

— არც რაო. — მიუგო გაიოხმა.

ორივეს გაეცინა.

— ამთ ნაუბარს დარეჯანის გარდა სხვა ვერავინ მიხვდება. — დაასვენა ერეკლემ.

გზა განაგრძეს.

ხელმწიფის გამოჩენაზე საყაქე ჩარდასქვეშ ვილაც ყმაწვილს გული წაუვიდა.

გაიოხი წაქცეულთან მიიჭრა, მიუტყუტდა.

— ჩქარა, წყალი — დაიძახა.

მეფემ კობი შეიკრა — ქუმთ-ბაშს მიაჩერდა.

— შშიერი იქნებოდა! — გაუჯავრდა.

ოსეფა ყორღანაშვილს მუხლები მოეკვეთა.

— ღმერთს გეფიცები, უბრალო ვარ, მეფე-ბატონო. გუშინლამ დედაკაცებს შოთები დავაცობინე, ნახევარ-ნახევარი ყველას თანაბრად მივეცე, ზედ თითო მწიკვი ზეთიანი მხალიც დავადებინე. აკი, დედოფალმაც გვიბრძანა, დიდმარხვა კარგა შეინახეთ, ხორციერისა სუნი რო სუნია, ისიც არ იხილოთო. — აღუღლულდა ოსეფა.

ამასობაში გულწასული ყმაწვილიც მოსულერდა.

— ვინა და ვისი რა ხარ? — ჩაეკითხა გაიოზი.

— ასპინძელი ვარ, ნიკო ბერიძის ვაჟი. — ამოიკენესა ყმაწვილმა.

მისმა ასპინძელობამ მეფეს ფიქრები აუშალა...

— ვინ ნიკო ბერიძისა, ეგრისელისა ხომ არა? — ჰკითხა.

ყმაწვილმა თვალი კვლავ უსასოოდ მილულა, პასუხად მეფეს მხოლოდ თავილა-დაუქნია.

— მამა რასა იქსო? — ახლა ეს ჰკითხა მეფემ.

— მამა მაგისი, მეფე-ბატონო, ასპინძელ თათრებს ღალატისთვის მოუკლავთ. ქართველებს მკვდარი მოუბარავენ და უჩუმრად დაუმარხავენ, ობოლ საფლავზე ერთი ვიევა ლოდოც დაუგორებიათ. — გაფაციცდა ოსეფა. — ეგ ყმაწვილიც, მეფე-ბატონო, დღე-ნიადაგ სუ იმას იკვებნიდა, მამაჩემიცა და მეც ხელმწიფეს ასპინძის ომში თან ვახლდითო...

— ვახლდითო... ცოტა უთქომს... — ამოიოხრა ერეკლემ.

— ჩემის თვალითა ვნახე, კობტა ბელადი რო შუაზე გაჰკვეთათო. რო გავიმარჯვებთ, მაშინაც მეფის გვერდით ვიქე, დამარცხებულთა ბაირაღებს მეცა და მამაჩემსაც მეფის დარად ფერხით გვიფენდნენო... საცოდავი სუ იმის ნატვრაში იყო, ნეტა ხელმწიფე მაჩვენა, რო ჩემი თავი გავახსენო და მერე თუ გინდა მომკლაო... ყველას ცრუ გვიგონა, მეფე-ბატონო...

დაასრულა ოსეფამ და თავი სინანულით გადაიქნია.

ერეკლეს ცრემლი მოერიდა, ყმაწვილს დააცქერდა, მერე ჭოჩორზე ხელი სიბრალულით გადაუსვა და გაიოზს მიუბრუნდა...

— ეს ბიჭი წმინდა მამის შვილი გახლავს და წმინდადვე შემინახეთ! — უბრძანა, — შენთან იყოლიე, სკოლას რო გამართავ, მაშინ თანა გყავდეს, სახსარს მე გაუჩინო...

მეფესა და წმინდა კაცის შვილს ხალხი ვით სასწაულს ისე მისჩერებდა...

მარტის პირველსავე მსგეფს, თოფხანის დათვალიერებისას, გაიოზ მღვდელ-მონაზონს მეფემ ორი უცხოელი გააცნო...

— ბატონები ესე ყოველსა საქმესა შინა თანამწენი ჩემნი არიან და, თუ ინებო, რუსულის შკოლის ევროპულად გამართვაშიც დაიხმარეთ...

თავაზიანობისათვის მღვდელ-მონაზონმა მეფეს მადლობა მოახსენა: — ვხედავ, საქვეყნო საქმეზედ დგანან, მოცდენას როგორ გავუბედავო. — ჩაილაპარაკა.

— სკოლაზედ უკეთესი საქვეყნო საქმე სხვა რა იქნებისო, — შენიშნა ერეკლემ.

უცხოელთაგან ერთი, ხმელი და კოკივით მალალი მამაკაცი იყო, მეორე — ძაფ-ქარბი მორგვევით მრგვალი და მაქოსავით ხალისიანი.

— თქვენის ბრძანებისამებრ, ნეაპოლისა და საფრანგეთის მეფეებთან, ვენეციის დოქთან და იმპერატორ იოსებ მეორესთან გასაგზავნი მემორანდუმი ხელახლა შევადგინეთ. — მოახსენა პირველმა მეფეს.

— თუ თანა გაქვთ მამა-გაიოზს უბოძეთ, თარგმანით წამიკითხავს! — ბრძანა ერეკლემ.

მეორემ ბარგ-ჩანთა გახსნა, იქიდან ლათინურად შედგენილი მემორანდუმი ამოიღო და მღვდელ-მონაზონს გაუწოდა.

გაიოზმა ქალაღს დახედა — ხელთნაწერი იოლად გაარჩია.

— დიდადა ვწუხვარ და გეკრძალვით, მაგრამ გასაპირი ქვეყნისა ჩემისა აჯანსა სხვასა არას მაძლევს და ვითარცა მეფესა ბედ-კრულსა ვალადა მსდებს, რომ თავი ხელახლა შეგაწყინოთ... სავედრებელი ჩემი თქვენდამი კვლავაც ეს გახლავთ: ერთი პოლკის შესანახი ჯამაგირი მაინც მიბოძეთ, რათა ლაშქარი ევროპულის რიგით გავაწყუო და ვიდრე მისი იმპერატორობითი დიდებულება, მონარქინია სრულიად რუსეთი-

სა, სათნობებითა დედობრივითა მოწყალე კალთას თვისას დაგვაფარებდეს, დუშმანსა ჩვენსა წინ აღვუდგე და ერი ჩემი ჭვარცმული ბარბაროსთაგან ვიხსნა, ანუ გავწყდე სახელისთვის უფლისა — ერეკლე.

მღვდელ-მონაზონმა მემორანდუმი ძირს დაუშვა, უცხოელს დაუბრუნა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ერეკლემ სათოფისწამლე წისქვილს ნაფქვავი გაუღისწა.

— შგონი, არა უშავს. — თქვა და წავიდა, უცხოელები უპასუხოდ დატოვა. გაიოზიც მიჰყვა.

— მაგ ბარათის დედაზრი განგებ შეგასმინე... მსურს ეგრე ჰქმნა, რომ სასოწარკვეთა ჩემი უგანათლებულეს კნიაზ გრიგორი პოტიომკინს ვითამ ჩემგან ფარულად შეატყობინო! — ფრთხილად შეაგონა მღვდელ-მონაზონს მეფემ.

გაიოზი დუმილით დაეთანხმა.

— ვინ არიანო? — უცხოელებზედ ჰკითხა.

— ის მალალი წარმოშობით ნემეცი ყოფილა. იაკუბ-ბეო, ანუ იაკობ რაინეგსი. — ჩაიციხა მეფემ. — მეორე კი, ვენგრელი გრაფი კოგარი ვახლავს. ერთიცა და მეორეცა ადრე ვენის ნემეცურ თეატრში ანტრეპრენიორობდნენ, მაგრამ იზარალეს და ბედის საძიებლად ვენგრიით ვენეციასზედ წამოვიდნენ, მერე — სტამბოლზედ, მერემ — არზრუმსა და ყარსზედ და ტფილისს ესრეთ ჩამოაღწიეს. შარშან, ლეინობისთვეს, აბტალას მყვანდნენ — საბადოები ლოთარინგიულის წესით გავაწყობინე... რა გინდა რო ხელთ არ ეწაფნოთ — აქიმობა, სათოფისწამლე წისქვილების ევროპულად გამართვა, ზარაფხანისა ლიგატურის კეთება, ზარბაზნების ახლებურად ჩამოსხმა, ატამბის საქმე, რკინა-ფოლადის საკვეთი მახინის დადგმა თუ სხვაცა ათასი...

— მოკვდავისაგან ამდენის ცოდნა ვით იქმნებისო?! — გაიკვირა გაიოზმა. მეფეს ბაგეზე სევდიანი ღიმილი გადაეკრა.

— ეჰ, ეგებ არც იქნების, მაგრამ ვინ

გინდა ევროპელი ნახო, რომ ჩვენთან შედარებით არისტოტელე და შტერცი არ იყოს. — აღმოსთქო მწუხარებით...

33.

გაზაფხულმა ვალი თვისი ღვთიური არსთა ყოველთა წინაშე პირნათლად მოიხადა — ნაზამთრალი ბუნება მკედრეთით აღადგინა — ტყეები შეფოთლა, მთა-ველი ლორთქო ბალახით შეამწვანა, შემთბარ ტბორებში ლიფსიტები დაძრა, ბარტყებს ნაჰუჭნი გამოატეხინა, ნადირსა თუ პირუტყვს გარჯა-გაზარება მიანიჭა — ხარი ხარს დააჭახა, ფურ-ნეზეს — თიკანთა, კრავთა, დურალთა და ბოჩოლათა საზრდელი ჯიქნები რძით გაუტყენა.

ანჩისხატის ეკლესიის ბარაზე, საცა ანტონ კათალიკოსისა და ერეკლესაგან თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ახლადდადგენილ არქიმანდრიტ გაიოზს, მოსკოვის „ბოლოიაველნიის“ მონასტრის ბერძნულ-სლავურ-ლათინური აკადემიის მიბაძვით, რუსული შკოლაც დაეარებინა, შეგირდნიცა და ჭირისუფალნიც მათნი უკლებლივ შეკრებილიყვნენ.

„ესე არს სახლი ღვთისა და ბჭე ზეციისა“, — უხმოდ ღალადებდა სათალო ქვებზე ამოტვიფრული ასომთავრული.

თბილი, შენისლული ორშაბათი იდგა.

გაიოზსა და სემინარიის სხვა მესვეურებს შეგირდნი ასაცრელად განემზადებინათ. „ოსპის“ ანუ ყვავილის საწინააღმდეგო შრატმა ქალაქში მყოფ უცხოელთა შორის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია — ვითარცა ყოველგვარ სიხალეს, ყვავილის აცრასაც ბევრი იმათგანი დიდის უნდობლობით მოეკიდა...

— სად ან ვისგან თქმულა, რომ ბავშვებს ჭირი ძალად მოჰკიდონ? აჰო და, სახადი ვახლავთ. მერმისობაში აღარ შეეყრებისო! — ჰკვირობდნენ ეკვს აყოლილნი.

საქარო, ანუ საჩვენებელ აცრას მრავ

ვალი უცხოელი ესწრებოდა — რუსნი, იტალიელნი, ფრანგი თუ ინგლისელნი...

მეფე, დარეჯან-დედოფალი, კათალიკოსი ანტონ და გაიოზ რექტორი, ზღვახალხით შემოკარულ ანჩისხატის ეზომიღამოს სემინარიის აივნებიდან გადასცქეროდნენ.

— თქვენმა უდიდებულესობამ, მეფე-ბატონო, — გამოწველივით მოახსენებდა გაიოზი ერეკლეს, — სკოლისა ამის გამართვა, მისი უწმინდესობა კათალიკოსის ანტონის თანხმობისამებრ, პროკოპოვიჩის რელამენტის მიხედვით ვივარაუდებ... კატეხიზმო; ღრამატიკა ერთად ლეოლრაფიითა და ისტორიითა; ფიზიკა შეერთებითა მეტაფიზიკისა; პოლიტიკა მოკლე; გალობა და იქნებ, განსჯისამებრ, პიიტეკაც; მაგრამ შეგირდნი აქობამდე დაისწავლიან ენასა მშობლიურსა — მხედრულსა წერასა და კითხვასა.

— წიგნი რომელნი დასტანბენით და რომელნი ვერაო? — ახლა ეს ჰკითხა მეფემ.

— მისი უწმინდესობის მამა ანტონის ვლადიმირს ყოფნასა შინა, რუსულიდან ქართულზედ გადმოღებული ფილოსოფია ვოლფისა, ფიზიკა და თეორეტიკა უკვე სრულიად დავასტანბინეთ. ღრამატიკა, პიიტეკა, ლოღიკა ბაუმეისტერისა, ქვეთქმანი ძველისა სხოლასტიკოსისა არისტოტელესი, მეტაფიზიკა ბაუმეისტერისავე და მორალიკა დოხტურ რაინეგსს დასასტანბად ეს ხანია მივეც. — უპასუხა რექტორმა.

ამასობაში სხოლაპეტმა დავით ალექსი-მესხიშვილმა მომაკვდინებელი სენის „ასატრეღად“ განმზადებული ყმაწვილები ერთ რიგად დაამწყრივა.

მერე შრატის და ასატრეღი „კალამი“ გაამზადა, მას ამ საქმეში გარსევან ქავკავაძის დისწულის, მაიკო ვაჩნაძის გარდა, ორი სათნო მონაზონი, ცნობის-მოყვარე „დოხტური“ იაკობ რაინეგსი, უნგრელი გრაფი კოგარი და თვით ლევან ბატონიშვილიც ამოსდგომოდნენ...

— აბა, მამაცინი მანდ რომელნი ხართ, პირველობა ვის გეშურებათო! — ხალი-

სიანად მოუწოდა ასატრეღებს ლევანმა, მაგრამ იმედი გაუტრუტდა. ^{მისი უმჯობესი} ხიან დაძახილს პასუხად მხოლოდ უნდობარი დუმილი-ლა მიაგეს. უფლისწული შეცბა, შეყოვნდა. ნირწამხდარმა რჩევისათვის მაიკოს მიხედა. — რა კილონოთო? — უთქმელად მიაჩერდა. ბოლოს გადაწყვიტა:

— მო, ამა საქმეს მე თავადა ვიქმ. სახელი მაინც დამრჩება! — სიცილით ჩაილაპარაკა უფლისწულმა და ყმაწვილთა გასამხნეველად ზელოც მაშინვე განამზადა...

— ვიცოდი პირველობას იოლად არავის დაუთმობდი. — გახალისდა პოდ-პორუჩიკი სვეჩინი. მაიკომ შრატს ამონაწები ასატრეღი ყალამი მაშინვე მოიმარჯვა, რაინეგსსა და კოგარს კუნთის არყიანი ბამბით მოსუფთავება აღროვა, მერე ბატონიშვილს ცერსა და საჩვენებელ თითს შუა პაწია ჭვარი ამოჰკაწრა და სემინარიის მყუდრო კედელთან, ჩეროში მიდგმულ გრძელ მერხზე მიუთითა.

— ეხლა მანდ დაბრძანდი, წამლის შესრობამდე ნაკაწრზე სიოც არ მიიკაროო! — „უბრძანა“ გალიმებულმა.

ლევანი დაემორჩილა.

— მეორე ვინ-ლა იქნებაო? მიუბრუნდა ასატრეღებს მაიკო.

პასუხი ახლაც შეგვიანდა...

აივანზე მდგარმა ერეკლემ შეგირდთა შორის თვალით ნიკო ეგრისელის ობოლი ბიჭი საბანა მოიძია. „ნეტა, სხვაზე გულადი ეგ გამოდგებოდესო!“ — გაიფიქრა...

წმინდანის შეიღმა მეფის მზერა უმაღლე იგრძნო, გული მოეცა.

— მეორე მე ვიქნებიო! — თავი ამაყად ასწია.

მეფეს ეამა.

— საბრალო, სუ თავის წმინდა მამასა ჰგავსო! — ჩაილაპარაკა და შორი-ახლოს მორიდებით მდგარ გაიოზს მიუბრუნდა, — მაგ ყმაწვილს რა ჰქვიაო? — ჰკითხა.

— საბა ჰქვია, მეფე-ბატონო... თანატოლები საბანას ეძახიან. — დაუხანებლივ მიუგო გაიოზმა.

„ოსპა-აქრილი“ საბანა-ბიჭი ლევან ბატონიშვილმა გვერდით მოისვა.

— სხვაზე მამაცი ისევე შენა ყოფილხარო! — შეაქო საჯაროდ.

საბანას მაგალითმა დანარჩენი შეგირდებიც გააგულოვნა, ყმაწვილებს შიში განუქარდათ, ერთერთის წამხედურობით ასაცრელად ყველანი მაიკოს მიესივნენ.

— ქაჩალომა ჯერ არ მოიფხანა, მერე მოიგლიჯაო?! — ჩაიცინა კათალიკოსმა.

საქმეს კარგი პირი გამოუჩნდა — „დობტური“ რაინეგისი და უნგრელი გრაფი კოგარი ერთბაშად მოზღვავებულ შეგირდებს ძლივს ამავრებდნენ — წესრიგისკენ ეძალეზოდნენ.

— მაგ უნგრელ გრაფს წედანდელ საუბარში მგონი განგებამ დააცდენინა, გრიგორი პოტიომკინი დობტურ რაინეგს საიდუმლოდ კვლავ თავისთან იზომბსო. — ველარ დაჰფარა საფიქრალი ერეკლემ და ნალელიანად განავრძო: — ამ ჩვენი სიკეთისა არ იყოს, ქერიმ-ხან ზანდის ჩაძაღვებამ რუსეთსაც მრავალი საზრუნავი აუშალა. იმპერატრიცა კვლავაც არჩევანზედ დგას, თუ აცდუნეს და ბაქარის ძის შეგონებით, ფათალი-ხანს მწყალობლად გაუჩინეს, მორჩა... — ამ სიტყვებზე ერეკლემ ხელი ჩაიჭინა, შებრუნდა, აივანს განრიდებულმა რექტორის სენაკს მიაშურა.

— ეს რუმბივით უწვერული ვინა ბრძანდებო? — ჩარჩოში ჩასმულ სურათზე იკითხა.

— ეგ კაცი, მეფე-ბატონო, რუსეთის მეცნიერების მოძღვარი, ხოლმოგორელი გლეხის ვაჟი, ლომონოსოვი გახლავთ. — განუმარტა გაიოზმა.

მეფეს აღარაფერი უთქვამს.

კათალიკოსმა დარეჯანს სავარძელი შესთავაზა.

დედოფალმა იუარა.

— ბარემ აქა ვართ, ვიდროვით და შკოლის დარჩომილი საკანნიც მოვიზილოთ. — ასე იწემა.

მის სურვილს ერეკლეც დაჰყვა.

კართან მისული გაიოზს მიუბრუნდა.

— ალბათ, რუსეთს წასვლა მოგიწევს.

— ხმადაბლა უთხრა.

ის ღამე გაიოზმა უძველესი ბატონიშვილი მოსკოვის არქიეპისკოპოს პლატონ ლევინთან გასაგზავნი უსტარი მოამზადა — გადაათურა, უცდომლობისთვის თვალთ ერთხელაც ჩაიკითხა.

„ყოვლად უსამღვდელოესო მეუფეო, უფლისა ჩვენის ქრისტეს მიერ ძმად და საყვარელო მოძღვარო ჩემო! თხზულე-ბაი შენმიერი კატეხიზისი წერილითურთ დობტურ რაინეგისგან ეს ხანია მივიღე, რაისთვისაც უზომოდ მაღლობელი ვარ. ქერიმ-ხან-ზანდისა და მეფე ბაქარის ქვრივის, ანა დედოფლის სიკვდილმა, მართალია, ერეკლეს მტრებს მწუხარება დიდი მიჰქერძა, მაგრამ ქართლის ტახტს საფრთხე მაინც არ განაროდა. ბაქარის შვილი ალექსანდრე ჩვენს გაჭირვებას გიენესავით უძძგურებს, ლეკთა მსხვილ დასტებს მინდობილი თავს ხშირად გვესმის, ქვეყნის ორგულთა აჯანყებას მოცადურებობს... ამ ზამთარს ახალციხეს გადადგა, ლუციფერის ჩრდილქვეშ შობილი ამილახვრის ძეც თან იყვლია, ფაშა-სულეიმანს მხრის მობმა სოხოვა, ყაბარდოსა და ოსეთს მოციქულნი დაგზავნა, დარუბანდელ ფათალი-ხანსა და ერეკლეს შორის მტრობა კვლავ გააღვივა; ერეკლის ხანი განგვიყენა, განჯელ მაჰმად-ხანსაც ჩვენი ურხოზა შეაგონა... უფალი რომ არა, ხვალ ან ზეგ, ბაქარიშვილი ალექსანდრე დალესტანს გადავა... ფათალი-ხანის საშურალი სტუმარიც შეიქნება და მისის შემწეობით, ერეკლეზედ ლაშქრობის მონატრულთაც მრავლად იშოვის — ქართლის თავადებს ააჯანყებს, მერმე ქარ-ბელაქანსაც კახეთზე დასძრავს და... წარღვნის დღეც მაშინ დაგვიდგება!

საყვარელო მოძღვარო ჩემო, ასეთ ყოფაში, რუსეთს იჭით, გზა არსაით სჩანს... ერეკლე ხავს ეკიდება — სამოწყალოდ ხელს ევროპისკენ იშვერს — ლაშქრის შესანახ ფულს ხან ნეპოლის, ხან საფრანგეთის და ხანაც აუსტრიის მბრძანებლებს ამაოდ ევედრება, რადგან იმედად ოდენ ლევან ბატონიშვილი და მისი მორიგი სპაი-ლა დაშთე-

ნია. აწ სახეწარი თქვენთან ეს გვაქვს, რომ მის უდიდებულესობას, იმპერატორიცა ეკატერინეს, თავი ჩვენი მუხლმოყრით შეავედრო, უგანათლებულეს კნიაზ გრიგორი პოტიომკინს მოწყალება შეგონებით ჰკადრო, რაზედაც სახელითა მეფისა ირაკლისა და კათალიკოსისა ჩვენისა ანტონ პირველისა მადლობას წინასწარ მოგახსენებ.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს თქვენსა თანა, ამინ!“

გაიოზი წამოდგა, სარკმლიდან ანჩისხატის ღამეულ ეკლესიას გახედა, მერე მზერა თავის ძველ სამყოფელს, ანუ იმ უბადრუკ სენაკს მიაპყრო, საცა ამ ათიოდე წლის წინათ შშვენიერმა მპარავმა ჭაღმა პორუჩიკ ზეაბულოვს მუნდარი „წაუბილწა“... ის სენაკი ეხლა ნიკო ეგრისელის უდროოდ დაობლებულ ვაქს, სპანას ეპყრა. თავის დუხჭირი ბავშვობა და უამური სიჭაბუკე გაახსენდა, სარკმელს მოსცილდა.

— ნეტა, ის ჭალი, დიასამიძის ასული აიდე თუ იყო? — გაიფიქრა.

34.

სულეიმან ახალციხის ფაშას დისწულმა აიდემ სამეჯლისოდ მორთული თავი თვისი სარკეში ხელახლა შეათვალიერა, მოახლე გოგოს განრიდება უბრძანა და სარკმელთან მისულმა სასახლის კარიბჭეს გადახედა.

ფაშა-სულეიმანს დიდებული სტუმრის მოლოდინში კარისკაცი აღლუმად განემზადებინა. ადრე მობრძანებული ზაალ ორბელიანი, ჭერიმ-ხან ზანდის მრჩევლად-ყოფილი ერვანდ-ევნუში, იმერთა მეფის რწმუნებული თავადი ქაიხოსრო აბულაძე და ერეკლეს სამტროდ რუსეთიდან მობრუნებული ამილახერის ძე ალექსანდრე, ხილ-შარბათით სახელდახელოდ გაწყობილ მცირე სუფრასთან მიეპატივნა.

თაკარა მზე საღამისოდ გადახრილიყო.

მესხეთ-ჩაეახეთში ცხელი, გვალვიანი ზაფხული იდგა.

— ასე უფიქრალად რავა იქნება, ჩე-

მო ბატონო?! — წუწუნებდა ქაიხოსრო, იმერთა მეფის მოციქული. ~~წინა~~ ხანია და, ხვალზეით წელიწადნახევარმა გასრულდება, რაც მკვდარი ბრძანდება; ქსნის ერისთავია და, ლევან ბატონი-შვილმა მახობელა ხორბალივით ხაროში გადაუძახა; სულეიმანია და, ღმერთმა მისი თავი სულ ასე გამართულად მიყოლოს, სტამბოლის უკითხავად ადგილიდან ფეხს ვერ შეიცვლის; სულთანია და, ქუჩუყ-კაინარჯის ზავით, „ერეკლეს ბუზი არ აუფრინო“, იმპერატორიცა ეკატერინას ბაგაზე ყავს მითოკილი; მეფე სოლომონია და, მის ნათქვამს, აგერ, მე თავად მოგახსენებთ...

— მაშ სანადიმოდ ჩამოვსულვართ და ეგ არიო! — ჩაიხითხითა ზაალ ორბელიანმა.

— სწორი ბრძანებაა, მე და ჩემმა ღმერთმა! პაწა წავიხეხსოთ... ბაქარის ძის მობრძანებამდე, ამ ციკქნა ყანწუკათი, ტბილს, ფიჭის ნახადიკ მივაყოლოთ, გულს ეამება! — მოცადურებდა ოჯახის „სიძე-კაცი“, „კოჭიბროლა-აიდეს შეწყალებებისთვის“ სოლომონ მეფისგან გააზნაურებული როსტომა ინასარიძე.

უბერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ამილახერის შვილმა უნებლიედ სარკმელს ახედა — აიდე მზერა თუ იგრძნო!

ასტრახანს ყოფნის მერე არუშანის ასული უფრო ზეიადი და გულჩათხრობილი გამხდარიყო, თვალეშში სიცივე ჩასდგომოდა — განკითხვის დღისთვის ქვეყნად მოვლენილ ანგელოსს ჰგავდა. მისმა სურათივით უძრავმა სახემ ალექსანდრეს „მარკოზაანთ დარბაზი“ და კრწანისის ჭალაში მოკლული ტახი გაახსენა...

მარჯვედ ნაკრავმა ტყვიამ გარეული ტახი მიწას მოსწყვიტა — ზე შეიადო, შეაყირავა... მერმე ძირს დასცა, დაამხო, დაასიკვდილა — დინგით ნიადაგს დაანარცხა...

შელამებისას, მარკოზაანთ ეზო-გალავანს ნანადირევით ხელდამშვენიებული ოთხი მხედარი მიუახლოვდა — ქართ-

ლის ტახტის მამიებელი, ვახტანგ მეექვსის არარჯულიერი ნაშვირი, პაატა ბატონიშვილი; აბდულა-ბეგის მემკვიდრე დავით; აიღეს მამა, არუშან დიასამიძე და... თვითონ!

არუშანის ასული მაშინაც ზევით იდგა — ჰაბუკ ალექსანდრეს აივნიდან გადმოჰკლიმოდა...

— ნეტა იმ დროს! — გაუელვა ამილახვრის ძეს.

მის მერე თხუთმეტმა შავმა წელიწადმა განვლო.

ციხის ქონგურზე ზარბაზანმა დაიქუხა. სულეიმან-ფაშას სტუმრები წამოიშალნენ.

კარისკაცებმა ალაყაფიდან სასახლის კარი-ბუქემდე ფარდაგები განფინეს..

საზეიმოდ მორთულ გალავნის ზღუდეს კარგა მოზრდილი ამალით ხლებული ერეკლეს ტახტის მეტოქე — ბაქარ მეფის ძე, ბატონიშვილი ალექსანდრე მოუახლოვდა. შავ ტაიჭზე მჭდარს ჩოხაც შავი ეცვა — ჩერქეზული — ვერცხლის ქამარ-ხანჯლითა და ვერცხლისავე ძვირფასი მასრებით გალამაზებულთ. ცხენიდან ჩამომხტარს პირველად ახალციხის პატრონი, ფაშა-სულეიმანი მიეახლა.

— პაპისა შენის ვახტანგის ტახტისაკენ უდრეკად მალავს, აწ გზად სულ იავარდი გფენოდესო! — სამჯერ აკოცა.

სეფე-ქალებმა ფარდაგებზე ყვავილები მიმოაპნიეს.

აიღე სარკმელს მოსცილდა.

ჩაყელთა საგვარეულო სასახლეში გამართულმა საიდუმლო „სერობამ“ გვიანობამდე გასტანა.

— დალესტანსა შინა იტყვიან: ერეკლე აღარ დაბერდების, თუ წინათ ერთი იყო, ეხლა ორია, ლევანი და ეგაო! — ააე დაასრულა თავისი სიტყვა ფაშა-სულეიმანმა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

— პირდაპირა ვსთქვათ, ვინ ჩემთანა ხართ და ვინ არაო? — იკითხა ბაქარ მეფის ძემ.

იუტჩეს.

არუშანის ასულს მამაცოცხლებლობამ ზიზლი მოჰკვარა — რიყე გვახსენდა...

ვირზე უკუღმა შესმულ დიმიტრი ამილახვარს ხალხი ხსენსა და ტალახს ესროდა...

ახლოვდებოდა განკითხვის ეამი!

ჯალათნიც იქვე იყვნენ, საზარი ხელსაწყოებიც თანა ჰქონდათ, საკოცონე შემაც აღრევე განემზადებინათ...

მანდატურებმა წრე გაშალეს...

დასასჯელნი ერთმანეთს გოდებით გამოითხოვენ...

მოხუცი თაქთაქიშვილი ბოძზე გააკრეს — ირგვლივ შორები შემოუწყვენს — ცეცხლი შეუნთეს...

პაატა ბატონიშვილი და აბდულა-ბეგის ძე თავთწარსაკვეთად წამოაქციეს...

აიღეს მამას, არუშანს, თვალნი დაუშანთეს...

— ვინ ჩემთანა ხართ და ვინ არაო, თქვენა გკითხავენ! — კივილით წამოენთო აიღე.

ამილახვრის ძემ ხელი უმალ შემართა. თანხმობის ნიშნად ზაალმაც იგივე ჰქმნა...

ერვანდ-ეგნუჰიც მათ ნებას დაჰყვა... იმერთა მეფის რწმუნებულმა თავადმა აბულაძემ და სულეიმან-ფაშამ კვლავ თავშეკავება ირჩიეს.

ამილახვრის ძემ ის ღამე აიღეს საწოლში გაატარა.

არუშანის ასულმა საყვარლის მკერდზე ნათლობის ჯვარი და მტკიცედ დაგმანული მცირე რამ შუშა მოიხილა...

— რა არისო? — ცნობისწადილით იკითხა.

— იმა სოფლისკენ მიმავლისთვის კარგი საგზალი არისო. — მიუგო ალექსანდრემ.

— მისახსოვრეო. — შეევედრა ქალი. კვლავ ერთმანეთს ჩაეხვივნენ.

35.

ახლადაგებულ ფორტების „დასახედად“, მოზღოკიდან ცა-ვედენოსკენ და-

ძრულმა „კავკასიის ხაზის“ განმგებელმა, გენერალმა პავლე სერგის ძე პოტიომკინმა, მისივე „გამომახებით“ თბილისიდან სასწრაფოდ ჩამოსული დოქტორი იაკობ რაინეგსი, თერგისა და არლენ-მდინარის შესართავთან საღამისოდ გაშლილ მცირე კარავში მიიღო.

— ჯერ კიდევ შარშანწინისწინ, თქვენო აღმატებულება, — მოახსენებდა გერმანელი დოქტორი გენერალს, — ერეკლეს რძალს, ანუ გიორგი ბატონიშვილის მეუღლეს, ქეთევანს, რომელსაც მუხრანიდან თბილისისაკენ სამასიოდღე „მორიგე“ სპა-ჯარისკაცი მოაცილებდა, თავს ხუთასზე მეტი შეიარაღებული მოთარეშე ლევი დაესხა. ქეთევანი მცველებს თვით წარუძღვა, დამხვდურნი სძლია და შინ სრულიად უვნებელი დაბრუნდა. ამ ამბის გამო ერეკლემ გამარჯვებული რძალი თვისი უდიდესი პატივით მოიკითხა, მის საამებლად, ქალაქი ჩირალდნებით გააკაშკაშა და მეციხოვნეთა ზარბაზნების დაცლა უბრძანა! ხოლო შარშანწინ იანვარში, ლევან უფლისწულის დაუღალავი მაცადინით შექმნილი „მორიგე ჯარი“ მეფემ ერევნის ხანის წინააღმდეგ წარმატებით გამოიყენა. ზემოხსენებული ლუსეინ-ალი-ხანი იოლად დაიმორჩილა და კვლავაც თავის მოხარკედ გაიხადა. თუმცა იმ ხანად ერევნის საქმე ბოლომდე მაინც ვერ მიიყვანა — იძულებით უკან დაიხია, რადგან ქერიმ-ხან-ზანდის შემწეობით პრეტენდენტი ქართლის ტახტისა, ბაქარის შვილი ალექსანდრე, მომხრენი მისნი — ახალციხის ფაშა-სულეიმანი, თავადი ზაალ ორბელიანი, გიორგი ქსნის ერისთავი და სხვანიც, ერეკლეს წინააღმდეგ ქართლს გაბედულად იერთვლებდნენ. „მორიგე ჯარის“ გამოჩენამ აქაც თავისი ჰქმნა — ლევან უფლისწულმა ქსნის ერისთავი დაარბია, მერე დაატყვევა კიდევ და სამარცხვინოდ ხაროში ჩააგდებინა. ზაალმა თავი ახალციხის ფაშას შეაფარა. უკუქცეული პრეტენდენტიც თვალს დროებით მიეფარა... ხალხში ხმა დაირხა — ბაქარის ძის მიმხრობისათვის მეფემ თვით ანტონ კათალიკოსიც შეურაცხყო. მაგრამ, თქვე-

ნო აღმატებულება, ეს ხმა მთლად მართალი არ უნდა იყოს... ერეკლეს შვილი პოტიომკინი რაინეგსს დიდ გულსაყურით უსმენდა.

— განაგრძეთო. — სთხოვა მოუთმენლად.

რაინეგსმა წყალი მოწრუტა.

— იმავე წელს, — განაგრძო მან, — ზაფხულის დამდეგიდან მიწურულამდე ტახტის მაძიებელი ბატონიშვილი ალექსანდრე კავკასიის მთიელთა შორის მოქმედებდა — ლეკებს, ჩერქეზებს, ოსებს და სხვებს, ეგრეთწოდებულ „წყალობის ბარათებს“ ურიგებდა. აი, ერთი იმ „ბარათთაგანი“... — ამ სიტყვებზე დოქტორმა რაინეგსმა საგზაო ხელჩანთა გახსნა, გაჩხრიკა, საჭირო საბუთიც ჩქარა მოიძია და სულმოუთქმელადაც ჩაიკითხა: — „ნებითა ღვთისათა, მე, საქართველოს მეფის ბაქარის შვილმან და მეფისა ვახტანგის შვილიშვილმან, ალექსანდრემ, გიბოძე ესე წყალობის წიგნი შენ — წახელ თავადიშვილს ჯიდას ძეს მახმათს, რამეთუ ის ორმოცდა ათი მარჩილი მე და ჩემმა შვილმა და შვილიშვილმა გაძლიოთ შენ, შვილსა შენსა და შვილიშვილსა, სანამ ჩვენი ოჯახი იყოს. და თუ შენ სამასხურსა და ერთგულებას უმატო, ჩვენც წყალობა და ჯამაგირი არ მოგაკლოთ და მოგიმატოთ კიდევ. დაიწერა ქუთაისის. აგვისტოს რვას. წელსა ათას შვილას სამოცდაცხრამეტსა. ალექსანდრე“. — რაინეგსმა „წყალობის ბარათი“ ჩანთაში ჩააბრუნა. — წელს კი, აგვისტოს დამდეგს, — განაგრძო მან, — როგორც გვაუწყეს, ბაქარის ძე და ათას შვილას სამოცდაცხრამეტის შვილიშვილები მონაწილეობისთვის ერეკლეს მიერ ცხვირწაკეთილი ვოლტერიანელი მიწერალი ალექსანდრე დიმიტრის ძე ამილახოროვი იმერეთს ჩაივლნენ, რათა იქაური მეფისათვის დახმარება ეთხოვათ, მაგრამ იმერეთა მეფე სოლომონმა უარით გაისტუმრა, რადგან ერეკლესთან უკვე შერიგებული იყო. შემდგომ ამისა ტახტის პრეტენდენტი და მისი დამქაში დიგორს ვადვიდენ — რაჭა და ოსეთი ხელახლა დაიარეს — გზა და გზა, კვლავ

თავკაც ოსებს იერთებულბდნენ. იქიდან ყაბარდოს ჩაალწიეს, თარხიშელ შამხალ ყაბზულათს ეახლენ, თავაურ-თომაშვილებივით ისიც თავისკენ გადბირეს... ხოლო აგვისტოს მიწურულს ყუბა-დერბენდის მფლობელი ფათალი-ხანი შემწეობაზე შეიბირეს.

რაინეგსი ისევ დადუმდა, წყალი დაისხა.

— ლენოს ხომ არ მიერთმევედითო? — ჰკითხა პოტიომკინმა.

დოქტორმა თავაზიანობისთვის მადლობა მოახსენა...

— მაგისტვის როგორ შეგაწუხებთ... წყალსაც არა უშავსო. — გაუღიმა.

გენერალმა ადიუტანტი იხმო, რალაც ანიშნა.

— განაგრძეთ, განაგრძეთო. — თან რაინეგსსაც უთხრა.

— შარშან, მაისის დამდეგს, ლევან უფლისწულის „მორიგე“ ლაშქარი ერევანზე ერეკლემ ხელახლა დასძრა — ლესენ-ალი-ხანი საბოლოოდ დაიმორჩილა, ხარკიც წინანდელზე მეტი დაუწესა. ლატაკი ხალხის მფარველად იმ მხარეში თავისი სიძე, იოანე მუხრანბატონი დაადგინა. გარდა ამისა, თქვენო აღმატებულებავ, „მორიგე ჭარის“ მეშვეობით ლეკთა თარეში თითქმის სრულიად შეწყდა. ხალხისაგან დაცლილი ქვეყანა აღორძინების გზას დაადგა. მისი უდიდებულესობა იმპერატრიცა ეკატერინეს მოწყალე ბრძანებითა და მისი უგანათლებულესობა კნიაზ გრიგორი პოტიომკინის მაცადინეობით, ყირიმს ჩამდგარმა სუფოროვმა რამდენიმე ათასი ტყვე ჭარბველი საშობლოს დაუბრუნა, ამასთან, ვინმე ბერად შემდგარი პოეტის „ამულ საიათნოვას“ შეგონებით ქართლსა და კახეთში ორმოცი ათასი არაფრის მქონე სომეხი ჩამოსახლდა. მადნეულის მოპოვებისა და აბრეშუმის წარმოების საქმეც ფეხზე წამოადგა. ერთი სიტყვით, საწყალი ხალხი ერეკლეს ნაცვლად ეხლა ლევან-უფლისწულის მზეს ჰფიცულობს.

პოტიომკინის ადიუტანტმა, საველე მზარეულმა და დენშჩიკმა, კარავში საუცხოოდ გაწყობილი დაბალი ტაბლა და

წითელი ღვინით საცე ინგულური ვერცხლის სურა შემოიტანეს.

— მწვადს საქონლისას ისურვებთ თუ კლდოვანი ცხერისასო? — იკითხა მზარეულმა.

პოტიომკინმა რაინეგსს შეხედა, მაგრამ სტუმრისგან, მორიდებული ღიმილის გარდა, სხვა რომ ვერაფერი შეისმინა, „საკითხიც“ იოლად გადასწყვიტა...

— ერთსაც და მეორესაც სიამოვნებით გეახლებითო. — ბრძანა... მერე წამით ჩაფიქრდა, სუფრა მოწონებით შეათვალერა, რალაც იაზრა და მიმავალთ კარებში დააწია: — თუ დადგომია, ბარემ ვასილი სტეფანეს ძე ტამარას, საფორტო ნაგებობათა ინჟინერ პოლკოვნიკ ბურნაშევს და მაიორ კამარსკისაც სთხოვეთო!

— არის, ვსთხოვოთო! — თანხმობა მოახსენა ადიუტანტმა.

გენერალი რაინეგსს მიუბრუნდა...

— თქვენ როგორ გგონიათ, დოქტორო, თვით ერეკლე რუსეთის მფარველობისკენ კვლავაც ძველებურად ისწრაფვის თუ სხვა რაიმე, ახალ ჭიმერას ელტვის?

— რა გითხრათ, თქვენო აღმატებულებავ, იგი ამჟამად ლევან უფლისწულის მიერ სანიმუშოდ შექმნილ „მორიგე ჭარის“ საფუძველზე ევროპული ტიპის რეგულარული არმიის ჩამოყალიბებას აპირებს. საამისო სუბსიდიებს, სესხის სახით, რიმანიის იმპერატორისგან და ზოგიერთ სხვა კათოლიკე ხელმწიფეთაგან გამოელის. მათთან გასაგზავნი წერილები, მეფისავე დავლებით, მე თვითონ შევადგინე...

კავკასიის ხაზის, ანუ, როგორც მას იმ დროს უწოდებდნენ, კავკასიის „ლინიის“ განმგებელი, გენერალი პავლე სერგის ძე პოტიომკინი ჩაფიქრდა, „ყოველივე ეს აღმოსავლელი მბრძანებლის ჩვეულებრივი ფანდიაო“ — გაიფიქრა, ხმამაღლა კი მხოლოდ ესა სთქვა:

— სამწუხაროა, მაგრამ საცხებით ნათელია, რომ ერეკლე, დღეს თუ არა ხვალ, ბრმა ფოცხვერივით მახეში გაებმება... სამაგიეროდ ყუბა-დარუბანდის მფლობელი ფათალი-ხანი, ბაქარის ძეს-



თან კავშირით, დიდ გამოჩენას ანუ, ერეკლეს მომხრე იბრაჰიმ-ხანის დამხობას, თაერიზ-აზერბაიჯანის დამორჩილებას და, ალბათ, თუ ქართლის ტახტი ბაქარის ძემ დაინარჩუნა, ირანის შაჰობასაც გამოეღის...

კარვის კალთასთან, პოლკოვნიკი ტამარა, საფორტო ნაგებობათა ინჟინერი პოლკოვნიკი ბურნაშევი და მათორი კამარსკი გამოჩნდნენ.

— შეიძლებაო? — მოწიწებით იკითხა ბურნაშევი.

დაღამებულყოფილ თერგ-არლუნის შესართავთან, ქალაში, კოცონი ბრიალებდა...

ვილაც სალდათი გარმონიკას წელავდა...

პოტიომკინის კარავს თავს კავკასიონის ზეიადი მწვერვალები წამოდგომოდნენ...

36.

სხალტბის ნანგრევებზე, ქულა-ქულად ჩამოძენძილ თოვლს ზედ ახალიც დასდებოდა, დაჰმატებოდა.

მორიგე სპისთვის საშობაო საჩუქრებით დატვირთულ ურემებს ხვარამზე-ქალი მდინარე ნარეკავის შესართავთან შემოეგება, სამთავე ბალღიც თანა ჰყავდა — მორჩილნი, საყვარელნი, დედის გამგონენი — სათრიალა ურიაკში მოზერებოვით შებმულნი.

ურიაკზე ლევან ბატონიშვილისთვის მისართმევი თავჩაფენილი კალათი და ტუჩ-მოჭურჩლული ღვინიანი კოკელა იდო.

— ჰაი, ხვარამზე, ხვარამზე!.. მე რომ ღმერთისა ვყოფილიყავ, ცისკიდეზედ ანგელოსად დაგაყენებდიო! — გული ამოუჭდა ბეჩუას, მეურმეთა წინამძღოლს. — აბა, შენ რა გაქვს, საცოდავო, რო სხვისთვისაც გემეტებაო?!.. — ესეც დაუფარავად სთქვა და ურემთან მომღვარ დედა-შვილს ზე-შეწეული კალათი სიმალით ჩამოართვა.

— სხვა რას მიქვია, შე მართლა ბეჩო, შენა?!.. — „საყვედურით“ შეესიტყვა ხვარამზე, — შეილია. ჩემს ჩავ-

რულ ოჯახს ნუგეშად ეგ ერთი-ღა უღვალი!

— მარტო შენსა, ჰა?.. მარტო შენსა?!.. — ხმა ჩაეცრემა, ბეჩუას, — არა, მამისა სული ნუ წამიწყდება, ეგრევე ვეტყვი. მუხლს მოუღრეც და ვეტყვი: უფლისწულო ბატონო, ქვეყნის ქირვარაში ჩამდგარს ღმერთმა დიდი დღე მოგცეს, დედაშენმა და შენმა ძმებმა მოგიკითხეს-თქო!

— ჰო, ეგრე უთხარ, შენმა პატარა ძმებმა-თქო! — წაახალისა ხვარამზემაც. ბალღებს თვალეზი გაუბრწყინდათ.

— ვეტყვი, მაშა!.. სწი, ხარო, შე გასახარო! — შოლტი გადაუქნია ბეჩუამ ახლადგამოქნილ მოზერებს. — თვით დაიკლეს და შენ შემოგმატეს-თქო, ამა-საც ვეტყვი...

ურმის ბორბლებ-ქვეშ თოვლი კვლავ აჭრიალდა...

— თავს გაუფრთხილდი-თქო, უთხარ! — დაადევნა ხვარამზემ.

ნათლისღების ყინვები თოვამ შესცვალა.

გრძელი და მოსაწყენი ზამთარი გაზაფხულის სიახლოვეს აღარაფრად აგდებდა — მძვინვარებდა — ქვეყანას ხშირი ფანტელით აბნელებდა.

ერეკლეს მიერ საგანგებო დავალებით რუსეთს წარგზავნილმა არქიმანდრიტმა გაიოზმა მოძღვარი თვისი, ბოლოიაველნიის მონასტრიდან ბერ-მონაზონთა ლოცვა-კურთხევით გამოსტუმრებული მიტროპოლიტი მოსკოვისა, ტვერელი არქიეპისკოპოსი პლატონ ლევინი საშორიგზოდ გამართულ მარხილამდე მოკრძალებული ბაასით მიაცილა და ეიდრე მსახურნი უფლისანი მიტროპოლიტის ბარგს მარხილში აბინავებდნენ, მოციქულმან ერეკლესამან „ქართლოსიანთა სატყევიარი“ მოძღვარს ხელახლა შეახსენა.

— თქვენო ყოვლადუსამღვდელოესობავ, ბედი ქვეყნისა ჩემისა, ღვთის შემწეობით, ეგებ მისი უდიდებულესობა მოწყალე იმპერატრიცისაგან თქვენმან აღდიენციამ საბოლოოდ გარდასწყვიტოს და „ჰომან“ მისამან მზეი საქართ-



ველოსა ჩრდილოთაგან აღმობარწყინოს, ხოლო „არამან“ უღმობელმან — საუკუნოდ დააბნელოს და წყვედიანა შინა დანთქანს. ამიტომაც, ქრისტესა მიერ ძმად და მოძღვარო ჩემო, არა მეფისა მხოლოდ ირაკლისა, არამედ ერისა ჩემის ბედკრულისა ხმით გვედრებდი, რომ ნუცა სიტყვასა და ნუცა ცდასა შენ მიერსა საქმესა ამას ნუ-ლა დააკლებ, რათა თვითმპყრობელმან სრულიად როსიისამან, ხელმწიფამან ეკატერინემ დედობრივი მფარველობა ჰყოს ჩვენსა ზედა და ტახტი ქართლისა კვლავ ერეკლეს დაუნარჩუნოს. ვინძლო, თუ ძემან ბაქარ-მეფისამან სკიპტრა ხელთ იგდო, ფათალი-ხანიც თავრიზ-აზერბეიჯანს ბრძყალს ჰკიდებს, თან ირანის შაჰობასაც ფიცხლივ მისწვდება და ქართლსა თუ კახეთს კვლავაც სპარსთ ხელქვევით მოაქცევს. მერმე აღარც ოსმალო დაახანებს, მხარ-წარკვეთილ იმერეთს ძველებურად მძიმე უღელს დაადგამს და ვითარცა სამცხე, სრულიად საქართველოც აღდგომის ნაცვლად, კვლავ გენიასა შინა მთავრების... მოძღვარო ჩემო, მე, მომლოდინე უზენაესის სამართლისა, ყოველ ცისმარე დღეს შენთვის ლოცვაში დავალამებ და სულგრძელობასა შენსა ივერიის ღვთისმშობელს კვლავაც გულწრფელად შევავედრებ... გამომშვიდობებისას ლევონმა გაიოზს ჭვარი გადასახა, ცას ახედა — ზესკნელისკენ ლოცვა ჩურჩულით აღავლინა, მერმე ანაფორის კალთები აიკრიფა და არქიმანდრიტის ხელშეშველებით, ყარყუმის ჭუბამოსხმული, მარხილში ჩაესვენა.

საადროდ შეფუთვნილი, სამცხენიანი მარხილი პეტერბურღისკენ დაიძრა — ხშირ ფიქტში გაუჩინარდა...

არქიმანდრიტი გაიოზი და მიტროპოლიტის გასაცილებლად გამოფენილი შაოსანი ბერ-მონაზვნები ბოლოიავლენიის მონასტერში შებრუნდნენ.

თოვდა...

გრძელი და უსამანოდ მოსაწყენი ზამთარი გაზაფხულის სიახლოვეს არაფრად აგდებდა — მძინვარებდა — ლათის ნებით ნათელშემატებულ ქვეყა-

ნას კვლავ ხშირი ფანტელით აბნელებდა...

— ზამთარიო... — გაკვიოდა ყარაღლანთ აღმასხანი, მომღერალთა შორის უპირველესი...

— ზამთარი ვარდასა დააქცნობს, ფურცელი ჩამოსცივიაო... — ტოლს არ უგდებდა ყარაღლანთ დათანთ ხრაკუნაი — ლერწამივით ყელ-ყელა ბიჭი...

თოვდა...

ვეჯინში, იოანე აბაშიძის ოჯახში ქორწილი იყო — მამა-პაპური, მადლიანი ქორწილი.

შეზარბოშებულმა ლევან უფლისწულმა ცერზედ დაწრტილი ყანწი ჭიხვისა სვეჩინს გადაუგდო.

— დაუკარიო! — გასძახა მესაკრავეებს და ასათ ვაჩნადის მშვენიერი მეუღლე საცეკვაოდ სუფრაზე გადმოახტუნა...

ლხინი გადიდდა, გაიშალა...

მაკტერალნი კარ-ფანჯრებს შემოაწყდნენ — ლამის იყო და... დარბაზსაც ჭერი აეხადა!

— ღმერთებივითა ცეკვავენო! — აღმოხდა გარსევან ჭავჭავაძეს.

— ეგ სითამამე ომსა შიგან მისაბაძად ხამს, ლხინისა კი რა მოგახსენოო. — აიმრიზა ასათ ვაჩნაძე.

საღამოვდებოდა.

ცივ-გომბორიდან წამოყრილი არხილი ჭარს ბარისაკენ ჩამოჰქონდა.

ცეკვა გახურდა.

— ღმერთებივითა-მეთქი! — ველარ ფარავდა აღტაცებას თამადა — გარსევანი.

ეშხმა და ხოშმა მესაკრავენიც წამოაყენა.

აბა, იმ ბობოქარ ლხინსა და სიხარულში ვინ იფიქრებდა, რომ ამომავალ მზის მორბედი შუქურ-ვარსკვლავი ცის კიდეს აწ ველარასოდეს შეაბარწყინდებოდა — განთიადამდის ჩაქრებოდა, ჩანავლდებოდა...

მრავალჭირგანცდილი ქარმაგი მეფე დარეჯან-დედოფლის შემზარავმა კივი-

ლმა გამოაღვიძა — საწოლი უმაღლვე
მიატოვა — სარკმელს მიეჭრა — სასახ-
ლის ზღურბლზე ჩირაღდნებით გარს-
მორიდული საყავე და ზედ მწოლიარე
ლევან უფლისწული რომ შეიცირო, მუ-
ხლი წაუხდა — ჩაიქცა, ჩაიქცა...

— აჲ ველოდიო, — ამოიხროტიანა...
ხახახა თოვლით გადალესილ ალაზ-
ნის ქალას ის დილა ზარების სამგლოვი-
არო გუგუნში დაათენდა...

ლევან უფლისწულის ფარსაგად მი-
ცვალუბის ამბავი გაიოზმა ანა ქაიხოს-
როს ასულისგან შეიტყო.

პარილის მიწურული იდგა, ლევანი-
ნის მოლოდინში „პეტრე-დიდის სამხე-
დრო არტიკულის“ თარგმნით გატაცე-
ბულ გაიოზს, „საკვირადღეო იარმურ-
კიდან“ ბოლოიავლენიის მონასტერში
მობრუნებულმა მამა ავსენტიმ ფარა-
ტინა ქალადი გაუწოდა.

— მისი უგანათლებულებობა, მეფე
ვახტანგის ძმის ასული, ცარევენა ანა-
ბეგუმ ხოსროვანა ბაგრატიონი თავისთან
გიხმობს. — აუწყა.

გაკვირვებულმა გაიოზმა ბარათს და-
ხედა, ხელთნაწერიც იგივეს შეტყველებ-
და...

ვახტანგ მეექვსის უფროსი ძმისა და
ანტონ კათალიკოსის ბიძის ქაიხოსრო
ლევანის ძის აწ ღრმად მოხუცებული
ასული, „ცარევენა ანა“, გაიოზს მხო-
ლოდ ერთხელ ჰყავდა ნანახი, ისიც ამ
ათიოდე წლის წინათ, როდესაც მოს-
კოვის გავლით პეტერბურგს მიმავალმა
ერეკლეს ელჩებმა, კათალიკოსმა ანტონ-
მა და ლევან უფლისწულმა, „ცარევენა-
ნას“ მოსაკითხად გაიოზიც თან წარი-
ტანეს. ამიტომაც ანა-ბეგუმ ქაიხოს-
როს ასულისაგან ესდენ მოულოდნე-
ლი „მიბატიყება“ არქიმანდრიტს ავად
ენიშნა.

— ცარევენამ სადა განახა? — ჰკითხა
ბარათის მომტანს.

— იარმურკიდან მონასტრისკენ მო-
მავალს მისი მსახური წამომეწვია, ვინა-
ობა მკითხა და ბარათიც მანვე გადმო-
ცაო. — მიუგო ავსენტიმი.

გაიოზმა თარგმანს თავი მიანება,

„პეტრე-დიდის სამხედრო არტიკული“
და საყუთარი ხელთნაწერი გარდასმნი
შეინახა.

— იმ მსახურისგან ავი ხომ არაფერი
გენიშნაო? — ახლა ეს ჰკითხა ავსენ-
ტიის.

სულიერმა ძმამ მხრები აიჩეჩა.

— ლეთის წყალობით, მგონი არაფე-
რიო... — ჩაფიქრა.

ნაქირავეები ეტლი გაიოზმა ბაქარ მე-
ფისეულ სასახლესთან შეაყენებინა, მე-
ეტლეს გასამრჩელო მომჭირნელ ჩაუთ-
ვალა ალაყაფს მიმდგარმა, კარსზემთ
ჩამობმული ექვნები მორიდებით დააქ-
ლარუნა.

საკვრეტელში კარისკაცმა გამოიხედა
— კარს რაზა აპყარა.

— ვინა ბრძანდებაო? — იკითხა.

ცარევენა ანასაგან ხმობილი, არქიმან-
დრიტი გაიოზი გახლავართო. — განუ-
მარტა სტუმარმა.

შავით მოსილმა მოახლე ქალმა გაიო-
ზი ჭერ ტალან-ტალან ატარა, მერე
რომელიდაც ბნელ სენაკში შეიყვანა
და მცირე მაგიდასთან მიდგმულ ზურგ-
მალალ ხმელ სკამზე მიუთითა.

— აქ დაბრძანდითო. — სთხოვა.

ბაქარისეული სასახლე არქიმანდრიტს
ამჭირად მეტისმეტად ცივი და უსიკო-
ცხო ეჩვენა. სენაკი უნდოდ მოათვა-
ლიერა, ჩამოჯდა...

— ცარევენა ანა ხომ ჭანმრთელად
ბრძანდებაო? — იკითხა.

— ცარევენა შეუძლოდ გახლავთ. მი-
ბრძანა ჭართველ არქიმანდრიტს ეს წე-
რილი უჩემოდ წააკითხო. — მოუგო
ქალმა. მერე გაიოზს სანთელი მაგიდა-
ზე დაუდგა და ბეჭედახსნილი წერლიც
შუქქვეშ გაუშალა.

გაიოზმა ქალადს დახედა. გაფითრ-
და, სახეზე მწიწიფერი გადაეკრა...

„უგანათლებულებსა მეფის ასულს
ანა ხოსროვნას. ყოვლად საყვარელო
დაო ჩემო, ჩემს მოხუცებულობაში ჩე-
მის ცხოვრების განუმარტებელ მწუხა-
რებას შემოგტირი. ჩემი ყოვლად მშვე-
ნიერი ყვავილოვანი წალკოტი და უსათ-

ნოესი კვიპაროსი ლეონ მიიცივალა. ზრწნილებიანა მძინეარე მანგლით მოიმანგლა. უსატრფიალესი იგი კვიპაროსი უბადრუტობისა ჩემის ცულით მოიკეთა, მოსცილდა მეფობასა ყოვლად განუკვეთელი იგი სიმტიციე, დაილუწა საქურველი ქართველთა და შემუსრვად მტერთა ჭვარისათა არღარად სახმარ იქმნა! განქარდა ყოვლად განსაკვირველი იგი სიმხნე, საბავთო იქმნა ყოვლად სამულაზრო იგი სიჭაბუქე, აღივსო გლოვითა ყოვლად სიბარულოვანი იგი სასძლო, მწუხარებამან დაუპყრობელმან მოიცივა უმაღლესი იგი პალატი მშობელთა და ამით დასცხრა სიბარული იგი ჩემისა აქიისა ცხოვრებისა.

ლეონ ნიადგ განსაკვირვებულსა შინა წარმატებასა აღმატებოდა. თვითონსა შინა წელიწადსა მტერთა ზედა მრავალჭერ ძღვეით იდიდა. ვკგონებ, რომ მისთანა ყმაწვილი ამ ქვეყანაში არ ნახულ იყოს, არცა სიმხნესა და მამაცობასა, არცა გონიერებასა შინა და თვისისა მამისა და სახლისა და ქვეყნის სამჯობინაროსა გამორჩევასა შინა, არათუ ყოველ წელიწადს ოჟენ, ითქმის რომ ყოველსა თვეს უკეთესობასა შინა აღვიდოდა. დუშმანნი ერთმანეთს ეუბნებოდნენ, ერეკლე აღარ დაბერდებო, ისეთი სხვა ერეკლე გამოჩნდა, რომ ერეკლეს წინააღმდეგობა აღარავის შეუძლიათ... აქამდე ერთი იყო და ეხლა ორი ერეკლე არისო!.. ამაზე დიდად განკვირვებულ ვარ, რომ შვიდს-რვა წელიწადში რამდენჯერ ვნახავდი, თავის მამის სახლისა და ქვეყნის სამჯობინარის სიკეთე დღითი-დღე ლეონს ემატებოდა. დაასარულს, ჩემის მწუხარების უძნელობას, ამას მოგახსენებ, რომ მეფემ ინება და აქ, სადაც მე ვცხოვრობ, ამ ჩემს ეკლესიაში დადევს ლეონ და ლეონის გამზრწნელ საფლავს ნიადგ თვალით ვუყურებ. ჩემი სიტყვებზე წაიღო ამ მწუხარებაჲ“.

ანტონი. კათალიკოსი საქართველოსა.

შემზარავი ეპისტოლე ესე ათას შვიდას ოთხმოცდაორი წლის ექვს აპრილს, სააღდგომოდ იყო დაწერილი.

— ვაი, ამნაირ გაზაფხულსაო! — აღმოხდა გაიოზს.

მერმე ყველაფერი გეზინა მისისა გარეშე წარედინა — აღარ ახსოვდა როდის ან როგორ მიატოვა ბაქარიეული სასახლე, აღარც ის ახსოვდა როგორ მიაღწია ბოლოიაგლენის მონასტერს...

სად-ლა მიდიოდა?!..

რად-ლა მიდიოდა?!..

თვალწინ მარტოდენ ბარბაროსთაგან აოხრებული მამული და თავისი ქვეყნის სვე-დაქცეული მომავალი უტრიალებდა — შემამარწუნებელ სანახავს სხვა, უარესად შემამარწუნებელი, აპოკალიპსური სანახავი სცელიდა...

...ლევიან-უფლისწულის სამარეზე უნუგემოდ დამხოზილი, წვრილშვილიანი ზეარამზე-ქალი...

...იავარქმნილი ანჩისხატი და სასულიერო სემინარია...

...შკოლის კარებთან განგმირული საბანა-ბიჭო...

...ახტალის დანგრეული საბადოები...

...ლეკთაგან მოკლული ხუდია ბორჩალოელი...

...შავითმოსილი, მოტეხილი ჭარმაგი მეფე...

...დავრომილი კათალიკოსი და ისევ უფლისწულის საფლავზე დამხოზილი ზეარამზე-ქალი...

გათენებისას, მთლად გათოშისა და უსაზღვრო მწუხარებით აღსავსე გაიოზს, სენაქის კარი ძმა ავსენტიმ გაუღო...

— რა მოგსვლიათ?! — შეიცხადა...

სიციხით გათანგულ არქიმანდრიტს, ძმა ავსენტიი სამ დღესა და სამ ღამეს სასთუმალიდან არ მოსცილებია. ავადმყოფი შფოთავდა, აბოდებდა — მოსწამლავდენო, სწუხდა.

37.

მისი უგანათლებულესობა კნიაზ გრიგორი პოტიომკინის საგანგებო მოციქულს, ლეიბგვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის პორუჩიკს თავად ნიკიტა რაევსკის, სამცხენიანი სამხედრო ეტლი დაბა გეორგიევსკისკენ მიაქროლებდა...

წმ. გიორგის სახელობაზე აგებულ ციხე-სიმაგრეში კავკასიის ხაზის განმგებლის გენერალ-პორუჩიკ პავლე სერგის ძე პოტიომკინის შტაბ-ბინაზე, საცა მისივე მოწვევით კავკასიის ხაზის თითქმის ყველა ოფიცერი შეკრებილიყო, გაურკვეველობა და ერთგვარი დაბნეულობაც კი სუფევდა.

— თქვენო აღმატებულება, — მოახსენებდა პოლკოვნიკი ვასილი სტეფანეს ძე ტამარა პოტიომკინს, — როგორც ცნობილია, ბატონიშვილი ლეონ ერეკლეს ძე ფრიად საიდუმლო პირობებში გარდაიცვალა. პოდპორუჩიკ სვეჩინისაგან მიღებული პატაკის მიხედვით, უფლისწული კახეთის სოფელ ვეჯინში, თავად იოანე აბაშიძის ოჯახში გამართულ ქორწილზე ყოფილა მიპატივებული. ლხინის დროს ბატონიშვილს მეზობელი სოფლის მებატონის, ასათ ვაჩნაძის ახალგაზრდა ცოლი მოსწონებია და ისეთი სითამამე გამოუჩენია, როგორც სასიქადულოდ მხოლოდ ბრძოლის ველზე თუ გამოდგება. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაჩნაძის მეუღლე სუფრიდან აუყენებიათ და სოფელ კარდანახისკენ გაუპარებიათ. შეზარხოშებული ლეონი მას უკან დასდევნებია; ქალს ეს თავის ღირსების შეურაცხყოფად მიუღია და ვაჟისთვის მუცელში ხანჯალი ჩაუტია. დაჭრილი ბატონიშვილი ვეჯინში დაბრუნებულა, მასპინძლის კოშკში დაწოლილა და იმ ღამესვე გარდაცვლილა. ძნელია იმის თქმა რამდენად სწორია ეს რომანტიკულად შეფერადებული ამბავი, მით უმეტეს რომ, ბოროტი ენები ლეონის მკვლელობას მისსავე ძმას, მეგვიდრე ბატონიშვილს გიორგის აბრალებენ. ხოლო სხვა ცნობით, ლეონ უფლისწული, ალექსანდრე ბაქარ-მეფის ძის მომხრეებმა ღვინოში გარეული შხამით მოსწამლეს... საყურადღებოა ისიც, რომ უფლისწულის ბნელით მოცულ წარდგომას სხვა ტრადედიაც მოჰყვა; ლეონის გვამი ჯერ გაციებულიც არ იყო, რომ კახეთის ყმა-გლეხებმა თავიანთ მებატონე, შერმაზან აფხაზი სიცო-

ცხლეს გამოასალმეს! წინასწარი გამოძიებისას მკვლელებმა განაცხადეს: აფხაზი ლეონ უფლისწულის მოწამელისათვის მოვკალითო. ეს საქმე, მისი დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გამო მსაჯულთა საკრებულომ გაარჩია, რომელშიაც რვა მდივანბეგი მონაწილეობდა. შერმაზან აფხაზს სასამართლომ მოწამელის ბრალდება მოხსნა, ის ამ საქმეში ყოვლად უბრალოდ მიიჩნია... შთაბეჭდილება რჩება, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარმა, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, ლეონ ბატონიშვილის მკვლელობის საქმე განგებ მიჩქმალა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნიჭიერი უფლისწულისა და ეგრეთ წოდებული მორიგე ჯარის მეთაურის უცბებდი გარდაცვალება საგრძნობი გახდა არა მარტო ქართველთა კეთილის მსურველთათვის, არამედ მათი მტრებისთვისაც. ახალციხის მბრძანებლის ფაშა სულეიმანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხუცებულობის ეამს ერეკლე-მეფეს საქართველოსთვის ერთი საფარველი ჰქონდა, რომელსაც ოთხივე მხრიდან იფარებდა და აწ ეს შემწეც მოეშალა!“ რაც შეეხება მორიგე ჯარს, ლეონის წარდგომის შემდეგ იგი თანდათან გაიფანტა... არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეუცვლელი მეთაური დაჰკარგა, არამედ იმიტომაც რომ, როგორც მსხვილმა, ისევე წვრილმა მებატონეებმა იგი თავიანთი პრივილეგიების შექვეც ძალად მიიჩნიეს... მორიგე ჯარის დაშლამ, თქვენო აღმატებულება, ერეკლე ფრიად საეაღალო მდგომარეობაში ჩააყენა — ლეონა თარეშის განახლებასთან ერთად, ქართლის თავადებმა, ალექსანდრე ბაქარის ძისა და დარუზანდელ ფათალი-ხანის კოალიციამ, რომელსაც ადრე თვით ბაქუნინიც ემხრობოდა, ქართლ-კახეთის სამეფო განუღმადგელი საფრთხის წინაშე დააყენა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, პირადად მე და ყველა კეთილშობილ რუს ოფიცერს ერეკლეს მარცხი ქართველი ხალხის დაღუპვად ანუ მაჰმადიანური გარემოცვის გამარჯვებად და მთელს კავკასიაში ჩვენი გეგ-

მების განმქარწყლებელ ფაქტორად მი-
მაჩნია...

რაევსკის ეტლი გიორგის ციხე-სიმა-
გრესთან შეჩერდა.

— მისი უგანათლებულებსობის, მსუ-
ბუქი კავალერიის და სხვა სამხედრო
საღია განმქარგულებლის, სენატორის,
სამხედრო კოლეგიის ვიცე-პრეზიდენ-
ტის, მისი უდიდებულესობა იმპერატ-
რიცა ეკატერინე მეორის გენერალ-
ადიუტანტის და მოქმედი კამერპერის,
კავალერ-გვარდიის პორუჩიკის, ლეიბ-
გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის
პოდპოლკოვნიკის, სასაქურველო ხელო-
ვნებათა პალატის უპირველესი მთავ-
რის, ანდრია წმიდა მოციქულის; ალექ-
სანდრე ნეველის, სამხედრო წმიდა მო-
წამისა გიორგის, მოციქულთა სწორის
წმიდა ვლადიმირის დიდთა ჭვართა,
პრუსიის შავისა და პოლშის თეთრი არ-
წივის, შვეციის სერაფიმთა, დანიის
სპილოს და პოლტინიის წმინდა ანნას
ორდენთა კავალერის, გენერალ-ანშეფ
კნიაზ გრიგორი ალექსანდრეს ძე პოტი-
ომკინ-თავრიელის პირადი მოციქული,
პრეობრაჟენსკის ჰუსართა პოლკის პო-
რუჩიკი თავადი ნიკიტა ნიკიტას ძე რაე-
ვსკი დაუყოვნებლივ თქვენთან შეხვედ-
რას ითხოვსო. — მღელვარებით მოახ-
სენა ადიუტანტმა კავკასიის ხაზის განმ-
გებელს.

ყველანი წამოიშალნენ...

ამასობაში რაევსკიც შემოიჭრა —
სმენაზე მდგარ ოფიცრებს მხედრულად
მივსალმა და რალაც უთქმელის მოლო-
დინში ქანდაკივით გაიჩინდა...

გენერალი წადილს იოლად მიუხედა...

— მცირე ხნით თავისუფალი ბრძან-
დებითო. — განუცხადა სათათბირო პა-
ლატში მყოფთ და როცა ყველანი განი-
კრიფნენ, ადიუტანტს კარის გახურვაც
ანიშნა.

გენერლის პირისპირ მარტოდმთენი-
ლმა რაევსკიმ უბიდან დაბეჭდილი პა-
ეტრი ამოიღო...

— გთხოვთ, ბატონ ოფიცრებს ჩემ-
გან ბოდიში მოუხადოთ. — ჩაილაპარა-

კა და მიუხედა ესეც დაუშატა: —
თქვენდამი პაეტის გადმოცემა უნაზი-
საგან საიდუმლოდ მაქვს დაწვალბუ-
ლი...

კავკასიის ხაზის განმგებელმა დაბე-
ჭდილ კონვერტს ლუქი მოუთმენლად
ააცალა...

„უზენაესი მითითებანი ანუ რუსეთ-
საქართველოს ურთიერთობათა საფუძ-
ველი. გრაფ ა. ა. ბეზბოროდკოს მიერ
კნიაზ გრ. ალ. პოტიომკინთან წარგზავ-
ნილი ათას შვიდას ოთხმოცდაორი
წლის დეკემბრის თვეს. — თვალთ ჩა-
იკითხა მან და ყურადღების მოსაკრე-
ბად მაგიდისკენ შებრუნდა, სავარძელ-
ში ჩაეშვა, ჩამყუდროვდა. — მისი
უდიდებულესობა იმპერატრიცა ეკატე-
რინე მეორის აზრი ზემოხსენებული
ურთიერთობის შესახებ ასეთი გახლავთ,
— წერდა კანცლერი, პირველი: თქვენი
უგანათლებულესობის მეშვეობით ქართ-
ველ მეფეებთან (ერეკლესთან და სო-
ლომონთან) დაიღოს სამოკავშირო
ტრაქტატი, საცა ისინი მოხსენებულ იქ-
ნებიან არა როგორც ქვეშევრდომნი,
არამედ როგორც მოკავშირენი.

მეორე: არავითარი ფულადი გადასა-
ხადი მათგან მიღებულ არ უნდა იქნას
და არც ნახევარი ლითონთა და მინერა-
ლთა, არამედ ყოველივე ქართველ მე-
ფეთა სასარგებლოდ დარჩეს. დასაშვე-
ბია მხოლოდ აბრეშუმის, ლვინისა და
ბედაურების მიღება.

მესამე: თქვენი კეთილი ნებისამებრ
დაენიშნოს მათ ფულადი სუფსიდიცა მხე-
დართა რაოდენობის მიხედვით ომის
შემთხვევაში, ხოლო საწყისისათვის —
ის თანხა, რასაც თქვენი უგანათლებუ-
ლებსობა მიზანშეწონილად მიიჩნევს.

მეოთხე: უარყოფილ იქნას მათი ყო-
ველგვარი ნაცლობა რიმანიის იმპე-
რატორთან და ევროპის სხვა სახელმწი-
ფთთა განმგებლებთან, რამეთუ ისინი
შეპირებულ არიან არ ჩაერიონ ჩვენი
აზიელი მეზობლების საქმეებში. ანუ
ალარც რაიმე მიმოწერა რიმანიის იმპე-
რატორთან ქართველმა მეფეებმა მომა-
ვალში აღარ იქონიონ.

მეხუთე...

საკმელს მიმდგარი რაევსკი, პასუხის მოლოდინში, ჩამავალი მზით შეფაკლულ ბეშთაუს ანუ იმ ხუთწევროვან გოლიათ მთას გასცქეროდა, რომლის გვერდითაც უკვე ჩაბნელებული დაწარჩენი მწვერვალები დიდი ბატონის წინაშე თავმოდრეკილ ვასალებს ჰგვანდნენ...

— საქმეც ამასა ჰქვიან — ეღარ დაჭარა მღელვარება კავკასიის ხაზის განმგებელმა.

ახალციხის ელჩის მობრძანება ვათალი-ხანს საიგაზე ნადირობისას შეატყობინეს — სწორედ მაშინ აუწყეს, როცა მისგან ტყვია-ნაკრავმა საბრალო ვაცმა ჭარვისფრად შეფერილი გამჭვირვალე მაღალი რქები კასპიის ტალღებში ჩაასველა და ჯოგს გამოკლებული, ზღვისპირა ლაშში უსიცოცხლოდ ჩაეფლო, ჩაიღვქა...

— სულემან-ფაშას დისწული აიდე-ხანუმ შენს ხილვას ეშურება! — ცხენდაცხენ მოახსენა ასისთავმა ნადირის მოკვლით გახალისებულ ხანს.

დარუბანდის მფლობელმა ხელი ზეშემართა — მესაყვირებებს ნადირობის დასრულება ამცნო და ვიდრე მარეკნი მოკლულ საიგას ლამიდან ქამანდით გამოათრევდნენ, თვალით ბაქარის ძე ალექსანდრე და ამილახვრის შვილი მოსძებნა...

კასპიიდან წამოსული ჯანდი მიდამოს უჩინარს ხდიდა.

თვით თავარა მზეც ცილაში გამოხვეულ კვერცხის გულს ემსგავსებოდა...

38.

ფათალი-ხანის სანადირო კარავს ნადარცვი სიმდიდრისა თუ ველური ფუფუნების ყავლი დასდებოდა. კარავში ხუთნი იყვნენ: ახალციხის ელჩი სულემან-ფაშას დისწული აიდე, ახლადგაზნაურებული ქმარი მისი ინასარიძე, დიმიტრი ამილახვრის ვაჟი—კოჭლი და ცხვირწაკეთილი ალექსანდრე, ბაქარ

მეფის მემკვიდრე ბატონი შვილი და თვით დარუბანდის მპყრობელი... აიდე დალილი ჩანდა — ნამგზავრი, უძინარი...

მიუხედავად ამისა, ორმოც წელს მიღწეული დიაცი მინც ამაყად იჯდა — მბრძანებლურად... თვლებიც ძველებურად უელავდა... დუმდა — მასპინძლის მოწესრიგებას თუ უცდიდა.

მასპინძელი საუბრის წამოწყებას აულაც არ ჩქარობდა — ყალიონს ამზადებდა — თან ცალი ყური ინასარიძისთვის ჰქონდა მიპყრობილი.

— იენისის ნისლიანი დილა გახლდათ, ბატონო ჩემო, როცა ტრაპიზონის ყურეს აურაცხელი ზღვის ფრინველი მოაწყდა. ხალხში ხმა დაირხა: ნავსადგურს რუსის ხომალდები შემოადგნენო. ქალაქი უცებ აირია, თავზარდაცემული მოსახლეობა მთებს შეეხიზნა. მერე ისიც სთქვეს, არზრუმშიაც დიდი შიში უკამათო. — ეუბნებოდა ინასარიძე ბაქარ მეფის მემკვიდრეს.

— რად გამიკვირდეს, როცა მდამიო ხალხი ძილშიაც რუსსა ხედავო. — ჩაილაპარაკა ფათალი-ხანმა, თან ყალიონიც ბოლომდე გააღვივა და „საქმით“ კმაყოფილმა სხვათაშორის შენიშნა: — არ ვიცი ეზარება, არ ვიცი ესალბუნებაო!?

ინასარიძე გახალისდა, მაგრამ აიდემ აღარ დააცალა — ენადგაკრფილ ქმარს საყვედურით გახედა, — გაჩუმდიო! — აგრძნობინა.

კარავს მღუმარება დაეუფლა.

— რუსთაგან უბედურებას ჯერ მე უნდა ველოდე, მერე ახალციხის ფაშა და ბოლოს სულთანი. — შუბლი შეიკრა დარუბანდის ბრძანებელმა. — ირანსაც შავი დღე ადგა... ხანები აიროვნენ, აღარ იციან რა ჰქმნან, რა ილონონ, რა თავში ჭვა იხალონ... ჰმ, შამხალ-ბატონმა მურთუზალმა ისიც კი მკადრა: ტყუილა ცდები, რუსს თუ დროზე არ შეუდექ, სულერთია ტახტს მინც ძალით წაგართმევს და შენსავე ქვეყანაში მელორედ დაგაყენებსო!.. კავკასიის ხაზის განმგებელი თურმე ტრაბახობს კიდევ: დერბენდიდან ვიდრე ბაქომდე, უბრა-

ლო ხალხი ჩემს გამოჩენას მოუთმენ-
ლად ელისო... შუშა-ხან-იბრაჰიმი ისე
დამფრთხალა, ლამის იყო კუდის ქიცი-
ნი კინალამ დაუწყია... რუსეთის კარი
მის სამფლობელოს თურმე სომხეთისად
მიიჩნევს, ამიტომაც ყარაბაღელი სომ-
ხები პოტიომკინთან სამხვეწრო არზით
მისვლასა ცდილან... მაგრამ ეგენი მო-
დით მერმისათვის იყოს, ეხლა ჩვენისა
ვთქოთ! — დემილითვე დაასრულა ფა-
თალი-ხანმა და ყალიონის ევამლში გახ-
ვეული აიდეს მიაჩერდა.

— დრო ყოყმანს არავეს აპატიებს!
— ცივად მიუგო აიდემ, არუშანის ასუ-
ლმა. მიხვდა: დარუბანდის მბრძანებელს
რუსისა ისევე ეშინოდა, როგორც სხვა
დანარჩენ ხანებს, რომლებსაც იგი წე-
ლან ცბიერებით აბუჩად იგდებდა. ამი-
ტომაც შეგონებით საუბარს, სიმკაცრე
და პირდაპირობა ამჯობინა. — ფაშა-
სულეიმანმა სარწმუნოდ შეისმინა, რომ
რუსეთის დედოფალი ერეკლეს წა-
დიღს უგნურებით იოლად დაჰყვა და
მფარველობაზედ უარის ნაცვლად, და-
სტური მოუვლინა. ეს ხანია სოლომონ-
მდივანს ერეკლემ ტრაქტატის პირობე-
ბი ხელახლა შეადგენინა...

— ეგ ვინ სოლომონი-ლა მიგდიაო!?
— ველარ დაჰფარა აღმფოთება ამილა-
ხერის ძემ.

— ვითარცა რექტორი ვაიოზი, ანაც
ერთბაშად გაბარათაშვილებული ვინმეა
ოსეანთი, ან კიდევ სხვა ბევრი მდაბიო-
თაგანი, აგრეთვე ეს სოლომონიც ერე-
კლემ დიდებულთა ჩიბრით აღაზვეა,
მდივნობასთან ერთად თავადობაც უბო-
და და ლეონიძეთა იავარქმნილი გვარ-
მაძულიც მასვე დაუმტკიცა. — გულის-
მოსაგებად განუმარტა აიდემ ოდესღაც
წუნდაუდებელ, ხოლო აწ ხეიბარსა და
შუეწყალბელის ხელით საზარლად და-
სახიჩრებულ სატრფოს.

შემთხვევით გააზნაუტრებულ ინასა-
რიძეს ცოლის ნუბარმა სიმწრის ღიმი-
ლი მოჰგვარა, მაგრამ ყურადღება ამის-
თვის აღარავის მიუქცევია.

— ზაალის კაცმა ახალციხეს ამბავი
მოაგდო, — განავარძო არუშანის ასუ-
ლმა, — თუ ეშმამ იმძლავრა და პირო-

ბის საბუტს ორმხრივად ხელი მოაწე-
რეს, მორჩა! რუსი დარუბანდის ველად
ჯარს შემოიყვანს, მერე ქართლსა და კა-
ხეთშიაც ჩააყენებს და ეგების ასპინ-
ძაც კი ტყბილ-მოსაფონარი გაგვიხდენ-
სო... თან ფაშას სულთნისაგან საიდუმ-
ლო უსტარიც მოუვიდა: აზერბაიჯანის
და დაღესტნის მფლობელებთან შიკრი-
კნი დაგზავნე, რათა ფათალი-ხანის ლა-
შქარს შუშა-ხან-იბრაჰიმისა და ლეთა
ლაშქარიც შეემატოს, რომ ერეკლეზედ
დროულად დასძრათ და ქვეყანაც ერე-
კლესგან დროულად იხსნათო... ამ საქ-
მისთვის სულთანი ფაშა-სულეიმანს თა-
ვის დამხმარე ლაშქარს და ორმოცდაათ
ქისა თეთრს ჰპირდებოდა... იჭვი ლაჩართა
საქმედა.. დრო ყოყმანს არავეს აპატი-
ებს-მეთქი, სიმართლით შეგაგონეთ...
ლევან-უფლისწულის სიკვდილმა ერეკ-
ლეს წისქვილს წყალი სამუდამოდ და-
უწრიტა; დამშეულ ქვეყანას საგაზაფ-
ხლოდ მიწის მუშაკი დასჭირდა, მორი-
გე ჯარი დაიფანტა, გლეხმა სახნის-საყ-
ვეთს მიაშურა, განაწყენებული თავადე-
ბი თავ-თავიანთ ციხეებში ჩაიკეტნენ,
ხმლებსა ლესავენ, ჩვენს დაძახილს-ლა
მოელიან!

— ტრაქტატზე ხელს როდის-ლა მოა-
წერენ? — ფრთხილად იკითხა დარუ-
ბანდის მფლობელმა.

— არც როდის! — წამოენთო ბაქა-
რის ძე.

ლეთაგან შემავრებელი ფათალი-ხა-
ნის ლაშქარი კახეთს მოადგა. ჟერი შუ-
შა-ხან-იბრაჰიმზელა იდგა...

39.

ათას შეიდას ოთხმოცდასამი წლის
ივლისის ოცდამეოთხე დღეს, ნასადი-
ლევს, როცა ზაფხულის ბარბარა მნა-
თობმა გეზი თვისი მარადუცვლელი
ბეშთაუს მწვერვალებისკენ ხელახლა გა-
დახარა, გეორგიევსკის მამასახლისმა,
ყაისინ ანზოროვმა ერეკლე მეფის წარ-
მომადგენელი — მუხრანბატონი იოანე
ბაგრატიონი, თავადი გარსევან ჰევეკვა-
ძე და შემწე მათი, არქიმანდრიტი ვაი-

ოზი, თავისი სახლის კარიბჭედან ეტლამდე მიაცილა...

— თქვენ მოწყალებას ვახშმადაც ჩემ ჳერქვე ველი. — თავმდაბლად შეახსენა მან საპატიო სტუმრებს და მხვეწნელივით გულმწყურვალედ დასძინა, — სცადეთ, ეგების მისი აღმამსვლელობა დიდი გენერალიც როგორმე დამიპატიოთო.

მასპინძლის ახირებულ თხოვნას ქართველებმა ღიმილიანი თანხმობით უპასუხეს — ვახშმამდე შორი დრო იყო. ესეც რომ არა, განა საზრუნავი სხვა ცოტა დარჩენოდათ?.. აბა რა იცოდა მამასახლისმა, რომ ბედი ქართლისა სწორედ აქ, მის „სამფლობელოში“ და ისიც ვახშმობამდე უნდა გადაწყვეტილიყო!..

ეტლი წმ. გიორგის ციხე-სიმაგრისკენ დაიძრა...

კავკასიის ხაზის განმგებელი, გენერალი პავლე სერგის ძე პოტიომკინი ქართლ-კახეთის მეფის წარმომადგენლებს ფორტის მისადგომთან დაუხვდა — ეტლიდან ჩამობრძანებულთ ჳერ თავად მიესალმა, მერე დანარჩენი ოფიცრებიც წარუდგინა და გვარდიელთაგან შემდგარი ყარაულის გავლით, სტუმრებს საათბირო პალატისკენ წარუძღვა.

სათათბირო პალატაში, მალედადაფარებულ ვეება მაგიდასთან, რომელიც ოდენ სამელნითა და საწერ-სამშრალეებით იყო „დამშვენებული“, ერთადერთი სავარძელი იდგა!

სამოკავშირეო ტრაქტატის ტყავშემოკრული პირი პოტიომკინს ეპყრა, მეორე — იოანე მუხრანბატონს.

— დღეს, ათას შვიდან ოთხმოცდასამი წლის ივლისის ოცდაოთხს, უზენაესი მითითების თანახმად, უფლებამოსილნი ვართ ხელი მოვაწეროთ და შემდგომ საქვეყნოდ ცხადეჳყოთ მისი უდიდებულესობის იმპერატრიცა ეკატერინე მეორის და ქართლ-კახეთის სამეფო კართ შორის დადებული სამოკავშირეო ტრაქტატი, ანუ ამ ხელშეკრულებით გათვა-

ლისწინებული ვალდებულებანი. — დინჯად წამოიწყო კავკასიის ხაზის განმგებელმა, მერე სიმყარისათვის თუბა აღბელებზე მოიცილა და დინჯადვე განაგრძო:

— ორთავ მხარისთვის ცნეულ არს, რომ მფარველობითი ესე ხელშეკრულება, საცა გათვალისწინებულია რუსეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოთათვის სავალდებულო პირობანი, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილის მეცამეტე არტიკულს ხელს მოაწერენ რუსეთისა და ქართლ-კახეთის რწმუნებულნი: პავლე პოტიომკინი, იოანე ბაგრატიონი და გარსევან ჳევკვაძე. იგივენი მოაწერენ ხელს ტრაქტატის მეორე ნაწილსაც, რომელიც სათანადო შესავალით იწყება და ოთხი საგანგებო მუხლისაგან შესდგება. ამ ნაწილის გამოჳქვეყნება, როგორც ერთ, ისე მეორე მხარესაც მიზანშეწონილად მიიჩნია...

პოტიომკინმა ტყავშემოკრული ტრაქტატი მაგიდაზე გაშალა...

— თუ მისი უგანათლებულესობის ერეკლე მეფის რწმუნებულთ სათქმელი არაფერი აქვთ, ნება მიბოძეთ ჳემოხსენებულ საბუთს ხელი მე პირველმა მოვაწერო...

იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჳევკვაძემ გაიოზს რაღაც ანიშნეს. არქიმანდრიტი შეირბა, უბიდან გრაგნილი ამოიღო...

— თქვენო აღმატებულებავ, — ფრთხილად წარმოთქვა მან, — დავალებული გვაქვს მოგახსენოთ, რომ ტრაქტატით მოხსენიებული ქართლ-კახეთის მეფის ტიტული „უგანათლებულესობა“ „უმალღესობით“ შეიცვალოს, რამეთუ ერეკლე ტრაქტატის დადებამდეც ამ ტიტულს ატარებდა... გარდა ამისა მისი უმალღესობა სურვილს გამოთქვამს, რათა ქართლ-კახეთის მეფეებს ჳვლავაც ებოძოს ადრე არსებული უფლებანი — ტახტზე ასკლის დროს გვირგვინის მირონით კურთხევისა და საკუთარი მონეტების მოჭრისა. — ამ სიტყვებზე გაიოზმა გრაგნილი პოტიომკინს გადასცა.

— კეთილი. — ჩაილაპარაკა გენერალ-

ლმა და ვიდრე ტრაქტატზე ხელმოსაწერად სავარძელში ჩაბრძანდებოდა, იმედინად დასძინა: — დარწმუნებული ვარ, რომ მისი უდიდებულესობა ერეკლეს ამ მოთხოვნასაც სამართლიანად მიიჩნევს.

პოტიომკინის მერე „ქვეყნის გადამრჩენელ საბუთს“ ხელი იოანე ბაგრატიონმა მოაწერა, ბოლოს — გარსევან ჭავჭავაძემ...

სალამოვდებოდა, როცა გეორგიევსკის მამასახლისმა ყაისინ ანზოროვმა შეპირებისამებრ ვახშმად მობრძანებულ დიდებულ სტუმრებს თავისი სახლის კარიბჭესთან „კარავით“ ანუ რუსული წესის მიხედვით გამომცხვარი გორგოლა პურით ხელდამშვენებული ქალიშვილი დაახვედრა. ხოლო დიდი გენერლის მობრძანებამ მამასახლისი, რა თქმა უნდა, ათმაგად გააბარა...

40.

გიორგი ბატონიშვილის მიერ სახელდახელოდ გამაგრებულ მოწინავე სანგრების დათვალიერებამ ერეკლე საზარელ გუნებაზე დააყენა. სხვა „სიკეთესთან“ ერთად, მესაზღვრე ჯარის რაოდენობაც უნუგეშო იყო. ამას სვეჩინიც იოლად მიხვდა, ამიტომ მეფეს ზარბაზნების თან წამოღება და სიღნაღში გამაგრება შეაგონა...

— თუ ფათალი-ხანი ტრაქტატს მერე მაინც გაჰბედავს და თავის ლაშქარს კახეთზე დასძრავს, ბურნაშევის შემოსვლამდე ეგებ მტერს სიღნაღში მაინც გავუმკლავდეთო. — უთხრა.

გიორგი ბატონიშვილმა სვეჩინს მწყურალად გახედა — მისი ნაუბარი არაფრად ეჭაშნიკა, — ნაღვაწს მიწუნებსო. — გაიფიქრა...

— ეგეცა და სხვა ბევრიც მხოლოდ თქვენგანა გვჭირსო! — ჩაისისინა. აშკარა იყო რუსეთს გულისხმობდა.

ერეკლემ წაუყრუა...

— სპაცა და მეზარბაზნენიც სიღნაღისკენ დასძარო! — უბრძანა.

ნაშუადღევს, მცირე ამალისა და ზღე-ბული მეფე ალაზანს შოუახლოვდა. სავალი წნორზე იდო. მისი ვარაუდით ის ღამე სიღნაღში უნდა გაეთიათ, მეორედღეს ციხე-ქალაქის გამაგრებაც უნდა მოესწროთ და თელავს მერმე-ლა ჩასულიყვენენ, მაგრამ ხიდთან მოსულმა განზრახვა შეიცვალა...

— ღამის აქ გათევა მსურსო! — ინება და ცხენიდან ჩამომხდარი, მდინარისკენ დაიძრა.

— კოლო არ მოგვასვენებს! — შეახსენა ბატონიშვილმა.

— თუ მთიდან ნიავემა დაჰკრა, მწერ-მღილსაც წყალგაღმა წარიტანს. — შეესიტყვა ერეკლე.

— ჰმ, ყველაფერი სათუოდ რად უნდა გეკონდეს!? — აიშირიზა გიორგი.

ერეკლე წამოენთო, მაგრამ თავი უმაღვე შეიკავა, უღვაში მოიკენიბა და სიმწარე ნაგემებმა მხოლოდ ეს-ლა სთქვა:

— ე მანდ, სალოქოვე წუმბეში ზაქები წვანან, დაჰკალ, გამოძებ და ძილ-მორეულს კოლოს ნასვლეთიც გეამებო.

შუალამისას ერეკლე მცველმა გააღვიძა...

— მდივანი სოლომონ ლეონიძე გეახლათ. — ჰკადრა.

წნორებში სიჩუმე ჩაბუდებულიყო, სიოც არ კრთოდა — მძინარ ბუნებას სიმყუდროვეს არაფერი უშლიდა.

— ეხლავ აქ უხმეო! — ბრძანა ერეკლემ.

მცირე ხნის მერე კარავში ბრგე ვეკაცი შემოვიდა, მუხლი მეფის წინ მოხდენილად მოიყარა.

— დარეჯან დედოფალი შენს მობრძანებას აღარ დაელოდა, მეფე-ბატონო, ნაშუადღევს ტფილისს წაბრძანდა... ჩიოდა: სანამ ბურნაშევი თერგზე გზას გახსნის და თავის სალდათებს უღელტეხილზე გადმოლაღავს, ფათალი-ხანი ყველას დედა-ბუდიანად ამოგვაგდებს და ქართლის ტახტზედ ბაქარის ძეს დასვაშსო. ამ დილით კაცი აფრინა, თან საიდუმლო რამ ბართიც გაატანა... არ ვიცი სამეგრელოს გაგზავნა, არ ვიცი

— სამცხეს... დარტყინავდა: რუსთ-ხელ-
მჭიფის იმედი ასპინძაშიც დიდი გვექონ-
დაო...

უამური სიჩუმე ჩამოვარდა.
ერეკლემ მსახურს უხმო...

— ბატონიშვილი გააღვიძეთ! — უბ-
რძანა.

— გიორგი ბატონიშვილი ეს ხანია
წნორთან შემომხედა, დამაბარა: კოლომ
არ მომასვენა, ავალ, სიღნაღს დავდგე-
ბი, მეფის მობრძანებას იქ დაველოდე-
ბიო. — თქვა ლეონიძემ.

მეფე ჩაფიქრდა, მსახურს განრიდე-
ბა ანიშნა. ამოიოხრა.

— ქვეყანა მაცდუნებლისა ყოფი-
ლაო, — ჩაილაპარაკა ედა სვედიანის
ლიმილით დაუმატა: — ალარც ღვთისა
სწამთ, ალარც მეფისა... ჭეშმარიტებას
გასაყიდი ცხენივით კბილებს უსინჯა-
ვენ, დაპბერებულაო — სწუნობენ...
სულმოკლეობითა სჩადიან... რახან წარ-
სულისა არა გაეგებათ რა, ალარც მო-
მავალზედ ზრუნავენ...

41.

სალამოვდებოდა, როცა ოციოდე კა-
ზაკით ხლებულმა მათორმა კამარსკიმ
ჩქერგამოვლილი სველი ულაყი აღ-
მართს შეუყენა და ყორშუნაულზე გაე-
ლით, გეზი ფათალი-ხანის ბანაქისყენ
აიღო.

აულის ვიწრო შუკებში, ერთმანეთზე
მიჯრილ ბანიანი მიწურებიდან საქონ-
ლის ბლავილი, ძალღების ყეფა-წყმუ-
ტენი და მთიელთათვის ჩვეული ხორ-
ხისმიერი ბგერები მოისმოდა. კიზიაკის
კვამლგარეული, ცისფრადგამჭვირვალე
გრილი ჰაერი ნაგზაურ მხედრებს შიმ-
შილის გრძნობას უღვივებდა, უასკეცე-
ბდა. ამიტომაც უფრო ჩქარობდნენ —
მათრახებს მოუთმენლად ატყლაშუნებ-
დნენ და ისედაც ქანცგაცლილ ცხე-
ნებს ალარც საგანგებოდ გამაზული დე-
ზებითა ჰზოგავდნენ. შეჩვეულ ხმაურს
უეცრად მეექმინის არაამქვეყნიური ყი-
ვილიც შეემატა. კამარსკის მეგზურმა
ისალ-მამამაც ცხენი უმაღვე შეაყენა.
ჩამოქვეითდა — უბიდან ფარდავის გა-

კრცილი ნაგლეჯი ამოიღო, მოლზე
მუხლებქვეშ დაიფინა და დაჩოქრილ ნა-
მასს უყოყმანოდ შეუდგა. სხვებიც შე-
ჩერდნენ. ან კი რა უნდა ექნათ, როცა
აღათი მამამას თავისას სთხოვდა?...
იცადეს, ვიდრე მეგზური ლოცვას მო-
რჩებოდა — გახვითქული ცხენები
კბოდზე წალმა-უქულმა ატრიალეს —
ფლოქვებით ბალახი ატყეპინეს...

— ღმერთმა დალახვროს!.. თუ ნამაზ-
მა უწია, გინდ პატარძალთან იწვეს,
იმასაც მიატოვებსო. — ხელჩაქვევით
შეესიტყვა კამარსკი ივლიაევს — კაზა-
კთა ათისთავს.

კაშკაშა მთვარით შეფერილი მალა-
ღეროვანი კარავი ისე ამშვენებდა და-
ლესტნელთ ბანაკს, როგორც მეჩეთი —
მედინას.

კარვის წინ უთვალავი ლანდი დაბო-
რიალობდა. ცხენოსანნი და ქვეითნი ერ-
თმანეთში ირეოდნენ — ვინ ამბის მომ-
ტანი იყო, ვინ — წამღები. ნაიბნი ბკო-
ბდნენ, ნუკერნი — მოციქულობდნენ...
მეგზური მამამა და დამშეული კაზაკე-
ბი დამხვდურებს თავიანთ გვერდით,
ცეცხლისპირად დაესხათ — ფლავს შე-
ეჭეოდნენ — ბრინჯში ჩახარშული
ცხრის დუმისა და ჩახარაული ხახვის
სურნელებით ტკებობდნენ...

კარავში ორნი ისხდნენ — ფათალი-
ხან დარუბანდის მბრძანებელი და მათ-
ორი კამარსკი.

— ლაშქარი ჩემი ერეკლეზედ თუ
მაინც დავძარ, რუსნი რასა იქმთო? —
ჰკითხა მასპინძელმა სტუმარს.

— აკი წელანაც განგიმარტე, სამოკა-
ვშირეო ტრაქტატის შეექვეს პრტიკუ-
ლის ძალით, მისი უდიდებულესობა იმ-
პერატორცა ეკატერინე მეორე, ერეკლე
მეფეს მფარველობას აღუთქვამს და
მტრისაც მისსა თავის მტრადა ჰრაცხს.
— დაუმარცხლა კამარსკიმ.

— თუ მაინც დავძარ-მეთქი? — ჯიუ-
ტად ჩაეძია მასპინძელი.

— მაშინ დარუბანდს ზარბაზნებს და-
ვეუშენთ. — მშვიდად მიუგო მათორმა.

— ჰმ! — ამოიგმინა ფათალი-ხანმა.

— გარდა ამისა, — განაგრძო კამარ-

სკიმ, — კავკასიის ხაზის განმგებელი გენერალ-პორუჩიკი პავლე სერგის ძე პოტიომკინი, უზენაეს მითითებათა დროულად აღსრულების მიზნით, ბაქარ მეფის ძის და ალექსანდრე ამილახვირის შვილის დაუყოვნებლად დაპატიმრებას, ანუ, ამ ორი მაწანწალის მისი აღმამსვლელობის განკარგულებაში გადაცემას მოითხოვს.

— იოხ! აქ მთავა, სტუმრის ლალატი არ იქნება! — აღშფოთდა დარუბანდის მბრძანებელი.

— სამაგიეროდ დიდი გენერალი ხუთას ჩერვონეც ოქროს და ოქროსავე სათუთუნეს ვთავაზობს. — ფრთხილად შეაპარა სტუმარმა.

— ჰმ?! — კვლავ აღმოხდა ფათალი-ხანს.

სიჩუმე ჩამოვარდა.

კამარსკიმ ჭიბიდან შენაპირები ოქროს სათუთუნე ამოიღო, ჩირაღდნის შუქზე მაცდურად ააპრიალა და ფათალი-ხანს ხალიჩაზე დაუდო...

— თუ არც ეგა ვკმენ? — უკვე კომპანით ჰკითხა მასპინძელმა.

— მაშინ დარუბანდს ზარბაზნებს დაეუშენო! — კვლავ მშვიდად გაუღიმა კამარსკიმ. თან უბიდან ქისაც ამოიღო, გახსნა და ხუთასი ოქროს ჩერვონეცი სათუთუნეს ზედ დააპნია...

— იახში! თეთრი დედოფლის ხათრი რომ არა, ალი-ხან ადათს არ გასტეხდა...

გამთენიისას, როდესაც ბანაკს ჯერ ისევ ღრმა და უღრტვინველი ძილით ეძინა, კამარსკის კაზაკებმა ზურგს-უკან ხელგაკრული ორი პატიმარი — ერეკლეს ტახტის მაძიებელი ბაქარ მეფის ძე ალექსანდრე და ალექსანდრე ამილახვიარი აიღეს კარვის წინ ჩაატარეს.

არუშანის ასული კარვის კალთასთან იდგა. ცვილივით მკრთალსა და უსიცოცხლო მის ლამაზ სახეს ამოებინა ყინულოვან მზით შეჭირბოვლილი, ძლივს შესამჩნევი სატანური ღიმილი გადაჰკეროდა...

— ვაჩნაძიანთ ქორწილში ხომ მართლა იყავო? — ამის კითხვა სურდა აიღეს მისი ამილახვირის შვილს, უნდოდა ერ-

თხელ კიდევ დარწმუნებულიყო, რომ ლევან უფლისწული არუშანის ასულმა მისგან ნაბოძები საწამლავით აღასრულა.

— მართლა ვიყავო. — უსიტყვოდვე უპასუხა ქალმა.

მხედრები ბორცვს გასცდნენ — თვალს მიეფარნენ...

კამარსკის ცხენი დამბაჩის უეცარმა გრილმა შეაკრთო. უამურმა ხმამ გორაკებს გადაუარა, მძინარე ექოები წამოაფრთხო და რძისფრად შენისლულ ხეე-ხუცებში უცალოდ ჩაიკარგა...

აიღე გულალმა იწვა. დამბაჩა ხელში შერჩენოდა. ხოლო შურისძიებით მგზნებარე მის ოდესღაც მშვენიერ მკერდს ავგაროზი და სატრფოსაგან ნასახსოვარი საწამლავით სავსე პაწია შუშა შემორჩენოდა...

42.

„...და აკურთხოს ღმერთმა დრო ესე და განამტკიცოს მარჯვენა ეკატერინე დიდისა და მფარველობასა ზედა საქართველოსა!“ — ლაღადებდა ტაძარსა სიონსა შინა გამართულ საყოველთაო ზემოზე რეკტორი სემინარიისა, არქიმანდრიტი ვაითხ.

მარიამობისთვის მსურვალე მნათობი დასაველეთისკენ გადახრილიყო.

„...და განაგრძოს ღმერთმან დღენი კეთილმსახურისა მეფისა ჩვენისა ირაკლი მეორისა, რათა მოღრკა ღმერთი უმდაბლესსა თხოვნასა ზედა საწმყოსისა და ერსა ჩვენსა განეხვნა მამათა მიერ დაუნჯებული იგი საუნჯე!“...

ტაძარი და შემოგარენი მისი მრევლით ავსილიყო.

ტახტსა მეფისასა შემოსდგომოდნენ უავგუსტესი წევრნი სახლისა მისისა და კათალიკოსი ანტონ, და სვეჩინი — ძმაი უმესი აწ აღსრულებული უფლისწულისა ლევანისა, და საქართველოსა შინა მინისტრ-რეზიდენტად ახლად დადგენილი პოლკოვნიკი ბურნაშევი და სხვანი... ხოლო ერისშვილთაგან მზერას მეფისას ზვარამზე-ქალი და მამულისთ-

ვის დაზრდილი სამი ძე მისი ატყვევებდა...

— იხილე, დამაშვრალი ღვთისმშობელ მარიამსა ჰგავსო. — გადაულაპარავა ერეკლემ დედოფალს...

„...და შეფემან ჩვენმან ძლიერებისა თვისისა სისხლნი წარმოაცალიერნა ოფლითა სიმხნისა შრომისათა უვნებლად დაცვისათვის სამფლობელოსა თვისისა და მარადღე მიუზრდებლად სცვლიდა ერსა თვისსა გარემოს მყოფთა მძინვარეთა მტერთაგან, რომელნიცა ნიადაგ ჰლამობდნენ განხმარვასა მისსა. — განავრძობდა რექტორი. — და შემდგომად ესე ვითარისა შრომისა და ესე ვითარისა ღელვა-გვემულებისა და ნავი

სამეფოსა თვისისა სიბრძნითა საჭითა მიაყენა ნავსაყუდელსა უღელვისა და მხეცთა მათ მძინვარეთა, რომელთაცა აღეშკმოთ პირნი და ბრჭყალნი შთანთქმად და განხმარვად, ერთსა მას განუმზადა მახვილი იგი მკვეთრი და მეორესა ბურთი ცეცხლისა სოფელსა შინა დიდებულისა და საკვირველისა რუსეთის ძალისა, რომელმანცა საშინელითა ქუხილით თვისითა დააჯაბნა ვითარცა კურდღელნი ლომად მგონებენი თავთა თვისთა...“

ერეკლემ უფლის სახეზას ახედა...

„შენ ხარ ვენახი, ედემსა შიგან რგული... ნორჩი ახალი...“ — ავუგუნდა ქორო...

გაბრიელ ჯაბუშანური

კმის წიგნიდან

1951

1950 წლის დამლევს ბრმა ბედისწერამ იმხვერპლა გაბრიელ ჯაბუშანურის მრწემი ძმა ლეო — კარგ ვაჟაკად ცნობილი არხოტის თემსა და საერთოდ, მთელს ზვესურეთში.

გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში, გაბრიელ ჯაბუშანურის პირად არქივში ინახება დღემდე გამოუქვეყნებელი, ინტონაციურად ზმით ნატირლებთან დაახლოებული ლექსების საკმაოდ ვრცელი ციკლი, რომელიც სწორედ ამ საშუალებით ამზავს ეხება.

ვფიქრობთ, მკითხველი ინტერესით გაეცნობა აქ წარმოდგენილ ლექსებს, შერჩევულს პოეტის აღნიშნული ციკლიდან.

აფიონა აბაიშვილი

კალოზე

კალოზე ტირის იფქლის მარცვალი,
რა უმძიმს იფქლის მარცვალს, ნეტავი?
მოლენწეთ, ხარნო, ლეოს ნამკალი, —
მარტამდე დაგვრჩა გასალეწავი.

რარიგ შებრუნდა ბედის ბორბალი,
ძმავ, მე შენზე სევდამ შამჭამა,

შენს საქორწილოდ მოვმკეთ ხორბალი,
შენს სასაქნაროდ ვლენწავთ ამქამად...

განქარდა ლხინი, როგორც ნაცარი,
ვეალაღებ შენზე დარდის მკენეტავი...
კალოზე ტირის იფქლის მარცვალი,
რა უმძიმს იფქლის მარცვალს, ნეტავი?

რომ ამრიგად...

რომ ამრიგად გვიჯაბრე და
შეგვამწუხრე,
ჩვენც, ამიტომ არ დაგმარხეთ არხოტს.
გაზაფხულზე თუ გველებმა
შეგაწუხეს, —
დამიძახე... მე მოვალ და დაეხოც...

ჩვენს ტირილზე ალბათ გულში
გეცინება,
ლილღოს მიწა ცივი არის განა ?!
გაიღვიძე, ან თუ კიდევ გეძინება ?!
ტკბილი არის ასისწყალის ნანა...

ჩამოიშლება შენი მხრები,
შუბლზე წვეთები დაგგორდება,
შენ ოდნავაც არ შეირბევი,
ალარც სამზეო მაგგონდება.

რარიგ მეკუმშვის ვაჟაკს გული,
შენ ჩემი იყავ, განა სხვისს...
ალარ მიხარის გაზაფხული,
ალარც დანახვა ბალახისა...

სომ მელოდი

„გაბრიელი მოვა ქალაქიდან და პროფესორს მომიყვანს...“
აგონიას დროს ღეოს ნათქვამი

ხომ მელოდი... აი, ჩოხაც მოგიტანე,
მაგრამ დამხვდი გულზე
ხელდაწყობილი...
აჰა, იმეო, პროფესორიც მოგიყვანე,
საქართველოს დასტაქარი ცნობილი...
მაგრამ, იმეო, რაღად გინდა დასტაქარი,

შენ სიკვდილის ძილითა ხარ
პყრობილი
ძმაც გვერდს გიზის, დედ-მამაც და
დაც აქ არი,
ყველას გვხვდები გულზე
ხელდაწყობილი...

ალარ მეგებები...

უბედური, მე ქალაქში გამიტყუე,
საკუთარ თავს მიუბრუნდი თოფით.
ჩემი სარძლო — მზე მზექალიც
გამითხოვე
და ეთერიც დიწუნე დობით...

დაებარბაცებ... დღე არი თუ ღამე არი,
პე, იღბალო, რა ძალღივით შეყეფები...
წამაქციე, როგორც მუხა ნამეხარი, —
შინ შევალ და ძმეო, ალარ მეგებები.

ღამაძცი

ღამაქციე... ლექსის კილოც შემიცვლია,
გუშინდელზე ასგზის მეტად ვდარდობ...
მე სხვაგვარი ტირილი არ შემიძლია,
დიდ სატირალს ლექსით ვტირი მარტო...
დავეციანდი?! — მამ რატომ არ
მომიწოდე...

დაფიქრდები... ვგიქდები და მიკვირს...
ძმეო, ერთ დღეს რატომ ალარ
მომიცადე,
რომ მომესწრო, აგაცდენდი სიკვდილს...

ბოლოს მაინც ჭოტი ჰკიოდა

მოთხრობა

დასაწყისი ამ ამბავისა ანექლოტურია;

ბოქაჩოს რო ჩავარდნოდა ხელში, ანაფორიან მღვდელს გამოიყვანდა და უფრო სასიერო იქნებოდა; მაგრამ ჩვენში სასულიერო პირი უფრო ტრაგიკული გახლდა, ვიდრე კომიკური, ყოველთვისა, და თვით სულხან-საბაე მორიღებია მათთან გახუმრებასა;

ახლა, —

თუ რატომ იყო უფრო ტრაგიკული, ვიდრე კომიკური, ამის გარჩევას აქ არ შეეუდგები, გავიმეორებ ისევ იმასა, დასაწყისი ამ ამბავისა ანექლოტური როა, და იმასაც მოგახსენებ წინდაწინვე, დასასრული რო აღარაა ანექლოტური, ოღონდ ჭერ მაინც, ყველაფერი დასაწყისიაო, და რახან დასაწყისი ანექლოტურია, ანექლოტურადაც მოგიყვები:

მაშ ასე, —

ქალი წაბრილა და აივანსა რეცხავს, ჩაჩოქილა და ისე წაბრილა; კაბის კალთები შემოწინწკვლია, ისედაც დაწინწკლული კაბის კალთები, აუტყვია თუ აუტღია წელზედა; შემოსწწწია თუ დასწწწია კანჭებიცა აგრეთვე, ტლოკებიცა აგრეთვე, ბაცი ყვითელი სამკუთხედიცა, რახან რო კალთები წელზე აუტღია; აქეთ არავინაა, იქით არავინაა, მყუდროა ისეთი, სიჩუმეა ისეთი, თუნდაც სულაც გაიხდის კაბასა თუ თხელ,

ჩითის ხალათსა თუ მაინც შეაწუხებს, თუ ჩამოსცვივა დაწინწკლული კალთები; ეს ჰო ასე და, — მარცხნით სათლი უდგას, სუფთა წყლით სავსეი, მარჯვნითა, ტაშტი; ტაშტიდანაა, რო მოარიალეზს წყალსა იატაკზედა, ჭარდალა ტილოთი მოარიალეზს, მოშვეპავს, მოხვეტავს ისევ ტილოთი და ჩაწურავს ტაშტშია, ისევ ტაშტშია; ამით მხოლოდ იმის თქმა მინდა, ტაშტში რო წყალი ჭუჭყიანია, — სათლში სუფთაა, ტაშტში ჭუჭყიანი; ურიგო არ იქნება ისიც რო ითქვას, ხასიათზე რო ვერაა ქალი, აივანი რო ვებერთელაა, ძველი აივანი, რიკულებიანი, ჩუქურთმებიანი, რო აღარაეინ შეინარჩუნა ასეთი აივანი, ანთუ შეშაბანდად აქციეს, ანთუ ოთახები ამოაშენეს თავსა და ბოლოშია, ანთუ სულაც ამოძირკვეს ისეთი შენობები, ძველი, ძველებური, აივნებიანი შენობები, ახლები აავეს, უივნებოდა, ანთუ რკინის აივნებითა, მოზაიკის იატაკითა, ქარი და წვიმა თვითონვე რო აცრიალეზს, — იქ ქალს რა უჭირდა!.. — ხოლო ამის კაცს გაგონებაც რო არ უნდოდა, არც რო ნგრევისა და არც რო შენებისა და თუ ამოსთქვამდა ქალი, მაინც ამოსთქვამდა, სადაც ამოსთქვამდა, იქვე ჩაათქმევიანებდა კაცი; ჰოდა ხასიათზე ვერაა ქალი, ხოლო კაცი ხასიათზე მოდის: ფეხს შესდგამს კიბეზე

და თვალს გაუსწორებს თუ არა ივანსა, ქალს გაუსწორებს თვალსა ცხადია და ხასიათზე მოდის; აქეთ არავინაა და იქით არავინაა, ვითხარი, დაბურთულიცაა იქაობაი, ხეხილი ახურავს ეზომიდამოსა, თვალი ადვილად არ შეატანს არსაიდანა, ჩიტი რა არის, ჩიტიც არსადაა, არა, არ არის, თორემ წაუსტვენს ერთხელ მაინცა, წაუსტვენს თუ ჩაიჭიკიკიებს; ჰოდა მოდის ხასიათზედა, კაცი ცხადია და რაღა თქმა უნდა, ოღონდ კიბეს როდი აირბენს, — არა, — ჩაირბენს, მარანში ჩავა და ვადაპკრავს თავკვერსა, ფიალაში ჩაისხამს და ფიალით ვადაპკრავს, დაიმხოხოს სახეზედა, დაიბერტყავს წინწკლებსაც ზედა; მეორესაც ვადაპკრავს და ეგრევე დაიბერტყავს, მერე ვადაიწმენდს ორივე ხელითა, სახეს ვადაიწმენდს, ვადაიწკიპავს უღვაშებსა და აფრინდება, სწორედაც აფრინდება, თვალსაც ვერავინ რო ვერ შეაწრებს, ვერც ვაიგონებს ქალიცა ფეხის ხმასა, ვერა, ვერა, ვერ ვაიგონებს, — წახრილა ისევე და თამთამებს ისევე, წაწვება და თამთამებს ისევე, მოშხევეპავს და თამთამებს ისევე, მოსწურავს და თამთამებს ისევე, აიწვეს, დაიწვეს, წაიწვეს, გაიწვეს, ანთუ ბუწუწებს მხრებით ვადაიწვეს, თამთამებს, ძიგძიგებს, ცახცახებს ისევე; და დააცხრება კაცი ქორივითა, მართლაც ქორივითა, რო არ იცის სიბრაღული, რო უფრო ახელებს ცახცახი მსხვერპლისა; და დააცხრება ერთისიტყვივითა, და აკივლდება ქალი, გულგახეთქილი ქალი, მოულოდნელობით გულგახეთქილი; და ლამობს კაცი, რო გააჩუშოს, ეჩურჩულება საალერსოსა, ეჩურჩულება და რო ვერ გააჩუშებს, ტუჩებზე დაატყაპებს ხელსა, იმა ვეებერთელა ხელსა, ანთუ დაატყაპებს სახეზედა, — რას ეყოფა ტუჩები, — დაატყაპებს და მოხვეტავს, მობოჭავს სახესა ქალისა, ცხვირტუჩიანადა, შუბლნიკაპიანადა, თვალყურიანადა, ფუნჩულა სახესა, ზომიერად ფუნჩულსა, მოხვეტავს, მოვეერავს, მოსწურავს, მოგლისავს, მაგრამ კივილი მანც ვაეარდება, ვაეარდება და ვაიბმის, ვაიბმის, ვაგრძელდება; და მოუსწრებს ქალი მე-

ზობლისა, მოუსწრებს და არც დაიბნევა, მხოლოდ ესაა, ერთს მიიხედავს და აიტაცებს სათლსა, აიტაცებს და დაუშვებს წყალსა, კაცს დაუსწორებს და ქალი დროს იხელთებს, დროს იხელთებს და გაუსხლტება, — თავისი ქალი რაღა თქმა უნდა; ეს თუ არ მითქვამს და აქამომდე თუ ვერ მიხვდი ვერც შენითა, აი აჰა და მომიხსენებია: მეუღლე თავისი... გაუსხლტება;

გაუსხლტება და რიკულებს აწყდება, მოაჯირს აწყდება, აწყდება და გადაეკიდება, ლამისაა, რო გადაეარდესო; ბოძს ეტოტინება და ზედ შემოეკნება, იცინის თუ ქვითინებს, ხანთუ რაღაცას ამოიძახებს, ანარც განირჩევა, ანთუ ძლივას თუ განირჩევა, — იცინის თუ ქვითინებს, ქვითინებს თუ იცინის;

ღამე აღარ იცრ და დღე აღარ იცრო, შენ არ დაგიღამდეს და შენ არ გაგითენდესო;

ამდენი მანც გამოირჩევა, სხვა იგივეა: იგივე ქვითინი სიცილისმაგვარი, იგივე სიცილი ქვითინისმაგვარი;

ხოლო მეორე, —

მეორე ქალი, მეზობლის ქალი, რო შემოუსწრო, —

გაშეშებულა, თუ ქანდაკებააო, დგას ისევ ისე სათლშემართული, თუმცა ჩაუცლია, დგას ისევ ისე, ისევ ისე და შეშინებული, რა ჩავიდიწეო; გამოუთლიათ თითქოს კაციცაო, რო მოკუნტულა მისთა ფერხითთა, რო მოკუნტულა და ასკქერის ისე, თითქოს სვეტია, თავს რო ადგასო, სვეტია, ოღონდ ავი თუ კეთილიო, რო ვერ გაუგია, წამოიქცევა თუ შეივრდომებსო, რო ვერ გაუგია, და რო აღარცთუ გაჰყვება ამ საგონებელსა, ბევრს აღარც გაჰყვება, ამოიძახებს ერთსა რაღაც გაუგებარსა, ამოიძახებს თუ ამოიკიეინებს რაღაც ტყიურსა, რაღაც ველურსა, რაღაც ზღვაურსა, ამოიკიეინებს და ამოაყოლებს, — მაშ შენ მოდიო, ჩემსას თუ არ დამანებებო, ამოაყოლებს და სწვდება ტლოკებშია, სწვდება და ვადაიქცევს, ვადაიქცევს და ამოიბრუნებს, ამოიბრუნებს და ზედ მოეჭყევა: აკივლდება ახლა ეს ქალი; ისიც აკივლდება, აკრაახდება და აწიოც-

დება იგი პირველი, აწიოკდება და ტაშტს აიტაცებს, — სათლი ჰო დაიცავს და მოსწყდა ხელთა ქალისასა, მეორე ქალისა, რო გადაიქცია, მოსწყდა და მირახრახებებს აივანზედა, აივანიდან მერე კიბეზედა, კიბიდან ეზოში, მირახრახებებს და მიწკრიალებს, ვიდრე ღობებს არ მიაწყდება, — ტაშტს აიტაცებს ამიტომაცა, აიტაცებს და დაათქრიალებს წუწინან წყალსა რალა თქმა უნდა; კაცს დაუწროებს, კაცს დაათქრიალებს, და გარბის ქალი, მეზობლის ქალი, გარბის უკან მოუხედავდა; კაცი ამხია და მუშტებს ურახუნებს იატაკსა, თავსაც ურახუნებს, გულშიც იბაგუნებს მუშტსა: შენმა რა მიყოსო... შენმა რა მიყოსო...

აქამდისაა ანექლოტური,

ანთუ —

უფრო იქამდისა, ტაშტს რო აიტაცებს და წუწინან წყალს გადაასხამს თავზედა, — იქამდისა, იქამდისა რალა თქმა უნდა, თორემ ეს „შენმა რა მიყოსო...“ მუქარაა, მტრის მუქარაა, დაუბინებელი მტრისა, თანაც გულში რო მჯიღს იბაგუნებს, მრისხანეა და საბედისწეროი; მუქარაა და იდიომია, ძველის ძველია რალა თქმა უნდა, რახანაც რო იდიომია, რო ვერც დაშლი, რო ვერც გაარჩევ, ვერც ამოიკნობ, თავდაპირველად თუ რასა გულისხმობდა; რაც უნდა იყოს, აქ მაინც თუ რაც მოჰყოლია, ეს აღარაა ანექლოტი, მწარე ხვედრია, მწარე ბედისწერაა, ორი ადამიანის სიცოცხლე რო შეიწირა, კაცისა და ქალისა, — მეორე ქალისა, მეზობლის ქალისა, — ორი ადამიანისა...

თუმცა ის მეორე გაიქცა და გაურბოდა მერეცა, გაურბოდა და გაურბოდა, სათაფრზედაც აღარ გაჰკარებია, — არა, აღარა: ანთუ ღროს მუქარას დაივიწყებენ, თუნდაც საშინელსა, „შენმა რა მიყოსო...“ ანუ საშინელსა, დაივიწყებენ თუ გაიქარებენ, მაგრამ მუქარა სხვაა, ელეთმელეთი სხვაა, და ისეთი ელეთმელეთი დაუტოვა ქალმა, ველარ გაიქარვა კაცმა, ველარ ამოიღო გულიდანა, ვერა, ველარა; ხელი რო შეავლო და გადმოიქცია, — კაცმა ქალი, ანთუ იმან ისა რალა თქმა უნდა, მაინც შეგახსენებს, თუ არ

შეგახსენო, ნურც ამიხივდება, არ უნდა ამდენი ნაცვლსახელი, არ უნდა მდებარე, არ ესაჭიროება ქალთულ ეხსნა; არც უნდა და ნურც გაზარმაცდები, ცოტა ვარაუდი მიადევნე შენცა, აქაც ნუ დაგიტანს გავლენანი სხვათა და სხვათა, ნუ გაზარმაცდები, ნუ გაზარმაცდები, — და რო გადმოიქცია ერთისიტყვითა, ის თითქოს იმდენი არაფერიო, თითქოს ხუმრობა გამოდიოდა, დღისითა, მზისითა, ვეებერთელა აივანზედა, ცოლის თვალწინა, თითქოს ესაო, რო არამკითხე მოამბეო, მიტყვიე და მიაგდეო, ეს გამოდიოდა და მეტი არაფერი თითქოსაო და ვითომც იმდენი არაფერი თითქოსაო, ოღონდ ის სხვა იყო, სხვა იყო და ის იყო, რაც იყო, რო გადასდგომოდა ქანდაკებასავითა, გაცეებისა და შიშისა ქანდაკებასავითა, ის იყო, რაც იყო და იმან დამართა ელეთმელეთი, იმ გაცებამა, შიშმა იმანა, სწორედაც შიშმა, ვითომ თითქოს რო უცნაურია, რადგან რო უნდა დაეფრთხო შიშსა, როგორც წესია, უნდა დაეფრთხო; მაგრამ შიში ბევრგვარიო და ქალის შიში იმ წუთს მხოლოდ იმასა ნიშნავდა, რო ვერა, ველარ წაუვიდოდა იმა კაცსა, რო თავს მოსჭრიდა კაცი იგი ფერხითთ რო ეგდო, მისთა ფერხითთა, რო ასცქეროდა ეგრე ხარბადა, ლამისაა რო გადაჰყლაპავსო, თავფეხიანად გადაჰყლაპავსო, ერთი ყბის მოქნევით გადაჰყლაპავსო, დღისითა, მზისითა, აივანზედა თუ მოედანზედა, ერთის თვალწინა თუ ათასის თვალწინა, სულერთია, სულერთიაო, არას დაგიდევს და სულერთიაო;

ამ შიშსა ნიშნავდა

და

აუხდა კიდევაცა;

თუმცა არ გამოუქნებია საქვეყნოდა, არსად არაფერი დაუტრახებია კაცსა, მაგრამ რა დაფარულა რო ეს დაფარულიყო, — იცოდა ქალმა, ესეც იცოდა, და ამოფენილიყო ესეცა აგრეთვე შიშში იმაში, იმა პირვანდელში, ქანდაკების შიშში; ამოფენილიყო და იყო სიჩხვილი, იყო თავის მოჭრა, იყო ჩაქოლვა, იყო ზიზღი, შიში იყო ერთისიტყვითა, კაცისათვის რო ელეთმელეთი გა-

ხლდა, მოლოდინი ნეტარებისა; ანთუ არცთუ დიდი ხნის მოლოდინი, ელემენტური რო არ მოისვენებდა: სადაც მოასწრებდა, გადაუღებოდა, დაელოდებოდა და გზას მოუჭრიდა, არ ითაკლებდა დამცივებასა, არც ძალადობას მოერიდებოდა. უფროსხოდა ქალი როგორც რო შევილო, არა ჰფარავდა არცა რო ზიზლსა, შიშსაც ვერა, ვერა ჰფარავდა. კაცს ესა ჰხიბლავდა, უფრო ჰხიბლავდა, შენ თქვი თუ გინდა, უცნაურიო, იმასა ჰხიბლავდა, ათამამებდა; ათამამებდა და აღარას დავიდევდა, ჰქარგავდა ნასახსაცა სირცხვილისა თუ მორიდებისა, თუ გაჩნდა რაღა თქმა უნდა, — ჰქარგავდა, ჰქარგავდა, და აქ ირღვეოდა ქალი, სასერიოდ გადაიქცეოდა, აქ იზრდებოდა შიში, მიდიოდა სასოწარკვეთამდისა, და ამან იყო რო ჩაუგდო ხელთა: ლანძლავდა, თათხავდა, რისხავდა, სწყევლიდა, შეაჩვენებდა, გადააფრქვევდა სიძულელის სრულს ლექსიკონსა, ანთუ სავათი მიუწყებოდა, თავს შეაცოდებდა, ეკედრებოდა, ემუღარებოდა სასოებითა და ზღვა ცრემლებითა, და რაც იყო თუ როგორც რა იყო, განმარტობა ჰო უნდოდა? — განმარტობა უნდოდა და კაცსაც ეს უნდოდა, მეტრ არაფერი, სხვა არაფერი რაღა თქმა უნდა, რადგან რო ვერას შეაგონებდა, ვერას, ვერაფერს გააგებინებდა, და ვერც რო აკივლდებოდა ქალი, ქვეყანას თავზე რო ვერ დაიხვევდა, იმავე შიშითა, სირცხვილის შიშითა, ქანდაკებად რო გადააქცია, ხელშემართული, სათლშემართული: თუმცა სათლი რო აღარც მოსჩანდა, მკლავებიც რო წატეხილიყო, ოლონდ შიში ეფინა ისევა, ჩამკვრივებული და სახიერი, — არა თუ სახე, შიში სახიერი;

და დნებოდა ქალი, დნებოდა და ითუ-თქებოდა.

და გალალდა კაცი, გალალდა და გალალდა.

და იღვენთებოდა ქალი, იღვენთებოდა და ჩამოხმა;

თვალს ველარ უსწორებდა მეუღლესა, შვილებს ველარ უსწორებდა თვალსა, — დადიოდა თავდახრილი, შუბლ-

წაკრული დადიოდა, თვალბზე რო ჩამოსთრევდა ფოჩები, რო არც არაფერი დაენახა მკაფიოდა და რო არც არაფერს გადასწყდომოდა ზედა; აღარა კამდა და აღარა სვამდა; აღარც იცინოდა, აღარც იღიმოდა, არც რო მოსთქვამდა და არც რო ეკნესოდა თუ ოხრავდა, არაფერს უჩიოდა, კრინტს არა სძრავდა; თავი არ ეზოგებოდა საქმისათვისა, ეტანებოდა ყველაფერსა და ხელიდან უვარდებოდა ყველაფერი; არაფერი შეეძლო, არაფერი უნდოდა, აქეთ აღარ იყო ერთისიტყვითა, — უკვირდით მაინც თუ რა ასულდგმულეზდა, რა აცოცხლებდა თუ ცოცხლობდა კიდევა,

ჩონჩხიც თუ ცოცხლობდა, — როგორა ცოცხლობდა, —

უკვირდით,

უკვირდით;

ჩამოდნებოდა, ჩამოხმებოდა ასე, ამგვარადა.

ჩამოეხსნებოდა კაცისა, ელემენტური გაუვლიდა და ჩამოეხსნებოდა, — აღარც დაინახავდა, აღარც დაენახებოდა, აღარც არაფერს მოიგონებდა და არც არაფერს დაინანებდა, სხვაგან წათამამდებოდა, სხვაგან გალალდებოდა, სხვა ქარს აყვებოდა, სხვა ზურგის ქარსა, ეს ვითომც არცა ყოფილიყოს ამ ქვეყნადა, ჰო აღარც იყო?.. გადაივიწყებდა, გადაივიწყებდა.

გადაივიწყებდა და,

რო აღარც იყო და იყო მაინცა, ღივლივებდა მაინცა მცირედი ნაპერწყალი, სიცოცხლის ნაპერწყალი რაღა თქმა უნდა, ღივლივებდა და გაღვივდებოდა: ხორცს მოიხამდა, ფერს მოიციმდა, ამართებოდა, აიხედებოდა, იტყოდა, ეტყოდნენ, აყვებოდა, გაიღიმებდა, გაიცინებდა, მეუღლეს შეჰბედავდა, შვილებს შეჰბედავდა, შეჰბედავდა მახლობელთა, გამოერეოდა ხალხშია, თვალს გაუსწორებდა, შიშს გადაიყრიდა, სირცხვილს გადაიყრიდა, თუ მოიგონებდა — უემურივითა, სიზმარივით მოიგონებდა, შეაყრეოლებდა, შეაკანკალებდა და აღარ მიეცემოდა იმგვარ სიზმრებსა: თუ არ მოეშვებოდა სიზმარი მაინცა, სწორედ იმგვარი, შემზარავი იმგვარად-

ვე, შეჰკივლებდა და მიეკვროდა მეუღლესა, მიეკვროდა ისე, რო აღარ გაჰყაროდა, შესტყუებოდა, შენივთებოდა, სახე დაეკარგა თავისი, სხეული თავისი რო დაეკარგა, ისე მიეკვროდა, იმგვარი სიმძაფრითა, — დაეკარგა და დაეკარგა, რო აღარ განეცადა სირცხვილი იგი, შიში იგი რო აღარ დასტებოდა თავსა: თუმცა ესეც იგივე გახლდა, შიში იგივე თუ დაბოლოებში შიშისაი, მთლად დაბოლოება რო არც რო ეწერა, რადგან ქალი რო ფერ-ხორცს მოიცემდა, კაციც ისევე მოიბრუნებდა თვალთა, — კაცი იგი, — თვალთაც მოიბრუნებდა და გულსაც მოიბრუნებდა, გულსა ხარბსა, გაუმძაღარსა, უღმობელსა და გაუგებარსა, ცხრო აიტანდა იგივეი, ელეთმელეთი იგივე აიტანდა, აიტანდა და იმძლავრებდა შიშითა ისევე, სირცხვილი იგი იმძლავრებდა, იმძლავრებდა და იმძლავრებდა, და წავიდოდა ქალი ისევე უკან-უკანა, და ჩამოდნებოდა ისევე ისევე, ჩამოდნებოდა და ჩამოხმებოდა, ისევე ისევე, ისევე ისევე;

და განუდგებოდა კაციცა ისევე, სხვა ქარს აჰყვებოდა ისევე ისევე, ამოირეცხავდა გულიდანა, დაივიწყებდა ისევე ისევე; და მიიღოდა შიში, მიიწირებოდა, სირცხვილიც ისევე მიიღოდა, მიიწირებოდა, ამოიხსნთქებდა ქალი, ცოტა შევებით ამოიხსნთქებდა, აესხმოდა ხორციცა ისევე, ფერიც ისევე მოუვიდოდა და...

აღარც ითქმის; აეთი წამებაც არ გაგონილიყო, არცა თქმულიყო და არც გაგონილიყო; თითქოს დასასრულიც არ მოუჩანდა, სიკვდილის ნატვრაც ნატვრადვე რჩებოდა, და, რო ეცადა თვითონვე სიკვდილი, ამის ილაჯიც აღარ გააჩნდა, ქალსა ცხადია და რალა თქმა უნდა, კაცი ჰო ისევე გაილაღებდა, ისევე სხვა ზურგის ქარს მიეცემოდა და თუ მოჰკარავდა ამასაც თვალსა, გაიკვირებდა, გაიოცებდა, ნეტავი ეს ვილა არისო, ნეტავი თუ ასეთნი რალად ამძიმებენ მიწასაო; და

თუ მაინც მოაგონდებოდა, რალაც მაინც მოაგონდებოდა, აერეოდა გული უთუოდ და;

ოლონდ...
და ისევე...
აღარ ითქმის ერთისიტყვითა;
და ბოლოს მაინც, არ ვიცი თუ ვინმემ უჩრჩია, არ ვიცი თუ თვითონვე მოიფიქრა, არც ის ვიცი თუ რა ძალა ეყო, არა, ამდენი მეც აღარ ვიცი, — და ბოლოს მაინც ერთი საცდელი მაინცა სცადა, თუმცა ამასაც... არა, ჯერ გეტყვი თუ რაცა სცადა:

ჩამოჰქნა ელაპტარი კაცის სიმალღედა, არც მეტი, არც ნაკლები ქრთილის ოდენადა, — არც მეტი არც ნაკლები; ჩამოჰქნა ისე, არავის დაუნახავს, ისეც წაიღო, რო არავის დაუნახავს, ალურის ნიშთან აანთო და დაემხო იქავე, ნიშთანა და ელაპტართანა.

ალურის ნიშთანაო, რო მოგახსენებ, არავის ახსოვს თუ რად შერქმევია, ანთუ რად ერქვა, არავის ახსოვდა, თორემ ახლა ჰო ესეც წაიშალა, ნიშიც წაიშალა და სახელწოდებაცა, ბულდოზერებმა გადაუარა, ტრაქტორებმა გადახნა და იხარა ხილის ბაღმა, თვალს რო ვერ გაუწვდენ, იმხელა ბაღმა; ჰოდა წაიშალამეთქი; ერთს, აქამომდე გამოუცემელ ტოპონიმურ ლექსიკონშილა შერჩენილა და იქაც განმარტება ვერ ამოვიკითხე, ვარაუდიც ვერ ამოვიკითხე; თუმცა და რაო, ისიც კარგია, ლექსიკონში რო შემორჩენილა, გამოიცემა ალბათ ოდესმე და განმმარტებელი თუ მკვლევარიც გამოუჩნდება; მე, ჩემდა თავად, მომიხერხდება მხოლოდ ის შევნიშნო: ჯერ ერთი, — ალური მიწდორს რო ერქვა, და მეორე, მეორე და მთავარი, — ეკლესიასაც რო აეთვალისწინებინა ნიში იგი, ძველთაგანვე აეთვალისწინებინა, და იმიტომაც მიიპარებოდნენ, ჩუმადა ლოცულობდნენ, ეკლესიის ჩუმადა, ჩვენი ეკლესიისა, ქრისტიანული ეკლესიისა; ალბათ იმიტომაც: ის რო უფრო ჩვენი რო იყო, ძველი, ძველის ძველი, ქრისტიანობამდელი, ქრისტიანობამ რო დაანგრია, უცხომ რო დაანგრია საკუთარი, — დაგვანგრევენა, — მამაპაპისე-

ული სალოცავი რო დაანგრია უცხომა და იგივეს რო მისტიროდა შთამომავალი, რო უშლიდნენ და რო მისტიროდა, იქ რო უფრო გულმხურვალე იყო ლოცვაი მისი, და მიიპარებოდა, ევედრებოდა ისევ იმასა, თავისასა, საკუთარსა, სისხლისმიერსა და სულისმიერსა, ჩუმიდა, ჩუმად ევედრებოდა და სწამდა ჩუმად, იგივე სწამდა; სააშკარაოდ დადიოდა ეკლესიაში, თვალის ასახვევად დადიოდა ეკლესიაში; ამას რო შევნიშნავ, შევნიშნავ იმასაცა, ქალმა რო არც იცოდა ამდენი, — იცოდა, ჩუმად რო უნდა წასულიყო, და წავიდა, იცოდა, რო უნდა აენთო კელაპტარი და დამხობილიყო, აანთო და დაემხო, იცოდა, რო უნდა ყოფილიყო ეგრე დამხობილი, ვიდრე სანთელი ჩაიწვოდა, ვიდრე ჩაღვებოდა კელაპტარი, უნდა ევედრა სავედრებელი, ევედრა და ევედრა სულმოკთქმელადა, უღრესი მხურვალეებითა, და ემხო, და ევედრებოდა, და შესწირა კაცი იგი, ვისი ზომისაც იყო კელაპტარია, შესწირა და მიიღო არსთა გამრიგემა, — კვირის სწორზე უსულადო მოასვენეს შინა, კაცი ცხადია და რალა თქმა უნდა: ავტობუსი შეასკდა რალაც ვეებერთელა სატვირთო მანქანასა, რალაც უცნაური მარკის მანქანასა, ისაა, ერთხელ რო ჩაველო ამ ჩვენს დაბრეცილ გზებზედა, თითქოს იმიტომა, მსხვერპლშეწირვა რო აღესრულებინა; რამდენიმეც გადაჰყოლოდა თანა, ალბათ ისინიც შეწირულნი სხვადასხვა დროსა, სხვადასხვათა მიერა, — აღსასრული ჰო ერთხელაა წუთისოფელში!..

და მოისვენა ქალმა, განაძო შიში იგი სირცხვილისა და მოისვენა, — ველარ მოერეოდა შიში ველარაი, ისეთი გახლდა განცდა იმა ღამისა, რო სისინებდა სიო ველისა, რო ბუბუნებდა მუხები ნიშისა, ოდნავადა, სულ ოდნავადა, იღუმალადა და შემზარავადა, — ბუბუნებდა და სისინებდა, ანთუ ჩაწყდებოდა, სუმთლად ჩაწყდებოდა, გამტკნარდებოდა ყველაფერი, ანთუ ვითომდა რა ყველაფერიო, — გამტკნარდებოდა ველი, მუხები, და გაისმოდა ჩურჩული სანთლისაი, ჩურჩული აღისაი, დუდუჩი.

დუდუჩი, დუდუჩი იღუმალაი, იღუმალაი და ძრწოლის მომჭერელი: ქაოტეხილები რაო, წარღვნა რაო, ეს იყო, რაც იყო, ეს იყო შიში უღრესი, როცა აღმოქპრა სული და ჩონჩხიდა ეგდო თუ ფიჩხიდა ეყარა შიშითა შიშის დამთრგუნველი:

და მოისვენა ქალმა, მოისვენა და სული მოიდგა, სული მოიდგა და გამოიხედა, თუშკა თვალი ვერ გაუწვოდა მაინც ვერავისა, მაინც გამოიხედა, გამოიხედა. შინაც მოისვენეს, დაუმშვიდდნენ შინაურნიცა და გარეულნიც აღარ ერიდებოდნენ; დაეწყებას მიეცემოდა ავი, უკეთური, აღმოცენდებოდა ნერგი სიკეთისა;

აღმოცენდებოდა;

განსჯით თუ განსჯიან, ეგებ ისიცა თქვან, რალა სიკეთე თუ მსხვერპლი უძღვისო, მაგრამ განსჯა მაინც განსჯაა, ხოლო ამბავი ამგვარად წარიმართა, — ანთუ წარიმართა რა სათქმელია, როცა განმეორდა, იგივე განმეორდა:

გამოიხედა და ისევ ჩამოჰკიდა თავი;

მოფერიანდა და ისევ ჩამოხმა;

აბწყიალდა და ჩაითუთქა ისევა; — ერთხელა,

ორხელა,

დაუთვლელადა,

დაუთავებლადა, —

აღივებოდა და ჩამოდნებოდა,

გაიფურჩქნებოდა და ჩამოჰკნებოდა;

საკოდაობით აღივებოდა ყოველი

შემყურე, ვერ გაუძლებდა ჭვა გულიცა, ვერც თანაუგრძნობდა, ვერას შეეწეოდა ვერავინა, მაგრამ მაინცა კვითხე ექმისა, რა სჭირსმეთქი, თუ ეშველება, რა ეშველებაამეთქი;

რა მოგახსენოო, აიჩეჩა მხრები:

— ჩემთან არ მოსულა.

— ეგება გორს აკითხავს, ანთუ თბილისსა?..

რა მოგახსენოო, აიჩეჩა მხრები:

— არა მგონია, ან იქ რო იცოდნენ მაგისი წამალი.

— მაინც რა უნდა იყოს?..

რა მოგახსენოო, აიჩეჩა მხრები:

— ანალიზი უნდა... ახლა ისე დიაგნოზს ვერავინ გამოიტანს.

— ეგება უფრო სულისმებრია?
 რა მოგახსენო, აიჩეჩა მხრები:
 — იმასაც თავისი ანალიზი უნდა.
 — თუ მაინც არ ექნება წამალი?..
 რა მოგახსენო, აიჩეჩა მხრები:
 — დიაგნოზი უფრო მეტია, ვიდრე
 წამალი, მაგრამ იმედია, რო იქნება წა-
 მალი, ხოლო დიაგნოზიც რო აღარ იყოს
 აღარც იმედი იქნება და აღარც წამა-
 ლი.

— ეგება იმედია ყველაფრის წამა-
 ლი?..
 რა მოგახსენო, აიჩეჩა მხრები:
 — იმედიც კარგია.
 — მაგრამ თუ იმედიც დაგვიავადდა?..
 რა მოგახსენო, აიჩეჩა მხრები, აიჩე-
 ჩა და ჩამოჰყარა.

ის ჩვენს წინ მიდიოდა: ქალი, — ქა-
 ლი მიდიოდა ჩვენს წინა, კუბოს მისდე-
 ვდა ფეხდაფეხა, რო ვერ გაიგებდი, კუ-
 ბოში იწვა მკვდარი თუ მკვდარი მიჰყ-
 ვებოდა ფეხდაფეხა; ასე მიჰყვებოდა
 ყოველთვისა, ყველას ჰირის მოზიარე
 გახლდათ, გულდამწვარი მგლოვიარე
 გახლდათ, თვით გლოვა გახლდა, რო
 არც დაეტირებინა არავისა, გლოვა გახ-
 ლდა გამოცხადებულო; ლხინში არაო,
 არავის ლხინს არ დაესწრებოდა, რო
 მოიხედავდა, არც რო მაშინა, რომ მო-
 ფერიანდებოდა, ამოისუნთქავდა, რო
 ეგონა, რო მეშველაო, არა, არა, არც რო

მაშინა, — ჰირისა იყო, ჰირისთვის იყო,
 გადადებულიყო ჰირისთვისა; და რო ვე-
 ლარ გაუძლო, — ვერა, ველარა რაღა
 თქმა უნდა, კიდევ ჩამოჰქნა კელაპტარი
 წმინდა სანთლისა, თავისი ზომის კელაპ-
 ტარი ჩამოჰქნა, ისევე ჩუმადა, ისევე
 გაიპარა, ეწვია ისევე ალურის ნიშა;
 ეწვია, ალუნთო, დაემხო იქავე, მიწას
 დაემხო და მიწას შეევედრა, მიმიღე,
 წამიყვანე, ცოდვილვარ და აქ ნულარ
 მამყოფებო;

უსმინა მიწამა,
 მიწამ შეივრდომა;
 სისინებდა სიო ველისა, ბუბუნებდა
 მუხები, აილანძებოდა ნიში კელაპტარის
 ალზედა, აილანძებოდა და ციალებდა
 ნიში, — ნიში თუ კელაპტარი, ციალებ-
 და ტრიალ მინდორში, კუნაბეტ ღამეში
 ციალებდა და კენესოდა ჰოტი, მხო-
 ლოდ ჰოტი კენესოდა, სხვა ყველაფე-
 რი განაბულიყო, გატვრენილიყო თუ
 ძილს მისცემოდა, — კენესოდა ჰოტი.

ასე დამთავრდა...
 ისე დაიწყო და ასე დამთავრდა. და-
 საწყისი კიდევ მოიგონებენ ხოლმე,
 ანეკდოტად იტყვიან, დასასრულს არა,
 არ მოიგონებენ: დასაწყისი სიცოცხლი-
 სია, დასასრული ჰო სიკვდილისა, და-
 საწყისი ხალისისა, დანარჩენი ჰო წამე-
 ბისა, და ვის უნდა წამება, ვინ მოიგო-
 ნებს, როცა თვითონ არ გვავიწყებს თა-
 ვსა?..

ბოღლიწო

ჰიშვარი გაიხმაურებს.

ძალი შეჰყვება თუ გაიწმეტუნებს
 მისალმებისადა. ის, ვილაც შემოდის,
 ალბათ თუ ეფერება, უფრო და უფრო
 წმეტუნებს ძალი, კიბესაც აირბენს
 მახარობელივითა, აირბენს და ჩაირბენს.

ალბათ სტუმარია, ნაინატრი სტუმარი.
 მასპინძელი აივანზეა. არ აჩქარდება
 5. „მნათობი“, № 2.

მასპინძელი, ცოტა აჩქროლდება, ცოტა
 სიამე აპკრავს სახეზედა, ჰურის ყუას
 ჩატებაჲს ჯამშია, ჯამში თავკვერია, ალა-
 ლი თავკვერი, თავკვერში ჩასტებაჲს
 ჰურის ყუასა, — ეს აჩქარებითა; ხელა-
 დას მოსინჯავს აუჩქარებლად, თვალს
 გადაავლებს ორჯამიანსაცა, თაფლიანსა,
 ფიჭაში არეულსა თუ გამოურჩეველსა

ფიჭიდანა, თეთრი, თეთრი, ქათქათა ფიჭიდანა; თვალს გადაავლებს და ელოდება მოუთმენლად და აუმღვრევლად; ელოდება და ხმაც მოესმის, ნაცნობი ხმაი:

— გამარჯვება შენი, კარგი გამარჯვება!..

ეს მისი ვაჟია, პირმშო და ერთადერთი, დაუკითხავად რომ ამოიბრუნეს კიბესა, თავს რომ წაადგება დაუკითხავად.

— გაგიმარჯოს!.. გამარჯვება მხოლოდ კარგია. დაჯექი.

ეტყვის და წამოიწევს, თვითონ წამოიწევს და ხელს გაუწოდებს.

ვაჟი სკამს გამოსწევს. ჯდება.

მამა ჯამს მიუღდამს, დაუახამს ღვინოსა პურსაც გადაუდებს, თონის პურსა, — ცოტა შემხმარა, თუმცა არა უჭირს, ღვინო დააღობს, ჩაბუებუყდება.

— დილიდანვე?..

იციან ვაჟი, ისე აღარა, იმა რიხითა, მისალმების რიხით აღარა, უგულოდ იციან, იციან, ისე სახემორტბლული, კარგახანია რომ არ გაუცინია, — ეტყობა, ეტყობა, არ გაუცინია. სალამი სხვაა, გამარჯვება სხვაა, ხალისი უნდა გამარჯვებასა, რიხი უნდა გამარჯვებასა, ისე არ ითქმის, არც უთქვამს ისე, თავს ძალა დაატანა და აღარა ჰყოფნია. მამა ჩაახველებს, ღრმად ამოისუნთქავს და ჩაახველებს ისე, რომ არ ეხველება. პურის წვერს წატეხავს, ამოავლებს ფიჭიან თაფლში, ამოავლებს, ამოაგუნდავებს და ჩაუშვებს შვილის ჯამშია.

— დილიდანვე... ბავშვობაში მიმაჩვიეს.

ცოცხალი კინწწაწყვეტილი, ცოცხალი ბიჭი ვყოფილვარ, ამითი მოვიყვებ თურმე. ამითი დავიწყებ და ამითი ვამთავრებ. აუხსნის მამაი.

— ჯერ რა დროსია?..

ანუკეშებს შვილი, ისე, თვითონაც რომ არ უნდა სჯეროდეს.

— რა უდროსია!..

მამა უფრო გაუიოლებს. ეს არაფერი, არც არად აგდებს, მხოლოდ შვილის ხმის კილო არ მოსწონს, თმაში ჰკლარა რომ მოსაღებია, ისიც არ მოსწონს, ფერიც არ მოსწონს: მწვანე, ყვითელი თუ

ფითრისფერი ანუ ორივე გაერთბამებულს, — არ მოსწონს, არ მოსწონს.

— ახვაზების ანსამბლი...

მაინც სანუგეშოს დაეძებს შვილი, ანთუ თავისთავად წამოუტიტიტივდება, წამოუტიტიტივდება და იტყვის, არ დაახანებს.

— ანსამბლი ანსამბლია.

მამა ხელს ჩაიქნევს, ვთქვი ისე, არა ვნაღვლობ წამსვლელი წავა, მომსვლელი მოვა, წესს ვინ გადავა წუთისოფლისაო, — ასე ჩაიქნევს.

შვილს მაინც რალაც ეჩითირება, ანთუ რა რალაცა:

— აღარ იბარავ?..

ეკითხება საყვედურითა, ისეც შეჰყურებს. ეგ უფრო გაბერებსო, მოიშორეო, ისეც შეჰყურებს.

— არავინ მოდიან, არავის ველი, გარეთ არ გავედივარ, გავზარმაცდი.

გაჯავალ ლოყებზე მოისვამს ხელსა, ჩამოგრძელებულ თმასაც ჩამოიწევს, მამაი ცხადია.

— ვაზს არ ეტყობა... ხილს არ ეტყობა.

აუბწყიალდება თვალეზი შვილსა, ოდნავა, ოდნავად აუბწყიალდება, ჩაუშრება მყისვე, უმაღვე, მამას რომ არ გამოეპარება.

— ვაზმა არც უნდა შეიტყოს, რაც უნდა დაჩაჩანაკდე, არ უნდა შეიტყოს ვაზმა, ვაზი ცოდოა.

— კაციც ცოდოა.

— ვილას ეცოდება კაცი, თითონაც რომ აღარ ეცოდება თავი...

— უნდა შევიცოდოთ.

— უნდა.

და ამოიღებს პურის ლუქმასა, გაეცეოებულ პურის ლუქმასა, ისევე, ხელით ამოიღებს და ბანჯგვლებზე დაცვენოლ წვეთებსაც მოიწმინდავს ხელითა.

ჩანგლებს მოძებნის შვილი, მოძებნის ქალაღის ხელსაწმენდებსაცა, —

— ინებე!..

ეტყვის შვილი, თითქოს აფრთხილებს თუ თითქოს შეფიქრინებულა ამისი ბედითაო.

— ზედმეტი ნაბიჯის გადადგმა აღარ მინდა.

მამა თავს იმართლებს.

— ზედმეტია?...
 თითქოს შეიცხადებს შვილი.

— ჩემს ხანში სხვაგვარად ფიქრობს
 ადამიანი, სხვაგვარადა ფიქრობს, ილა-
 ჭი რო აღარა ჰყოფნის.

ასე უპასუხებს მამაი, თვალსაც აარი-
 დებს თუ აღარ უნდა ამაზე საუბარი.

— ჩემს ხანში?..

არ მოეშვება შვილი მაინცა.

— სხვაგვარადა...

აიკურებს პასუხს ისევე.

— მაინც?..

არ მოეშვება შვილი.

— სხვაგვარადა!..

მამა იგივეს გაიმეორებს, ოღონდ ცო-
 ტა უფრო მტკიცედა.

— ჰო?..

არ მოეშვება შვილი.

— შენს ხანში ნაბიჯს არ უფრთხილდ-
 ებიან.

ასეღა აუხსნის.

— თუ მაშინვე მიუწყდათ ილაჭი?..

არ მოეშვება შვილი მაინცა.

— არ უნდა მიუწყდეთ მაშინვე...

მაშინვე არა, მაშინვე არა, აბა მაშინვე
 როგორ იქნება?!

აქ ხმას აუწყებს, ოღონდ თავს დაღუნ-
 ავს, წარბების ქვეშედან გაჰხედავს მამ-
 აი, თერთი, თერთი და გაფარჩხული წა-
 რბების ქვეშედანა. წარბებიც გასთეთრ-
 ებია, გასთეთრებია და გაფარჩხვია. მუჭი
 წარბები ჰქონდა, მუჭი და ხშირი, ხში-
 რადაც გადაიწურავდა, გადაიწკეპავდა
 ხელის გულითა, ახლა აღარც ახსოვს, გა-
 ფარჩხვია; ვაზები არა, — ვაზები აუკრავს,
 აუხვევია, კავიცი არ ჩასთრევს, ბწყალიც
 არ ჩახვეწია, ერთი ბწყალიცა. წუხდა
 ხოლმე, გვიან-გვიან რო მოაკითხავდა,
 საქმე რო არ აკლიდა, ამსახური არ
 აკლიდა, წუხდა ხოლმე აქაცა, რო დაჰხ-
 ედავდა, იქაცა, თბილისშიცა, რო ვერა
 ჰხედავდა, რო ეგონა, რო სულაც დაიქ-
 ცა იქაობაო, — წუხდა, აწუხებდა,
 ახლა თვითონვე რო გაფარჩხულა, რო
 გასჯავდია ასე თავპირი, ეს აღარ აწუხებ-
 ბს?...

— წამოდი... ცოტა ხანს მაინც წამოდი
 შვილი სთხოვს.

— რა გვაკეთო?

თავს ასწევს მამაი.

— არაფერი. პირს მაინც მოიპარსავ.

ასე მიუგებს შვილი, ოღონდ იმასაც
 გაიფიქრებს, ცოტა წარბებსაც გადაი-
 ტკიცავო. მამა გადაისევამს ხელის გულე-
 ბსა, წარბებზე გადაისევამს. არ გაუჩერდ-
 ება წარბები, გაურჩებია, გაუხეშებია,
 მერე და რაო, — არც არას დაგიდევს,
 ჩვევა შერჩენია და უნებლიედ წაუვიდა
 ხელი, ანთუ ფიქრმა აიყოლია, ფიქრმა
 შეილისა. ჩანგლბასკენაც მიუღის ხელი,
 ისევე, ისე უნებლიედა, აიღებს, ატრია-
 ლებს, დადებს და ლუკმას თითებით ამ-
 თიღებს ისევე, წვეთებსაც ისევე ჩამოი-
 წმინდავს.

პირს ყველგან მოიპარსავ...

მამა ჩაიჩნევს ხელსა.

— ყველგან ისე ვერ მოიპარსავ.

არ უთმობს შვილი.

— ჰო, მაგრამ რა უჭირს მერე!..

თითქოს რაო, და, ჭირჭილებს თითქო-
 სა.

— აგრე არ ამბობდი... ცოტა ადრე
 განუდექი ცხოვრებასა.

ნანობს შვილი.

— ცხოვრება ყველგანაა.

მოსჭრის მამაი.

— ყველასი არა.

შვილი არ ეთანხმება და თავისი სიტყ-
 ვები აგონდება მამასა: ასეა, რასაც რო
 თვითონ ასწავლიდა, ახლა ეს უხსნის და
 აღარ იცის, მოუწონის თუ შეედაოს;
 არა და სადაო არაფერია: რაც უნდა რო
 კარგად მოუაროს ხილსა თუ ვაზსა; რა
 სანაჭებო ბოსტანიც არ უნდა მოიწიოს
 — ეს არაა ამისი საქმე; სხვა საქმეს ად-
 გა, სხვას იღწოდა, იღწოდა მართლაცა,
 უანგაროდ იღწოდა, და წაუსწრეს სხვე-
 ბში, — პატივმოყვარეობამ წაუსწრო და
 შურმა დაჩაგრა, სიხარბემ დაჩაგრა,
 სიხარბემა უძლომელებისა, დაჩაგრა და
 ველარ განუძლო, და განუდგა, რო ველ-
 არ განუძლო, არცთუ ადვილადა, არცთუ
 ერთბაშადა რალა თქმა უნდა, მაგრამ
 ბოლოს მაინც განუდგა. და ბოლოა ყვე-
 ლაფერი, თავი არაფერი, იმდენი არაფე-
 რი, და ყველაფერი არცაა თავი, ბოლოა
 მხოლოდ, ყველაფერი მხოლოდ ბოლოა.
 სადაო რა არის?.. არაფერი რალა თქმა

უნდა, — არ უნდა განდგომოდა, არა, არა, რაღა თქმა უნდა, არა ცხადია, ოღონდ ეს რომ ლოგიკაა მსჯელობისა, ცხოვრების ლოგიკა სულ სხვაგვარია და ლოგიკა ხასიათისა კიდევ სულ სხვა გვარი; და ლოგიკა მაინც ერთია, უამრავია და ერთია მაინც; სადაო რა არის?.. არაფერი რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს ახლა აქა და აქაც მოიპარავს პურსა, თუ უნდა, მოიპარავს; ოღონდ ესაა, რომ აღარც გახსენებია აქამდისა: ხელს ჩამოისევამს, აისევამს და ჩამოისევამს, — როგორ წამოზრდია მართლაცა და მართლაცა; ეგება მოუშვას, ბარემ მოუშვას, რომ აღარ ამტკიცოს, პირის მოპარსვა ყველგან შეიძლებაო.

— არა.

მამა ეთანხმება.

— მამ უნდა იცხოვრო შენი ცხოვრებითა.

დაასკვნის შვილი, თამამად დაასკვნის; უფრო შეფიქრიანებული მოვიდა, მამა ელოდა, კიდევ რასმეს ცუდს მაუწყებოს; თუ მხოლოდ ესაა, თუ მხოლოდ ამისი დარწმუნება უნდა, — ყოჩაღ, ეცადოს, დაარწმუნოს.

— ჰა, ჰა, ჰა...

მამა გაიცინებს.

— ყველაფერი შედარებითია რაღა თქმა უნდა.

დაეშურება შვილი.

— შედარებითი თავის მართლებათა. ან! — ან! ჭეშმარიტებამ შუალედი არ იცის.

მამა შეახსენებს, იმგვარად ეტყვის, გიმეორებო, რომ იგულისხმება.

— არ იცის.

ეთანხმება შვილი.

— არ იცის.

მამა დააბეჯითებს.

— მაგრამ ჭეშმარიტება ზოგადია და ლმობიერი, ხოლო ცხოვრება სინამდვილეა და ულმობელი.

შეახსენებს თუ მაინც ედავება შვილი.

— მართალსა ბრძანებ.

მამა არ ედავება.

— ოღონდ დასკვნა სხვაგვარია ჩემთვისა.

ჩქარობს შვილი.

— გეთანხმები.

ჩქარობს მამაცა. არ უნდა მსჯელობანი არ უნდა, არ უნდა, ასეთი აღარაფერი აღარ ახალისებს, ისევ ვაზისას თუ იკითხავს, ანთუ ფუტკრის ამბავს თუ იკითხავს, მიუგებს იმასა, უფრო ხალისითა, ცოტა ხალისითა, ოღონდ მოჭრილად, მოკვეთილად იმასაცა. ამასაც მოუხმენს თუ რამე აწუხებს, თუ რამე ახარებს, მით უკვეთესი, მოუხმენს უფრო გულისყურითა, — რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა, მაგრამ სადღაა ეს სიხარული, აქ უფრო წუხილს რომ მოუყვანია, რომ უნდა შეჩივლოს, გული მოიოხოს, ანთუ დაისვენოს, განერიდოს თავის ცხოვრებასა. ჭეშმარიტებასა აედევნოს, ჭეშმარიტების პრობლემასა, ყოველდღიურს რომ წართვას თავი, თვითონვე წაართვას, ხელიდან გამოგლიჯოს როგორმე, როგორმე გამოგლიჯოს, ერთი დღით, მაინცა, კვირადღით მაინცა, თორემ ის ჰო არ დასთმობს თავისითა, არც რომ კვირადღითა, ღამითაც არა, ღამითაც არ დასთმობს. წაუგვრის ძილსა, ანთუ სიზმრებს ისეთს მოუყრის, გაღვიძება რომ მოენატრება.

— მაინც უნდა გითხრა.

არა თმობს შვილი.

— მითხარი, ოღონდ...

მამა თვალს გაუყრის.

— ოღონდ?..

იკითხავს შვილი.

— ცუდათა გძინავს?..

მამაც იკითხავს.

— არც ისე...

უარობს თუ არ გამოუტყდება შვილი.

— ცუდათ გძინავს.

მამა არ უჭერებს, არც გამოეპარება: თვალეზი წასვლია, ჩაღრმავებია შვილსა, და უფრთხის, უფანთხალებს სადღაც უფსკრულშია, თითქოს უფსკრულშია; ებლიტება ჭეთუთოები, ებლიტება და ახამხამებს ძალდატანებითა. არც ფერი უვარგა. გაიყვანს სათოხნავადა. მზე დაჰხედავს და ფერს მოჰგვრის მზეი სოფლისა. მაგრამ ვერ გაუძლებს ერთი მზის ფერი, ამოფხიკავს ერთი ღამეცა, ერთი უძილო ღამეც ამოფხიკავს. მაინც გაიყ-

ვანს, გავა და გაიყვანს, ჯერ ისაუბროს. ბოლიწომაც კარგი ფერი იცის. უძილო ღამე იმასაც წაშლის. შვილი ჩააწობს ჯამში ლუქმასა, ჩააწობს, ისე ამოღება რო არც რო უნდა. მამა აქეზებს, ჯამს თვითონა გულიანადა. ეგებ მადანე მოვიყვანო; შეახსენებს ანდაზასაც, მადა ჯამში მოდისო, — მადა მოდისო: ალიტერაციაა!.. და მართლაც აპყვება შვილიცა.

— რაღაც მაკლია... მიჭირს შინ რო აღარა ხარ.

გამოუტყდება შვილი.

— მეც მიჭირს .

მამაც გამოუტყდება. გამოუტყდება და გაუღიმებს. ღიმილში ესაა: ესეც არაფერი, დროდადრო მაინც შევხედებით ხოლმეო, სხვა არაფერი არ გამოგვიტყვრეს, უფრო რო დაგეჩაგროს, უფრო რო დაგვაშოროს, წუთისოფელი უცნაურია, უცნაური და გაუგებარიაო. შვილი ვერ გაუღიმებს, ეცდება, ოღონდ ვერ გაუღიმებს.

— და შეიძლება მეც იმათ მიმართავლონ, უმადურ შვილთა, მარტო რო დაუყრიათ მოხუცი მშობლები.

როგორც იქნება გაიღიწებს შვილი.

— ჰა, ჰა, ჰა... შეიძლება.

მამა გაიციინებს.

— ახლა ჰო ჟურნალისტები მეტს აღაჩაფერს წერენ.

კიდევ გაიღიმებს შვილი.

— ჰო... მალე მიაწოდებს ვინმე რამესა და მერე იმას გაეკიდებიან.

არც ენაღვლება გაეკიდებიან თუ არა, ეამება ღიმილი შვილისა, ეთანხმება და ეამება, — თუმცა არაა ისეთი ნათელი ღიმილი, ღიმილი იგი, ამღვრეულია, ცოტა ამღვრეული, ცოტა აჭრილი, მაინც ღიმილია, მაინც თავპირი აღარ ჩამოსტირის.

— და ის რამე ალბათ ის იქნება, მამა რო მიატოვებს შვილსა.

აქ შვილს ღიმილი დაეწმინდება, დაეწმინდება წამიერადა, მოუკრიალდება წამიერადა, მოუკრიალდება და აეჭრება ისევე.

— ორმოცი წლის შვილსა.

აღმატებულად გამოსთქვამს მამაი.

— ორმოცდასამია ..

შვილი დაუზუსტებს, ყოველ მარჯვლს რო დაპკრავს მახვილსა, ისე დაუზუსტებს, გამოსთქვამს უფრო აღმატებულადა, მოსწონს და იცინის. სიცილი უფრო მოუხერხდება, კიდევაც მოუხდება. ოღონდ უცებვე წაუვა სიცილიცა, სახე მყისვე დაემანჭება, დაეფშხალება, დაეღრიჭება, ისე მყისა და ისე იმგვარადა, მამას ეგონება, გამომიცივალესო, შვილი ამართვეს და ვილაც მომისვენს სამასხროდა თუ გასაბრაზებლადაო; ან შესაძლოა ისიც ეგონება, დრო ისე მოექცა, ისე აირია, თვალსა და ხელს შუა დამიბერდა შვილიო, — მშობელს შვილი დამიბერდაო.

— ექიმი ეჩვენე?

მამა ეკითხება.

— არა.

— მე წაგიყვანო?

— არააა..

იცინის შვილი, ისეც იცინის, ოღონდ სახე აღარ ეცვლება, სიცილი თითქოს ვილაცისაა, ანთუ სადღაც ჩაუწერიათ და გადმოსცემენ უადგილოადგილასაო.

— აბა?!

მამა არ ეშვება.

— არაფერი მტკიცა.

ამშვიდებს შვილი, მაგრამ რას ამშვიდებს, ისევე როა, სახეჩამოშლილი, ჩამოძლილი, როგორ დააჭერებს შვილი მამასა, რო არა სატიოდეს რო არაფერი. თუმცა ესეცაა, სატივიარიცაა და სატივიარიცა, ზოგ სატივიარს არა აქვს სახელი, ზოგ სატივიარს წამალი არა აქვს, ზოგ სატივიარს არც უნდა წამალი, მაინც რო არ მოგლავს და არც რო დაგარჩენს.

— დარჩები?..

ეკითხება და ფიქრობს, ეგება ეს იყოს წამალიო.

— ვერა.

მიუგებს შვილი.

და მამამ აღარ იცის სხვა წამალი:

— მე, შენს ადგილას, დავრჩებოდი — მამა ურჩევს, ვინ უწყის ეგება დავითანხმოო.

— მე, შენს ადგილას, არ წამოვიდოდი და თუ მაინც წამოვიდოდი, ჩავაკითხავ-

დი ზოგჯერ მაინცა, — უსაყვედურებს შვილი, — მოგერიდებოდნენ... გაგიხსენებდნენ, ეგრე უსიარცხვილოდ აღარ გაგმარცხავდნენ... რძალი მაინც მოგერიდებოდა.. — ცოტას დახანებს თუ ხმა ჩაუწყდება; ხმა ჩაუწყდება და ეძებს ხმასა თითქოს თითები უნდა ჩაიყოს ყელში, მიაგნოს და ამოიტანოსო; თითქოს თვითონვე მალავს ხმასა, შემზარავი რამ რო არ წარმოსთქვას, მალავს და რო ვერც დამალავს, ფიქრდება თითქოს ამიტომაცაო, უფრო ფიქრდება, ანთუ თეთრდება, თეთრდება ისე, ქალაღლისგან რო ვერ გამოარჩევ; აქ თუ არ ითქვა, გათავდება, ველარც გაუძლებსო; და ამოიყვირებს, ამოიგლიჯავს რალაც მოცობილსა, ასე რო ახრჩობდა, — წიგნები გაგიყიდა!.. — ამოიყვირებს და აიძუტება, ჰგონია, ჰერი ჩამოიქცევო. არ ჩამოიქცევა რალა თქმა უნდა. ისიც ხმას დაუწევს, რახან მოეშვა, რახან არ დაიხრჩო ახლა ისედაც ამოიქარვებს, წყნარად, ნელნელა ამოიქარვებს, — ბავშვი ჰო ამთავრებს და საბაბად ეს მოიღო, უნდა ჩავაცვაო... თვითონ გულქანდი ჩამოიყიდა და ისე დაფრინავს, თბილისიც რო ეპატარავება.

— ჰო, — მამა იტყვის, — ქალიშვილს ჩაცმა უნდა, სკოლა სკოლა... სტუდენტს ჩაცმა უნდა.

— ამართლებ?.. — დაიბნევა შვილი.

— ქალს ჩაცმა უნდა, — მამა გაიმეორებს.

— მერე...

— სამკაული უნდა ქალსა, — მამა განაგრძობს, უყოყმანოდა.

— მე რაც შემიძლიან... — თავს იმართლებს შვილი.

— რა შეგიძლიან?... — მამა დუღუნებს. დუღუნებს ისე გაგრძელებითა, თითქოს ახლა ირკვევს, რა შეუძლიანო.

— მაგრამ ეს... ეს... ბიბლიოთეკა მაინც... ეს...

და მეტს ველარაც იტყვის შვილი, — ვერც წამოიყვირებს, ვერც ჩაიჩურჩულებს, რაც თვალები შეენამება, გაშრება, გაშრება, თითქოს გამოსწურეს, სისხლი დაუწრიტეს, ძარღვებიც აღარ შეარჩინ-

ესო და მამა ანიშნებს ასე გამოშვრალსა, შეიხედუო. შეიხედავს, რთარც შეიხედავს, ახალი გარანდული ფიცრები ასხმია უკანა კედელსა, მთლიან კედელსა, წიგნები ჰყრია ფიცრებზედა, ზოგი ყრია, ზოგიც ჩაწყობილა, ჰყრია იატაკზე, სკამებზედაცა, ჰყრია და ჩაეწყობა, ჩალაგდება თავთავის ადგილასა. ნაცნობი წიგნებია, ნაცნობი ყდებია, მრავალჯერ რო შეუვლია ხელი, რო ეგონა, რო მორჩა, ველარ გადავეყრებო. თითქოს იცნობენ ისინიცაო, ყელყელობენ თითქოსაო, გადაუძაბებენ ერთიმეორესა, მიესალმებიან ყველანი ერთადა, მიესალმებიან და შეზხარიან, თითქოსაო რალა თქმა უნდა. მამა თვალს არიდებს, განიცადოს როგორც რო უნდა; მარტოდ განიცადოს, განცდა მარტოსია, მარტოსია და უშუალობაა, ორივე ჰქრება სხვის თვალთა ქვეშე; და ყველა სხვა არის, ერთი ერთია და ყველა სხვა არის, და ჰქრება, ჰქრება ერთის გარეშე. უშუალობა, უშუალობაა. და არიდებს თვალსა, ცოტა წახკელება სჩვევია დროდადრო, იკავებს, იკავებს იმასაცა. და მობრუნდება შვილი, ჩაიყრის პურსა, ჯამშეცხადია, ჩაიყრის და ჰამს, ჰამს ისე ხარბადა, თითქოს ესაა რო მოშივდო, უცებ მოშივდა და ადვილადაც ველარ გაძლებო, ესეც თითქოსაო რალა თქმა უნდა. მამა აღსნის:

— შემთხვევით გავიგე... მე არც გამოიჩინილვარ... გულქანდი!.. მე ჰო 'ხვა არც არაფერი გამაჩნდა. ეგ როგორღა გადაანარჩუნა საწყალმა დედაშენმა. სული ხელში ჩამოღო, ჩვენი შვილიშვილის ქორწილში მომიგონეთ, ჩემი სახელით გადაავლეო... ესეც შენი ანდერძი!.. რალა პირით შეგხვდე? არა და...

— მე არც შემიხედა... ვიცნობდი. თავს იმართლებს შვილი.

— მაინც ეგება თვითონვე უსახსოვროსა.

მამასაც უნდა იმართლოს თავი.

— ცოცხალი თავით ვერ შეეღევა. არ დაამშვიდებს შვილი.

— წესით მშობლები ადრე მიდიან. მამა მაინც თავს ინუგეშებს.



— წესებს არ დაგიდევს.
 თითქოს აღარაფერი გაეგება შეილსა.
 — ეს სხვა წესია.
 ამოიხრებს მამაი ოდნავა.
 — არ დასთმობს მანცა..
 თითქოს ზეძალად წარმოუდგენიაო.
 — მისგან ყოველი გასწორდეს...
 მამა წაიმღერებს და აღარ დაამთავრებს.
 — ვაგლახ...
 დასთმობს შეილიცა.
 მამა ჯამს შეუვსებს, ჯერ რო ლეინითა, მერე აიხვევს ფიქიან თაფლსა, ჩანგლით აიხვევს და ჩაუმატებს ჯამსა. შეილი მოსვამს, ისევე მოსვამს. აღარ ჩაიფშენის პურსა. წყნარი ღლეა, სადღაც რაღაცა მანქანა რახრახებს. თორემ ისე წყნარია, წყნარი; ისეთი წყნარია, ისეთი მშვიდი, რახრახა რო ირიდება ყური როგორღაცა, ჩამოიტოვებს, სადღაც მიაგდება და შედის სიწყნარეში. სიმშვიდეში შედის, სიმშვიდეში, რო არის, არის, და რო მიატან თუ შეგწევს ძალი განცდისაი ესოდენისა; არის და იქ გინდა, იმაცა უნდა, უნდა იგი, ვისაც რო შესწევს ძალი განცდისაი, ვინც აშორებს, რაც რო აურუებს, რაც რო ახშობს, აქარწყლებს რაც რო; რაც უნდა იყო. მშვიდდება შეილი, თითქოს რო ლოდი მოსწყდა გულიდანა, თითქოსაო და ალბათ მართლაცა, თორემ ასე არც გამოსტკეამდნენ, არც შემორჩებოდა ამდენი ხანი, — რამდენი გაცვდა, რამდენი გაჰქრა, რამდენმა შეიცვალა მნიშვნელობა პირველადი, ეს დარჩა ისევე: თითქოს ლოდი მაწყვეს გულზედო და თითქოს მომწყდა ლოდი გულიდანო, დარჩა ისევე, და ამ ორთაგან მეორე სჯობიან, რალა თქმა უნდა მეორე სჯობიან, შეილსაც რო მოსწყდა ლოდი გულიდანა და ოდნავ კიდევაც წამოილიპილდა, — ეს უკვე თავკვერის ეშხი იქნებოდა, — წამოილიპილდა და განა ვათამამდა, არა, პირიქით, ჩაითუთქა აჩვილდა უფრო, ჩაიძირა იმგვარ ფიქრშია, წავიდა, წავიდა თითქოს დაავიწყდა, სად თუ მოსულა, ვისთან თუ ზის, რა უნდა თუ რად აწუხებსო.
 — მწვანე მოვხალოთ.

მამა იტყვის, რო გამობრუნდეს.
 — არ მინდა.
 შეილი თითქოს გამობრუნდებარ...
 — გადავძახოთ სახლიკაცებსა. ქული ჭერსა ვერათ.
 მამა ხალისობს, ანთუ აჩვენებს, აი მე ისევე ხალისი შემრჩენიაო.
 — დამავიანებენ.
 შიშობს შეილი.
 — რა არის გვიანა?... ან ადრე რა არის?..
 მამა იკითხავს.
 — რაც რო დათქმულა...
 შეილი მხრებს ასწურავს.
 — დავთქვათ სხვაგვარადა.
 მამა თამამობს.
 — აეტობუი გამასწრებს.
 და შეილი ადგება. ადგება მამაცა. და დგანან ასე. დიდხანს არა. მაგრამ ბევრო რამ გაიელვებს იმ ცოტა ხანშიცა, ადვილად რო ვერ ჩამოითვლება, — გაიელვებს და ელავს და ელავს: აქეთა და იქითა, პირისპირა და შორიშორა, ანთუ გადაჰყვითს, ანთუ შეიპყრობს, ანთუ გამოეკიდება ერთი მეორესა; გამოეკიდება და მიატოვებს, გაეცლება, გადაიკარგება, გადაიკარგება ერთიცა, მეორეცა, ზეცას სიბნელე დაეუფლება და ისევე ელვა ამოენთება, ერთა აქეთა, მეორე იქითა, ანთუ უამრავი ამოენთება, ასხმარტალდება, აბრიალდება. ჩაიმსხვრევა და ჩაიწყნება; ისევე ბნელი მოეფინება, ისევე ელვაც გაიყრება ბნელში, ისე, ქუხილი რო არ გაიგონება, რადგან მხოლოდ რო მოგონებაა, და მოგონებამ ხმა რო არ იცის, მოგონებაც იმიტომია. მერე მამა გადაბეჭდილ ჩარჩოს შეახვევს, თაფლის ჩარჩოსა. ეს მოგონება აღარ არის, ჭალალდი შრიალებს.
 — ფუტყარი გაწყდა.
 მამა ამბობს გულისტივილითა. მოგონება აღარც ეს არის, თუმცა გულისტივილი იცის მოგონებამაცა.
 — ჰო... თვალში მეცა თავლია სკები და ამოპირქვავებული სახურავები.
 შეილიც იტყვის გულისტივილითა.
 — თავლია სკები და ამოპირქვავებული სახურავები...

მამა გაიმეორებს უფრო იმ აზრითა, მთლად არ დაუკარგავს გულისყური, რალაცა კიდევე ამოძრავებსო.

— ჰო...

ეთანხმება შვილი.

— გავმხნევედეთ, რაც უნდა იყოს.

ამოისუნთქებს მამაი ღრმად, თითქოს გადამწყვეტი შეტევისათვისო.

— რა ვქნა...

შვილი იტყვის, ისე, უბრალოდა და არაფრის მთქმელადა.

ისევე მდუმარებენ და მდუმარებაში ეთხოვება შვილი. მამა მიაცილებს ჭიშკრამდისა. ძალიც მიაცილებს. მიაცილებენ მდუმარედა. მამა შეიცდის ჭიშკართანა. ძაღლმა აღარ იცის, შეიცადოს თუ გაჰყვეს მიმავალსა. მამამაც არ იცის და უოყმანობს. მერე გაჰყვება, ჩაივლის შუკასა. ისევე შეჩერდება, ისევე უოყმანობს, მერე გასძახებს შვილსა,

იხმობს, მოაბრუნებს. მერე მიდიან ერთადა, მხარდამხარ მიდიან; მიდიან და თითქოს ელაპარაკება, რალაცას ურჩევს, ურჩევს მდუმარედა. მერე გაისტუმრებს, ისევე წამოეწევა, ისევე მისდევს, ისევე მისდევს, გაუშვებს და მოიხმობს ისევე. დგანან, დგანან...

და მამა იტყვის:

— რაც უნდა იყოს, მრუდე ნაბიჯი მაინც არ გადასდგა შვილო.

იტყვის და გაისტუმრებს.

და დგას.

და აღარც წამოეწევა.

და აღარც მოიხმობს.

და მიდის, მიდის, მიდის...

და მისდევს ძაღლი, და მობრუნდება ძაღლი, და დგას ძაღლი ერთ ადგილასა. შუა გზაზედა, — დგას, დგას და იქვე ჩაეუცქდება.

მონმარტრი

მერაბ ბერძენიშვილს

...მონმარტრი,
ლაშე,
ჭიქა მარტინი,
მხატვრები ყველგან სვამენ მარტონი!
ვით აკვარელის ლაქა მარტივი
ჩანს სილუეტი
ჭერა მატრონის...
 ამ ქვაფენილებს
 და ამ ტავერნებს
 ცისფერ ვარდებით ახსოვთ სხვა დრონი!
 იმ დროებს შერე
 თვალს გაადევნებს
 პოეტი, მეფე და იადონი...
მე კი სიმღერა მიღებავს სახეს
და მესმის ხმები
სამონმარტრონი!
რას მივუმატებ ჩემს ცოდვილ სახელს
ორი მდულარე ცრემლის პატრონი?!
 ოსტატი, ბავშვი და განმზილველი,
 მონმარტრზე მიღის მერაბ ბატონი,
 მალალი,
 როგორც პეტრე პირველი,
 აღნაგი,
 როგორც იმპერატორი!
აი, ეს იყო ჩემი ოცნება —
(რა უცნაურად მალე ვბერდები!)
ჩარიგებული ლატაჟ მგოსნებად
მენახა სევდა
ამ მოლბერტების!
 ვიგონებ ახლა
 რომსა და მადრიდს,
 სადაფით — სტამბულს,
 ქაიროს — ჩადრით,

კართაგენს,
 ათენს,
 ალექსანდრიას,
 უკვე დაწერილ ლექსების ხათრით.
 მაგრამ სულ სხვაა მაინც პარიზი,
 პარიზი, რასაც
 ვერაფერს ვადრი!
 აი, სამსხვერპლო და ასპარეზი
 ყველა პოეტის
 და ყველა მხატვრის!
 მშვიდობით!
 მაინც რა გაქვს ისეთი,
 რომ ვით მექაში მოდის მგოსანი?
 „როტონდით“,
 ლუვრით
 სანჯელიზეთი,
 გაჩაჩხახებულ ბულვარ ოსმანით?..

აწყდება ხალხი
 ჯოკონდას ლიმილს,
 როდენის „ამბორს“ თლილი ფიქალით.
 შუალამით კი მუქდება გრიმი
 სენდენის სევდით,
 შიშველ პიგალით...
 მშვიდობით!
 რაა პოეტის ბედი
 თუ არა დარდი და სულის გვემა!
 არც მინატრია იმაზე მეტი,
 რაც ერთხელ უკვე
 ჩავთვალე ჩემად!

მე აღარ დავწერ
 უცხოურ ციკლებს,
 თანდათან იკლებს ჩემი სიმღერაც,
 აქა-იქ ხელი გაეჭკათ ციგნებს,
 აქა-იქ ევერი წამოიღერა!...
 დრო კი თავისთვის მიდის და მიდის,
 ხან ყალბ სტრიქონით,
 ხან სიტყვით ფლიდით,
 მაგრამ მე მაინც,
 მაგრამ - მე მაინც,
 უზენაესად ვთვლი, რასაც ვთვლიდი!
 მხოლოდ ის, იგი ეფემერული,
 ათასში ერთხელ
 გადასწევს ფარდას,
 რომ შეანჯღრიოს დღე უფერული
 დამდგარი სიკვდილ-სიცოცხლის კართან!

ისე ებერდება,
 სამშობლოს მიმართ,
 არ გამიბედავს ჩურჩულიც ლოცვის!

მე რა?
 იკითხონ, იკითხონ იმათ,
 ვინც გაიყიდა
 სულით და ხორციით!...

მშვიდობით!
 ვიცი ვერასდროს გნახავ,
 ფონტენებლოთი,
 ვერსალით,
 შარტრით...
 ეს გაუმარჯოს პოეტებს ახალს,
 ახალ ოცნებით და ახალ ნატურით!
 გვაცალოს ღმერთმა
 ცა ღრუბლიანი
 და ზოგიერთის ავად სუნსული!
 შეფუთვნილ ვარდებს გააქვთ ბრდღვიალი
 და მღერის, მღერის ნანა მუსკური!...

მშვიდობით!
 ვილაც მაწვდის ფოტოებს,
 ლეთისმშობლის ტაძრით მეც მელანდები...
 მშვიდობით!
 დაღლილ კვაზიმოდოებს
 კვლავ ეჩვენებათ ესმერალდები!
 მშვიდობით!
 კრის და ცივა მარტივით,
 მოგონებებთან დავრჩით მარტონი...
 ...მონმარტრი,
 ლამე,
 შიქა მარტინი
 და ღია მკერდი ჭერა მატრონის...

ის ეი, მსაჯული და განმზილველი,
 მონმარტრზე მიდის მერაბ ბატონი,
 მალალი,
 როგორც პეტრე პირველი,
 აღნაგი,
 როგორც იმპერატორი!

• • •

ახალ წელს
 მაინც მოვიდა თოვლი,
 და ლოცვის ცრემლით სავსეა ბროლი;
 — მოეც მამულის დანისნულ ქედებს,
 მოეც ყოველთა
 სიმშვიდე ყოვლით!



გავარდა თოფი,
 გაივსო ჭამი
 და დაიბადა ვაჟი თუ ქალი...
 ამ ათასცხრაასოთხმოცდასამით
 მტერს და მოშურნეს
 დაუდგეს თვალი!

ლამენათევი გავყურებ სარკმელს
 და ცა ბაცდება
 ღია სმარაგდით,

— საჭართველოსთვის დანთებულ
 სანთელს,
 სამშობლოსათვის დაწყებულ საქმეს,
 შენ გაუმარჯვე
 აწ და მარადის!

აფხარ კვიტიავილი

დალოცვა

არ ჩაქრე, მუდამ ყოფნა გეწეროს,
ვინ გაუძლებდა ტანჯვას შენოდენს.
სამკალი გემკას,
ღვინო გეწეროს,
ცას — უხაროდე, მიწას — შვენოდე.

ბრწყინავდეს ნათლის და რძის შხეფები,
მეწველი ფური გებას ბაგაზე,
მზით გაბრწყინებულ ფერდზე შეფენილს,
დასტრიალებდეს ფარას ნაგაზი.

ფოთოლცვენაა, ის ღროა, როცა
თრიმლის ხანძარი ოქროს გაღირევს...
ჭირდები მამულს,
გეძახის, გლოცავს, —
დაუდექ, მწვემსო და მონადირევ.

ვიცი, მგლის მუხლებს აღმართში მოლლი,
გაიგნებ ბილიკს, რაგინდ შელამდეს;
რჭებდაჩენილი, თან მოგდევს თოხლი
და იკეცება გზა ფარეხამდე...

იკლაკნებოდეს ცეცხლი კერაზე,
ენთოს ნაძვისზე და ჩიჩილაკი,
ამალდეს ჭერი შენ: სიმღერაზე,
გიმრავლოს ღმერთმა — გვარი,

ჭილაგი.

მსჯავრი



ოსტატმა თავი თუ არ გიქნია,
 არ გითხრა ნაჩეხს, ომი გიქნია,
 თუ ვერ გაჰვერი წყვედიადში არხი,
 ვერ შეარხიე ის, რაც შიგნია...

თუ ოდნავ მოსვა და თქვა: რახია...
 ნასროლმა გული თუ არ გახია,
 ღიმილმა სახე არ ჩაუნათა,
 წყალი გიცხრილავს და გინაყია.

არ ღირს ამით თვალის ცეცება,
 სიცოცხლის უქმად დანამცეცება,
 ქოთქოთი ფუჭი... სხეებმა ითვალონ —
 ვინ რა იპოვა, ან რა ეძება.

რალად გიღელავს მკერდი სადანე,
 სისხლი კოჭებში თუ არ ჩაგრიხა;
 ბგერას თუ სუნთქვა არ გაატანე,
 უცნაურს, უთქმელს დაუჩაგრიხარ.

არადა, ისე რას ებღატები,
 რა სალოცავი ან რა ხატები
 გიშველის... რა ხარ, თუ არ ავთლია
 ბეჭი, სამარის ქვაზე ნადები.

ტყვე

სისხლის ძაფზე კიღია
 შემკრთალ-დანაფეთალი,
 გული — უეანგავი და
 ერთადერთი მედალი.

არ ითქმება, რაც იგი
 ნაგვემ-ნაბორგალია,
 ვერ ეღირსა სინათლეს,
 იჭერს ბნელი გალია.

მეტყვის: გინდაც ამჩეხე,
 ასო-ასოდ დამკვერი,
 შენი გზის და სურვილის
 არ გავხდები დამკვერი.

შეგძრავს მისი ბაგუნი,
 ყური რომც არ მიაღო...
 რა ურცხვად აბლოვდები,
 გაუპრელო წყვედიადო.

მეზობლები

(გურია. გარდაცვლილი ცოლ-ქმრის მოგონება)

ძილსაც არ გაცლის, ხსოვნა გამძლეა,
ფიჭვის კედლები თქვენი მეყნოსა;
გული და ღვიძლი თუმცა გამცლია,
მე ისევ აქ ვარ, საამქვეყნოსა.

მიწის ნაფლეთი თქვენი ფუძეა,
ჩამხმარი ფესვი თქვენი აქ არი,
ბრაღია წასვლა ასე უძეო,
არ დაგრჩათ შემწე და მონაგარი.

არ გესმით ძროხის ბლავილი ზანტი,
ქვარტლმა გაგუდა თქვენი ბუხარი,
პარმალზე წყვილი არ ცოცავს ლანდი,—
არც გასახარი,
არც საწუხარი...

ალარ კიდია ლობესთან კიტრი,
ბოსტნეულს ვილა დაკრეფს ნარწყავში,
ყრუ, ფეხდაუდგმელ ეზოთა მკვიდრი,
ელავს ნაყოფი გველისმარწყვასი.

მუხის ბოძებზე სურო ბწყლიანი,
კრამიტის ხავსის ნოტიო მოთქმა...
მიმწყდარა ვერცხლის კოვზის წკრიალი,
ველარ მოხაზოს წრე ჩაის ორთქლმა.

გავხედავ ბზის ტოტს, ვაზაში ჩამხმარს,
დამტვერილია შავი კამოდი,
ჩაღის ქუდებით აწ ალარ ჩანხართ —
კიშკართან — დილით და საღამოთი.

დაგმანულია სასულე მათი,
ბოროტის დინგმა ვინაც დასუნთქა,
არ დაკრავთ ყინვა,
არ დაკბენთ ხვატი,
დაეცილია გზა გარდასულთა.

რაც მიშფოთია, იყო ამაო,
ხრიოკზე წყაროს თვალი ვადინე...
არავინ მკითხავს, რამ მოგშხამაო,
რას ეძებ,
რისი ხარ მოწადინე.

ვერ გამინელებს წუხილს ზვალინდელს
ეს გახსენება — უხმო, უცები...
ბნელს, დავიწყებას ვერ გავარიდე,
მიფიცებელი მზეს, მოხუცები.



ლამე სიმწრით განათევი
 ცოდვის ჯამის ხერება.
 უბედური მამათქვენი
 ქელეხებში თერება.

მუნჯი, ნერვებაფლეთილი,
 კედელ-კედელ, ხეხვით,

შინ ბრუნდება და ფოთოლი
 ეფერება ლელვის.

თუ სირცხვილის ოფლში დაცხა,
 გამოწედა ლეინო,
 ერიდება მაშინ საწყალს, —
 მიცნოს არაეინო.

პეპელა მტკვრში

სვეტიცხოვლის გალავანთან
 მტკვრში ეგდო ფარაონი,
 დაბრილ ქარში ირწეოდნენ
 ფრთები — ჭრელი მარაონი.

გაოცებას გამოსცემდა
 ოთხი თვალი იმ ოთხ ფრთაზე:
 მოგვეწია ჯავრი ვისი
 ან ვინ გავვიმეტა ასე.

ცახცახებდა გარღვეული
 ტანი, ბორბალს გაესრისა,
 ღია დარჩა ტყეში კარი
 მისი სასახლის და სრისა.

იმ ფრთებივით ირწეოდა
 ღერო ღიღილოს და ტუხტის;
 ვთქვი — შენს დამცემს, დამანგრეველს
 ბედი თავად გადაუხდის.

დუღდა, წუხდა — გაშიგნული
 ვერ დაფლავდა მწვანე კვერცხებს,
 ველარ მიენარცხებოდა,
 მერცხალივით, ვერც ქვას, ვერც ხეს.

ბინდში გამოქანებული,
 ალესილ და ხავერდიან
 ბრჭყალებს ველარ ჩაასობდა
 კედელს, ყორეს... ცრემლნი სდიან.

ჩაიღია მინდვრის კალთა,
 ველარ წოვოს წვენი ბანგის,
 მონისლულა წინწკლები და
 ოთხი თვალი ფარშევანგის.

სამუდამო სამღურავი:
 თუ მომკლავდა, რალად მშობა...
 ფრთებზე აზის ლოცვა მწუხრის
 და გაჩენის უაზრობა.

უენოდ...

ვარამმა მკერდი ამოლობა,
 ჩხრიალი გაუღის ქვიშნარს;
 გულიდან შენი ამოლება,
 გულის ამოლებას ნიშნავს.

ეს ლანდი შენი მხლებელია
 და ვერც დააცილებს ვინმე,

შენს გაცლას, შეუძლებელია,
 გაუძლოს გულმა და ტვინმა.

უფალო, არ ღირს გადადება,
 ტანჯვას საუკუნოს მიგვე...
 უშენოდ დღე რომ გათავდება,
 ჩემი მზეც ჩაქრება იქვე.



აღსარება

შვილებს

გამოგიხმეთ, მოგატყუეთ,
ტირილის ხმა თქვენი მესმა...
წელში დაუარა ბალახს
თქვენმა სუნთქვამ უნაზესმა...

სადაც წავალ, თან წამყვება
ჭაერი შენ და შენი ღისი,
არ მებადა, ვერ მოგეციოთ
მე სიცოცხლე მარადისი.

თავწაკონილს არა მდგმია
შეჭამანდი მაწვნის, დოსი...
სახლიც უწნო ავაშენე,
ცუდი ვიყავ კალატოზი.

გაქანებულ მდინარეზე
ვერ ვისწავლე ნიჩბის მოსმა;
ბოგანო ვარ, გამამხილა
სახემ ჩემმა და სამოსმა.

სულ რომ იცდის, იმ ნაპირთან
ყველა თავის ფეხით ჩავა,
ვერ გასხურეთ, უკვდავების
წყალი მე ვინ მომაშავა.

ველებოდა ტანს მდულარე,
ძილშიც არ მქონია ძილი;
მეხდაკრული ხე ვიყავი
და ღრუბელი დამენძილი.

არას ნიშნავს — ცამ წყალობის
გინდ გადახსნას კარი ცხრავე, —
მაინც ენით უთქმელია
კაცთა ჭირი, სიბეჩავე.

სალტე შემოჭირებული,
იცდის მატლი მოფუთფუთე;
გვაცლის შიგანს და იცლება —
სორო, სენაკი თუ ბუდე.



კველი აზვავი

მოთხრობა

მაშინ, როცა ეს ამბავი მოხდა, თექვსმეტი წლისა ძლივს ვიქნებოდი და ის მაღალი, სახედანაოკებული, ერთიანად გაქალარავებული ქალი უსაშველოდ მოხუცებული მეჩვენებოდა. ალბათ, ასეც იყო. თანაც ქალბატონ ელენეს უკვე გამოტირებული ჰყავდა ქმარიცა და ერთადერთი ვაჟიშვილიც — თუ, რა თქმა უნდა, ასეთი ახლობლების გამოტირება, საერთოდ, შესაძლებელია. ქმარი, თავად გარსევან ამილახვარი, მეფის გენერალი ყოფილა, თურქეთის ფრონტზე დაღუპულა, თბილისში ჩამოუსვენებიათ და დიდი ზარზეიმით დაუკრძალავთ. შვილმა კი, ოცდაოთხი წლის თორნიკემ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და იმავე წელს ახალგაზრდა ალპინისტების ჯგუფს კავკასიონის რომელიღაც უკუღმართ მწვერვალზე აუძღვა. უკვე საკმაოდ გამოცდილ და გაბედულ ალპინისტად ითვლებოდა. მწვერვალი ამჯერადაც გულდაჭერებით დაიპყრო. მაგრამ უკან დაბრუნებისას რაღაც რკინის რგოლი უგულისყურად ჩაასო ყინულში. რგოლი მოიარყა, ზედ თოკით დაკიდებული ქაბუკი მოსხლიტა და თითქმის ორასი მეტრის სიმაღლიდან შიშველ კლდეს დაენარცხა. არამც თუ ვერ უშველეს, ახლოსაც ვეღარ მიუდგნენ. საქართველოს ალპიურ კლუბს

მომდევნო გაზაფხულზე საგანგებო რაზმის გაგზავნა დასჭირდა, რომ ღრანტეებში ჩათანტული ძვლები დაეძებნათ და თბილისში ჩამოეტანათ.

რალა ბევრი გაგაგრძელო, ქალბატონი ელენე მოხუცებული იყო, მაგრამ ახლა რომ მის შავ, ცუცხლოვან თვლებს ვიხსენებ, ვიხსენებ რა ზვიადი, უტეხი გამოხედვა ჰქონდა და როგორი ხანგრძლივი, მძიმე ჩაფიქრება იცოდა, ვხვდები, რომ იმ ქალს ჟერაც ბევრი სასიცოცხლო ძალა ჰქონდა. მაგრამ რად გინდა ეს სასიცოცხლო ძალა, თუ ამ უკიდევანო ქვეყანაზე მარტოდმარტოდ ხარ და შინაური თუ გარეული, ყველა დარწმუნებულა, რომ ყოველგვარი საამქვეყნო საქმე მოთავებული გაქვს.

— ჩემს თორნიკეს ის შინც მოეწურო, რომ ერთი შვილიშვილი დაეტოვებინა ჩემთვის, — ნაღვლიანი მოთხრა ერთ საღამოს, როცა მდინარე აბასთუმნის პირად, ვეებერთელა ლოდებზე ვისხედით და ჩაბნელებულ ტყეს გავცქეროდით.

— რა იქნებოდა?

ვერაფერი ვუპასუხე.

ჩვენი მეგობრობა კი ცოტა უცნაურად დაიწყო.

კვირადღეობით აბასთუმანში მაშინ დიდი ბაზრობა იცოდა. ახალციხური

ხილი ზომ განთქმულია... ზეკარის უღელტეხილით მეგრელები გადმოდიდნენ და რძიანი სულგუნები გადმოჰქონდათ, თან გზადაგზა ეკალას წამოკრეფდნენ ხოლმე და მერე სულგუნზე უფრო სარფიანადაც ჰყიდდნენ. ახალქალაქიდან — წიწილები, აწყურადან — კიტრი, სხვა სოფლებიდან ნესვი, მწვანოლი, დაწნული ყველი, შინაური კარაჭი შემოდის. თუ როდესმე ყველაფრით სავსე და თანაც საკმაოდ იაფი ბაზარი მინახავს, ეს სწორედ მაშინ ინდელი აბასთუმნის ბაზარი იყო. მე უფულობა მჭირდა, — ეს სენი კლეკზე აღრე შემეყარა და დღემდე ვერ მოვიშორე, — ამიტომ ბაზარში უფრო გასართობად დავებტებოდი, ერთმანეთში არეულ ქართულს, სომხურს, თათრულსა და რუსულს ვისმენდი და ხან ვინმე გამყიდველს წავეხმარებოდი, ხანაც მყიდველს, — რა თქმა უნდა, მხოლოდ რჩევითა და შეგონებით. მერე, შუაღლე რომ მოაღწევდა და ბაზარი თანდათან შეთხელდებოდა, მანეთს, ან, დიდი-დიდი, მანეთ-ნახევარს დავხარჯავდი და ჩემს ცისფერკედლებიან ოთახში სულგუნით, კიტრებითა და მწვანოლით დატვირთული ვბრუნდებოდი.

ბაზრის ინსპექტორი, მუდამ გაუპარსავი, გაბურძენილი თათარი აბდულა, სკამი რომ სწორედ გზის ნაპირას ედგა და ზედ ყენივით წამოიჭდარი, უძრავად გასცქეროდა ბაზარში მოხიზნივ ხალხს, თვალს გამომაყოლებდა ხოლმე, რატომღაც ხმამაღლა ამოიხვნეშებდა და თავს გადააქნევდა. რა უნდოდა ჩემგან იმ აბდულას? ვეცოდებოდი? თუ პირიქით, არ მოეწონდი და ბრახს ამოხვნეშით იკლავდა? დღესაც არ ვიცი. ეს კი იყო, როცა ერთხელ ჩვენი ურთიერთობის გარკვევა ვცადე და სალმის მიცემა დავუპირე, აბდულამ მრისხანედ დამიბრიალა თვალები, აგდებულად გვერდი იბრუნა და აშკარად მაგრძნობინა, შენი თავის კანტური შენთვისვე შეინახე, მე კი შენისთანა პირყვითელა ბევრი მინახავს, აბ-

ასთუმანში ჯიბეკარიელნი რომ ჩამოდიან, აქაოდა, სნულ ფილტვებს მართო აქაური ჰაერი მოგვირჩენსო.

რაღა უნდა მექნა? ჩემს გზას გაეყვი და ამის შემდეგ ბაზარში მეორე მხრიდან, მდინარის გაყოლებით შევიდიოდი ხოლმე.

იმ დღეს რაღაც დმერთი გამიწყრა და მეკრდმოლედილ, ჩასუქებულ ახალქალაქელ სომეხს წიწილებს შევევაკრე. მას ძარაში ორიოდე ვარია-ლა შეჩრჩენოდა. გამალებული ფულს ითვლიდა და აღმაცერად ამომხედა:

- მყიდველი ხარ, ძმაოჯან?
- აბა, რა ძალა მადგას!
- წყვილი სამი მანეთი.
- ძვირია.
- ჰა?
- ძვირია-მეთქი.

— დილას აქეთია, თითო ცალი ორ მანეთად ვყიდი. მთელი აბასთუმნის ქალები დღეს ვარიები ჩემგნით იყიდეს. ძვირიაო, არავის უთქვამს. მამაძალი, შენთვის გაძვირდა?

- მე წყვილი არ მინდა.
- შენც ერთი ცალი წაიღე. აჰა! მანეთ-ნახევარი. მეტი რაღა გინდა?
- მე...

— აჰა, მანეთი და ერთი აბაზი. არჩევანიც შენი იყოს რომელი გინდა? ესა თუ ისა?

გამყიდველი ისე ღრიალებდა, რომ ხალხმა თავის საქმეებს თავი ანება და ყურება დაგვიწყო. ოფლმა დამასხა. ქათმის ყიდვა ხომ ფიქრადაც არ მომსვლია. ვინ მყავდა გამკეთებელი? ან იმდენი ფული წიწილაში რომ მიმეცა, მერე რითლა მეყიდა პური, კვერცხი, შაქარი... არადა, უკანდასახევი გზაც მოჭრილი მქონდა. სომეხი ქათამს პირდაპირ მუქთად მაძლევდა. გზისპირისაკენ გავიხედე და დავინახე, რომ აბდულა ჩვენკენ საშინლად მობღვერილი იყურებოდა და ჩემი პიროვნება იმ წუთში განსაკუთრებით არ მოსწონდა. ყველაფერი ამან გადაწყვიტა. სომეხს მანეთი და ერთი აბაზი ჩაუთვალე და

შავი, თბილი, კარგა მოზრდილი ვარია გულზე მივიხუტე.

— ბარემ ეს მეორეც წაიღე, — სომეხმა შავად მბზინავი თვალები შუბლქვეშედან მომაპყრო.

— არ მინდა.

— მანეთად! აჰა! — ალბათ, ძალიან ეჩქარებოდა.

— არა, არა.

— შენ იცი. გამყიდველმა ამოიხენე-შა, თითები დაინერწყვა და ფულის თვლა განაგრძო.

ბაზრიდან ფეხარეული გამოვედი. აღარც კი მახსოვს, ამჭერად აბდუღას ავუარე გვერდი, თუ ისეც მდინარის ნაპირს ვაყუყვი. მეჩვენებოდა, თითქოს ის ხალხით სავსე ბაზარი, გარშემო სახლების აივნებზე გადმომდგარი დიასახლისები, ბავშვები და მოხუცები, ქუჩაში გამვლელნი და გამომვლელნი — ყველანი მე მომჩერებოდნენ და გულში ბოროტად ხარხარებდნენ — ეგეც შენ, რას დაეხეტები ბაზარში უფულოდ და უსაქმოდ, ხომ შემოგაჩეჩეს ეგ შავი ვარია, ახლა რაც გინდა, ის ჭენიო. ლასლასით ვავიარე ის ორასიოდე ნაბიჯი, ჩემს სახლს ბაზარს რომ აშორებდა და სამზარეულოში შევიხედე.

— მობრძანდი, — ჩემი სახლის პატრონი, ორმოცი წლის ჩასუქებული, სქელტუჩებიანი ქვრივი სალომე წამოდგა, წინ გამიჩერდა და შემომცინა, — ეს რა არის? ქათამი გიყიდიო? ბიჭოს! ჩხირი კედელს!

— სალომე, იქნებ... რამე გამიკეთო.

— რატომაც არა! ვაგიკეთებ. აბა, მაჩვენე. იფ, რა კარგი ვარიაა. ერთი ამას უყუტეთ! რამდენი შეგძლებია, ბიჭო! ამისი შეწვაც შეიძლება და ჩახობ-ბევაცა. რომელი გირჩენია?

— სულ ერთია.

— მაშინ ჩავხობოთ. ორი თავი ხაზვის საქმე არ არი? მალეც იქნება. არა, ჩხირი კედელს, რომ ქათამი გიყიდიო! ხმელა პურსა და კვერცხებს რომა ჰყლაპავ, რა გგონია, აბასთუმნისა მართო ჰაერი მოგარჩენს? ჰაერს კარგი

საქმელ-სასმელიც უნდა დააყოლო. მაშა! აბა, ჩაიყვანე. ცული ემანდა გდია.

— ხახვი რამდენი დასჭირდება?

— რამდენიც დასჭირდება, მე მაქვს. მაგისთვის ისეც ბაზარში ხომ არ მიბრუნდები?! საველაგიოდ კი იცოდე: ამისთანა ვარიას ორი კარგი თავი ხახვი და ნახევარი გირვანქა კარაქი თავსა სდის. ისეთი ჩახობილი გამოვა, რომ შენი მოწონებული.

ვარია ეზოში ჩავიყვანე და ცულოთ თავი წავაგდებინე. სალომემ სუფრას მწვანილი და ყველი შემოუმატა. ისეთი გემრიელი ჩახობილი მართლაც იშვიათად მიჰამია. მაგრამ არ იქნა და გუნება არ გამომისწორდა. ამოდ ვაჭერბდი თავს, რომ არაფერი დამიშავებია, არავინ მომიკლავს და არავინ გამიძარცვავს... თქვენც არ მომიკვდეთ! ჩემს უგუნებობას ისიც ზედ დაერთო, რომ სალომე გაუთავებლად ყბედობდა. ერთხელ კი წამოდგა, გადმოიხარა, ვითომ რალაც უნდა აეღო სუფრიდან, თავისი სავსე მკერდი განგებ გამკრა მხარზე და თვალებში ხარბად ჩამაცქერდა... სადილის გათავებას ძლივს ველირსე. შევედი და ჩემს ოთახში საწოლზე მივეგდე. მესმოდა, სალომე სამზარეულოში ჭურჭელს როგორ რეცხდა და ალაგებდა. ერთხელ ისიც კი ვავიგონე, როგორ მიატოვა ჭურჭლის რეცხვა, ჩემი ოთახის კართან მოვიდა და მომაყურადა; საკლიტულიდან შეკავებული სუნთქვაც კი მომესმა. ამან მთლად მომშალა. წამოვდექი, კიბე ჩავირბინე და მდინარე აბასთუმნის ნაპირს მივაშურე. ვიცოდი, რომ სამზარეულისას იქაურობა უკაცრიელი იყო ხოლმე.

თმაჰალარა ქალი დიდ ქვაზე იჯდა, პირით მდინარისაკენ. გულზელი დაეკრიფა და უძრავად იტყირებოდა მდინარის მეორე ნაპირისაკენ. პირველად რომ უკან ჩავუარე, არც კი განძრეულა. მგონი, არც კი შევეუჩინევივარ. ხოლო როცა აქეთობას ვაფუსწორდი, ალბათ, ფეხის ხმა ვავიგონა. თავი მო-

აბრუნა და დაკვირვებით, შუბლქვეშედან შემომხედა.

მე ისევ გუნებაარეული ვიყავი, მაგრამ იმდენი მაინც მოვახერხე, რომ ნაბიჯს ვუკელი და მოხუც ქალს ვაგრძნობინე, თუ რამე გნებავთ, მითხარით და სამსახურისათვის მზად გახლავართ-მეთქი. ელენემ ჩემი საქციელი მყისვე შეაფასა და ხელის დინჯი მოძრაობით მანიშნა, ჩამოეჭკითო. დავემორჩილე და იქვე, მეორე, ისეთსავე დიდ, ოკრობოკრო და მოყვითალო ლოდზე ჩამოეჭკი.

კარგა ხანს ორივენი მდუმარდ ვისხედით. მერე ქალბატონმა ელენემ პაპიროსი ამოიღო, გააბოლა და თვალეშში ყურადღებით შემომხედა.

— სხვა? ახალს რას იტყვი?

— რა მოგახსენოთ... — მხრები ავიჩეჩე და გავწითლდი. მივხვდი, რომ ელენეს დილანდელი ყველაფერი საქუთარი თვალით დაენახა.

— დაწყნარდი, შვილო, — ელენემ პაპიროსს საჩვენებელი თითით ფერფლი მოაშორა, თან ისევ მდინარის მეორე ნაპირისაკენ იყურებოდა, — შენა გგონია, ქვეყანა დაინგრაო, ისეთი კი არაფერი მომხდარა. ბრიყვებს ყურადღება არ უნდა მიაქციო.

— არც ვაქცევ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. აბასთუმანში მარტო ხარ? — ელენემ ისევ პირდაპირ თვალეშში შემომხედა. საერთოდ ასეთი ჩვეულება ჰქონდა: როცა რაიმეს გკითხავდა, პასუხას მოლოდინში თვალეშში მოგაჩერებოდა ხოლმე.

— დიახ.

ელენემ რამდენჯერმე თავი აუჩქარებლად დამიქნია.

ერთხანს ორივენი ვდუმდით.

— იცით, რა მაინტერესებს?

— რა? — ელენემ ყურადღებით შემომხედა.

— არა... არა, არაფერი...

— ჰა-ჰა! — ელენემ მოკლედ, ლმობიერად გაიცინა, — აი, ვითხარი, დამშვიდდი-მეთქი, შენ კი არ დამშვიდებულხარ.

— მე... ძალიან მშვიდადა ვარ.

— ჰოდა, ძალიან კარგი. ფერფლს ხარი, ბრიყვებს ყურადღებას არ უნდა მიაქციო-მეთქი. აბა, ხელი მომაწოდე.

წამოვდექი და ხელი გავუწოდე. მოხუცი ქალი ხელზე ჩამეჭიდა, წამოდგა და ჩემს გვერდით გაჩერდა. ერთხანს ისევ გაუნძრევლად იდგა,

— აქ ვინმეს ელოდები?

— არა, არავის,

— მაშ, გამაცილე.

— სიამოვნებით!

მდინარის ნაპირს აუჩქარებლად გავყვეით.

— ფილტვებს უჩივი?

— დიახ.

— რამე სერიოზულია?

— არა. უბრალოდ, ეჭიმებმა მითხრეს, თავს გაუფრთხილდი.

— ჰოდა, შენც გაუფრთხილდი. მშობლები ხომ გყავს?

— დიახ.

— ჰოდა, ძალიან კარგი.

— თქვენ?

— რა — მე?

— თქვენც ფილტვებს უჩივით?

— არა, შვილო, მე აბასთუმანში ახალგაზრდობის გასასხენებლად ჩამოვედი... ახალგაზრდობაში ჩემს ქმარს ვახლდი აქ. დიდ მთავარს თავისი სასახლე ჰქონდა და დღეობა გადაიხადა. ახლა რომ მეორე სანატორიუმია, ის მთავრის სასახლე იყო. შენ რა გქვია?

— თეიმურაზი.

— თეიმურაზი. მე — ელენე. აჭაურობა თითქმის არ შეცვლილა. ასე მგონია, ხეებსაც კი ვცნობ-მეთქი. ოღონდ ახლა უფრო მეტი ხალხი ირევა. წინათ ხალხი ნაკლები იყო. შენ სადა ცხოვრობ?

— აი, ხეებს იქით.

— მე კი აი, იმ სახლში ვდგავარ.

მოსახვევთან, გზიდან ორმოცდაათი-ოდე ნაბიჯის დაშორებით, ორსართულიანი ცისფერი სახლი იდგა. იმ სახლთან არაერთხელ გამივლია, მაგრამ არასოდეს ქალბატონი ელენე არ დამინახავს...

— მე გუშინწინ ჩამოვედი, — თითქოს ჩემს კითხვას უპასუხა ქალბატონმა ელენემ.

— კარგ სახლში გაჩერებულხარ.

— არა უშავს. აბა, ყმაწვილო კაცო, გმადლობთ. ამას იქით მე და შენ აბასთუმანში თითო ნაცნობი მოგვემატა, ხომ მართალს ვამბობ?

— დიახ.

— ნახვამდის! ალბათ, კიდევ შევხვდებით.

გამოწვდილი ხელი ჩამოვართვი. გატრიალდა და აღჩქარებლად წავიდა თავისი ცისფერი სახლისაკენ.

• • •

თითქმის ორი კვირა ეცხოვრობდი სალომეს სახლში და ამ ქალს ჩემთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევია. პირიქით, ზანდაზან ისიც კი მეჩვენებოდა, ჩემი დიაბაზისი ზურგსუკან დამცინისმეთქი. ახლა კი, ამ საღამოს ოთახში შესვლა ვერც კი მოვასწარი, რომ ფრთხილი ნაბიჯები შემომესმა. მოვიხედე და დავინახე, კართან სალომე ატუზულიყო. პირზე ხელი აეფარებინა და გაბრწყინებული თვალებით მომჩერებოდა. ჩემი გაკვირვებული მზერა რომ შენიშნა, სწრაფად მიიხედ-მოიხედა, ოთახში შემოვიდა, კარი მაგრად მიხურა, სკამზე დაჯდა და კაბა გულმოდგინედ გადმოიკიმა სქელ მუხლებზე.

— საღამო მშვიდობისა!

— გაგიმარჯოს!

— სად იყავი?

— მდინარის პირას.

— დავინახე.

— აბა, რაღას მეკითხები?!

— ისე. თუ დაღლილი ხარ, წამოწევი.

— არა მიშავს.

— ხომ არ გეძინება?

— არა.

— რაღაც უნდა გითხრა...

— ბრძანე.

— ისა... ჯერ ერთი, მითხარი, კაცები ეგვითხები რადა ხართ?

— რანაირები?

— ვითომ არ იცი!

— რა უნდა ვიცოდე?

— არაფერი. ის ვინ იყო?

— ვინ?

— აი, ის ქალი.

— ის ქალი?

— ვისთანაც დასეირნობდი.

— ის ქალი სამოცდაათი წლისა მაინც იქნება.

— სამოცდაათის კი არა!..

— ნამდვილად.

— შორიდან არ ეტყობა. არა, ისე, მთლად გაჭაღარავებული კი უნდა იყოს. ჰა?

— მთლად გაჭაღარავებულია.

— მაშ, რაღად აეტორღილავ?

— ავეტორღილავ?!

— თუ თვითონ ავეტორღილა?

კლექიანებმა ეგრე იციან.

— ეგ ქალი კლექიანი არ არის.

— მაშ?!

— არაფერი.

— ჰმ!

— სალომე!

— რაო?

— სხვა სალაპარაკო არაფერი გაქვს?

— სხვაც მოინახება.

— სხვა რამეზე ვილაპარაკოთ.

— ვილაპარაკოთ, მაგრამ... ეჰ! არა, როდის მოასწარით, ჰა? მე ხომ თვალს არ გაცილებდი. ეზოდან გახვედი თუ არა, ჭურჭელი ისევე მივატოვე და დაგდევენე. აი იქ, ბორცვის ძირას ჩამოვჯექი. ერთიც ვნახოთ, ათ წუთს არ გაუვლია და არ მოსეირნობენ!..

— რა როდის მოვასწარით?

— ეეჰ! აი, ევა ხართ, აი, კაცები. იცი, რა გითხრა, თეიმურაზ? ადამიანს ჯერ კარგად დაუკვირდი. ჯერ გაიგე, ვინ არის, რა არის, შენთვის კარგი უნდა, თუ ცუდი, და მერე დაუახლოვდი. აი!

— კარგი, ამას იქით ეგრე მოვიქცევი. ახლა ცოტა დავიღალე და წამოწოლა მინდა.

— წამოწეტი, გენაცვალე, ახლავე ლოგინს გავიშლი. ან, თუ გინდა, ეგრევე წამოწეტი. ამასობაში ჩაის ავადულებ. მაგარი ჩაი არ გინდა?

— მაგარი, ჩაი მართლა მინდა.

— ჰოდა, მიდი, წამოწეტი. ამ წუთში ყველაფერი იქნება.

სალომე ციბრუტივით დატრიალდა და ხუთიოდე წუთში სუფრა გააწყო. თვითონ წინ დამიჯდა. ჩაი მართლაც კარგი გამოსვლოდა — მუჭი, სურნელოვანი. ვისხედით და...

— არ დამიჯერებ, თეიმურაზ, ჩემზე ერთგული ცოლი ჯერ ქვეყანაზე არ ყოფილა. ჩემი ქმარი რა იყო? ერთი უბრალო ვინმე იყო. არაზინდოს ექსპედიტორად მუშაობდა. იმისგან არც ტყბირი სიტყვა, არც ალერსი, არაფერი მახსოვს... მაგრამ მე რომ ჩემს გულში ვთქვი: სალომე, გვერდზე არ გაიხედო, ქმარს არ უღალატო-მეთქი, ვთქვი და ვთქვი. მორჩა! მართლაც ერხელ გვერდზე არ გაიხიდავს, აჰ! მაშ! ერთ ზაფხულს ამ ოთახში შენოდენა ვმარჯილი იდგა, მაგრამ შენ მორიდებული ხარ, ის კი — ოპ-ოპ-ოპ! დღე და ღამე ქალების დენაში იყო. სად არ მომიმწყვდევდა ხოლმე! თანაც ისე ეშმაკურად იქცეოდაა! აჰაოდა, ავადყოფი ვარო, არ შევძლდეო და — ხან კისერში მაკოცებდა, ხან კეფაზე, ხან კიდევ სად... მაგრამ — არა! რომა ვთქვი, ვთქვი! იმასაც ეგრე ვუთხარი: ჩემო სიმონ, კარგი ბიჭი ხარ, უარს რომელი ქალი გეტყვის, წადი, ვინც გინდა, მოიყვანე, მე კი თავი დამანებ-მეთქი. არაო, მე შენ მინდიხარო. ბიჭო და, იქნებ მეც ბევრი რამე მინდა, მაგრამ ვინ მომცემს-მეთქი. თავი ისე დაიჭირე, ჩემი ქმრისთვის არაფერი მათქმევინო-მეთქი. არა, ჩემი ქმრისა ვის შეეშინდებოდა, მაგრამ მაინც, ხომ იცი, ჩხუბსა და ალიაქოთს ყველა ერიდება. ჰოდა, სიმონმაც თანდათან თავი დამანება. მაშ!

— ქმარი როდის მოგიკვდა?

— შარშანწინ. არა, სასიკვდილო ჯერ არაფერი სჭირდა, მაგრამ უცაბედად

მანქანის ძარა თავში მოხვდა. კიდევ დაგისხა?

— დამისხი.

— თუ გინდა, ჩემს ქმარზეც გეტყვი. როცა პირველად მითხრეს, ასე და ასე, ექსპედიტორ არსენას გაუცხადებია, სალომე უნდა შევირთოო, ქვა ავაგდე და თავი შევუშვარე... მაშინ ახალგაზრდა ვიყავი. მე ვთქვი, სად მე და სად ეგ-მეთქი... მაგრამ ქვეყანაზე კაციშეილი არ მეზადა. ხალხმაც მირჩია, წყნარი კაცია, სმით არა სვამს, ჯამაგირს არა უშავს, ეს სახლიც ზომ იმისი იყო... ჰოდა, ვიფიქრე, ეპ, ჩემი ბელი ევა ყოფილა-მეთქი. მახსოვს, სწორედ სამაისოდ ხელი მოვაწერეთ. ჰოდა, თორმეტი წელი ვიცხოვრეთ. ისე, რა, დიდი ზარ-ზეიმით არ გვიცხოვრია, მაგრამ... რაც უბრალო ხალხს შეეფერება... ეგ იყო, შეილი არ გვეყოლია. მე იმას ვაბრალებდი, ის კიდევ მე მამბრალებდა. ერთხელ მითხრა, წადი ექიმს გაესინჯეო, მაგრამ ვერ მივართვი. ვუთხარი, წადი, ჯერ შენ გაესინჯე და თუ ექიმი გეტყვის, რომ შენი ბრალი არ არის, მაშინ ვილაპარაკო-მეთქი... ამიჯაღლანდა, მაგრამ ექიმთან აღარ წასულა. შერე სმას უმატა. ის მანქანის ძარა რომ საფეთქელში არ მოხვედროდა, იქნებ აქამდე სულაც გალოთებულყო, მაგრამ მოხვდა და ამან გადაარჩინა. დაგისხა?

— ისა...

— ბრძანე.

— თეიმურაზ, პირდაპირ მითხარი: ამალამ შენთან დავრჩე?

თვალთ დამიბნელდა. ოფლმა დამასხა.

— არა.

— რატომ? — სალომე გაოცებული მომაჩერდა.

— არ მინდა.

— აკი ვითხარი, ჯერ ქმრისათვის არ მიღალატინა-მეთქი!

— არა, არ მინდა.

— შენ იცი, — სალომე წელმოწყვეტილი წამოდგა და ოთახიდან ნაბიჯ-არეული გალალასდა.

* * *

იმ წუთში, როცა სალომეს ჩემთან დარჩენაზე უარი ვუთხარი, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს ქალი ჩემი დიასახლისი იყო და თუ მოისურვებდა, შეეძლო, იმავე დამეს გარეთ გამოვგედე, მით უმეტეს, რომ ბინის ქირა უკვე მემართა და გადახდას ვუგვიანებდი. ამას მერე დავუფიქრდი, როცა სალომემ მაგიდა ააღაგა და კარი კარგა მაგრად მომიჯახუნა. ახლა ისიც გამახსენდა, რომ სულ ცოტა, რამდენიმე დღეს მიინც უნდა გაველო, სანამ ბაზარში შესვლას ისევ გავებედავდი. და გუნება ისევ მომეშაბა. უკვალოდ გაქრა ის სულიერი სიმშვიდე, ქალბატონ ელენესთან ნაცნობობამ რომ მომგვარა. ლოგინში ჩაწოლის მაგიერ წამოვდექი, აივანზე გავედი, ფრთხილად გავიარ-გამოვიარე და სალომეს კართან გავჩერდი. ჩაბნელებული ოთახიდან ბაიბური არ ისმოდა. სხვა მდგურებსაც არჩეინად ეძინათ. ყოველი მხრიდან ხერხევა ისმოდა. სახლში ჩემსა და სალომეს გარდა რომ არავინ ყოფილიყო, იქნებ გამებედნა და კარზე დამეკაკუნებინა. ახლა კი შემეშინდა, ამ ქალმა შეურაცხყოფის სამაგიერო არ გადამიხადოს, კვილი არ მორთოს და საქვეყნოდ თავი არ მომკრას-მეთქი. ფეხაკრფით გავცალე იქაურობას, ჩემს ოთახში შევბრუნდი და რკინის საწოლზე მივეგდე. რული არ მეკარებოდა. ნაღვლიანად ვფიქრობდი იმაზე, თუ რა კარგია, ადამიანს რომ ბევრი ფული აქვს: მაშინ იგი ამ ფიცრულ, კრატუნა და მტკრიან სახლში კი არ იცხოვრებს, არამედ სასტუმროში და ბაზარშიც ერთს კი არა, თუნდაც ათ ახალქალაქურ ვარიას იყიდის, არც აბღულასი შეეშინდება და არც იმ ჩასუქებული ვაჭრისა. ტანისამოსიც კი არ გამიხდია. ძალიან გვიან დამეძინა და დილითაც გვიან გამომეღვიძა, ბარე თორმეტი საათი იქნებოდა და მცხუნვარე მზე პირდაპირ თვალებში მცემდა.

სალომე დილაობით სახლში არ იყო ხოლმე. უთენია მეზობელ სანატორიუმში მიდიოდა და მეურნეობის გამგე-ქალს რაღაც საქმეებში ეხმარებოდა. ამაში ფულს უხზიდნენ და ზოგჯერ სიცილით იტყოდა ხოლმე, ეს სახლი კი არ მაიცხოვრებს, ჯამაგირში ვდგევიარო ამ დილასაც არსად ჩანდა. პირი დავიბანე. როგორც შემეძლო, მოვწესრიგედი. ერთი ნაჭერი კარაქიანი პური შევჭამე და ქუჩაში გავედი. წარმოდგენა არა მქონდა, თუ რა მეკეთებინა, ან სად წავსულიყავი. გზას ისევ ზედა ხიდისაკენ გავყევი. ის ხიდი აბასთუმნის ცენტრი იყო. მდინარის ორივე ნაპირზე მალაზიები, კლუბი, ეურნალ-გაზეთების კიოსკი, ტირი, საბილიარდო ჩაემწკრივებინათ. შუადღისას აბასთუმანში საკმაოდ მწვევე სიცხე იცის და გარეთ ყოფნა არავის ეხალისება. ნასადილევს, აგრილებულზე, ხიდისკენ დაიძვრებოდა ხოლმე ავადმყოფების ნაკადი. აქეთ უმეტესად კაცები მოდიოდნენ. ხიდან ერთმანეთს შეეხმიანებოდნენ, დაჯგუფდებოდნენ, წაიშალათებდნენ და კლუბს უკან ფეხბურთის მოედნის მსგავსი მინდორი რომ იყო, იმის გარშემო შემოქარდებოდნენ. მოედანზე ათასჯერ დაკერებულ, ნესვივით წაგრძელებულ ბურთს ღრიანცელით დასდევდნენ ადგილობრივი ბიჭები. ფეხბურთელებიც თვითონ იყვნენ და მსაჯებიც. სამი კუთხური ერთ პენალტს უდრიდა. იყო გაუთავებელი ჭიჭყინი, ყვირილი და ზოგჯერ მიწვე-მოწვევაც კი. ეს იყო ავადმყოფი კაცების მთავარი გასართობი. ხოლო ქალები სად იყვნენ ამ დროს, რას აკეთებდნენ და რით ერთობოდნენ, დღესაც არ ვიცი.

ახლა რომ ხიდან მივედი, გარშემო კაცის ჰკანება არ იყო. თორმეტ საათს აღარაფერი უკლდა, მზე უღვთოდ აქერდა და ავადმყოფები წასულიყვნენ. ხილზე მარტო ვიდექი. ალბათ, ამიტომ იყო, რომ სპორტული მალაზიიდან მაშინვე დამინახეს და პატარა ბიჭი მომიგზავნეს, თუ შეიძლება, ერთი წუთით აქ მობრძანდითო.

— ვინ შეძახის? — გაკვირვებით ვკითხე ფეხშიშველა ბიჭუნას.

— ანზორი.

— ვინა?!

— ვა, ანზორი!.. არ იცი?!

ალბათ, ეს ანზორი გავლენიანი ვინ-მე იყო. უარი არ ეგებოდა და მალაზი-ისაქენ გავწიე.

ანზორი მართლაც გავლენიანი პი-როვნება გამოდგა. იგი ზედ დახლზე იჯდა, თითქოს ეს მალაზია მისი პირა-დი კუთვნილება ყოფილიყო. ჯანმრ-თელობის განსახიერებათ, რომ იტყ-ვიან, სწორედ ის იყო. მრგვალი, პამი-დორივით წითელი და ოფლიანი ლაყ-ლაყა სახე და სქელი კისერი ჰქონდა. სქელი, ბანჯგვლიანი მკლავები მკერ-დზე დაეკრიფა, მოკლე, სანდლებიან ფეხებს დახლის კედელზე ბავშვივით უბარტყუნებდა, და თან რალაც სიმ-ლერას ხმადაბლა ლილინებდა. იმ სიმ-ლერის ვერც სიტყვები და ვერც მო-ტივი ვერაფრით გავარჩიე. უფრო რა-ლაც აღმოსავლური კი უნდა ყოფი-ლიყო.

ანზორს გარშემო ის ბიჭები შემო-ხვეოდნენ, მოედანზე ფეხბურთს რომ თამაშობდნენ ხოლმე. აქ იყო მალაღი, ქერათმიანი, წითელმანისურიანი რუსი ბიჭი, ერთთავად ჩაფიჭრებული, თითქ-მის გაუნძრევლად რომ იდგა მოედან-ზე, არასოდეს ბურთს არ გამოეკიდებოდა და მაინც შესანიშნავ ნახევარ-მცველად ითვლებოდა. აქ იყო აქაური გულშემატკივრების კერა, საშუალო ტანის, ლამაზთვალეებიანი სომხის ბი-ჭი ფაშიგა. ეს ცაცია ფეხბურ-თელი კარში მართლაც კარგად, მოსზღუტით ურტყამდა. მშვენიერად იცოდა, რომ გულშემატკივრები აღ-მერთებდნენ და თამაშის დაწყები-სას უთუოდ დაიგვიანებდა ხოლმე. მე-რე, თამაშის დაწყებიდან ათიოდე წუ-თი რომ გაივლიდა და ყველანი გულ-დაწყვეტილნი ოხრავდნენ, ფაშიგა დღეს არ ითამაშებს, მამამისს ახალცი-ციხეში გაუგზავნიანო, საიდანღაც გა-მოჩნდებოდა. დინჯად გაარღვევდა მა-

ყურებლების რკალს, რომელიმე მო-თამაშეს გულგრილად ანიშნებდაც მ-მოდო, მე შემოვდივარო, და ახალციხე-სა-ცხენა ფლანგს დაიკავებდა. ამ დიდ მოე-ლენას გულშემატკივრები მუდამ აუწე-რელი ყვინითა და მქუხარე ტაშით ხედებოდნენ. ალბათ, იმ ტაშს ფაშიგა მართლაც იმსახურებდა — თამაში ისე არ გათავდებოდა, რომ ერთი გოლი მაინც არ გაეტანა. აქვე იყო შეკარეც — ფეხსაცმელების მწმენდავი სეროჟა. ამას წინათ ვილაც სამხედრომ ყური რომ კინალამ აახია — ჩექმები ვაქსის მა-გიერ წყლით გამიწმინდეთო. ერთი სიტ-ყვით, აქ იყო თითქმის ყველა, ვინც საღამოობით მოედანზე იმ ნაკერებიან ბურთს დასდევდა და იქაურობას ვე-ლური ღრიანცელით იკლებდა. მაგრამ ახლა ყველანი გაუნძრევლად და ხმა-ამოუღებლად იდგნენ. ალბათ, ანზორ-თან ერთ ჰერქვეშ ყოფნა და მისი ლი-ლინის მოსმენა იმდენად სერიოზული საქმე იყო, რომ განძრევა და ხმის ამ-ოდება ყველას შეუძლებლად მიაჩნდა. იდგნენ, სდუმდნენ და აღიღინებულ დეკავს სიყვარულითა და ერთგულე-ობით მისჩერებოდნენ.

ჩემს დანახვაზე ანზორმა ლილინი შეწყვიტა და ნეკით მარჯვენა ყური მოიჭექა. მაშინვე მივხვდი, რომ ჩემ-თან არავითარი საქმე არ ჰქონდა. უბ-რალოდ, ბიჭებს დაანახვა, აი, რა გავ-ლენიანი კაცი ვარ, იმ ქალაქელ ბიჭს ვიხმობ თუ არა, მაშინვე აქ გაჩნდებო. ეს მართლაც ასე მოხდა. მის წინ ვიყა-ვი ასვეტილი, მაგრამ ახლა ხომ უნ-და ეთქვა რამე?

ანზორმა ანტრაციტივით შავი, მბრწყი-ნავი თვალებით შიგ თვალეში ჩამხე-ლა:

- შენ სადაური ხარ?
- თბილისელი.
- როდის ჩამოხვედი?
- ორი კვირაა.
- მერე? რატომ ამ ბიჭებთან ფეხ-ბურთს არ თამაშობ?
- ეჭივები მიკრძალავენ.
- ისეთი რა გჭირს?

— არაფერი, მაგრამ... მაინც...

— მაინც... ხვალ ესენი ერთ საქმეზე უნდა გავგზავნო. შენ რას იტყვი?

— გააჩნია, რა საქმეა.

— დიდი არაფერი.

ფეხბურთელები შეინძრნენ და ერთ-მანეთს გადახედეს. ალბათ, მათთვისაც ახალი ამბავი იყო, რომ ანზორის ისინი რალაც საქმეზე უნდა გაეგზავნა.

— ისა... — ანზორმა ნეკით ახლა მარცხენა ყური მოკექა. — არაზინდოს გზა იცი?

— ვიცი.

— იქ, ერთ ადგილას ნაძვზე რუსულად აწერია: „მორსკაია ტროპინკა“.

ხალხი ამბობს, თუ იმ ბილიკს გაჰყვები, მთის მწვერვალზე ახვალ და იქიდან შავი ზღვა გამოჩნდებაო. აი, თქვენც ყველანი ადექით და წადით. ნახეთ. იქნებ, მართლა ზღვა გამოჩნდეს.

ფეხბურთელებმა ერთმანეთს ისევ გადახედეს და გაიღიმეს. ერთი ორმა ალტაცებით თავიც გადააქნია. ალბათ, ანზორის იდეა ძალიან მოეწონათ.

— რას იტყვი? — ანზორი ისევ შიგ თვალებში მომაჩერდა.

— მე აღმართზე სიარული არ შემიძლია.

— რატომ?

— ეჭიმები მიკრძალავენ.

— ჰოო... მაშ, შენ იცი... — ანზორმა თავი დამიკრა და მაგრძნობინა, აუღიენცია დამთავრებულიაო. გამოვტრიალდი და მალაზიიდან გამოვედი. რატომღაც მეგონა, უკანოდან სიცილის დამაყრიან-მეთქი. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. ალბათ, ფეხბურთელები იმდენად გაიტაცა ანზორის იდეამ, რომ ჩემთვის ალარ ეცალათ (მერე გავიგე: ერთი თუ ორი წლის წინათ ანზორს სიმძიმეების აწვევაში რაიონის რეკორდი დაემყარებინა და აბასთუმანი ესახელებინა. ადგილობრივი ხელმძღვანელი ამხანაგები რალაც ფიზკულტურულ თანამდებობას და თბილისში კურსებზე გაგზავნასაც დაჰპირებინა. მაგრამ ჭერ არც თანამდებობა ჩანდა სადმე და არც კურსები.

ამიტომ ანზორი საზოგადოებრივ საწყისებზე ასრულებდა კურსების ფიზკულტურული ბელადინს — როლს, რაც შეეხება „მორსკაია ტროპინკა“ — ესეც მერე გავიგე — არავითარი მწვერვალი და შავი ზღვა იქ არაფერ შუაში უოფილა. რომელიღაც დიდ მთავარს აქ მზღვალურების რაზმი ჰხლებია, ამ რაზმს ტყეში ბილიკი გაუყვანია, რათა მთავარს და მისი ოჯახის წევრებს ნასადილევს სუფთა ჰაერზე ესეირნათ და იმ ბილიკსაც, თურმე, მხოლოდ ამიტომ დაერქვა „მორსკაია ტროპინკა“.

ისევ ხილზე გამოვედი. სახლში დაბრუნებაზე ფიქრიც კი მზარავდა. იმდენი ფულიც არა მქონდა, რომ სალომესთვის ბინის ქირა გადამეხადა. წინა დღეს თბილისიდან წერილი მივიღე. დედაჩემი მწერდა, ფულს უსიკვიდილოდ მომავალ კვირაში გამოგზავნიეთო. მაგრამ მომხდარა, რომ გამოგზავნილ ფულს რამდენიმე დღით დაუგვიანია. არა, ახლა სალომესთან შეხვედრას ცეცხლში ჩადგომა მერჩია. მთელს აბასთუმანში ერთადერთი სულიერი, ვისი სიახლოვეც ახლა სიმშვიდეს მომგვრიდა, ისევ და ისევ ქალბატონი ელენე იყო, მაგრამ სად და როგორ უნდა მენახა?

ცისფერ სახლს გავუსწორდი თუ არა, ქალბატონი ელენე დავინახე. აივანიდან მარცხნივ, ჰამაკში იწვა და რალაც სქელ წიგნს კითხულობდა. ერთი თუ ორი წუთის შემდეგ მშვიდად გადაშალა ფურცელი. ჰამაკში უფრო ნებიერად მოეწყო და კითხვა განაგრძო.

რამდენიმე ნაბიჯი გვერდზე გადავდგი და გზის პირას მდგარ უზარმაზარ რცხილას ამოვეფარე.

რას გაუგებ ცხრამეტი წლის ჰაბუჯს? რაც უფრო ნებიერად იწვა მოხუცი ქალი ჰამაკში, რაც უფრო მშვიდად ფურცლავდა სქელი, წითელი წიგნის გვერდებს, მით უფრო მეკიდებოდა ამოუხსნელი ბრაზი. ახლა გამახსენდა ყველაფერი — ჩემი გაუბედობაც, აბდულას უღიერობაც და ისიც რომ სალომემ ასე აშკარად შემომთავაზა

თავისი თავი და პასუხად ჩემგან მძიმე შეურაცხყოფა მიიღო. არა, ამ ჭალარა ჭალთან მისვლა და გამოლაპარაკება ახლა ნამდვილად არ შემეძლო. გამოვტრიალდი და ქუჩას ქვევით, ჩემი სახლისაკენ დავყვივი. გულში მტკიცედ გადავწყვიტე, ამ ზვიად, უკარება არისტოკრატ ჭალს ახლოსაც აღარ მივეკარები-მეთქი.

სახლს მოვეუახლოვდი თუ არა, სალომე დავინახე. ეზოში, უკანა კიბესთან იდგა და ტაშტში რაღაცას რეცხავდა. მანაც მყისვე დამინახა. წელში გაიმართა, სველი ხელის ზურგი თმაზე გადაისვა და, სიწითლემორეულმა, ისე გულნატკენად, დამნაშავესავით გამოილიმა, რომ გული ამიბაგუნდა. იმ წამსვე მზერა ამარიდა და თავი ჩალუნა.

მივეუახლოვდი და ორიოდ ნაბიჯზე გავუჩერდი.

— გამარჯობა, სალომე!

— გაგიმარჯოს!

— თუ გინდა... წამოდი ჩემთან.

— ახლა?! — სალომემ შიშით მიმოიხედა.

— ჰო, ახლა.

— კარგი... წადი... მოვალ... — სალომემ სველი წინსაფარი მოიხსნა და ბალახზე დააგდო. — წადი, — ჩურჩულით დაუმატა მან.

აღარც კი მახსოვს, კიბე როგორ ავიარე და ჩემს ოთახში როგორ შევედი. სალომე ფეხდაფეხ შემომყვა. კარი ხეირიანად არც მიუხურავს, მოვიდა და წინ გამიჩერდა. მკერდი მძლავრად აუღ-ჩაუღიოდა. სახეზე აღმური ასდიოდა, მზერას მარიდებდა. და იმ წუთში პირველად დავინახე, რომ მას თაფლისფერი, გამოუთქმელად ლამაზი და სხივიანი თვალები ჰქონდა.

— ხელი მომეცი. — სალომე ღრმად სუნთქავდა. მთელი სხეულით მომეკრო და მხურვალე ხელი მაგრად ჩამკიდა ხელზე. — წუხელ კართან რატომ მოხვედი? რა, შემოგიშვებდი?

— არა.

— მაშ?

— ისე.

— თბილისში მალე წახვალ?

— ალბათ.

— არა!

— ისევე ჩამოვალ.

— არა. აღარ ჩამოხვალ.

— საიდან იცი?

— მე ყველაფერი ვიცი.

— მე თუ არ ჩამოვალ, შენ ჩამოდი

თბილისში.

— ეჰ!

— რატომ ოხრავ?

— მოიხედე, — თავზე ორივე ხელი წამავლო, თვალებში ჩამხედა და ტუჩებში მაგრად, მაგრად მაკოცა. — თეიმურაზ!

— ჰო!

— არაფერი.

— დაწყნარდი.

— არსადაც არ გაგიშვებ! — სალომეს რკინის მკლავები ჰქონია. ყელზე მეხვეოდა და პირდაპირ მახრჩობდა.

— არსადაც არ მივდივარ.

— მაშ, თბილისი?

— ეგ ჭერ ვნახოთ.

— არაფერიც! თბილისში რა გინდა?

— არც მივდივარ.

— განა არ ვიცი, რომ იქაც ცული სახლი გაქვს.

— საიდან იცი?

— ვიცი.

ჩვენი თბილისური, ღარიბული ოთახი მომაგონდა და ჩამელიმა. ახლა ის ოთახი დაკეტილია. დედაც და მამაც სამსახურში არიან. ლოგინები გასწორებულია. კუთხეში ძველი, საარქივო-ვრეული კარადა დგას. ოთახში სისუფთავე და... სიღარიბეა. ეჰ, რატომ წავიდა ჩვენი ცხოვრება ასე? დედასა და მამას ჩემი იმედი ჰქონდათ, კარგად სწავლობს, ნიჭიერია, დაამთავრებს და მოგვეშველებაო. მე კი... ეს ოხერი კლეკი რაღა მე შემომეპარა?

— რაზე ფიქრობ?

— არაფერზე.

— მითხარი!

— არაფერზე.

— კარგი, მოდი. ჩქარა, მოდი!

- მკითხე.
 — რა გკითხო?
 — მკითხე, საიდან ვიცი, რომ თბილისში ცუდი სახლი გაქვს?
 — იქიდან, რომ ფულს ცოტას მიგზავნიან. აი, შენი ვალიც დამედო.
 — დიახაც, რო დაგედო. ჩემს ვალში ყელთამდე ხარ. მაში...
 — ჰოდა, შენც მიხვდი.
 — მაშ, რატომ უნდა წახვიდე?
 — არ წავალ.
 — მისწერე, თვითონაც აქ ჩამოვიდნენ.
 — მივწერ.
 — მისწერე! ოპ, თეიმურაზ!

ჩემს გარდა სალომეს კიდევ ხუთიოდე მღვდელი ჰყავდა, წინა ქუჩაზე გამავალი აივნის დიდი, სამფანჯრიანი ოთახი ორ დას ეკავა. ესენი რომელიღაც თბილისელი ცნობილი ოჯახის შვილები იყვნენ. მამა მგონი, პროფესორი ჰყავდათ. უფროსს ნესტანი ერქვა, უმცროსს—თინათინი. მე თითქმის არ მელაპარაკებოდნენ. არ ვიცი, არ მკადრულობდნენ, თუ პირიქით, იმას ფიქრობდნენ, ამ სერიოზულ, მუდამ წარბშეკრულ და გაუცინარ ჰაბუქს, ალბათ, ჩვენთვის არ სცალია, რაღაც დიდი საკითხები აქვს გადასაწყვეტი, აბასთუმანში ძალღონის მოსაკრებად ჩამოსულა და ხელის შეშლა არ შეიძლებაო. ორივე შავთვალა, ტანკენარი და ლამაზი იყო. უყვარდათ ცისფერი და ვარდისფერი კაბები. ბაზარში იშვიათად, უფრო სახალისოდ და თავის შესაქცევად თუ გავიდოდნენ. საიდანაც ყველაფერი მზამზარეული მოსდიოდათ და ისიც გაგონილი მქონდა, პროფესორი მამა ყოველ ორ-სამ კვირაში ერთხელ ავითხავთ. ყველაფრის ფულს იხდის ქდა ისევ თბილისში ბრუნდებაო. საშემოდგომოდ დებიც თბილისში უნდა დაბრუნებულიყვნენ და კონსერვატორიაში სწავლა განეგრძოთ.

მათს უკან, ბაზრისაკენ გამავალ ოთახში, ქუთაისელი ცოლქმარი ცხოვრობდა — აგრაფინა და ისიდორე. ასე,

ორმოცდაათი წლისანე ექნებოდნენ. ძალიან სათნო და ძალიან მოწყვნილი ადამიანები იყვნენ. შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ მთელი სულითა და გულით არ შემოეთავაზებინათ, მობრძანდი, ჩვენთან ისაილე ან ივასშემო. მე მუდამ თავაზიან, მაგრამ მტკიცე უარს ვეუბნებოდი, რაც, ჩანდა, სწყინდათ და საგონებელშიც კი ავღებდათ.

— ჩვენ ავადმყოფები არ გეგონოთ, შვილო, — ტბილად მითხრა ერთხელ აგრაფინამ.

— არა, ბატონო. როგორ გეკადრებათ!..

— აბა, მოდი, შვილო, გვიკადრე, დედაშვილობამ, ისეთი ნიგვზიანი ქათამი მაქვს, რომ უკეთესს ვერაფერს შევამ.

— მობრძანდი, ყმაწვილო. — შეეშველა ცოლს ისიდორეს. — კი ვეუბნებოდი ამ ქალს, რა გინდა, ქალო, აბასთუმანში, ვინმეს ავადმყოფები ვეგონებით და კაციშვილი არ მოგვეკარებათქვა, მაგრამ არ დამიჭერა. ვნახოთო, ავნახეთ. კარგი აღგილია, მაგრამ მე მაინც ჩემი მწვანე-ყვავილა მირჩევნია... თქვენ, ახალგაზრდა, მგონი, თეიმურაზი ექვით, ხომ?

— დიახ, თეიმურაზი.

— ოპ, შესანიშნავი, ნამდვილი ქართული სახელია. აბა, ბატონო თეიმურაზ, გვეწვიე, სუფრა დაგვიმშენიღვინოსაც კარგს დაგალევენებთ.

— არა, ბატონო, გმადლობთ! არ შემიძლია.

— რატომ, შე კაცო?!

— გმადლობთ! უკვე გეახელით... ნასაილევი ვარ.

აგრაფინამ და ისიდორემ მშვენივრად იცოდნენ, ჩემი „ნასაილევი“ რასაც ნიშნავდა. მაგრამ თხოვნა აღარ გაუშეორებიათ. ერთმანეთს გადახედეს. კიბეზე ჩასვლისას კი ვკრძნობდი, რომ უკანიდან გულდაწყვეტილი მომჩერებოდნენ, მიპატივებით ამის შემდეგაც რამდენჯერმე მიმიპატიეეს, მაგრამ ცალყბად. უკვე იცოდნენ, რომ არასგზით არ დავეწვოდო. ისე, წეს-ჩვეულებას არულებდნენ.

ყველაზე პატარა ოთახში კი, სწორედ ჩემს გვერდით, მაღალი, კრაპუნაჩექმე-ბიანი შოფერი თენგიზი ცხოვრობდა. ესეც თბილისელი იყო. ფილტვები დასუსტებოდა და სამუშაოდ ერთი წლით აბასთუმანში გადმოსულიყო. ამ მხარბეკიან, შავულვაშა, მუდამ გულლიად მოლიმარე ვაქეაცის შემხედვარე ვერასხვით ვერ იფიქრებდი. რომ მას ქლექი ემუქრებოდა. თენგიზი უთენია მიდიოდა თავის გარაქში და გვიან ღამით ბრუნდებოდა. რამდენჯერმე ორსამ ღამეს ზედიზედ არ მოდიოდა შინ. მაშინ ვიცოდით. რომ სადმე შორეულ რეისში იყო წასული.

ჩვენ ყველანი — სალომეს მდგმურები — ისეთ ურთიერთობაში ვიყავით, როდესაც სრულიად უცნობი, სხვადასხვა ინტერესების მქონე, შემთხვევით და მოკლე ხნით ერთად მოხვედრილი ადამიანები ერთმანეთს ეცნობიან, აკვირდებიან, და მათ შორის თანდათან მყარდება მეგობრული და კეთილგანწყობილი თუ არა, თავაზიანი ურთიერთობა მაინც. რა აქვს ასეთ ხალხს ერთმანეთთან გასაყოფი? ალბათ, ჩვენც ყველანი მალე გამოენახავდით საერთო ენას, მაგრამ ჩემი და სალომეს რომანია, რომელიც ძალიან მალე ვახშაურდა, ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. არა, შოფერს, თენგიზს, ეს ამბავი ჩირადაც არ ჩაუგდია. შეხვედრისას თვალი მხიარულად ჩამიბაკუნა და პრიალა ჩექმების კრაპუნით თავის გზას გაჰყვა. იმ დღეს, ალბათ, აღარც მე გაჩხენებზე ვარ და აღარც სალომე. ქუთაისელი ცოლქმარი კი პირდაპირ დაიხაფრა. ჩემს დანახვაზე ისიდორე რატომღაც მყისვე ფეხზე წამოიჭრებოდა ხოლმე და ისეთი რიდიტა და მოწიწებით მომესალმებოდა, თითქოს მე სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელი ვყოფილიყავი, ის კი დიდი ფულის გამფლანგველი და მისი სული ჩემს ხელთ ყოფილიყოს. ასევე აგრადინაც. არა, მას ფეხზე წამოდგომა ფიქრადაც არ მოსვლია, მაგრამ თავს კი რამდენჯერმე, სწრაფად დამიკრავდა ხოლმე.

თითქოს მეუბნებოდა: ვიცი, შვილო, რა უბედურებაც შეგემთხვა, მაგრამ რა გიშველო, ეს ახლანდელი ახალგაზრდები გაუგონრები ხართ და რა გიყოთ, რაც დაგემართა, შენს თავს დააბრალო. გატრიალდებოდა და თავის ოთახს მიამუერებდა ხოლმე.

ნესტანი და თინათინი ჯერ ვერაფერს მიხვდნენ. ზოგი პროფესორი ხომ ახერხებს თავისი შვილების ისე გაზრდას, რომ ისინი დიდი დაგვიანებითა და ტუნჯვა-წვალებით იგებენ იმას, რაც ყოველი მწყემსისათვისაც თავისთავადაც იოლი გასაგებია: მერე გაოცდნენ და კიბეზე ჩამავალს გაფართოებული თვალებით მომჩიერდებოდნენ ხოლმე.

სალომე კი ზეიმობდა. მაშინ მე ბევრი არაფერი გამეგებოდა, ახლა კი ცხადლივ ვეუდავ, რომ ამ ორმოცი წლის ჯანმავარ, სიცოცხლეს მოწყურებულ დედაკაცს ნამდვილი სიყვარულის ზეიმი დაუდგა. სქელი ტუჩები ერთთავად ძლევაშოსილი სიკეთითა და კმაყოფილებით აღსავსე ღიმილით ეგრიხებოდა. თაფლისფერი თვალები ყოველ ჩემს დანახვაზე ისეთი ველური, დაუოკებელი შუქით გაუსხივოსნდებოდა ხოლმე, რომ თვალს ვერ გაუსწორებდი. სალომეს სიშმაგით დაქანცულს ბევრჯერ ვადამიწყევტია, მორჩა, ამ ჭალს ახლოსაც აღარ მივიკარებ-მეთქი, მაგრამ იმ შემოხედვაზე გული ისევ მომლბობია. და სალომეს მხურვალე ტუჩებისათვის მორჩილად მიმიშვერია ჩემი ტუჩებიცა და თვალებიც.

სანამდე უნდა გაგრძელებულიყო ასე? ეს არც მე ვიცოდი და არც სალომემ. სალომე არც ფიქრობდა იმაზე, რომ ჩენი ამბავი როდესმე უნდა დამთავრებულყო. მე კი, პირიქით, გამუდმებით ამაზე ვფიქრობდი და ვერაფერთარ გამოსავალს ვერ ვხედავდი, გარდა იმისა, რომ თბილისში წასვლის დღეს ბარგი-ბარხანას ავიკრავდი, სალომე ავტობუსების სადგურამდე გამაცილებდა და მერე, ავტობუსი რომ დაიძვროდა... თვითონაც აღარ ვიცოდი, რა უნდა მომხდარიყო. ამაზე ფიქრს უკვე გა-

ვერბოდი. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც აი, რა იყო: ხომ ვიცოდი, რომ ჩემი და სალომეს ამბავი მთელმა სახლმა გაიგო, მაინც ისეთი გრძობა მქონდა, თითქოს ეს ამბავი საიდუმლოდ ინახებოდა. პირდაპირ შევეძრწუნდებოდი ხოლმე იმის გაფიქრებისას, რომ ჩემი რომანი ამ ქალთან შეიძლება გადაიშალა და კვეყნის სალაპარაკო გავმზადარიყავი. მეჩვენებოდა, თუ ეს ამბავი გახმაურდა, ზიზღით შემომხედდნენ ყველანი, ვინც კი აბასთუმანში მიცნობს — აბდულაცა და ანზორიც ფეხბურთელი ბიჭებიცა და გაზეთის მოხუცი გამყიდველიც, რამდენჯერმე სპორტული გაზეთი რომ გადამინახა... ვინ ამხსნის, რატომ ვიყავი დარწმუნებული, რომ სახლის ყველა მდგმური — თენგიზიც, ნესტანიც, თინათინიც, ავრაფინაცა და ისიდორეც ნამუსს მინახავდნენ და ჩემს საქციელზე არც ერთმანეთთან და არც სხვებთან კრინტსაც არ სძრავდნენ?

მთელი ეს დღეები ქალბატონ ელენეზე ფიქრსაც კი გავერბოდი. არა, ეს თმაჰალარა, შავთვალეზიანი მოხუცი ქალი სულაც არ დამეფიწყებია. მაგრამ ყოველი მისი გახანებებისას სირცხვილის მძაფრი, მტანჯველი გრძობა მიპყრობდა და ვცდილობდი, საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ საერთოდ არავითარ ქალბატონ ელენეს არ ვიცნობდი. ბოლოსდაბოლოს, რა მოხდა? მდინარის პირას შემხვდა ვიღაც მოხუცი ქალი: რომელსაც დილით დაუნახავს, რომ ბაზარში რაღაც უსიამოვნება შემემთხვა. ეს უსიამოვნება ჩირადაც არ ღირდა, მაგრამ მე რატომღაც მაინც ვწუხდი. და იმ მოხუცმა ქალმა მაგრამობინა, შესაწუხებელი არაფერი გაქვს, განსაკუთრებული არაფერი მომხდარაო. ეს იყო და ეს. მეტი რა? არაფერი. მაგრამ რაც უფრო ვცდილობდი საკუთარი თავის დარწმუნებას იმ მოხუც ქალს ჩემს ცხოვრებაში არავითარი ადგილი არ ეკუთვნის მეთქი, მით უფრო მაძრწუნებდა მისი შავი, ლობიერი და იმავე დროს განმსკვავლავი,

ყველაფრის მხედველი თვალუბის გახსენება და მით უფრო გვერბოდი ქუჩაში გასვლას, რომ იმ ქალს სადმე არ გადავყროდი, ვიცოდი, პირველი შემოხედვისთანავე ყველაფერს მიმიხვდებოდა, ეს კი სიკვდილივით არ მინდოდა.

მაგრამ მე ხომ ჩემს თავს აღარ ვეკუთნოდი. ერთ საღამოს სალომემ ჩვეუფლებიანებზე დამისაყუთრა, თვითონაც გადაიქანცა ალერსით და მეც უკანასკნელი ძალა გამომაცალა, მერე მკერდზე ამოცოცდა, — მე გულაღმა ვიწექი, — და თვალეში გაუნძრეველად ჩამაჩერდა.

— რას მომჩერებიხარ?

— ისე

— მაინც?

— არაფერი.

მარჯვენა ხელი გავინთავისუფლე და აწეწილი თმა გავუსწორე. მან რბილად მაკოცა საფეთქელთან და ამოიოხრა.

— რას ამოიოხრე?

— არაფერი.

— მაინც?

— არაფერი-მეთქი! მოდი, ხვალ ბაზარში წავიდეთ.

— ბაზარში რა გვინდა?

— როგორ თუ არაა? ხვალ კვირაა!

— მერე რა, რომ კვირაა!

— ოჰ! ვითომ არ იცი! აბასთუმნის საეკირაო ბაზარი მთელს დღეებზე განთქმულია. შენ ის ვარია კვირას არ მოიყვანე?

სალომემ ჩემი მაშინდელი ამბისა არაფერი იცოდა და გულუბრყვილოდ მელაპარაკებოდა. მე კი რა მიზეზით მეთქვა უარი ბაზარში გასვლაზე? ამინდები საუცხოო იდგა, იმ ოხერ ბაზარამდე ჩვენი სახლიდან ასი ნაბიჯიც კი არ იქნებოდა.

— იქ რა უნდა ვაკეთოთ?

— ვაი! როგორ თუ რა? რამეები ვიყიდოთ: ხილი, ქათმები... ფული ხომ მოგივიდა. ან კი შენი ფული რად გვინდა! იცი, რამდენი ფული მაქვს? მარტო ნესტანმა და თინიკომ ხუთასი მანეთი ჩამითვალეს.



— შენი ფული რად მინდა?
 — ოოჰ! ახლა ეს წამომიწყოს! შენი, ჩემი... თქვი, წავიდეთ?
 — წავიდეთ — მე მხრები ავიჩიჩე.
 — თუ ვინმესი გეშინია? — სალომემ შიგ თვალეზში ჩამხედა.
 — ვისი უნდა მეშინოდეს?!
 — აი, იმისა.
 — ვისი?
 — იმისი! ვითომ არ იცის!
 — ხომ გითხარი, სამოცდაათი წლისა მაინც იქნება-მეთქი.
 — სამოცდაათის კი არა!
 — ღმერთმანი!
 — მაშ, რად აეტორღილავ?
 — ნეტავი რას ლაპარაკობ?
 — რასაც ვლაპარაკობ.
 — სალომე!
 — კარგი. გაჩუმდი. გინდაც ოცი წლისა იყოს. ნეტავი მართლა ოცი წლისა ყოს.
 — ეგ რაღად გინდა?
 — რაღაც მინდა!
 — მაინც?
 — ისე.
 — მითხარი.
 — თვალეზს ამოვკორტნიდი. ნაკვერჩხლებზე შევწვავდი. ეს აბასთუმანი სულ ბოლით აივსებოდა.
 — ხა-ხა-ხა!
 — იცინე შენა! იცინე!
 — რა უცნაური ხარ, სალომე!
 — ხვალ შენი თავი მთელს დუნიას უნდა ვაჩვენო.
 — დუნია სალომეს საყვარელი სიტყვა იყო.
 — ეგ რაღად გინდა?!
 — რად მინდა.
 — მაინც?
 — ისე! მოვიდეს ის შენი ოცი წლისა! მობრძანდეს!
 — სალომე, იცოდე, არ წამოგყვები.
 — წამომყვები!
 — შენ რა თქვი, სამოცდაათი წლისააო?
 — მერე?
 — ჰოდა, თუ სამოცდაათისაა, წამომყვები.

— თუ არა?
 — თუ არა, მაშინ ტყუილი გითქვამს.
 — ხა-ხა-ხა!
 — დიახა!
 — ოჰ, სალომე!
 — ეგეც შენ — სალომე! წავიდეთ?
 — წავიდეთ, მაგრამ...
 — კიდევ მაგრამ?
 — ეს ჩემი თავი მთელს დუნიას რატომ უნდა აჩვენო?...
 — იმიტომაც.
 — უმადისობა არ შეიძლება?
 — არა. ოჰ, თეიმურაზ! — სალომემ ისევ თავდავიწყებით მომხვია რკინის მკლავები.

* * *

ღილით, ბაზართან რომ მივედით, ცხრა საათი თუ იქნებოდა. გაბურძენილმა აბდულამ დამინახა თუ არა, წარბები შეიკრა და თავიდან ფეხებამდე შემათვალისწინა. მერე მზერა სალომეზე გადაიტანა.

— გამარჯობა, აბდულ! — სალომე აქაურებს ყველას იცნობდა და თათარს ალერსიანი ღიმილი შეანათა.

— გამარჯობა!
 — როგორა ხარ?
 — კარგად, გმადლობ.

— კარგად იყავი. — სალომემ აბდულას მხარზე ხელი მოუთათუნა და გვერდი აუარა. მე უკან მივყევი. დღემდე არ ვიცი, რა იფიქრა აბდულამ ჩემი და სალომეს ერთად დანახვაზე. ეს კი იყო, რომ როცა ერთხელ შორიდან გავხედე და ჩვენი თვალეზი ერთმანეთს შეხედდნენ, აბდულამ ოდნავ წამოიწია სკამზე, და თავი მძიმედ დამიკრა — იმ ოჯახაშენებულმა ახლალა მიპასუხა იმ სალამზე, მე რომ ბარე ათიოდე დღის წინათ შევთავაზე.

არ ვიცი, ახლა როგორაა, მაშინ კი, იმ წლებში, მართლაც საამო სანახავი იყო აბასთუმნის ბაზარი კვირაობით. აქ ვერ გაიკონებდით ყვირილს, ღრიანცელსა და აყალმაყალს, ყოველ სხვა ბაზარში ყურთასმენა რომ მიაქვს. არა, რა თქმა უნდა, ხმაური აქაც იდგა, მაგრამ იგი იმ პატა-

რა სწრაფი, აქაფებელი მდინარის ჩხრი-
ალსაც კი ვერ ახშობდა, ბაზარს გვერ-
დით რომ ჩამოურბრდა. აბასთუმანში
ხომ უმთავრესად ფილტვებდასუსტებუ-
ლი ხალხი დადის და თითქოს ყველანი
უსიტყვოდ შეთანხმებულიყვნენ, ნერვებს
ნუ ავიშლით, ხმას ნუ აფუწევთ, შერ-
ყეულ ჯანმრთელობას გავუფრთხილდე-
თო... იმ მდინარის გაყოლებით, ბაზრის
გარშემო და თვით ბაზარშიც ვეებერთე-
ლა მუხები, ნეკერჩხლები და ცაცხვები
ხარობდა და იქაურობას ჩრდილით ფა-
რავდა. ირგვლივ ყველაფერი მწვანედ
იყო მოსილი. ფერადკაბებიანი ახალ-
გაზრდა დიასახლისები მოხდენი-
ლად დაგაგმანობდნენ ფარდულებიდა-
ნ ფარდულებამდე, — კვირადღეობით
ხანდაზმულ ქალებს სწორედ ახალგაზ-
რდები სუარბობდნენ, — და ხალისიანად
ევაკრებოდნენ მკერდმოღვლილ ქართ-
ველებსა და სომხებს, თათრებსა და
რუსებს. ესენიც ისე გულღიად უღიმოდ-
ნენ მყიდველებს, თითქოს ბაზარში სა-
ვაჭროდ და ფულის მოსაგებად კი არა,
დროის გასატარებლად და სახალისოდ
მოსულიყვნენ. ნამდვილად, ნამდვილად
კარგი სანახავი იყო ის დოვლათით სავ-
სე ბაზარი და უზრუნველი, კმაყოფილი
ხალხი, კვირადღეობით თავის სატიკი-
ვარა თუ სხვა საზრუნავს რომ ივიწყებ-
და და ხალისიან ცხოვრებას მთელი სუ-
ლითა და გულით ეძლეოდა.

არ ვიცი, რამდენ ხანს დაყავით იმ
დღეს მე და სალომემ ბაზარში. ეს კი
იყო, რომ არ დარჩენილა არც ერთი ჩე-
მი ნაცნობი, იმ დღეს ბაზარში რომ არ
შეგვხვდებოდეს. მხარბეკიანი, შავულ-
ვაშა თენგიზი არხეინად დააკრაქუნებდა
ბალახზე თავის მაღალყელიან, პრილა
ჩექმებს. ჩვენ რომ გვერდი ჩავუარეთ,
ჭორფა კიტრებს ყიდულობდა. მხარმა-
რცხნივ, თეთრკაბიანი, სიცხისაგან სახე-
აწითლებული, მოხდენილი ქალიშვილი
ედგა და ნაყიდ კიტრებს კალათში აწყო-
ბდა. თენგიზმა მე და სალომეს მხიარუ-
ლად, მრავალმნიშვნელოვნად ჩაგვიკრა
თვალი და კიტრის გამყიდველს მანე-
თიანი მიაწოდა.

აგრაფინა და ისიდორე ქათმებს მოა-
კრიახებდნენ. მე და სალომემ რომ მკერ-
თად დაგვიჩახეს, შეცბნენ და ერთ-
მანეთს სწრაფი მზერა შეაღვს. მერე
აგრაფინას ალერსიანი ღიმილით გაე-
ბადრა სახე. შეოფლილი შუბლი იდაყ-
ვით მოიწმინდა და „მოგვესიყვარულა“.

— თქვენც ბაზარში გამობრძანდით?

— გამოვედი, გამოვედი! — მხიარულად უპასუხა სალომემ.

— ნამეტანი კარგი! დღეს პირდაპირ
გადასარევი ბაზარია. ა, შეხედე! წყვი-
ლი სამ მანეთად! პირდაპირ ნაჩუქარია.
თქვენ რის ყიდვას აპირებთ?

— რა ვიცი, ვნახოთ... — სალომემ ცა-
რიელი კალათა მხიარულად აიჭნია ჰაერ-
ში.

— ო, აბა, თქვენ იცით! სალომე, მოი-
ხედე: ემანდერ თაფლს ყიდის ვიღაცა
თათარი. პირდაპირ დანით არ გაიჭრება.
კილო, მგონია სამი მანეთით. გენახა?

— ვნახეთ, ვნახეთ, — ყველაფერს
ვნახეთ, — ჩემი სატრფო ხალისსა და
ბედნიერებას აფრქვევდა.

— აბა, თქვენ იცით! ჩვენ ამ ქათმებს
აიყვანთ და იქნება ისევე ჩამოვიართ.

— ჩამოიარეთ... ჩამოიარეთ!

ცოლ-ქმარმა აკრიახებულნი ქათმები
ფეხებით დაითრია და გაზას გაუდგა. ისი-
დორემ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ
ჩვენთვის ერთი სიტყვა მიინც ეთქვა. ეს
კი იყო, რომ წასვლისას თავი უკიდუ-
რეკი თავაზიანობით დაგვიკრა და წინ
რალაცნაირად, გვერდულად ჩაგვიარა.

ნესტანი და თინათინი ბაზრის ქვედა
ბოლოში, ვეება ცაცხვის ძირას იდგნენ.
რაიმეს ყიდვა მათ აზრადაც არ მოსვლი-
ათ. ბაზარში გასართობად, თვალის სასეი-
როდ იყვნენ გამოსული. შავთმიან
ნესტანს ვარღიანური კაბა ეცვა,
აეთსავე შავთმიან თინათინს კი ნა-
ზი იასამნისფერი. ჩემი და სალო-
მეს დანახვაზე ამთაყ სწრაფი
მზერა შეაღვს ერთმანეთს, მერე, იმა-
ვე წამში, როგორღაც შეუმჩნევლად შე-
ტრიალდნენ და ზურგი შეგვაქციეს.
ვერც კი დავინახე, ეს როდის და როგორ
მოხდა. არადა, დანამდვილებით ვიცი,



რომ სულ რამდენიმე წამის წინ პირით ჩვენკენ იდგნენ.

ლოყებლაყლაყა ანზორსა და მის ფეხბურთელებს მდინარის პირად ამაყად ტოტებგაშლილი მუხის ჩრდილი დაესაყურებინათ. ანზორი გულხელდაკრეფილი იდგა და მოზიშშიმე ხალხს გასცქეროდა. მის ფეხებთან ყოველნაირი ხილით, კიტრით, პამიდვრით, სავსე კალათები და ჩანთები ელაგა. ბაზარში მოზიშშიმე ხალხს ხან ერთი ფეხბურთელი გამოეყოფოდა და ხან მეორე. აქ იყო წითელმაისურიაინი რუსიც, ლამაზთვალეზიანი ფაშიგაც... გაოფლილები და სახეაწითლებულნი, ისევ ხილითა თუ ბოსტნეულით სავსე კალათებს მოათრევდნენ. ანზორის ფეხებთან დგამდნენ და ისევ ხალხში უჩინარდებოდნენ. ფიზკულტურული ბელადის გარშემო ხილისა და ბოსტნეულის მთავრებილები გაწოლილიყო. მერე გავიგე: აქაურ ფეხბურთელებთან სათამაშოდ იმ დღეს ახალციხის გუნდი ჩამოდიოდა და მასპინძლებს პურმარხის თაღარიგი ჰქონდათ.

მე და სალომე, მგონი, არც ანზორს შევუძინევივართ და არც მის ფეხბურთელებს, ან, იქნებ, შეგვამჩნიეს კიდევ, მაგრამ სერიოზული საქმეებით იყვნენ დაკავებულნი და ჩვენთვის ველარ მოიცალეს.

ჩემზე კი ყველაფერზე უფრო მწვავედ სწორედ ამ ბიჭების დანახვამ იმოქმედა. არც თენგიზს, არც ავრაფინას ლა ისიდორეს, არც ნესტანსა და თინათინს არაფრით გავუკვირებებვარ. ყოველმა მათგანმა სწორედ ის მოიმოქმედა, რისი მოლოდინიც მქონდა. ეს ჩემი ტოლები კი რალაც სერიოზულ საქმეში იყვნენ ჩაბმულნი, ერთად ფუსფუსებდნენ, ერთად ცდილობდნენ, რალაც სერიოზული და გადაუღებელი აერთიანებდათ... მე კი გარყული ვიყავი ამ მშფოთვარე, ხალისითა და მოქმედებით აღსავსე ცხოვრებიდან.

მაგრამ ეს ყველაფერი ძალიან შორს იყო. სალომეს ტყვედა ეყავდი. ეს ქალი ბედნიერი იყო და ძალიან უნდოდა, მეც

ბედნიერი ვყოფილიყავი.

— აი, აქ სულგუნებსა ჰყრიან ხარკს მივიდეთ?

— სულგუნი ხომ გვაქვს?

— იპ, ის რა სულგუნია! ეს ახალი იქნება, მეგრელებმა წუხელ არ ჩამოიარეს? მაშ! არ მივიდეთ?

— მივიდეთ.

სალომე გვერდით მომდევს და ყოველ ნაბიჯზე თაფლისფერი თვალებით მეთაურსება.

სულგუნს მაღალი, უღვაშებიანი მეგრელი ჰყიდის.

— რა ღირს შენი სულგუნი?

— ამ სულგუნს, გენაცვალე, ფასი არა აქვს, მაგრამ თქვენისთანა პატროსანი ხალხისათვის ორ მანეთად მომირთმევი ერთი ცალი.

— ორი მანეთი? — სალომეს თაფლისფერი თვალები ისევ ჩემს პირსახეზე დაფათურობენ, — კარგი. აბა, ორი ცალი კარგისა აგვირჩიე.

— ორი სულგუნი რად გვინდა?

— იყოს! ჩვენ არ დაგვჭირდება და სხვას მივცემთ.

— ა, გენაცვალე! ამისთანა სულგუნები მე მეტი არა მაქვს. ეს თქვენი იღბალი ყოფილა.

— გაიხარე! აბა, წავიდეთ, თეიმურაზ, ახლა ხენდროზე წავიდეთ. ოპ, ძია დიმიტრი, გამარჯობა! ძველ ნაცნობებს ველარ ამჩნევ? თუ ძალიან გამდიდრდი?

მოხუცებული, ნაყვავილარი, გამზდარი კაცი ჩერდება და სალომეს გულდასმით აკვირდება. ხელში ქალაღის პარკით ჰერამი უჭირავს.

— ისა... რომელი ხარ?

— სალომე ვარ, სალომე! ველარ მიცანი?

— ჰოო! სალომე! გამარჯობა შენი! რა ქვიანა... როგორა ხარ?

— არა მიშავს, კარგადა ვარ, კარგადა შენა?

— მეცა... არა მიშავს... ვარ. ჰა?

— ჰოდა, კარგად იყავი! ნახვამდის!

— ისა... ჰო... ნახვამდის, ნახვამდის!

— წამო, თეიმურაზ!

მე და სალომე ხენდროს რიგისკენ

მივდივართ, ღიმიტრი კი ერთხანს კვალ-დაკვალ მოგვეჩერებოდა და შერე თავის გზას ადგება.

— ნეჩა დურ? — ხენდროს გამყიდველები სულ თათრები არიან.

— ბირ მანათ.

— ბირ შენა და ჭირი! ხა-ხა-ხა!.. არა, ყველაფერს რომ მანეთადა ჰყიდიან, გინდა ხენდრო იყოს და გინდა... იქი ჩილო ვერ!

— ორი კილო ხენდრო რალად გვინდა?!

— იყოს! გამოგვადგება! ქალბატონო, ქალბატონო!

ხანდაზმული, ლურჯკაბიანი ქალი ჩერდება და აშკარად დაბნეული მოგვეჩერებოდა.

— თქვენ ხომ საკატლეტე ხორცი გინდოდათ? აგე, ახალი ძროხა მოიტანეს.

— გმადლობთ! — ქალი თავს გვიკრავს და გაკვირვებული ღიმილით გვშორდება.

— სალომე, დავიღალე.

— ჰა? დაიღალე? თუ სხვა რამ მიზეზია?!

— სხვა რა მიზეზი უნდა იყოს?!

— გეხუმრები, მაგრამ...

— რა — მაგრამ?

— მთელი აბასთუმანი აქ არის და რაღა ის აკლია?

— ვინ ისა?

— ვითომ არ იცი! ეექ!

— რა ეექ?!

— არაფერი. ოჰ, ნეტავი არ იქნება, ახლა ვინმე შენს თავს მართლა შემეცილებოდეს!

— წავიდეთ, სალომე!

— წავიდეთ, გენაცვალოს სალომე, წავიდეთ!

— სალომესი არ იყოს, მეც ძალიან მიკვირდა, რომ ქალბატონ ელენეს ბაზარში თვალის ვერსად მოგვკარი. არა, სულაც არ ვაპირებ იმის თქმას, თითქოს მასთან შეხვედრა ძალიან გამიხარდებოდა. პირიქით, ეს ერთი საათი თუ საათნახევარი, რაც ჩვენ ბაზარში ვიყავით, გამუდმებითი იმისი შიში მქონდა, — სადაცაა, იმ ქალს გადავაწყდები-მეთქი და უკვე შერიგებული ვიყავი იმ აზრს, რომ ამ

შეხვედრას მწვავე სირცხელისაგან უნდა გავეწითლებინე. და რაც უფრო მსიქმნებოდა, ვინაატირე, თუ შეხვედრაა, ბარემ შეხვედლე და რაც მოსახდენია, მოხდეს-მეთქი.

სურვილი შემისრულდა. ის იყო, საწინააღმდეგო დატვირთული, სახეაწითლებული სალომე და მე ბაზრის განაპირას გავედით და აბდულას გავუწვრილდით, რომ ქალბატონი ელენე დაგინახე. ვიღაც დიდმა სამხედრომ — დიდი სამხედროები მაშინ რომბებს ატარებდნენ, — თავისი ღია, პრილა წითელი მანქანით მოიყვანა, კარ გაუღო, გადმოსაწრო და ისეთი მოწიწებით ჩამოსვა, თითქოს სარდალი თვითონ კი არა, ეს ქალბატონი ქალი ყოფილიყოს. ქალბატონმა ელენემ მადლობა ოდნავი თავის დაკვირვითა და დიდებული, მოწყალე ღიმილით გადაუხადა. კმაყოფილად მოლიმარე სამხედრო ისევ მანქანაში ჩაჯდა და კარი მოიჯახუნა. მანქანა დაიძრა და რბილად გასრიალდა შავ ასფალტზე. ქალბატონი ელენე ბაზრისაკენ წამოვიდა, მყისვე დამინახა და წარბები ზეაწკიპა.

— ოჰ! ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონო თეიმურაზ?

— დიახ!

— გამარჯობა, ჩემო კარგო! — და გამხდარი ხელი გამომიწოდა. მაშინ არც კი ვიცოდი, ხელზე კოცნა რა იყო. ჩემს თაობას უფრო მკაცრად ზრდიდნენ. მოხუც ქალს ხელზე ხელი მაგრად მოვუჭირე. ქალბატონმა ელენემ ოდნავ შემამჩნევი ღიმილით აღნიშნა ჩემი ორიგინალობა და მოკლე მზერა სალომეს ესროლა.

სალომეს ორივე ხელში ხილით, ბოსტნეულით, ხორციით, სულგუნებით, თაფლითა და ათასი რაგინდარატი პირთამდე სავსე კალათები ეჭირა (წელან ვუთხარი, მომეცი, ერთს მაინც წამოგიღებ-მეთქი და არასგზით არ დამანება). სახეაწითლებული და შეოფლილი ჰქონდა, თმაც ოფლისაგან ოდნავ სველი და აწიწილი. და ეს ორმოცი წლის, ბექებ-განიერი და მკერდჩათქვირებული დედაკაცი ქალბატონ ელენეს ისეთი აღფრ-



თოვანებით, იაეთი სიყვარულითა და სი-
კეთით სავსე ღიმილით მისჩერებოდა,
რომ ის ღიმილი თხუთმეტობდე წლის
გოგონასაც დაამშვენებდა. (სალომემ,
აღმათ, იცნო ქალბატონი ელენე. ხდება
ხოლმე: აღამიანს შორიდან დავინახავთ,
მის სახეს ვერც კი გავარჩევთ და ასაციც
კი არ ვიცით, მაგრამ გავა ხანი და იმ
აღამიანს ვიცნობთ — სხეულის რაღაც
თავისებური, განუმეორებელი სი-
ლუქტით მიმოხვრით, რაღაც ისე-
თით, რასაც სახელი არც კი გააჩნია).
ჩემს სატრფოს პრარც კალათები ახსოვ-
და, აღარც ბაზარი და, მგონი, აღარც მე-
მისი შემხედვარე ზღწერებდა, საცაა, ამ
კალათებს მოისვრის, ამ ქალაჩა ქალს
მივარდება, გულში ჩაიკრავს და თავდა-
ვიწყებული, გაშმაგებული ხვეწნა-კოც-
ნით დაახრჩობსო.

ქალბატონ ელენეს სახეზე ვარდისფე-
რმა გადაჰკრა. მართლაც ძნელი ასატა-
ნია, როცა ასეთი აშკარა აღფრთოვანე-
ბით მოგჩერებიან და არც კი იცი, ეს
რითი დაიბნახურე. მერე ქალბატონმა
ელენემ თავისი შავი თვალები მე მო-
მაჰყრო:

- რატომ დაგვივიწყეთ?
- მე.. როგორ გეკადრებათ...
- ასე არ ვარგა. ჩემი სახლი ხომ
იციო. მუდამ შინა ვარ. —

ქალბატონმა ელენემ თავი დამიქნია
და ბაზარში შევიდა. სალომესკენ აღარ
მოუხედავს.

ჩემი სატრფო სახეაწითლებული იდ-
გა.

- რა დაგემართა, სალომე?
- არაფერი... — სალომეს ტუჩები
უთრთოდა. ქვედა ტუჩს კბილები დაა-
ჭირა, — წავიდეთ.
- ოციოდე ნაბიჯი ხმაამოუღებლად გა-
დავდგით.
- რა გატირებს, სალომე?
- არაფერი.
- მაინც?
- რატომ არ მომესალმა?
- არ გიცნობს და იმიტომ.
- შენს გვერდით ხომ ვიყავი!
- ეგ სხვანაირად გაზრდილი ქალია.

- რანაირად?
- ისე. უცნობს არ მიესალმებოდა...
- მერე? რატომ ჩემი თავი არ გაა-
ცანი?
- უხერხული იყო.
- გამაცნობ!..
- გაგაცნობ, თუ შემთხვევა მომე-
ცა.

— ვიცი!.. კარგი!..
გავჩუმდი. კამათს რა აზრი ჰქონდა?
სახლამდე დარჩენილი გზა უხმოდ გავი-
არეთ. აივანზე რომ ავედიო, სალომემ
ხორავით სავსე კალათები ედღელთან
მიჰყარა, თავის ოთახში შევარდა, კარი
მოიხურა და ჩაიკეტა. შუალამემდე თვა-
ლით აღარ დამინახავს.

შუალამისას ისევე დაბარებულევით
მეწვია და ლოგინზე ჩამომიჯდა:

- დღეს რა ქამე?
- ეტროკვერცხი.
- იმასთან რატომ არ წახვედი?
- ?!
- მე მეგონა, ამ სალამოს იმასთან
წახვიდოდი.

— სალომე...
— არა, განა იმას გეუბნები! ვიცი...
მე მეგონა, ისე, გაისეირნებდი.

- შენი ხათრი შევინახე.
- მე ეგ სულაც არ მეწყინება. აი,
იოტისოდენაც. ლმერთმანი! ხვალ კარგ
სადილს გაგიკეთებ თუ გინდა, ისიც
მოვიპატიოთ.
- „იმას“ სახელად ელენე ჰქვია.
- ელენე?.. კარგი სახელია. მოვიპა-
ტიოთ?

— არ მოვა.

- მეც ვიცი, რომ არ მოვა. ისა...
ახლა დავრჩე?
- რატომ მეკითხები?
- რა ვიცი... დავრჩე?
- დარჩი.

მეორე დღეს, შებინდებისას, სალო-
მემ ხელი თმაში შემეცურა და თვალე-
ბში ჩამხედა:

- რატომ არ გაისეირნებ?
- რა ვიცი.
- წადი, თეიმურაზ! მე სახლში ვიქ-

ნები... არა, ბაზარში რა ყოფით მოიყვანეს, გენაცვათ! — მოულოდნელი აღტაცებით წარმოთქვა მან, — თითქოს ის მანქანა მისი საკუთრებააო! ჰი-ჰი!

იმ საღამოს ამაოდ ვინებიალუ მდინარის პირად. ქალბატონი ელენე არსად იყო. ბედმა არც მეორე და არც მესამე დღეს გამილიმა. მეოთხე დღეს კი, როგორც ეჭნა, ქალბატონ ელენეს შევხვდნა. მაგრამ საღამოს და მდინარის პირას კი არა, არამედ შუადღისას, ზედა ხიდთან. გაზეთების კიოსკთან იდგა, საზაფხულო ქოლგით ხელში და თავის რიგს მოთმინებით ელოდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო ელენე!

— გამარჯობა, ვეთაყვა, გამარჯობა! გაზეთები გინდა? მოდი, აი, ჩემს გვერდით დადექი. მე ბოლო ვარ, ჩემს უკან აღარავინ არის.

მივედი და გვერდით ვაეუჩერდი.

— სადა ხარ? რატომ აღარ ჩანხარ?

— რა მოგახსენოთ...

— ხომ არ მოგწყინდა ამ აბასთუმანში?

— არც ისე...

— მე კი, მგონი, მალე მომწყინდება.

— პირიქით, თქვენ უფრო არ უნდა მოგწყინდეთ.

— ეგ რატომაო?

— რა ვიცი... ისეთი დიდი ხალხი გეხვევათ, მანქანებიანი...

— ჰო-ჰო! იმაზე ამბობ? კარგი ბიჭია. მაგრამ საოცარი კია, როგორ მიცნო! ა? ჩემი ქმრის ხელქვეით უმსახურნია ნიკოლოზის დროს, სადღაც აქეთ, აქარაში. მაშინ ეგ უბრალო ვახმისტრი ყოფილა, მე კი გენერლის ცოლი ვიყავი. ჰოდა, აი, მიცნო. თვითონვე მოვიდა, ვამომეცნაურა, ასე და ასეო, ესა და ესა ვარო, თქვენ არ გეხსოვებით, მე კი ძალიან კარგად მახსოვხართო. რევოლუციის შემდეგ წითელ ჯარში შესულა და აგერ, ნამდვილი გენერალიც გამხდარა. აბა, მოდი. მომეცით, ვეთაყვა, „პრავედა“ და „კომუნისტი“. ვმადლობთ! შენ რაღას უძღულობ. შენც „პრავედასა“ და „კომუნისტსა“? ეგ რაღა არის? „პრასნი სპორტ“? ჰო, ეგ თქვენი, ახალგაზრდე-

ბის გაზეთია. მე მაგას არ ვყიდულობ. აბა, თუ გცალია, წამოდი, ვამოვიღო.

ხიდი გადმოვიარეთ და მდინარის გასწვრივ ქუჩას გადავეით.

— მახსოვს, მახსოვს ჩემი ქმრის სალდათები. საწყლებს დღენიადაგ ხიშტიანი თოფები ეკავათ ხელში და წინ და უკან დაარბენინებდნენ. ჩემი ქმარი იტყოდა ხოლმე, სამყოფი შავი პურიც კი არა აქვთო, მე კი არც ვიცოდი, შავი პური რა იყო. მოდი, აქეთ, ჩრდილში ვიაროთ. ჩემს გარსევანს რომ ეცოცხლა, ალბათ, ისიც წითელ ჯარში შევიდოდა. ისეთი კაცი იყო. სალდათებს და უმცროს ჩინებს ძალიან უყვარდათ და პარტის სტეპმდნენ. ეგერ, იმისმა ხელქვეითმა ოცდახუთი წლის შემდეგ მანქანა გამიჩერა, მაშინ რა ვიყავი? ერთი განებივრებული გოგონა. სალდათებს და უმცროს ჩინებს თავსაც არ ვუყვარებდი. მაშ! მაგან მანქანა მე კი არა, ჩემს ქმარს გაუჩერა. ამქვეყნად კარგ სახელზე გამძლე არაფერია. კარგი სახელი მარმარილოს ქანდაკებაზე უფრო დიდხანს სძლებს.

ქალბატონი ელენე შეჩერდა. სიციხისაგან წამოწითლებული სახე გაზეთის ქნევით გაიგრილა და გამოიღმა!

— ძალიან ბევრსა ვლაპარაკობ?

— როგორ ვეკადრებოთ?..

— ოჰ, დამიმაღლე! განა მე თვითონ არ ვიცი. რას იზამ! მალე, ალბათ, სამუდამოდ... თუმცა არა... შენ ეს არ გეკითხება. აბა, ჩემო თეიმურაზ, იქნებ საუზმეზე მეწვიო?

— არა, მე...

— შენი ნებაა. ძალას ვერ დაგატან. მით უმეტეს, რომ, რამდენადაც ვიცი, სახლში შენც კარგი საუზმე გელოდებო? ჰა? — და მოულოდნელად აღერსიანად გამოიღმა.

— ქალბატონ...

— ოჰ! როგორ უყვარს ამ ყმაწვილს ეს სიტყვა! ქალბატონო და ქალბატონო!.. აბა, ჩემო თეიმურაზ, ბედნიერად! ნუ დამივიწყებ. ახლა კი ნახვამდის!

— თითქმის მთელი საათი ქუჩაში სეირნობდით, — მითხრა იმ საღამოს სალომემ.

— დავვინახე?

— მაში საწყობის კარს უკან ვიდუქი და მოგჩერებოდით.

— ძალიან ცხელოდა.

— სიცხე ქუჩაში იყო, საწყობში კი არა, რაზე ლაპარაკობდით?

— რა ვიცი... ათას რამეზე...

— სულ ის ლაპარაკობდა, შენ ხმაც არ ამოვიღია.

— დღეს ეგეთ ხასიათზე იყო.

— მაინც რაო?

— რა ვიცი...

— ხომ არ გაგიჯავრდა?

— რაზე უნდა გამჯავრებოდა?!

— რა ვიცი... ისე...

— არა.

— იცის?

— რა?

— რა!

— არ ვიცი.

— აბა, თვალბში შექომხედე! იცის!.. ეჰ, თეიმურაზ!

— რატომ ოხრავ?

— ისე.

— მაინც?

— კარგი. მერე გეტყვი. ოღონდ...

— ოღონდ რა?

— არაფერი. ოღონდ...

— ოღონდ რა-მეთქი?

— რა და იცოდნე: დღეს არაფერი გაგიკვირდეს.

— რა არ უნდა გამიკვირდეს?!

— არაფერი. ახლა ეს მითხარი, გმია?

— ახლა არ ვივანხმეთ?!

— კარგი, გწყურია?

— არა.

— ძალიანაც კარგი. ახლა მოიხედე. — სალომე დაიხარა, ორივე ხელი თავზე წამავლო და ტურჩებზე მხურვალედ, ხანგრძლივად დამეკონა. მერე წელში გაიმართა, ხელები შემიშვა და თმა გაისწორა, — კიდევ რამე გინდა?

— რა უნდა მინდოდეს?!

— ჰოდა, არაფერი. რაც უნდა გინდოდეს, თეიმურაზ, მშვიდობით! — გატრიალდა, ოთახიდან გავიდა და კარი მოიხურა. ამის შემდეგ ჩემს ოთახში ფეხიც აღარ შემოუდგამს.

აბასთუმანში კიდევ ორიოდე კვირა დავყავი. სალომე აღარ მენახებოდა. ქალბატონ ელენეს კი რამდენჯერმე შევხვდი — ხან ქუჩაში, ხან მდინარის პირად. ქვებზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და მდინარის ჩხრიალს ყურს ვუვადებდით. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ისეთი ენაწყლიანობა იმ დღის შემდეგ ქალბატონ ელენეს ერთხელაც აღარ გამოუჩენია. უფრო მეტად სდუმდა ხოლმე და ჩემთან ყოფნა, ალბათ, იმიტომაც ესიამოვნებოდა, რომ დღემილს არ ვუშლიდი. დამშვიდობებისას ხელს ღიმილით გამომიწვდიდა ხოლმე და მერე ჩვეული სიღინჯით, ზვიადად თავაწეული გამშორდებოდა.

ორი კვირის შემდეგ თბილისიდან წერილი მივიღე — სასწრაფოდ ჩამოდიო. აგუბერის საგზური მოეხერხებინათ. იმ დღესვე ავიბარგე. სალომემ ქუჩამდე გამომაცილა. ცდილობდა, თავი შეეკავებინა, მაგრამ ფერწასული იყო. ლოყაზე უხერხულად ვაკოცე და ისე გავშორდი, რომ უკან აღარც მიმიხედავს. ცისფერ სახლს რომ გავუსწორდი, შევჩერდი და ჩემოდანი ძირს დავადგი. ქალბატონი ელენე არსად ჩანდა — არც ეზოში და არც ოთახებში. ავტობუსის გასვლამდე ბევრი აღარაფერი რჩებოდა. ვიფიქრე, უკანასკნელ წუთამდე დავიცდი და იმ ქალის უნახავი კი არ წავალ-მეთქი. ავტოსადგურამდე ერთი კილომეტრიც კი არ იქნებოდა და მალე მივიდოდი. არ მახსოვს, რამდენ ხანს ვიდუქი ქუჩაში, თაკარა მზის ქვეშ. მერე მოსახვევიდან სირენის ხმა მომესმა. იმავე წუთს ჩემსკენ მომავალი ლურჯი ავტობუსი დავინახე და მივხვდი, რომ ქალბატონ ელენეს ნახვა აღარ მეწერა.

ბადურ გალარჯიშვილი

თრიმლი

ფოთლოვანთაგან ერთიღა დარჩა —
წითელი თრიმლი ჭაბირობს ქარში,
ქარს გაჰყვა შემოდგომური ფარჩა —
ძალს არ გააგდებს პატრონი კარში.

ტყე შიშველია გომბორის მთებზე,
გზა მალე დაღმა წაიფერდება,

მწვერვლებს თეთრი ატყვიათ თმებზე —
სეზონი მიდის, ეამი ბერდება...

გზამ წამოიღო დაღმართი კისრით,
თავქვე დაეშენენ ჩუმად ხეები
და ისე წვება ხეებში ნისლი,
ვით ბაბილონის მდინარეები.

მხატვრის სახელოსნო

ტილო: ტბორზე თეთრი იხვი, ყავისფერი ლელქაში,
გვერდით ფოტო, ეურნალიდან: პლოცველები მექაში,
უფრო მარჯვნივ: პალიტრა და საღებავთა სალათა,
და ეუთხეში ატუხული, სევდიანი კარადა.

ცარიელი ჩარჩოები, რუხი ტილოს გორგალი,
ზეთის სუნი და ფერები: — აქ არიან ყველანი!
კვლავ კედელზე, ეურნალიდან: მომღიმარი მორგანი,
ლარნაკი და შიგ საკმაოდ გამომშრალი გერანი.

გამოცლილი ბოთლები და სიგარეტის ნამწვეები,
თაროს თავზე: უცნაური მოჩვენება გეიშის,
ჭრისტე ღმერთი და იუდა: საქმიანი გამცემი,
ეურნალები: „ნიეები“ და „ჯეოგრაფიკ, ნეიშენლ“...

ანთებელა „ვინტონი“, კონიაკი „გრემი“,
არა ამქვეყნიური სულიერი ძვრები,
ყვრიმალეების მასაჟი, თვალთა ფერი: კობალტი,
მოაწრებული პასაჟი და მტერიანი „პოპ არტი“,
სიგარეტი „მალბორო“ და სისტემა „სონი“,
სიურეალისტური ნიღაბი და ფონი...



მწვანე ტბორზე თეთრი იხვი, ყავისფერი ლელქაში,
 შუბლით მიწას დაბჯენიან მლოცველები შექაში.
 დაბრუნებული ყავის სუნი — საამოა არა და...
 როგორ საწყლად ატუზულა სევდიანი კარადა.
 კარადაში წიგნებია: კანტი, ვივეკანანდა...
 ერთგან მზერამ, მგონი რაღაც დედექტივიც დალანდა.

ბარსონ!...

სისხლის წვიმების დროც გვახსოვს ადრე
 და ალბათ წარღვნის წვიმაც მოწვიმდა...
 კათოლიკეებს მოძღვრავდა პადრე,
 ხოლო ქართველი გორდას კოცნიდა.

დინჯიც სილაღეს აქ ვერ იოცებს —
 თავისუფლებავ!.. დიდება შენდა...
 სიბრძნეს ანდობდა გურუ იოცებს,
 ხოლო ქართველი პოემას წერდა.

ფეფუნებაა ოჯახის ყოლა —
 თურმე აკვანი სისხლში ცურავდა...
 მინარეთიდან კიოდა მოლა,
 ხოლო ქართველი ღვინოს წურავდა.

რა საჭიროა ყალბი განცდები —
 ბუნებას წესი ხალისად ახსოვს
 და შერვაშიძემ, — თუ კი არ ვცდები —
 მილიონიც კი აჩუქა გარსონს.

ხიდი

რაღაც არ ყოფნის რომ იყოს დიდი,
 პატარა ხევზე გადგმული ხიდი —
 იქნება ეკვი, ჩუმი და ფლიდი,
 იქნება ბედის სიქაჩლის რიდი...
 წუხელ, მთელი ღამ ბანქოსა ვშლიდი.

იყო მაგია უკუნის ბალის
 უფრო იდუმალ კუნჭულთა ნახვის
 და მუდამ ძებნა ვინ იცის რად ღირს —
 სიმჩატე თრობის, სიმძიმე კათხის...
 ვერ მოვრჩი წუხელ ბანქოსთან ჯახირს.

რატომღაც უნდა რომ მეტი ნახოს —
 აქ ყოფნის ძაფი არ ყოფნის მაქოს,
 თუმც ვერ ახერხებს თანაბრად დაყოს:
 ამაგოს ცული, საჭები აქოს...
 ჩაეჩერებოდი წუხელის ბანქოს.

უხილველს გრძნობდა ათივე თითი,
 ვფროთხილობდი, რადგან ვიყავი მშვიდი.
 წუხელის თითქოს ვიხდიდი სახადს:
 რომ იყოს რამე, არ ყოფნის რაღაც...

მთელი ღამ, წუხელ, ბანქოსა ვშლიდი,
 ჩაეჩერებოდი მთელი ღამ ქალაღს.



უილიამ ფოლკნერი

მოზვირიკუდას სურნელი

მოთხრობა

ის-ის იყო ვახშმის შემდეგ ჩემს ოთახში ავედი, მაგიდას მივუჭექე, ლამა ავან-თე, კოკის წიგნი გადავშალე, და დერეფანში პროფესორ უილიკინსის ფეხის ხმაც გაისმა, მერე, ერთი წამით, ეტყო-ბა, როცა უკვე კართან მოვიდა და სა-ხელურს ჩაავლო ხელი, სიჩუმე ჩამო-ვარდა, და აი მაშინ კი, ყველაფერს უნდა მივმხედარიყავი. ხალხს სულ წი-ნათგანობა აკერია პირზე, მაგრამ მე, არაკითარი წინათგანობა არ გამჩენია. კარგად მესმოდა, როგორ ამოათავა კი-ბე, როგორ გამოიარა დერეფანი, და მაინც, მისმა ფეხის ხმამ არაფერი მამ-ცნო, არაფერი მანიშნა, ალბათ იმიტო-მაც, არასოდეს რომ არ შემოსულა ჩემ-თან დაუკაქუნებლად, ისევე, როგორც მე არ შევსულვარ დაუკაქუნებლად არც მისი და არც მისი ცოლის ოთახში, თუ-მცა, უკვე მესამე წელი იყო, რაც მათ ჰერქვეშ ვცხოვრობდი და ორივენი, შინაურულად, ბაიარდს მესახდნენ. უც-ბად შემოგლიჯა კარი, გააფთრებით, თითქოს, დიდი ყოყმანის შემდეგ, მა-ინც მიაფურთხა, მაინც შეაქცია ზურგი ყველაფერ იმას, რასაც, ავერ უკვე ამ-დენი ხნის მანძილზე, თავის მოწაფეებს უნერგავდა. იდგა მოფრიალებულ კა-რებში და ერთსა და იმავეს იმეორებ-და: შვილო, ბაიარდ, ჩემო საყვარელო შვილო ბაიარდო.

ნამდვილად წინასწარ უნდა მცოდნო-და, მზად უნდა ვყოფილიყავი; ან, იქ-ნებ, ვიყავი კიდეც მზად, რადგან, მახ-სოვს, სანამ წამოვდგებოდი, ფრთხი-ლად დაეხურე წიგნი და გვერდიც კი დავეინშნე. ის (პროფესორი უილიკინსი) ოთახში დაფუსფუსებდა, ფაციფუცობ-და; მერე, ქუდი და ლაბადა მომაწოდა, მეც ჩამოვართვი და თუმცა ლაბადა არაფერში მჭირდებოდა, უკვე მაშინ ვფიქრობდი (ოქტომბერი იდგა, ოლონდ, დღე და ღამე ჯერ არ გაათანაბრებული-ყო), იქამდე ავრილდებო, იქამდე დაიწ-ყება წვიმები, ვიდრე ამ ოთახს ევლავ დაეუბრუნდები და, იმიტომ, ლაბადაც აქეთობისას გამომადგება-მეთქი გზაში; რა თქმა უნდა, თუკი როდისმე დავბ-რუნდებოდი. თან იმასაც ვფიქრობდი, ლმერთო, ნეტავი ახლა გუშინდელი დღე იყოს-მეთქი, ნეტავი გუშინ შემო-ეგლიჯა-მეთქი ეს კარი, ასე, გაუფრთ-ხილებლად, დაუკაქუნებლად, რათა მა-ნამდგე ჩამესწრო, მანამდგე ჩავსულიყავი იქ, ვიდრე მოსახდენი მოხდებოდა, მის გვერდით მაინც ვიქნებოდი, საცა არ უნდა ყოფილიყო, საცა არ უნდა მდგა-რიყო, საცა არ უნდა წაქცეულიყო — მტვერსა თუ ტალახში.

ბიჭი ჰქვეით, სამზარეულოში გელო-დებო, მოთხრა პროფესორმა უილიკინ-სმა. რამდენიმე წლის მერედა გავიგე

(მგონი, ისევე პროფესორ უილიანის-გან), როგორ მიუღდა რინგოს გვერდზე მზარეული, როგორ შემოჭრილა სახლში, როგორ დაუღერებია თავი პირდაპირ ბიბლიოთეკისაკენ, სადაც პროფესორი უილიანისი და მისი მეუღლე მსხდარან, როგორ მიუხლია მათთვის თავისი სათქმელი, ყოველგვარი შესავლის გარეშე, და როგორ გამობრუნებულა მანინათვე უკან: „ამ დილით პოლკოვნიკი სარტორისი მოკლეს. უთხარით, სამზარეულოში გელოდებათო“. პასუხისთვისაც არ დაუცდია, ისე გასულა ოთახიდან. „ორმოცი მილი გამოიარა ჭენებით და ლუქმაც არ ჩაიღო პირშიო“. უკვე კარისაკენ მივიდოდით, იმ კარისაკენ, რომლის მიღმაც სამი წელი გავატარე და მთელი ეს წლები, თურმე, სულ ამ დღეს ველოდი, ამაში უკვე ეჭვიც აღარ შეპარებოდა, თუმცა, როცა მოახლოებული ნაბიჯების ხმა მომესმა, ამ ხმამ მაინც არაფერი მანიშნა. „მე ხომ ვერ დაგეხმარები რამეთითო?“

„რა ვიცი-მეთქი; აი, ჩემი ბიჭისთვის დასვენებულ ცხენს რომ მომცემდეთ... ხომ იცით, ისიც უსათუოდ თან გამომყვება-მეთქი“.

„ღმერთო ჩემო, აბა ეგ რა სალაპარაკოა, ჩემი ცხენი წაიყვანეთ, თუნდაც მისი უილიანისაო“, მგზნებარედ შესაძახა პროფესორმა. ხმას კი აღწია, მაგრამ ტონი არ შეუცვლია და მომჩვენა, ერთდროულად რომ მივხვდით ორივენი, რა სასაცილო იყო მისი ნათქვამი — მისი უილიანისი ფაშატი, მოწულ ფაეტონში რომ შეაბამდნენ ხოლმე, ზედგამოჭრილი მუსიკის შინაბერა მასწავლებელი გახლდათ — თუმცა, მისმა სიტყვებმა მაინც რაღაც შეება მომგვარა, გამომაფხიზლა, თითქოს ცივი წყალი გადაამახსოვო.

„თუმცა არა, გმადლობთ-მეთქი — ვუთხარი — თქვენ აღარ შეგაწუხებთ-მეთქი. მაინც თავლაში უნდა შევიარო ჩემი ფაშატის წამოსაყვანად და ბარემ იქვე ვიჭირავებ-მეთქი ცხენს“. არადა, მართლა წამალივით მომიხდა მისი ნათქვამი, მართლა გამომაფხიზლა, რადგან, ჯერ სიტყვაც არ დამემთავრებინა

და უკვე ვიცოდი. ეაც არ დამჭირებოდა, რინგო გზადვე გამოვიღრდებოდა ლაში და უჩემოდაც მშენებლობა ვარებდა ყველაფერს. ახლა, იმისი დასვენებული ცხენიცა და ჩემი ფაშატიც უკვე შეკაზმულები იდგებოდნენ მესერთან და ოქსფორდზე გავლა საერთოდ აღარც მოგვიწევდა. ჩემთვის ლუქს რომ ჩამოეკითხა, ის ამდენს ვერ მოიფიქრებდა, მომადგებოდა კოლეჯში, იტყოდა სათქმელს და მერე მე შემომამკერდებოდა ხელეხში; აი რინგო კი, სულ სხვა ბიჭი იყო.

ოთახიდან გამოვედი, პროფესორი უილიანისიც ფეხდაფეხ გამომყვა. ამ წუთიდან მოყოლებული, ვიდრე მე და რინგო თავს მივცემდით ცხელ, მჭისე, მტერიან სიბნელეს, მოუთმენლად, დაძაბულად რომ ელოდა დაგვიანებულ ბუნობას, სწორედ ისე, მშობიარე, გატანჯული ქალი რომ ელის უსასრულო, გაუთავებელი ტკივილისაგან განთავისუფლებას — არ მომცილებია, სადღაც ჩემს გვერდით თუ ჩემს ზურგსუკან ტრიალებდა, ზუსტად ვერც დავადგინე — სად, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც მაინტერესებდა. ძალიან გულით უნდოდა თავისი დამბაზა შემოეთავაზებინა, ოღონდ, ვერაფრით ახერხებდა საჭირო სიტყვების პოვნას. თითქოს მესმოდა კიდევ მისი ხმა: „ტანჯული, უბედური ჩვენი მიწა, ათი წელიც არ გასულა, რაც ციებ-ცხელებას თავი დააღწია, ჩვენ კი, ისევე ძველებურად ვხოცავთ და ვკლვით ერთიმეორეს, ვერა და ვერ ამოვსულვართ კანისი ვალიდანო“. თუმცა, სინამდვილეში, მსგავსიც არაფერი უთქვამს. უბრალოდ კულში მომდევნა, იქნებ გვერდშიც, კიბეზეც და მერეც, ქვევით, დარბაზში, სადაც, ჭალის ქვეშ, მისი უილიანისი იდგა და გვიცილიდა — კაფანდარა, ჭალარა ქალი, საოცრად რომ მაგონებდა დიდდღაჩემს, არა გარეგნული მსგავსების გამო, არამედ იმიტომ, პირადად რომ იცნობდა მას — „ეინც მახვილს აღილებს, მახვილითვე განიგვირებაო“ ამბობდა მისი დაძაბული, გაქვავებული სახე, სწორედ ასე იტყოდა ალბათ დიდდღაც. მეც პირდა-

პირ ამ სახისავენ გავემართე. სხვა გზა არცა მქონდა, ამას მარტო დიდდინაჩემის შევიღოვილობა არ მავალდებულებდა, არც ის, უკვე სამი წელი რომ გამეტარებინა მის ჰერქვეშ და არც ის, თითქმის მისი ვაჟის კბილა რომ ვიყავი, ლამის უკანასკნელ ბროშოლაში რომ მოუტყლეს ამ ცხრა წლის წინათ — მე ახლა ჰემშარბიტი, სრულუფლებიანი სარტორისიცი გახლდით (სარტორისი: როცა პროფესორმა უილიანსმა ხმაურით შემოგლიჯა კარი და გაიფიქრე, მაინც მოხდა-მეთქი მოსახდენი, ამ აზრმაც მაშინათვე გამიელმა თავში). დამბაჩა და ცხენი არ შემოუთავაზებია, იმიტომ კი არა, პროფესორ უილიანსზე ნაცლებად რომ ვუყვარდი. უბრალოდ, ქალი იყო და თუნდაც ამიტომ, ნებისმიერ მამაკაცზე უფრო ბრძენი — განა კაცები არ იყვნენ, მთელი ორი წელი უაზროდ რომ ღვარეს სისხლი, თუმცა, ომი წაგებულ ჰქონდათ და ეს ამბავი თვითონაც მშვენივრად იცოდნენ. მხრებზე ხელები ჩამომაწყო (გალეულმა, დიდდინაჩემით კაფანდარა ქალმა) და მითხრა: დიდი სიყვარულით მომიკითხე დრუზი-ლაცა და მამიდაშენი ჩენიყო. აბა შენ იცი, როგორც მოახერხო, მაშინათვე დაგვიბრუნდიო.

„ეპ, რა ვიცი ეგ როდის იქნება-მეთქი“, — ვუთხარი მე. — „ათასი საქმე მექნება-მეთქი ალბათ მოსაგვარებელი“. ჰო, ისიც კი მოვატყუე: შემოგლიჯა თუ არა პროფესორმა უილიანსმა ჩემი ოთახის კარი, მაშინათვე ვირწმუნე იმის გარდუვალობა, რასაც ჯერ ბოლომდე არც ჩავწვდენოდი, ჯერ ხეირიანად არც გამეზომა და არც ამეწონა, თუმცა, უკვე მარტო ფიქრიც კი, მიუხედავად ჩემი ხასიათისა, აღზრდისა და წარსულისა (ან, იქნებ, სწორედ მათ გამოც), დიდი ხანია მტანჯავდა და მაშინებდა კიდევ: მახსოვს, როგორ ვფიქრობდი, როცა მხრებზე მისის უილიანსის ხელები მეწყო: ბოლოს და ბოლოს, გამოვციდი-მეთქი საკუთარ თავს, ვნახავ, მართლა ისა ვარ, რაცა მგონია, თუ არა მეთქი; მოვახერხებ იმის გაკეთებას, რაც სწორად მიმაჩნია, თუ სურვილი

მხოლოდ სურვილად დარჩება-მეთქი.

მერე ამზარეულოში გავიღვიძე, მარტო-ფეხური უილიანსი იხვე კედელში თუ გვერდში მომდევდა და ისევ ცდილობდა, როგორმე დამბაჩა და ცხენი შემოეთავაზებინა ჩემთვის. რინგო მელოდებოდა; მახსოვს, მის დანახვაზე როგორ გამიელვა თავში — ჩვენ ორს რაც არ უნდა შეგვემთხვევა, მისთვის მაინც არასოდეს ვიქცევი-მეთქი სარტორისად, მაშინ რინგოც ოცდაოთხისა იყო, თუმცა იმ დღის მერე, როცა გრამმის გვამი მიტოვებული ფარდელის კარს მივაჯვედეთ, ის უფრო ნაცლებად გამოიკვალა, ვიდრე მე. იქნებ იმიტომ, ძალიან რომ შეიცვალა, ძალიან რომ გამისწრო იმ ზაფხულს, როცა ისა და დიდდა იანკებთან ჯორებით ვაპრობდნენ და მას შემდეგ, უკვე სულ მე მიხდებოდა ზრდა, გარდაქმნა, შეცვლა, რათა როგორმე დავწეოდი. გაციებულ ლუმელთან იჯდა, მობუზული, ხმაგაყმენდილი, ამხელა გზით დაქანცული (ჯეფერსონში, ანდა მერე, როცა, ბოლოს და ბოლოს, მარტო დარჩა, სადღაც, გზაზე, წაიტირა: ცრემლის ნაკვალევი ტალახის ზოლებად მიხმობოდა სახეზე), თუმცა ხელმეორედ ისე გამოიარა კიდევ ორმოცი მილი, ლუკმა არ ჩაუღია პირში: იჯდა და დაღლილობისგან ჩაწითლებული თვალებით ამომცქეროდა (ან, იქნებ, მარტო დაღლილობისგან არა? იქნებ ველარასოდეს გავუგებდი, ველარასოდეს დავეწეოდი?) მერე უსიტყვოდ წამოვდა, კარისაკენ წავიდა და მეც მივყვივი: პროფესორი უილიანსი ისევ ცხენსა და დამბაჩას მთავაზობდა, თუმცა, არც ერთს ახსენებდა და არც მეორეს, თან განუწყვეტლოვ ფიქრობდა (ტანით ვგრძნობდი) — მახვილითვე განიგმირება... მახვილითვე განიგმირებაო...

კიშკართან ორი ცხენი გვიციდდა, ანეც ვიცოდი — ერთი, დასვენებული, რინგოსი იყო, მეორე კიდევ — ჩემი ფაშატი, სამი წლის წინ რომ მაჩუქა მამამ: ჩემს ფაშატს ორ წუთში ერთი მილის გარბენა შეეძლო, მერე კი, მთელი დღე, ყოველ რვა წუთში თითო. მილს ფარავდა. რინგო უკვე ცხენზე იჯდა,

როცა მიეხვდი, პროფესორ უილინის ჩემთვის ხელის ჩამორთმევა რომ უნდოდა. ხელი გაუწოდე; ვიცოდი, დარწმუნებული იყო, უკანასკნელად მართმევედა ხელს და ერთი პირობა ვიფიქრე კიდევ, ყველაფერში ხომ არ გამოვუტყდე, ხომ არ ვუთხრა, რასაც ვაპირებმეთქი — აკი ბევრჯერ გვისაუბრია, ბევრჯერ გეითქვამს, უკვდავებისთვის გამორჩეულ უფლის ბრმა და დაბნეულ ფარას თუკი საერთოდ აიძვდებს და ანუგეშებს რამე საღმრთო წერილიდან, არა კაც ჰკლა აიძვდებს და ანუგეშებს მხოლოდო; იქნებ პროფესორს სჯეროდა კიდევ, მან რომ მასწავლა ეს, მან რომ ჩამიწერა, მაგრამ არა, არც იმასა და არც ეინმეს სხვას არ უსწავლებია, არც ჩემით მისწავლია, რადგან ამისი ცოდნა, სწავლით არ მოიპოვება. მეც აღარაფერი ვუთხარი, თან, მეტისმეტად ხანდაზმულიც იყო ამგვარი გამოცდისათვის, ალბათ, ვერც ვერაფრით შეურიგდებოდა ჩემს გადაწყვეტილებას; ასე ერთბაშად ვერ უარყოფდა სისხლს, აღზრდას, წარსულს, ვერც მე მივახლიდი ჩემს სათქმელს 'გაუფრთხილებლად, ყაჩაღივით ვერ დავეცემოდი თავს; ასეთ აზრთან შერიგება და შეგუება, ალბათ მარტო ახალგაზრდებს ძალუბთ, იმათ, ვისი ასაკიც თავისთავად შეიძლება იქცეს სიმხდალის მიზეზად (ოღონდ, არა გამართლებად).

მოკლედ, არაფერი ვუთხარი, ხელი ჩამოვართვი მხოლოდ, მეც ცხენზე შევკეტი და გზა გაუღდექით. ოქსფორდზე აღარ უნდა გაგვევლო და მალე (ცაზე უკვე ნამგალა მთვარე ეკიდა, სველ ჰკიშზე ქუსლის ანაბეჭდაა ჰვადა) ჰეფერსონისკენ მიმავალ გზაზე გავედით; პირველად ამ სამი წლის წინ გამოვიარე ეს გზა, მამაჩემთან ერთად, მერე კი, ყოველ სემესტრში ორ-ორჯერ დავადგებოდი ხოლმე — საშობაოდ, ივნისსა და სექტემბერში, იქეთ და აქეთ, თუმცა უკვე მარტო, უმამაჩემოდ, და ვერც კი ვხვდებოდი, სწორედ ეს რომ იყო სულია სიმშვიდე; ახლა კი, იქნებ უკანასკნელადაც ვადექი ამ გზას; არა, სიკვდილით არ მოვკვდებოდი (ეს ვიცოდი),

მაგრამ ქვეყნისათვის კი შეიძლებოდა ველარასოდეს გამესწორებინე, თუ ვინც ვიყო. ცხენებმა ქანი აღტყველეს და გაიარეს ორმოცი მილი, ნაბიჯი აღარც შეუწუნებიათ. ჩემმა ფაშატმა ეს გრძელი გზა ზეპირად იცოდა. რინგოსაც კარგი ცხენი დაეტყუებოდა თავლაში პილარდისათვის. შეიძლება ცრემლებმაც გასჭრა, დაქანცული, ჩაწითლებული თვალების ქვეშ მიმხმარმა მტკერმაც, მაგრამ უფრო ისა მგონია, თავისი ძველი უნარი გამოიყენა, აი ის, რომლის წყალობითაც, ომის დროს, დიდდაჩემს გამოუღეველადა ჰქონდა ჩრდილოელთა არმიის ბეჭდიანი ქალაღები; რალაც თავხედურად თვითდაჯერებული იყო, ალბათ, თეთრკანიანებთან ხანგრძლივი და ახლო ურთიერთობის გამო, იმ თეთრკანიანებთან. რომელთაგანაც ერთ-ერთს, ისიც დიდდას ეძახდა, მეორის გვერდით კი, ლამის გაჩენის დღიდან ეძინა, იქამდე, ვიდრე მამაჩემმა სახლი არ გადააქეთა. გზაში მარტო ერთხელ გამოველაპარაკეთ ურთმანეთს:

„გრამბივით მოვეუგრიხოთ იმასაც კისერი, თუ ახლა ეგ არ ივარგებსო?“ — მკითხა რინგომ.

„არ ივარგებს-მეთქი“ — ვუთხარი და ისევ უხმოდ გავაჰენეთ ცხენები. ოქტომბერი იდგა; მოზერნიკულა ჯერ ისევ ყვაოდა, თუმცა მოზერნიკულა შინ მისვლამდე არცეი გამხსენებია; ისევ ყვაოდა, ჯერ ისევ აფრქვევდა სურნელს ჩვენი ბაღიდან, სადაც მამიდაჩემი ჩენი (მამაჩემის კავალერისტული ხელთათმანები ეცვა) ბებერ ჯობთან ერთად დაფუსფუსებდა სათუთად მოვლოლ, ნაპატიებ ბუჩქებს შორის, საამური, სურნელოვანი ძველთაძველი სახელწოდებებით გარშემორტყმული, რადგან, მართალია, ოქტომბერი კი იდგა, წვიმები ჯერაც არ დაწყებულეყო, ჯერ მოყინვითაც არ მოეყინა და არც გვიანი ზაფხულის თბილი და თან ერთდროულად გრილი ღამეები დამდგარიყო, როცა მთვლემარე, კრიალა ჰაერი ბატების მოლოდინში გალურსულა, თუმცა, ჯერ ისევ თენთავს ძველი, ცხელი, მტკრიანი სურნელი ყურძინსა და დაფნისა — ადრე, ბავშვობაში, ვი-

დრე კოლეჯში სამართლის შესასწავლად გავემგზავრებოდი, ასეთ ღამეებში მე და რინგო ავიღებდით ხოლმე ფარანს, ცულს, ტომარას, წაიყვანდით ექვს ძალს (ერთი კვალზე მისაშვებად გვჭირდებოდა, დანარჩენი ხუთი — ისე, ხმაურისათვის, მუსიკისთვის) და ოპონუმებზე ვნადირობდით იმ ველზე, სადაც, ოდესღაც, ჩვენს სიცოცხლეში პირველი იანკი ვიხილეთ, ბრწყინვალე რაშზე ამხედრებული; სწორედ იმ ველზე, სადაც ახლა, აგერ უკვე მთელი წელია, მატარებლების კვილი ისმის, მატარებლები დიდი ხანია რაც მისტერ რედმონდს აღარ ეკუთვნიან, დილით კი, რომელიღაც წამს, მამაჩემსაც გაუსხლტდნენ ხელიდან, ჩიბუხისვით: რინგომ მითხრა, ჩიბუხს აბოლებდა და დაცემისას ჩიბუხი ხელიდან გაუვარდაო. ისევ გზას ვადექით, სახლისაკენ მიმავალ გზას, სადაც ახლა ის იწვია შუა დარბაზში, სამხედრო ფორმის გამოწყობილი (ხმალშებშული), და სადაც, ალიც-ლიცებული ქსლების ქვეშ, დრუზილა მელიოდებოდა; ყვითელი სამეჯლისო კაბა ეცვა, თმაში მოზეროკუდას რტო ჩამეგრებინა; ხელში ორი დამბაჩა ეჭირა, იღგა და მელიოდებოდა (ამ სურათს ნათლად ვხედავდი, მე, ვისაც არავითარი წინათგრანობა არა მქონია; ვხედავდი, ოვგორ იღგა ამ დღისათვის საგანგებოდ შორთულ, საგანგებოდ გაჩახჩახებულ ოთახში, არც იგი მაღალი, თხელი, ბიჭივით კაფანდარა, უძრავი, ყვითელკაბიანი, მშვიდი, თითქმის სრულიად გამოთიშული, სადად თმადგარცხნილი; ორივე ყურს ზემოთ, თმაში ჩამეგრებულ მოზეროკუდას რტო მოუჩანს, ხელები იდაყვებში მოუხრია, ხელის მტევნები მხრების სიმაღლეზე აუწევია და ხელისგულებზე ერთნაირი, დუღილი და მბაჩები დაუწყვია, კი არ ჩაუბლუჯავს, მსუბუქად უწყვია — ბერძნულ ამფორაზე დახატულ ქლოუმსა ჰგავს, გარდაუვალი და სამართლიანი შერისაგების ქურუმს).

2.

მაგას თავიარ ოცნება აქვსო — მითხრა დრუზილამ. ოცი წლისა ვიყავი მა-

შინ; იმ ზაფხულს, საღამომობით, მე და დრუზილა ხშირად ვესვირინებდით. ზოლმე ბაღში, რკინიგზიდან მამაჩემის დაბრუნებას ველოდით. მხოლოდ ოცისა ვიყავი, მამაჩემის რჩევით სამართლის ფაკულტეტზე ვაპირებდი შესვლას; ხოლო იმ ზაფხულის იმ დღის მერე, როცა მამამ და დრუზილამ მოხუცი ქეშ ბენბოუ შერიფად არ აარჩევინეს და შინ ისევ ჯვარდაუწერელი დაბრუნდნენ, უკვე ოთხი წელი გასულიყო; მაშინ, ოთხი წლის წინათ, მისის ჰაბერშემმა ორივენი ძალისძალად ჩასხა თავის ეტლში, ისევ უკან, ქალაქში ჩაიყვანა, თავისი ქმარი ახალი ბანკის პატარა, ჩამამებული ოთახიდან გამოათრია, იძულებით მოაწერინა ხელი მამაჩემის განთავისუფლების ქალაღდზე (მამაჩემს ორი ჩრდილოელი ავანტიურისტის მოკვლა ედებოდა ბრალად), თვითონვე მიიყვანა მამა და დრუზილა მღვდელთან და იქამდე არ მოსცილდა, ვიდრე საკუთარი თვალით არ დარწმუნდა, ჯარი მართლა დაიწერესო. მერე მამამ ახალი სახლიც ააშენა, ჩვენს გადარუჯულ ეზოში, ძველ საძირკველზე, ჩვენი ძველი, დამწვარი სახლის ადგილას, ოღონდ უფრო დიდი, გაცილებით უფრო დიდი; დრუზილა ამბობდა, უსახლოდ მისი ოცნებაც ისევე წარმოუდგენელია, როგორც პატარძლის ოცნება უმზითვოდ და უქორწილოდო. მალე მამიდა ჯენიც ჩვენსა გადმოსახლდა და უკვე დრუზილაათვის ბაღს გაშენებაც შეგვეძლო (თვითონ, მამაჩემის არ იყოს, ყვავილების მოვლით თავს არ შეიწუხებდა. ეგ კი არა, მერეც, ყველაფრის დამთავრებიდან ოთხი წლის შემდეგაც, თითქოს ისევ მაშინდელი ცხოვრებით ცხოვრობდა, თითქოს ისევ მაშინდელ ჰაერს სუნთქავდა, როცა ვაჟურად გამოწყობილი და ვაჟურად თმაგარეჭილი, მამაჩემის დანარჩენი წევრებისაგან განურჩეველი და განუყოფელი, შერძანის არმიის ცხვირწინ დააგვლებდა ცხენს ჯორჯიასა და ორთავე კაროლინაში), რათა მოზეროკუდას რტოები დაემტვრია და თმაში ჩამეგრებინა, თვითონ ამბობდა — მოზეროკუდა ერთადერთი



ყვავილია, რომლის სურნელიც ცხენებისა და სიამაყის სუნს ახშობს და ამიტომაც მხოლოდ და მხოლოდ მისი ტარება ღირსო. მაშინ რკინიგზის მშენებლობაც ახალი დაწყებული იყო, მამაჩემი და მისტერ რედმონდიც ძველებურად არა მარტო პარტნიორებად რჩებოდნენ, მეგობრობდნენ კიდევ, რაც, ჯორჯ უიატს თუ დავუჯერებთ, მართლაც გასაკვირი იყო მამაჩემისაგან. დილაუთენია გადიოდა ხოლმე შინიდან იუპიტერზე ამხედრებული, მერე მთელი დღე აღმა-დაღმა დაუყვებოდა რკინიგზის დაუმთავრებელ ხაზს, უნაგირზე ოქროთი სავესე ორი ჩანთა ეკიდა — პარასკევს რომ ესესხა სადღაც, რათა შაბათს მუშებთან ანგარიში გაესწორებინა; მაჰიდაჩემი ჭენი ამბობდა მამაჩემზე, ადრე თუ გვიან, უეჭველად შერიფის ლეკმა გახდებოდა. მოკლედ, საღამოს ბინდბუნდში დავესირობდით, ნელა დავდიოდით მამიდა ჭენის ყვავილებს შორის, დრუზილა (ახლა უკვე კაბა ეცვა, თუმცა მამაჩემს რომ არ დაეშალა, ალბათ არასოდეს გაიხდიდა შარვალს) მსუბუქად მეყრდნობოდა მკლავზე და მოზერიკუდას სურნელით მამბრუებდა, მახსოვს, ასე გამამბრუა იმ ღამეს წვიმის სურნელმაც, მამაჩემსა და დრუზილას რომ შემოჰყვით შინ, ოთხი წლის წინათ, როცა მამამ, დრუზილამ და ძია ბაკ მაკვასლინმა გრამში იპოვეს, მერე შინისაკენ გამოიცივდნენ და მე და რინგოს მძინარეებს დაგვადგნენ თავზე, თუმცა არა, მძინარეებს კი არა, იმ თავდავიწყებაში შეყუყულებს, რომელიც ღმერთმა, ბუნებამ თუ რა ვიცი, ვინ — დროებით გვაჩუქა, დროებით გვიწყალობა მე და რინგოს, ვინც გაცილებით იმაზე მეტი ვიტვირთეთ, ვიდრე ბავშვს მოეთხოვებოდა, რადგანაც, ბოლოს და ბოლოს, მკვლევლობისთვისაც უნდა არსებობდეს რაღაც მიჯნა, რაღაც ზღვარი. წინა შაბათს გვიან დაბრუნდა შინ, დავინახე, როგორ გაჟმინდა და როგორ დატენა ხელახლა თავისი დერინჯერი. მერელა გავიგეთ, მოკლული თურმე ჩვენთან ახლოს, გორაკზე ცხოვრობდა, ლამის მეზობელი იყო ჩვენი

და იმ ქვეითი პოლკის ყოფილი ჯარისკაცი, მამაჩემი მეთაურობიდან რომ გადაირჩია; ჩვენთვის სამუდამოდ საიდუმლოდ დარჩა, მართლა აპირებდა ის კაცი მამაჩემის გაძარცვას თუ არა, რადგან მამას იმწამსვე უსვრია, ოღონდ ის კი შევიტყვეთ, იმ კაცს ზემოთ, გორაკზე, მიწურში ცოლ-შვილი რომ დარჩენია. იმის ცოლ-შვილს მამაჩემმა მეორე დღეს ფული გაუგზავნა, ის კი (მოკლულის ცოლი) ორი დღის მერე მოვიდა ჩვენსა, სწორედ მაშინ, როცა ყველანი სადილად ვუსხედით მაგიდას და ფული ცხვირ-პირში შეაყარა მამაჩემს.

„ოცნება თუ აქვს ვინმეს, პოლკოვნიკ სატპენსა აქვს-მეთქი“ — ვთქვი მე. სატპენი მამაჩემის მოადგილე იყო ქვეითთა პირველ პოლკში და როცა პოლკმა მამაჩემი გადაირჩია, მეთაურად სწორედ ის დანიშნეს. მამაჩემმაც სატპენს ვერ აპატია ეს ამბავი ვერასდროს, სატპენს და არა პოლკს. ერთი უხიაგი, გულბრძო და დაუნდობელი კაცი იყო ეს სატპენი, ჩვენს მხარეში ომის დაწყებამდე ოცდაათიოდე წლით ადრე გამოჩენილიყო, არავინ უწყობდა — საიდან; მამაჩემი ამბობდა, სახეზე აწერია, არასოდეს რომ არ გამოტყდებოდა თავის სადაურობაშიო. მერე მიწაც ჩაუგდია ხელში, კაცმა არ იცოდა, როგორ და რა გზით, ფულიც უშოვნია — მამა ამბობდა, ნაღდად გემებს ძარცვავდო — ან თაღლითობდა, ანდა, ოქნებ, არც ყაჩაღობას თაქილობდო; მერე დიდი სახელიც აუშენებია, დაქორწინებულა და ჭენტლმენივით დაუწყია ცხოვრება. ომში იმანაც სხვებივით ყველაფერი დაკარგა, გვარის გაგრძელების იმედიც კი (იმისმა ვაჟმა ზედ ჭვარისწყირის წინ მოუტლა თავის დას საქმრო და უკვალოდ გადაიკარგა), თუმცა, ხეირიანად არც იყო შინ დაბრუნებული და მარტოდმარტო შეუდგა გაჩანაგებული პლანტაციის აღდგენას. უკვე სამოც წელს იყო გადაცილებული, ხელისგამმართველი იმას არა ჰყავდა, მეგობარი და მეშვეილდრე, მაგრამ, მაინც ჭიუტად აგრძელებდა თავისას: ცდილობდა, ყველაფრისთვის უწინდებური სახე დაებ-

რუნებიან; იმდენად იყო საზრუნავში ჩაფლული, ამბობდნენ, პოლიტიკა და ეგეთი ამბები, სულ ფეხებზე ჰყდიან; მერე, როცა მამაჩემმა და სხვებმა ლამის გუშაგების რაზმი შეკრიბეს, აი, ჩრდილოელი ავანტიურისტების დასაფრენად, ჩვენში ჩამოხეტებულები ზანგებს რომ აჩანებდნენ და წყალს ამღვრევდნენ — იმასაც შესთავაზეს, შემოგვიერთდით, მაგრამ სატპენმა თავი შორს დაიჭირა; მამაჩემს სატპენთან გასაყოფი აღარაფერი ჰქონდა, ლამის ზიზლიც კი გაუქრა იმისა და თვითონვე მიაკითხა სალაპარაკოდ. ის (სატპენი) პარმალზე გამოსულა, ხელში ლამპა აქერია, არც უფიქრია, მამაჩემი შინ შეეპატივნა, წყნარად რომ დამსხდარიყვნენ და ისე აეწონ-დაეწონათ ყველაფერი. მამას უკითხავს, ჩვენსკენა ხარ, თუ ჩვენს წინააღმდეგო? „მე ჩემი მიწისკენა ვარ და ყველამ მე რომ მომბახოს, იქნება ჩვენს ქვეყანას რალაცა მაინც ეშველოსო“ — უთქვამს იმას. მაშინ მამაჩემს შეუთავაზებია, ეგ ლამპა კუნზე დავდგათ, ორივეს რომ გვიანთებდეს, ისეო, და ჩვენი საქმეც ტყვიამ გადაწყვიტოსო, მაგრამ, სატპენს ამაზედაც უარი უთქვამს. „აი, იმასი აქვს ოცნება, თუ აქვს-მეთქი“.

„ჰო, ოღონდ იმისი ოცნება მარტო-ოდენ იმასვე დასტრიალებს თავს, ჯონი კი სულ სხვაა. ჯონი მთელ ამ ქვეყანაზე ფიქრობა, ცდილობს როგორმე ამოათრიოს ჭაობიდან, თანაც, მხოლოდ თავისნაირები კი არა, ყველანი — თავისი ძველი თანამებრძოლებიც, ზანგებიც, თეთრკანიანებიც, ქალებიცა და ბავშვებიც, აი, მთებში რომ ცხოვრობენ და ფეხშიშველები დატანტალებენ... როგორ არ გესმის?“

„მესმის, მშვენიერად მესმის, ოღონდ რა ხეირს დააყრით იმისი ოცნება, თუკი ისინი... როცა იმან...“

„ხალხი დახოცა, არა? შენ ალბათ იმ ორ ჩრდილოელსაც გულისხმობ, პირველი არჩევნების დროს რომ მოკლა?“

„ისინიც ადამიანები იყვნენ, ცოცხალი ადამიანები“.

„ისინი ჩრდილოელები იყვნენ, უც-

ხოები. მოთრეულები... შეკრებილები“.

ისევ ვაეირნობდით, ისევ ოდნავ შეყრდნობოდა მკლავზე, მხარამდნეულად მწედებოდა. რაც თავს მხარამდნეულად თვის მასზე მაღალი ვიყავი, იმ ლამეაყკი, პოუქარსტში, როცა გზაზე მიმავალ ზანგებს ვუსმენდით — მათ შემდეგ თითქმის არც შეცვლილა: იგივე ბიჭური, ხმელი ტანი, უტეხი სახე, უმოწყალოდ გაკორტილი თმა — სწორედ ასეთს ვხედავდი მაშინაც, ურმიდან, როცა მდინარისაკენ ვეშვებოდით. ჩვენს შორის კი, გაგიებულე, ამღვრებელი ზანგებია უწყვეტი ნაკადე მიედინებოდა „ვიცი ბაიარდ, ვიცი საბიფათო რომაა ოცნებასთან სიახლოვე; ერთ დროს, მეცა მქონდა ოცნება; ოცნება გატენილ დამბახასა ჰგავს, ჩახმახშემართულს: დიდხანს თუ დატოვე ასე, აუცილებლად იმსხვეოკლება ვინმეს, მაგრამ, თუკი ოცნება კეთილშობილურია, მაშინ ჯანდაბაა, მაშინ ღირს. ოცნება ბევრი არ არის ამქვეყნად, აი, ხალხი კი, იცოცხლე, ბევრია. ჰოდა, ერთი ადამიანის, ან, თუნდაც ოცი კაცის სიცოცხლე...“

„არაფერს ნიშნავს, არა?“

„ჰო, არაფერს. მოიცა, მგონი იუბიტერის ხმაა. აბა, აახლამდე ვინ მისწრება!“ სიტყვა არ დაემთავრებინა და უკვე გარბოდა, მუხლებამდე აეწია საბრძოლველი კაბის კალთა და გარბოდა, ბიჭვიით, ცხენზეც ასე იჭდა ხოლმე — ბიჭურად.

მაშინ ოციას ვიყავი, მაგრამ მეოც, ოცლაოთხისაც გავხდი; მესამე წელ იყო, რაც უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ორიოდე კვირაში ისევ ოქსფორდს უნდა დავბრუნებულყავი; ერთი წელია მრჩებოდა ხარისხის მიღებამდე. ზაფხული იდგა, აგვისტო, ის-ის იყო, მამაჩემმა შტატის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებზე რედმონდი დამარცხა. რკინიგზის მშენებლობა უკვე დასრულებულიყო, დასრულებულიყო მამაჩემისა და რედმონდის პარტნიორობაც, იმდენი ხნის წინ დასრულებულიყო, ალბათ, არც აღარავის ემახსოვრებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლოდ რომ არ წაქიდებოდნენ ერთმანეთს, სულ თავიდან.

მესამე პარტიორიკ ჰყოლიათ, მაგრამ ახლა, მისი სახელიც კი დავიწყონდა ყველას; ისიცა და მისი სახელიც სამუდამოდ შთაენთქა რისხვის იმ ბობოქარ მორევს, რედმონდსა და მამაჩემს შორის რომ დატრიალებულიყო, ლამის ლიანდაგის დაგებად; ვერა და ვერ შეურიგდა ერთმანეთს მამაჩემის მბრძანებლური სული (იდეა მისი იყო, მას მოუვიდა პირველს აზრად რკინიგზის გაყვანა, რედმონდი მერელა ჩაითრია საქმეში) და რედმონდის უსაზღვრო მოთმინება (ჭოჭ უთიბი ამბობდა, მხდალი არ იყო, თორემ ჭონი იმასთან საქმეს არასოდეს დაიჭერდა), უსასრულოდ რომ იტანდა, მორჩილად რომ ყლაპავდა ამდენ წყენას მამაჩემისაგან, იქამდე, ვიდრე რალაცამ (არ ვიტყვი, ნებისყოფამ-შეტქი, ალბათ, არც სითამამემ) არ უმტყუნა. ომის დროს რედმონდი ჭარში არ წასულა, მთავრობას ამარაგებდა ბაზით და ამ საქმეში დიდი ფულის შოვნაც შეეძლო, თუმცა კაპიციც არ უშოვნია ზედმეტი, ყველამ იცოდა ეს, იცოდა მამაჩემმაც, მაგრამ, მაინც სულ აქილიკებდა, სულ დასციროდა, აქოდა, დენთის სუნი არ გიყნოსიაო. არ იყო მართალი; თვითონაც მიხვდა მერე, მაგრამ შეჩერება უკვე აღარ შეეძლო, ლოთსა ჰგავდა, პირობას რომ აძლევს საკუთარ თავს, აი ახლა დავანებებ სმას თავს და აი, ახლათ; იქნებ, სჯერა კიდევ, მართლა რომ დაანებებს, ჭერ კიდევ რომ შეუძლია თავის დანებება, მაგრამ არა, გვიანაა, ამ საქმეს, უკვე აღარაფერი ეშველება. ბოლოს და ბოლოს, იმ მიჯნას მიადგენ (ორივემ ლამის მთელი საცხოვრებელი ჩაყარა რკინიგზის მშენებლობაში, ყველაფერი, რისი შოვნაცა და სესხებაც მოახერხა; მამაჩემი ხომ საერთოდ ვეღარ სცილდებოდა რკინიგზას, აღმა-დაღმა დაუყვებოდა ლიანდაგს და უკანასკნელ წაშს უსწორებდა მუშებს ანგარიშს), როცა მამაჩემიც კი მიხვდა, ერთ-ერთი მათგანი თამაშიდან რომ უნდა გასულიყო. ისევ შეხვდნენ ერთმანეთს (უკვე დამდურებულები იყვნენ; შუაკაცობა მოსამართლე ბენბოუმ გასწია) და საქმი-

დან გასულის წილზე შეთანხმდნენ; დახარჯულთან შედარებით, თანხა სახსენებლადაც კი სასაცილო იყო, თუმცა, ორივეს სჯეროდა, მეორე ამაზე მეტს, სულ რომ გასკდეს, მაინც ვერ იშოვისო — ყოველ შემთხვევაში, მამაჩემს თუ დაუჭერებთ, რედმონდის ვარაუდი სწორედ ასეთი ყოფილა. მოკლედ, რედმონდი თანხას დაყაბულდა და განზე გადაგა, მერე კი აღმოჩნდა, რომ მამაჩემს თურმე ფული ჰქონდა. ჩვენი მტრობაც მაშინ დაიწყო, ამბობდა მამა, მაგრამ ძია ბაკ მაკკასლინის აზრით, საზიაროდ და სანახევროდ მამაჩემს რკინიგზა კი არა, ბურჯავი რა ბურჯავია, ისიც არ უნდოდა და თავის მოზიარეს, ადრე თუ გვიან, მაინც დაშორდებოდა, ან სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულნი, ანდა სამარის კარამდე ძმად გაფიქვლი. მოკლედ, გაიყარნენ და მამაჩემმაც მარტომ დაამთავრა რკინიგზის მშენებლობა. როცა ნახეს, საქმე დასასრულს უახლოვდებო, ვილაც ჩრდილოელებმა ნისიად ორთქლმავალიც მიჰყიდეს, რომელსაც, მამიდა ჭენის პატივსაცემად, მამაჩემმა მისი სახელი დაარქვა და ეს სახელი, ვერცხლის ასოებით ამოატვიფრინა მემანქანის ჭიხურზე; და აი, შარშან ზაფხულს, ჭეფერსონში პირველი მატარებელი შემოვიდა; ორთქლმავალი ერთიანად ყვაილუბში ჩაფლულიყო, მამაჩემი მემანქანის ჭიხურში იდგა, როცა რედმონდის სახლს გაუსწორდნენ, საყვირს მისწვდა და კარგა ხანს გაუჩერებლად ავილა: მერე, სადგურში დიდი ზეიმი გაიმართა, ვილა არ გამოვიდა სიტყვით, ყვაილებმა იქაურობა წაღვეეს, ირხეოდა კონფედერატთა დროშა, ირვოდნენ თეთრკაბიანი, წითელკაბარშემორტყმული გოგოები, გრილებდა ორკესტრი, მამაჩემი ორთქლმავლის ცხვირზე იდგა და იქიდან ამბობდა სიტყვას; ერთიორჯერ, აშკარად და თან სრულიად უმიზეზოდ, მისტერ რედმონდსაც გადაჰკრა. ასე იყო საქმე. არაფრით არ ანებებდა თავს. მერე ჩემთან ჭოჭ უთიბი მოვიდა და მითხრა: „ყველამ, ჩვენმა ბიჭებმაც და სხვებმაც, კარგად ვიცით, ჭონი რომ

მართალია, მაგრამ მაინც მოეშვას ამ რედმონდსო. ვიცი, რაც აწუხებს, ცხოვრებაში ბევრი სისხლის დაღვრა მოუწია და ეს არ აძლევს მოსვენებასო. პოლკოვნიკი ხომ ლომივით მამაცია, მაგრამ არც რედმონდია ჯაბანი და არ უნდა იყოს ლამაზი, ერთი შეცდომისთვის გულადი კაცის ამდენი გამასხარავებაო. იქნებ, შენც დალაპარაკებოდი მამასო“.

„რა ვიცი, ვცდი-მეთქი“ — ვუთხარი, მაგრამ ვერ მოვხებრხე. უფრო სწორად, დალაპარაკებით კი დაველაპარაკებოდი, ისიც მომისმენდა, ოღონდ ეგაა, ყურად არ იღებდა ჩემს ნათქვამს, რადგან იმ ორთქლმავლიდან პირდაპირ საარჩევნო კამპანიაში გადაეშვა. ეტყობა იცოდა, ხალხის თვალში თავისი ღირსების შენარჩუნება თუ უნდოდა, რედმონდი აუცილებლად დაუპირისპირდებოდა, უბრალოდ, იძულებულიც იქნებოდა ასე მოქცეულიყო, თუმცა იმას (რედმონდს) მაინც უნდა სცოდნოდა, ჯეფერსონში მატარებლის შემოსვლის შემდეგ ვეღარაფერში რომ ვეღარ აჯობებდა მამაჩემს; ანდა, შეიძლება, რედმონდს ადრევე გამოცხადებული ჰქონდა თავისი კანდიდატურა და მამაჩემიც სწორედ ამიტომ ჩაება არჩევნებში, არ ვიცი, ახლა ზუსტად აღარ მახსოვს. ასეა თუ ისე, კვლავ სამკვდროსანიცოცხლოდ შეეხნენ ერთმანეთს, მამაჩემიც ისევე ძველებურად კილავდა და ჭირდავდა რედმონდს; რა უნდოდა, რა რჯიდა, რაში სჭირდებოდა ნეტა არადა, ორივემ იცოდა, მამაჩემი უეკველად რომ გაიმარჯვებდა. ასედაც მოხდა და ერთი პირობა ვიფიქრეთ, ახლა მაინც დამშვიდდებო. შეიძლება, თვითონაც ასე ეგონა, ოღონდ, ისევე იმ ლოთსა ჰგავდა, რომელსაც სჯერა, ესაა, სამუდამოდ შევეშვი სმასო; სწორედ იმ დღეს, მე და დრუზილა სადამოს ბინდებულში დავსაეირნობდით; დრუზილას ჯორჯ უიატის ნათქვამი გადავეცი; იმან ხელი გამიშვა, თავისკენ მიმბრუნა და მითხრა: „შენ, შენ ამბობ მამას? განა გრამბი დაგავიწყდაო?“

„არა-მეთქი“ — ვუთხარი, — „არ

დამეწყებია და არც არასოდეს დამავიწყდება-მეთქი“.

„ვერც დაივიწყებ, მე არ მოგცემ მაგის ნებას. ამ ქვეყნად, კაცის კვლავ ბევრად უარესი ამბებიც ხდება, გინდაც შენა გკლავდნენ. ზოგჯერ ვფიქრობ, კაცისთვის რალაცის სიყვარულზე უკეთესი არაფერი იქნება-მეთქი, ძლიერი, ძლიერი, ძლიერი სიყვარული, უმჯობესია ქალისა, მერე კი, ახალგაზრდობა-შივე სიკვდილი, ახალგაზრდობაშივე, პო, რათა ჯერ ისევე გჯეროდეს ის, რისი არდაჭერებაც არ შეგიძლია და ბოლომდე იმად დარჩე, რადაც არ შეგეძლო (არ შეგეძლო? არ გინდოდა!) რომ არ ყოფილიყავი“. ამას რომ მეუბნებოდა, ისე მიტკერდა, როგორც ადრე არასოდეს შემოუხედავს. მაშინ ბევრს ვერაფერს მივხვდი, დღევანდელ დღემდე ვერ მივხვდი, რადგან მაშინ, არცერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა, ორი თვის მერე მამაჩემი რომ აღარ იქნებოდა. უცნაურად შემომტკეროდა და მის თმაში ჩამატრებული მოზვრიკუდას სურნელიც თითქოს ერთიასად გამძაფრებულყო, ერთიასად გაძლიერებულყო და მთლიანად გაეყვინთა რალაცის მომასწავებელი ბინდებულნი, რალაც ისეთის მომასწავებელი, რაზეც არასოდეს მიოცნებია. მერე უეცრად მითხრა: „მაკოცე, ბაიარლო“.

„არა, შენ მამაჩემის ცოლი ხარ“.

„და შენზე რვა წლით უფროსი, და შენი გარე ბიძაშვილი, და შავგვრემანი, მაკოცე, ბაიარლო“.

„არა“.

„მაკოცე, ბაიარლო“.

მისკენ დავიხარე — არც განძრეულა, უწინდებურად იდგა, ოდნავ უკან გადახრილი, წელში გაზნექილი, ქვემოდან ამომტკეროდა: ახლა უკვე იმან თქვა, არაო. ხელები მოვხვიე. მერე იმანაც მომხვია ხელები, მომეკრო, ისე მომეკრო, როგორც მხოლოდ ქალებს შეუძლიათ, როგორც მარტო ქალებმა იციან, ღონიერი, ცხენოსნობით გაწყული მკლავები მხრებზე ჩამომაწყო, მერე მაჭებით მიიზიდა თავისკენ ჩემი სახე და იქამდე ვეპირე ასე, ვიდრე სა-

ქირო იყო; მაშინ გამახსენდა ოცდაათი წლის ქალი, ძველთაძველი, მარადიული სიმბოლო გველისა, ის ხალხიც გამახსენდა, მის შესახებ რომ დაუწყებიათ და მივხვდი, რა უსაშველო უფსკრული ძეგს თურმე ცხოვრებასა და გამოწავონს შორის — ისინი, ვისაც ძალა შესწევს, ცხოვრობენ, ხოლო ვისაც არ შესწევს ძალა და ვისაც ეს უძლურება სტანჯავს, ზის და ამაზე წერს. მერე თავი გავითავისუფლე და ისევ დავინახე მისი იღუმალი მზერა, ისევ თავდახრილი ამომცქეროდა ქვეშ-ქვეშადა; მერე მკლავები ისევ ზუსტად წელანდელივით ასწია, თითქოს დაბირების რიტუალურ მოძრაობას იმეორებდა, რათა არასოდეს დამვიწყებოდა. იგი; გამხდარი, წვეტიანი იდაყვები განზე გაეწია, თმაში ჩამაგრებულ მოზერაკუდას იძრობდა; გაქვავებული, გაშეშებული ვიდექი და ოდნავ დახრილ თავს შევცქეროდი, მოკლედ გაკორტნილ თმასა და სწორ, საოცრად მკაფიო კუთხეს შიშველი მკლავებისა, ბინდბუნდში ოდნავ რომ კრთოდნენ; მერე, მოზერაკუდას რტო თმიდან გამოიძრო და მე გამიკეთა ლილკლოში; აი, მაშინ გავიფიქრე, რანაირად აღარ ეცადა-მეთქი ომი, მისი თაობისა და მისი წარს ყველა სამხრეთელი ქალი ერთ ყალიბში რომ ჩამოესხა და მაინც, როგორ გაუტრუვედა-მეთქი იმედი — ერთნაირი ტანჯვის, ერთნაირი გამოცდილების (აჟი, იმისი ბედიც წყლის წვეთივით ჰგავდა მამიდა ჯენის ბედს, ოლონდ ეგაა, მამიდა ჯენიმ რამდენიმე ღამე მაინც გაატარა ქმართან, ვიღრე ტუციაწამლის გადასაზიდი ურმით მიუტანდნენ შინ მოკლულს, გვეინ ბრეჭბიჯი კი, მხოლოდ საქმრო იყო დრუზილასი) კვალი კი დარჩენიდა თვალბში, მაგრამ, ყოველივე ამის მიღმა, მაინც გამოუსწორებლად თვითმყოფადი ქალი იდგა: განსხვავებით იმ მრავალი და მრავალი მამაკაცისაგან, ომებიდან დაბრუნებულნი, სახელმწიფოს სარჩენი რომ ხდებიან, დაკოდილი მოზერებევით, კაცობადაკარგულნი და ყველაფერისაგან დაკლილნი საერთო გამოცდილების გარდა, იმ გამოცდილე-

ბისა, რისი დავიწყება არც უნდათ და ვერც გაუბედათ, რადგან, სხვაგვარად უკვე ველარც იარსებებენ თითქოს ერთ თარგზე არიან გამოჭრილები, ვერც განასხვავებდა ალბათ კაცი ერთმანეთისგან, ჩვეულების გამო, ყველანი თავთავიანთ ნათლობის სახელზე რომ არ გეპასუხებოდნენ.

„ახლა მამას უნდა ვუთხრა-მეთქი ყველაფერი“. ვთქვი მე.

„პოო“, თქვა დრუზილამაც. „უნდა უთხრა. მაკოცე“. ყველაფერი უწინდებურად განმეორდა. თუმცა არა. ორჯერ კი არა, ათასჯერ რომ განმეორებულყო, მაინც სტელ სხვადასხვანაირად იქნებოდა ყველაფერი — ყოველ ჯერზე ერთდროულად უკვე ნაცნობიცა და თან განუმეორებელიც, საოცრად განუმეორებელი, ყოველთვის ახალი, და თან უკვე განცდილიც, როცა ყოველი მოგონება — გამოცდილებას გამოორიცხავს, როცა გამოცდილება — მოგონებას უძღვის წინ; მარადიული და სიმბოლური ოცდაათი წელი; მოუღლეელი უნარი, უმანკო, და სწორედ ამიტომაც გაუმამლარი ცოდნა, ეშმაკი, იღუმალი კუნთები, თავის ნებაზე რომ გატარებენ და გამართავენ, თითქოს მაჯებიცა და იდაყვებიც იმ ძალით დამუხტულან, ცხენებს რომ უგრებს კისერს; მერე გამშორდა, ღამის ზურგი შემაქცია, ლაპარაკობდა და ზედაც არ მიყურებდა, ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთვის, სწრაფად უჩინარდებოდა საღამოს ბინდბუნდში: „ყველაფერი უთხარი ჭონს, იცოდე, ამ საღამოსვე უთხარიო“.

ვაპირებდი კიდევაც. შინ შევედი თუ არა, მაშინათვე მის სამუშაო ოთახს მივაშურე; გაციებული ბუხრის წინ დაგებულ ნოხზე გავჩერდი, არც ვიცო, რატომ, და ასე, ჭარისკაცივით გაჭვიმული ვიდექი, თვალგაშტერებული, ერთ წერტილს მივჩერებოდი მის თავსზემთ, მერე, მამა-მეთქი, ვთქვი და მაშინათვე გავჩუმდი. გავჩუმდი, რადგან ჩემი ხმა არცკი გაუგონია. „გისმენ, ბაიარლო“ — მითხრა, მაგრამ არ გაუგონია, არადა, მაგინდასთან უსაქმოდ იჯდა, უძრავი, ჩემსავით გაქვავებული — ერთ ხე-

ლში ჩამჭრალი სიგარა ეკირა და სიგარიანი ხელი მაგიდაზე ჩამოედო, გვერდით ბრენდის ბოთლი და საესე, ხელუხლებელი ჭიქა ედგა; არჩევნებზე გამარჯვების ამბავი ახალი გაგებული ჰქონდა და ამ ტრიუმფით თუ იყო გაოგნებული და გამოთიშული. გადაწყვეტე, ჩემს სათქმელს ვახშმის მერე ვეცუვი-მეთქი. მერე სასადილო ოთახში გავედით და დრუზილასა და მამიდა ჯენის მოლოდინში უხმოდ კიდევით გვერდიგვერდ; ყვითელი სამეჯლისო კაბა ეცვა დრუზილას; პირდაპირ ჩემსკენ წამოვიდა, ერთი კი შემომხედა მკაცრად, მრავალმნიშვნელოვნად და თავის ადგილს მიაშურა: მეც ფეხდაფეხ მივეყვი, საკამი დაეუღღი, ვიდრე მამაჩემი მამიდა ჯენის დასვამდა. მერე, თანდათან, ცოტათი გამოცოცხლდა, მართალია სატბარი თვითონ არ წამოუწყია, მაგრამ ალგუნებულ, ატაცნილ დრუზილას შიგადაშიგ გამოეპასუხებოდა ხოლმე, იმ ზრდილობიანი, შემწყნარებლური სიამაყით გამოეპასუხებოდა, ბოლო დროს რომ დააჩემდა და, ცოტა არ იყოს, ვეჭილურ იერს აძლევდა, თითქოს, უაზრო და ბოტკარი მჭევრმეტყველებით აღსაესე პოლიტიკურ ბრძოლებში ჩაბმამ, ვეჭილი დაბადა მასში, თუმცა, სინამდვილეში, არაფერი ეცხო ვეჭილობისა. მერე, დრუზილა და მამიდა ჯენი წამოდგნენ, ოთახიდან გავიდნენ, მეც გასვლას ვაპირებდი, მაგრამ „მოიცადეო“ — მითხრა და ჯობის ერთი ბოთლი იმ ლეინისა მოატანინა, ნიუ-ორლეანიდან რომ წამოიღო, როცა ბოლოჯერ იყო იქ ფულის სასესხებლად. მერე, მახსოვს, ისევ ჯარისკაცივით გაჩვიული ვიდექი, თვალის იხვევ ერთი წერტილისთვის მქონდა გაშტერებული; ის მაგიდასთან იჯდა გვერდულად, ოდნავ გასუქებული, თმაში კალარა შეპარული, თუმცა, მის წერს ჯერაც არაფერი დასტუბოდა, ძველებურად კუპრივით შავი იყო, ვეჭილური იერი დაპკრავდა. ან, იქნებ, ვეჭილასაც თამაშობდა, მკაცრი თვალეებით მიყურებდა, მტაცებელი ნადირის თვალეებით, გამჟვრვალე ლიბრი რომ გადაპკრიათ: სწორედ ასეთი თვალე-

ბით უყურებენ მტაცებლები ჭვეყანას, იმ ჭვეყანას, რომელსაც, მერე ერთი ბალახისმჭამელი ვერ უსწოროებს შიშით თვალს, იმათა აქვთ ასეთი თვალეები, ვისაც ცხოვრებაში ბევრი სისხლის დაღვრა მოუწია, ვინც ველარასოდეს, რამდენიც არ უნდა იცხოვროს ამჭვეყნად, მართო ველარ იქნება. ისევ ვთქვი, მამამეთქი, და ყველაფერი ეუბამე.

„ჰოო?“ — თქვა მან და „დაჯექო“ — მოაყოლა. მეც დავექვი და მივაჩერდი, იმან ორივე ჭიქა შეავსო და მამინლა მივხედი — არამც თუ არ გაუგონია ჩემი ნათქვამი, კიდევ უარესი, საერთოდ აინუნშიაც არ ჩაუღვლია. „სამართალს ბეჯითად სწავლობსო, იმ შენზე მითხრა მოსამართლე უილკინსმა. მიხარია, ძალიან მიხარია ეს ამბავი. აქამდე ჩემს საქმეებში არ გრევიდი, მაგრამ დღეის ამას იქით, დამპირდები. ნაწილი ჩემი მიზნებისა, უკვე განვახორციელე, შენ პატარა იყავი, ვერაფრით დამეხმარებოდი, მეც გზოგავდი და გიფრთხილდებოდი; ყოველთვის ისე ვიქცეოდი, როგორც დრო და გარემო მკარნახობდა; ახლა, დროც იცვლება და გარემოც, მომავალში მიღწეულის განმტკიცება მოგვიწევს, დიდი ჩხუბი და დავიდარება მოგველოს, მე მაგ საქმეებში ბევრი არაფერი გამეგება, აი შენ კი, სამართალში გაწაფული და განსწავლული, შენსას გაიტან — ჩვენსას, ჩვენსას გაიტან. ასეა. მე ჩემი კალო გავლენე, ახლა მინდა ცოტა განვიწმინდო. დამქანცა ხალხის ხოცვამ, სულერთია, რატომ და რისთვის. ხვალ, როცა ქალაქში წავალ და ბენ რედმონდს შევხვდები, იარალი არ მექნება თან“.

3.

შუალამე მოახლოებული იყო, სახლს რომ მივალწიეთ: არც ჯეფერსონზე მოგვიწია გავლა. სანამ ჩვენი ჭიშკრისკენ გადაუხვევდით, იქამდე დავინახე გაჩახახებული ჭალების შუქი — ჰოლში, დარბაზში და იმ ოთახში, რომელსაც მამიდა ჯენის გავლენით (თუმცა, ყოველგვარი ძალდატანებისა და, ალბათ, იძუ-

ლების გარეშე) რინგოც კი სასტუმროს ეძახდა — სინათლე გარეთ იღვრებოდა და ბანზე სვეტების ირგვლივ ეფინებოდა. ჯერ ცხენები დაინახე — შვე ლანდებზე აბრჭყვიალებული ტყავი და ლითონი, მერე კი, კაცებიც — უაიატიც და მამაჩემის დანარჩენი თანამებრძოლებიც. ესენი აქამდე სულ არ გამხსენებია, სულ გამომჩრა მხედველობიდან. ეზოში რომ დამხვდებოდნენ; მახსოვს, დაქანცულსა და დაძაბულობიან გამოფიტულს, როგორ გამოივლეა თავში — ხვალამდე არავინ მაცილის, ეტყობა, დღესვე მომიწევს ამათთვის წინააღმდეგობის გაწევა-მეთქი. ალბათ გუშაგი თუ დაეყენებინათ, რადგან უკვე გველოდებოდნენ. უაიატი შემომეგება, მეც ცხენი შევაყენე; დაცქეროდი იმასაც და დანარჩენებსაც, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით რომ შექუჩებულყვენენ, და ეფიქრობდი — ასეთ დროს, ყველა სამხრეთელი სვავს ემსგავსებამეთქი, მართლაც რომ სვავებს ჰგავდნენ, გაყურსულები, მსუნაგები, რაღაცის მომლოდინენი.

„აი, ასეა საქმე...“ — მითხრა ჯორჯ-უაიატმა.

„როგორ იყო...“ — ვთქვი მე. „რანაირად...“

„პატიოსნად მოხდა ყველაფერი. ზურგში არ უსვრია. შენც ხომ იცი, რედმონდს სილაჩრეს ვერავინ დასწამებს, ჯონს მაჯაში ახლაც თავისი დერინჯერი ჰქონდა დამალული, ოღონდ არ უხმაურია, თითქმის არ გაუნძრევია“. მინახავს როგორ ხმარობდა თავის დერინჯერს, ერთხელ მიჩვენა: დამბაჩანს (ოთხი გოჯის სიგრძისას) მარცხენა მაჯასთან იმაგრებდა ხოლმე. თვითონვე გაიკეთა სამაგრი შავთელისგან და ძველი საათის ზამპარისაგან; ერთდროულად ასწევდა ორივე ხელს. გადააჯვარდინებდა და ისე გაისვრიდა მარცხენა მტევანსკვემოდან. თითქოს საკუთარ ნამოქმედარს თვალს ვერ უსწორებდა: ერთხელაც როცა კიდევ მოკლა ვიღაცა, პალტოს სახელო გაიხვრიტა. „შენ ალბათ ერთი აული გაქვს შინ როდის შეხვალ, ჩვენ კი აქ ვაჩერებთო“, მითხრა უაიატმა და

გვერდზე გადავა, თუმცა, ისევ წამოიწყო ლაპარაკი: „თუ გინდა, ყველაფერს ჩვენ ვითავებთ, ნებისმიერ ჩვენსაგანს, თუნდაც მეო“. ცხენი გაქვავებული იდგა, ხმის ამოღება არც მიფიქრია და ისევ იმან გააგრძელა, თითქოს მთელი ეს სცენა, თავისი სათქმელიცა და ჩემი პასუხიც, წინასწარ უკვე გაეთამაშნა, წინასწარ უკვე იცოდა ყველაფერი და ახლა, მხოლოდ ჩვეულების გამო ლაპარაკობდა, როგორც, ალბათ, სახლში შესვლისას მოიხდიდა ქუდს, ანდა, ბატონო — მიმართავდა უცნობს: „ჯერ ახალგაზრდა ხარ, მთლად ბავშვი, ასეთი ამბებიც არ გამოგიცდია; ეგეც არ იყოს, ორი ქალი გყავს შესანახი, ნუ დარდობ, მამა გაგიგებდა“.

„მე მგონი, თვითონ მოუვლელი ამ საქმეს“, — ვთქვი მე.

„აგაშენა ღმერთმა“, მითხრა იმან; ხმაში არც გაოცება ეტყობოდა და საერთოდ, არც არაფერი, რადგან, ალბათ, ესეც წინასწარვე გაეთამაშნა უკვე: „დარწმუნებულნი ვიყავით, სწორედ ასე რომ გვიპასუხებდიო“. მერე უკან დაიწვია; ასე მეგონა, მე კი არა, იმან უბრძანა-მეთქი ჩემს ცხენს ნაბიჯის გადადგმა. ყველანი მოგვეყვენენ, სვავებივით მსუნაგნი და გაუმბაძლარი. მერე, დრუზილა დაინახე, კიბის თავში იდგა, იქაურობა ღია კარიდან და ფანჯრებიდან დაღვრილ სინათლეს სცენასავით გაენათებინა, ყვითელი, სამეჭლისო კაბა ეცვია, დარწმუნებული ვიყავი, ამ სიშორეზედაც რომ მცემდა მის თმაში ჩამაგრებული მოზერიკუდას სურნელი, გაუნძრევლად იდგა, მდუმარე, თუმცა, მეჩვენებოდა, თითქოს საშინელ, ყურისწამლებ ხმას გამოსცემდა — ეჩინანსა და უძღებს. მერე, მართალია ჩამოვქვეითდი და ცხენიც ვიღაცამ წაიყვანა, მაინც მეგონა, ისევ უნაგირზე ვზივარ და გვერდიდან შევცქერი-მეთქი საკუთარ თავს — როგორ ავდივარ მისი ნებასურვილით აგებულ სცენაზე, მე, კიდევ ერთი მსახიობი, სიღრმეში კი, ქოროსავით, გაქვავებულნი დგანან უაიატი და დანარჩენები, სახეზე მოჩვენებითი წუხილი აწერიათ, როგორც საერთოდ

ყველა სამხრეთელს სიკვდილთან შეხვედრისას — სხვისი ჳირი, ლობეს ჩხირით, ნისლიანი პროტესტანტიზმის წიაღში ჩასახულმა ამ თვისებამ, ჩვენს მიწაშიაც გაიდგა ფესვი, ჩვენს მხარეშიც გადმოიწერა, სადაც მცხუნვარე მზისა და მკაცრი სუსხის მონაცვლეობამ ისეთი რასა დაბადა, არც ერთს რომ აღარ ეპუება და არც შეორეს. კიბეს ავუყვი, წელში გამართული, ყვითელი, სანთელივით უძრავი ფიგურისავენ დავიძარი, რომელიც მარტო ერთხელ შეირბა, როცა ხელი გამოიწოდა; მერე უკვე გვრდიგვერდ ვიდგით და ერთად შექუჩებულ კაცებს დავცქეროდით, ცხენებიც პატრონების შორიახლოს, კარიდან და ფანჯრებიდან გადმოღვრილი სინათლის კიდეზე მიტმასნოდნენ ერთმანეთს. ერთ-ერთმა ფეხი დააბაკუნა, დაიფრუტუნა და მოსართავეები შეაქლიალა.

„მადლობელი ვარ, ბატონებო“, ვთქვი მე. „მამიდაჩემიცა და ჩემი... დრუზილაც მადლობას გიხდინა. აღარ დაგაყვენებთ, ლამე მშვიდობისა“. ყველანი წასასვლელად შებრუნდნენ, თან რაღაცას დუღუნებდნენ ერთმანეთში. ჭორჭ უიატმა ფეხი ათორია, ერთი კიდევ გამოიხედა.

„მამ ხვალო?“ მკითხა.

„ხვალ-მეთქი“ — ვუთხარი მეც. მერე წავიდნენ, ქუდები ხელში ეჭირათ და ფეხაკრეფით მიდიოდნენ, მთელი ეზო, მღუმარე და დრეკადი მიწა, სულ თითისწვერებზე გადაიარეს, თითქოს ვინმე, ვისაც ჩვენს სახლში ელვია, დაძინებას აპირებდა, ანდა იმას, ვისაც უკვე ეძინა — გაეღვიძებოდა. ყველანი რომ გაიკრიფნენ, მე და დრუზილაც შევტრიალდით და ბანი გადავჭერით — მისი ხელი მსუბუქად მეხებოდა მაჯაზე, თუმცა, ჩემში მაინც ელექტრონული ღენივით იღვრებოდა ველური და ძინიანი სიმსუნაგე — მხრებამდე ძლივს მწვდებოდა, გაკორტნილ თმაში, ორივე ყურს ზემოთ, მოზეროკუდას თითო რტო ჩემგარეზინა და შმაგი ალტაკებით შემომცქეროდა. მერე პოლიც გავიარეთ — მის ხელს მივცავთ, ძალდაუტანებლად

— და დარბაზში შევედით. აი, მამინ შემზარა სწორედ იმ გადსაქმნამ, რასაც სიკვდილი ჰქვია სახელად. იმიტომ კი არა, ახლა უსულო თიხად რომ ქვეულოყო მხოლოდ, არა — იწვა და იმიტომ. თუმცა, მისთვის ჳერ ხეირიანად არც შემეხედა, რადგან ვიცი, შევხედავდი თუ არა, სულიც შემეხუთებოდა; მამიდა ჳენისავენ წავედი, ის-ის იყო, სკამიდან რომ წამოდგა, რომლის უკანაც ლუენინა გაქვავებულიყო. მამიდა ჳენი თითქმის დრუზილას კბილა იყო, ოლონდ უფრო მაღალი, მისი ქმარი ომის დასაწყისშივე მოკლეს, ჩრდილოელთა ფრეგატიდან ნასროლმა ყუმბარამ იმსხვერპლა ფორტ მოლტრიში, თვითონ, ამ ექვსი წლის წინ გადმოსახლდა ჩვენსას კაროლინადან. მე და რინგო ურმით დავხვდით ტენესის საკვანძო სადგურში. იანვარი იდგა, ცივი და გამჭვირვალე, ნაურმალებს უკვე თრთვილი მოსდებოდა. შინ დაბინდებამდე დავბრუნდით, მამიდა ჳენი ჩემს გვერდით, კოფოზე იჯდა, ხელში მაქმანებოიანი ქოლგა ეჭირა, რინგო კი ურმის ძარაში წამოგორებელიყო და მუხლებს შორის თავმოკრული კალათა ჩადგა, კალათაში ორი, ძველი შერით სავსე ბოთლი და ესამინის ორი ნერგი ეწყო, ახლა ბუჩქებად რომ გაშლილიყვნენ ჩვენს ბაღში, და კიდევ, ფანჯრის ფერადი შუშები, მამიდაჩემს კაროლინას მამაპაპისეული სახლიდან რომ გადაერჩინა, იმ სახლიდან, სადაც ის, მამაჩემი და ძია ბაიარდი დაიბადნენ; ეს შუშები მერე სასტუმრო ოთახის მაროსებურ ფანჯარაში ჩაასმევინა მამაჩემმა, მამიდა ჳენის ასიამოვნა. სახლს რომ მივუახლოვდით, მამა (რკინიგზიდან ახალი დაბრუნებული იყო) კიბეზე ჩამოვიდა, ურმიდან გადმოსვა და „სალამი ჳენიო“ უთხრა, იმანაც „სალამი ჳონო“ და ატირდა. იდგა და თვალს არ მაიცილებდა — იმასაც ისეთივე თმა ჰქონდა, ისეთივე, კეზიანი ცხვირი, ისეთივე, მამაჩემის თვალები, ოლონდ მკაცრი კი არა, გულისხმიერი და საოცრად ბრძნული. არაფერი უთქვამს. მხოლოდ ხელები ჩამომაწყო მხრებზე მსუბუქად და მაკოცა. მერე, დრუზილა აღაპარა-



ქდა, თითქოს შემზარავი მოუთმენლობით ელოდა ამ უაზრო ცერემონიალის დამთავრებას, ზარივით რეკდა მისი ხმა: დაწმენდილი, გრძნობისგან დაცლილი, თანაბარი, ფოლადგარეული და მოზეიმე: „მოდი, ბაიარდი!“

„ჭერ იქნებ დაგესვენა ცოტა?“ — თქვა მამიდა ჭენიმ.

„ჰო“ — თქვა დრუზილამ, ფოლადგარეული, ალგზნებული ხმით. „ახლაც, დავენებას ყოველთვის მოვასწრებთ“. დრუზილას მივყევი, მისი ხელი ახლაც ძალდაუტანებლად მიჩვენებდა გზას; ახლა კი შევხედე მამაჩემს. ყველაფერი ისე იყო, როგორც წარმომედგინა — ხმალიც, ქუდიც; ყველაფერი — ოღონდ იმ ცვლილებით, იმ გამოუსწორებელი განსხვავებით, რომელსაც, მართალია, წინდაწინვე ველოდი, მაგრამ, ეტყობა მაინც გაუერბოდი. უარყოფდი, როგორც კუჭი უარყოფს, ცოტა ხანს მაინც არასასურველ საკვებს — უსაზღვრო სევდა და მწუხარება დამეუფლა, როცა ჩემთვის ასე ნაცნობ სახეს დაეხედე — ცხვირს, თმას, ქუთუთოებს, მის მკაცრ თვალებს რომ ფარავდნენ — სახეს, რომელსაც ცხოვრებაში პირველად ვხედავდი დამწვიდებულს, მის უძრავ ხელებსაც ვხედავდი, თითქოს უაზროდ (ერთხელ მაინც ნამდვილად უაზროდ) დაღვრილი სისხლის ნაკვალევი რომ აჩნდათ და სწორედ ამ უძრაობისა და უმოქმედობის გამო, საოცრად მოუქნელნი მეჩვენებოდნენ, მეტისმეტად მოუქნელნი იმ საბედისწერო საქმეთა ჩააღენად, რომელნიც, აღარც დღე და აღარც ღამე აღარ აძლევდნენ მოსვენებას და, ალბათ, ბედნიერიც კი იყო, ბოლოს და ბოლოს, დასვენება რომ ეღიროს — თვალს ვერ ვაშორებდი ადამიანის სხეულის ამ უცნაურ დანამატებს, ოდესღაც, მართლაც, საოცრად მოუქნელებს, რომელთაც შემდგომში ადამიანმა უამრავი რამის გაკეთება ასწავლა, გაცილებით უფრო მეტის, ვიდრე აპირებდა, ანდა — ეპატებოდა; ხელებს, რომელთაც სიცოცხლე დაუსხლტათ, თუმცა კი, მთელი ძალითა და ღონით, სწორედ სიცოცხლეს ებლაუჭებოდნენ

სულ: მერე, უეცრად მივხედი, აი ახლა, ამ წუთას, სული შემეხუთებდა მშვენიერადრუზილამ ეტყობა ორჯერ მამაჩემს ვიდრე გამაგონებდა, მივბრუნდი და დავინახე, როგორ მომჩერებოდნენ მამიდა ჭენი და ლევინია, დრუზილას ხმაც მკაფიოდ ჩამესმა, ახლა უკვე გრძნობადაცლილი ზარივით აღარ რეკდა, ჩურჩულად ისმოდა წყნარ, სიკვდილით სავსე ოთახში, ეჩინანად და თან სუსტად: „ბაიარდი!“ სახეში შემომცქეროდა, ძალიან ახლოს იდგა ჩემთან; მის თმაში ჩამაგრებული მოზერიკუდას სურნელი თითქოს ახლაც ერთნაირად გაძლიერებულიყო, ხელები ჩემსკენ გამოეწვდინა და ხელისგულებზე თითო-თითო დუელის დამბახა ედო. „გამომართვი, ბაიარდი“, თქვა დრუზილამ ზუსტად ისე, როგორც ზაფხულში შითხრა „მაკოცეო“, თან იარაღს მიღებდა ხელში, რაღაც ველური, ალგზნებული თვალებით მიყურებდა და მის მისუსტებულ, თუმცა მაინც ეჩინან ხმაში, დაპირება გაიხმა: „აიღე, შენ გინახავდი ამათ. ახლა გაძლევ, ვიცი, მაღლობას მეტყვი, არასოდეს დამივიწყებ, არასოდეს დაივიწყებ იმას, ვინც ლეთიური იარაღი ჩაგიდო ხელში, ვინც ზეცის კუთვნილება გადმოგცა. ხომ გრძნობ მათ? გრძელ, სამართალივით შეუმტდარ ლულებსა და შურისგებასავით სწრაფ ჩახმახებს (აკი, შეხებიხარ კიდევ უკვე). იცოდე, ეტენიც სიყვარულივით არიან — მშვენიერნი, მარადიულნი, საბედისწერონი“. მერე, როცა ხელები მაღლა ასწია, ისე დავინახე მისი წვეტიანი იდაყვები, თმიდან მოზერიკუდას ორივე რტო ამოიწრო, უცბად, თვალისდახამხამებაში, და ერთი მე გამოეკეთა ღილაკილი. მეორე კი — ხელში მოსროსა, თან გაუჩერებლად ლაპარაკობდა, ჩქარ-ჩქარა, ეჩინანად, ღამის ჩურჩულით: „აჰა, ერთს შენ გაძლევ სახვალიოდ (არ დაჰკნება), მეორეს კი გადავაგალებ, აი, ასე...“ გასრეული ყვავილი ფეხებთან დაავლო. „უარს ვამბობ. სამუდამოდ უარს ვამბობ მოზერიკუდაზე; სიმამაცის სუნს ვახშობდი მოზერიკუდათი; ეს იყო და ეს. ახლა კი, მოდი ერთი, კარგად და-

მენახე“. უკან დაიწია, თვალს არ მამო-
რებდა — ცრემლი არ გადმოვარდნია,
აღვზნებული სახე ჰქონდა, ანთებული
თვალელები ველურ ეინით უბრწყინავდა.
„რა ლამაზი ხარ, იცი, რა ლამაზი ხარ?
მშვენიერი, ახალგაზრდა, მოკვლის უფ-
ლება გაქვს, არა, შურისძიების უფლე-
ბა, შეგიძლია შიშველი ხელით დასწვ-
დე ზეციურ ცეცხლს, ლუციფერის და-
მამოხობელ ცეცხლს. თუმცა არა, მე, მე
მოგეცი ეს ცეცხლი; მე ჩაგიდგე ხელში;
მადლიერი დამრჩები, სამარადისოდ გე-
მამსოვრები, მაშინაც, როცა მე აღარ
ვიქნები, შენ კი, მოხუცი, შენ თავს ეტ-
ყვი „ცხოვრებაში ყველაფერი გამოვცა-
დეთ“. მარჯვენა ხელი აღასრულებს,
არა?“ შეირხა, ჩემი მარჯვენა ხელი ჩა-
ბლუჭა, რომელშიც ჯერ ისევ დამბაჩა
მეჭირა, ვერ მივხვდი, რას აპირებდა და
ვიდრე რამეს ვიპარებდი, დაიხარა და
ხელზე მაკოცა. მერე გაქვავდა, ჯერ
ისევ დახრილი, უსაზღვრო, აღტაცებუ-
ლი შორჩილების გამომხატველი, მისი
ცხელი ტუჩები და ცხელი თითები ისევ
მეხებოდნენ, მსუბუქად, ოდნავ, გამზ-
მარი ფოთლებივით, თუმცა, ძველებუ-
რად გადმომცემდნენ ელექტრონულ
მუხტს, შავბნელს, ეინიანს, სამარადი-
სოდ სიმშვიდის მომპაობს. პო, ქალები
ბრძენნი არიან — ტუჩებისა თუ თითე-
ბის ერთი შეხება კმარა და ცოდნა, ცო-
დნა კი არა. ალბათ, ნათელხილვა, პირ-
დაპირ გადაეცემა გულს, ისე, რომ
ზანტ ტვინს ახლოსაც არ გაეკარება.
უკვე წელშიგამართული იდგა, რალაც
აუტანელი, გაოცებული უნდობლობით
შემომცქეროდა და ამ გამომეტყველე-
ბამ თითქმის მთელი წუთით დაიპყრო
მისი სახე, ხოლო თვალელები, სრულიად
ცარიელი, არაფრისმთქმელი და არაფ-
რისგამომხატველი ჰქონდა; მამიდა ჯენი
და ლუკინია თვალს არ გვაშორებდნენ,
მეჩვენებოდა, მთელი წუთი დაძაბული
ვდგევარ და ველოდები, როდის აივსე-
ბიან-მეთქი მისი თვალელები. სახე გაფი-
თრებოდა, თითქოს ერთიანად დასცლო-
და სისხლისაგან, ოდნავ გაელო პირი,
ტუჩებიც უფერული ჰქონდა, იმ რეზი-
ნის რგოლს მიუგავდა, რომლითაც ქა-

ლები მურაბის ქილება ხუფაკენ ხოლმე,
მერე, თანდათან, თვალელებში — მარე,
საშინელი ლალატის გამომეტყველება
ჩაუდგა. „ეი, მაგრამ, ეს ხომ... ეს ხომ...
მე კი ხელზე ვაკოცე“. თქვა, არა, დაი-
ჩურჩულა შეძრწუნებულმა; „ხელზე ვა-
კოცე!“ სიცილი აუვარდა, თანდათან
უწევდა ხმას, მერე სიცილი კვილიში
გადაიხარდა, თუმცა, ჯერ მაინც სიცი-
ლი ეთქმოდა, კვილი და სიცილი ერ-
თად, ცდილობდა როგორმე ჩაეხშო ეს
ხმა, პირზე ხელს იფარებდა, მაგრამ ხმა
თითებშია მოკონავდა, ნარწყვევივით
თან, წამითაც არ მამოვრებდა უნდო-
ბელ, მოტყუებულ თვალეებს.

„ლუკინია!“ თქვა მამიდა ჯენიმ. ორი-
ვენი მიუახლოვდნენ. ლუკინიამ ხელი
მოხვია, დრუხილა დაეინებით მიაკცე-
რდა.

„ხელზე ვაკოცე, ლუკინია!“ იყვირა
მან. „დაინახე? ხელზე ვაკოცე!“ ისევ
აუვარდა სიცილი, მერე სიცილი ისევ
კვილიში გადაიხარდა, თუმცა, ისევ სი-
ცილი იყო, ისევ ცდილობდა ხელით
ჩაებრუნებინა უკანვე, როგორც ბავშვი
იჩრის ლუკმას გამოტენილ პირში.

„ზემოთ აიყვანე!“ თქვა მამიდა ჯენიმ.
თუმცა, ისედაც უკვე კარებშიცენ მიდი-
ოდნენ, ლუკინიას ლამია ხელში აეტა-
ტებინა დრუხილა, კარება რომ მიუახ-
ლოვდნენ, სიცილი შეწყდა, მაგრამ,
როცა ვეებერთელა, გაჩახახებულ ჰო-
ლში გავიდნენ, თითქოს მხოლოდ ამა
ელოდან, ხელახლა იფეთქა ახალი ძა-
ლით. მერე, საბოლოოდ დაისადგურა
სიჩუმე; მე და მამიდა ჯენი მონუსხუ-
ლებივით ვიდექით და უცებ, ისევ ვიგ-
რძენი, სული მეხუთებოდა. მოწოლილ
გულსარევასავით ვგრძნობდი, თითქოს
არც ამ ოთახში, არც მთელ ამ სახლში
და საერთოდ არსად, მძიმე, ცხელი, ჩა-
მოწოლილი ცის ქვეშ, ჯერაც რომ არ
ეტყობოდა ბუნების არავითარი ნიშან-
წყალი, მისხალი ჰაერიც არ დარჩენი-
ლიყო ჩასასუნთქი. ეხლა უკვე მამიდა
ჯენიმ გაიმეორა ჩემი სახელი ორჯერ,
ვიდრე მის ხმას გავიგონებდი. „შენ მის
მოკვლას არ აპირებ. გაიარდ. ჰოდა,
ძალიანაც კარგი“.

„ძალიანაც კარგი!“

„ჰო, ძალიანაც კარგი. ნუ აყვები დრუზილას. საცოდავ, აღზნებულ დრუზილას. ნურც იმას, ბაიარდ, ნურც იმას, რადგან ის, უკვე მკვდარია; ნურც ჯორჯ უაიატსა და საერთოდ ნურც ნურავის, ვინც სახვლიოდ გელოდებიან. მე ვიცი, შენ არაფრის გეშინია“.

„კი, მაგრამ რას შეცვლის ეს?“
 ეთქვი მე. „რა სიკეთეს მოგვიტანს?“
 მაშინ უკვე ლამის დამხარჩო სულისხმეთვამ, კიდევ კარგი, დროზე შევავიერე, დროზე მოვასწარი. „მთავარია, მე ვიყო ჩემ თავთან მართალი, გესმის?“

„ესე იგი, დრუზილა არაფერ შუაშია? არც ის? არც ჯორჯ უაიატი და არც ჭეფერსონი?“

„ჰო, არაფერ შუაშია“.

„მოდი, შეგპირდი რომ ხვალ დილით ჩემს უნახავად არ წახვალ ქალაქში“. მაშიდა ჭენის შევხედე; ცოტა ხანს, ასე შევცქეროდით ერთმანეთს. მერე, ხელები მხრებზე ჩამოაწყო, მაკოცა და აველოდებოდა. „ლამე ნებისა, შვილოო“ — მითხრა და წავიდა. ახლა კი, შეიძლება დაწყებულიყო სულისხმეთვა. ვიცი, ერთი წუთის მერე შევხედავდი და დაიწყებოდა კიდევ, მაგრამ მაინც შევხედე, ღრმად ჩავისუნთქე, მოვეშალე და შევხედე. თან ვფიქრობდი, ალბათ „შშვილობით, მამა“ უნდა ვუთხარა-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს. მერე ოთახი გადავქერი, პიანინოსთან მივდი და დამბახები ფრთხილად დაეწყვე ზედ, ჯერ ისევ ვცდილობდი, უცხად არ ამვარდნოდა ხამაღალი ქოშინი. მერე გარეთ, ბანზე გავედი და (არ ვიცი, რამდენი ხნის შემდეგ) ფანჯარაში შემოვიხედე: მის გვერდით, სკამზე, საიშონი ჩამომჯდარიყო. საიშონი ოშშიც თან ახლდა, მისი ფარეში იყო, შინ რომ დაბრუნდნენ, იმავეც სამხედრო ფორმა ეცვა — კონფედერატთა რიგითის მანარა, ოლონდ ზედ. იანკების გენერლის ვარსკვლავი დაეხნია; ახლაც ის მანარა ჩაეცვა, ისიც მამაჩემივით გამოწყობილიყო, სკამზე იჯდა. არ ტიროდა, თეთრკანიანივით არ ღვრიდა ფუქ, უმაქნის

ცრემლებს, ზანგებს ხომ საერთოდ არცა სჩვევიათ ეგები: უბრალოდ გაუნძრევლად, ჭვედა ტუჩი ოდნავ ჩამოვარდნოდ; ხელი ასწია და თავისი შავი, უხეში, ხმელი მტვეანით, ფიჩხის კონას რომ მიუგავდა, კუბოს შეეხო, მერე, ისევ ჩამოუვარდა ხელი; ერთხელ თავიც მოაბრუნა და იმისი წითლად აელვებული, გაშტერებული, კუთხეში მიმწყვდელი მელის თვალებიც დაინახა. აი, სწორედ მაშინ დაიწყო კიდევ: ვიდექი, სული მეხუთებოდა და სწორედ ეს იყო ყველაფერი — სინანულიც, ტყვილიც, საშინელი სასოწარკვეთაც, საიდანაც ტრაგიკული, უტყვი, უგონობელი ჩონჩხი წამომართულიყო — ყველაფრის მომთმენი, ამტანი და გადამტანი.

4.

ცოტა ხანში საცოდავი უფებურები მიჩუმდნენ და დილის პირველი ჩიტი, ჭაფარაც ამღერდა. ჭაფარა წუხელაც უსტეენდა, მთელი ღამე, ოლონდ დაბნეულად, მთელმარედ. ახლა კი უკვე ხალისიან დილის სიმღერას ამბობდა. მერე, ყველა ერთბაშად ახმაურდა — თავლასთან ბელურები ავიცილდნენ. მაშიდა ჭენის ბაღში შაშვი აჯახახადა, მინდვრიდან მწყურებამაც მოაწვდინეს ხმა, ნელ-ნელა სინათლაც შემოიჭრა ოთახში, მაგრამ, მაინც არ გავნძრეულვარ. ისევ ლოგინზე ვიწქეი (ტანზე არც გამიხდია) თავკვეშ ხელბამოწყობილი და გაბრუებული დრუზილას მოხერიკუდას სუსტი სურნელით, სკამზე მიგდებული ჩემი პიჯაკიდან რომ იფრქვეოდა: ეხედავდი, როგორ იკრებდა ძალას სინათლე, როგორ ვარდისფერდებოდა თანდათან ცა. უკანა ეზოდან სამზარეულოში ლუქინია შემოვიდა: გაცივონე, როგორ მიაჯახუნა კარი და როგორ ჩაყარა უთში საბუხზე შეშა. ცოტაც, და ჩვენი ეზო ეტლებით. ორთვალებითა და ცხენებით გაივებოდა. მაგრამ ჯერ არავინ ჩანდა, ჯერ იცდიდნენ. მზვერავდნენ — ვნაბოთ აბა, ერთი რის მაქნისიაო. ქვემოთ, სასადილოში რომ

ჩავედი, სახლში ისევ სიჩუმე იდგა, არავითარი ხმა არ ისმოდა საიშონის ხერხინვის გარდა, ეტყობა, ისევ ისე იჯდა სკამზე, თუმცა, დარბაზში არ შემიხედავს. სასადლო ოთახში ვიდექი, ფანჯარასთან, მერე ლუვინიას მოტანილი ყავა დავლე და თავლაში წავედი; ეზოში რომ მივაბიჯებდი, ვგრძნობდი, სამზარეულოდან ჯობი არ მაცილებდა თავს; თავლაში შევედი, ლუშს ხელში სამურველი ეჭირა და ბეტსის ფეხებთან ჩაცუტულიყო; იმანაც მაშინათვე ამომხედა, ქვეშ-ქვეშად, რინგოს კი ზედაც არ შემოუხედავს. მერე, იუპიტერი გავწმინდეთ. არ მეგონა, თუ მოვახერხებდით, რადგან ადრე, ყოველთვის მამა შემოდირადა ხოლმე თავლაში პირველი, ხელს გადაუსვამდა, წყნარად იდექო, ეტყობა და ისიც იდგა, მარმარილოს (უფრო ბრინჯაოს) ცხენივით, არც გატოკდებოდა, მანამ თავფეხიანად არ გააკრიალებდა ლუშში. ახლა კი, მეც გამიჩერდა, მართალია ცოტას ცქმუტავდა, მაგრამ გამიჩერდა; მერე, ამასაც მოვრჩით; უკვე თითქმის ცხრაც შესრულებულიყო, საცაა გამოჩნდებოდნენ კიდევ და რინგოს ვუთხარი, ბეტსი სახლთან მოიყვანე-მეთქი.

მერე სახლში შევბრუნდი, ისევ პოლში შევედი. სული წუხანდელივით აღარ მეხუთებოდა, მაგრამ ჰაერი მაინც არ მყოფნიდა, განუწყვეტლივ ვგრძნობდი გაყურსულ სულისხუთვას, საერთო გარდაქმნის, საერთო ცვლილების ნაწილად ქვეული, ვერაგულად რომ ელოდა თავის ეამს; თითქოს, რაკი მამაჩემი გარდაცვლილიყო და სააქაოს ჰაერიც აღარაფერში სჭირდებოდა, მთელი ჰაერი, რაც კი მიეთვისებინა, რაც კი ჩაეცია, რაც კი ჩაემწყვდია თავისსავე ამოყვანილ კედლებს შორის — თან წაედო, სულ მისხალ-მისხალ. მამიდა ჯენი მელოდა; მაშინათვე გამოვიდა სასადლო ოთახიდან, უხმაუროდ, უკვე გამოწყობილიყო, უკვე დავეარცხნა და დავაგებინა მამაჩემისნაირი თმა, თვალუბიც მამაჩემისა ჰქონდა, თუმცა, მაინც სწავნიარი, მაინც განსხვავებული, რადგან სიმკაცრე კი არ ჩაბუდებულიყო

მათში, არამედ უსაზღვრო გულისხმიერება და სევდა, თანაც (აკვირვებო: ბრძენი იყო-მეთქი) ეს თვალუბი სიბრალოლთაყ არ მიცქერდნენ. „უკვე მიდიხარო?“ — მეითხა.

„ჰო“-მეთქი. — მადლობა ღმერთს, მის თვალუბში სიბრალოლის ნატამალიც არა ჩანდა.

„ძალიან მინდა, ჩემზე ცუდი არ იფიქრო“.

„არც ვიფიქრებ“, — შიობრა მამიდა ჯენიმ. „გინდაც მთელი ღღევანდელი ღღე თივის ზეინში დამალულმა გაატარო, მაინც არ ვიფიქრებ“.

„იქნება მეთქვა რომ მივდივარ? მაინც რომ მივდივარ?“

„არა“. თქვა მან. „არა, ბაიარდ“. ერთმანეთს შევცქეროდით. მერე წყნარად შიობრა: „კარგი, უკვე გაიღვიძაო“. მეც კიბეს ავუყუვე. ნელა ავდიოდი, აუჩქარებლად, რადგან ნაბიჯი რომ ამჩქარებინა, ისევ შემეხუთებოდა სული, ყოველ შემთხვევაში, წამით მაინც მომიწყვდა სულის მოსაბრუნებლად შეჩერება და მაშინ, ველარაფრით გავაგრძელებდი გზას. ამიტომაც ავდიოდი ნელა, არა ეჩქარობდი, მერე დერეფანს გავუყუვე, მის კართან მივედი, დავაკაკუნე და შევალე. ის ფანჯარასთან იჯდა, რაღაც მსუბუქი, ფაშფაშა დილის სამოსი ეცვა, ოღონდ ეგაა, თავის საძინებელ ოთახში ახლადგაღვიძებულ ქალს სულაც არ გავდა, ალბათ იმიტომ, გრძელი თმა რომ არ ეფინა მხრებზე. ამომხედა, ისევ უწინდებურად იჯდა, გაუძირველად, და თავისი აღზნებული, აელვებული თვალუბით მიყურებდა; გამახსენდა, ლილ-კილოში ჯერაც რომ მეგნია მოზერკიუდას რტო. უცბად, ისევ აუვარდა სიცილი. სიცილი ყელიდან კი არ ამოსდიოდა, თითქოს ოფლივით უკვარავდა მთელ სახეს, რაღაც მტკივნეული, მტანჯველი კრუნჩხვა ახლდა ამ სიცილს თან, როგორც გულისრევას, როცა, ლამისაა ეჭვი ამოგიტრიალდეს და მაინც უნდა აღებინო, კიდევ და კიდევ — სიცილს მთელი სახე დაეპყრო, ოღონდ თვალუბი არა, აელვებული, ურწმუნო თვალუბი, ამ ყოვლისმომცველი სიცი-

ლიდან რომ იმზირებოდნენ, თითქოს ვიღაც სხვას ეკუთვნოდნენ, თითქოს კუპრისა და ნახშირის გაქვავებული ნამტვრევები ეყარნენ მდულარეთი სავსე ქვაბის ძირზე. „ხელზე ვაკოცე! ხელზე ვაკოცე!“ ოთახში ლუწინია შემოვიდა, ეტყობა, ფეხდაფეხ გამომაყოლა მამიდა ჭენიმ; მერე ისევ ნელა, აუჩქარებლად ჩაუყუცი კიბეს, ისევ ყოველნაირად ვიკავებდი თავს, სული რომ არ შემხუთვოდა; ქვემოთ, პოლში, ჭილის ქვეშ, მამიდა ჭენი იდგა და მელოდებოდა, ზუსტად მისის უილკინსივით. ხელში ჩემი ქუდი ეჭირა. „გინდაც მთელი დღე თივის ზეინში დამალულმა გაატარო, გესმის ბაიარო?“ მითხრა მამიდა ჭენიმ. ქუდი გამოვართვი: მერე წყნარად, რადიკალური მოკრძალებითაც, თითქოს უცხოა, სტუმარს ელაპარაკებო, დაიწყო: „ალყაშემორტყმულ ჩარლსტონში, ბლოკადის მიუხედავად, ბეკრი მოდიოდნენ ჩვენს დასახმარებლად. იცი, გარკვეული თვალსაზრისით, ისინი გმირები იყვნენ იმიტომ არა, კონფედერატებს რომ ედგნენ მხარში გაქირვების ეამს, უბრალოდ, ჩვენც ისეთივე გმირებად ვთვლიდით მათ, როგორი გმირებიც თავის დროზე დღევ კოკეტი და ჯონ სევიე იქნებოდნენ პატარა ბიჭების ანდა ქარაფშუტა გოგონების თვალში. ერთი ერთი იმათში, ინგლისელი. ისიც, სხვებივით, ეტყობა, მარტო ფულის შოვნის სურვილს ჩამოეყვანა, თუმცა, ჩვენთვის მაინც დღევ კოკეტი იყო, რადგან მამინ აღარავის გვახსოვდა ფული, ანკი ოა თავში ვიხლიდით. ერთ დროს ისიც ჭენტლმენი უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, სანამ სახელს გამოიცვლიდა, ნამდვილად ჭენტლმენებში ექნებოდა საქმე; შვიდი სიტყვის მეტს არა ხმარობდა, მაგრამ, უნდა გამოგიტყდე, ამ შვიდი სიტყვითაც მშვენივრად გადიოდა იოლას. ჭერ იტყოდა — „გმადლობთ, მე რომ დავლევო“, მერე კი, რომს რომ მოუტანდნენ, შამპანურის წრუპვით გართულ რომელიმე მაქმანებთან თუ ღრმა დეკორტიან კაბაში გამოწყობილ მანდილოსანს მიუბრუნდებოდა ხოლმე და „ღმერთმა სიმწარე

გვაშოროსო“ — მოაყოლებდა ლმობით-მა სიმწარე გვაშოროს, ბაიარო. რინგო და ბეტსი კიბესთან შელოდნენ. რინგოს არც ახლა შემოუხედავს ჩემთვის, პირქუში სახე ჰქონდა, თავი არ აუწვევია, ისე გამომიწოდა ლაგამი. კრინტი არ დაუძრავს, არც მე გამიცია ხმა. მართლაც დროზე მოვასწარი ყველაფერი: გასული არც ვიყავი ეზოდან, კომპსონების ეტლმა ჩვენი ჰიშკრისკენ რომ გადმოუხვია. გენერალმა კომპსონმა ქულდ მოიხადა და ისე მომესალმა, მეც ქულდის აწევით ვუპასუხე. ქალაქამდე ოთხი მილი მქონდა გასაყლეული, მაგრამ ნახევარი გზაც არ გამეწლო, ზურგსუქან თქარათქური რომ შემომესმა; მაშინათვე მივხვდი, რინგო იქნებოდა. უკან არც მიმიხედია — ფურგონში შესაბამელ ჯაგლაგზე იჯდა, მერე გამისწორდა და ასე მოაქნებდა ცხენს ბოლომდე, გვერდში ამომდგარი, ერთხელ პირდაპირ სახეშიც შემომაცქერდა, პირქუში, სერიოზული, გაფაციცებული და ჩაწითლებული თვალები გამომწვევად უელავდა; უხმოდ მივაქნებდით ცხენებს. მერე ქალაქში შევედით და გრძელი, დაჩრდილული ქუჩით მოედანს მივაშურეთ, სადაც სასამართლოს ახალი შენობა იდგა; უკვე თერთმეტი შესართლებულიყო: ქალაქში საუზმე დიდი ხნის წინ მოგმთავრებინათ, შუადღე კი ჭერ არ დამდგარიყო და ქუჩაშიც ქალების მეტი არავინ ჰქანებდა; მე ვერა მცნობდნენ, ყოველ შემთხვევაში, ჩემს დანახვაზე ტყვიანაკრავებივით არ უშეშდებოდათ ნაბიჯის გადასადგმელად აწეული ფეხი, ეტყობა, მანამ მოედანზე არ გავიდოდი, ვერც შემამჩნევდა ვერავინ, ენატრობდი კიდევ, ნეტავ ვერ შემამჩნიონ, ნეტავ უჩინმაჩინად მაქცია. კიდრე მის კანტორას მივადგები და კიბეს აუყუცი-მეთქი, მაგრამ არ გამოძარტოლა, ვერ ვიქეცი უჩინმაჩინად: პოლსტონის სახლს რომ გავუწოვდი, თვალი ვკიდე, როგორ უცბად, უხმაუროდ და ერთდროულად შეებო მიწას გალერეის მოაჯირზე ჩამოკონწილებული ფეხების მთელი რიგი, თუმცა, თავი არ მიძიბრუნებია იქით, იმათთვის არ შემიხედავს.

მერე ბეტაი შევაყენე, მოვიცადე, ვიდრე რინგო ჩამოქვეითდებოდა და მეც ჩამოვხტი, სადავე რინგოს მივუგდე და „აჰ, მომიცადე-მეთქი“ — ეუთხარა. „მეც მოვდივარ“, თქვა რინგომ, ხმადაბლა: გაფაციცებული, დაძაბული თვალებით გარშემორტყმულნი ვიდექით და შეთქმულებივით ვჩურჩულვდით. მერე, დამბაჩა დავინახე, უფრო სწორად, დამბაჩის ლანდი რინგოს პერანგში, ალბათ იმ დამბაჩისა, გრამბის გვამს რომ ავართვით.

„არა, დარჩი!“ ეუთხარა ისევ.

„მოვდივარ-მეთქი“.

„დარჩი“. მერე წავედი, კაპასი მზით გახურებულ ქუჩას გავუყევი. თითქმის უკვე შუადღე ჩამოწვერილიყო, ვერავითარ სუნს ვერა ვგრძნობდი, გარდა ჩემს პიჯაკზე მიბნეული მოზვრიკუდას სურნელისა, თითქოს მოზვრიკუდას შეეწოვა და შეესრუტა მზეცა და ეს გაქვავებული, გამთანგველი სიცხეც, ბუნიობის ნიშან-წყალი ჯერაც რომ არ ეტყობოდა; მივდიოდი, მივაბიჯებდი მოზვრიკუდას ღრუბელში გახვეული, თითქოს გარშემო სიგარის ბოლი შემომგრაგნიო. მერე, გვერდში ჯორჯ უიატი ამომიღგა (არ ვიცი, საიდან გაჩნდა), რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მამაჩემია ხუთი-ექვსი სხვა თანამებრძოლიც მოგვეყვებოდა, ჯორჯმა მკლავში ხელი გამომდო და სადარბაზოში შემოიყვანა — მსუნაგ, სუნთქვაშეკრულ თვალებს გამარბდა.

„თანა გაქვს დერინჯერი?“ მკითხა ჯორჯმა.

„არა“. ეთქვი მე.

„პალიანაც კარგი“, მითხრა ჯორჯმა.

„დერინჯერთან ხუმრობა არ ივარგებს. პოლკოვნიკის გარდა, ხეირიანად არც არავინ იცოდა მისი ხმარება; მე, მაგალითად, ვერაფერი გავუგე. აი, ეს გამომართვი. დილას გავსინჯე, წუნს ვერ დასდებ. პა!“ უკვე ჩიბეში მჩრიდა დამბაჩას, მერე, ეტყობა, იმასაც იგივე დაემართა, რაც წუხელ დრუზილას, ხელზე რომ მკოცნიდა — ერთმა უბრალო შეხებამ, ისევ ტვინის ჩურჩევლად, მაშინათვე გააღიზიანა რაღაც, რაღაც ისე-

თი, რაც პირდაპირ უკავშირდებოდა იმ მარტივ კანონებს, რომელთა კარნახითაც ცხოვრობდა ჯორჯი ამ ჰვეყანაზე: მამანათვე უკან დაიხია, დამბაჩა ჯერაც ხელში ეჭირა, უფერული, შეურაცხყოფილი თვალებით შემომცქეროდა და რისხვისაგან გაწვრილებული ხმით ჩურჩულვდა: „არა, შენ სარტორისი არა ხარ! ლმერთმანი. შენ თუ არ მოკლავ, მე ვითავებ ამ საქმესო“. ახლა უკვე სულის ხუთვის კი არა, დრუზილასავით გადახარხარების საშინელი სურვილის ჩახშობას ვცდილობდი, მინდოდა მეთქვა — დრუზილამაც ესა თქვა-მეთქი, მაგჯრამ აღარ ეუთხარა. სულ სხვა რამე ეთქვი.

„დამაცადეთ, მე მოვაგვარებ-მეთქი ყველაფერს, დახმარება არა მჭირდება მეთქი“. და ჯორჯის განრისხებული თვალებიც ნელნელა დამშვიდდნენ, თითქოს ლამპას ჩაუწიესო.

„კარგი“ — თქვა ჯორჯმა, თან ისევ ჩიბეში ინახავდა დამბაჩას. „უნდა მამატიო შეილო. განა არ ვიცი, ისეთს არაფერს ჩაიდენ, მამაშენს მშვიდი ძილი რომ დაუფრთხო. ჩვენ უკან გამოგვევებით და კიბესთან დაგელოდებით. გახსოვდეს: მამაცი კაცი კია, მაგრამ გუშინ დილას აქეთ მარტოდმარტო ზის ოთახში და შენ გელოდება, ნერვებიც, ალბათ, დაქიმული ექნება“.

„დავიხსომებ“. ეუთხარა მე. „დახმარება არა მჭირდება“. უკვე წასვლას ვაპირებდი და „ღმერთმა სიმწარე გვაშოროს-მეთქი“ — წამომცდა ჩემდა უნებურად.

„რაო?“ მკითხა იმან. არ მიპასუხია. უკვე შუა მოედანზე მივაბიჯებდი. მწველი მზის გულზე, ყველანი შორიახლოს მომდევდნენ, თუმცა, ვიდრე ყველაფერი არ დამთავრდა, ისინი აღარც დამინახია, მივაბიჯებდი და იმთ ფართულ, დაყინებულ მხერას ვგრძნობდი. დუქნებისა და სასამართლოს წინ რომ გაქვავებულიყვნენ მოლოდინად ქცეულნი, აუჩქარებლად მივაბიჯებდი, მოზვრიკუდას რტოს გამძაფრებელი სურნელით გარემოცული. მერე ჩრდილი დამეცა; ნაბიჯი არ შემინელებია, ერთი კი ავხე-

დე ფერგადასულ აგურზე მიკრულ წარწერას — „ბ. ჯ. რედმონდი. ვეჭილი“.

— და კიბეს აუფყვი — სამართლის სატყბუნელად წამოსული სოფელუბის უხეში, გაუბედავი ფეხსაცმელებით გაცვეთილსა და თამბაქოს ნაპურკუით დალაქავებულ საფეხურებს, გავიარე ჩაბნელებული დერეფანი, მივადექი კარს, რომელზედაც ისევ „ბ. ჯ. რედმონდი“ ეწერა, ერთხელ დავაკაუნე და შევადე. მაგიდასთან იჭდა, მამაჩემზე არც ისე ბევრად მალალი, თუმცა გაცილებით უფრო სქელი, როგორც ყველა ის კაცი, ვისაც, თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე, ერთ ადგილას ჯდომა და სხვათა მოსმენა უწყევს, სუფთად პირგაპარსული და გამოწყვებილი; ვეჭილი კი იყო, მაგრამ ტანთან შედარებით გაცილებით უფრო გამზდარი მინი სახე, გატანჭული და დაქანტული (თან ტრაგიკულიც, ახლა დაბეჭითებით შემოძლია ამისი თქმა), რომელსაც სამართებლის ახალთახალი, აშკარა, თანაბარი ნაკვალევი აჩნდა, სრულებით არა ჰგავდა ვეჭილისას; მაგიდაზე დამბაჩა ეგდო, დაუღვერად, აიყარიღეს დამიზნებელი. კობტა, სუფთა, დაბინდულ ოთახში არც სასმელის სუნი იღგა და არც თამბაქოაი, თუმცა, ვიცოდი რომ ეწეოდა. არ შეეჩერებულვარ. პირდაპირ მისკენ გავემართე, აუჩქარებლად. კარებიდან მაგიდამდე ოცი ფუტიც არ იქნებოდა, ოღონდ, ეტყობა მთვარეულივით მივაბიჯებდი და ვერც დროს ვგრძნობდი, ვერც მანძილს — თითქოს, ჩემი სიარულიც ისევე არ გულისხმობდა მანძილს გავლას, როგორც იმიტი ჯდომა. ხმა არცერთს არ ამოგვიღია. ეტყობა, ორივემ წინასწარვე ვიცოდი ერთმანეთის სათქმელი და სიტყვებით უნაყოფობასაც ვხვდებოდით: იმას რომ ეთქვა „წადი, ბაიარდ, აქედან მომშორდიო“, მერე კი მოუყოლებინა „მამონ ისროლე მაინც, ნუ გეშინია, დაგაციდიო“ — სულერთია, არაფერი შეიცვლებოდა და ყველაფერი ისევე მოხდებოდა, გინდაც საერთოდ არ დაეძრა კრინტი. ამიტომაც არ ვიღებდი ხმას; ებრალოდ, მისკენ მივდიოდი აუჩქარებლად და დამბაჩის ლულაც ნელ-ნელა

ზევიოკენ იწეოდა. ვუყურებდი დამბაჩის ლულას და ვიცოდი, ტყვიამდეც ბოდა, თუმცა, ხელი ოდნავადაც არ უთრთოდა. მისკენ მივდიოდი, გაქავებულ ხელში ჩაბლუქული დამბაჩისაკენ, ტყვიის წივილი არ გამოგია. შეიძლება, არც გასროლის ხმა გამოგია, თუმცა მახსოვს, როგორ ავარდა ბოლი და როგორ იელვა უცებ ნარინჯისფრად მის ქათქათა პერანგზე, ზუსტად ისე, როგორც გრამბის გაზინთულ კონფედერატულ მაზარაზე; მე ისევ დამბაჩის ლულას მივშტერებოდი, რომელიც, ვიცოდი, ჩემსკენ არ იყო მოშვერილი; მერე კი, ისევ დავინახე ნარინჯისფერი აფეთქებაცა და კვამლიც, მაგრამ, ტყვიის წივილი არც ამჯერად გამოგონია. გაეჩერდი; მე ჩემი უკვე გაკეთებული მქონდა. ვხედავდი, როგორ ეშვებოდა დამბაჩა ისევ მაგიდისაკენ, მოკლე-მოკლე ბიძგებით; მერე დამბაჩას ხელი გაუშვა და საყარძელში გადაწევა, ხელები კი მაგიდაზე ეწყო; სახეში შევხედე და გავუგეჯედი, მეც გამოცდილი მქონდა, როგორია — როცა ჩასუნთქვა გინდა კაცს, ირგვლივ კი თითქოს მისხალი ჰაერიც აღარ დარჩენილა. მერე წამოდგა, ერთიანად აცახცახებულმა სკამი უკან გასწია და წამოდგა, რაღაც უცნაურად ჩაელუნა თავი, გვერდზე გადაეგდო; ასე გვერდზე თავგადაგდებულმა ერთი ხელი წინ გაიშვირა, თითქოს ვერაფერს ხედავდა, ხოლო მეორეთი მაგიდას დაეყრდნო. ეტყობა, ფეხზე დგომა უჭირდა. ბოლოს, შეტრიალდა, კედელთან მივიდა, საკიდიდან ქულე ჩამოხსნა და ისევ ისე, თავჩაღუნულმა და ხელგაწევილმა, კედელკედელ ჩამოიარა გვერდით; კარს მიავანო და ოთახიდან გავიდა. მამაცი კაცი იყო, ვერავინ უარყოფდა. მერე კიბე წაათვა და ქუჩაში გავიდა, სადაც ჯორჯ უაიტი და მამაჩემის კიდევ ექვსი სხვა თანამებრძოლი იცდიდა და სადაც, ახლასხვებაც იყრიდნენ თავს; შუაში გაუარა შეჭგუფულ ხალხს, თავაწეულმა, ქედდახურულმა (მოთხრეს, როგორ მიამაზა თურმე ვილაკამ „რა ქენი, ის ბიჭიც მოკალიო?“), კრინტი არ დაუბრავს; პირდაპირ იყურებოდა, მერე ზურგი

შეაქციათ, სადგურში გავიდა, სადაც ის-ის იყო სამხრეთისკენ მიმავალი მატარებელი ჩამომდგარიყო, ჩაჭდა ამ მატარებელში, ასე ცარიელ-ტარიელი და სამუდამოდ გადაიკარგა ჭეფერსონიდანაც და საერთოდ მისიისის შტატიდანაც.

ჭერ კიბეზე ატყდა ფეხების ბრაგამრუჯი, მერე დერეფანში, ბოლოს კი ოთახშიც შემოცვივდნენ, მაგრამ ცოტა ხანს (არც ისე დიდხანს, რა თქმა უნდა), მე ისევ მაგიდასთან ვიჭექე გაუნძრევლად, რედმონდივით, თავი ხელზე მედლო, ხელი კი ჭერაც თბილ პისტოლეტზე; ვგრანობდი, თანდათან როგორ მიბუდებოდა, პისტოლეტა და შუბლს შორის მომწყვედფული ხელი. მერე თავი ავწიე; პატარა ოთახი ხალხით იყო სავსე. „ღმერთო დიდებულო!“ შესძახა ჯორჯ უაიატმა. „დამბაჩა წაართვი და ააცილე, ორჯერ ააცილე?“ მერე, საკუთარ თავს თვითონვე უპასუხა — დრუზილასეულმა, ძალადობას შეჩვეული კაცის ინსტინქტმა უშველა, იმან უკარნახა ჭეშმარიტება: „არა; მოიცა. შენ აქ ისე შემოხვედი, ჭიბეში ჩაყვაც არა გდებია და დააცადე, ვიდრე ორჯერ აგაცდენდა ტყვიას. ღმერთო, შენი სახელის ჰირიმე!“ ხალხისკენ შებრუნდა და დაიღრიალა: „გადით აქედან ყველანი! შენ, უაიატ, სარტორისებთან გაქანდი, უთხარი ყველაფერი დამთავრდა და ბიჭი სალსალამათი გადაჩაბტო. მიდი, დროზე!“ ყველანი გაიკრიფნენ, გაგვეცალნენ; მალე ოთახში მარტო ჯორჯილა დარჩა, თავისი უფერული, დაღვრემილი, ჭკვიანი თვალებით შემომჰცქეროდა, რომლებიც არაფრის ახსნასა და გაგებას აღარ ცდილობდნენ. „ღმერთო ჩემო, ღმერთო დიდებულო“, თქვა ისევ. „...დალევა ხომ არ გინდა?“ „არა“. ვთქვი მე. „შნია. ლუკმა არ ჩამსვლია დღეს პირში“.

„რა გასაკვირია, როცა ასეთ რამეს აპირებდი. წამო. პოლსტონთან ჩავიდეთ და შევქამოთ რამე“.

„არა“, ვუთხარი მე. „არა. იქ არა“.

„რატომაც არა? სასიროცხვილო შენ არაფერი ჩავიდენია. მე, მაგალითად,

ამას ვერ მოვახერხებდი. ერთხელ მაინც ვესროდი, ღმერთმანი, უთმეცე, შენის საქმისა შენ იცი. ან, იქნება ნანობ?“

„არა“. ვთქვი მე. „კიდევ რომ დამკვირდეს, ალბათ ზუსტად ასევე მოვიქცევი“.

„ეჰ, რა ვიცი, რა ვიცი, მე კი ეგრე არ შემიძლია და... იქნებ ჩემთან შეგვევლო? შევქამდით კიდევ და დროზეც ჩავუსწრებდით...“ არა, არც ეს შემეძლო.

„არა“, ვუთხარი ისევ. „მაინცდამაინც არცა შნია. პირდაპირ: წავალ“.

„ცოტა მოგეცადა, ერთად წავსულიყავით“.

„არა. ბარემ წავალ“.

„ქარგი. თან აქაც უყვე აღარაფერი გვესაქმება“. ოთახი შეათვალიერა, დენთის სუნი ჭერაც იგრანობოდა, ჭერაც გაწოლილიყო ცხელ, მკვდარ ჰაერზე, თუმცა ბოლო ერთიანად გაფანტულიყო; ჯორჯს ოდნავ მოეჭტა მკაცრი, უფერული, მშვიდი თვალები. „ღმერთო დიდებულო“, წამოიწყო ისევ. „ისე, კაცმა რომ თქვას, იქნებ მართალიცა ხარ, იქნებ ეყოფა თქვენს ოჯახს სისხლისღერა... წამო, წავიდეთ“, გარეთ გამოვედით. ცოტა მოვიცადეთ კიბესთან და რინგოც მოვიდა ცხენებით. ისევ გადაკვერით მოედანი. პოლსტონის სახლის მოაჯირზე ფეხების რიგი აღარ მოჩანდა (უყვე თორმეტი შესრულებულიყო), თუმცა, კართან მაინც იდგა ერთი ჭგუფი, ქუდების აწვეით მომესალმნენ, მეც ქუდი ავუწიე და ისევ განვაგრძეთ გზა.

მაინცდამაინც არა ვჩქარობდით. მალე პირველი საათი გახდა, იქნებ, გადასცილდა კიდევ; ცოტა ხანში, მთელი ქალაქის ეტლები და ფაეტონები ჩვენსკენ დაიძვრებოდნენ; გზიდან გადავუხვიე, სამოვრის ბოლოში, და ცხენი შევაყენე, ვცდილობდი ძირს ჩამოუსვლელად, ცხენიდანვე გამელო ჭიშკარი, მანამ ვიცოდვილე, ვიდრე რინგო არ ჩამოკვეითდა და ჭიშკარი არ გაალო. ცხელი, თაყარა მზით განათებული სამოვარი გადავსერეთ; აქედან სახლი კარგად ჩანდა, თუმცა, სახლისკენ არც გამოხვდია. მერე ჩრდილი ვიპოვეთ, ნაკადულის პი-

რას განმარტობელი. ჩახუთული: ბუჩქნარში, სადაც ოდესღაც იანკების ჯარების დასამალად საჩეხი ავაშენეთ. ისევ ეყარა ძველი ფიცრები. მერე წყლის ხმაურიც გავიგონე, მალე ნაკადულის ზედაპირზე აცეკვებული მზის სხივებიც დავინახე. მე და რინგო ჩამოვკვეითდით. ზურგზე დავწექი და ვიფიქრე, თუკი ნებავს, ახლა შეუძლია დაიწყოს სულის ხუთვა-მეთქი, მაგრამ არ დაიწყო. დამეძინა. იქამდე დამეძინა, ვიდრე ფიქრს მოვრჩებოდი. თითქმის ხუთი საათი მეძინა, ღრმად, სიზმარი არ მინახავს, თუმცა ატირებულს გამეღვიძა, მწარედ მოვსტევაში. ძლივს დავწყნარდი. რინგო ჩემს გვერდით ჩაცუტქულიყო, მზე უკვე ჩააულიყო, ადღაცოდან რომელიღაც ჩიტი უსტკენდა: მერე, ჩრდილოეთისაკენ მიმავალი მატარებლის კივილმა და დამერისას რომ იცის ხოლმე, ისეთმა — მოკლემოკლე ჭახანმაც მოაღწია ჩვენამდე, ეტყობა, მატარებელი ჩვენს სადგურში შეჩერებულყო, ახლა კი, ისევ აპირებდა გზის გაგრძელებას. მალე დავწყნარდი, რინგომ თავისი ქუდით ნაკადულიდან წყალი ამომიტანა, მაგრამ თვითონ ჩავედი წყალზე და პირი იქ დავიბანე.

სამოვარს ჯერ ისევ ანათებდა ღლის აინათლე, თუმცა უფებურებს უკვე ამოვლოთ ხმა, სახლს რომ მივალწიეთ, მაგნოლიებში ჯაფარაც მღეროდა, ახლა ღამის სიმღერას, მთვლემარე, ბილმორეული ხმით. მთვარეც ისევ სველ ქვიშაზე დანატოვარ ქუსლის ანაბეჭდსა ჰგავდა. აინათლე მარტო ჰოლშიდა ენთო, ყველაფერი დასრულებულიყო, მაგრამ ყვავილების მძაფრი სუნი მაინც მცემდა და ამ სუნს, ჩემი მოზეროეუდაც ვერ აქარებდა. მამაჩემს არც გამოვმშვიდობებოვარ, დილით, წასვლის წინ დავპირე — შევალ და უკანასკნელად დავხედავ-მეთქი. მაგრამ აღარ შევსულვარ, იმისი სურათებიდან კი არცერთი არ ვარგოდა, რადგან სურათიც ისევე ვერ შეგვინარჩუნებდა მის სახეს, როგორც სახლი ვერ დაიცავდა და ვერ დაიფარავ-

და მის სხეულს ხრწნისგან. თუმცა, ანკი რად მინდოდა მისი ნახვა, მინდოდა იედაც აქ იყო, მარად აქ იქნებოდა კიდევ: ოცნებათ, დრუხილა რომ ამბობდა, შეიძლება იმას კი არ გულისხმობდა, რაც მამაჩემმა მოიპოვა და მოიხვეჭა, არამედ რაღაც სხვას, რაც დავკითოვა, რაც გვიანდეროა, რასაც ვერც ვერასოდეს დავივიწყებთ და რაც, მაშინათვე მამაჩემად განახეულდება, როგორც კი ნებისმიერი ჩვენთაგანი — შავკანიანი თუ თეთრი — თვალებს დახუტავს. შინ შევედი. სასტუმრო ოთახში შუტი არ ენთო, დასავლეთისკენ გაქრილი ფანჯრებიდან შემოღწეული მზის უკანასკნელი სხივებილა ანათებდნენ ოთახს, სწორედ იმ ფანჯრებიდან, სადაც მამაჩემმა მამიდა ჯენის ჩამოტანოლი ფერადი შუშები ჩაასმევინა: უკვე ზევით გაპირებდი ასვლას, როცა მამიდა ჯენი დავინახე, ფანჯარასთან იჯდა. ჩემთვის არ დაუძახია, არც მე მიკითხავს რამე, მხოლოდ კართან მივედი და იქ გავჩერდი. „წავიდაო“. თქვა მამიდა ჯენიმ. „სალამოს მატარებელს გაჰყვა. მონტგომერიში, დენისონთან“. დენი უკვე ერთი წლის დაოჯახებული იყო; მონტგომერიში ცხოვრობდა, სამართალს სწავლობდა იქ.

„გაააგებია-მეთქი“. ეთქვი. „ესე იგი, იმან...“ მაგრამ არც ამის კითხვას ჰქონდა აზრი. ჯედ უაიტი პირველ საათამდე გააგებინებდა ყველაფერს. ესეც არ იყო, მამიდა ჯენის მაინც არ უბასუხია. შეეძლო ტყუილი ეთქვა, მაგრამ არ მომატყუა, „აქ მოდიო“ — დამიძახა. მის სკამთან მივედი.

„ვერა გხედავ, დაიჩოქე“.

„ლამპას ავანთებ“.

„არა. დაიჩოქე“. სკამთან დავიჩოქე. „მამ, მშვენივრად გაატარე შაბათი, არა? ერთი მიაშბე“. მერე ხელები მხრებზე ჩამომაღო. ვხედავდი, როგორ იწვედნენ ზევით მისი ხელები, თან, თითქოს, მათ შეჩერებდასაც ცდილობდა, მაგრამ ხელები, თითქოს, აღარ ეკუთვნოდნენ, თითქოს ცალკე, დამოუკიდებლად არსებობდნენ და რაღაც ისეთის გაკეთებას

ლამობდნენ, რის შეჩერებასაც, ყოველ შემთხვევაში, დროებით გადადებას მაინც, ჩემივე სიკეთისათვის ყოველნაირად ცდილობდა მამიდა ჭენი. მერე გადაიფიქრა, ან იქნებ, ძალამ უმტყუნა, რადგან ხელებმა მაინც შუაში მოიქციეს ჩემი თავი, მაგრად ჩაბლუჯეს და უცებ, მამიდა ჭენის ცრემლები წასკდა, ცრემლებმა სწორედ ისე დაუცვარეს სახე, როგორც დრუზილას — სიცილიმა. „დაგწყევლოთ ღმერთმა სარტორისებიო“, თქვა მამიდა ჭენიმ. „დაგწყევლოთ! დაგწყევლოთ!“

ჰოლში რომ გავედი, სასადილო ოთახში სინათლე აინთო და გავიგონე, როგორ შეუღდა ლუვინია მაგიდის გაწყობას. კიბე კარგად იყო განათებული, მაგრამ ზემოთ ბნელოდა. მისი ოთახის გამოღებულ კარი დავინახე (ასე იმ ოთა-

ხის კარია ხოლმე ღია. ყველა მუხუჭვენი ცხოვრობს) და მივხედე, მაქამდეს არ მჭეროდა მისი წასკლა. ოთახში აღარ შემიხედა. ჩემსა შევედი. კარგა ხანს მეგონა, ისევ ღილ-კილოში დაბნეული მოზვრიკულდას სუნი მცემს-მეთქი. ასე მეგონა, ვიდრე საწოლთან არ მივედი და ბალიშს არ დავხედე: ბალიშზე ერთადერთი რტო იღო (არც შეხედავდა, ისე მოწყვეტდა ხოლმე რამდენიმეს და თან, ყველა ერთნაირი, ერთი ზომისა იყო, თითქოს ერთ თარგზე გამოუჭრიათ), სწორედ იმისი სურნელი ავსებდა ოთახს, ის განუმეორებელი სურნელი, რომელიც, დრუზილას თქმით, ყველაფერზე უკეთ ახშობდა ცხენების სუნს.

ინგლისურიდან თარგმნა

ზაზა პილანძი



ბარდაბანი—ფაქტების პრიზმაში...

ანგელაბ რუსიონილის იმაჟსები

მართლაცდა ყველა ღონისძიების ბედი, რაგინდ ეფექტური და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, პირად კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი გარკვეულწილად საზოგადოების კულტურულ-მატერიალურ მდგომარეობას ეფუძნება, ასე რომ დღის წესრიგში დგება ადამიანის ამ უმთავრესი თვისების ამომოძრავებელი ბერკეტების ძიება, ანუ, როგორც ეს 26-ე ყრილობის მასალებშია მოცემული — „კონკრეტული ზრუნვა კონკრეტული ადამიანისათვის, მისი აპტიროებისა და მოთხოვნებისათვის“.

კეთილსინდისიერება, მოწადინებულობა კი, მოგვსვენებათ, რთული თვისებებია. შესაძლოა, ადამიანში თავისთავად იყოს მოცემული კეთილი საწყისი, საქმისადმი ერთგულების გრძობა და სხვა დანარჩენიც, მაგრამ მისი ურთიერთობა გარესამყაროსთან ველარ იძენდეს სათანადო ცხოველყოფილებას, ე. ი. მიზანს ველარ აღწევდეს, საკუთრივ მისი პიროვნებისათვის სასურველი შედეგი ველარ მოჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში იგი თანდათანობით იძულებული ხდება „დაივიწყოს“ ეს თვისებები, საერთოდ, ადამიანებს გააჩნით თავიანთი შინაგანი საზოგადოები. ანდრეჟუანი მათ ჰკარნახობს, რომ დათესი-

ლა და მოწეულს შორის რაღაც გარკვეული თანაფარდობა და ერთგვარი ჰარმონიულობა უნდა არსებობდეს, ესე იგი, გაცემულსა და მიღებულს შორის გარკვეული ბალანსირება უნდა წარმოებდეს... ეს მარადიული და საყოველთაო კანონია და ამ შინაგანი წონასწორობის შენარჩუნებაზე დიდად არის დამოკიდებული პიროვნების განწყობილება, მისი ცხოველუნარიანობა, საზოგადოებრივი აქტიურობა, ენთუზიაზმი...

გარდაბნელება კი ამ თვალსაზრისით ნამდვილად გაუმართლდათ. წლებადნული წლის შედეგები განსაკუთრებით იმედისმომცემი გამოდგა მათთვის, შედეგები პირადი და ასევე საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის.

ამაღლებული განწყობილება გადასდებოდა მეურნეობის დირექტორს ანგელატ რუსეიშვილსაც. და ეს ბუნებრივად იყო — მთელ რაიონს საზეიმო ელფერი მოსავდა ამ დღეებში, გაიმარჯვეა და დაუფასეს. აღიარეს, მადლობა მიაგეს. ახლა ჰქონდათ წუთშესვენების უფლება, გარდასული დღეების, გაწეული შრომის დინჯად თვალის გადევნების დრო, მომავალი ნახტომისათვის შინაგანი ძალების მოსინჯვის საშუალება. ანგელატის სიმშვიდე მის კაბინეტში თითქოს ნივთებზედაც გადასულიყო — აქ ყველაფერი ერთ საერთო მიზანს ემსახურებოდა — ნდობის გამართლებასა და, საბოლოო ჯამში, — გამარჯვებას. ეს კედლებზე გაკრული სკალები, დიგრამები, მოწოდებანი, განაწილები,

ბროშურები, დადგენილებანი, ცხრილები და მაგიდებზე დახვავებული სხვადასხვა მონაცემები თავისებურად გამოხატავდნენ იმ განვლილ გზას, რომელმაც მრავალი უძილო ღამე შეიწირა, მაგრამ უკვლად მაინც არ ჩაუვლია, თავისი კეთილისმყოფელი ნაყოფი გამოიღო...

— მეურნეობის წარმატების თქვენეულ საწინდრებზე ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდე სიტყვას? — ვკითხე ანგელატს — ჩვეულებრივად ამ დროს ხელმძღვანელები თავიანთ ორგანიზატორულ როლს აღნიშნავენ ხოლმე და ეს ბუნებრივიცაა, მშრომელთა საერთო მიზნისაკენ წარმართვის გარეშე, რაღა თქმა უნდა, რაიმე მნიშვნელოვან წარმატებაზე საუბარიც კი ზედმეტია, მაგრამ რამდენადაც გამარჯვება თავისთავში უკვე გულისხმობს და თავისთავად მოიცავს ამ მომენტს აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ერთადერთი ორგანიზაცია არ კმარა ყველა უბანზე წარმატების მისაღწევად, ცარიელი ენთუზიაზმით ჩვენს დროში შორს ვერ წავა ცალკეული ადამიანი, ასევე ნებისმიერი საწარმო-დაწესებულება, თუ იქ სხვა უფრო ქმედითი მომენტებიც არ არის გათვალისწინებული და მითუმეტეს — ისეთი მსხვილი კოლექტივი, როგორიც თქვენნი მეურნეობაა...

— მართალი ბრძანებაა, — მეთანხმება მასპინძელი, — თანამედროვე ადამიანმა, მით უფრო სოფლის მეურნეობის სპეციალისტმა აღნიშნულ საკითხს სწორედ ამ კუთხით უნდა შეხედოს — მხედველობაში მავს ის გარემოება, რომ ხალხისა და მშრომელთა ფართო მასების აღმძვრელი, საერთო საქმისაკენ წარმმართველი ზოგიერთი მექანიზმი ძველი მანქანის ლოკომოტივივით მოცვდა, თავისი დრო მოკავდა და ახლა ამ მამოძრავებელ ნაწილს გამოცვლა სჭირდება. მე პირადად ასე მესმის, ასე ესმით რაიონისა და ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობასაც. ამისი ნათელი დადასტურებაა ის საყოველთაო ნოვატორული მოძრაობა, რომელიც ამჟამად სუფევს მთელს ქვეყანაში და, რაღა თქმა უნდა, საქართველოშიაც. განსაკუთრებით საგრომობის იგი ჩვენს უბანზე — სოფლის მეურნეობის სფეროში. მიზეზები, რამაც გამოიწვია ამ სასიცოცხლო დარგის ჩამორჩენა, თქვენთვის გასაგებია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ, ოღონდ ერთს კი აღვნიშნავ, რომ ერთ-ერთი მთავარი წანამძღვარი ამ ჩამორჩენილობისა სწორედ იმ ძველი, მოცვეთილი ლოკომოტივების ფანტიკური ერთგულება გახლდათ. მეურნეობრიობის საერთო მექანიზმიდან გაცვეთილი ნაწილი რომც „განოცვალა“ ვინმეს, უცილობლად იგივე კონსტრუქციისა უნდა ჩაეყენებინა. მისი პრინციპული შეცვლა, დახვეწა, რაღაც მიმართებით სრულყოფა დანაშაულადაც კი იყო მიჩნეული. თქვენს შეკითხვას ნაწილობრივ ჩვენმა რეაქციამ უკვე გასცა მგონია პასუხი. ნათელია, რომ წარმატებისა და ამ შემთხვევაში არა მხოლოდ ჩვენი, კონკრეტული წარმატებისა, არამედ, საერთოდ, ზოგადად, ყველა წარმატების საფუძველთა საფუძველი ხელმძღვანელობის მხრიდან საკითხისადმი ამგვარ ნოვატორულ, ახლებურ მიდგომაში უნდა ვეძიოთ, ისეთ ცხოვრებისეულ მიდგომაში, როცა ადამიანი, ბოლოსდაბოლოს, როგორღაც აღწევს იმ ძარღვამდე, სადაც მასების საყოველთაო ენთუზიაზმის ამამოძრავებელი შრეებია განლაგებული. ამ შრეებიდან ერთიც რომ ამოქმედო, გორებს გადააბრუნებ ადამიანი, აღარას ვამბობ იმაზე, თუ კი ბედი გაგიღიმებს და ყველა მათგანს ერთდროულად აითვისებ... ბოლოსდაბოლოს დღევანდელ ხელმძღვანელს მოეთხოვება ყოველივე ამისი თეორიული ცოდნა მაინც, რომ არაფერი ვთქვათ „მიგნებისა და ამოძრავების ხელოვნების“ უბადლო ფლობაზე, ყოველ შემთხვევაში, თავისი მისწრაფებებითა და განწყობილებით, საქმისადმი შინაგანი დამოკიდებულებით იგი სისხლხორცეულად ნოვატორი, სიახლეების მეტრფე უნდა იყოს. მართლაცაა, თანამედროვე სულისკვეთება და მოწინავე მსოფლმხედველობა მართლაც ფილოსოფიასა და მეცნიერებაში

როდია საჭირო, სპორტშიაც კი, აი, ფეხბურთი ავიღოთ, იქაც ცარიელი იღეთებითა და ტექნიკით ვერაფერს გახდები დღეს, ბუნებრივი მონაცემები გონებრივ ალლოიანობას უნდა ჰმორჩილებდეს, სადღეისო მსოფლიო გაგებასა და ჰორიზონტებს უნდა ითვალისწინებდეს... მით უფრო გვეხება ეს „მიწიერი დარგების“ წარმომადგენლებს — სადაც ფაქტი და შედეგი აბსტრაქტული ცნება, რაიმე თეორიული ან მხატვრული განზოგადება კი არ გახლავთ, არამედ ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა, არსობის პურია, კონკრეტული, მიწიერი ფენომენია.

— მაშასადამე, უნდა ვივარაუდოთ, რომ თქვენ უკვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეაღწიეთ სასურველ ფენებში...

— არა მგონია. ერთი რამის თქმა კი შეიძლება ალბათ, უბრალოდ, სწორი მიმართულება ავირჩიეთ და სასურველი იმპულსებიც მივიღეთ უკვე, დანარჩენი კი დროის ამბავი უნდა იყოს...

— ახლა ზოგადთეორიული ბუობიდან კონკრეტულზე გადავიდეთ, როგორც თქვენა ბრძანეთ, აბსტრაქტულ განზოგადებებს მიწიერი სახე მივცეთ...

— მოკლედ მოგახსენებთ, ჩვენი მთავარი მონაპოვარი, ზოგადი და საერთო მთელი კავშირის მასშტაბით — ეს გახლავთ საზოგადოებრივი კოოპერირების ახალი ფორმების რეალიზაცია მთელი რაიონისა და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი თერთმეტათასიანი სოფლის მასშტაბით. მაგრამ იმპულსებზე როცა მოგახსენებდით, მხედველობაში სხვა რამ მქონდა, თამამი და თავისი არსითა და მნიშვნელობით უფრო თანამედროვე, მართლაც ექსპერიმენტული ხასიათის მეურნეობრივი ფორმის ახალი გამოხატულება — უგანრიგო ბრიგადები...

* * *

— ახლა ერთი ჩვენებური უნდა გავაცნოთ... — მეუბნება გივი კირეული-შვილი. უკან ვიტოვებთ მეთოთხმეტე ბრიგადის ნაკვეთს, ქარსაცავის ზონის გასწვრივ გაყოლებული სამანქანო გზით

მეზობელი ბოსტინსაკენ მივდივართ. მეთოთხმეტეში თუ მოსავალი შეგვედგა ბინავებული იყო და ახალ ციკლს მსვლიან დგომოდნენ, აქ ახლალა იღებდნენ აა-ზამთროსხელა კომპოსტოს ჰირნახელა. დანებასა და ნამგლებს ხრავახრუჯი გაუდიოდათ კვნიხებზე, უკან მიმყოლნი კი მოჭრილ თავთავეებს სატვირთო მანქანისაკენ ეზიდებოდნენ, ერთი ბრავაბრუჯი გაადიოდათ მანქანის ძარახე.

— ამაჲ ჰქვია მინდორი—დახლი. ადრე, მახსოვს, გორებდალ ეყარა ხოლმე მოწყული მოსავალი და მოუვლელობისაგან ლებობდა, — თქვა გივიმ, — ამ დალოცვილის გაფუჭება ღვთის გმობა არ იყო? შეხედე, რა სასწაულივით გაუჩენია ბუნებასა, მაინც როგორ იხვევს ამ ფოთოლს ასე მკვიდრად, ასე საგულდაგულოდ და ფაქიზად, ჰა? უცნაურია, ღმერთმანი! სტაფილოს, ჰარხლისა და თაღამის, ნივრისა და ხახვის, გნებავთ კიტრისა და შამიდვრის იყ არა და მაგირი კი ნამდვილად გამკვირვებია. ხომ ბალჩეული კულტურების სპეციალისტი ვარ. ასე ვთქვათ, სოფლია მეურნეობაში ხამად არ ჩავითვლები, კომპოსტოს ამ უცნაურ დახვეწილობას კი ბევრჯერ მოვუყვანივარ გაოცებაში...

— ეს არის უგანრიგო ბრიგადა? — ეკითხე გივის, როცა საუბარი ჩათავა. მართლაც ერთი სული მქონდა მენახა ეს სახელგანთქმული ბრიგადა, რომელზეც ჯერ კიდევ გარდაბნის პარტიის რაიკომის მდივანმა ოთარ ბოკერიამ აღნიშნა. შემდეგ ჩემმა მეგობარმა, საერთო განყოფილების გამგემ ავთო მარგიანმა ჩამომიგდო საუბარი, მერმე აქ, მარტყოფში მეურნეობის დირექტორმა ანგულატ რუსეიშვილმაც ახანა იგი, როგორც ახალი წამოწყება.

— არა, გენაცვალე, ეგაც ჩვეულებრივი საწარმოო ბრიგადა გახლავთ. მეცამეტე ბრიგადა, რა თქმა უნდა, სტიმულირების ახალ მეთოდზე მომუშავე, რა თქმა უნდა, კარგი ბრიგადა. მაგრამ არა უგანრიგო, უგანრიგო იქით უნდა მოვიძიოთ. ულევარისაკენ, ე. ხედავ აპარნის წმინდა გიორგის ეკლესიას, იმის მისაღვომებთან იწყება ულევარი.

ეა იგი უგანრიგო ბრიგადის ფართობები... შენაც მოითმინე ცოტა, იმათაც ნახავ. ნუ გეშინია, არ შეიძლება, რომ ანტონის ბიჭები მინდვრად არ იყვნენ გამოშლილები...

ქალასოსა და გრაპლიანის საიდუმლოებანი

გაშლილი. ქარსაკაცი ზოლებით გატიხრული ველები თავში, შემალღებულ ბორცვაკზე ძველქართული სტილით ნაშენები მცირე ზომის ეკლესია ეკლესიაობდა. ეს იყო წმინდა გიორგია სახელობის აპარნის ეკლესია. მეხუთე საუკუნის ძეგლი. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდგომ დროინდელი პერიოდისათვის დამახასიათებელი მცირე ფორმების ხუროთმოძღვრული ნაგებობა, დღეისათვის მეტწილად ქვეყნის მთიანეთში რომ შემოგვრჩა. რაღა თქმა უნდა, თავის დროზე ამ ტიპის საეკლესიო ნაგებობანი გავრცელებული იყო საქართველოს ბარშიაც. მაგრამ ბარის რეგიონში შემდგომად ამ პირველქმნილი ძეგლების ადგილას, ანდა მათს ბაზაზე ხდებოდა ეკლესიათა და ტაძართა მშენებლობა და განვრცობა, სამონასტრო თუ საეკლესიო კომპლექსების ჩამოყალიბება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ჯვარზე, მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში, ზედაზენსა და სხვაგან და სხვაგან. მთამ კი ეს საეკლესიო მცირე ზომის საძირკველები თავისი პირველყოფილი სახით შემოგვინახა, ჩვენს მთიანეთს, რაც არ უნდა ყოფილიყო, იმთავიდანვე ნაკლები საშუალებანი გააჩნდა ბართან შედარებით მასშტაბური ეკლესია-მონასტერთა მშენებლობისა, რაც არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის გარდა მოსახლეობის მცირერიცხოვნებითა და დაქსაუსულობითაც იყო გამოწვეული.

ახლა კი ამ ტრიალი ველების თავზე ზღაპრული ჩიტივით შემოსკუბებულიყო წმინდა აპარნის ეკლესია. თითქოს ლოცავდაო გარეშემოს, ისეთი ლამაზი და მოხდენილი იყო, ისეთი თავისებური და განუმეორებელი, ამ ერთფეროვ-

ნების ფონზე, თბილი, როგორც ბუხარი, თავისკენ რომ გიზრდავდა და მოგიხმობდა. ეკლესიის ზემოთ მერრე ასეთი გორა ჩანდა, ოღონდ გადათხრილი, თავგადასხეპილი. ხელმარჯვნივთაც უცნაური გორები ზიშზიშებდნენ, არაბუნებრივად დახვეწილნი და წამოქოჩრილები. კვითხე კიდევაც ამის თაობაზე გივის, ეს ბორცვაკები თითქოს ვილაყას საგანგებოდ წამოუშარათავს, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ-მეთქი. ასეც არისო, — ნახევრად ხუმრობით მითხრა გვიმ, მერე კი უფრო დააზუსტა თავისი ნათქვამი:

— მთელი ეს გორები, ეტყობა, ყორღან-სამარხებია, ყორღანული ტიპის სამარხები, მაშა... სამი უკვე გათხარა ოთარ ჯაფარიძის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ და იცით, რა უნიკალური აკლდამები აღმოჩნდა? თანაც ჩვენს ერამდე მეორე თუ მესამე საუკუნის შუა წლებისა... თუმცა ყოველივე ამის თაობაზე ჩვენს პრესაში იყო უკვე საუბარი.

საგაზეთო კრონიკიდან:

„არქეოლოგიურმა ექსპედიციამ რომელსაც პროფესორი ოთარ ჯაფარიძე ხელმძღვანელობს სოფელ მარტყოფის მიდამოებში აღმოაჩინა ყორღანული სამარხების ერთი ჯგუფი (წინა წლებში გათხრილი იყო სამი პატარა ყორღანი).

ახლა კი ექსპედიცია თხრის ყველაზე დიდ ყორღანს, რომლის დიამეტრიც ას მეტრს აღემატება.

ამ გათხრების დროს აღმოაჩინეს ერთმანეთში ჩადგმული მუხის მრგვალი ძელებისაგან შეკრული ნაგებობა, რომლის გარეთა კედელი თერთმეტი მეტრი სიგრძის და ათი მეტრი სიგანისა, შიგნითა კი რვა მეტრი სიგრძისა და ექვსი მეტრი სიგანისა აღმოჩნდა, მათ შორის არსებული სივარდილე რიყის ქვით იყო ამოვსებული, სამარხს მიწის თხელი ფენა, აგრეთვე ოთხი მეტრი სიმაღლის კვა-ლორღი ეყარა, რამაც კარგად შეინახა ხის ნაგებობა, რომელსაც ბრტყელი ფილაქნის იატაკი აქვს.

სამარხში სამი მიცვალებულის ჩონჩხი აღმოჩნდა. ეტყობა, ეს ჩვეულებრივი, რიგითი სამარხი არ იყო, რადგანაც აშკარად ჩანს, რომ მის აგებაში მთელ ტომს მიუღია მონაწილეობა“.

პროფესორ ოთარ ჯაფარიძის კომენტარი:

— ჩვენს მიერ გათხრილი სამაროვანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა ოქროსა და ვერცხლის მძივები, აგრეთვე ოქროს რგოლები, ბრინჯაოს ინვენტარი, ყუამილიანი და ბრტყელი ცულები, სატყერის პირები, ისრის ბუნიკები, პასტის, სერდოლიტისა და სადაფის მძივები, ბრინჯაოს სასაფეთქლე რგოლები, ვერცხლის ზვიარები, ცხოველთა ეშვებისა და კბილებისაგან დამზადებული სამკაულები და სხვა. სამარხის ოთხივე კედელს დატანებული აქვს სხვადასხვა ფორმის ჩუქურთმიანი თიხის ქურქლები...

მარტყოფის ყორღანები გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმდროინდელი საზოგადოების სოციალურ წყობაზე, აშკარაა, რომ ბოლოს გათხრილი დიდი ყორღანი ერთ-ერთი დაწინაურებული ფენის წარმომადგენლის სამარხია. ამას მოწმობს თვით ყორღანის რთული აგებულება და ჩატანებულ ნივთთა მრავალფეროვნება.

ასეთი ადრეული ხანის ერთი დანიშნულების რამდენიმე ბრინჯაოს იარაღის აღმოჩენა პირველი შემთხვევაა ჩვენში. ცულები შესანიშნავადაა ნაკეთები. თითქმის ყველა მათგანი ორნამენტაანია. როგორც ჩანს, ამ პერიოდში საკმაოდ მაღალ დონეზე მდგარა საიუველირო ხელოსნობა.

მარტყოფის ყორღანში ნაპოვნი ოქროს ნივთებიც ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია.

მარტყოფის ყორღანები ძველი წელთაღრიცხვის მეასამეათასწლეულის მეორე ნახევრის დასაწყისს განეკუთვნება. როგორც ჩანს, სოფელ მარტყოფის მიდამოებიც ჯერ კიდევ 4 500 წლის წინათ უოფილა დაახლებული და საკმაოდ მჭიდროდაც.

ავტორი:

ამ ადგილებს, სადაც ყორღანები აღმოჩინეს მეცნიერებმა, ადგილობრივი მკვიდრნი ძელახოსა და გრაკლიანს უწოდებენ. ტოპონიმიკური მასალები კი თავისი შინაარსით ხშირად შეიცავენ ხოლმე ამა თუ იმ ისტორიული რეალებისა და მოვლენების ამსახველ სარწმუნო ცნობებს. როცა ჩვენ დაეთვალეთ სამაროვანის ჩანახშირებელი ძელებისაგან ნაშენი განსასვენებლის ნარჩენები, რომლის ქვრივ რამდენიმე მეტრ სიმაღლეზე ქვა-ლორღის ფენით იყო გადახურული ამ ადგილების ძველმა სახელწოდებამ — „ძელახომ“ თითქოს რაღაც ნაცნობი მნიშვნელობა შეიძინა, მითუმეტეს, რომ აქაურები ამ სახელწოდებას სხვადასხვანაირად — „ძელახოდ“ და „ძელაქოდაც“ წარმოსთქვამენ, ამიტომაც არის, რომ იგი ამ ორივე ფორმითა მაქვს ჩაწერილი რვეულში. თუ კი ამ ადგილებს მართლა ძელაქო ერქვა, შეიძლება ეს სახელწოდება რაღაც ფორმით ამ ყორღანების არსებობას მოიცავს თავის თავში. მართლაცდა ეს სამაროვნები ხომ ძელით და ქვით იყო აშენებული...

რა თქმა უნდა, ეს ენათმეცნიერული ექსკურსი, ერთგვარ „ლირიკულ გადახვევად“ თუ ჩაითვლება. ამ საკითხებზე თავის ავტორიტეტულ სიტყვას ალბათ მეცნიერები იტყვიან.

საუბარი პარტიის ბარდაბანის რაიკომში.

ავტორი:

— ბატონო ოთარ, თქვენ ზემოთ ხაზი გაუსვით რაიონში არსებულ ვითარებას მეთუ ხუთწლეულის დამლევისათვის. უნდა ითქვას, რომ შექმნილი ზოგადი ფონი მაინცდამაინც არ გესახებოდათ დამაკმაყოფილებლად. ამ ეტაპს დაემთხვა რაიონის სასურსათო პროგრამის შემუშავება, რომელსაც წინ უძღოდა სიახლეთა დანერგვის პროგრამის განხორციელებისათვის გაწეული მნიშვნელოვანი მუშაობა, პირველი შედეგები მოსავლიანობის და პროდუქტიულობის ზრდაში. ჩემის აზრით, ყოვე-

ლივე ამან განაპირობა საერთო პროდუქციის ზრდა გათვალისწინებით 1,8-2-ჯერ. ორიოდ სიტყვით, ზომ ვერ მოგვიყვებოდით ასეთი დამაბული პროგრამის განხორციელების ძირითად გზებზე.

ოთარ ბოკერია:

— ცენტრალური კომიტეტის X პლენუმზე ამ გზებზე ბევრი ითქვა; ჩვენი სასურსათო პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე ხუთწლედის განმავლობაში მარცვლეულის წარმოების 38 ათას ტონამდე ანუ 3,3-ჯერ გაზრდას, ბოსტნეულისა კი — 156 ათას ტონამდე. აქ ზრდა გათვალისწინებულია 1,8-ჯერ, ორჯერ გაიზრდება ხორცისა და რძის წარმოება და შესაბამისად მიაღწევს 37 და 73 ათას ტონას, მნიშვნელოვანი ზრდაა გათვალისწინებული ყურძნის, ხილის, კვერცხის წარმოების დარგში.

პროგრამის რეალიზაციის ძირითად გზად ინტენსიფიკაცია გვესახება. თუ გადავხედავთ ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებს ადვილად დავრწმუნდებით, პროგრამის განხორციელებისთვის კარგი საფუძვლებია ჩაყრილი. სიახლეთა დანერგვამ და აგროტექნიკური წესების დაცვამ საშუალება მოგვცა ბევრ მეურნეობაში პამიდურის მოსავლიანობა ჰექტარზე 400-500 ცენტერამდე აგვეყვანა. საერთოდ თუ გასული ხუთწლედის განმავლობაში ბოსტნეულის საჰექტარო მოსავლიანობა მხოლოდ 12 ცენტერით გაიზარდა, მართო მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ზრდამ 17 ცენტერი შეადგინა. ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებით, თხევადი მინერალური სასუქების გამოყენებით მთელ რიგ მეურნეობებში გასულ წელთან შედარებით 10-12 ცენტერით მეტი მოსავალი მიიღეს, ხოლო სართიჭალის მებოსტნეობის მეურნეობაში მოსავალმა 36 ცენტერს გადააჭარბა, ანუ გასულ წელთან შედარებით ორჯერ გაიზარდა. ამ ღონისძიებებმა საშუალება მოგვცა წელს მიგველო 3,5 ათასი ტონით მეტი მარცვლეული ვიდრე გასულ წელს. საკვები ბაზის განმტკიცებამ და ზოოვეტერინა-

ლურ ღონისძიებათა მაღალ დონეზე გატარებამ საშუალება მოგვცა შეგვესრულებინა ყველა გეგმა მეცხოველეობის დარგში. ერთ სულზე წველადაობამ მოიმატა 123 კილოგრამით წელიწადში; სადღეღამისო წონამატმა 75 გრამით. შემოვიყვანეთ პერსპექტიული ჯიშები, ვახდენთ მათ შეჯვარებას. ჯანდარის საბჭოთა მეურნეობაში მიღებულია მეხორცული მესაქონლეობის მიმართულების ჯიშების ნაჯვარის პირველი თაობა, რომელთა წონამატი დღე-ღამეში კილოგრამს აღემატება, ხოლო ჩასაბარებელი წონა 550-600 კილოგრამს აღწევს. ახალი სამგორის მეურნეობაში ინერგება ცხერის ბაგური შენახვის მეთოდი. შემოვიყვანილი ჯიშის წონა 55-60 კილოგრამს აღწევს, იძლევა 6-7 კილოგრამ მატყლს. სართიჭალის მეცხოველეობის მეურნეობის კომპლექსში ყოველ ახ ძროხაზე მიღებულია 97 ხბო. ორი წლის წინ აქ ეს მაჩვენებელი 70-75-ს არ აღემატებოდა.

ახლა ჩვენი ამოცანაა გავავრცელოთ მოწინავე მეურნეობებში მიღებული შედეგები საყოველთაოდ, მთელი რაიონის მასშტაბით, ხოლო მოწინავე მეურნეობებში კი მივალწიოთ საეტალონო შედეგებს დარგების მიხედვით.

გასული წლის დეკემბერში, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ჩვენი ღონისძიებები სიახლეთა დანერგვის დარგში, განსაზღვრა სწორედ ასეთი საბაზოეტალონური მეურნეობებისათვის 1983 წელს მისალწევი მიჯნები, რომლებიც მეტად მაღალია და ამავე დროს რეალური. გათვალისწინებულია ამ მეურნეობებში მსხვილფეხას საშუალო დღე-ღამური წონამატი კილოგრამამდე გაიზარდოს, ხოლო პირუტყვის ჩასაბარებელი წონა—400 კილოგრამამდე, მელორეობაში წონამატმა მიაღწიოს 600 გრამს, ერთ ღორზე მივიღოთ 18 გოჭი, ერთი ფურის საშუალო წველადაობა გაიზარდოს 3 600 კილოგრამამდე, 100 ძროხაზე მიღებულ იქნას 100 ხბო, ერთ კვერცხმდებელზე—225 კვერცხი, ბოსტ-

ნეულის საპეტარო მოსავლიანობამ მი-
აღწიოს 320-330 ცენტნერს, თავთავი-
ანი კულტურების მოსავლიანობამ—45
ცენტნერს, სიმინდისამ — 70 ცენტნერს
პეტარზე. მიმდინარე წლის შედეგები
მიღვეიან გარანტიას, რომ ეს მიჯნები
მოდრეული იქნება, ხოლო რაც შეეხება
გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მე-
ურნეობას მან უკვე მომავალი წლისა-
თვის გათვალისწინებული საეტალონო
დონე 320 ცენტნერი ბოსტნეული პეტ-
ტარზე უკვე მიმდინარე წელს გადალა-
ხა.

დასახულია აგრეთვე ყველა სახის
პირუტყვის სულადობის მკვეთრი ზრდა,
ძირითადად მეცხოველეობისათვის გან-
კუთვნილი შენობა-ნაგებობების რეკონ-
სტრუქციის გზით. კერძოდ, ხუთწლე-
დის ბოლომდე ძროხების სულადობა
ახლანდელი 6 500-დან უნდა გაიზარდოს
12 000 სულამდე“.

— ბატონო ოთარ, თქვენს მიერ მოყ-
ვანილი ციფრები შეიძლება ზოგიერთს
არარეალურად მოეჩვენოს იმდენად მა-
ღალია ისინი. ამავე დროს უკვე მიღე-
ბული პირველი შედეგები გარკვეულად
იმედის მომცემია. სიტყვის და საქმის
ერთიანობის რა დამახასიათებელი მაგა-
ლითების მოყვანა შეგიძლიათ თქვენს
რაიონის ცხოვრებიდან?

— ასეთი მრავალი ფაქტის მოყვანა
შეიძლება. პირველ რიგში აქ გამოდგე-
ბოდა მაგალითი იმისა, თუ როგორ ას-
რულებს რაიონული პარტიული ორგა-
ნიზაცია ბოლო კონფერენციის გადაწ-
ვეტილებებს. იქაც მრავალი ციფრი
და სამომავლო პროგნოზია ჩვენს მიერ
მოყვანილი. ტყვილა არ მიხსენებია ეს
დოკუმენტი, მიმაჩნია, რომ პარტიულ-
სამეურნეო, სოციალურ და კულტუ-
რულ სფეროში ჩვენი რაიონის ხელმძ-
ღვანელობის სიტყვისა და საქმის ერთი-
ანობას, სიმტკიცესა და კომპეტენტუ-
რობას ყველაზე ნათლად ასახავს ეს პა-
რტიული დოკუმენტი. უბრალო თვალის
გადავლება კი საკმარისია, რომ თვალ-
დათვალ შეაფასო რა ბედი ეწია, გან-
ხორციელდა თუ ჰაერში გამოკიდებულ
მოსაჩვენებელ ბაირალად დარჩა ჩვენი

დაპირება ხალხისა და ზემდგომი ორგა-
ნოებისადმი. ზშირად ობიექტურად შე-
ზების გამო შეიძლება ვერ განახორცი-
ელოს კაცმა გეგმები, ამისი გათ-
ვალისწინებაც შეიძლება, ერთი ორი
ჩავარდნაც შეიძლება მიუტყეო, მაგ-
რამ... თუ მართლაცდა ბაქიუქმა გა-
დაწონა ნამოქმედარი, დაწერგილი და
განხორციელებული, ცხოვრებაში დამ-
კვიდრებული აღარაფერი ამოაჩნდა...
რალა თქმა უნდა, ასეთი ხელმძღვანე-
ლის ნათქვამი დაემსგავსება ზმას მლა-
ლადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ
უდაბნოსა და სადლაც გადასაკარგავში
მლაღადებელს რალას ერჩი, როცა იმ
საცოდავს ჩვენთვის არავითარი ზიანის
მიყენება არ ძალუძს. ამ ბაქიას კი შეუ-
ძლია მთელი საზოგადოება ურწმუნო
თომებად აქციოს... ამაზე დიდი ზიანი კი
ვერც წარმომიდგენია. აქციეს კიდევაც
ზოგიერთებმა, ამიტომაც გვიხდება ყო-
ველი სიტყვის, სამომავლო დაპირების
სარწმუნო ფაქტებით გამაგრება, სა-
გულდაგულოდ შემორაგვა, რათა ბო-
ლოსდაბოლოს, ისედაც რა გინდ სარწ-
მუნოც არ უნდა იყოს ნათქვამი, კიდევ
უფრო მეტად დამაჭერებელი გავხადოთ
იგი...

კონფერენციის დოკუმენტზე მოგახსე-
ნებდით. თქვენ შეგიძლიათ ამ დოკუმენ-
ტით ისარგებლოთ, უფრო გაგვიადვილ-
დებათ კიდევაც რაიონის, მე ვიტყვოდი,
არც თუ ისე მარტივი სამეურნეო მოზა-
იკაში ჩაწვდომა. ამასთანავე საშუალება
მოგეცემათ პუნქტობრივად შეუდაროთ
ჩვენი მაშინდელი სამომავლო ვარაუ-
დები, უკვე ცხოვრებაში განხორციე-
ლებულს, პრაქტიკაში დამკვიდრებულს
და ამისდამიხედვით მოგვაგოთ მოსაგე-
ბელი. მე მაინც მგონია, რომ გარღვევას
ვერ იპოვით, ხოლო თუ ეს ასე აღმოჩ-
ნდება, იმ შემთხვევაში, საცა სამართა-
ლია, დღევანდელ ოპტიმიზტურ განც-
ხადებებსაც ვერ უნდა შეხედოს ვინმემ
ეპვის თვალით. ყოველივე ამას კი იმი-
ტომ მოგახსენებთ, რომ მინდა მკითხ-
ველმა გულითადად ირწმუნოს გარდაბ-
ნელთა სიტყვისა და საქმის ერთიანო-
ბა...

ახლა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის X პლენუმის შემდეგ, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა ჩვენს საქმიანობას განსაკუთრებით გაიზარდა რაიონის ხელმძღვანელების, ყველა მშრომელის პასუხისმგებლობა სიტყვისა და საქმის ერთიანობისათვის ბრძოლაში. ამაში კი უდიდესი ატმოსფერო თვით პლენუმმა მოგვცა. რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელს მიაჩნია, რომ X პლენუმში უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი იქნება რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, რაიონში მორალურ-პოლიტიკური კლიმატის ძირეულად გაუმჯობესების გზაზე, იგი ისტორიულია ჩვენი რაიონისათვის, ყველა ჩვენგანისათვის.

„ცამები“ თარსი ვინა თქვა...

და აი, ჩვენ შეკამეტე ბრიგადაში ვართ. კომბოსტოს ტეხვის პროცესი კონვეიერულ დონეზეა აწყობილი. წინ მიიწევენ მტეხავები, უკან მტვირთავენი მიჰყვებიან. სატვირთოს მძღოლიც ნელ-ნელა უკან სწევს მანქანას, რათა შეშებნა შრომა შეუმსუბუქოს.

გივი კირეულიშვილი ასე, შუახანს გადაცილებულ, ჩაფსკვილ მამაკაცს მაცნობს. ეს არის შეკამეტე ბრიგადის ხელმძღვანელი, სოფლის საქმეში ამაზე გამოცდილ ადამიანს ძნელად შეხვდები მარტყოფშიო.

ეს „ყველაზე გამოცდილი ადამიანი“ პეტრე შოშიაშვილი აღმოჩნდა. სამოცდაორი წლისა ვარო, მითხრა, როცა წლოვანებაზე ჩამოვარდა საუბარი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, დღესაც ვერ წარმომიდგენია ეს ამბავი, გაცილებით ჯეილურად გამოიყურება, მით უფრო საოცარია პეტრეს ჯეილობა, რომ იგი დიდი საშაშულო ომის მონაწილე გახლავთ. ჩვენ მტერს, იქ რომ ქარცეხილი აქვს გამოვლილი, და, აი, ახლა შრომა ფრონტზე იმ ძველებურის გახელებით იბრძვის. როცა მე ჩემი მალული ფიქრები გავუმელავენ, ბატონმა პეტრემ ოდნავ დაირცხვინა და უფროსი

თაობის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელი სიტყვით შემოიჭრა:

— გახელებისა რა მოგანსწეროთ, მაგრამ მცდელობასა და საზრიაანობას ნამდვილად არ ვაკლებ აქაურობასა. რომ გითხრათ სიმართლე, ძალიანაც რო გინდოდეს დაკლება, ჩვენი საქმე ისეთია, რომ თავის კუთვნილსა მინც არ დაიკლება. თუ ძალიან მოიწადინე და მინც დააკელი, ეს იმას ნიშნავს რო საქმე არა გყვარებია და მუშაობა არ გნდომებია. შენი მეზობლები ხვევის გორებს დააყენებენ შემოდგომაზე და შენა კიდევ ძვალტყავა კვნიების კალო უნდა ლეწო სირცხვილითა... ეგეთს ვილა გაგაჩერებს მეურნეობაში, ასე რომ თევზს წყალი სჭირიან და ჭირნახულს კიდევ — შრომა და აკლისღვრა. თითონ სიტყვაც ამას გვეუბნება — ჭირნახულიო. მართლაც ჭირისა და ოფლის ფასად მოიპოვება იგი, მაგრამ, ზემოთაც რო მოგახსენეთ, მართო ეგეც არა კმარა, თავიც თუ არ გაზია მხრებზე და სათანადო საზრიაანობა, დაკვირვებულობა და ცოდნა არ გაგაწინა ცარიელი ფაციფუცით ჭირნახულს ვერ მოიყვან, ასე რომ ამ ჭირნახულში, მართო ჭირი კი არ იგულისხმება, სხვა ბევრი რამე დანარჩენიცა... იმაზე ვთქვი, ჩემი ასაკის ადამიანს, მართალია, გახელება ვერ მოსდგამს ახალგაზრდებზეთა, მაგრამ, ხო გსმენიან, ბებერი ხარისა რქანიც ეწევიანო. ეგეც რო არ იყოს, მიწასთან, უგონთური ძიძგილაობით ჯერ შორს ვერავინ წასულა, ჭკუითა და მოხერხებულობით კიდევ — მრავალი...

— ბი პეტრეს ნათქვამი სიტყვასიტყვით უნდა ჩაიწეროთ, თუ გინდათ რომ ჩვენს საქმიანობაში ბოლომდე გაერკვეთ. ამ ადამიანს თავისი გამოცდილება ალაპარაკებს, თანაც გამოცდილება ყველა მნიშვნელოვან უბანზე, რაც კისოფლად მოიძებნება... — მამცნობს გივი კირეულიშვილი.

მალე გამოირკვა, პეტრე შოშიაშვილი 51 წლიდან 60 წლამდე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ყოფილა, ეგ კი დიდი პასუხისმგებლობა და ნდობაა ადამიანისათვის; 11-ათასიან სოფელს

თავაკობდეს. მართლაცდა ხუმრობა საქმე ხომ არაა... სოფლის ხელმძღვანელობა დიდი გამოცდილებაა, სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში გივის, როცა მირჩევდა, — პეტრეს ნათქვამი ჩაიწერე, ოქროს სიტყვები ამოსდის პირიდანო. შემდეგში იგი მუშათა კომიტეტის თავმჯდომარედ გადაუყვანიათ, კვლავ ცხოვრების შუაგულში აღმოჩნდა ძია პეტრე, შემდეგ კიდევ — უბნის უფროსად, ამჟამად კი მერგოლურია...

მართალია, დაღმავალი ხაზით წარედინა თითქოს პეტრე შოშიაშვილის ცხოვრების ბოლო მონაკვეთი, და ამას იგიც აღნიშნავს საუბარში, რათა ჩვენი გაცემა თვითონვე გააქარწყლოს, მაგრამ მის ამ აღიარებაში შინაგანი სიამაყე უფრო იგრძნობა ვიდრე სინანული.

— მედალს ორი მხარე აქვს — ამბობს პეტრე — გააჩნია, ვინ რომელი მხრით ზირავს მას, ჩვენი საქმეც ეგოე: — ზოგი მაღლა ისწრაფვის და იმას კი აღარ კითხულობს, საღმართო ძალა შემორჩა კიდევ თუ არა, დარწმუნებულია, რომ ძველებურად უჭრის თვალი და მუხლი, ჭიუტ განზრახვას აყოლილი, ვიდრე საღმრეთო ჭარბზე არ გარჩება, თავისას არ იშლის, მერე კი, იცოცხლე, თავქუდმოგლეჯილი გამოიქცევა... როცა ვიგრძენი, რომ უკან მხარბუქიანთა, იმედიანთა მთელი თაობები მოიმართებოდნენ, გულმა აქეთკენ გამომიწია, მინდვრისკენ. დაუმადლებელი, ყველასათვის სამყოფი ასპარეზისაყენ. უფრო დიდი საქმეები კი ახალგაზრდებს დაევუჩინე, გულში ეთქვი, ახლა იმათ იომონ აზრისა და ფიქრის ბრძოლაში, მე ჩემი ცხელი კალო უკვე გავლმწიმეთქი... ასე რომ აი, სამკჷუანთ ბალების მბრძანებელი გავხდი... — ღიმილით ამბობს მეცამეტე წავსი ბრიგადის ხელმძღვანელი... ვეუბნები კიდევაც, — ეგ თარსი რიცხვი მაინც რალაზე შეიხვედრეთ-მეთქი... კაცია და გუნებაო, — მპასუხობს ძია პეტრე — ალბათ ჭიბრის გრძნობა ჭარის-

კაცობის ხანიდან შემომჩნაო, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შრომითარმახვენს... ბლებს ცუდად არაფერში დაატუობის-ცკტურწმენის ნაყოფი თარსობა და ნავსობაო... აბა, თავად განსაჯეო, გეგმებს ყოველთვის გადაჭარბებით ვასრულებთ, წლეულს კი ას ორმოც პროცენტს გადავაჭარბეთ ბოსტნეულის ჩაბარებაო.

პეტრეს სიტყვებმა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივნის ოთარ ბოკერიას ნათქვამი გამახსენა — აქაურ მშრომელთა სიტყვისა და საქმის ერთიანობის თაობაზე; მართლაცდა პლენუმზე რაიკომის პირველი მდივნისავე გამოთქმულ ვარაუდს თუ ვერწმუნებით მომავალში ყველა ორგანიზაციის საუკეთესოთა დონეზე წამოწევას რომ ეხებოდა, რაც ალბათ ცალკეული ბრიგადებისა და რგოლების მოწინავეთა მაჩვენებლებზე სწორებასაც ითვალისწინებს, მაშინ 1981 წლის 9 736 ტონის ნაცკლად ხუთწლედის ბოლოს 14 610 ტონა ბოსტნეულის მოწევა (წლეულს კი მოსავალმა მეურნეობაში 10 670 ტონა შეადგინა, ხოლო გასულ წელს კი 9 736 ტონა) არც თუ ურიგო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ აქ შევეხეთ მხოლოდ ბოსტნეულის მოსავალს, მაგრამ მარტყოფის მეურნეობის სპეციფიურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მრავალდარგოვანია, აქ, მართალია, დედაქალაქისა და რუსთავის სამრეწველო ცენტრებთან სიახლოვის გამო მებოსტნეობა შეიძლება მაპროფილებულ დარგად ჩაითვალოს, რამდენადაც მისი მოწოდება შორი მანძილიდან მალეფუჭებადობის გამო არახელსაყრელია, მაგრამ აქვე პარალელურად მისდევენ მარცვლეული კულტურების, ხილკენკროვანების, ყურძნის წარმოებას, გარდა ამისა დიდი ყურადღება ეთმობა მესაქონლეობას, მეფრინველეობასა და მებოცვრეობის განვითარებას.



ალექსანდრე დუმონტი

გრძნობა სიტყვისა

ომის თემაზე ბევრი რამ ითქვა და დაიწერა, მაგრამ უთქმელიცა და დაუწერელიც ცოტა რამ როდი დარჩა. სწორედ ამ უთქმელის თქმას ისახავს მიზნად ლადო მრელაშვილის „ოლოლები“.

მწერალი შეუფერადებლად წარმოსახავს ზურგის ცხოვრებას. ჩვეულებრივი სოფლის უბრალო წიქვილში, თითქოს შეუმჩნეველ ადგილას, იხლარება მწვავე წინააღმდეგობები, სიკეთის წინააღმდეგ აღმართება ბოროტების მახვილი. წუთისოფელი წარმოსახება თავისი ბინდიითა და სინათლით. პატარა წიქვილის მოკლე თვალსაწიერიდან ჰქოთხველის წინ გადაშლილია ცხოვრებისეული სინამდვილის გლობალური პანორამა. დანახულია შეუიარაღებელი თვალთა ძნელად გასარჩევი მოვლენები და ფაქტები.

„ოლოლებში“ ხაოცარ ამბებზეა ლაპარაკი. პატარა სამრეკლოდან დიდი ზარი ირეცება. თედოს გაუხარელი ცხოვრება მწუხარებითა და სიხარულით სავსე თავდასახვალია იმ კაბუცი მამულიშვილისა, რომელსაც მომავალი ეკოთვინის. მუწისქვილის მრავალნაირი პორტრეტია დახატული ხალხურსა და ლიტერატურულ სადასიტუვაობაში, მაგრამ თედო, „ოლოლების“ მუწისქვილი, სულ სხვაა. ეს ბრწყინვალე პორტრეტია ეპოქის შუბლნათელი გმირისა, უღელმდე მართალი და სიკეთისათვის თავდადებული ახალკაცისა.

ლადო მრელაშვილი ტიპობრივ სახეთა შესანიშნავი მტვიფრავია. ასე იცნობს მას მკობხველი არა მარტო „ოლოლებით“, ამაყვედ ადრინდელი რომანებითაც. მის ნიჭს ორგანულად ერწყმის და გაქანებას აძლევს ცხოვრების ცოდნა. „ოლოლები“ ჩვენ წინ გადაშლილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანამედროვე წარსულია. ამიტომ ასე მახლობელი არიან მკობხველისათ-

ვის თედო და ჭურბა, სონა ძალო და ლიანა, ცაღებლა ყაჩაღი და შინსაბჟომის უფროსი ზარინიძე, ნია პაპა და ორუჭ-ალია, საკოდელო და ქვის კოდეა, წიქვილი და მუწისქვილი. ადამიანთა მოქმედების პარამეტრები ფეხს უწყობს ომის დროის ზურგის დუღილს, თითოეული მათგანის სიტყვა და საქმე მთლიანია, უკავშირდება მწინდა მიზანს — გამარჯვებისათვის თავგანწირულ ბრძოლას.

ეს არის, ზემო აზრით, ლადო მრელაშვილის ახალი რომანის პირველი და მთავარი ღირსება, მეორე ღირსებად თხზულების ენის სინატაფე უნდა მივიჩნიოთ და ეს სტრიქონებიც ამ უკანასკნელმა ჩამოაწერინა.

ახალი ქართული რომანის ენა და სტილი სუსტადია შესწავლილი. სერგი გორგაძის შემდეგ ქართული სადასიტუვაობა ფართო გეგმით აღარავის უკვლევია. სერგი გორგაძის გამოკვლევა, პარზის ენის მეცნიერული შესწავლის პირველი მარჯვე ცდა, დღეს სრულიად მივიწყებულია. ერთხელ, ოციანი წლების მიწურულს, 1928 წელს, მიხეილ ჯავახიშვილმა და გვიან ორაოფე სხვა ავტორმა გაიხსენეს მხოლოდ, ახლა კი, სამწუხაროდ, სულ არქივის მტვირ-მიუჩაღია.

საკვლევი და საჩბრეკო ქართულ სადასიტუვაობაში ბევრია, მითუმეტეს, ძიების ახალი მიმართულებებით გაშლისათვის განსაკუთრებით ძვირფას მასალას გვაწვდის ჩვენი თანამედროვე პაროზა. სერგი გორგაძის მანუაღერი დაკვირვებანი ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით კლდიაშვილის, ვასილ ბარნოვის პაროზის ექვცეხოდა, დღეს კი აქ წერტილის დასმა აღარ შეიძლება. ზემოხსენებულ დიდ ეროვნულ მენისტუფეთა შემდეგ ქართულ პაროზა მთელი ეპოქა ჩამოდგა. სადასიტუვაობის მაგის-

ტარლერა გზა ვრძელდება. აღმოცენდა ახალი ქართული რომანი. შეიქმნა მიხეილ ქავთაძის მიხედვით და კონსტანტინე გამსახურდიას, შოთ არაგვისპირელისა და ლეო ქაჩელიას, ნიკო ლორთქიფანიძისა და დემანა შენგელიას ტილოებით, პეტეტორისტკაში ნიკორე შემოქმედთა თაობებში მოვიდნენ, ქართული წინადადება ახალი ინტონაციით აუღერდა; ინდივიდუალური სტილის ფარგლები განუზომლად გაფართოვდა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ტრადიციული საქციელების რიგეშია. უკველივე ეს ფაქტია. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ენათმეცნიერება ცხოვრებას ფუნქციონირებს ვერ მიყვება. ლიტერატურისმცოდნეობა სადასიტყვაობას გვერდი აუქცია და ძიების სიმძიმის ცენტრა წყობილიანსტყვაობაზე გადაიტანა. ლექსის თეორია დაწინაურდა, პროზის თეორია კი ჩამორჩა.

ჩვენ ფართო გეგმითა და უკველგვარია ასპექტით ვაკვირებ ძველი ქართულის ორიგინალურსა და ნათარგმნ ძეგლებს, ვაკვირდებით მათში შემონახულ ენობრივ ინვოკაციას ქრონოლოგიურ პლასტებს, გამოვლენილ და აღწერულ ფონეტიკურსა და გრამატიკულ პროცესებს ვუძებნით წყაროებს და ნიადაგს ვაშუქვებთ ძველი ქართული სადასიტყვაობის მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად. ეს ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების, უდადეგი მონაპოვარია, რითაც თავი მოგვაქვს. მაგრამ თანამედროვე ქართულია და მისი სადასიტყვაობის ძეგლებს, ის, ე. ი. მწერლის ენის შესახებ არის თქმა არ შეგვიძლია. თანამედროვე სადასიტყვაობა* ენობრივი ქსოვილის განაწილებიდან შრომება არ მოგვემოვიდებოდა. მეტად უნდა ითქვას, ქერქერობით არც არის განსაზღვრული მწერლის ენის შესწავლის ფარგლები და სტილისტიკის ასპექტები, დაუდგენელია პროზის თეორიის ოპტიმალური თვალსაწიერება თანამედროვე სალიტერატურო ქართულის შესატყვისად. ეს ცხადია, არ არის მარტო ქართული ფილოლოგიის ნაკლი, მაგრამ სხვაგან (მაგალითად, რუსულ ფილოლოგიაში) მაინც უფრო მეტი რამ ეთადება ამ დარგში, ვიდრე ჩვენში, თანამედროვე სადასიტყვაობა და წყობილიანსტყვაობა იმისთანა ფუნქციონირება, როგორც ძველი ქართული პროზა და პოეზია, მათაც იმისთანავე მეცნიერული სიტუაციათა და სტრუქტურული ურთობით უნდა შესწავლა, როგორც ძველ ქართულ ძეგლებს ვსწავლობთ. ეს გადაპარბეზად ნურავან მოერვენება.

„ოლოლები“ მკვლევარს მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდის თანამედროვე ქართული სადასიტყვაობის განვითარების ზოგიერთი ტენდენციის განათვალისწინებლად. ლადო მარტოვილის ობსერვაციასთან ერთად და სტილი თანამედროვე სადასიტყვაობის განვითარებაში შენიშნული ახალი გზებისა და საშუალებების ძიების ერთ-ერთი უდავო მაჩვენებელია.

ავტორმა, კერძოდ, „ოლოლებში“ თავისებურად გადაწყვიტა გამოხატვისათვის მიღებული ელემენტარული ტიპებით და კითხვით, ძაბვითა და კითხვით-ძაბვით წინადადებითა პოზიციური განლაგების პრობლემა. ავი წინადადებაში სიტყვათა ტრადიციულ წყობას იცავს, წინა-შემასმენილს უპირატესად ზოლო პოზიციის უფროსს, სუბიექტურ და ობიექტურ პირთა შესატყვის სახელებს წინა-შემასმენელთა წინ უძებნის ადგილებს, წინას უსწრებს, აგრეთვე, თანადებულნი და, მათ შორის, გარემოებათა სიტყვები. ატრაბუტულ და სუბსტანტიურ სიტყვათშეერთებებში მხაზვრელი ჩვეულებრივ პრეპოზიციულია. ამავე დროს, უნდა ვთქვათ, რომ წინადადების წყობითა ეს განლაგება ავტორისათვის მშრალი სტანდარტული კლიშე არ არის. ის შაბლონურ სიტყვათშეერთებებს გაურბის და გამოხატვაში სიტყვის უკველთვის ისეთ პოზიციას უძებნის, საიდანაც ოპტიმალურად გამოჩნდება მისი ზოგადი ფუნქცია და სემანტიკურ-სტრუქტურული შესაძლებლობა. რომანში მარტივი და რთული, უფრო რთული საქციელები დომინანტობს. სიხშირის მხრით მარტივი წინადადების შემდეგ პირველ ადგილზე პიპოტაქსური კონსტრუქციებია, მას მოხდევს პარატაქსული კონსტრუქციები. ავტორის ცდა დაალოგო წილობრივებისა და ისტორიზების, თხრობის მხატვრული საშუალებების ჩართვისა შესაძლებლობას ვკადრებს, რომ დაალოგოს სტრუქტურა ახლებურად ვაიანზროთ.

მწერლის ფრაზა თავისი ზუნებრივი ატრაბუტებით ქმნის სინტაქსურ მოლიანობას, რომე შიაც ორგანულიაა ჩამდარა უკველი ლექსურა ერთეული. ლადო მარტოვილი ოსტატურად იყენებს ენის მდარე ლექსიკურ საგანძურს და თანამედროველად იცავს წინადადების აგების არა მარტო ტრადიციულ პარადიგმებს, არამედ უპირისპირდება უკველგვარ შაბლონს, დაუტყობლად ზრუნავს ახალი სტრუქტურული მოდელების შექმნაზე. მისი ექსპერიმენტი უკველთვის შედეგანაა არა ჩანს, მაგრამ ეს მის წარდგის ვერ აუენებს. მცირე წერილში ძველია „ოლოლები“ ენობრივი სამოსლის უფრო ფართოდ ჩვენება, მით უმეტეს, წამოყენებული დებულებების ლაბორატორიულად დასაბუთება, მაგრამ საილუტრაციოდ რამდენიმე ადგილს მაინც დავიმოწმებ რომანის ტექსტიდან.

„...დაპარბეზად დებოდა ჩარბა და უცებ ვარა დაიქმნებოდა თიხის გუნდა; ზან უვაილივიო იშველიდა, ზან ლამის ზუშხავით იბერებოდა, ზან შაღლა-შაღლა იწოწებოდა და მერე თანდათან თვალსა და ზელს შუა იქცეოდა კოკა, სურად, გოზურად, ლიტრად, ხელადად, ცალკურად, ტოლიად, კაქლად თუ ჩარქვად“; „გაღმობტობოდა წრეშე ქიხტი, კვლიდან წამოდებულ ფაფას შემდეგ ჩამოიკობავდა, ნაქანდაკე სახეზე კუნთს არ შეატოკებდა, აშვაროულ ტანს კიდ-

ევ უფრო აიწვრავდა და გაზლივ ხელებს მაქ-
 აში დამაზად მოხრიდა. მშვილდის ღარივით
 გაიჭიმული. ვარძლის წიქრისა და დოლის ზე-
 ლს აყოლილი, ჭერ უკან-უკან წაივლიდა მოზ-
 დენილად, მერე შემოხრუნდებოდა და ასეთივე
 მოძრაობით კვლავ უკან-უკან წამოვიდოდა; „
 მზერასაჲ თითქოს კიდევ უფრო დაღუღული-
 უო. თავიერდა მოსტყუებოდა და გომნასტურის
 ევება სხველოში გაყრილი დამკჳნარა კისერი
 განკაჳულ მხრებზე ისე მიხმობდა, როგორც ნა-
 ქარალ ტოტზე უწუნით შერჩენილი ნახაო-
 რალი კანტა“..

მოკვლევ ფრანგებში სინტაქსური კომბინაცი-
 ები სპეკულიით არას ჩანსული. შეშასმენლი-
 სა და ქვემდებარის ადგილები თითქოს
 ნათემატიკურადაა გაანგარიშებული, წინაა წამ-
 უწეული არამთავარი წევრები (თუმცა ზოგჯერ
 მოსდევს შეშასმენლსაჲ „ჭერ უკან-უკან წაი-
 ვლიდა მოსდევლიდა...“). სიტყვათშერატობებში
 მტკიცედ დადებულია სუბორდინაციის პრინციპი.
 გამონათქვამთა სევმენტები განლაგებულია ქა-
 რული სადანიტუვაობის დაუწერელი კანონის
 შესახაზხად. რასაც არა გრამატიკული კავშირი,
 არამედ შერატის ადლო, სიტყვისა და სინტაგ-
 მის გრძობა აპირობებს. შექმნილია თხრობის
 ერთიანი სტალი, სადაც ურველი სიტყვა თავისი
 შინაგანი გამოშახველობის მაქსიმალური შესა-
 ძლებლობის ძალას ახლავსებ.

მწერლის შემოქმედების დიაპაზონი ვანიზო-
 მება მისი ენით. ენას კი აქვს განვითარების
 შინაგანი ობიექტური კანონები, რომელთაც
 ინდივიდუუმი ვერ შეცვლის. კანონებს შემოქ-
 მედებითა გამოყენება ესპირობება. კანონი თა-
 ენობავე აღებული ნულოვანი აბსტრაქციაა და
 თუ შემოქმედებით არ იქნება გამოყენებული,
 ენის განვითარებას ხელს კი არ შეუწყობს,
 არამედ შეაფერხებს. მწერალი ენის კანონს გუ-
 შავად უნდა იღებდ. მაგრამ შემოქმედებით უნ-
 დაიკავდეს და იფრენდეს მას. ცნობილია, რომ
 სტალი თავად მწერალია. გაფხისნენთ ვეფს შე-
 გონება, რომელსაც კანდი არასოდეს მოედება:
 „მწერალს, უპირველესად ურვეობა, საყუთარი
 „ენა“ უნდა ჰქონდეს. ვინაიდან ენა სახეა მწე-
 რლისა, მისი ფორმისმოთა და ურვეობად რომ
 ვეცვათ, — მწერლის სულია; ენაში იმადება
 მწერლის ინდივიდუალობა, მისი „მე“. ამიტომ
 ნიჭიერი მწერლის ნაწარმოები თუ ერთი-ორი
 რამ წაიკითხავთ წინათ, შემდეგ ხელმოუწერე-
 ლიც რომ შეგხვდეთ. ადვილად იცნობთ, ვის
 კალამს ეკუთვნის“.

„...ლოლები“ უბე მასხადს იძლევა ზემოხსენ-
 ებულ პარობლემათა ვასაშუქებლად. ახალი
 რომანი მწერლის უდავო ნიჭსა და ადლოს. სი-
 ტყვის, გამონათქვამთა კომბინაციების გრძობის
 ძალას გვარჩენებს. ამ გრძობით აღაგებს იგი
 ენის ელემენტებს გამონათქვამებში. აქ სინტაქსურ
 ერთეულებს. სინტაგმებს. მიმართვას. ნაწილ-

ებს, ჩართულის მოედლებს თავთავისი მუარი პი-
 ზიციუა უყავით. მწერალს არც ერთი ახალი კა-
 ნონი არ აღმოუენინა და, მის უმეტესს და-
 უდგენია. არც ერთი ახალი გრამატიკული მოე-
 ლენა აქ არ ვგვხვდება — ყველაფერი ძველი
 და ტრადიციულია. მაგრამ ენა რომანისა მიხედ-
 ვით შეიქმნება ასე ითქვას, ახალია, შესახების
 თანამედროვე ქართული სადასიტუვაობის.

ერთი ამონაწერი კიდევ: „მოკრალბებული ცა
 კერის ძირივით მოვდილი ვარსკვლავთა უწი-
 თელი ტალები. შოთივით მოხრილი მთვარის
 ნაღვეი ისე ანათებდა, როგორც ნადვერდლები
 სახევ თინდანი ახალჩარული თითარი პუ-
 რის ურთ. მართალი ნათელი გავსადიოდა თაჴე
 ნაყანობს, მოშუშულ ზაღზიან სართაულებს,
 გზასა და ნაგზურს, ძეძნარსა და ჯაგრცხილის
 ჯაგებს, ისეთი სირუმე იღვა ირგვლავ, როგორც
 ბოსილას ტყეში წვიმის შემდგა. მხოლოდ ვივბა
 თელის მრუმე ზრდილი იხობდა ერთორთში
 არტული ფრენა-ქოტახი და პატრონის ურთა-
 დღებით განებირებული პირტუვის სუბების
 დაუზარელი მუშაობა“.

შევენიერი სურათია დახატული. აღაგალავ
 თითქოს ვარძობა ილიას კაშმულსიტუვაობის
 გამოწეუტი (შდრ.: „მოხრილი მთვარის... ჰერ-
 თალი ნათელი...“). მის ქავზიშეილის სადასიტ-
 უვაობის შორეული ბინდი (შდრ.: „გზასა და ნაგ-
 ჴურს, ძეძნარსა და ჯაგრცხილის ჯაგებს...“),
 მაგრამ ამონაწერი მთლიანად აუტორის ბარა-
 ქიანი ქართულის ნიშნითა. ზაღზიანი სინტაქსის
 მავალით შეიძლება დამატებით დაეიწოწონ
 ეს გამონათქვამები: „თუ მინარცთ არ წაებმარ,
 მართო წვიმის წეალი თავს ჴღვაშედ ვერ მიი-
 ტანო“: „ღამის ოთხმოცი წელა, რაც სოფ-
 ელს ემსახურება ჩუმად. უთქმელად. უჩაღვე-
 ლად და უსაუვადუროდ. ცოდოა, მის ხედავ-
 ურე ფეხზე ცხვარი ჰყავს გამოზმული“; „...შუ-
 ბტარებული მზე პირდაპირ. თვალმის ჩაყურ-
 ებდა და იქიდან არტულით თაღისფერი შუტი
 უკანვე ზრდებოდა“: „...ურველ ქანახს. ურ-
 ველ კანტუტს, ურველ გამოკრალ ქვას თითობით,
 ბჭკუალებით, კბლებით ებიედებოდა და შერ-
 ჩერებლად მიიწედა მიწვარის თავისკენ“...

სიტყვათა ლაშქარი დამოწმებულ გამონათქვა-
 მებში გრამატიკულ პოზიციებზეა განლაგებული.
 ავტორი სტრომის სიტყვას, რომელსაც აქ ქუხ-
 ლის ძალა აქვს. სიტყვის ძალას გრძობა კი
 მწერლისათვის დიდი სკეოთა. სიაშვენებით
 უნდა ითქვას, რომ ღადო მრეღაშეალი სამწერ-
 ლო შრომის ვახტზე უფლად რომი დგას. იგი
 ათობით ნაჭერი თანამოკლებსთან ხელიბერ
 ჩაიდებულე ეწევა მძიმე უღელს, დედაბენას
 მათთან ერთად უღვას ბურჭად.

შმატვრულ ლიტერატურაში ენის ძირითადი
 ფუნქცია ხახათის ისე წარმოსახება, რომ
 სრულყოფილად გამოიკეთოს ნაცნობი უცნობ-
 ის სახე თავისი შინაგანი და ვარეგანი ნაშენ-



თესებებით. თედო და ქრისა, ნიკა პაპა და ე-
ჩალი ცალხელა, შინასაკლის ფერობა ზარბა-
ნიძე და კოლმურწნობის თავმჯდომარე ვახტან-
გი მწერლის თვალთ დაწახული ნაცნობი ფე-
ნიხებია, დამოუკიდებელი ხასიათებია, რეალის-
ტურად დასკრული ენის გამოხსენებლობითი
საშუალებებით. სიტყვის დიდმა გრძობამ მწე-
რალს საშუალება მისცა, უფრო ღრმად ჩაწე-
დომოდა ენის ერთეულთა მხატვრულ შესაძლე-
ბლობებს და ამ უკანასკნელთა მოშველიებით
ტიპობრივი ხასიათები შეექმნა. სიტყვის გრძ-
ნობის შედეგი, ჩვეულებრივ, სადასიტყვაობაში
აწარავლება, კანჭულსიტყვაობის ესთეტურ
ფენომენად კი ამ შემთხვევაში ვახდება, თუ საქმე
ღარკეთილ-ეპიტურ ტილოებთან, ან ლექსით
გარდათქმულ რომანთან ვეჭვდება. მწერლის ზე-
ლი სიტყვა აძლიერებს ხოლმე იმ ტენდენ-
ციას, მას საერთოდ რომ მოეპოვება ენაში. სა-
დასიტყვაობა სალიტერატურო ენის მავსტრა-
ლებს მიეყვება, მაგრამ მაინც „საკუთარი“ ში-
ნაგანი განვითარების გზით მიდის. მას, ცხადია,
თავისი გრამატიკა არა აქვს და არც შეიძლება
ქონდეს, მაგრამ მოეპოვება საკუთარი ინტონა-
ცია. ლინგვისტიკა აღიარებს, რომ სინტაგმა,
როგორც სინტაქსური ერთეული, მხატვრული
ენის დამოუკიდებელ ფენომენად არ გამოიყო-
ფა, თუმცა სალიტერატურო ენის ორივე განშ-
ტობაში მას თავისი საკუთარი პოზიცია, შინა-
ფორმა და სტრუქტურა აქვს. ლადო მარეაშვი-
ლის ფრაზის სინტაგმა ამის მშვენიერი ილუს-
ტრაციაა.

პარადოქსად არ უნდა მივიჩნიოთ ფ. შ. დოს-
ტოევსკის შეგონება: „ყოველ ცალკე ავტორს
თავისი საკუთარი ენა აქვს, და ამიტომ საკუ-
თარი გრამატიკაც“. ეს გრამატიკა სრულიად
არ გულისხმობს, რომ მწერალს სახელთა ბრუ-
ნების ან წმინთა უღლებების განსხვავებული სი-
ბტებში მოეპოვება. ასეთი რამ ბუნებაში არ
ხდება და არც არსებობს, მაგრამ მწერალი
მაინც მწერალია, მისი შემოქმედება ენით, მხა-
ტვრული ქმნილების ამ უპირველესი ნიშნით,
ფასდება. ზენი დროის ცნობილი ლინგვისტი,
რ. იაკობსონი, სწორედ ამას გამო ამბობდა:
ლიტერატურის მსოფლიოების სავანი არის არა
„ლიტერატურა, არამედ ლიტერატურულობა“. ლიტერატურულობა კი სხვა არაფერია, თუ არა
მხატვრული ენა თავისი განშტოებებით.

გამონათქვამი სინტაქსურ ერთეულთა იმისთა-
ნა კომპლენატორული ნაერთია, რომელშიაც
თითოეული სინტაგმას ღრმა აზრი და ძალა აქვს.
„ლოღებში“ აზრის თანამიმდევრული შესა-
ტყვისობითაა განლაგებული წინადადების სტრუ-
ქტურული ტიპები: მიქროთა მეყოლებული ორ-
შემადგენლიანი, სამშემადგენლიანი და ოთხშე-
მადგენლიანი კონსტრუქციები. ერთმანეთს ენა-
ცვლებიან ტიპებს მქონე, „ძიების უქონელი“
და „ორძიებისა“ წმენბი, ან ერთთა კონსტრუ-

ქციის რველუატორი. ან მეორე, ანდა ორივე
ერთმანეთის კვალში დგას. დამოწმებული ტექს-
ტის თორმეტ აზრაცო, მთელი მსგავსი ტექსტის
რომ უჭირავს. სულ 28 წინადადება: მარტავი
— 7, შერწყმული — 11, რთული (მაიოტაქსი)
— 10. წინადადებათა სტრუქტურა სხვადა-
სხვა მოდელისაა, მაგრამ მათ ერთი სა-
ერთო ღერძი აერთებს. მაიოტაქსი ამ წინ-
ადადებებისა ისეთი წყობისაა, რომელთაც შე-
მასმენელი აბსოლუტურ ბოლოში მოუღიბ.
დაცულია გარკვეული კანონზომიერებები.

რა აპირობებს ამ კანონზომიერებებს? ცხადია,
როცა მწერალი რომანს წერდა, ამ კანონზომი-
ერებებზე სრულიად არ ფიქრობდა. ტექსტი
გამონათქვამთა სტრუქტურული მოდელის
განლაგებას, უწინარეს ყოვლისა, სიტყვის გრძ-
ნობის ადგილ აპირობებს და არა სხვა რამ, თუ-
ნდაც კეთილშობიანება. სინტაგმის სტაბილური
გააზრება განსაზღვრავს მის პოზიციას, ბოლო
როცა მას ლოგიკური მახვილიც ემატება, ერ-
თთან საწარმოთქმო მოდელის ვლდებლობით.

რომანის ტექსტში ასე ეღერს სინტაგმური
შესაშებანი: „ბერაკაცო კიდევ უფრო დაჩიავებ-
რულიყო. ყურები საიკრად დასტკნობოდა. ჩაქ-
რალი თვალის ნაყარში მიმალული ნაღ-
ვერდლებივით ოდნავა ახეტებდა. პირის კანი,
რაც სახეზე მოდებულ ზანჯელსა და ბაღანს
გადაჩრენოდა, შემწიფებული ტერამივით ჰქონდა
გაყვითლებული-დამორღულია. წვერიც კი,—
წვერიც და უღვაშიც. — დაბერებული, სიცო-
ცლისაგან დაცული ჩანდა...“

აქ გვაქვს: ა) პრედიატული სინტაგმები: ბე-
რაკაცო დაჩიავებულყო; ყურები დასტკნობო-
და; თვალის ახეტებდა... ბ) ატიბუტულია
ხაქცივები ჩაქრალი თვალის // ჩაქრალ თვა-
ლებს; მიმალული ნაღვერდლები // მიმალული
ნაღვერდლებივით... ტყვადი სინტაგმური ერთე-
ულები მაქროთაა მიწყობილი, რველუატორი
პრედიატია, სუბსტანტიური და ატიბუტულია
წყვილები მას მიეყვება. გამონათქვამთა სტრუ-
ქტურებში პრედიატულ ერთეულთა ბოლო პო-
ზიცია ბუნებრივად ეღერს.

შეფუთარისპირით ამას მსგავსი მოცულობის
მეორე მონაკვეთი. ორმოცდერთი გამონათქვა-
მიდან მარტავი — 12, შერწყმული — 8, რთუ-
ლი—21 (მარტაქსი — 5, მაიოტაქსი — 16).
შემასმენელი ბოლო ადგილს იჭერს 81 წინადა-
დებაში, მოსდებს ქვემდებარეს ორჯერ, უსწ-
რებს ქვემდებარეს რვა წინადადებაში. ტიპობ-
რივ სინტაგმურ სახეობათა განაწილება ტექსტ-
ში ერთიანი ქართლის ნორმისაა.

ახვა გამართული მთელი რომანი. სტატის-
ტიკის მოშველიებითაც დასტურდება, რომ ყვე-
ლა კონსტრუქცია წინადადებასა მოდელირე-
ბულია გრამატიკული ნორმების შესატყვისად.
მწერალმა გამარჯვება იმით მოიპოვა, რომ ენის
ტრადიციული სადასიტყვაობა დადო საფუძე-

ბურაბ შარაძე

წერილები უორდროკაბისადმი*

ტასო მაჩაბლის წერილები

1895 წლის 2 მაისათვის, ძართლი (სოფ. ფცა).

დიდათ პატივცემულო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდინ ვერ მოგწერეთ წერილი. დარწმუნებული ვარ, რომ მომიტყვებთ, როცა გაიგებთ მიზეზს. ბავშვები ავით მყვანდნენ და ვეჩქარებოდი თფილისიდან გამოსვლას სოფელში, რადგანაც ზაფხულში საშინლათ ცხელა იქ.

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა. ჯერ იმითი, რომ აგრე შეისწავლეთ ჩენი ენა, რომ შეგიძლიანთ აგრე ჩინებულათ წერილების მოწერა. მეორე იმითი, რომ არ დაგავინყვადით და მოგვიგონეთ.

თქვენი სურათი მივიღეთ და დიდი მადლობელი ვართ მე და ჩემი და ბაბო.¹ ეხლა კერწში დაბინავებული იქნებით. როგორ ატარებთ დროს? ქართულს წიგნებს კითხულობთ თუ არა? წერილები ხშირათ მომწერეთ ხოლმე, მეც არ დაევიზარებ და მალე მოგწერთ პასუხს და ამ მიწერ-მოწერაში გაიადგილებთ ქართულ ენას.

ზაფხულში თუ გეძნებლათ ჩვენ ქვეყანაში მოსვლა, ამ ზამთარს კიდე უნდა გვენვიოთ თქვენც და თქვენი ძმაც.

დედათქვენი სადა ბრძანდება? ჩემი უგულუთადესი მადლობა მოახსენეთ. ბაბომ, ჩემმა ქმარმა მოგკითხათ, აგრეთვე თქვენი ძმა. ჩემ მაგიერათაც გადაეცით მოკითხვა.

დემურისა ცოლმა² სიყვარულით მოგკითხათ.

ნუ დამივიწყებთ, მომწერეთ ხოლმე.

თქვენი ერთგული

ტასო მაჩაბლი.³

1896 წელს 22 მარტს, ძალ. თფილისი.

დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მიზეზი ის არის, რომ ამ ზამთარს აქ ჩემი და¹ იყო თავის პატარა ავადმყოფი ქალით და ორი კვირა არის რაც გარდაიცვალა.

1 ბაბო ბატარატიონ-დავითაშვილი — უმცროსი და ტასო მაჩაბლისა.

2 მარიამ ივანიშვილი — დემურია (1860-1910) — ცნობილი ქართველი საბავშვო მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, საყმაწვილო ჟურნალ „ნაყადულის“ რედაქტორი.

3 ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდროკაბ ფონდი — d 20 (81), № 97.

4 ნინო (ნიცა) ბატარატიონ-დავითაშვილი, საჩხერელი თავადის — ბეჟან წერეთლის მეუღლე. ტასო მაჩაბლის უფროსი და.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი“, 1983, № 1.

ვალა.¹ მტად შენუხებული ვიყავით და დრო ვერ ვიშოვე, რომ მომენერა.

თქვენი ნათარგმნი „განდგელი“ მივიღეთ, დიდათ გმადლობთ პატარა მთარგმნისაგან. ჩემმა ქმარმა ნაიკითხა და ძალიან მოსწონს, მხოლოდ ერთ ალაგას შემდეგ შეცდომა მოგსულიათ: ბერი ეუბნება ქალს, შემოდი ჩემთან „გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა“, ესე იგი ნილს მოგცემ ჩემს ოთახშიო. ინგლისურად: „I will partake my cell with thee“; თქვენს თარგმანში კი ნათქვამია:

•Let us communion take, kneel down and pray.
This is my cell, and lo! it is God's house;
Here many a knee hath bent before this day.

პირველი სტრიქონი შეცდომით არის გადათარგმნილი, აგრეთვე მესამეც. ნამდვილია ასეა:

Ici il y a assez de place comme
pour toi, également pour beaucoup
d'autres suppliants.

დიდი სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას და გნერთ აზრს „ქართლის მოქცევის“ სტრიქონებისა: „რომლია საემშ მისი გამოძია“ signifie: la reine voulait connaitre les circonstances de la vie de Nino. quant à „იგი“ il correspond à „რფისიმი“, როგორც ვფიქრობ.

ჩვენ გავიგეთ, ვითომ თქვენ ძმას ბათუმში ნიშნავენ კონსულათ. თუ მართალია, ძალიან სასიამოვნო ამბავია.

ჩემი ქმრის ნათარგმნი „იულის კეისარი“ ჯერ სრულათ არ დაბეჭდილა და როცა დაიბეჭდება გამოგიგზავნით.

თქვენი ძმა მოიკითხეთ ჩვენს მავთურათ. ჩემმა ქმარმა და დამ² მოგიკითხეს. ამ ზაფხულს მოგვლით კიდეც.

გაკოცებთ ბევრს.

დავრჩები თქვენი მოყვარული

ტასო მანაბლისა³

1897 წლის 8 მარტს, სოფ. ფცაში.

უძვირფასესო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რომ ამდენი ხანი არ მოგწერეთ პასუხი თქვენს წერილზე. მომიტყვეთ, რადგან დრო არ მქონდა და რადგანაც სოფელში ვართ, გვიან მივიღეთ თქვენი წერილი. ეს ზამთარი გავატარებ სოფელში ჩემ ძმასთან⁴ და ძალიან კმაყოფილი ვართ, დავისვენებ ქალაქის ხმაურობისაგან. საერთოთ, ქალაქი საშინლათ ღელავს და მოუსვენარი ცხოვრება არის, სოფელში კი სულ სხვა არის — სიჩუმე და სიმშვიდე. ამ ზაფხულს საჩხერეში მივდივართ და თქვენ და ბატონ ოლივერს გულით, როგორც პირობა იყო, მოგვლით. იმედი მაქვს არ დაარღვევთ თქვენს სიტყვას. ჩემმა დამ მითხრა, რომ მოგწერათ წერილი და გელით უძველესათ. თქვენი ძმის ავაღმყოფობა რომ შეეიტყვეთ, ძალიან შეგვაწუხა, მაგრამ მალე კაი ამბავიც გავიგეთ, რომ მორჩენილა. თქვენ ინერებით, რომ კითხულობთ ქართულ ჟურნალებს. განა იმდენი დრო გაქვთ, რომ იკითხოთ? ხომ არაფერს თარგმნით ახალს? თქვენი ძმა სულ თაყის საქმეში იქნება გართული და დაავიწყდებოდა ქართული კითხვა და ლაპარაკი და რომ ისეც მოიგონოს, კიდე უნდა მოზრძანდეთ საქართველოში.

ველი თქვენს ამბავს, ნუ დაგვივიწყებთ. ჩემმა დამ ბაბომ და ჩემმა ქმარმა მოკითხვა მოგახსენათ თქვენ და თქვენ ძმას — ბატონ ოლივერს.

ჩემი უგულთადადისი მოკითხვა გადაეცით ბატონ ოლივერს.

დავრჩები თქვენი მოყვარული

ტასო მანაბლისა⁵

1 ივლისხმება ივლიტა (ლიტა) ბეჟანის ასული წერეთელი.

2 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი — უმცროსი და ტასო მანაბლისა.

3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 98.

4 ივლისხმება დათა ბაგრატიონ-დავითაშვილი — უმცროსი ძმა ტასო მანაბლისა.

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 99.

26 იანვარს, თბილისი, 1898 წელს.

ეროვნული
ნიმუშიერთობა

უძვირფასესო და საყვარელო ბატონო მარჯორ!

მომიტყვეთ, რომ აქამდინ პასუხი ვერ მოგწერეთ. მიზეზი იმაშია, რომ დრო არ მქონდა, ჩემი ქმარი ძალიან ავად იყო, ეხლაც ავად არის, მხოლოდ ცოტა უკეთ არის. აპრილიდან აქამდინ სულ ლოგინში წევს, ორჯერ ოპერაცია გაუკეთეს.¹ სიცხეს აძლევდა, მადა არაფრის არ ჰქონდა და ძალიან მძიმედ იყო, ღმერთმა გვიფარა და უკეთ არის, ლოგინიდან კი ჯერ წარ ამდგარა.

თქვენი წერილი რომ მივიღე ძალიან გამეხარდა, მე მეგონა, რომ ჩვენ კიდევ დაგავინწყდით. დიდათ გმადლობთ პატივისცემისთვის. დიდი მოკითხვა გადაუცით თქვენ ძმას. მე სულ შინ ვარ და არაფერი ამბავი არა ვიცი რა. ჩემმა დებმა და ქმარმა ბევრი მოკითხვა შემოგივალათ, აგრეთვე, თქვენ ძმას.

ბევრს გაკოცებთ.

დაფრჩები თქვენი ერთგული და მოყვარული

ტასო შაჩაბლისა.²

ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორ!

დიდათ და დიდათ მასიამოვნა თქვენმა წერილმა, ჩემო კარგო მეგობარო. საშინლათ მიამა, რომ არც თქვენ და არც ბატონმა თქვენმა ძმამ არ დაგვიწიწყეთ, მეტადრე, ჩემი უბედური ქმარი.³ ვერ ვპოუბ სიტყვებს მადლობის გადასახდელათ. თქვენი წერილი ისეთი კარგია, თქვენი გრძნობა ისე საესებით არის გამოყვანილი წერილი, ისეთი ტკბილი და სასიამოვნოა, რომ ამ წერილს ეუნახავ ჩემ პანანა შვილებს,⁴ რომ იცოდნენ, იყვნენ იმისთანა ორი და-ძმა უცხო ქვეყნისა, რომელნიც გულით სწუხდნენ მართლა რომ დაკარგვას როგორც კარგი კაცისა, ისე კარგი და თავგანწირული მოღვაწისა. ჩემი ქმარი თქვენი ძალიან პატივისცემული იყო და ამ ჩემ უბედურებაში რომ არ მომიგონეთ და არ მომწერეთ წერილი, საშინლად მიკვირდა. ეხლა მიხარია, რომ გავიგე მიზეზი.

თქვენ გეგონათ, რომ მე ვიცი იმის წასელა და ბინა. ეგ მართალი არ არის, ჩემო კარგო. მე მგონი თქვენ იცით კარგათ იმის ისტორია, ბატონ ოლივერმაც იცის. ჩვენმა საზოგადოებამ იქამდინ მიიყვანა. ვერ გავიგეს ჩემი ქმრის ფიქრები, მოღვაწეობა; ბევრი მტერი გამოუჩნდა და რვა წელიწადი სულ ბრძოლაში იყო. მერე ავით გახდა, ძალიან ავით იყო ორი წელიწადი, ისე რომ უკანასკნელ დღეში იყო. ოპერაცია გაუკეთეს, სამი ძვალი ამოსჭრეს. ძალიან ტანჯვა გამოიარა. მერე მორჩა, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ საზოგადოება უსამართლოთ მოექცა და უნდოდა და ფიქრობდა „სიმართლე გამოვავინოვო“. ამ ფიქრებში იყო, მერე მორჩა სრულებით. იმ ზაფხულს ვაპირებდით აბასთუმანში წასვლას. თითონ ჩემ უბედურ ვანამ მისწერა წერილი ექიმს აბასთუმანში, ფული გაუგზავნეთ, აგარაკი დავიჭირეთ. ეს იყო 1898 წელს 24 ივნისს. 25-ში კარგათ იყო, მხიარულათ, საღამოზე წარდდი ითამაშა, მერე ვახშმის შემდეგ დაიძინა და 26-ში დილით რომ შეეფიქრა იმის ოთახში, აღარ დაიძინა. და არ ვიცი ეხლა თავი მოიკლა, თუ მოკლეს, ან სადმე წავიდა. ვარ ასე ტანჯვაში. არ ვიცი როგორ ვილოცო, როგორც ცოცხალზე თუ როგორც მიცვალბულზე.

ჩვენი საზოგადოება სამათ გაიყო: ზოგი ამბობს თავი მოიკლა, ვეღარ აიტანა ტანჯვა. ზოგი ამბობს მოკლეს, ფული უნდა წაეღოთ, ზოგი — გავიდა ინგლისში, საზოგადო

1 ივანე შაჩაბელს ოპერაცია გაუკეთა (წევრის ძელები ამოჭრა) სამხედრო ქირურგმა ვ. ო. ინ. ო. 1897 წლის 19 ივნისს, თბილისში. ოპერაციას ესწრებოდა ა. შაჩაბლის მეტრნალი ექიმი — გ. გ. გ. მაღალაშვილი. ოპერაციის დროს ამოჭრილი ივანე შაჩაბლის წევრის ძელები დღეს მის ოჯახში ინახება.

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი d 20 (81), № 100.

3 ივანე შაჩაბელი უგზოუკლოდ დაიკარგა 1898 წლის 26 ივნისს.

4 ნიკო-ნიკუშა (დაიბადა 1892 წელს). და ელენე-ელა (დაიბადა 1894 წელს) შაჩაბლები.

საქმე უნდა გააკეთოს და დაბრუნდებოდ. თქვეს კიდევ, რომ ვაზიანი [ვარლამ ჩერქეზიშვილი] და ვანო მარაბული ერთად არიან და უორდრობებსაც ეცოდინებათო. მაგრამ ეს მხოლოდ აგრე ფიქრობს ადამიანი და სხვა არაფერი იცის. რამდენჯერმე მიხედოდა, თქვენთან წერილის მონერა და არ ვიცოდი, თუ გახსოვდით კიდე.

თუ მიწერ-მონერა გაქვთ ვაზიანთან, მისწერეთ ეს ამბავი, იქნება არც კი იცის, რომ ჩემი უბედური ქმარი დაიკარგა და პასუხი რომ მოგივით, მომწერეთ.

ბოდიშს ვიხდი, რომ ასე გრძელი წერილით შეგანუხებო.

ესლა მე სოფელში ვცხოვრობ. ჩემი სახლები ქირით მივეცი. პატარა ნიკუშკა პანსონში მივეცი და ჩემი ელა და მე სოფელში ვართ.

ამ დღეებში თბილისში ჩავალ და გამოგვიგზავნით უკანასკნელ თარგმანს ჩემი ქმრისას „ანტონიო და კლეოპატრას“ და „კორიოლანს“.

კორიოლანი და მისი ცხოვრება და ბედი, ხასიათი საშინლათ მიაგავს ჩემ უბედურ ქმარს!

ჩემი ქმრის სურათი არ ვიცი გაქვთ თუ არა?

ნუ დაიზარებთ, თუ დრო გექნებათ, მომწერეთ წერილი. საშინლათ სასიამოვნო და ტკბილი წერილებია და ამ უბედურობაში ისეა, როგორც ავთიმყოფისათვის წამალი.

ამ შემთხვევაში ავთიმყოფი მე ვარ, თქვენ — უკიმი და თქვენი წერილი — წამალი და ნუ მომაკლებთ თქვენ წამალს!

დიდი მადლობა და მოკითხვა ბატონ ოლივერს. თქვენი დედა და მამა როგორ ბრძანდებიან? თუ მოხვალთ კიდე საქართველოში, ნუ დამივინწყებთ და სოფელში მენვიეთ.

ჩემმა დებმა და ულამ მოგაციოხათ გულით თქვენ და ბატონი თქვენი ძმა ბევრს გაკოცებთ მე.

ნუ დამივინწყებთ უბედურ

ტასო მარაბულიანს.

ჩემი ადრესი: Станция Гоми.²

1899 წელი, 15/27 ნოემბერი, გომი.

ძვირფასო და საყვარელო ბატონო მარჯორი!

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ აქედან წერილი ვერ მოგწერეთ. ცოტა არ შემეძლო, ავთიმყოფი, და ეს იყო მიზეზი ჩემის სიჩუმისა.

თქვენმა წერილმა მასიამოვნა და კიდევ შემანუხა. მასიამოვნა იმიტომ, რომ კიდევ გახსოვართ და აგრე უზრადლებით ხართ ჩემთან, და ჩემი უბედურობა აგრე განუხებთ.

შემანუხა თქვენმა წერილმა იმიტომ, რომ მამ დაშეკარგა იმედი, რომ როდისმე კიდევ ვნახო ჩემი საყვარელი მეგობარი ვანო. მე თქვენ წერილს ისე მოველოდი, რომ უთუთოთ საიმედო რამე უნდა მოგეწერათ.

აქ დამარწმუნეს, რომ ჩემი უბედური ქმარი არის ვაზიანთან, ვითომ ვაზიანი იმდროს, როცა უბედურობა დაგვემართა, აქ იყო და ერთად ნავიდნენ. ისიც თქვეს, რომ ინგლისში ნავიდა და ვითომ თქვენ იცით. ესლა თქვენმა წერილმა დამარწმუნა, რომ არც თქვენ და ვაზიანმა არ იცით, სადაც იმყოფება ჩემი უბედური ქმარი. დარწმუნებულიც ვარ, რომ იცოდეთ, შემატყობინებთ. მაგრამ მე ჩემი ბედის არა მნამს რა და მეც ვფიქრობ, რომ უკვლარ ვნახამ ჩემს ქმარს და ჩემი უბედური შვილები—თავის კარგ და საყვარელ მამას.

ქმ შვილებს პგონიათ, რომ შორს ნავიდა და სულ ელიან იმის წერილს. ჩემი ვაფიშვილი წერილს მისწერს ხოლმე და რასაკვირველია, მე ვხვდ, და რომ ვუთხრა, მამა აღარ არის, საშინლათ ტირიან — და მეც ვუუხნები, რომ მალე მოვა.

რომ არ ვიცი, ვერც ცოცხალი ვნახეთ და ვერც მკვდარი. რა დაეუშავეთ ღმერთს ასე, რომ საფლავიც დაგვეკარგა?!

კიდევ დიდათ გმადლობთ, ჩემო კარგო, დიდი მადლობა გადაეცით ბატონ ოლივერს, რომ აგრე სიყვარულით და მეგობრულათ მოიქცეით, შესწუხდით და იმწამსვე გაიგეთ ყველაფერი ვაზიანთან. ბოდიშს ვიხდი, თუ შეგანუხებთ. სად არის ესლა ვაზიანი, არ შეიძლება რომ მე მომწეროთ?

1 ვარლამ ჩერქეზიშვილი, წერდა ვაზიანის ფსევდონიმით, „ივერიის“ ლონდონელი კორესპონდენტი.

2 ოქსფორდი, უორდრობათა ფონდი — d 20 (81), № 101-102.



გთხოვთ გადასცეთ თქვენ მშობლებს გულითადი მადლობა ჩემგან და ჩემი შვილები-საგან ყურადღებისათვის.

რატომ არ მომწერეთ თქვენი აზრი — უკანასკნელი თარგმანი ჩემი ქმრისა როგორ მოგწონათ, თითონ აღარ იყო და კორექტურა არ გაუსწორებია.¹

როცა ჩამობრძანდებით, არ დამივიწყოთ და თუ არ შენუხდებით, მნახეთ.

თქვენ მშობლებს და ძმებს მრავალი მოკითხვა. ბევრს გაკოცებთ. ჩემმა დებმა და შვილებმა ბევრი გაკოცეს და მოკითხვა შემოუთვალეს ყველას ერთობით.

ნუ დაივიწყებთ უბედურ

ტასო მარაბლინა.²

1900 წელი, 1 ნოემბერი, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

რათ დამივიწყებთ, აღარ მომწერეთ წერილი. არ ვიცი ამჟამათ სად ბრძანდებით. მე ეს-ლა თბილისში ვარ მთელი ზამთრობით. ჩემი პატარა ვაჟიშვილი სწავლობს პანსიონში. ჩემი უნცროსი და პარიფშია, იქიდან უნდა ლონდონში წავიდეს და კითხულობს, რომ ადრესი გამოუგზავნოთ თქვენი დედ-მამისა, იქ რომ მივა, ნახავს.

მომწერეთ მე და გაუგზავნი. ჩემი დისა ადრესი ეს არის:

Paris, Rue Voveau N 35, M-me Nicoladzé. Paur M-me Barqation-Davidoff. თქვენი ძმები და დედ-მამა როგორ ბრძანდებიან. ხომ არ აპირებთ თბილისში ჩამოსვლას? ხომ არაფერს თარგმნით? ბატონი ოლივერი როგორ ბრძანდება? გადაეცით გულითადი მოკითხვა. ნუ დამივიწყებთ. ბევრს გაკოცებთ ჩემო კარგო.

დიდად პატივისმცემელი **ტასო მარაბლინა.**

ჩემი ადრესი: Тифлис, Чавчаваძევская улица № 12.

ველი თქვენ წერილს.⁴

1900 წლის 24 დეკემბერი, თბილისი.

Чавчаваძევская № 12.

დიდად პატივცემულო ბატონო მარჯორი!

მოგლოცავთ ახალ წელიწადს, ღმერთმა მრავალს წელს დაგასწროთ თქვენი მშობლებით და ძმებით. აქამდინ ვერ მოგწერეთ წერილი, ავით ვიყავი და ერთი თვე ლოგინში ვინექი. ესლა კარგათ ვარ. თქვენ როგორ ბრძანდებით, ან ბატონი ოლივერი? მოგდით თუ არა ქართული ფურნალები? ხომ არაფერს სწერთ ახალ რამეს, ან იქნება თარგმნით? ხომ არ აპირებთ აქ მოსვლას? თუ მობრძანდებით, ძალიან გვასიამოვნებთ. ნუ დამივიწყებთ, თქვენი ამბავი მომწერეთ.

ბევრს გაკოცებთ მე, ჩემი და და ბავშვები. მომიკითხეთ სიყვარულით ბატონი ოლივერ, თუ კიდევ ვახსოვარ.

დავრჩები თქვენი კეთილისმსურველი

ტასო მარაბლინა.⁵

1 ივლისისმება ივანე მაჭაბის მიერ ნათარგმნი უ. შექსპირის „ანტონიოს და კლეოპატრა“ (ტფ., 1898) და „კოროლიანოს“ (ტფ., 1898).

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d20 (81), № 103.

3 ბაბო ზაგრატიონ-დავითაშვილი, რომელიც ამ დროს პარიზში ცხოვრობდა.

4 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d20 (81), № 104.

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (81), № 96.

10. „მნათობი“, № 2.

1901 წლის 28 მარტი, თბილისი.

საქართველო
საზოგადოებრივი
საბჭოთაო

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

მოგილოცავთ ქრისტეს აღდგომას, ღმერთმა მრავალს აღდგომას დაგანსროთ მხიარულათ და ჯანმრთელათ თქვენი მშობლებით. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ ვერც პასუხი მოგწერეთ და ვერც მადლობა მოგლოცვისათვის. თქვენი წერილი მივიღე და წიგნიც — თქვენი თარგმანი. დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენ და თქვენ ძმას ბატონ ოლივერს. აქამდინ ვერ მოგწერეთ იმიტომ, რომ კიდევ დიდი უბედურება მოგვივიდა: ჩემს დას² მოუკვდა უფროსი შვილი თოთხმეტი წლისა და დიდ მწუხარებაში ვიყავით. მერე მე ვიყავი ავით და მერე ჩემი შვილი, და აი, მიზეზი ჩემი სიბუხისა.

არ ვიცი კი სად ბრძანდებით, მომწერეთ წერილი თუ დრო გექნეთ. ჩემი მეორე და ისევ პარიჟშია და ამ ერთი თვის უკან მოვა. იქნებ კერძო იყოს და მაშინ გნახათ. მე ამ ორ თვეს აქ, თბილისში ვიქნები და მერე იმერეთში — საჩხერეში, ზემ დასთან ვიქნები ამ ზაფხულს. იქნება თქვენ და ბატონი ოლივერი მობრძანდეთ, გვეწვიოთ, დიდი მადლობელი ვიქნებით. ახლა რას თარგმნით? თქვენი მშობლები როგორ ბრძანდებიან? დიდი მოკითხვა გადავიცი თქვენ ჩემ მაციერთ. აგრეთვე გულით მოგიკითხათ თქვენ და ბატონ ოლივერს.

დაერჩები თქვენი ღრმა პატივისმცემელი

ტასო მანაბლსაძე

1901 წლის 3 აპრილს, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

ჩემ დას თქვენი წერილი მოუვიდა. იმისთანა ტუბილი და სასიამოვნო, რომ არ ვიცი, მადლობა როგორ გადაგიხადოთ. დიდ მადლობას მოგახსენებ აგრეთვე ბატონ ოლივერს მაგისტრანა ჯურადლებისათვის. ახლა ჩემი და კიდევ გამოემგზავრა თქვენსკენ. საშინლათ მწყინს, რომ მეც არა ვარ ერთათ თქვენთან. ძალიან მსურს თქვენი ნახვა. ძალიან დაიგვიანეთ აქ საქართველოში ჩამოსვლა, რათ დაგვივიწყეთ, მალე გვნახეთ. გიგზავნი თქვენ სურათს ბავშვებთან ერთად.⁷ ცოტა კარგათ ვერ არის, მაგრამ მალე გამოგიგზავნი თქვენ კარგ სურათს. დავებრდი არა, ბატონო მარჯორი, მას შემდეგ, რაც არ გინახივარ? აღარ მოგაწყენთ ჩემი წერილით, იყავით მშვიდობით და კარგათ. გულითადი მოკითხვა თქვენ და ბატონ ოლივერს, აგრეთვე ჩემმა შვილებმა მოკითხვა შემოგიტოვალეს.

დაერჩები მარად ერთგული თქვენი

ტასო მანაბლსაძე

1901 წლის 9 აპრილს, თბილისი.

ძვირფასო ბატონო მარჯორი!

ჩემი და გამოემგზავრა და დიდ საქმეს იწყობს.⁹ შეშინიან, რომ ცოტათ მძიმე საქმეა

1 იგულისხმება „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული მარჯორი და ოლივერ უორდრობების მიერ, ოქსფორდი, 1900.

2 ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი-წერეთლისა.

3 იგულისხმება საშა ბეგანის ძე წერეთელი.

4 ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილი.

5 ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილი-წერეთლისა, რომელიც საჩხერეში, ქმრის მამულში ცხოვრობდა.

6 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (81), № 105.

7 ეს სურათი დღეს ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკის უორდრობთა ფონდშია დაცული: Wardr. 13. 25 ა. აქვეა ივანე მაჩაბლის და მისი ცოლშვილის — ტასოს, ნიკოსა და ელენეს. აგრეთვე, კოლინის — ბაბო ბაგრატიონ-დავითაშვილის სხვა სურათებიც სამახსოვრო წარწერებით.

8 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (81), № 106.

9 იბნათ. იგულისხმება ბაბო ბაგრატიონის განზრახვა — გაეხსნა საქველმოქმედო სამკერვალო საბუღალსო ხელმოკლე ქალების დასასაქმებლად, რომელიც მან შემდგომში განაბოტოცულა კიდევ.



და ჩემი და ჯერ არ იცნობს შავ საქმეს და ვაი, თუ ვერ ნაიფედს საქმე კარგათ, მეტადრე პირველ დანყობანზე მეტათ ძნელი იქნება, თქვენი დიდი იმედი მაქვს, რომ ხელს შეუწყობთ ჩვენი ძველი მეგობრობისათვის და ჩემი უბედური ქმრის პატრონის მით. თქვენ ასწავლეთ და დაარიგეთ როგორც უნდა, აგრეთვე ჩემ მაგიერათ სთხოვეთ ბატონ ოლივერს. ჩემი და თითონ გადმოგცემთ ყველაფერს დანერვილებით. რაღა ბევრი გვხვეწით, თქვენი იმედით ვარ. ვეცდები მეც რითიმე გადავიხადოთ პატივისცემა. როგორც ჩემი და მოვა თქვენთან, მომწერეთ წერილი და მოიფიქრეთ, ან როგორ შესცვალეთ ჩემი დის დანყობილება. ბევრს და ტკბილათ გაკოცებთ. გულითადად მოკითხვა ბატონ ოლივერს. დაფრჩები თქვენი კეთილის მსურველი

ტასო მარაგლისა.

1902 წლის 19 იანვარს, თბილისი.

ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო მარჯორი!

ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდინ ვერა მოგწერეთ რა. მე სულ საქმეებში ვიყავი გართული და ნამდვილათ არც ეხლა ვიცი, სადაც იმყოფებით. თქვენც დამივიწყეთ. მე ეხლა თბილისში ვარ, ისევე ჩემ სახლებში ვცხოვრობ. ჩემი ვაფიშვილი გიმნაზიაში სწავლობს და პატარა ჩემი ქალი კი შინ. ჩემი უფროსი და სცხოვრობს ქუთაისში, თავისი შვილებიც იქ გადაიყვანა სასწავლებელში. ჩემი უნცროსი და კი ამაჟამათ აქ იმყოფება ჩემთან და ეხლა აპირებს კიდევ სამზღვარგარეთ მოგზაურობას. თქვენთვის წერილი მოუწერია პარიზიდან და პასუხი არ მიუღია. საშინლათ სწუხდა, არ იცოდა რა მიზეზია, რომ თქვენ უპასუხოთ დასტოვეთ იმისი წერილი. თქვენი ნახვა ძალიან უნდოდა, რაღაც საქმე აქვს თქვენთან და გთხოვთ, თუ ნებას დართავთ, რომ ერთი დღით შემოიაროს თქვენთან კერძო ცნობების ასაღებათ თქვენგან.

რადგანაც მარტო მოდის იმიტომ განუხებთ და თუ თქვენთვის სამიშობა ჩემი დის მიღება, მაშინ გთხოვთ, რომ სადგურზე დახვედეთ და ურჩიოთ რომელიმე სასტუმრო. წინა დღით დეჟუსით გაცნობებთ. დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ განუხებთ, მომიტყვეთ. როგორც მიიღოთ ჩემი წერილი იმ წამსვე მომწერეთ პასუხი, რადგანაც ჩემი და ჩქარობს წასვლას.

გულითადად მოკითხვა ბატონ ოლივერს. ჩემმა დამ და ბავშვებმა მოკითხვა შემოგიტოვალეს ყველას ერთობით.

თქვენ მშობლებს მრავალი სალამი. ბევრს გაკოცებთ საყვარულთ.

დაფრჩები თქვენი ერთგული მეგობარი

ტასო მარაგლისა.

ადრესი: Ольгинская улица № 40. Анастасия Александровна Кн. Мачабели.

1911 წლის ივლისი, თბილისი.

ძვირფასო ბატონო ოლივერ!

უეჭველია, მიხვდებოდით, რომ ჩემი ასეთი დიდი ხნის სიჩუმე სერიოზული მიზეზებით იყო გამოწვეული. ჯერ ერთი, დაყვარებთ ჩვენი შესანიშნავი მეგობარი, ბატონი სარაჯო-

1 ოქსფორდი, უორდროპა ფონდი — d 20 (81), № 106.

2 იგულისხმება ნიცა ბაგრატიონ-დავითაშვილის შვილები — დათაო, ნიკო და თამუნია წერეთლები. როგორც ცნობილია, სილამაზით განთქმულ თამუნია წერეთელს ტიციან ტაბიძემ უძღვნა თავისი რამდენიმე შესანიშნავი ლექსი.

3 ოქსფორდი, უორდროპა ფონდი — d 26/3 (9).

ვი. კავკასიაში მომავლადი ჩამოიყვანეს (გერმანიიდან, სადაც იგი მკურნალბოდა, გ. შ.). ავადმყოფობა უცერად სასიკვდილო აღმოჩნდა და მან ისურვა, რადაც უნდა დაეჯდომოდა, თავის ქვეყანაში დაეღია სული. თბილისში ცოტა ხანს კი იტყუებოდა მტრზე აღარ იყო და ლაპარაკიც არ შეეძლო. ეს მძიმე დანაქარგია მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებისა და ნათესაებისათვის. დაკრძალვა გრანდიოზული იყო, მთელი ქალაქი მწუხარებას მოეცა. კიდევ დიდ ხანს ვერ შეევეჩვიე იმ აზრს, რომ ეს მომხიბლავი კაცი ასეთი ენერგიული, მოსიყვარულე და მხიარული აღარ არის ამ ქვეყნად.

ძლივს რომ მოვედი გონს ამ ამბის შემდეგ, ჩემი საცოდავი გოგონა, ჩემი საყვარელი ელა გამიხბა ავად ტიფით. დიდი გაჭირვებით გამოვვლიჯვით სიკვდილს კლანჭებიდან. ახლა ჯერ კიდევ სუსტად არის და თუმცა საშიშროება მოგვმორდა, მე სულ ერთიანად ვკანკალდე, იმდენი გადავიტანე ამ საშინელი განსაცდელის დროს. ო, შეილი რომ დამკარგოდა, ამ ტანჯვას ვერ გადავიტანდი. ერთ ხანს რომ ვნახე, აგერ ხელიდან შეცლება-მეთქი, მზად ვიყავი, დამეწნო იმ ქვეყნად წასვლა, ოღონდ ამ საშინელი სიკვდილის მომსწრე არ გავმხდარიყავი. ბოლოს, როგორც იქნა, დამიბრუნდა და მეც იმედი მომეცა. სიცოცხლემ კიდევ ერთი ღიმილი მაჩუქა, მე, რომელსაც ყველაფერი დაკარგული მეგონა. ხომ ხედავთ, ძვირფასო ბატონო ოლივერ, ძალიან სერიოზული, უფრო სწორად კი სამწუხარო ამბები რომ არა, რასაკვირველია, არ გავწყვეტდი მიმოწერას, რომელიც ასე ძვირფასია ჩემთვის.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიწყენთ (ამდენი ხნის სიჩუმეს) და ვისწრაფვი ჩაგაყენოთ ჩემი ცხოვრების საქმის კურსში, რომელიც, იმედია, ამიერიდან მაინც წუნარი და უშფოთველი იქნება, თორემ მეტის ატანას, აღბათ, ვერ შევძლებ.

ელა გულითად ხალას გითვლით, ისევე როგორც ჩემი დეიდაშვილი ლიზა თარხანოვი, რომელიც ამ გასაჭირში გვერდიდან არ მომშორებია. მოკითხვა ჩვენგან თქვენს დედას. იმედოვნებ, რომ ყველა ჯანმრთელად ბრძანდებით.

მაგრად კართმეთ ხელს თქვენ

ბასო მარაბლინა.

ღმინიკა ირისთავი-მღინის (ბანდებილის) წერილები

10 ნეპინისთვა, 1896 წელი, ტფილისი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო მარჯონი!

აგერ ერთს თვეზედ მეტია, რაც ნახვედით, მაგრამ აქამდე ნამდვილად არ ვიცოდი ქერში იყავით თუ კიდევ მოგზაურობდით. ახლა, რაკი ვაგიგე, რომ მინდა ხართ, ვისწრაფვი მოგილოცოთ მშვიდობით მისვლა შენს ბინაზე და შორს მყოფმა მეგობრულის გრძნობით დაგკოცნო.

როგორა ხარ, ჩემო ძვირფასო მეგობარო, მოწყენილი ხომ არა ხარ? ივერიკომ მითხრა კარგად არისო. მაგრამ მაინც მინდა საკუთრად შენგან ვიცოდე შენი ამბავი. ხშირად არის ხოლმე ისეთი შემთხვევა, რომ ადამიანი სრულებით ჯანმრთელად არის, მაგრამ იმავე დროს ავად კი არის. მართალია, ადამიანი უმთავრესად ორი ელემენტისაგან არის შემდგარი სულიერისა და ხორციელისაგან, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ხორცი სულის სარკედ ვერ ხდება... შენი არ ვიცი და მე კი, რადმუნდაც ჩემს თავს დავეკვირებივარ, გაოცებული ვარ ჩემის ორ-გვარობით. ბევრჯერ სასონარკვეთილებამდე მიმიყვანს ხოლმე სულის აღშფოთებული მდგომარეობა, მაგრამ ჩემს გარეგნობას — სიმრთელეს სრულიად არ ეტყობა ესა. ასეთ ნამებში ყველაფერი მეზიზღება. მეზიზღება თვით ჩემი საკუთარი თავი, ვგმობ ჩემს გაჩენას, ჩემს სულს, გრძნობას, რომ თავიანთი მწუხარების დაღს არ ასმენ ჩემს გარეგნობას... სულით ვიტანჯები და ხორციით კი კარგად ვარ! როგორ მოგწონს?

1 ცნობილი ქართველი მრეწველი და მეცენატი დავით სააკიშვილი გარდაიცვალა 1911 წლის 26 ივნისს.

2 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 30 (40). დამწერილია ფრანგულად. ამ წერილის შვიი დასუღია საქართველოს ლიტ. მუზეუმში: 13817-ხ. თარგმანი მარინე ჩერქეზიშვილისა.

3 ივერიკო მიქელაძე — ცნობილი ქართველი ფერწარისტი და ვიქელაძის (პეველის) უფროსი ვაჟი.

რომ მკითხო, — რა მტანჯავს, — გარკვეულ პასუხს ვერ მოგცემ. ჩემი გონება ვერ შერიგდება იმ უცვალდებელ კანონს, რომ ქვეყანა, — ეს საუკეთესო გვირგვინი ბუნების ნანარმოებთა შორის, — კაცის ფეხით ითვლება. მერე, აფასებს ადამიანი ამ დიდებას? არა, არ აფასებს. რომ აფასებდეს, მაშინ ამდენი საძაგლობაც არ იქნებოდა ქვეყანაზე, ყველა მშურის კავშირით იქნებოდა შეერთებული. ახლა კი, საითაც გაიხედავ, ყველგან ღალატს, ორპირობას და მოტყუებას ვხედავ; ცრუობს ყველა და ყველაფერი და ამიტომ თვით ცა და ქვეყანაც ცრუობად და არარაობად მუჩვენება... ბედნიერია ის, ვისაც სარწმუნოება შერჩენია. მე კი, ჩემო საყვარელო დაო, არასოდეს აღარ დამიბრუნდება ჩემი ბედნიერება, ვერაფერ ვერ აღმიდგენს ჩემს წარწყმედილს რწმენას და ამიტომაც არის, რომ ავადმყოფი ვარ.

ძნელია ასეთი ავადმყოფობა...

უპაცრავად ვარ, თავი მოგაბეზრე ამგვარი მსჯელობით. ნუ გაგვიკვირდება, რომ ახლად გაცნობილს ასე გულახდილად გელაპარაკები, ამას თავისი მიზეზი აქვს. ბევრი მყავს დიდის ხნის ნაცნობი და ნათესავი, მაგრამ რასაც ეხლა ნაიკითხავდი, გარწმუნებ. პირველად გადამაქვს ქალაღდებ.

მომწერე შენი ამბავი, როდის მიდიხარ ინგლისში, ან რა პქენი „ვეფხის ტყაოსნის“ შესახებ. მე ძალიან გულით მინდა, რომ ერთი კვირით მაინც მოვიდე შენთან, მაგრამ ბილეთი (passport) არ მაქვს და რანაირად წამოვიდე? რომ ვთხოვო მარშალს, ჩემი ქმრის ნება-დაურთველად არ მომცემს და ამიტომ ვერა ვებედავ, თორემ, უუჭველად წამოვიდოდი რამდენიმე დღის ვადით. მე მგონია, ბილეთს მომთხოვენ მანად!

შენი ჭირიმი, მარჯორი, დიდის პატივისცემით მომიკითხე თქვენი დედა-მამა და ძმა. ვისურვებ ყველა მაგათს მშვიდობას. თომამ! რაც ინგლისური სიტყვები დამანერინა, თითქმის ყველა ვისწავლე.

სხვა რა მოგწერო, ჩვენი რედაქცია, მგონი, ამ თვის გასულს გაიხსენება. ილიამ თქვა, როგორც ჩამოვა შერემეტევეი, ისე მივალო. 14 ამ თვის მოვლიან და ენახოთ, რა იქნება.

ნაიკითხე თუ არა „მომამბეში“ ჩემი მოთხრობა „თვალები“ — ივლისის ნომერში? თუ ნაიკითხე, შემატყობინე შენი აზრი, რაც ნაკულუღავანება აქვს, მომწერე, მაღლობელი ვიქნები.

შენი დომინიკა.

P. S. დიდის პატივისცემით მოგაკითხათ ჩემმა დეიდაშვილმა ანდრია ლულაძემ.¹ ნუ დამივიწყებ. ჩემი ადრესი ხომ იცია: მიხეილის ქუჩა, № 134, დომინიკა ერისთავისას. გპოცნი სიყვარულით.²

1 აპრილი, 1897 წელი, ტფილისი.

ჩემო ძვირფასო მეგობარო მარჯორი!

იქნება ისე განრისხებული ხართ ჩემზე, რომ ხელიც არ მოაკიდოთ ამ ჩემს წერილს! მე სწორედ ღირსი გახლავართ ამისა. რადგან დიდათ დამნაშავე ვარ თქვენთან, რომ ამდენს ხანს წერილი ვერ მოგწერეთ, მაგრამ იმდენი დამაბრკოლებელი მიზეზები შემხედა, რომ თუ ოდესმე შეღირსება თქვენი ნახვა და გაამბობთ, დარწმუნებული ვარ, მომიტყუებთ. თითქმის ამ ერთი წლის განმავლობაში ორი დღე მოსვენებით არ გამიტარებია, ისე უკულმა მიდის ჩემი საქმე... ჯერ იყო და, ხომ იცით, „ივერია“ იმდენს ხანს დაკეტილი იყო, მეგონა, გაიხსენება და ჩემს ადგილს მევე დავიჭერ-მეთქი. ამ მოლოდინის უფლება

1 თომას უორდროპი — მარჯორის უმცროსი ძმა, არაქელიც 1896 წლის ზაფხულში იყო საქართველოში მარჯორთან და დედ-მამასთან ერთად.

2 ივლისისებზეა გაზეთ „ივერია“ რედაქცია, რომელიც დროებით მაშინ დახურული იყო 1896 წლის 17 მაისიდან წლის ბოლომდე.

3 ივლისისებზეა კავკასიის მთავარმართებელი.

4 ან დ რ ი ა ლ ე ლ ა ძ ე — ცნობილ ქართველი ეთნოგრაფი, საყვარელი ეთნოგრაფი „ნო-სიასი“ და ყოველდღიურ გაზეთ „დიას“ რედაქტორ-გამომცემელი.

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — ძ 20 (75).

მქონდა, რადგან ხუთ წელიწადს ერთგულად ვემსახურებოდი „ივერიას“ და ჩემი საუკეთესო ძალ-ღონე მას შევსწირე. მაგრამ, წარმოიდგინე, ჩემს ადგილზე სხვა მიიღეს და მე-კი უადგილოდ დამაგდეს. დავით მიქელაძე მივიდა ილიასთან და უფრო უფრო დომინიკას რატომ არ აძლევთ თავისს ადგილსო, მაგრამ ილიამ უპასუხა: „ჩვენში ჩვეულება არ არის, რომ ქალმა სადავო საქმე გადაეთოს და კაცებთან ერთად იმრომოსო“.

ძალიან გამივიწროდა ეს, მით უფრო იმ კაცისაგან, რომელსაც კარგად ესმის, რომ ქალიც ისეთივე ადამიანია, როგორც კაცი, და შრომა თუ შეუძლია, სულ ერთი უნდა იყოს ვინც იმრომებს.

რალა დამრწმუნდა? ძალას ხომ არ დავატანდი თვისს გაზეთში? „სტრიქონებით მივცემთ ფულს და გვინეროსო“ — ეთქვა. მეც ვწერ ხრონიკას და ხანდახან ლექსს, მაგრამ ამის უპირიარს გაზეთის ფასში მირიცხავენ, რადგან გაზეთს მიგზავნიან და მე კი ვარ ასე...

მართალია, ვწერდი „ქვალში“, რაც შეძლოთ კიდევ მაძლევდნენ, მაგრამ რა უნდა, როცა რედაქცია ღარიბია? ამიტომ მეც ვერ ვწერ იმდენს, რამდენიც მე საცხოვრებლად მწყობია. ხუთი თვეა, რაც „ცნობის ფურცელში“ დაკონკრეტებული მუშაობა, ვასწორებ სხვისი წინერების ანაქტის (სტილს), რადგან სხვა საჩემო განყოფილების პროგრამა არა აქვს იმ გაზეთს, და თითქმის მუქთად ვმუშაობ, თვეში ოც მანეთად, მაგრამ ამ ხუთ თვეში სწორედ სამი თუმანი მიმიღია, არა აქვს შეძლება და საიდგან მომცენ. ხელის მომწერლები ბლომად აყვას, მაგრამ რედაქტორი იმდენად უეცრია, რომ თეატრი აიღო იჯარით, მოიწვია საოპერეტო დასი და იზარალა. მეტი რა გზა უნდა, გაზეთის შემოსავლით არტისტები გაისტუმრა და ჩვენ, თანამშრომლები კი უპუროდ ვხვავართ.

ასეა ქართული მწერლობის საქმე, ჩემო ძვირფასო დეო და მეგობარო! ჩვენ თითონ რომ არ ვარგვართ, მწერლობა რითი უნდა ვარგოდეს!.. ბევრად უკეთესია, კაცი სადმე ქარხნის მუშათ იყოს, ვიდრე აქ ლიტერატურას შესწიროს თავი. ქარხნის მუშებს არსებობს პური მიანიც აქვთ!... და ჩვენ კი ამაზუდავ ვზრუნავთ, თუმცა მუშაობით ბევრს ვმუშაობთ.

ყველა ამას იმიტომ გწერ, მეგობარო, რომ თუ ვრცლად არა, რამდენადმე მიანიც იცოდე ჩვენი მდგომარეობა.

მომწერე წერილი და ნუ დაპივიწყებ. დამერწმუნე, მუდამ მახსოვარ და გულითად მეგობრად გთვლი, თორემ ასე გულ-ახდილადაც არ მოგწერდით ჩემს ამბავს.

დიდის პატივისცემით მოგიკითხავ თქვენს შრომებს და თომას, ღმერთს ესთხოვ, რომ ყველანი კარგად ბრძანდებოდეთ. ნუ მოახედავთ ჩემს სიწუმეს, მომწერეთ წერილი, თქვენი ჭირიმიც.

დიდის პატივისცემით მოგიკითხვს ჩემმა ძმამ ურბნელმა¹ თვისის ცოლით² და შიო არაგვისპირელმა³. რამდენჯერმე მთხოვა არაგვისპირელმა თქვენთვის მოკითხვა გადმომეცა.

მარჯორი, თუ ხახანიშვილს⁴ წერილი მისწერო, ჩემს მაგივრად დიდი საყვედური შეუთვალეთ, რომ ამდენს ხანს პასუხი არ მომცა ჩემს წერილზე. აქ არ ჩამოსულა, მგონი, სახლვარ-გარეთ აპირებდა ნასვლას წელს.

ველი, მეგობარო, შენს წერილს მალე.

სულით და გულით თქვენი ერთგული მეგობარი

დომინია ერისთავის ასული.

ჩემი ადრესი: მიხეილის ქუჩა, № 199, განდგილს.

P. S. ამ წამად სად იმყოფებით, მაცნობეთ, რათა იქ გამოგიგზავნოთ წერილი. მოველი ვრცელს წერილს თქვენგან.⁵

20 აპრილი, 1907 წელი, კატაგბურაბი.

დიდათ პატივცემული ბატონო ოლივერი!

გთხოვთ მაპატიეთ, რომ განუხებთ, მით უმეტეს, რომ თქვენ პირადად არ გიცნობთ. თქვენი და — მარჯორი ვარდროპი, ჩემი კარგი მეგობარია, გულით მიწდა იმისი ნახვა და

1 ამ დროს „ცნობის ფურცელის“ რედაქტორ-გამომცემელი იყო ვალერიან გუნია.

2 ნიკო ხიზანიშვილი.

3 ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერტეხიშვილი.

4 პროფესორი ალექსანდრე ხახანიშვილი.

5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (76).



არ ვიცი, ამ ჭამად სად არის. მინდა აგრეთვე თქვენი გაცნობა, როგორც სახალხო ინტელისეისა, რომელმაც ჩემი სამშობლო შეიფარა. არ ვიცი, როდის შეიძლება თქვენი წახვ. თუ შეიძლება, ორის სიტყვით მაცნობეთ პასუხი.

თქვენი პატივისმცემელი

განდობილი.

ჩემი ადრესი: ნევის პროსპექტი, № 75, ერისთავისა.¹

ანასტასია თუშანიშვილი-წერათლის წერილები

7 თებერვალს 1896 წელს.

ძვირფასო და საყვარლო დაო მარჯორი!

კალამს ვერ ვიღებ ხელში ისე მცხენიან, რომ აქამდის ვერ მოგწერეთ წერილი. მაგრამ ვიცი უზღველობათ არ ჩამომართმევთ და მამაკითხვით, რადგან შესაწყნარებელი საბუთიცა მამქვს. ზაფხულში რომ მომივიდა თქვენი წერილი და სურათი ძალიან და ძალიან გამეზარდა, მაგრამ ჩემი ქმარიმ ჭალაში იყო, მეც უქეიფობდი და ბევრი საქმეებიცა მქონდა. მოვიდა თუ არა ჩემი ქმარი, ექიმმა სოფელში გამაგზავნა დასასვენებლათ და მინდოდა — ჩამოვალ თუ არა სოფლიდან გადამელო ჩემი სურათი და ბარათთან ერთათ მომერთმევიანა, მაგრამ კრწანისის ველზე რომ გავედი — დიდი ტალახი იყო და გავხდი ავათ ტიფოი (საოფლით) და სიკვდილს ძლივს გადაურჩი. ცოტა უკეთობა რომ დამეტყო, მერე ჩემი ქმარი წავიდა ამ დიდ ზამთარში ერთხელ ჭალას და ქუთაისის და ორჯელ რუსეთში, ახლაც ხარკოვეში. „კვალის“ და „ჯეჯილის“ საქმეები სულ მე დამეხვია თავს. „ჯეჯილი“ ახლა ყოველ თვე უნდა გამოგზავნა, მაგრამ ადრინდელი აღარა მამქვს და ახლა ისეთი შეკრეჭილი ვარ (ავათ რომ ვიყავ თმა გამიკრეჭეს), რომ ჯერ ვერ ავიღებ სურათს.

ჩვენში დიდი ნყალდღობა იყო, ახლა დიდი ზამთარია და ხალხი მეტათ შენუხებული არის.

კნიაზი აკაკი (წერეთელი) თვენახვევარია, რაც ხარკოვეში წავიდა თავის ცოლ-შვილთან. იქ ძალიან ავათ შეიქნა, მაგრამ ახლა უკეთ არის.

კლიშეებისთვის დიდათ გამაძლობთ. თურნალ „Notes“-დან გამოვიწერე 110 მანეთისა, ახლა გამოგზავნილია და მალე მივიღებ. კიდევ სხვა კლიშეებია გამოგზავნილი. Religions... raef Society იმათგანაც მალე მივიღებ, ბათუმში, მგონია, მოსულა კიდეც. თქვენ ძალიან დამავალბეთ, რომ მშველით კლიშეების შექენას, თორემ ძალიან მიძნელდება კარგი კლიშეების შოვნა.

როდესაც მომივა — მოგწერთ ყველაფერს დანერალებით. ახლა ვშიშობ თავი არ მოგაბეზროთ. ყველა თქვენი ნაცნობები პატივისცემით და სიყვარულით მოკითხვას გითვლიან. ნეტავი დრო გვეკონდეს, რომ გენვიოთ. ჩემი ქმარი სულ იმას გაიძახის, რა კარგი იქნება, რომ მოვახერხო და წავიდე მათ სანახავათ.

ჩემი გულითადი მოკითხვა გადაეცით თქვენ ძმას ბატონ ოლივერს.

თქვენი ერთგული მეგობარი ანასტასია წერათლისა.³

3 დეცემბრისთვეს 1896 წელს, თბილისი.

საყვარლო დაო მარჯორიავ!

დიდი ხანია მსურს სულით და გულით, რომ მოგწეროთ წერილი, მაგრამ ჩემი უთაურობით, უფრო იმიტომ, რომ ჩემი ქმარი გაერთო ჭალის მთის საქმეს და აქაური გაზეთის¹

1 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (77).
 2 გიორგი წერეთელი — ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.
 3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (55).
 4 აგულისხმება გაზეთი „კვალი“.

საქმე სულ მე დამხვია თავს; „ჯეჯილსაი“ ყოველ თვე და „კვალს“ ვერ ვასწრობ და უნდა მაპატიონ ჩემ ნაცნობებმა. აღარც თქვენ რასმეს ინერებთ, როგორ ბრძანდებთ თქვენი ძმა ბატონი ოლივერი?

ხომ რასმეზე არ მიწყობით? ძალიან დამნაშავეთ ვთელი ჩემ თავს, რომ ჭიათურამდის არ გამოგაცილებთ, მეც თქვენსავეთ ცხენით სიარულს თავს ვაშორებდი. ახლა იქით მხარეს გზები შევნივრათ გააკეთეს, დილიდანები დადის, გიორგიმაც (წერეთელმა) გამართა ლინეიკა. თუ მობრძანდებით გაზაფხულს მოგზაურობა ადვილი იქნება. გიგზავნიტ მოსასხმელს, რომელიც დედა თქვენს დარჩა აბაშიძესთან. ჩემმა ასულმა ელიკომ გაათავა სწავლა აქ, ეხლა უნდა რუსეთში წასვლა სასწავლებლად, მაგრამ მე არ ვუშვებ. ვეუბნები უცხოეთის ლიტერატურა და ენები შეისწავლოს.

თავს მოგაბეზრეთ ამოდენა წერილით. იმედი მაქვს მომწერთ ორიოთ სიტყვას მაინც. ყველა თქვენმა ნაცნობებმა სიყვარულით მოგიკითხათ.

გიორგი ვთვთვიმეს ძე (წერეთელი) გვეითხებათ: როდის წავიკითხოთ (ინგლისურად) „ვეფხვის ტყაოსანი“?

თქვენი მოსიყვარული

ანასტასია წერეთლისა.

26 ნოემბერს 1897 წელს, თბილისი.

დიდათ პატივცემულო დაო მარჯორია!

ძალიან ვწუხვარ, რომ დიდი ხანია თქვენი ამბავი არა ვიცი რა. გამწყრალი ხომ არ ბრძანდებით ჩემზე და იმიტომ არ მწერთ არაფერს. რაც თქვენ ნაბძანდით ჭალიდამ, მას უკან ველი თქვენ წერილს და არა მომსელა რა. მე ჩამოვედი თუ არა ჭალიდან, მოგწერეთ ბარათი და დედა თქვენის წამოსახმელი, რომელიც დარჩენილია ჩვენ სოფელში, უმაღლე გამოგვზავნე და ისიც არ შევიტყვე, მიიღეთ თუ არა. შარშან ზამთარს მინდოდა მომეწერა ხელმეორეთ წერილი და დავით მიქელაძემ ბრძანა, რომ თქვენ იტალიაში მოგზაურობთ. ახლა აღალ-ბედათ ვგზავნი წერილს კერჩში, იქნება მანდა ბრძანდებით. გიგზავნიტ ჩემ სურათს, მხოლოთ ახლა გადავიღე. ჩვენ ამბავს თუ კითხავთ, მოგახსენებთ, რომ ყველანი კარგათა ვართ და ისევე ისე ბევრი საქმეები გვაქვს. ჩემი ქმარი ხშირათ დეიარება ჭალაში და აქამდის „კომპანია“ ვერ უშოვია მადნების აღმოსაჩენათ, ახლა კი მგონია მალე მოაწყობს საქმეებს. ჩემი ქალი ელიკო რედაქციაში მუშაობს, ძალიან უნდა ევროპაში მოგზაურობა, იქაური ლიტერატურის შეწავლა, მაგრამ მარტო ვერ გამიშვია, ჯერ ახალგაზრდაა და ჩვენ კი იმდენი საქმეები გვაქვს, რომ ვერ წავფებით. ჩემი ვაჟებიც ახლა დიდრონი არიან, მალე გაათავებენ აქ სწავლას.

თქვენ და თქვენი მშობლები როგორ ბრძანდებით. ბატონი ოლივერი განა არ აპირებ ჩვენსკენ მოგზაურობას? თქვენი „ვეფხვის ტყაოსნის“ თარგმნა მალე გაათავდება თუ არა? იქნება ამ ზაფხულს გვეწვიოთ! იმედია მოგივინებთ.

ჩვენ ერთობ ყველანი დიდი პატივისცემით მოგიკითხავთ.

დავითები მართა პატივისცემული

ანასტასია წერეთლისა.

1 ივლისსებება 1896 წლის ზაფხულში მარჯორიას მოგზაურობა იმერეთში დედ-მამასთან და უმცროს მამასთან. — თომასთან ერთად.
2 ელენე წერეთელი — გიორგი წერეთლის ასული პირველი ცოლის — ოლიმპიადა ნიკოლაისაგან, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა ბელგიაში — ბრიუსელში.
3 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (56).
4 ლევან და ირაკლი წერეთლები — გიორგი წერეთლის ვაჟები პირველი ცოლის — ოლიმპიადა ნიკოლაისაგან. ამოთან ირაკლი წერეთელი შემდგომში ცნობილი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე გახდა.
5 ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (57).

8 მარტს 1899 წელს, (თბილისი).

ქვირისის
ზეზულიძის

დიდათ პატივცემულო საყვარელო მარჯორი!

ისეთი დიდი დანაშაული მიმიძღვის თქვენ წინაშე, რომ აქამდის თქვენ მოსიყვარულე წერილზე პასუხი ვერ გაახელით, რომ თავის გამართლება მეძნელება, ვიტყვი მხოლოდ რომ „ინფლუენციით“ ძალიან ავით ვიყავი — ჩემი ქმარიც საქმეებზე დაიარებოდა და ველარ გაცნობეთ რა ჩვენი ამბავი.

„ვეფხვის ტყაოსნის“ ვარიანტს, რომელსაც თხოვლობით, დიდ ხანს ვეძებდით მეც და ჩემი ქმარიც, მაგრამ ვერსად ვერ ვიპოვეთ, დაგვეპირდენ კიდევ შოვნას, მაგრამ ჩვენ იმედი დაგვარგეთ მისი პოვნისა.

თქვენ იწერებთ, რომ გაზაფხულს ინგლისს მიემგზავრებით, რატომ ჩვენი მხარე დაივიწყეთ. ვიცო, რომ ჩვენ ამბავს იკითხავთ: უფროსი ჩვენი შვილი ლევან გიმნაზიას ათავებს და ზაფხულში უნდა პეტერბურგის უნივერსიტეტში წავიდეს.

ჩემი ქალი ელიკო დიდი შენუხებულია, რომ ვერ მოეხერხებთ მისი გაგზავნა სამოღვაწეო-გარეთ სამოგზავროთ და მსოფლიო ლიტერატურის შესასწავლათ. მარტო ვერ გავისტუმრებია და ჩვენ არც დრო და არც ჯიბე ნებას გვაძლევს წასასვლელათ. ელიკოს ვუშოვეთ ერთი წლისთვის საჭირო ფული, მაგრამ უცნობებს ვერ ვენდობით, რომ გავატანოთ. დიდი დავალება იქნებოდა ჩვენთვის თქვენთან რომ წამოსულიყო და თქვენ გაპატრონებიათ, მაგრამ თქვენ შენუხებას ვერ იძებნით. ელიკომ ზედ-მინწვნით იცის ქართული ენა და თუ ინგლისურს ისწავლიდა თქვენთან — ეს ძალიან გამოადგებოდა ჩვენ ლიტერატურაზე, ძალიან მაღლობელი ვიქნებოდით, რომ თქვენი აზრი მოგვენათ.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავთ ბატონ ოლივერს.

დავმთუბი თქვენი მოსიყვარულე მეგობარი

ანასტასია წერეთლისა.

P. S. ჩემმა ქმარმა პატივისცემით მოგვიკითხათ და ოლივერს თვისი ახალი გამოკვლევა გამოგზავნა.²

16 თებერვალი 1901 წელს, (თბილისი).

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო ქალბატონო მარჯორი!

დიდი დანაშაული ვარ, რომ აქამდის თქვენ მოსიყვარულე წერილზე პასუხი არ შემოგიტვალეთ და ნათხოვნი „ჯეჯილების“ გამოგზავნაც დამიგვიანდა. ახლა გიგზავნით ყველა ნომრებს, რომელიც გეთხოვნათ. ბევრი ნაღველი და მწუხარება მაქვს: გაზეთი „ქვირისი“ დამოცემა იანვრიდან გადავეცი ერთ ყმანვილ კაცს, — ჭიჭინაძეს, თუმცა ის ვერ არ დაუმტკიცებიათ და მერე ვაპირებ რედაქტორობის გადაცემასაც. ნოე ფორდანიას მიიყავს, როგორც შარშან, გაზეთი და ბევრი ძალიან კმაყოფილი არიან. მე ველარ ვუძღვებოდი „ქვალსაც“ და „ჯეჯილსაც“. ახლა მარტო „ჯეჯილს“ უნდა გავუძღვე.

ჩვენ იანვრიდან ორი ყოველდღიური გაზეთი გვაქვს: „ცნობის ფურცელი“ აჯობა „ივერიას“. ჩვენები დიდის ამბით ემზადებიან რუსების შემოსვლის ასი წლის დღესასწაულს.

თქვენი შრომა „წმინდა ნინო“³ მივიღე. დიდი მაღლობელი ვარ. ახლა რაზე მუშაობთ, რატომ არ იწერებთ. აქ მოიტანეს ამბავი, ვითომ ბატონ ოლივერს ნიშნავენ კონსულათ თბილისში. რა მოხარული ვიქნებით, თუ მართალი გამოდგა. იქნება ზაფხულში წამობრძანდეთ ჩვენკენ. შეგვატყობინეთ, ძალიან გავგებხარდება.

ჩემი ორივე ვაჟები — ლევანი და ირაკლი მოსკოვში სტუდენტებათ არიან და ახლა იქ

1. იგულისხმება: Г. Церетели, Археологическая экскурсия по Квирильскому ущелью, «Mat. по арх. Кавказа», т. VII, М., 1898;

2. ლეს დაუტლია ოქსფორდში, უორდროპთა ფონდში (Ward. I. 14). რომელსაც ამკობს გიორგი წერეთლის წარწერა: „ძვირფასათ მოსაგონარს მარჯორი ვორდროპს სახსოვრათ ავტორისაგან. 1899 წ. 25 იანვარს“.

3. ოქსფორდი, უორდროპთა ფონდი — d 20 (58).

3 იგულისხმება: „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ინგლისური თარგმანი, შესრულებული მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ, რომელიც 1900 წელს დაიბეჭდა ოქსფორდში.

რომ არეულობაა, მაშინებს და მანუხებს. ისინიც გარეული არიან და სწავლას მოყვებიან. ელიკო ჩემ გვერდით არის, სწერს მოთხრობებს და რუსულათ თარგმნის მწვერულების ნაწერებს, მეტადრე, თვისის მამისას. ახლა გადათარგმნა „მამიდა ასმანობ“ და უნდა დაავა-ბეჭდინოთ.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავთ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს და თქვენ მშობლებს. მეც და ყველა ნაცნობები თქვენი სიყვარულით საღამს გითვლით.

თქვენი მოსიყვარულე მეგობარი

ანასტასია ნერეთლისა.

17 ივნისი 1902 წელი, (თბილისი).

ძვირფასო და დიდათ პატივცემულო ქალბატონო მარგორი!

დიდი დამნაშავე ვარ, რომ ამოდენა ხანია აღარაფერი არ მომიწერია თქვენთვის, თუმცა თქვენ ამბავს შორიდან ყოველთვის ვტყობულობდი.

ცხოვრებას იმდენი დაევიარაბა და ნაღველი მოსდევს, რომ კაცი თავს ძლივს დაახ-ნევს ხოლმე, რომ ათასში ერთხელ მაინც გამოელაპარაკოს თავის სასიკაფულო ნაცნობებს და მეგობრებს. თუ ჩემ საკუთარ ამბავს იკითხავთ, უნდა მოგახსენოთ, რომ ორივე ვაჟი-ვილები (ლევანი და ირაკლი) მოსკოვში გაეგზავნენ — უნივერსიტეტში და ერთმა (ლევანმა) საცოლეთ იშოვა რუსის ქალი და მეორეს (ირაკლის) თავი უკრეს სიბირში ხუთი წლით; ამ ჭამათ ჩემთან არის მხოლოდ ჩემი ქალი ელიკო, რომელიც დიდი სიყვარულით მოკითხვას გითვლისთ.

ნელინადნახევარზე მეტია. რაც მე „კვალი“ გადავეცი ახალგაზრდა ყმანვილებს და აქამდის „კვალს“ ჩემი სახელი ვერ ავახსნიენე. მის თანამშრომლებს წამდაუნუმ — მიზე-ზითა და უშიზებით იჭერენ. მე ახლა მხოლოდ ჭურნალ „ჯეჯილს“ ვუძღვები და სწორეთ დამნაშავე ვარ, რომ აქამდის ჩემი მოუცლულობით ვერც წერილი მოგწერეთ და ვერც ჭურნალი გამოგიგზავნეთ. ახლა გაახლებთ ამ 1902 წლის ნომრებს და გთხოვთ შაცნობოთ დანაკლისი შარშანდელი ნომრები და იმასაც გაახლებთ. „კვალსაც“ უთუოდ მიიღებთ და თუ რაზე საქმე გექნებათ რედაქციასთან, პირდაპირ მიწერეთ რედაქციაში და დაუყოვნებლივ ასრულებენ თქვენ თხოვნას.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავ თქვენ ძმას ბატონ ოლივერს და თქვენ მშობლებს მდაბლათ თავს დაუფურავ.

თქვენი ერთგული მონა-მოსამსახურე

ანასტასია ნერეთლისა.

ჩემი ადრესი თბილისი, „ჯეჯილის“ რედაქცია. არტილერიის ქუჩა № 5.²

დებუშა (თარგმანი ფრანგულიდან):

„ოლივერ უორდრობებს. ბუქარესტი, ტფილისი, 156, 12. XI. 1907.

ძვირფასო თავადი (ილია) მოკლეს. დავერძალეთ კვირას. კნენია (ოლგა) სასიკვდილოდ დაჭრილია.

ანასტასია (ნერეთლისა).³

(ოქტომბერი, 1907 წელი), თბილისი.

ჩემო მეტათ ძვირფასო და საყვარელო ქალბატონო მარგორიავ!

თქვენმა წერილმა ძალიან გამახარა და თანაც დამალონა, რადგან ქართულათ არ იყო დანერვილი — მეგონა დაგავინყდათ ჩვენებური ყველაფერი. მე იმიტომ არა გწერდით, რომ

1 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (63).

2 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (59).

3 ოქსფორდი, უორდრობთა ფონდი — d 20 (61).

არ ვიციდი, სადა ხართ და არც არავის მოუტანია ჩემთან თქვენი წერილი. მე ბევრი განსაცდელი გადამიხდა თავს და ხშირათ ნადუღიანი ვარ.

რაც „კვადი“ დაიკვება — მე ვადეგი მხოლოთ „ჯეჯილის“ გამოცემას. ჯერ ხომ წინა მიაყოლეს „კვადს“ და ერთი ნდლინადი თითქმის მოუნდი ხელმეორეთ ნებართვის გამოტანას. ამ დროს დაიბადა „ნაკადული“¹ და ვინც მე მაძღვედა შემწეობას — ყველამ მომიხსპო, მე მაინც არ დავვარდი სულიერათ და განვაგრძე მუშაობა. მაგრამ არეულობის დროს, ესე იგი ჩვენი რევოლუციის დროს, ვიღასა ახსოვდა საყმაწვილო ჟურნალი და რადგან გამოცემაც ერთი ორათ ჯდებოდა — ერთ დროს კიდევ მოვისურვე სრულებით მომგსპო ჟურნალი, მაგრამ როგორც დედა ვერ აიღებს ხელს შვილზე, თურმე ჩემთვისაც შეუძლებელი იყო „ჯეჯილის“ მოსპობა და ახლა ამ წელს ისევ განვაგრძე გიგზავნით ორ უკანასკნელ ნიგნს (№№ VIII და IX) და დიდი სიამოვნებით გაახლებთ წინანდელ ნომრებსაც.

თქვენი წერილი გარდავეცი მე თვითონ საგინაშვილს² და ახლა კნეინა ოლგაც³ ისე კარგათ შეიქნა, რომ უსათუოდ ძალიან ესიამოვნება თქვენი წერილი. კნიაზ ილიას შვედელეები ჯერ არ უპოვნიათ, მაგრამ საქმე ისე არის დაყენებული, რომ აღმოაჩენენ, სანამ ჩვენი ფედერალისტები და სოციალ-დემოკრატები გაცხარებული ჩხუბობენ.

ყველა ჩვენმა ნაცნობმა სიყვარულით მოკითხვა შემოგიტვალესთ.

ერთ დროს ქალის მთის საქმე თითქოს კარგათ წავიდა, ჩემბურსმა იკისრა არნდით აღება, მაგრამ ამ კრიზისის დროს უკანვე დადგა და ქალას არ ეღირსა თვისი მადნების მოხმარება.

თქვენი ნაცნობი ქალები ყველა გათხოვდა, თათლო ჩვენმა⁴ ამ ცოტა ხანში დაინერა ჯვარი, — ყიფიანმა შეირთო. ამ ფაშათ თბილისშია და სიყვარულით მოკითხვას გითვლისთ. მე მომიხდა ცხოვრება მარტო; ელიკო დაბინავდა Montargès-ში და ირაკლი ისევ დატერილია...

დიდი პატრივისცემით მოვიკითხვა ბატონ ოლივერს, თქვენ ძმას (თომას), თქვენ ძვირფას დედა-მამას⁵ სადაშს ვუთვლი.

ანასტასია ნარიკლიანი⁶

1 „ნაკადული“ — საყმაწვილო ჟურნალი, როგორც მოზრდილთათვის და ისე მცირეწლოვნთათვის, დაარსდა 1904 წელს.

2 ილია ჭავჭავაძის და — ელსაბედ (ლიზა) ჭავჭავაძე-საგინაშვილისა.

3 ილია ჭავჭავაძის მეთულე — ოლგა გურამიშვილი-ჭავჭავაძისა, რომელიც ამ დროს დამარილი იყო წიწმბურთან თავდასხმის შემდეგ.

4 თამარ (თათლო) წერეთელი, რომელიც მეგობრობდა უორდროკებთან.

5 ანასტასია წერეთელს ეტყობა, არ სცოდნია, რომ მარჯორის მამა უკვე 1903 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა.

6 ოქსფორდი, უორდროკთა ფონდი — d 20 (60).

დავანა მელიქიშვილი

ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები

საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ ძველ ქართულ ელენქა-მონასტრებთან არსებული კულტურისა და მწერლობის კერების წამოღწევის შესწავლის საჭიროება გამოწვეულია არა მარტო ინტერესით ქართულ კულტურასა და ლიტერატურის ისტორიასადმი, მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც.

ქართული ლიტერატურული და თეოლოგიური ფილოსოფიური სკოლების მოღვაწეებს უდადეგს დაშინებულა მიუძღვით ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მათი შემოქმედრობის შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული მეცნიერული და, კერძოდ, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სრულყოფას.

ძველი ქართული ფილოსოფიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვ. ტერმინოლოგიის შესწავლისათვის განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ფილოსოფიურ-თეოლოგიური და საზღვრებისშეტყველო ხასიათის ძეგლები, რომლებსაც შექმნილია თუ თარგმნილი X-XII საუკუნეებში ათონის, შავი მთის, პეტრიწონის, გელათის, იყალთოს და სხვა ქართულ სამონასტრო-ლიტერატურულ სკოლებში.

ეს პერიოდი ძველი ქართული ლიტერატურის „ქალასიურ ხანადა“ ცნობილი, როდესაც „სახელაერო-ლიტერატურულა შემოქმედება, რომელიც უკვე პირველი პერიოდის ვახუშტს სავსებით ფენოლოგიდებულია, გიგანტური ნაბიჯებით მიდის წინ და, გამოიღებებულა ახალი მიმართულებებით და ტარებით, როგორცაა: მეტაფორასტია, ისტორია, იურისპრუდენცია, ფილოსოფია, პოეზია, თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტს აღწევს“ (კ. კეკელიძე, 1, 60).

საქართველოს ძლიერების ეს ხანა, როგორც

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „იმ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებრივმა სამფლობელომ აზროვნების უწყვეტადეს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფიო მწერლობას დაეწაფა... ქართულ ფილოსოფიური აზროვნება ეფერებ მცირის, არსენი იუალითელის, იოანე პეტრიწის და სხვათა სახით აქტურად დაეწაფა ბიზანტიურ ფილოსოფიას და ქართულ ნადავსზე გადმონერგა მისი მიღწევები“ (ი. ჯავახიშვილი, 299). ამ ეპოქას ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული ინტერესი საზღვრებისშეტყველო, საღვთისშეტყველო და ფილოსოფიური ხასიათის ლიტერატურისადმი. ეს ინტერესი შემთხვევითა არ უოფილა. ბერძნულ ფილოსოფიას ქრისტიანები და, მათ შორის, ქართველები, „უწაფებთან არა თავისთავად არამედ საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით, რათა გაამართლონ და დაასაბუთონ ქრისტიანობა ლოგიკურად, და ეკამათონ „გარეშე“ ფილოსოფოსებს მათთვის ვასაგებ ენაზე“ (კეკელიძე, 294). მაგრამ, თუ ქრისტიანობის ადრეულ ხანაში ანტიკურ ფილოსოფიას მისი კომენტატორების, საეკლესიო მამების ნაშრომების მიხედვით ეცნობოდნენ და იყენებდნენ (მაგ., იოანე დამასკელი), XI-XII საუკუნეებში, როდესაც ბიზანტიურ ლიტერატურაში, ზღოვებებში და მეცნიერებებში ანტიკრობის აღორძინება დაიწყო (ამ პროცესმა კი განსაკუთრებით მძლავრად ფილოსოფიაში იჩინა თავი), ბიზანტიელი მოაზროვნებო, საეკლესიო ავტორიტეტების გვერდის ავლით, უშუალოდ მიდიან ანტიკურ ფილოსოფიასთან, კერძოდ პლატონსა და არისტოტელესთან. იგივე პროცესი მიმდინარეობს ამ ხანის საქართველოშიც, რომელსაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი მქონდა ბიზანტიურ სამყაროსთან. ცნობილია, რომ ახალი პროგრესული მიმართულება

ბიზანტიურ აზროვნებაში აბსტრაქციონი და შერეობა-
დებობა განათარსებს უფლებებსა ქართველთა
მოაზროვნებაში იოანე პეტრიწა და არსნი იუ-
ლოგიკა, რომელთაც განათლება ბიზანტიაში,
კონსტანტინე მონოპოლის მიერ ახლად აღარსებულ
მანანის აკადემიაში მიიღეს. ქართულმა ფილო-
სოფიურმა აზრმა შეათვისა მანანის აკადემიის
პრაქტიკულ მოაზროვნება მიქაელ პეტროსისა
და იოანე იტალოსის იდეები და განათარსა მათი
ზაზი მას შემდეგაც, რაც თვით ბიზანტიაში,
როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, „ეს ფი-
ლოსოფიური რენესანსი“ ჩაახშო ბიზანტიის კე-
ისრების რეპრესიული პოლიტიკამ (ს. ყაუხჩი-
შვილი, 233). ცნობილია, რომ იოანე პეტრიწა
იყო იოანე იტალოსის ერთი ყველაზე ერთგულ
მოწაფეთაგანი, რომელიც თავის ნაშრომებში
მსწავლელბის აზრებს ავითარებდა (კეკელიძე,
იტალიის, 28 და 32). როგორც ნიკო მარია აღ-
ნიშნავს, X-XI საუკუნეებში ქართველები, რომ-
ლებიც „ფილოსოფიის სფეროში მთავრად საქმიან-
ობით იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებშიაც
მძროინდელი კაცობრიობის მოწინავე ადამიან-
ები როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში“, იმ
უპარატესობით გამოირჩეოდნენ, რომ
უფრო ადრე გამოთქვამდნენ თავიანთ აზრს მძ-
დროინდელი ფილოსოფიური აზრის ახალ მძ-
დინარეობაზე, ამავე დროს, ისინი შეიარაღებულ-
ნი იყვნენ იმ დროისათვის სანიშნო ტექს-
ტულურა კრიტიკის იარაღით და მუშაობდნენ
უწყალოდ ბერძნულ ორიგინლებზე (ნ. მარია,
81).

ამგვარად, ბიზანტიის კულტურა, XI-XII
საუკუნეთა საქართველოშიც გასტყვევდა ინ-
ტერესი ანტიკური ფილოსოფიის პირველენ-
არობისადმი. ეს დაინტერესება, პირველ რიგში,
პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომების მი-
მართ აღნიშნება. ცნობილია ისიც, რომ ამ პე-
რიოდის ქართველ მოაზროვნეთა ერთი ნაწილი
ქედს ახტის არისტოტელეს წინაშე, ხოლო მე-
ორე პლატონს აღმერთებს. მათ შორის უძლიერი
კი მოაზრდება იმით, რომ იმდროინდელი საქა-
რთველობა ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრე-
ებში იმარჯვებს ნეოპლატონიზმს, რომლის მიმ-
დევარნიც ცდილობენ პლატონისა და არისტო-
ტელეს მორალურ („სიმფონიას“) და მათ გამო-
ყენებას საეკლესიო-თეოლოგიური მიზნებისათ-
ვის. წინა პერიოდისათვის დამახასიათებელ დან-
ტრესებას ორიგენალური ლიტერატურული მო-
დერნიზმი, ახლა გასტყვევებული მთარგმნე-
ლობითი საქმიანობა ცვლის. ამავე დროს, ქვე-
ლა, თავისუფალი და არა ხატუვა-სიტყვით თარ-
გმანი უკვე ადრე აკაუსოფილეს XI-XII საუკუ-
ნეების მოდერნიზმი ინტერესებს: მათ მიზანს წა-
რთობდნენ ორიგენალის აზრის ზედმიწევნით
სიზუსტით გადმოცემა. ამიტომ ძველ თარგმან-
ებს ანწორებენ ბერძნულ დედანთან შექერე-
ბის გზით ამ კიდევ სრულად ახალ თარგმანებს
ასრულებენ. ბერძნულ დედანთან ზედმიწევნით

დახლოების თავი და თავი მიზეზი კი, რო-
გორც ცნობილია, იყო დიდ ბიზანტიურ კულ-
ტურასა და შერეობისათვის გათანაწილებული
შეტოქეობის სურვილი, რაც, სხვათა შორის,
პრაქტიკული მიზნებითაც იყო გამოწვეული. კე-
რძელ იმით, რომ შეენარჩუნებინათ ქართული
საეკლესიო-ლიტერატურული და კულტურის კე-
რების დამოუკიდებლობა და თვითმყოფლობა
(კეკელიძე, 1, გვ. 81-82).

ამ მიზნობებში კი თანდათან უფრო ფართო
ხასიათი მიიღო და ახალი ლიტერატურულ-მთარ-
გმნელობითი მეთოდის სახით ჩამოყალიბდა.
ქერ კიდევ ათონელებმა შეიტანეს ცვლილება
ტაო-კლარჯეთის ლიტერატურული სკოლის მთარ-
გმნელობითი მეთოდში, რომლის მიხედვითაც
შეიქმნებოდა, დედანთან შედარებით, თარგმანის-
თვის შეემატებინათ და მოეკლათ კიდევ, ანუ
გაღმრთებულთაგან და არა ზუსტად ეთარ-
გმნათ. ასე, მაგ., ცნობილია, რომ X საუკუნის
მოდერნიზმით ითხოვდა ათონელი, რომელიც თავისი
მთარგმნელობითი სისტემით მილიანად ძველი
ლიტერატურული ტრადიციების წინააღმდეგ დგას,
თარგმნიდა „კლდე-შემატების“ მეთოდით. ეს
მეთოდი უარყო გორაკი მთარგმნელობა. მან,
პირველ რიგში, ბიბლიური წიგნების ზუსტ თარ-
გმნის მიზნად ზელი და ხელმწიფედ თარგმნი-
და „სახარებას“ და „დავითის“. გარდა ბიბლიურა
წიგნებისა, მან ხელმწიფედ თარგმნიდა, აგრეთვე,
ეთოქმეს მიერ უკვე თარგმნილი სახულიარო
წიგნები. მანვე ზედახელ თარგმნიდა უფრო ადრე
(VIII-IX სს.) ქართულად უკვე თარგმნილი ბა-
სილი კესარელისა და გრიგოლ ნოსელის ეგზე-
გეტიკური ხასიათის შეხანისწავი თხზულებანი
„მეწუთა დღეთა“ და „კაცისა შეხანისაოქს“.

ეს, თავისთავად ეგზეგეტიკური ხასიათის თხზუ-
ლებანი, ამავე დროს, წარმოადგენენ სახუნების-
შეტყველო-ფილოსოფიური ლიტერატურის შე-
ხანისწავი ნიმუშებს, ამდენად, მათთვის საქარო
და აუცილებელი ცნებების შესახებინი ტერმინ-
ები ძველ თარგმანებში უკვე მოცემულია, მაგ-
რამ დაშუშებულად და სისტემაში მოყვანილი
ქერ კიდევ არ არის.

ამგვარად, ამ ხანისათვის ნიშანდობლივია გან-
საკუთრებულად ინტერესი თეოლოგიურ-ფილო-
სოფიური და სახუნებისშეტყველო-ფილოსოფი-
ური ხასიათის ლიტერატურისადმი გამოიწვია
კომპლექსური, მიზანდასახული მთარგმნელობ-
ითი საქმიანობის ფართოდ გაშლა ამ მიმართუ-
ლებით, ხოლო ასეთი ხასიათის ლიტერატურის
სისტემატურული თარგმნა კი მოითხოვა ქართუ-
ლი მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბე-
ბა და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერე-
ლი ენის შექმნა.

საკუთრული ტერმინოლოგიის შემუშავების
გარეშე, რაც თავისთავად ახალი ლექსიკური
ერთეულებების შემოიბრუნა მოიხილვის ენაში, შე-
უღლებული იქნებოდა ფილოსოფიური ხასიათის
ნაწილობა თხზვა და თარგმნა. ფილოსოფიური

ტერმინოლოგია არის ის სპეციალური ენა, რომელთაც აიგება ლოგიკური მსჯელობანი. ცხადია, არცერთ ენაში არ არის მოცემული ფილოსოფიურ ცნებათა ამსახველი მსაზარებელი ტერმინები, მაგრამ უკვლეა ენაში არსებობს სატყუან-წარმოების ისტორიულად შეზღუდებული წესები და უაღბლები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება ენის ლექსიკურა მარაგის უსასრულო გაზრდა. საკირო ტერმინოლოგია იქმნება ფილოსოფიური აზროვნების, საერთოდ, მეცნიერული საქმიანობის განვითარების შესაბამისად ამა თუ იმ ენაში არსებული მატ-ნაყლებად მდიდარი სიტყუანწარმოებითი რეზერვების საშუალებით. ბერძნული მეცნიერული ენა ამ მხრივ ნაკლოვანებას არ განიცდიდა. მის უმდიდრეს სიტყუანწარმოებით მარაგს საუკუნეების განმავლობაში ამოწვევდნენ და ხევედნენ ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსები. თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მან პლატონისა და არისტოტელის შრომებში მოაღწია, საიდანაც სარგებლობდა და სარგებლობს მთელა შემდგომი ხანის — შუა საუკუნეთა თუ თანამედროვე ფილოსოფიური ენა და აზრი. ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, მეცნიერული აზროვნების ისტორიაში ამ უაღრესად რთული ამოცანის შესრულება წილად ხედათ სწორედ XI-XII საუკუნეთა მოღვაწეებს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, არსენ იუალიოელს, იოანე ტარპიძესძეს... ეს მოღვაწეები მეტად რთული პრობლემის წინაშე იდგნენ: ფილოსოფიურა სახასიათის საკითხებზე მსჯელობის წარმართებისა აუცილებელია ფილოსოფიურ ცნებებს რაც შეიძლება ზუსტა, ადეკვატური ენობრივი გამოხატულება მიეცეს, ამიტომ ტერმინთა ხმარებისას მაქსიმალურა სიზუსტის დაცვაა საჭირო. ამისათვის, პირველ რაგში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული პოლისემია და სინონიმია ტერმინოლოგიაში. სწორედ ამის გამო, რომ მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი ხშირად ახალწარმოებებთან არის დაკავშირებული, რადგანაც ტერმინი სასურველია ფორმითაც განსხვავდეს საღაპარაო ენაში ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარებული სატყუანგან, ამიტომ ტერმინთა წარმოებისას ხშირად აბაროდუქტიული აფიქსები გამოიყენება (ასეთებად კი, ჩვეულებრივ, არქაული, ხმარებიდან გამოხული აფიქსები გვევლინება). ასეთი არაპროდუქტიული, ზოგჯერ „მკვდარი“ აფიქსები ახალწარმოქმნილ სიტყვებს ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებენ და ამით განსხვავებენ მათ იმავე ძირისაგან სინონიმურა მორფოლოგიური მნიშვნელობის, მაგრამ მასალობრივად სხვა, პროდუქტიული, ცოცხალი, უზედური აფიქსით წარმოები ლექსემისაგან,

რომელიც უკვედღერი მატყულებდა... გარკვეულებული და ჩვეულებრივი, არატერმინოლოგიური მნიშვნელობით იმარტება. ამაღი ტერმინის საწარმოებლად ზოგჯერ საკირო ხდება ბერძნული (დღეს — უფრო ხშირად ლათინურა) ძირებისა და აფიქსების გამოყენებაც. ხშირად იქმნება ისეთი საკიროებაც, რომ რომელიმე აფიქსა დაერთოს ისეთ ძირს, რომელთან კომბინაციაც მას, ჩვეულებრივ, არ ახასიათებს, მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ამა თუ იმ მეცნიერულ საკითხზე მსჯელობის გაშლა, ამჯგარი „არაბუნებრივი“ კომბინაციების დაშვება აუცილებელი ხდება და ეს აუცილებლობა ენის ლექსიკური მარაგის გაზიდარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ქნის. ზემოთ დასახელებული მიზეზების გამო, ამ გზით წარმოებს ტერმინებს ხშირად ხელოვნურობის იერი დამკრავს, მაგრამ დროთა განმავლობაში ენა ცხუნება მათ და ისინი მკოდრდებაან ლექსიკაში.

აი, ასეთი რთული პრობლემების წინაშე იდგნენ XI-XII საუკუნეთა ქართული მოღვაწენი, რომელთაც უნდებოდათ სპეციალურა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის თხზულებათა რგმნა ბერძნული ენად. ფილოსოფიური აზროვნების ხარკმელი ისტორიისა და ტრადიციების ჰქონე ბერძნულ ენაში, როგორც ზემოთაც ითქვა, მეცნიერული ტერმინოლოგია საკმაოდ დამოუკიდებელი და დამუწეილი იყო. ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია კი ჩამოყალიბების გზაზე იდგა და დამოუკიდებლად ხმარდება. ამისათვის გზის მაჩვენებელი სწორედ ბერძნული ენა უნდა ყოფილიყო, ენა, საიდანაც ითარგმნებოდა დიდძალი ლიტერატურა. და ამ ხანის მოღვაწეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ წარმატებათ გაართვის თავი ამ შიშზე და მნიშვნელოვან ამოცანას: ქართული ენის მდიდარი სიტყუანწარმოებითი პოტენციის ძალდაუტანებელი გამოყენებით, ბერძნული ენის მაგალითის მიხედვით, მათ შექმნეს მწყობრი სხებმა მეცნიერული ტერმინოლოგიისა, რომელსაც დღესაც არ დაუკრავს თავისი ცხოველყოფილი მნიშვნელობა.

გიორგი მთაწმიდელის ზემოთდასახელებული თარგმანების ადრინდელ თარგმანებთან შედარებისას ნათელი ხდება ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა XI საუკუნის ამ გამოჩენილმა ათონელმა მოღვაწემ ქართული ფილოსოფიური და საზუნებისმეტყუელო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში. მაშინ, როდესაც ძველ ქართულ თარგმანებში რომელიმე ცნება ხშირად მთელა შეხატუებითაა გადმოცემული, გიორგი მთაწმიდელი აწარმოებს ერთობაყვიან ტერმინს:

მანის მამილზე. მაგრამ უფრომ მცირის ცდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სინტემატიკის პირველი ცდა იყო და მოვლოდნელი არ არის, თუ მას რაც შემთხვევითი უწუტბობათა ახლავს. საქმე ისაა, რომ სწორედ იმანე დამასტლის თხუთღების „წყარაჲ ცოდნისას“, კრძოდ კი, მისი ერთერთი ნაწილის — „ფილოსოფიური თავების“ თარგმნით ჩაეყარა საფუძველი საკუთრივ ფილოსოფიურ თხუთღებათა თარგმნას ჩვენს ენაზე, რასაც თვით ერთერთი აღნიშნავს ხუნუნული წინასიტყვაობაში: „ესე ერთგანისნი თავნი... ვარჭეთთა წინათა და საფილოსოფასა, სწავლულებისანი არიან... ენასა ჩუნენსა სხუაჲ არაჲაჲ ოდეს თარგმნილა საფილოსოფოსთა წინათაგანით“ („დიდილექტიკა“, გვ. 88-87.).

მართალია, ერთემ მცირის მთარგმნელობითი პრინციპი მოითხოვს ბერძნულ დედანთან ზედმიწევნითის სახლოვეს, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ ახერხებს ამ პრინციპის დაცვას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ზოგი კონკრეტული ხანათის უწუტბობა ერთერთი თარგმანებში და ამ უწუტბობათა მიზეზიცაა დახატელებული (ე. ხინთიბიძე, გვ. 122-123; მ. რაფაჲ, გვ. 40-42). ზოგი უწუტბობა „დიდილექტიკას“ ერთემისებულ თარგმანში ამა თუ იმ კონტექტის სხვაგვარი ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს, მაგრამ დედნისაგან განსხვავების უმეტესე ნაწილი მაინც სპეციალურ ტერმინთა არაწუტბო გადმოცემითაა გამოწვეული. ამის მიზეზი კი ზმირად ისაა, რომ თვით ბერძნული დექსემიონი ზმირად პოლისემიურია, ზოგჯერ მითი მნიშვნელობა მთარგმნელობათვის მთლად ნათელი არ არის, ან ტერმინი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მისთვის გარკვეული არ არის. მაგალითად, ერთმანეთთან ახლოს მდგარ, მაგრამ სხვადასხვა ცნების აღნიშვნულ ბერძნულ ტერმინებს ერთემ მცირე ქართულად ერთი დექსემით გადმოსცემს: *ho tropos, hé morphé, to eidos* ტერმინებს სხმი დექსემით თარგმნის, ასევე *hé diairesis* („გაყოფა“) და — *hé diastasis* („განზომილება“) ერთი — ბანწმან დექსემით გადმოაქვს, ხლო ერთმანეთის გამომხრობება მნიშვნელობის მქონე ტერმინებო — *horisimenos* („განსაზღვრული“) *diórisimenos* („განსხვავება, გაყოფა“), *hé syneché* („შერწყმული“) — ბანწაზღვრამბული დექსემებით აქვს თარგმნილი. ასევე ერთერთ შმწმარამბა (შმპრამბა) დექსემებით თარგმნის როგორც ძირითადი ლოგიკური ცნების გამოსხატეულ ტერმინს *hé syllogismos*, ასევე ზოგჯერ *hé systasis* („შემტკიცება“) ტერმინსაც, ორ სხვადასხვა ცნება-ტერმინს *hé diaphora* (განსხვავება“) და *hé diairesis* („გაყოფა“) ზმირად ერთი — ბანწაზღვრამბა დექსემით გადმოსცემს (არსენი — ბანწმანწმან ტერმინთ).

გვხვდება ასეთი შემთხვევებიც, როდესაც ერ-

თი და იგივე ბერძნული ტერმინი ერთერთის თარგმანში სხვადასხვა ცნებადექსემითაა წყაროდექსემით, ანუ ერთი და იგივე ტერმინისცნებაცნება სხვადასხვა დექსემითაა გადმოცემული. მაგალითად: ერთი ლოგიკური *hypocoimenon* (ქვეშეშეხარე“) ტერმინისათვის ერთემ მცირე ერთი ძირისაგან წყაროდექსემით რამდენიმე ვარიანტს ზმარობს სხვადასხვა კონტექსტში: თანამოკიდებული, წინამოკიდებული, მოკიდებული, მოკიდული ნივთი, ამავე დროს, სხვა ძირებისაგანაც აწარმოებს (წარმოული, მთებარე, ზედმთებებარე, წინამთებარე) ამავე ტერმინის შესატყვისებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ქართული შესატყვისის ზოგჯერ ბერძნული სიტყვის პოლისემიითაცაა ხოლმე გამოწვეული.

ამ მოკლე მშობილედინაც ცხადი ხდება, რომ ერთემ მცირე ძიების პროცესშია და მისი ტერმინოლოგია დამოუხვევებს საკუროებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი ამგვარი უწუტბობანი ზღვაში წვეთია იმ უდიდეს ღვაწლთან შედარებით, რაც ერთემ მცირის მიუღდეს ქართულმა სამეცნიერო ტერმინოლოგიის წამოყვანილებისა და განვითარების საქმეში: ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებების ფართო და თავისუფალი გამოყენებით მან შექმნა უმიდირესი ახალი დექსიკა, მთელი რიგი მოხდენილად და მოხერხებულად ნაწარმოები ტერმინები, რომელთაც გაუძღვს რა დროის გამოცდას, დამკვიდრდენ ქართულ სალიტერატურო ენაში (ახეთებია, მაგ., წინადადება, განსაზღვრება, განყოფილება, იგივეობა, სადაობა, რამებლობა, ცნობიერება, წარმოქმნა და სხვ.). ერთემ მცირემ საფუძველი ჩაუყარა ქართულ სამეცნიერო, და კერძოდ ფილოსოფიური ტერმინოლოგიის, სინტემატიკის, დახვეწა და დაზუსტება კი შემდგომი თაობების საქმე იყო და მათაც არ დაუყოვნებიათ: ერთემ მცირის უმცირესმა თანამედროვემ, XI ს. მოღვაწემ, არსენი ვარნს ძე ივანლოთელმა, თითქმის იმავე ხანებში ზღმეორედ თარგმნა იოანე დამასტლის, იმ ხანებში მეტად პოპულარული და ქრისტიანული ცდებისათვის საჭირო თხუთღები, „დიდილექტიკა“, და არა იმეტომ, რომ მან არ იცოდა ერთერთის თარგმანის არსებობა. არსენიმ არა თუ იცოდა ეს, არამედ, როგორც თვით ერთემი აღნიშნავს თავისი ნაშრომის ანდერძ-წამავში, სწორედ იგი, არსენი უყოფილა თანამოღვაწე და „განმამდიერებელი“ ერთერთს ამ წიგნის თარგმნის დროს: „ლოცვა ეფთ, ქრისტის მოუყარეთ, გაბრძნობეთ... და კეთილთა მოღვაწეთა ზემთა და განმამდიერებელთა ამის თანა შრადღლთაცა და მსახურთა — არსენი ივანლოთელისა, იოვანე და იოვანე ზუცესთა, სტეფანესის და იაკონისა და უფროის ყოველთა ჩემ წაწყოლობელისა ერთემ მცირისათვის“ (A 24, ფ. 127, „დიდილექტიკა“, გვ. 18).

როგორც ჩანს, სწორად იმის გამო, რომ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია კიდევ მეტ დახვეწისა და დაზუსტებას საჭიროებდა, და ამიტომ კიდევ უფრო გაიზარდა მოთხოვნილება დღიისსექველურ-ფილოსოფიური ზისათის თხზულებათა თარგმანების ბერძნულ დედამიან შეკად დახლოებასა, არსენი იუალითოდება გადაწყვიტა ხელახლა ეთარგმნა იოანე დამასკელის ეს ნაწარმოებო, ვით უფრო, რომ იცნობდა წინა თარგმანს და იცოდა მისი ზარვეუბი. ტერმინთა დაზუსტება და თარგმანის დედამიან დახლოება რომ იმ ხანისათვის აუცილებელ მოთხოვნილება იქცა, ამის უპირველესა მიზეზის ის იყო, რომ ტერმინთა განსხვავებული გაგება ზანანტიუს ქრისტიანულ სამყაროში, და, მათხადამე, საქართველოშიც ზნობად საეკლესიო დარუსების სახაბი ხდებოდა ზოლმე და არა მარტო დისკუსიებისა, არამედ შველებლად გამოცხადებინა და ეკლესიოდან განკვეთისკი. ეს ძალიან კარგად იცოდა არსენი იუალითოდმა, რომელიც იოანე პეტრიწთან ერთად მოქმედი იყო იოანე იტალიოსის მიზნით სასამართლოს მიერ წყევნებულ ბრალდებებისა, რომლებიც ძირითადად იმას მდგომარეობდა, რომ აიტახლონ უფრადღებოდ იქცეოდა ეკლესიის მიერ მიღებულ ტერმინოლოგიას, ზნაობდა არა ამ გამოთქმებს, რომლებიც ზუსტად მიღებული იყო ეკლესიის მიერის მიერ ორთოდოქსული რწმენის გამოხატავად" (კეზელაძე, იტალ. გვ. 8 და 9მდ). ასეთ პირობებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სწორედ იოანე დამასკელის „დაილექტიკას“, რომელიც, როგორც ფილოსოფიის კომპენდიუმი, შეიცავდა ფილოსოფიურ ცნებათა და ტერმინთა დაზუსტება-განმარტებებს ქრისტიანულ თვალსაზრისით, აკო თვითონ ეფერემიც ამბობს თავისი თარგმანის წინახიტყვაობაში: „სხუბერ ზეურღებულ არს სიტყუ-ებობა წინააღმდეგობით, სიტყუ-ებებდენ-რამა გარეშენა იგი განუკუთმითელი სიტყ, რომელ არს ჭუანკი და ზუნებოს სიტყ..." („დაილექტიკა“, გვ. 87). და ასეთი განცხადების შემდეგ ვით უფრო საკვირველია, რომ ეფრემ მცირე ქრისტიანული დოკუმენტის თვალსაზრისით მიუტყვებელ ტერმოპს უშვებს, როდესაც სწორედ ჭუანკ ტერმინის გამოყენებისას სათანადო ხაზსდება არ აცხადებს ამ ტერმინთა, რომელსაც სრულად გარკვეული, დადგენილი მნიშვნელობა აქვს („პოსტასი“, „პიროს“), იგი თარგმნის როგორც ypostasis-ს (იგივე სიტყვა) და სომა („სხულა“), ხე yparxis („ყოფნა“, „მყოფი“), ტერმინებს და Oysias-ს კი („არსება, ზუსტანაცია“, იხ. „დაილექტიკა“, 4,2), რომელიც პატრისტიკულ ლიტერატურაში მევეთრად არის გამოიყენებული ypostasis („პირო, ინდივიდი, განუკვეთილი“) ტერმინისაგან და მათი აღრევა მწვალებლობადაა აღიარებული, როგორც გამოიყენა თვით ეფრემის ზე-

მოთხოვნილია სიტყვებიდან. ამასვე ადასტურებს ეფრემ ათონელის მიერ „არსებობა და მნიშვნელობის თხზულებიდან საგანგებოდ თარგმანის დადგენილი: „ხოლო ესე საცნაურ არს, ვითარმედ სხუა არს არსება და ზუნება და სხუა არს გუამა და თუთება და პირო, არსება და ზუნება ერთ არს, ვითარცა წმინდანი მამიანი იტყუნან და ვითარმედ გუამი და პირო და თუთება ერთ არს" („წინამძღვარი“, 240,60) და ვახაზავს, რომ „ესე არს საცნაური შწუალებულია, რომელ ზუნებასა (არსებასა) და გუამსა ერთად იტყუნან და ამასვე შესხვებს გეზმარტობისაგან (წინამძღვ. 240,67. იხ. აგრეთვე, დაილექტიკა, 12,4-5)

მართლაც, პატრისტიკულ ლიტერატურაში არსება და გუამი (პირო) შეცნობად განსხვავებულია: არსება ისე მიგნობრება გუამს, როგორც ზოგადი ერთობს ან ანტიპოპტული კონკრეტულს, უოფერება (ყოფნა) ან ცოცხალი არსება — ინდივიდუალურს. — აქედან გამოდგომდა არსების ერთიანობა ღმერთში და იპოსტასური თვისებებს განსხვავება (სამგვამოვნება). Ypostasis ტერმინში „პიროს, ინდივიდის“ მნიშვნელობა გვიან მაღორ — ახალი აღქმის წიგნებში და პატრისტიკულ ლიტერატურაში, ანტიურთი ხანის ფილოსოფოსებთან კი (არისტოტელი, პლატონი) მას oysis და yparxis ტერმინების სინონიმად უხვდებოთ („დაილექტიკა“, 82, 2; აგრეთვე Творения Василия Великого, ч. VIII, 1892, გვ. გვ. 95 162 და 163მდ.). როგორც ჩანს, ეფრემ მცირის არაზუსტი თარგმანის წყაროდ ეს არის.

შესაძლებელია, იოანე დამასკელის ამ თხზულების მეორედ თარგმნა იმანაც განაპირობა, რომ, როგორც მათი რაფაელ გამოარქვია, ეფრემ მცირეს და არსენი იუალითოდებს სხვადასხვა რედაქციის ბერძნული ორავიანილი აქვთ გამოყენებული (დაილ. გვ. 47). მაგრამ ერთი რამ ცხადია: ეფრემ მცირის თარგმანი მანაც თვისუფალია და ზნობად აქვია ხაზუსტება არსენი მცირად ხელმძღვანელობს ამ პარსიციით, რომ „არცა რამ ბერძნულიაგან და ადგობს და არცა რამ ზეპირითა დაურთობს" (S 1463, 39 V).

არსენი ბერძნულის შესატყვისად სათანადოდ ხეწენ და აზუსტებს ქართულ ტერმინებს. ასე, მაგ., ეფრემისაგან განსხვავებით, გამოიყენებს ტერმინებს სბუწლი და გუამი. პირველს სოsoma-ს შესატყვისად ზნობობს, მეორეს კი სიc ypostasis ტერმინის შესატყვისად. ასევე, საპირო განსხვავებას ამყარებს იგი ბერძნული horisimos, diórisimos, synechos ტერმინების თარგმნისას და შესაბამისად აწარმოებს ბანსაზღვრებულს, ბანწვალმზულს, შარწვალს ტერმინებს. ეფრემ მცირე კი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამ ცნებებს ერთი — ბანსაზღვრებულს ლექსებით გადმოსცემს. ბერძნულ სიc diaphora, ხე diairesis ტერმინებს ეფრემ:

ერთ ქართულ შესატყვისს უძებნის, ესაა ბან-
სოფილუბა, არსენი კი განსხვავებას იცავს
შესაბამისი ქართული ტერმინებით: ბანსოფი-
ლუბა და ბანსპალუბა. ტერმინს apophaticos,
რაც უარყოფითს, უყოფიშობს მსჯელობას ნიშ-
ნავს, ეფერემ ერთ შემოხვევაში თარგმნის ლე-
ქსებით ბანინებშითი, რაც სხვა შემოხვევაში
სრულიად საპირისპირო მნიშვნელობის ტერმი-
ნის — ხე cataphasis („მტაცება, დადებითი
მსჯელობა“) შესატყვისია მის თარგმანში. შეე-
დომის წყარო, როგორც ჩანს, ორი საპირისპი-
რო ბერძნული ტერმინის apophaticos („უყო-
ფიშობი“) და apophanticos („წართქმითი, მტაც-
ებითი“) ბგერითი შედგენილობის მსგავსებაა.
არსენი ასწორებს ამ შეცდომას და იძლევა
სწორ შესატყვისს — სპსოფილუბა (დააღიქტი-
კა, 28, 20). მაგრამ ზოგ შემოხვევაში ეფერემიც
სწორად ხმარობს ამ ტერმინს. ეფერემი ბერძ-
ნული to pathos და symbebecos შესატყვისად
ხმარობს ლექსებებს შემოხვევაში, შემოხვევაში-
თი. არსენი კი ბერძნული შესაბამისად განა-
სხვავებს ამ ცნებებს შემდეგი ტერმინებით:
შეხაფრება, შემოხვევაშითი. ეფერემი ლოგი-
კური υποκειმენონ ტერმინის შესატყვისად,
როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვადასხვა ლექსე-
მებს აწარმოებს, არსენი კი ქმნის ერთ სრუ-
ლიად გაკვეთულ მარტ ტერმინს ქუადმეზარე-
რომილიც დღესაც დამკვიდრებულია ლოგი-
კურ და გამოხატულ ტერმინოლოგიაში.
ხე hyparxis ცნებებს აღსანიშნავად ეფერემი
ძველ ტერმინს ბანსპალუბას მიმართავს, არსე-
ნი კი (იხივე, როგორც იოანე პეტრიჩი) მსო-
ფილუბას აწარმოებს, რაც შემდგომში მკვიდრ-
დება კიდევ. ხე oysia-ს აღსანიშნავად არსენი
ბრსსბსს ხმარობს. ეფერემი კი ბრსსსპ და ბრ-
სსსსსპ, to on, to einal, ხე hyparxis ცნებე-
ბას გამოსახატავად არსენი სოფსან ძირისაგან
აწარმოებს ტერმინებს: მსოფი, მსოფობა.
ეფერემი კი ბრსს ხმარობს, ამგვარად, ეფერემს
არა აქვს გამოიწველი ხე oysia და to on ცნე-
ბები, არსენი კი მკვეთრად გამოიწვევს მათ. ამ
დროისთვის, როგორც ჩანს, უკვე დადგენილი
ჩანს ნიშნით ტერმინის მნიშვნელობა, როგორც
ხე ylx — „მატერიის“. მაგრამ ეფერემი მას
ხმარობს სხვა მნიშვნელობითაც: „ოთხთა ნი-
ვთთაგან შეერთებული გუამი“ (დააღიქტიკა,
58, 17 „დღემენტო“) შესაბამის კონტექსტში
არსენი „სტიქიების, ელემენტების“ მნიშვნელო-
ბით ასე ტერმინს ხმარობს და არა ნიშნით,
(რომელსაც „მატერიის“ მნიშვნელობა აქვს
დამკვიდრებული ამ პერიოდის ფილოსოფიური
ხასიათის თხზულებებში, იხ. იოანე პეტრიჩის
შრომები): ოთხთა ასოთბაბან შესრულებული
სხელი (დააღ. 58, 7).

ტერმინთა დაზუსტება ბევრ ხანძელთან იყო
დაკავშირებული. პირველ რიგში, საქართო იყო
ბერძნულ ტერმინთა კოდისებურებაში გაკ-
ვევა: საქმე იმაშია, რომ თვით ანტიკური ხანის

ფილოსოფიის კლასიკოსთა შრომებშიც კი არ
არის დაძლეული ტერმინოლოგიაში ბრსსსპნი-
სა და სინონიმის პრობლემა, რაც მხოლოდ ტერმინად
აწვემოდათ მათს კონტრატორებსა და გვიანდ-
ლი ხანის მთარგმნელებს, მათ შორის, ქართველ
მთარგმნელებსაც. საქართველოში ავიღოთ ხე eidos
ტერმინი, რომლის სხვადასხვაგვარაა გა-
გება, ერთი მხრივ, პლატონისა და, მეორე
მხრივ, არისტოტელის შრომებში, როგორც
ა. თ. ლოსევი აღნიშნავს, სათავე დედოფ არის-
ტოტელის ტრადიციულ ფილოსოფიასთან (ლოსე-
ვი, „ესთეტიკა“, გვ. 48). თვით ერთი ფილო-
სოფოსი შრომებშიც ერთსა და იმავე ტერ-
მინს სწორად სხვადასხვა გავება აქვს, მაგ.,
არისტოტელისთან ხე oysia (სიტყვასი-
ტყვით „არსება“, „сушность“) ფილოსო-
ფიაში ეს შეტად მნიშვნელოვანი ტერმინი ამა-
რება როგორც „არსის“, იხე „არსებას“, იხე
„პირველსაწყობის“, „ედიმენტის“ და „სუბსტან-
ციის“, „ინდივიდის“ მნიშვნელობით, რამაც ამ
ცნებებს სხვადასხვაგვარი გავება და მისი სხვა-
დასხვა ენაში განსხვავებული შენარჩუნს მქონე
ტერმინების გააღრმავ გამოიწვია (ლოსევი,
კრიტიკ. გვ. 24). იხივე ა. ლოსევი აღნიშნავს,
თუ რა დიდ ხანძელეებს აწუძებოდა იგი პლა-
ტონის შემოქმედებაზე მუშაობის დროს სწო-
რედ იმის გამო, რომ ამ დიდი ფილოსოფოსის
ნაშრომებისათვის დამახასიათებელია ფილოსოფი-
ურ ცნებათა და მათ გამოხატულ ტერმინთა
არაწვეულებრივი სიჭრელე და არამდგრადობა
(ა. ლოსევი, „ესთეტიკა“, გვ. 8).

ზოლო, რაც შეეხება ფილოსოფოსთა სხვადა-
სხვა თაობებს, მათ შორის ტერმინოლოგიური
სიჭრელე და შეუთავსებლობა ხომ ჩვეულებრი-
ვი ამბავია. მაგალითად, ცნობილია, რომ ფი-
ლოსოფიის ერთ-ერთი ძირითადი ცნებებს, „ერ-
თიანი, საყოველთაო საწყისის“ გამოსატყვისათ-
ვის ანტიკურ ფილოსოფიაში სხვადასხვა ტერ-
მინებია ხმარებული, რაზედაც, სხვათა შორის,
მითითებს არისტოტელე თათის „მეტაფიზიკა-
ში“ და აღნიშნავს, რომ საქართო სხვადასხვა ფი-
ლოსოფოსთა ნაშრომებში ამ ტერმინოლოგიური
სიჭრელის მხედველობაში მიღება მანამ, სანამ
„ერთიან მიზეზს“ დავადგინდეთ.

ბერძნულ ლექსებშია მრავალმნიშვნელოვნებაზე
ხშირად მითითებებს ძველ ქართული მთარგმ-
ნელებს („ბერძენთა ენაი უფსკრულ ღრმა არს
და იგივე და ერთი სიტყუად მრავალსა პირსა
აღიარებს“: საქმე მოციქულთა, 629). ამ საქით-
თან დაკავშირებით საინტერესოა ეფერემ მცი-
რის ერთ-ერთი კომენტარი, რომელიც მას უს-
ვდო-დოისინებს არეკამაგლის შრომათა თარგმან-
ში ბერძნული ხე αἰδί, სიტყვის მიმართ
აქვს გავეთხებული: „შეისწავე, ვითარძედ ბერ-
ძენთა ენითა მრავალგვარად აკვარებენ სახე-
სა საუყოფიანსა წმიდათა წერილთა შინა, ამის-
თუხუცა მე, ვითა თუთ მათითა ენათა არიან, გვ-
რეთ დამიწერიან სიტყუანი იხე აწ წერილთაგან

შეიძლება, რამის სენა, ვითარებელ ამო-
 ხიტუთათა შინა უკედელენ საუკუნობას სახელი
 არს ბერძულად, რომელი წმიდათა მამათა და
 მოძღუართა ქართლისა თარგმანებისათა ოდენ-
 ხმე ს ა წ უ თ რ ო დ უ თ ვ ა მ დ ა ო დ ე ხ მ ე ს ო -
 ფ ლ ა დ დ ა ო დ ე ხ მ ე ტ ა მ ა დ ფ რ ი ა დ ქ ე რ ო ვ ნ ი -
 თა განგებთა. ხოლო აქ საჭირო იყო თუთ ვითა
 მათს ენისა არს, ეგრეთ დაწერა, რამათა არა
 მოუხებებდ იყოს მათდა თარგმანი მათი”
 (არქიპაგელა, გვ. 282, კომენტ. 10).

როგორც ვხედავთ, ho aion ლექსემას
 ძველი ქართული მოძღვარნი და მამანი კონტექსტის
 შესაბამისად სხვადასხვაგვარად თარგმნიდ-
 ნენს ს ა წ უ თ რ ო, ს ო ფ ლ ა, ტ ა მ ა, რ ა დ
 რამდენადმე ასახავს კიდევაც ამ ბერძნული სიტყვის
 სემანტიკურ ველს. ტერმს ამ სიტყვის რამდენიმე
 მნიშვნელობათაგან კონკრეტულ შემთხვევაში
 სჭირდება ერთი — „მარადიულობა“, რაც ძველ
 ქართულში ს ა წ უ თ რ ო სიტყვით
 გადმოიწება.

ჩანს, აი, ასეთი ანალიზის ჩატარება უხდებო-
 დათ ქართველ მთარგმნელებს უკველი ბერძნულ-
 ტერმინისათვის ქართული შესატყვისის ძი-
 ხნისას, ეს კი, ცოდნასთან ერთად, უდიდებ
 შრომას, ნებისყოფასა და მოთმინებას მოითხოვ-
 და. ასეთ პირობებში, ცხადია, საქმის წარმატე-
 ხას ხელს შეუწყობდა ურთიერთდახმარება და
 თანამშრომლობა, რასაც შედეგებისდაგვარად აბე-
 რებდნენ კიდევ ქართველი მოღვაწენი. ასეთი
 ურთიერთთანამშრომლობა და შეთანხმება მით
 უფრო იყო საჭირო, რომ, როგორც ზემოთაც
 აღვნიშნეთ, ანტიკურმა ფილოსოფიურმა ტერ-
 მინოლოგიამ პატრისტიკულ ლიტერატურაში და,
 საერთოდ, ქრისტიანულ ხანის ფილოსოფიაში,
 მაკრველი ტრანსფორმაცია განიცადა. საქმე
 იმასა, რომ ქრისტიანული შეცნობებისათვის —
 დღისმეტყველებისათვის — კლასიკური ხა-
 ნის შეცნობულ-ფილოსოფიური მასალა რიდი
 იყო მთლიანად მიხადები და გამოხადებია. ზო-
 გიერთა ძირითადი დებულებებისა და პრინციპის
 გარკვეულ მხავეხასთან ერთად, ფილოსოფია
 უფრო ზიარად ქრისტიანული მსოფლმხედვე-
 ლობის საწინააღმდეგო აზრებს შეიცავდა. ეს
 იქმნის, პირველ რიგში, ნეოპლატონიზმის,
 რომელსაც, ჩვეულებრივ, ქრისტიანობისაგან გა-
 რდამავად სახეზურად თვლიან. მას შემდეგ,
 რაც ქრისტიანობის გამარჯვება VI საუკუნის
 დასაწყისიდან აუსტინიანეს იურიდიული ედიქტით
 იქნა განწესებული, ანტიკურ ფილოსო-
 ფიას თავისი ოფიციალური არსებობა უნდა
 შეეწყვატა. მაგრამ იგი სჭირდებოდა ქრისტიან-
 ბისად და პატრისტიკული ლიტერატურა მთელი
 თავისი არსებობის მანძილზე ფართოდ სარგებ-
 ლობდა კიდევაც კლასიკური ფილოსოფიით.
 ქრისტიანი მამებს — ხასელი დიდი კლასიფი-
 ლის, გრივლ ნობელანა და გრივლ ნაწიან-
 ლის ნაწილიანი ანტიკურობისა და ქრისტიანო-
 ბის შეგნებას წარმოადგენენ. ისინი ქრისტიან-

ნელ სამოხელში ხევედნენ კლასიკურ ფილოსო-
 ფიურ მემკვიდრეობას და ქრისტიანული ფილოსო-
 ფიის სამსახურში აქვედნენ მას.

ამ რთულმა, პრაქტიკულად საჭირო გარემო-
 ებებში აიძულა ქართველები არ დაკმაყოფილე-
 ბულიყვენ VIII საუკუნის სკოლასტიკოსის
 კონიალიცარის ნაწილობით და თვითონვე გასე-
 ნობდნენ პირველწყაროებს, რომლებითაც არა-
 რგებლობდა იოანე დამასკელი. ამ მიზნით, ამა-
 ვე ხანებში ითარგმნა დამასკელის ნაწილობის
 ერთ-ერთი წყარო, V საუკუნის აღმკვიდრადი
 ნეოპლატონიკოსი, ამონიოს ერმიანის, „მოსაქ-
 სენებელნი“ არისტოტელის კატეგორიებისა და
 III საუკუნის ნეოპლატონიკოსი — პორფირიას
 „შეყვანილებსაზე“ (ეს უკანასკნელი არის პორ-
 ფირის ცნობილი ლოგიკის სახელმძღვანელო.
 რომელიც ადრინდელ შუა საუკუნეებში დასავ-
 ლეთისა და აღმოსავლეთის ფორმალურ-ლოგი-
 კურ აზროვნებას ადგილს ხელქვედად, რო-
 შელიც, თავის მხარე, არისტოტელის ლოგიკურ
 ნაწილების გადამშეყვებას წარმოადგენს).
 აქედან ცხადი ხდება ამ თხზულებათა თარგმ-
 ნის პრაქტიკული საჭიროება და ისიც, რომ
 მისი თარგმნისასაც იმავე ლოგიკურ ცნებათა
 აღმნიშვნელი ტერმინების ქართულად გადმო-
 ღების საკითხი იდგა, რაც ეფრემისა და არსე-
 ნის მიერ დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმ-
 ნის დროს. ამ „მოსაქსენებელთა“ თარგმან-
 XI საუკუნის გასულ ჩანს შესრულებული და
 ლიტერატურული ტრადიცია მას იოანე ტარ-
 კისძეს მიაწერს. მკვლევარი ივანე ლოლაშვი-
 ლი ამ იოანე ტარკისძეს აიგივებს იოანე პეტ-
 რიწთან იმ მსგავსების საფუძველზე, რომე-
 ლიც ამ ორი მწერლის ენაში დასტურდება,
 მაგრამ აღნიშნავთ, რომ მათი ენა და სტილი,
 მსგავსებასთან ერთად, საკმაოდ მნიშვნელოვან
 სხვაობებსაც შეიცავს, რაც მათს იდენტურობას
 უნდა გამოკიცხავდეს. ვინც არ უნდა იყოს
 „მოსაქსენებელი“ მთარგმნელი, ერთი რამ
 სრულიად აშკარაა: იგი ეკუთვნის იმ ლიტერა-
 ტურულ სკოლას, რომელსაც სათავე დაუდო
 ეფრემ მცირემ და შემდგომ განავითარა და გა-
 მოყვითა იოანე პეტრიწმა (პირობითად მას ელი-
 ნოფილურ სკოლას ვეროდებთ) და თარ-
 გმან ასრულებს პეტრიწის უშუალო ხე-
 ლმძღვანელობით. ტერმინებზე მუშაობი-
 ხას იგი იყენებს უკვე მიღწეულს. მისი
 სკოლის მიერ გამოშეყვებულ მეთოდებს სიტ-
 უთაწარმოებისა, მთელ რიგს ამ სკოლას მიერ
 უკვე დადგენილი და ხმარებაში შემოტანილი
 ტერმინების (მაგ., როგორცაც შეგულის-
 სიტყუთა, ა ს ს ტ ა ბ ა, რ ო მ ე დ ლ ო ბ ა,
 ვ ო თ ა რ ე ბ ა, ე რ ო დ ო, თ ვ ს ი, ს ა უ კ -
 ვ ე ლ თ ა ო, ზ ო გ ა დ ი, რ ა ა ბ ა - მ ი მ ა რ ო რ
 და სხვ.) ხანამ იპოვიდეს ბერძნული ტერმინის
 შესაფერის ქართულ შესატყვისს, მას ზიარად
 ბერძნული ტერმინები გადმოაქვს ქართული და-
 წერლობით და მიზანდერი წარმოთქმით (მაგ.,

ქართული, რომელიც, როგორც, სკოლის (და სხვ.), ამჟამად დროს, იგი იძლევა ბერძნული ტერმინების შეხანისავე ქართულ შეხატვისებ-საც, როგორცაა, შავი, ვანი, ხაზი (scopos) აღლვა (analysis) თანადდება (synthesis) და სხვ. საერთოდ, ეს თარგმანი მეტად ხანტერესო და ზედმად მასალას შე-ცავს ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინოლო-გიის კვლევისათვის.

ამგვარად, იოანე დამასკელის „დიდიკატეგორია“ და მონიოს ერმიანის „მონასტრებისათვის“ თარგმნით ქართულდება შედარებს ლოგიკურ-საფილოსო-ფოსო და თეოლოგიური ხანათის სინტეზატურა კლასი, რომელშიც არატოტელებს ლოგიკური მოძღვრებანი იყო გადაშეშეხებული ვარკვეული თეოლოგიური თვალსაზრისით და რომელიც ვა-მოყენებოდა როგორც ხანკოლო საბელმდვა-ნელო მონასტრებთან არსებულ აკადემიებში.

სამეცნიერო დიკტატურაში აღნიშნულია, რომ ეფრემ მსიტიმ იოანე დამასკელის თხზუ-ლებას რჩი ნაწილის „დიდიკატეგორია“ და „გარ-დაშეხების“ თარგმნით „სახელებული ჩათყარა ქართულ სკოლასტისას, მისცა ქართულდება იმ-დროინდელი მეცნიერების კომპლექტში, ქრის-ტიანულად გამოართული და უკველივე „უსტო“ ელემენტისაგან ვაწმენდილი“ (გოგობერძაძე, 1941).

ეფრემ მსიტიმისათვის საერო ფილოსოფია კალია, რომელიც უნდა მოიწოდდეს ქრისტი-ანული ფილოსოფიის — ღვთისმეტყველების — ვენახის მშვენიერება (დიდიკატეგორია, წინასიტყ-ვა). მაგრამ, თუ „დიდიკატეგორია“ და „გარდაშე-ხების“, და „საფილოსოფიო“ და „სახელებული“ თავებს, რომელნიც, ეფრემისავე სიტყვებით, უფროსადნობს სრულად არ არიან, იგი თარგმნის იმ მონიოს, რომ „ამაჟ მსიტი წინა-აღუდგებოდაჟ შვაღნი ეკლესიისაჟნი გარეშეთა მათ ფილოსო-ფოსთა და მათითვე ისრითა განმჯუმერდენ მათ“ (დიდიკატეგორია, წინასიტყ-ვა, 2). მის მეტივე უხვე-დო დონის არეოპაგელის შრომათა თარგმნა უკვე ახსნება ნეოპლატონური ფილოსოფიისა-დმი იმ დიდი ინტერესით, რომელიც ამ დროის ქართული საეკლესიო-ლიტერატურული წრეები მოიცავდა. თუმცა, თვით ეს ინტერესიც, პირველ რიგში, გამოწვეული იყო ასევე ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვისათვის სამახვეროთა და ქრისტიანული დოგმების განმტკიცების საჭირო-ებით. ამისთან დაკავშირებით კი ანგარიშგანაწი-ვთა კვლავ მ. გოგობერძის დასკვნა, რომ ეფრემ მის დროს დონის არეოპაგელს სწავლობდენ და თარგმნიდენ არა იმიტომ, რომ მასში პლა-ტონურს ფილოსოფოსს ხედავდენ, არამედ ქრისტიანს (I ს. ათენელ მოქალაქეს, არეოპა-გის წევრს, დონისებს, რომელიც „საქმე მო-ცემულითაში“ ახსენიება: „და ესრეთთა მოვიდა პავლე შირის მათსა. ბოლო რომელინივე კაცნი მოხდებდეს მას და მარწმენა: რომელთა თნი იყო დონისიოს არეოპაგელი...“ („საქ. მო-ცემ.“, 17, 83), „რომელსაც ქრისტიანული სობრ-

ძნე თვით პავლე მოციქულმა ახსენილი“ (გოგობ-ბერიძე, 144).

მაგრამ სწორედ ნეოპლატონისაგან, რომელმაც როგორც ცნობილია, ანტიკური ფილოსოფიის მთელი სიმდიდრე შეითვისა, თავისი მოძღვრება არაქველურებად მკაცრ თანმიმდევრულ სინ-ტემაში ჩამოყალიბა და ეკლესიის მამანდ აძო-ღა უკრადება მიეცეთათ ქრისტიანული დოგ-მების სინტეზატურა და მეცნიერული გამომოცე-მისათვის. სწორედ ნეოპლატონისაგან, ქრისტიან-ობის ხანაში ამ უკვლავ მეტად ვარკველებუ-ღმა ანტიკური ფილოსოფიის მიმდინარეობა, რომელიც ფსევდო-დონისებ არეოპაგელის შრომებში ახალი პირობების შეხანისის, სრუ-ლიად ახალი ფორმით წარმოდგა, შეძლო ფი-ლოსოფიისა და რელიგიის შორებება. არეოპა-გიტული მოძღვრებას წყალიობით, ახალი იდეო-ლოგიის მიხედვით ნეოპლატონისაგან ახალი გა-მარჯვება მოიპოვა საეკლესიო თეოლოგიაში, არეოპაგიტული შრომების ავტორმა თავი მოუ-ყარა უკველივერ იქნა, რაც აღმოსავლეთს შეექ-მნა ქრისტიანული მოსაზრებებისათვის, მათ შორის, გამოიყენა უდიდესი ნეოპლატონ-კოსის პროკლე დიადონოსის ნაწარმები. პროკლე დიადონოსისა, რომლის ტრაქტატი თარგმნა და ვრცელად განმარტა იოანე პეტრიძემ.

ამგვარად, სრულად ნათელია, რომ ამ ხანს ქართული მოღვაწენ წინასწარ ღრმად ვაზრე-ბულ საერთო ვეგნის აზრცოდებდენ, რომე-ლიც ითვლისწინე და არა მარტო ქრისტიანო-ბის დარქაში გატარებული ნეოპლატონური ფილოსოფიის შესწავლას და ქართულად ვადმო-ღებასა და ვარკველებას, არამედ როგორც კვე-რითვე ვნახავთ, ანტიკური ფილოსოფიის კლასიკ-სების ნამოღვაწარის ღრმად შესწავლასა და გან-ხილვასაც.

ამ ერობობლივ მუშაობის დამადასტურებელი, გარდა ეფრემისა და ახსენის თანამშრომლობის შემოპოწყენილი მაგალითისა, არის, აგრეთვე, ეფრემის ცნობა იმის აზრსებზე, რომ არეოპაგე-ლის შრომათა თარგმნისას მისი „მოძღვარი და ძალმწე“ იოანე ხაღმთო ფილოსო-ფოსი (ახეთად კი იოანე პეტრიძე იწოდებოდა) უფთლია (ლოლაშვილი, 88 და 89). ეფრემი ამას წერს ანდერძში, რომელიც დაართლია A 110 ხელნაწერში არეოპაგელის I წიგნის — „საღმრთოთა ხახელთათჳს“ — ბოლოს: „ლო-ცვა-ყავთ, ქრისტეს მოყუარენო, აო-ნისესს, საღმრთოდ ფილოსოფო-სისა და კოცოცთელად ღრამატკო-სისა, რამეთუ... იგი იქნა პარ და ვოცნება და სიტყუა პირტუფთა უფუგურებისა ეფრემ მსიტიმისა, რომელი აღვიარებ, ვითარმედ არა თუმცა იგი უფთად იყო მოძღვარ და ძალ-მწე ჩემდა, სახედვადჳც ვერ ვაკარგებდი მისი თუ-აღისა მის წიგნისასა, რომელსა შინა ჩენი ცთომილება იდენ არს“ (არეოპაგელი, 19).

ამგვარად, ურთიერთდახმარების ეს ფაქტები

გვარაუდებინებს. რომ ინტროდუქციული კარტევილი მოღვაწეთა ასეთი თანამშრომლობა შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო: ახალი მთარგმნელობითი მეთოდის შემუშავება თანამშრომლობითა და შეთანხმებით ხდებოდა. ასეთი თანამშრომლობა ტერმინოლოგიის დადგენა-დაწესებებსა და დამუშავების აუცილებლობითაც იყო გამოწვეული.

იოანე პეტრიწი ახალი ეტაპის წარმომადგენელია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური აზროვნების ისტორიაში. მას ფილოსოფია აინტერესებს თავისთავად, და არა როგორც „ეკლეა“. რომლითაც უნდა მოიზღუდოს „ეკლესიის ვენახის წაყოფითა შეუნიერებამ“. იოანე პეტრიწი ქრისტიანული სკოლასტიკის ისტორიაში დამწვევია ამ ახალი მიმართულებისა, რომელმაც გადარწმუნა ფილოსოფია კონსტანტინეპოლისელებთან, რომელიც ფიქრობდა, რომ რელიგია „გონების არგუმენტებითა“ და „თეორიით“ დასაბუთდებოდა, რომ „ფილოსოფიას უდიდესი სახსარის გაწვევა შეუძლია ზარწმუნებობისათვის, მას ლოგიკური, გუბნით შეუძლია იმის ნათქვამი, რაც ზარწმუნობას სწამს (გოგაბერიძე, გვ. 146, 185).

რადგანაც „ხედვითი“, „თეორეტიკული“ ცოდნის გზა გაყოფილია ქონდათ ბერძენ ფილოსოფოსებს, ხოლო მეცნიერული ტერმინოლოგია საუბრების განმავლობაში დადგენილია და ჩამოყალიბებულია, ამიტომ იოანე პეტრიწი აღარ კმაყოფილდება ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა გვიანდელი კომენტატორებისა და ეკლესიის მამების კომპილაციური ნაშრომებით, არამედ უღრმავდები, თარგმნის, სწავლობს და ასწავლის ანტიკური ფილოსოფიის პირველწყაროებს.

იოანე პეტრიწს ქართულად უთარგმნია არისტოტელეს ნაშრომები — „ტა ტაქა“ და „პერი ერმენეიას“. მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. სამაგიეროდ, ჩვენამდე სრულად მოაღწია მისმა თარგმანმა ნებისაოს ენსეხელის სახურებისხებუტველი-ფილოსოფიური ნაშრომისა „ბუნებისათვის კაცისა“ და საკუთარმა ენციკლოპედიურმა ნაშრომმა, რომელიც პრაქცი დაადობისას განთქმულია ტრაქტატის „დეთისხებუტველების პირველსაფურცლებს“ მიხედვით თარგმანს განმარტების სახით აქვს დართული. მართალია, ეს ნაშრომი პრაქცი ტრაქტატის კომენტარებია, რომლებიც ერთვის მის ქართულად თარგმანად თითოეულ თავს სკოლიკების სახით, მაგრამ სინამდვილეში იგი წარმოადგენს ძველი ბერძენა და ბუნანტიული ფილოსოფოსების ნაწარვის საკუთარ, პეტრიწისებულ გადამუშავებას. ესენია: პითაგორა და პითაგორელნი, პარმენიდე და ემპედოკლე, პლატონი, სტოიკნი, არისტოტელე და პერაპატოელნი, ეპიკური და ეპიკურელნი, გოგოლე ნაზანაზული, პორფირა, პლოტინი, იამბლიხოზა, პრაქცი სხვა ნაშრომები, აღუქანადრე აფროდისიული, ასკლეპიოსი და სხვ. იყენებს ბიბლიის ტერმინებსაც — მოსეს, „დავითის“, ესაიას, ნაზარად აღწერებს თავად მოცემულს. განმარტებულად აღწერს დამუშავებული დეტალები: „პარმენიდე“, „ემპედონი“, „ფედორო“, „ტიმოქო“, „სქულთა“, „აქიკიანდე“, გამოყენებული აქვს ადგილები „ნადაიდაი“, „თეორეტიკადი“. ასევე აღწერს დამუშავებული და გადმოცემული არისტოტელეს დოკუმენტი ნაშრომები, რომლებიც ბიზანტიურ ხანაში „ორგანონას“ სახელით იყო ცნობილი და იოანე პეტრიწიც მათ ახე მითითებს. არისტოტელეს სხვა თხზულებათაგან პეტრიწი იყენებს და ასახელებს „პერი ერმენეიას“, „ბუნებისათვის“, „აღმოჩენათა პირველი“, „აღმოჩენათა მეორე“ (ანალიტიკა, I და II), „პერი გენესისის და ფიზიკის“, მომუშავს ციტატები არისტოტელეს სხვა თხზულებათაგანაც, რომელთაც არ ასახელებს (ხ. უაუხიშვილი, პეტრიწი, ტ. I, XXVI-LII).

უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ადრე თავის თარგმანებს კომენტარებსა, და სკოლიკებში ერთმმ მცირედაც საქმად ჰქვას დამოწმებული ძველი ბერძენი მოაზროვნეები (პინდარე, დემოსთენე, ისოკრატე, დემოკრიტე, პერაპლიტე და სხვ.), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ძველი ქართული მოღვაწენი ფართოდ იცნობდნენ ანტიკური სამყაროს მეცნიერებას. ამ მხრაც იოანე პეტრიწი არ ყოფილა გამონაკლისი, მაგრამ აქ ზუსტადსწავლია ის გარემოება, რომ პეტრიწი დამოწმებულ წყაროებს კრიტიკულად უდგება, განმარტებს და აღრმავებს იმას, რაც ამ წყაროებში ბუნდობლად მანჩია, საკუთარ ინტერპრეტაციებს იძლევა, იყენებს მათ საკუთარი მოსაზრებების გახავითარებლად. ხან უაუხიშვილი იოანე პეტრიწის მიერ გამოყენებული წყაროების განმარტების შედეგად მიდის ამ დასკვნამდე, რომ ზვედ პეტრიწის სახით საქმე გვაქვს იმეთ მოაზროვნესთან, რომელმაც მეცნიერული საკითხების გადაწყვეტებად კარგად აქვს მომარჯვებული ტექსტუალური კრიტიკა და რომელიც ამ კრიტიკისათვის უშუალოდ მიმართავს პირველწყაროებს... ეს იყო მუშაობის ის გზა, რომლითაც შეიმართებოდა XI საუკუნის მეცნიერები: ბიზანტიისა და რომელიც მოხდებდნენ ბიზანტიური ჩვენსანის მეთარებო მიქელ სხელონი და იოანე იტალი (ხ. უაუხიშვილი, პეტრიწი, I, LII).

როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, იოანე პეტრიწმა თავის კომენტარებში პრაქცი ფილოსოფიის დრმა ცოდნა ბრწყინვალედ შეათავსა თავისი საკუთარი ფილოსოფიური თეორიების არჩვეულებრივ ხაღრმება და ორიგინალიზაციასთან (დოსტოე, პრაქცი, 23). პრაქცი ფილოსოფიამ გასრულდა ეს თავისი საბოლოო ეტაპი ახლად. საქმე იმაშია, რომ ამ V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის ენა, როგორც ამას სპეციალისტები აღნიშნავენ, „წარმოადგენს მეტამეტად ზუსტ, თუ შეიძლება ითქვას,

მათემატიკურად უხვ ფილოსოფიურ ენას. მაგ-
რამ ეს სიზუსტე მიღწეულია: ფრანგის ისეთი
უკიდურესი შეკუმშვისა და ლაბიარობის ფა-
ხად, როცა გამოტაკებულია ყოველივე წედმე-
ტი და გამოქმენი დაყვანილია უმოკლეს თე-
ზისურ ფორმამდე" (ლონგეი, პარკლე, 34). ეს
გარემოება, უძველესა, კმნიდა და დღესაც
კმნის უკიდურეს სიჭრუჭებებს პარკლეს ენისა
და მისი ნააზრევას გაგებისათვის. ამიტომ აღ-
ვილი წარმოსადგენია, თუ რა მძიმე პარკლემის
წინაშე აღგა ითანე პეტრიწა ამ ტრაქტატის თა-
რგმნის დროს. იგი უნდა გარკვეულიყო პარკ-
ლეს ლაიონურ, შეუწუხელ მსჭვალთა-ფორმულ-
ლებში და რაც შეაძლება უხვტად, აზრის დაუ-
რღვევლად გადმოეცა ისინი ქართულად. ამიტო-
მაც ითანე პეტრიწმა მიზნად დაისახა თანამეზ-
მულეებისათვის შექმნა სპეციალური ფილო-
სოფიური ენა, რომელიც თავისი გამოშასხველო-
ბითი ძალით ბერძნულზე გაუტოლდებოდა.

„განმარტების“ წინასიტყვაობასა და მისსავე
ე. წ. ბოლოსიტყვაობასაში ითანე პეტრიწმა გარ-
მეცვით ჩამოუადგინა თეორიული მოსაზრებანი
მეცნიერული, კერძოდ, ფილოსოფიურა ენის
თაბანად და ამის საფუძველზე გამოკვეთა თავი-
სი მთარგმნელობით. პრინციპებიც: ითანე „პეტ-
რიწისათვის, როგორც ფილოსოფოსი მთარგმ-
ლისათვის, მთავარია ფილოსოფიურა ზედვის,
ფილოსოფიურა აზრის უხვტი, ადეკატური
„გადმოღება“ — თარგმნა. როგორც თვითონვე
წერს, იგი რთულ აზროვნებასა და ფილოსო-
ფიურ შრომათა „შეწყობისას“ ენის თავისებუ-
რებათა დაცვას და ნააზრევის მარტივად გად-
მოცემის ცდილობს მანამ, სანამ მეტი ხიმარტი-
ვით აზრის დადრეკვის საშიშროება არ შეიქმ-
ნება, რადგანაც მთელი მისი ფიქრა თეორიის
უხვტად გადმოცემისკენა მიმართულია, იქნება
ეს თეორია ლოგოსი, ბუნებისმეტყველებისა თუ
დუთისმეტყველების სფეროდან („წელთა შო-
რის გონებითა და ფილოსოფოსთასა ყოველსა
საღატონესა და თანმიუოლასა ენისაებრთა ვემ-
ზარტე და დებდად, ვიდრე სადამღის მეტოთა სი-
ლიტონითა დაშლად, და ენებად გონებასა აჩა შე-
ეშობუდოდის. რამეთუ ყოველი პარკი ჩემი მათ
შორის გონებისა და ზედვისათვის არს, ანუ სიტ-
ყვიერებითი იუოს, გინა სწავლულებათა, ანუ
და ბუნებითი, ანუ ღმრთობსმეტყულებითა“ (პე-
ტრიწი, II, გვ. 222-223).

თავის ამ მეთოდის გამოყენება, როგორც თვი-
თონვე აღნიშნავს, ითანე პეტრიწმა სცადა ჭერ-
კედვე წემებისო ეშხედის, IV-V სს-თა ნეოპ-
ლატონიკოსი საეკლესიო მწერლის, საბუნების-
მეტყველო-ფილოსოფიურა ხასიათის ობზულე-
ბის „ბუნებისათვის კაცისას“ — თარგმნისას. ახ-
ლა კი, როცა მან მიზნად დაისახა ქართულ ენა-
ზე პარკლეს დადრეკილის უფაქიზესი წილანსე-
ბის უხვტი გადმოცემა, ნეოპლატონურა ფი-
ლოსოფიის უაღრესად რთული ხლართების, მის
უკიდურესად გაყენებული ცნებების მსჭვ-

ლობის სკრუპულური სიზუსტითა თარგმნა,
კედვე უფრო ცხადი ვახდა, რომ „მისათვის —
გამოდგებოდა „ადვილთა და ჩუფელთა სახარ-
გმანოთა ენა“, ლიტონი, ჩვეულებრივი სალაპა-
რაკო ენა, ანუ, როგორც თვითონვე ამბობს,
„მადმარონთა ენა“. და პეტრიწმა წამოაუენა
მითხოვნა, რომ ფილოსოფიურა ხასიათის ობზულ-
ლებათა შეწყობისათვის შექმნილიყო ენა „გა-
დექსებელი და მესხუეა მდამონითაგან“ ანუ
შექმნილიყო სპეციალური ფილოსოფიურა, მა-
ღალი სტილი: და ადეიშურვე ტომისათვის გუა-
რთა ჩემთასა მე მიდრობა ენისაა გადრეკე-
ბული და მესხუეა მდამონითაგან“ — წერს
იგი (პეტრიწი, II, გვ. 220).

„მდამონითაგან მესხუე“ ენის შექმნა, უპა-
რველეს ყოვლითა, სწორედ სპეციალური ლექ-
სიკის, ტერმინოლოგიის შექმნას გულისხმობდა.
სპეციალურა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის
შემწავება წინა პარკის იგი ფილოსოფიურ
ობზულებათა შექმნისა და თარგმნისათვის,
ქართული ფილოსოფიურა აზრის განვითარე-
ბისა და სრულყოფისათვის. ამიტომაც, რომ
ითანე პეტრიწს ფილოსოფიურ შრომათა თარ-
გმნისა და „შეწყობისას“ უმნიშვნელოვანეს და
უპირველეს ამოცმად მიანთა ენობრივი მახა-
ლის და, პარკედ რაგვი, სიტყვა-ტერმინების
უხვტი შერჩევა. ბერძნული ენის მაგალითის
მიხედვით, ქართული მდამონა სიტყვაწარმოე-
ბითა რესუნსების ფართი გამოყენებით იგი
კმნის ახალ-ახალ ქართულ ტერმინებს, რის
შედგენადაც, როგორც ხასართლიანად აღნიშ-
ნავს ნიკო მარი, „მას ჩვენ უნდა ვუმაღლო-
დეთ ქართულ ენაზე მშაპარეულ ფილოსოფი-
ურ ტერმინოლოგიას, რომელიც არაჩვეულებ-
რივად უხვტად და ლაკონურად გადმოსცემს
ქართული ძირებით ყველა ამ ტერმინს, რომ
ლებიც ევროპულ ენებში ბერძნული ან ლა-
ტინური ნახესობების სახით ასხეობის“ (მა-
რი, 83).

პარკედ დიადრობის დამახლებულ ტრაქ-
ტატში მისი ავტორისათვის დამახასიათებელი
სიზუსტით არის ჩამოუადგებელი მყადრი-
სიტემა ნეოპლატონური ფილოსოფიის ტერ-
მინოლოგიისა, რაც ამ ტრაქტატის — პარკედ
მთარგმნელს, ითანე პეტრიწს, ავადებდა ანეთი-
ვდ მყადრი სიზუსტით მოკლედეოდა თითოეული
ცნების ქართულად გადმოცემის საკითხს.

ითანე პეტრიწის ერთი მთავარი მოთხოვნა-
თაგანი იყო ის, რომ ფილოსოფიურ ნაშრომე-
ბში ერთმნიშვნელოვანი ტერმინები ყოფილიყო
გამოყენებული. პარკლეს ტრაქტატის თარგმან-
ის წინასიტყვაობაში ითანე პეტრიწი სპეცია-
ლურად ეხება ფილოსოფიურ ცნებათა უხვტი-
ყვის ტერმინების დადგენის საკითხს და კონ-
კრეტული მაგალითების (შემეცნების პარკესის
ამახველი ტერმინების) მომხმობით უჩვენებს
ქართული სპეციალური ტერმინის შექმნის გზა
შესახამის ბერძნული ტერმინის მიხედვით. იგი

არს გამოქვეყნება და ენათმეცნიერებათა გარდასცემს და მზამეტყუფებდათა, იხე აგი არს სახელისაგან თარგმანებათა მოპოვებს და შეხატუვსობათა გარდმოსცემს" (პეტრიწი, II, პოლოსტყ., 223).

სწორად შესანახავა („პორციუად“) გარმატიკოსობის, ბერძნული და ქართული ენების დრმა ცოდნის წყალობით იოანე პეტრიწმა, მოძმეთაგან თანადგომისა და სიყვარულს მოკლებულმა, შეძლო დამუშავებინა ქართული ფილოსოფიურა ენა, შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებული სისტემა. ამ რთულსა და ძნელ გზაზე იოანე პეტრიწს უზღებოდა უამრავი ახალი ფორმის წარმოება, ფუძეთა და აქვისთა უჩვეულო კომბინაციების დაშვება, პოლისემიასა და ომონიმასთან ბრძოლა... და მიუხედავად იმ მდიდარი მემკვიდრეობისა, რომელიც ძველი ქართული მოღვაწეებისა და თავისი უშუალო წინამორბედებისაგან მიიღო, შეიძლება ითქვას, რომ მან მაინც დამოუკიდებლად შექმნა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის მთლიანი, მწყობრი, თანმიმდევრული სისტემა. ამის შესაძლებლობა მას მისცა ისეთმა ფუნდამენტურმა ნაშრომმა ფილოსოფიაში, როგორც აყოპროკედ დიაკონის „ღვთისმეტყველების საფუძვლები“, რომელშიც ნეოპლატონიზმის ყველა საკანონო საკითხია განხილული და ფილოსოფიური ტერმინოლოგიაც შესაბამისად ფართოდაა წარმოდგენილი და შპაკრად დამუშავებული. პროკედს ტრაქტატზე უფრო ადრე კი პეტრიწს საშუალება ჰქონდა თავისი ძალები ეხიწა ასევე მეტად მნიშვნელოვანი ანთროპოლოგიურ-ფსიქოლოგიური ხასიათის თხზულების ნემსების ეჭვების „ბუნებისათვის კაცისას“ თარგმნისას, თხზულებისა, რომელშიც შერჩეულა ანტიკური და ბიზანტიური ეპოქის სხვადასხვა ფილოსოფიურ მანძანარობათა ნააზრევი, ნეოპლატონიზმის ჩაუვლით, და, რომელიც, აგრეთვე, იმდროინდელ საშუალებას უზედარესი ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური ხასიათის ქართული ტერმინოლოგიის დამუშავებას.

იოანე პეტრიწი ფართო ვასაქანს აძლევს ქართული სიტყვაწარმოების კანონებს, აგი ქართული ენის ბუნების შესაბამისად, ქართულ ენაში საუკუნეებით დამკვიდრებული წესებისა და ყალიბების მიხედვით, მათი განვსაჯების გზით ქმნის ახალ სიტყვა-ტერმინებს.

თუ კონკრეტულად რა წვლილი შეიტანა იოანე პეტრიწმა ქართული მეცნიერული და, კერძოდ, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ ბევრია თქმული და აქ სიტყვას აღარ ვაჭარბებელი. (დ. მელქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ-შრომათა ენა და სტილი, თბილისი, 1975 წ.) იოანე პეტრიწის მთარგმნელობითი პრინციპე-

ბა იმ დროის ბევრმა მოღვაწემ განიარაჟა კ. კეკელიძე მათ „პეტრიწონი“ სკოლის სხვაზელით ანთროპონებს (კეკელიძე, 1940 წ.) პეტრიწის მოთვლმხედველობისა და მისი ენის გავლენა იმ ეპოქისა და მომდევნო ხანის მწერლობაზე სრულიად აშკარა. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელაა აღნიშნული მისი გავლენა შოთა რუსთაველის მოთვლმხედველობაზე, რაც „ვეფხისტყაოსნის“ დეცხიკიდანაც ვლინდება: შავ, კავ ში რ ი — „ელემენტების“ („სტაქიების“) მნიშვნელობით, ს ი რ ა — „მწერია“, „რივი“, გ ვ ა რ ი — „ადვის“ მნიშვნელობით, ტ ო შ ი — „გვარობის“ გაგებით, უ შ უ ო ო — „უარსების“ გაგებით, ასევე პეტრიწისეული ჩანს ტერმინები: ა ნ ა გ ე ბ ა, ა ზ ე ნ ე ბ ა, ო ც ე ნ ბ ა, დ ა დ ა ს ე ბ ა, შ ე ნ ა თ ხ ე ნ ე ო დ ს ე, გ ა ვ ე ნ ა შ ი ნ ი შ ე ნ ა, ა გ რ ე თ ე, ს ა ვ რ თ ე, პ ე ტ რ ი წ ი ს ე უ ლ ი პ რ ი ნ ე მ ბ ი ს ა და ტ რ ა ლ ი ბ ე ბ ი ს ა ხ ა ლ ს ი ტ ე ვ ა თ ა წ ა რ მ ო გ ე ბ ა შ ა, რ ო გ ო რ ც ი ა, შ ა ვ, მ ო ს წ რ ა ზ ე ნ, მ ე ს რ უ ლ ა, მ ბ რ ძ ო ლ ა, მ ო მ ო, მ ო მ ნ ა ე ვ ა დ ე, მ ო კ ე ნ ე ბ ა, მ ო ა ხ ლ ე (ახლო მეოცის მნიშვნელობით), მ ე უ ე ნ ე ბ ლ ე, მ დ ი ნ ი, მ გ მ ო ბ ა რ ა, დ ა მ ე დ ე ბ ა რ ი და ს ხ ა.

იოანე პეტრიწის ენის გავლენას აშკარად ვლინდება XII საუკუნის პოეტ-მეოტებები — შეთვლი და ჩახრებაძე.

მაგრამ, სამწუბაროდ, არც იოანე პეტრიწის მიერ შექმნილ ფილოსოფიურ სკოლას, არც ფილოსოფიური აზროვნების შემდგომი განვითარებისათვის მის მიერ და მის თანამედროვეთაგან მომზადებულ წყვილ საფუძვლებს — ფილოსოფიურ ენას, სისტემაში მოყვანილ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, მომდევნო საუკუნეებში განვითარების საშუალება აღარ მისცემია. ამის მიზეზი საქართველოს პოლიტიური ცხოვრების და მისი პირობები აყო, რომელიც შეიქმნა მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული. პერიოდი XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის დამდეგამდე, როგორც ცნობილია, ქართული მწერლობის დაქვემდებარება და დაქანების ხანაა: „XIII საუკუნის დასასრულს საქართველოს განუწყვეტლო აობრებდენ და ავრანებდენ მოწველობა, XV საუკუნიდან — ოსმალები. მათ განადგურეს ყოველგვარი ცენტრები მწერლობისა და სწავლა-განათლებისა... საქართველოში გარეშე მტრების თარეშმა და შინაურმა არე-დაჩევაჲ სულ ერთიანად განადგურა საეკლესიო მწერლობის ცენტრები. რაც შეეხება საზღვარგარეთულ ცენტრებს, შექმნილი მდგომარეობის გამო იხანიც დაეცნენ და დაქანდნენ. ოსმალებმა მოსწყვეტეს საქართველოს არა მარტო ბიზანტია, არამედ ის ცენტრებიც“ (კ. კეკელიძე, I, გვ. 66). ასეთ პირობებში, ცხადია, ვერც ფილოსოფიური აზროვნება და ფილოსოფიური ენა განვითარდებოდა. მაგრამ ქართული ლიტერატურის აღრობინე-

ზის ხანაში, განსაკუთრებით კი XVIII საუკუნეში, აღორძინდა ფილოსოფიური შერქობაც. ეს აღორძინება, უბარველეს ყოვლისა, გამოიხატა იმით, რომ „ახლა ვულგარდგანედ დარქობდნენ წინა პერიოდში ნათარგნ თუ დარქობლ თხუვლებების და დარღვარად იღებენ მათგან პარებს“ (კეკელიძე, 1, 70).

ძველ ხელნაწერთა გადარქობისას ფილოსოფიით დარტერებსებულ მოღვაწეთ, ცხადია, შეუშინვეელი არ დარჩენიათ იარნე პეტარიწის მიერ გამომუშავებულ ფილოსოფიური ენის დარსებება, მისი ტერმინოლოგიის სიმდარდრ და გამომსახველობითა ჭალა. ხუნენბრავა, რომ იარნე პეტარიწი, ეს „სადვით ფილოსოფოსი და კარციდელად დარმარციოსი“, კართული შერქობლისას აღორძინების ხანაში დიდა ავტორიტეტისარ სარგებლობს არა მხოლოდ როგორც „მონებახალად და დიდი დარტობისმეტვეელი, ფილოსოფოსი“, არამედ, აგრეთვე, როგორც „წედმეწვენიელი ბერძულსა და კართულსა ენასა ზედა“, „კართულია ენისა ზე“, „მამწვევებელი და მადღებელი ენისა ჩუენისა“. იარნე პეტარიწის ენა „კეთილდმოვების“ მადღ ნიშუშად იქნა აღიარებული და რიტორიკასა და ფილოსოფიის დარგის შერქობაში მისი მისაბა უბარვედეს ამოცანად დარსახებს. როგორც არს. ჩიქობავა აღნიშნავს, XVIII საუკუნეში მადღი სტალით შერქობალთ თვარი ეტორით „იარნე პეტარიწის ენისაკენ, რამდენადაც ამ რითული, მძიმე ენისათვის მისაბავს მოახერხებდნენ შეთვარამეტე საუკუნეში (ა. ჩიქობავა, გვ. 020) და მართლაც, პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა იარნე პეტარიწისა და მისი დარისის მოღვაწეთა მიერ გამომუშავებული ფილოსოფიური ენის აღდგენა თითქმის 7 საუკუნის შემდეგ. როდესაც კართული საერთო სახალხო ენა საგრძობლად იყო დარშობებული XI-XII საუკუნეთა საშერქობლობ ენის. იარნე პეტარიწის ენის თავარისებრიცედილი — ანტონ კათალიკოსი და მისი სკოლის წარმომადგენლები — ცდამობდნენ მის მისაბავს. მაგრამ იარნე პეტარიწის უფადესი გამომსახველობითი ძალის მქონედ ენის ნაცვლად იმანი ახარტინებენ მართლაც დვლარტინები, უადრესად რითულია და ზელოვანურ, თავისი დარობათვის მოძველებულსა და ფსევდოლარტიკისმებით გადარტირთულ ენას.

იარნე რბუელიანი, ანტონის სკოლის წარმომადგენელი, აღარცებულთა იარნე პეტარიწის ენით, მის კართულა ენის „მამწვევებლს“ უწოდებს. ვას, ფილიპე უათმარაშვილთან და ნიკოლოზ მდვდელთან ერთად, ხედმეორედ თარგმნის პროკლეს ტარქატატ (მაგრამ უკვე სომხურიდან) და ამის მიზნად იმას ასახელებს, რომ იარნე პეტარიწის თარგმანი მებტად რითულია და ძველი გასაკუბი: „ურთად დარითოსას და ძველად იგულებსკების. ესე ამისთვის აღვწერით უფროს ადვილ გასაკონისა. ლექსებითა, რამეთუ აღმომკობი ამისა უკეთესად გარგო-

ნებს და ამითა იარნერი ზედ მიწითმების: და ამასაც ვიტყვ, რამეთუ ურთად ვებტარტი და მსურავს ლექსნი პეტარიწული. ვარნა... მიწით წითავს ენთა აღვწერეთო“ (A 1182), თუმცა უკვე ამ მინაწერიდანვე კარგად ჩანს, რომ მისი ავტორი იარნე პეტარიწის ენის ძლიერ გავლენას განიცდის.

როგორც ცნობილია, იარნე რბუელიანი შედარდა ანტონ კათალიკოსის ინიციაციით რამეოკალიბებულ მთარგმნელთა ჭვრფში, რომელიც მუშაობდა ძირითადად სომხურიდან კართულ ენაზე ფილოსოფიურა თხუვლებების თარგმანზე. ესენი იყვნენ: ზემოთდარსახელებული ფილიპე უათმარაშვილი, ნიკოლოზ მდვდელი, აგრეთვე, ანტონ ცაგარედ-პუნონდიდელი, დონიოტურ ნერტებელი და სხვ. (უფრო ადრე, ვახტანგ VI-ის დავალებით, უტრას შანოვანცი თარგმნადა სომხურიდან ფილოსოფიურ ნაშრომებს).

მათ სომხურიდან კართულად თარგმნენ ბერძენ ავტორთა ნაშრომებს: პარტირის — ზუნა კვინი“, არისტოტელის „ათნი კატორიანი“, მისივე „პერი ბერმენას“, პროკლეს „კავშირნი დარტობისმეტველებითნი“. უფრო გვიან — დავით ბარტალიონმა თარგმნა დამასკელის „დიალეტიკაჲს“ (თარგმნიდნენ ასევე სომეხ ფილოსოფოსთა — დავით უღვეველის, მითარ სებასტოკლისა და სხვთა ფილოსოფიურ ნაშრომებს). მაგრამ, როგორც ვიცით, ეს ნაშრომები XI-XII საუკუნეებში უკვე იყო თარგმნილი ცნობილი კართულად მოღვაწეების, უფრომ მკორის, არსენი იყათოგელის, იარნე პეტარიწის, იარნე ტარიგენასა მიერ. უფრო შერათ, პროკლეს ტარქატატის პეტარიწისებული თარგმანი თავისი კომენტარებითორთ 1248 წელს კართულად სომხურად თარგმნა სომეხმა ქალეიდონიტმა ბერმა სიმეონმა (მინამამანაქელმა). 1850-1 წლებში სიმეონ გარნდელი ამ ტექსტს ჩამოაშორა პეტარიწის განმარტებანა და თავისი ახალი კომენტარები დარტორ. აი, სწორედ ეს სომხური ტექსტი, თავის დროზე კართულად გადმოღებულთ, 1767 წელს კართულად თარგმნეს იარნე რბუელიანი, ფილიპე უათმარაშვილი და ნიკოლოზ მდვდელი. ზემოთ ვნახეთ, თუ რა მიზანი ამოძარებდათ მათ ამ ტექსტის ხელახალი თარგმნისას: მკითხველისათვის ადვილად გასაკუბი გაეხადათ პროკლესა და იარნის ნაშროვი. თუ რამდენად შესებლეს დანახული მისინა მდვდელი, ეს ჩანს პეტარიწისებული და იარნე რბუელიანისებული თარგმანის ნებისმიერი ნაწვეტის შედარებისას (დ. მელიქიშვილი, გვ. 87). იმის გამო, რომ ტექსტი თარგმნილია სომხურიდან (რომელიც თავის მხარე, უფრო ადრე, კართულიდანა თარგმნილი), პეტარიწისებული ტერმინები აქ სწორად დამახარვებულადაა წარმოადგენილი, თუმცა კი ისიც აქარაა, რომ იარნე რბუელიანის თარგმანზე მუშა-

ობისას პეტროწინელი თარგმანითაც უხარგბუნია.

XVIII საუკუნის ფილოსოფიურ ჰერეზიკურ ხანსაყოფრებული ადგილი უჭირავთ თვით ანტონ კათალიკოსს, დავით და იოანე ბაგრატიონებს. მართალია, მათა წაწერებისა, ვერძოდ, ანტონ კათალიკოსის „კატეჯორია სემენტე“, დავით ბაგრატიონის „კატეგორია შემოღებულა“ და იოანე ბატონიშვილის „კალასობას“ ფილოსოფიურა ნაწილა, რსმელიც შეიცავს სხვადასხვა ფილოსოფოსთა (არისტოტელეს, პორფირის, პარკლეს, ამონიოს ერზიასის, იოანე დამასკელის) ტრაქტატებს, კომპილაციური ხასიათისაა და ძირითადად სომხურ თარგმანებს ეყრდნობა (თუმცა კი ჰველი ქართული თარგმანებითაც სარგებლობენ), ამასთანავე, დიდად ჩამოუვარდებია ჰველი დროის ქართველ ფილოსოფოსთა თარგმანებს (როგორც ზემოთ ვთქვით, ვადატვიროულია ფხვედოარქაოზებისთ, ხელოვნური ფორმებით და სხვ.), მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მათ მანაც ამჩნევიათ ამ უნაწასკნელთა კეთილი გველების კვალი. ეს კეთილი გველებია ვლადებია სიტყვაწარმოების სფეროში. ისინა ძირითადად აუცილებენ XI-XII საუკუნეების ფილოსოფოსების შექმნილ ტერმინებს ან, არც თუ იშვიათად, მათგან შეთვიზებული უაღიბების მიხედვით აწარმოებენ ახალ ტერმინებს (თუმცა აქაც ყოველთვის ვერ უხწორდებიან თავიანთ წინამორბედებს).

ამგვარად, ანტონ კათალიკოსნა და მისმა მიმდევრებნა სცადეს XI-XII საუკუნეების მოღვაწეთა მიერ დაშუშავებული ფილოსოფიური ენისა და ტერმინოლოგიის აღდგენა, მაგრამ მათს ცდებს წარმატება არ მოჰყოლია, რადგანაც ანტონსა და მისმა სკოლამ „სამი სტილის თირობას“ შემოღებით არა თუ ვერ შეძლო შემოქმედებითად განვეითარებინა ჰველი ტრადიციები, არამედ შექანაერთა და ზრამა მისმაჰველიებით არახუნებრავა ჯზით წაიყვანა და შეაფერხა კიდევაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარება. როგორც ცნობილია, რატორიკოს, დვთისმეტყველების, ფილოსოფიის და სავტორო, შეცნიერების სფეროში მათ დააქანონეს „მედალი სტილი“ — „ჰველი ქართულის თავისებური სეროვატი, ენა დღეარქნილი, რთულ წინადადებათა მოტრფიადე, მიმღეობებით მედადარი, ზმნებით ღარბი“ (ანრ. ჩიქობავა). უკიდურესად ხელოვნური, ფხვედოარქაოზებისთ ვადატვიროული და ამიტომაც გაუგებარა თანამედროვეთათვის, ძირითადად სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ამ სტილით შექმნილი დროისათვის თავისთავად მნიშვნელოვან და დიდძალ შეცნიერულ ლიტერატურას შემდგომი თაობებისათვის ახსნებითად არ მოუტანია მოსახლოდელი სარგებლობა.

თანამედროვე ქართულ შეცნიერულ (და არა მარტო შეცნიერულ) ტერმინოლოგიაში წარმატებით გამოიყენებია ჰველ ქართულ სიტყვას-

მოქმედთა მიერ შექმნილი ტერმინები, ასევე, მათ მიერ შემოშავებული პრეფიკტებმა, და მოდებების მიხედვით სხვადასხვა მრეცხარულა დარგებისათვის იქმნებია ახალ-ახალი ტერმინები. უფრო ზწირად ეს ზებია შეუცნობლად, ჰველი ქართული შეცნიერული ტერმინოლოგიის, მისა ტექნიკის სპეციალურა შესწავლის გარეშე, იმდენად ღრმად აქვთ გადგწილი ამ უაღიბებსა და ტიპებს ფხვები ქართულ მეტყველებასში, იმდენად სწინებრივი, ჩვეულებრივი სახასრისნა გახედენ ისინა.

საქმე ისაა, რომ ტერმინთა წარმოების პრინციპები, რომლითაც ჰველი ქართული სიტყვის რსტატები ხელმძღვანელობდნენ, უნასუბებს ქართული ენის სიტყვაწარმოების ძირითად მოსოხებებს:

1. მათ მიერ შექმნილი მოდებები არ ეწინააღმდეგება ქართული ენის სიტყვაწარმოების შესაძლებლობებს, პაროდუქტიული და საცოცხლისუნარიანია ქართული ენის განვითარების ტენდენციების თვალსაზრისით.

ახე! მაგალითად, ანტრაქტული ტერმინების წარმოება სრულად სხვადასხვა მეტყველების ნაწილებისაგან და წარმოქმნილი სახელებისაგან ება. -ო ბა. ს-ე აფიქსების საშუალებით მეტად გავრცელებული საშუალებია თანამედროვე ქართულ შეცნიერულ ენაში (ც რ ბ ი ე რ ე ბ ა, ყ რ ე თ რ ე ბ ა, ხ ს ა დ რ ბ ა, კ მ ა დ რ ბ ა, რ ა რ ბ ა, რ ს მ ე ლ რ ბ ა, ს ი მ რ ა ე ლ ე და სხვ.).

2. ქართულ ენაში მრავალი ასწილელის მანძილზე გამოშუშავებული კომპოზიტია წარმოების მრავალფეროვანი, მაგრამ მაყარად ჩამოყალიბებული წესები, სრულქმნილი და განვითარებული XI-XII საუკუნეების მოღვაწეთა მიერ, დღესაც აძლევთ ფართო შესაძლებლობებს მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა დარგის ახალ-ახალ ტერმინთა წარმოებისათვის. პეტროწინისა და მის თანამედროვეთა მიერ ბერძნულ კომპოზიტთაგან თაქირებული მოდებები უცხო არ არის ქართული ენისათვის. თავის დროზე ბერძნულიდან თაქირებისა ჯზით შექმნილი კომპოზიტ-ტერმინები იმდენად დაინერგა ქართულ ენაში, რომ დღეს ეს მოდებები მთავარი იქნა შეცნიერული ტერმინების წარმოების საშუალებას აძლევთ. ახე, მაგალითად: а҃т҃ო თ ვ ი თ საცოცხლსახელი а҃т҃ო თ ა ნ და про წ ი ნ წ ი რ დებულებების დახასარებით შექმნილი უაღიბები, როგორცა: თ ვ ი თ ე რ ბ ა, თ ვ ი თ მ დ გ მ ი, თ ვ ი თ კ ე ი ლ რ ბ ა, თ ა ნ შე დ გ ზ ე ლ ი, თ ა ნ ტ რ შ ი, წ ი ნ ა და დ ე ბ ა და ა. შ. საგზოდ გავრცელებულია თანამედროვე ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიაში (მაგ: თ ვ ი თ მ კ მ ე დ ი, თ ვ ი თ დ ი ნ ე ბ ა, თ ვ ი თ გ ა მ რ კ ვ ვ ა, წ ი ნ დ ე ბ ე ლ ი, თ ა ნ მ ი მ დ ე ბ ა რ უ ლ ი, თ ა ნ ა ფ ა რ ლ ბ ა, თ ა ნ ა რ ს ე ბ ბ ა და სხვ.).

მ. აპაროდექტიული, არქაული აფიქსების გამოყენება, რომლებიც უზუალურ აფიქსებთან შედარებით სიტყვას ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებენ, დღესაც გამართლებულია. მაგ., თანამედროვე ქართული ენის სიტყვაწარმოებაში გამოიყენება არქაული, მეკვარი ელ უფიქსი, რომლის საშუალებითაც მოელი რაგი ახალი ტერმინებია წარმოიქმნა (ბ უ თ წ ლ ე დ ი, ა თ წ ლ ე დ ი, უ ტ რ ე დ ი და სხვ.).

იშვიათად გვხვდება ძველი, აპაროდექტიული წარმოება მიმდევრათა ფორმებისა, როგორცაა მაგ., მ ა ე წ ე, მ ო ძ რ ა ვ ი, მ ო რ ა რ ო ვ ე დ ა სხვ.

სასურველია, რომ ამ პრინციპმა უფრო ფართო გავრცელება ჰპოვოს ტერმინთა წარმოებაში.

4. ტერმინთა წარმოების პრინციპების მიხედვით დასაშვებია ამა თუ იმ ფუძის გაფორმება მისთვის არადაშვასათებელი (უცხო) აფიქსით. ეს მეტად ხელშეწყობდა მეცნიერული ტერმინის წარმოებას, რამდენადაც იგი, როგორც ტერმინი, განსხვავდება იმავე ფუძისაგან, უზუალური, ჩვეულებრივი აფიქსით წარმოება სიტყვისაგან. მაგალითად, სი-კ-ე-თე „სინტი-ტი“ (IT), და კეთილ-ო-ბა „ნიტიო“. ამ პრინციპით, მართალია, იშვიათად დღესაც სარგებლობენ სპეციალური ტერმინების წარმოებისას (მ ე ყ ა რ ო ბ ა, წ ა ც კ ლ ად ს ი მ ე ყ ა რ ი ს ა, ს ა ვ ს ე ო ბ ა — ს ი ს ა ვ ს ი ს წ ა ც კ ლ ად და სხვ., სასურველი იქნებოდა ეს პრინციპი უფრო ფართოდ დანერგულიყო თანამედროვე დაზღობრივ ტერმინოლოგიაში.

5. ტერმინთა წარმოება ფორმაუცვლელ სიტყვათა ვახსუბტანციებით (მაგ., ა რ ს ი, ი ყ ო: ა ქ ა მ, მ უ ნ ა მ, ა წ ი, შ ო რ ა ს ი და სხვ.),

რაც ესოდენ გამახასიათებელია XI-XII სუკუნეების შერლოხისათვის, უცხოთანამედროვე ქართულიენაში, სპირიტებს შემთხვევაში, შეიძლება ვაბრუთო როგორც წმინდა, თანდებელი, კაშორი, ნაწილი, შორისდებული, ერთი სიტყვით, ურეკლგარი ფორმა, მათ შორის ბრუნვანი ფორმა და წმინა კ. და ეს ქართული ენის სიტყვაწარმოების ერთ-ერთი მრავალფეროვან საშუალებათაგანია, რომელსაც თავის დროზე ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ურადღება. როგორც შეხანიშვად „სახარს... აზრის მიმოვრისა და განცხადებისათვის“ (ი. ჭავჭავაძე, 95-96). სასურველია ამგვარ წარმოებას უფრო ფართო გასაქანი მიეცეს სპეციალურ ტერმინოლოგიაში.

მ. რაც შეეხება დეკლინაციის სუფიქსებს, კერძოდ, ნათესაობითის, მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვების რ-ითად დაბოლოებებს, ასევე მიერ, შორის, ებრაგან, კერძო თანდებულებს, მათი სადერვიციო აფიქსების ფუნქციით გამოყენება (რასაც აგრეთვე ზნორად მიმართავდნენ ძველი ქართული მოღვაწენი), დღეს ტერმინთა წარმოების ერთი ყველაზე ჩვეულებრივი და გავრცელებული საშუალებათაგანია (გ რ ძ მ ბ ა დ ი, ბ რ ე ვ ი თ ო, ს ი ტ ყ ე ი ე რ ე ბ ი თ ი, მ წ კ რ ა ვ თ ა შ ო რ ი ს ი, ე რ თ ა შ ო რ ა ს ი, უ წ რ ე დ შ ო რ ა ს ი, შ ი ნ ა გ ა ნ ო, გ ა რ ე გ ა ნ ო, შ ი გ ა ნ ო, ბ რ ტ ი ლ ი ს ე ბ რ ო, ბ ა დ ა ს ე ბ რ ო, უ ტ რ ე დ ი ს ე ბ რ ო, გ ა ზ ი ს ე ბ რ ო და სხვ.). ამ ტიპის წარმოება კი, რომელიც უძველესი დროიდან არსებობს ქართულში, სალიტერატურო ენაში დანერგვს და დაამკვიდრებს სწორედ XI-XII სუკუნეთა ავტორებმა.

დავოწმებულ ლიტერატურას

1. ა რ ე მ ა გ ე ლ ი — პეტრე იბერიელი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მციარის თარგმანი, გამოსცა, გამოკლევით დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.
2. მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე — მისე გოგობერიძე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდები, თბილისი, 1961.
3. "ლიალიქტიკა" — იანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტ

გამოსცა, გამოკლევით და ლექსიკონი დაურთო შიო რაფეამ, თბილისი, 1976.
4. ე ქ უ ს თ ა, გ. მოწმადელი, — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკლევით დაურთო მ. კახაძემ, თბ., 1947.
5. ე ქ უ ს თ ა, უძე. ი. აბულაძე, — ბასილი კესარიელი, "ექუსთა დღეთაჲსი" და გრიგოლ ნოსელის "ეცისა აგებულებისათჳს",

X-XIII ს. ხელნაწერთა მიხ. გამოსცა, გამოკველევა და ლექსიკონი დაერთო ილია აბულაძემ, თბ., 1964.

6. კ. კეკელიძე, I, — კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960.

7. ნ. კეჭალაძე, იტალ. — ნ. კეჭალაძე, იოანე იტალოსის შემოქმედება, თბილისი, 1955;

8. კეჭალ. პეტრ. — ნ. კეჭალაძე იოანე პეტრიწის ენის საკითხისათვის, თსუ შრ., ტ. 61, 1953.

9. ი. ლოლაშვილი — იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა გამოკველევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაერთო ივ. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968.

10. ლოსევი „კრიტიკა“. — Лосев А. Ф., Критика платонизма у Аристотеля, Москва, 1929 г.

11. ლოსევი, „პროკლ.“ — Прокл., Первоосновы теологии, перевод и коммент. проф. А. Ф. Лосева, Тбилиси, 1975 г.

12. ლოსევი, „ესთეტიკა“. — Лосев А. Ф., История античной эстетики, Аристотель и поздняя классика, Москва, 1975 г.

13. ნ. მარო. — Марр Н. Я., Иоани

Петрицкий, грузинский неоплатоник XI — XII века (360, 371-379) СПб., 1909 г.

14. ს. ს. ორბელიანი — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, თბილისი, 1955.

15. პეტრიწი, I, II — იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, კავშირი ღვთისმეტყველებითნი, გამოსცა, გამოკველევა და ლექსიკონი დაერთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940; ტ. II, „განმარტება“, გამოსცეს სიმ. ყაუხჩიშვილმა და შ. ნუცუბიძემ, 1937.

16. ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტ. — სიმ. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1968.

17. ა. ჩიქობავა — არნოლდ ჩიქობავა, ახალი სალიტერატურო ენის წარმოქმნისათვის, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1950.

18. ი. ჭავჭავაძე — ილია ჭავჭავაძე, აი, ისტორია, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, 1927.

19. ე. ხინთიბიძე — ელგუჯა ხინთიბიძე, ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი, თბილისი, 1969.



საინტერესო გამოკვლევა ვაჟა-ფშაველას შესახებ

ჩვენს სინამდვილეში ბოლო დროს სულ უფრო და უფრო იზრდება ინტერესი ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროსადმი. უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ინტერესით იკვლევენ ვაჟას ფენომენის სიღრმისეულ შრეებს. პოეტის მხატვრული ხედვის თავისთავადობის მაუწყებელი მრავალი ასპექტი დაიძებნა. ვაჟას მსოფლგაცნობას ვეროპულსა და მსოფლიო მწერლობაშიც კი მოეძებნა პარალელები; მრავალი გამოკვლევა დაიწერა ვაჟაზე მის სიციცხლეშიც. მაგრამ პოეტის მხატვრული ხედვის მასაზრდოებელ იმპულსთა ძიება ყოველთვის რჩება განსაკუთრებული ინტერესის საგნად, რადგან სწორედ ამ იმპულსთა პოვნა არის მხატვრული ფენომენის ამოცნობის პირობა. მართალია, დიდი მუშაობა ჩატარებული ვაჟას ქმნილებათა ხალხური წყაროების დასადგენად, მაგრამ ამ წყაროთა რეალურად არსებობა სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ამას ძირითადად ის გარემოება განაპირობებდა, რომ ეს — წყაროებად მიჩნეული ხალხური მასალა ვაჟას ქმნილებებზე გვიანდელი იყო.

გარდა ამისა, დღემდე ბოლომდე აუხსენებლად რჩებოდა მსგავსების ფაქტორები და ასევე ხალხურ მასალასა და ვაჟას თხზულებათა შორის არსებული დიდი სხვაობაც — ამ მიმართებით არსებული ერთგვარი ვაქუძების შევსებას ისახავს მიზნად დ. წოწყლოაურის წიგნი — „ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროები...“ და მხატვრული სტრუქტურის საკითხები“.

წიგნში განხილულია ვაჟას ზოგიერთი ეპიური ნაწარმოების ხალხურ წყაროებთან დამოკიდებულების სპეციფიკა და გარკვეულია, თუ როგორ ეკლს აწევს ყოფით მასალასთან სიახლოვე მათ მხატვრულ სტრუქტურას. ფაბულას, სიუჟეტს, და ა. შ. ნაშრომის მნიშვნელობა ამ შემოიფარგლება მხოლოდ ვაჟას

ქმნილებათა ხალხური წყაროების ძიებათა ისტორიის გადმოცემით, ანდა ახალ წყაროთა გამოვლენითა და მათი აღნუსხვით.

ნაშრომის სიახლე პირველყოელისა პრობლემისადმი არატრადიციულ მიდგომაშია. ავტორის მიერ უქუდავებულა ვაჟას თხზულებათა ხალხური წყაროების დადგენის ნაცადი გზა, რომლის თანახმად, ჯერ შიშობებდნენ პოეტის ქმნილებათა (ან ცალკეული პასაჟების) მსგავს ხალხურ მასალას, შემდგომ განისაზღვრებოდა ამ მასალას ვაჟას „სულიერ ქერაში გადადუღების“ ხარისხი და ბოლოს მტკიცებოდა პოეტის მხატვრული ხედვის რაგვარობა და ა. შ. დ. წოწყლოაურის წიგნში კვლევა გაშლილია იმ ღრმა განსხვავებათა წარმოსაჩვენად, რაც უთუოდ არსებობს ვაჟას ქმნილებებსა და ყოფით მასალას შორის იქაც კი, სადაც მსგავსება უკველობის ილუზიის ქმნის. ჩვენის აზრით, ეს ავტორის უადრესად საინტერესო და ღირებული დაკვირვებაა. კვლევა ზედამიროდ სიღრმისაყენ არის მიმართული; მკვლევარი მთლიან ქმნილებას აქცევს კვლევის ცენტრში და არა მხოლოდ მის ცალკეულ ქასაგეს. ამით კი თავიდან არის აცილებული მასალის ისეთი თვითმიზნური შეფასება, როცა მსგავსების ძიების ცინით შეწყობილი მკვლევარი მექანიკურ ოპერაციებად „ეშვება“ ხოლმე. ბუნებრივია, ამგვარი კვლევის დროს ნება-უნებლიედ კნინდება ბელოვანის ინდივიდუალური მხატვრული ხედვის არსი.

ვაჟა-ფშაველას თანამედროვე თუ შემდეგი დროის სალიტერატურო კრიტიკისა თუ ფოლკლორისტიკის სფეროში ჩატარებული ვეებრივია მუშაობის არსებით ხარვეზად ამ ნაშრომში მსგავსების პაუწყებულ მომენტთა ასეთი მექანიკური ძიება და აღნუსხვა არის მიჩნეული. წიგნში გატარებულია აზრი, რომ კრიტიკამ მსგავსებათა ძიების პროცესში ბოლომდე ვერ აღსნა მისი განმპირობებელი ვინეულები. ყურადღების გატრე დაჩა ის უბრალო კეშმარტება, რომ სააზროვნო მასალას ხალხიცა და ვაჟაც ერთსა და იმავე ყოფით სინამდვილიდან იღებდნენ. ამიტომ მსგავსე-

დ. წოწყლოაური, „ვაჟა-ფშაველას ეპოსის წყაროებისა და მხატვრული სტრუქტურის წყაროები“, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა. 1982 წ.

რმოები, რომლის ორიგინალობის ნათელსაყოფიდაც ამიღლა ხმა ვაჟა-ფშაველამ. ამ პოემის ხალხურ მასალასთან თანაზიარობის ახსნით დიდო სათავე სავიროდ ვაყვას ხალხურ და ცხოვრებისეულ მასალასთან მიმართების რკვევის წიგნის მეორე თავში „გოგოთური და აფშინას“ შემოქმედებითი მასალისა და სიუჟეტის საკითხი არის შესწავლილი. მითითებულია, რომ პოემის წყარო პოეტური ფოლკლორული ქმნილება კი არ არის, არამედ ყოფითი, არამხატვრული მასალა. მოცემულ შემთხვევაში ვაყვას უფრადლება განსხვავებული წყაროები იტყვას ადამიანთა ურთიერთობაში მიიპყრო. კონკრეტულ ყოფით მასალაში შენიშნა პოეტმა ადამიანის ეთიკურ-მორალური მრწამსის გარდქმნის პერსპექტივა. მან გაითავისა ეს პერსპექტივა. ასე იშვა აბსოლუტურად ორიგინალური ნაწარმოები, სადაც წყაროები პრობლემატურად წარმოადგენს თავისთავადობის პირობას.

ხალხურ წყაროებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით თავის დროზე ცხარე კამათის საგნად გადაიქცა პოემა „მახტარიონი“. ვაჟამ თვითონვე მიუთითა კრიტიკას, რომ წყარო არამხატვრული ყოფითი მასალა იყო და მას მხოლოდ შემოქმედებითი იმპულსის მნიშვნელობა ჰქონდა.

ლიტერატურათმცოდნეთა და ფოლკლორისტთა ერთი ნაწილის არსებითი ხარვეზი ის იყო, რომ ანგარიში არ გაუწია პოეტის მითითებებს და პირიქით, მის შეეცებას და დახუტებას შეეცადა. პოემის ხალხურ წყაროდ ისეთი მასალა გამოცხადდა, როგორც სწორად „მახტარიონი“ ხალხში გადასვლის შემდგომ, ფოლკლორზე ვაყვას გავლენის შედეგად გაჩნდა; საერთოდ, მართო „მახტარიონზე“ არ ითქმის ეს. ვაყვას ხალხურთან საბალოვის ნიშნით გამოჩნეულ თითქმის ყველა ქმნილებას დაეძებნა ასეთნაირი წყაროები. ასეთი პრინციპი ერთგვარი კანონზომიერებადაც კი იქცა. ამ გარემოებას დიდხანს არ ეტყეოდა უფრადლება. ზოგიერთი მკვლევარი ისე შორსაც კი წავიდა, რომ ვაყვას თხზულებათა უკუშემოქმედებათა შედეგად შობილ „ხალხურ თქმულებებს“ მთელს მსოფლიოში მოუძებნა ბარალელები და მასალაზე ძალდატანებით ლამის ახალი ნაწარმოებებიც კი შექმნა.

დ. წოწკოლაურს აქვს დადგენილი ისიც, თუ როგორი და რომელი ყოფითი ფაქტი შეიძლება მივიჩნიოთ პოეტის ცალკეული თხზულების წყაროდ და რომელი არა, მაგრამ მისი ნაშრომის ღირსება ამით არ ამოიწურება. მთავარი ისაა, რომ ბევრი საკითხი ახალი თვალსაზრდით არის დანახული და ვაყვას შემოქმედების ზოგიერთი რთული, ჯერაც გადაუჭრელი პრობლემის ცვლილის ახალი პერსპექტივაა გადაჭრილი.

ასეთად გვესახება „სტუმარ-მასპინძლის“ ხალხურ წყაროსთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრება ადამიანს ღირებულებაზე შესრულე-

ბის ადგილისა და დროის ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ. ამ გარემოებას ჩვენში საშუალო ხაროდ, დღემდე არ მიიქცევა სათანადო ყურადღება.

ადამიანთა მასალა შესრულების ადგილითა და დროით ხანს განპირობებული. ამდენად ადგილსა და დროს საკრალური ღირებულება გააჩნია. არსებითი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოქმედების თანამიმდევრობასაც. უადგილოდ და უდროოდ შესრულებული ადამიანი კარგავს კანონის ძალს და ვარკვეულ ეთიკურებაში დანაშაულადაც კი იქცევა. ასეთია „სტუმარ-მასპინძლისეული“ თემის დანაშაულის პირობაც. ამ ახალი დაკვირვების მიხედვით ვაყვას შიგრი დახატული თემი შინაგანად გაზიარებული არ არის, არც ცალკეული ადამიანი მოდის ერთმანეთთან ლოგიკურ წინააღმდეგობაში მეტნაკლები არტაულობის გამო. თემი ადამიანს შესრულების ადგილისა და დროს არღვევს, სურვილისმიერად უარყოფს იმ მორალურ-წინააღმდეგობას, რომლებიც ცალკეულ სიტუაციაში ეწინააღმდეგება მის ნებას. ასე იხადება კონფლიქტი თემსა და ჯოჯოლას შორის.

ნაშრომში ფართოდ განიხილება აგრეთვე „გველის მჭამლის“ ხალხური წყაროებისა და მხატვრული სიტრუტურის თავისებურებანი. ცნობილია, თუ რა ნაირნაირი ხალხური მასალა ცხადდება ამ რთული, ფილოსოფიური თხზულების წყაროდ. სარეცენზოო წიგნში ვატარებულა აზრი, რომ წყაროების სიმრავლის მიზეზი ისევე და ისევე პოემის ფოლკლორზე უკუშემოქმედების გუთვალსწინებლობაშია საძიებელი. ქმნილების წყაროდ მიჩნეული მასალის აბსოლუტური უმეტესობა ვაყვას პოემის გამოქვეყნებდან 30,40 და მეტი წლებს შემდგომ არის ჩაწერილი. მათ აშკარად აჩვენა პოემის ზემოქმედების ცვალი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მკვლევარი დაყენებით ამტკიცებდა მასალის ხალხურ წარმოშობას და თვლიდა, რომ ვაჟა ინტუიტურად წარმოაჩენდა იმას, რომ არსებობდა ხალხურ შემოქმედებაში აუცილებლად ივარაუდებოდა. აქედან გამომდინარე ამტკიცებდნენ, რომ ეს მასალა იმხანად მიგნებული, ჩაწერილი არ იყო და შემდეგ აღმოჩნდა.

დ. წოწკოლაურმა ნათელყო „გველის მჭამლის“ ფაბულის, სიუჟეტის, პერსონაჟების თვითმყოფლობა. დამტკიცა, რომ მათ არ ეძებნება ფოლკლორული თუ ყოფითი პროტოტიპები. მაშასადამე არ არსებობს საფუძველი შედარებითა და ანალოგიათა ძიებებით, ანდა ნაირნაირი რწმენა-წარმოდგენებისა და რელიგიების მოშველიებით ნაწარმოების ფილოსოფიური არსის გახსნის ცდისი. „გველის მჭამლის“ დგას ადამიანის სულიერ და გონებრივ შესაძლებლობათა მხატვრული განსახიერების პრობლემა. ამისათვის დაშვებულია დიდი მხატვრული პირობითობა. ვაყვას მიზანი ადამიანის მიერ საკუ-

თარი თავის შეცნობის უნარის ჩვენებაა. მან დაგვიანება, რომ აღმაიანი თვითონ ფლობს საყუთარ არსში წვდომის უნარს. ეს უნარი მისი ცნობიერების ფსევტრზა განფენილი. იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ამიტომ თვითონ აღმაიანზეა დამოკიდებული საყუთარი გონების ძალის სიძლიერეც შეცდომათა დაშვებაც და ახლოს შეცნობაც. მინდიას სახით ვაქამ აღმაიანის თვითძიების ტრავედია წარმოაჩინა. მინდიას მარცხი აღმაიანის სულის მარადიული ცვალებადობის გამოვლენაა. პოეტმა თავის გმირს აღარ დაუბრუნა თავდაპირველი სულიერი წონისწორობა, რადგან პატებმა ზოძებულის ეკლავ ხელყოფის პერსპექტივას შეიცავედა. ვაქამ კ თავისი მიზანი ამ პერსპექტივის შეითხველისათვის გაეცნობიერებით შემოთარგლა. ასეთია "გველის მუამელის" მხატვრული აზრის შემოთავაზებული ახალი წაკითხვა. მას არ აკლია დამაჯერებლობა იმითმაც, რომ თვით ვაქას

თვითდაევირვებათა გათვალისწინების მდებეად გაეეთებულ დასვენას წარმოადგენს. ნაშრომის ბოლო თავში გამოყვლეულია „მოეტრტრადიციებთან ვაქა-ფშაველას ლექსის მიმმართების ერთი ასპექტი“, კერძოდ, გარკვეულია, თუ როგორ უახლოვდება ვაქა თავისი მხატვრული აზროვნების წყობით ქართულ ხალხურ და კლასიკურ პოეზიას და როგორ ეყრდნობა მისი ლექსი ხალხური და ქართული კლასიკური ლექსის რიტმულ-მელოდიურ სტრუქტურას. ამის რკვევას, კი რასაევირველია, არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელოვანის შემოქმედებით სამყაროს შესწავლაში.

ასეთია დ. წოწყოლაძის წიგნში აღძრული საკითხების მიზანარსი, რომელთა დროულობა და მნიშვნელობა ქართულ ლიტერატურათმცოდნეობისა და ფოლკლორისტიკისათვის სრულიად ამკარაა.

თ. ჯაბოღნიშვილი.

რედაქციას მისამართი:
თბილისი, რუსთაველის უბისპექტო, № 12.

ბეღმონენბი: რედაქციის — 98-55-11,
მთ. რედ. ნოადგალის — 98-55-18, 3/მგ. მდივანის და განყოფილებების — 98-55-15; 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 24. 12. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 4. 2. 83 წ., ასაწყობის ზომა 71/4 X 12, ქალაღლის ფორმატი 70 X 108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 11, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 15,5. სააღ-საგამომცემლო თაბაში 16,58.

უე 06915 ტირაფი 31.900 შეეც. 3066 საქ. კბ-ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობა, 1982.

6/38



ქართული
ენციკლოპედია

3360 80 333.

0600360
76128

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ